სენკევიჩი ჰენრიკ

რომანი

კარი I

– იცი, ნელი, – უთხრა სტაშ ტარკოვსკიმ თავის პატარა ინგლისელ მეგობარს, – გუშინ აქ პოლიციელები იყვნენ და ზედამხედველ სმაინის სამი შვილი და ცოლი დაიჭირეს, ის ფატმა, ამას წინათ რამდენიმეჯერ რომ მოვიდა კანტორაში ჩვენს მამებთან.

ულამაზესი ანგელოზის მსგავსმა პატარა ნელიმ სტაშს მომწვანო თვალები შეანათა და ნახევრად გაკვირვებით, ნახევრად შიშით ჰკითხა:

– მერე, ციხეში ჩასვეს?

– არა, მაგრამ სუდანში წასვლა აუკრძალეს და, პორტ-საიდიდან ფეხი რომ არ მოიცვალოს, ჩამოსული მოხელე მიუჩინეს.

– რისთვის?

თოთხმეტი წლის სტაშმა, რომელსაც თავისი რვა წლის მეგობარი ძალიან უყვარდა, თუმცაღა მას ჯერაც ბალღად თვლიდა, ამაყად მიუგო:

– ჩემხელა რომ გაიზრდები, მაშინ გეცოდინება, რა ხდება არა მარტო არხის გასწვრივ, პორტ-საიდიდან მოყოლებული სუეცამდე, არამედ მთელს ეგვიპტეში. სულ არაფერი გაგიგონია მაჰდიზე?

– ვიცი, რომ მახინჯია და უზრდელი.

ბიჭმა შემწყნარებლურად გაიღიმა.

– მახინჯია თუ არა, ეგ არ ვიცი. სუდანელები, მაგალითად, მას ლამაზად თვლიან. მაგრამ უზრდელის თქმა კაცზე, რომელმაც უკვე ამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, შეუძლია მხოლოდ რვა წლის გოგონას და ისიც მოკლეკაბიანს.

– მამამ ასე მითხრა, მან კი შენზე უკეთ იცის.

– ასე იმიტომ გითხრა, რომ სხვანაირად ვერ გაიგებდი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე არ მეტყოდა. მაჰდი ნიანგზე უფრო საშინელი ვინმეა. გასაგებია? მაგარი ნათქვამია "უზრდელი", ასე აღუა თუ იტყვის.

გოგონას მოღუშული სახის დანახვაზე დადუმდა, მერე კი დასძინა:

– ნელი! ხომ იცი, შენი გაბრაზება სულაც არ მინდოდა; მოვა დრო და შენც გახდები თოთხმეტი წლის, ამას ნაღდს გეუბნები.

– ჰო! – მიუგო ფიქრიანად მომზირალმა. – მაგრამ მანამდე მაჰდი პორტ-საიდში რომ შემოიჭრას და შემჭამოს?

– მაჰდი კაციჭამია კი არა, კაცისმკვლელია. ვერც პორტ-საიდში შემოიჭრება, მაგრამ, რომც შემობედოს და შენი მოკვლა მოინდომოს, იცოდე, ჩემთან ექნება საქმე.

ამ განცხადებამ და ცხვირის ქშუტუნმა, რაც მაჰდის კარგს არას უქადდა, ნელი საგრძნობლად დაამშვიდა და საკუთარი თავის რწმენა შემატა.

– ვიცი, – თქვა, – ჩემს თავს არავის შეაჭმევინებ, მაგრამ, რატომ არ უშვებენ ფატმას პორტ-საიდიდან?

– იმიტომ, რომ ფატმა მაჰდის დეიდაშვილია. მისმა ქმარმა სმაინმა კაიროში ეგვიპტის მთავრობას განუცხადა, რომ სუდანში წავიდოდა მაჰდისთან და მის ხელში მოხვედრილ ყველა ევროპელს ტყვეობიდან გაათავისუფლებდა.

– ის სმაინი კეთილი კაცია?

– მოიცა. შენი და ჩემი მამები მას მშვენივრად იცნობდნენ. არ ენდობოდნენ და ამიტომ გააფრთხილეს ნუბარ-ფაშა, მისი იმედი არ ჰქონოდა. მაგრამ მთავრობამ სმაინი მაინც გაგზავნა და მთელი ნახევარი წელია, რაც მაჰდისთან იმყოფება. ტყვეები კი, არა თუ არ დაბრუნებულან, ხარტუმიდან ცნობაც მოვიდა, მაჰდისტები მათ სულ უფრო საძაგლად ეპყრობიანო. სმაინმა მთავრობისაგან ფული აიღო, მაგრამ პირი გატეხა, მაჰდის მიემხრო და ემირის წოდებაც მიიღო. ხალხი ამბობს, რომ იმ საშინელ ომში, გენერალი ჰიქსი რომ დაიღუპა, მაჰდის არტილერიას სმაინი ხელმძღვანელობდაო. ჩანს, სწორედ მან ასწავლა მაჰდისტებს ზარბაზნის ხმარება, რაზედაც მათ, როგორც ველურებს, წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ახლა სმაინის მთავარი საფიქრალია, როგორმე გაიყვანოს ცოლ-შვილი ეგვიპტიდან. ისიც ჩანს, რომ ფატმამ თავიდანვე იცოდა სმაინის განზრახვა და ჩუმად ცდილობდა პორტ-საიდიდან გაპარვას. ამიტომაც დააპატიმრა მთავრობამ შვილებიანად.

– მერე მთავრობას რად უნდა ფატმა და მისი შვილები?

– მთავრობა მაჰდის ეტყვის: დაგვიბრუნე ტყვეები და ფატმას მოგცემთო...

საუბარი აქ შეწყდა, რადგან სტაშის ყურადღება ეხტუმ ომ ფარაგიდან მენზალეჰის ტბისაკენ გაბწკარულმა ფრინველებმა მიიპყრეს. საკმაოდ დაბლა მოფრინავდნენ და გამჭვირვალე ჰაერში მკვეთრად ჩანდა, რამდენიმე კისერწაწვართული ვარხვი

ვეებერთელა ფრთებს ლაღად რომ აქნევდა. სტაშმა უმალვე მათ მიბაძა, კისერი წაიგრძელა და წინ გავარდნილმა ხელები ფრთებივით ააქნია.

– შეხე, ფლამინგოებიც მოფრინავენ, – შესძახა ანაზდად ნელიმ.

სტაში უმალვე შედგა. მართლაც, ვარხვების უკან, ოღონდ საგრძნობლად მაღლა, ლაჟვარდისფერ ზეცაში თითქოსდა ორი უზარმაზარი – ვარდისფერი და წითელი ყვავილი დაკიდებულიყო.

– ფლამინგოები! ფლამინგოები!

– საღამო ახლოვდება და კუნძულზე თავიანთ ბუდეებს უბრუნდებიან. – თქვა ბიჭმა. – ოჰ, ნეტა ახლა თოფი მქონდეს!

– მერე რისთვის? უნდა ესროლო?

– ქალებს ამისი რა გესმით. მოდი, წინ წავიდეთ, ეგებ, იქიდან უფრო მეტი დავინახოთ.

ეს რომ თქვა, გოგონას ხელი მოჰკიდა და პორტ-საიდის იქით, არხის პირველი ნავმისადგომისაკენ, წავიდა. მათ უკან მიჰყვა ზანგი დინაჰი, რომელიც ჩვილობისას ნელის გადიაობას უწევდა. მენზალეჰის ტბისა და არხის წყალგამყოფ მიწაყრილზე მიაბიჯებდნენ. არხში იმჟამად ვეებერთელა ინგლისური თბომავალი მიცურავდა. თბომავალს ლოცმანი მართავდა. ჰა და ჰა, მოსაღამოვდებოდა. მზე ჯერაც მაღლა იდგა, მაგრამ დასავლეთისკენ, ანუ ტბისაკენ, საკმაოდ გადაწვერილიყო. წყალს უკვე ოქროსფერი დასდებოდა და მის ზედაპირზე ფარშევანგის ფრთათა ანარეკლი ციმციმებდა. არაბეთის სანაპიროზე, სადამდეც კაცს თვალი მიუწვდებოდა, მოყვითალო, მიყრუებული, ავბედითი და უსიცოცხლო ქვიშიანი უდაბნო გადაჭიმულიყო. მოსარკულ, თითქოსდა უსიცოცხლო ზეცასა და უთვალავ ნაოჭებდაყრილ ქვიშას შორის მოჭაჭანე სულიერს ვერ დაინახავდით. მაშინ, როცა არხზე სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა, მიირწეოდნენ ნავები და გაისმოდა ორთქლმავლების სტვენა, მენზალეჰის ტბას მზის შუქის ფონზე აკიაფებული თოლიები და გარეული იხვები დასტრიალებდნენ, არაბეთის სანაპიროზე კი თითქოსდა სიკვდილი გამეფებულიყო. მხოლოდ თანდათან, რაც მზე დასავლეთისაკენ იხრებოდა და სულ უფრო და უფრო წითლდებოდა, ქვიშასაც ასე თანდათან ედებოდა შროშანისფერი, სწორედ ისეთი, როგორც შემოდგომის ჟამს პოლონეთის ტყეში მანანას აქვს ხოლმე.

ნავმისადგომისაკენ მიმავალმა ბავშვებმა კიდევ რამდენიმე ფლამინგო დაინახეს და თვალები გაუბრწყინდათ, მაგრამ ამასობაში დინაჰმა განაცხადა, ნელის შინ დაბრუნების დროაო. ეგვიპტეში დღეს, როცა ზამთრობითაც კი ხშირად ცხელა, ძალზე ცივი ღამე მოსდევს. ნელის ჯანმრთელობა კი დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა და მამა, პან

რავლისონი, მზის ჩასვლის შემდეგ გოგონას წყლის მახლობლად ყოფნის ნებას არ აძლევდა. ჰოდა, უმალვე მიბრუნდნენ ქალაქისაკენ, რომლის ერთ-ერთ გარეუბანშიც, ზედ არხის შორიახლო იდგა პან რავლისონის ვილა – და სწორედ იმ ჟამს, როცა მზე ზღვაში ჩაესვენა, ბავშვებმა ზღურბლზე გადააბიჯეს. მალე სადილად მოწვეული სტაშის მამა, ინჟინერი პან ტარკოვსკიც გამოჩნდა და მთელი ეს საზოგადოება და მათთან ერთად ნელის მასწავლებელი, ფრანგი პან ოლივერი, სუფრას მიუსხდნენ.

პან რავლისონი, სუეცის არხის კომპანიის ერთ-ერთი დირექტორთაგანი, და ამავე კომპანიის უფროსი ინჟინერი ვლადისლავ ტარკოვსკი, უკვე რახანია, გულითად მეგობრებად ითვლებოდნენ. ორივენი ქვრივები იყვნენ, ოღონდ წარმოშობით ფრანგი პან ტარკოვსკა ამ თოთხმეტი წლის წინათ სტაშის გაჩენას გადაჰყვა, ნელის დედა კი ჭლექისაგან გარდაიცვალა ჰელუანში, როცა გოგონა სამი წლისა იყო. ორივე ქვრივი პორტ-საიდში გვერდიგვერდ სახლობდა და სამსახურის წყალობით ერთმანეთს ყოველდღე ხვდებოდა. საერთო უბედურებამ ისინი კიდევ უფრო დააახლოვა და მათი ოდინდელი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. პან რავლისონს სტაში საკუთარი შვილივით უყვარდა, ხოლო პან ტარკოვსკი პაწია ნელის გულისთვის არც ცეცხლს შეუშინდებოდა და არც წყალსა და მეწყერს. დღიურ საქმეებს რომ მორჩებოდნენ, მათს ყველაზე სასიამოვნო დასვენებას შვილებზე, მათ აღზრდასა და მომავალზე საუბარი წარმოადგენდა. ამგვარი საუბრებისას პან რავლისონი უმეტესწილად სტაშის ნიჭს, ღონესა და სიმამაცეს ასხამდა ხოტბას, პან ტარკოვსკი კი ნელის ანგელოზისებრ სახეს აქებდა და ადიდებდა. რაც მართალია, მართალია – არც ერთი ტყუოდა, არც – მეორე. სტაში ცოტა თავდაჯერებული და ცოტა ტრაბახა კი იყო, მაგრამ შესანიშნავად სწავლობდა და პორტ-საიდის ინგლისური სკოლის მასწავლებლები მის მართლაცდა უჩვეულო ნიჭიერებას აღტაცებაში მოჰყავდა. რაც შეეხება სიმამაცესა და საზრიანობას, სტაშს მამისაგან გადაეცა მემკვიდრეობით, რამეთუ ეს თვისებები პან ტარკოვსკისთვის განგებას მოჭარბებულად მიემადლებინა და სწორედ ამის წყალობით მიაღწია ეგზომ მაღალ თანამდებობას. 1863* წელს მთელი თერთმეტი თვის განმავლობაში მუხლჩაუხრელად იბრძოდა. ბოლოს, დაჭრილი, ტყვედ ჩავარდა და გააციმბირეს. მაგრამ მალე რუსეთის მიყრუებული ტაიგიდან გაქცეულმა საზღვარგარეთ ამოყო თავი. აჯანყებაში ჩაბმამდე უკვე ჩამოყალიბებული ინჟინერი იყო, თუმცა კიდევ ერთი წელი მიუძღვნა ჰიდრავლიკის შესწავლას, რის შემდეგაც არხზე მიიღო თანამდებობა და რამდენიმე წელიწადში, როცა საზოგადოდ ცნობილი გახდა საქმის მისეული ძირფესვიანი ცოდნა, გონიერება და შრომისმოყვარეობა, უფროსი ინჟინრის მაღალი თანამდებობაც დაიკავა.

სტაში პორტ-საიდში, არხის მახლობლად დაიბადა, გაიზარდა და თოთხმეტი წელიც აქ შეუსრულდა, რის გამოც ინჟინრები, მამამისის კოლეგები, “უდაბნოს ბავშვს” ეძახდნენ. მოგვიანებით, უკვე სკოლაში სწავლისას, ხან მამას და ხანაც პან რავლისონს

არდადეგებსა და დღესასწაულებზე პორტ-საიდიდან მოყოლებული თვით სუეცამდე არხის კალაპოტის ჩაღრმავებისა და მოწყირილის გაკეთებაზე სამეთვალყურეოდ მოწყობილ ექსპედიციებში დაჰყვებოდა.

ყველას იცნობდა, როგორც ინჟინრებსა და რიგით მოსამსახურეებს, ასევე მუშებს – არაბებსაც და ზანგებსაც. სად აღარ დაინახავდით, სად აღარ შეხვდებოდით; ხან მიწაყრილზე დააბოტებდა, ხანაც მენზალეჰზე დაცურავდა ნავით. არაბეთის სანაპიროზეც გადადიოდა და ვიღაცის ცხენზე გადამჯდარი, თუ ცხენი არ იყო, მაშინ აქლემზე ან ვირზე წამოსკუპებული, თავს არაბეთის უდაბნოს მხედრად წარმოიდგენდა, მოკლედ, პან ტარკოვსკის თქმისა არ იყოს, ყველგან "დაძვრებოდა" და სწავლისაგან თავისუფალ ყოველ წუთს სანაპიროზე ატარებდა.

მამა სტაშს არაფერს უშლიდა, რადგან ხედავდა, რომ ნიჩბების მოსმა, ცხენის ჭენება და სუფთა ჰაერზე მუდმივი ყოფნა აკაჟებდა და სიმარჯვეს აჩვევდა. სტაში მისი ასაკის ბიჭებზე მაღალიც იყო, ღონიერიც და თვალებშიც ეტყობოდა, მისი შეშინება იოლი საქმე არ უნდა ყოფილიყო. თოთხმეტი წლისა მთელს პორტ-საიდში ყველაზე საუკეთესო მოცურავედ ითვლებოდა, თუმცაღა არაბებიც და ზანგებიც თევზებივით ცურავდნენ. მცირეკალიბრიანი კარაბინით გარეულ იხვებსა და ეგვიპტურ ბატებზე ნადირობამ სიჩაუქეს მიაჩვია. მისი ოცნება იყო ოდესმე შუა აფრიკაში რომელიმე დიდ მხეცზე ნადირობა. სიამოვნებით იხსენებდა ხოლმე არხზე მომუშავე სუდანელების ნაამბობს მძვინვარე მხეცებსა და სქელკანიან ცხოველებზე, რომლებიც მათ თავიანთ სამშობლოში შეხვედროდათ.

ყოველივე ამას ის დადებითი მხარეც ჰქონდა, რომ სტაში ენებს სწავლობდა. სუეცის არხისა მარტო გათხრა არ კმაროდა, საჭირო იყო მისი შენარჩუნებაც, რადგან ორთავ მხარეს მდებარე ქვიშა წლის განმავლობაში არხს ავსებდა. ლესეპსის დიადი საქმე გამუდმებულ შრომასა და ყურადღებას მოითხოვდა. ამიტომაც იყო, რომ მისი კალაპოტის ჩაღრმავებაზე გამოცდილი ინჟინრების მეთვალყურეობით დღემდე მუშაობდა უძლიერესი მანქანების ჯარი და ათასობით მუშა. არხის გათხრაზე 25 ათასი მუშა შრომობდა. დღესდღეობით, დამთავრებული საქმისა და გაუმჯობესებული მანქანების კვალობაზე, ბევრად ნაკლები მუშა იყო საჭირო, თუმცაღა მათი რაოდენობა არც ისე მცირე იყო. მათ შორის ადგილობრივები ჭარბობენ, მაგრამ იყვნენ ასევე ნუბიელები, სუდანელები და სომალელები, აგრეთვე თეთრი და ცისფერი ნილოსის სანაპიროებზე მობინადრე ზანგებიც, ანუ მცხოვრებნი იმ ადგილებისა, რომლებიც, მაჰდის აჯანყებამდე, ეგვიპტის მთავრობას ეკავა. სტაში ყველასთან ძმაბიჭობდა, და, როგორც პოლონელთა უმრავლესობას, მასაც ჰქონდა ენების შესწავლის უჩვეულო ნიჭი, რის წყალობითაც, თავადაც რომ არ უწყოდა, ისე ისწავლა მათებური მრავალი კილო. ეგვიპტეში დაბადებული არაბულს არაბივით ლაპარაკობდა. მანქანებზე მომუშავე

ცეცხლფარეში ზანზიბარელებისაგან მთელს შუა აფრიკაში გავრცელებული – სვა-ჰილის ენა შეისწავლა და, ასე განსაჯეთ, ფაშოდის ქვემოთ, ნილოსის პირას მცხოვრები დინკისა და შილუკის ტომის ზანგებსაც კი ესაუბრებოდა. თავისუფლად ლაპარაკობდა ინგლისურად, ფრანგულად და პოლონურად, რამეთუ მამამისი, ეს გულანთებული პატრიოტი, მონდომებით ცდილობდა ბიჭს მშობლიური ენაც სცოდნოდა. სტაში, რასაკვირველია, პოლონურს მთელი დედამიწის ზურგზე ყველაზე ლამაზ ენად მიიჩნევდა, პაწია ნელისაც ასწავლიდა და არცთუ წარუმატებლად. ოღონდ ვერაფერს გახდა და თავისი პოლონური სახელის "სტაშის" პოლონურად წარმოთქმა ვერ შეასწავლა. გოგონა მას "სტესს" ეძახდა. ამის გამო არაერთხელ წაკინკლავებულან, რაც უმალვე წყდებოდა, რაჟამს გოგონას თვალებში ცრემლი აკიაფდებოდა. საკუთარ თავზე დაბოღმილი "სტესი" გოგონას უმალვე ბოდიშს მოუხდიდა ხოლმე.

მიუხედავად ყველაფრისა, სტაშს ერთი საზიზღარი თვისება ჰქონდა: ნელის ასაკზე აგდებით ლაპარაკი უყვარდა და მუდამ თავის "დარბაისლურ" ასაკსა და გამოცდილებას უპირისპირებდა. მისი მტკიცებით, ბიჭი, რომელიც უკვე თოთხმეტი წლის გახდა, თუ მთლად მოწიფული არა, ყოველ შემთხვევაში, ბავშვი ნამდვილად აღარ იყო და ხელი მიუწვდებოდა ყოველგვარ საგმირო საქმეზე, მით უფრო, რომ მის ძარღვებში პოლონური და ფრანგული სისხლი ჩქეფდა. ძალიან სურდა ამგვარ საქმეზე თავის გამოცდა, განსაკუთრებით, ნელის დასაცავად. ჰოდა, დასხდებოდნენ და ათასგვარ საშინელებას იგონებდნენ, მერე სტაშს პასუხი უნდა გაეცა ნელის შეკითხვებზე: რას იზამდა, მაგალითად, მის სახლში ფანჯრიდან ათმეტრიანი ნიანგი, ანდა ძაღლისხელა მორიელი რომ შესულიყო. ამგვარ წუთებში არც ერთ მათგანს თავში აზრადაც არ მოსდიოდა, რომ სულ მალე მწარე სინამდვილე მთელ მათ ფანტასტიკურ გამონაგონებს მეტისმეტად გადააჭარბებდა.

კარი II

ამასობაში, სადილობის ჟამს, შინ სასიამოვნო ამბავი ელოდათ. რამდენიმე კვირის უკან პან რავლისონმა და პან ტარკოვსკიმ, როგორც გამოცდილმა ინჟინრებმა, მიწვევა მიიღეს პროვინცია ელ-ფაიუმის, ქალაქ მედინეტის, კაროუნის ტბის მიდამოებისა და მდინარე იუზეფისა და ნილოსის გასწვრივ, არხის მთელ სიგრძეზე ჩატარებული სამუშაოების დასათვალიერებლად და შესაფასებლად. იქ ერთი თვე უნდა დაეყოთ და

საამისოდ შვებულება მიიღეს საკუთარი ფირმისაგან. რამდენადაც შობის დღესასწაული კარზე იყო მომდგარი და ბავშვებთან განშორებაც უჭირდათ, გადაწყვიტეს, მედინეტში სტაშიც და ნელიც წაეყვანათ. ამის გაგონებაზე ბავშვები სიხარულისაგან კინაღამ გაგიჟდნენ. მხოლოდ არხის გასწვრივ მდებარე ქალაქებს იცნობდნენ, კერძოდ – იზმაილსა და სუეცს, არხის მოშორებით კი – ალექსანდრიასა და კაიროს, სადაც უზარმაზარი პირამიდები და სფინქსი ენახათ. მაგრამ ეს იყო ხანმოკლე ექსკურსიები, მაშინ, როდესაც მედინეტ-ელ-ფაიუმამდე, სამხრეთისაკენ, ნილოსის გასწვრივ მატარებლით მთელი დღე უნდა ევლოთ, იქიდან კი დასავლეთით მდებარე ელ-ვასტასაკენ ლიბიის უდაბნო გადაესერათ. სტაში ახალგაზრდა ინჟინრებისა და მოგზაურთა მონათხრობით იცნობდა მედინეტს, სადაც მათ წყლის მრავალგვარ ფრინველზე, უდაბნოს მგლებსა და აფრებზე ენადირათ. იცოდა, რომ ეს იყო ნილოსის მარცხენა ნაპირზე მდებარე დამოუკიდებელი, თვალუწვდენელი ოაზისი, რომელსაც კაროუნის ტბის, ბაჰრ-იუსეფისა და სხვა მომცრო არხებისაგან შემდგარი საწყალოსნო სისტემა გააჩნდა. ოაზისის მნახველები ამბობდნენ, რამდენადაც ეს მხარე ეგვიპტეს ეკუთვნის, მაგრამ მისგან უდაბნო ყოფს, იგი მაინც განსაკუთრებულ, თავისთავად მთლიანობად აღიქმებაო. მდინარე იუზეფი ამ სამყაროს წვრილ, ცისფერ რკალად შემორტყმოდა და იგი ნილოსის დაბლობთან შეეერთებინა. წყლის სიუხვე, ნოყიერი ნიადაგი და შესანიშნავი მცენარეული საფარი ქმნიდა აქ თითქოსდა ამქვეყნიურ სამოთხეს, ხოლო ქალაქ კროკოდილოპოლისის თვალუწვდენელი ნანგრევები ასობით ცნობისმოყვარე მოგზაურს იზიდავდა. სტაშს კი, ყველაზე მეტად, კაროუნის ტბა, იქ მობინადრე უთვალავი ფრინველი და გუებელ-ელ-სედმენტის მიყრუებულ მთაზე მგლებზე სანადიროდ წასვლა იზიდავდა.

არდადეგები რამდენიმე დღის შემდეგ იწყებოდა და რადგანაც არხის გასწვრივ ჩასატარებელი რევიზია სასწრაფო იყო და დახანებას ვერ ითმენდა, უფროსებს დროის დაკარგვა მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ. ბარგი სასწრაფოდ ჩაალაგეს, რათა გზას უმალვე გასდგომოდნენ, ბავშვები კი, პანი ოლივერის თანხლებით, ერთი კვირის შემდეგ გაემგზავრებოდნენ. სტაშსა და ნელისაც, რასაკვირველია, ახლავე ერჩიათ წასვლა, მაგრამ სტაშმა ხმის ამოღება ვერ გაბედა. სამაგიეროდ, მგზავრობასთან დაკავშირებული ყველა წვრილმანი გამოიკითხეს და მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგეს, რომ ბერძნების მოუხერხებელ სასტუმროებში კი არ იცხოვრებდნენ, არამედ ცოოკის სამგზავრო საზოგადოების კუთვნილ კარვებში. სწორედ ასე იქცეოდნენ კაიროდან დიდი ხნით მიმავალი მგზავრები. ცოოკი მსურველებს სთავაზობდა კარვებს, მსახურებს, მზარეულებს, სურსათ-სანოვაგის მარაგს, ცხენებს, ვირებს, აქლემებს და მეგზურებს, ასე რომ მოგზაურებს დიდი სადარდებელ-საზრუნავი აღარ აწუხებდათ. მართალია, ეს ძვირადღირებული ფუფუნება იყო, მაგრამ პან ტარკოვსკი და პან რავლისონი ამას ანგარიშს არ უწევდნენ, რადგან ყველაფრის საფასურს იხდიდა

ეგვიპტის მთავრობა, რამდენადაც ინჟინრები სწორედ მან მიიწვია არხზე ჩატარებულ სამუშაოთა შესამოწმებლად და შესაფასებლად. ნელის, რომელსაც ყველაზე მეტად აქლემით სეირნობა უყვარდა, მამა შეჰპირდა, რომ უშოვიდა განსაკუთრებით დიდკუზიან აქლემს, რომლითაც ის და პანი ოლივერი, ანდა დინაჰი, დროდადრო კი სტაში, უდაბნოსა და კაროუნის ტბის შემოგარენში ისეირნებდნენ. სტაშს კი პან ტარკოვსკიმ აღუთქვა, რომ ღამით მგელზე ნადირობის ნებას დართავდა იმ შემთხვევაში, თუ სკოლიდან წარჩინების მოწმობას მოიტანდა და ნაღდ ინგლისურ შტუცერსა და ნადირობისათვის საჭირო ყველა ნივთსაც აჩუქებდა. წარჩინების მოწმობას რომ აიღებდა, სტაშს ეჭვიც არ ეპარებოდა და თავი უმალვე შტუცერის მფლობელად წარმოიდგინა, ჰოდა, უკვე უამრავ განსაცვიფრებელ და დაუვიწყარ თავგადასავალზე ოცნებას შეუდგა.

გახარებული ბავშვებისათვის ამგვარი გეგმების განხილვასა და საუბარში ჩაიარა სადილმა. მომავალი მგზავრობისადმი ნაკლებ აღფრთოვანებას ამჟღავნებდა პანი ოლივერი, რომელსაც დიდად არაფრად მოსწონდა ^პორტ-საიდის მოხერხებული ვილიდან ფეხის მოცვლა და რამდენიმე კვირა კარავში ცხოვრებაზე ფიქრიც კი შიშის ზარს სცემდა. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც აქლემით მგზავრობა აშინებდა. ეგვიპტეში მცხოვრები ბევრი ევროპელივით, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, რამდენჯერმე უცდია აქლემზე შეჯდომა და ეს მცდელობა ყოველთვის მარცხით დამთავრებულა. ერთხელ აქლემი იმაზე ადრე ამდგარა, ვიდრე პანი უნაგირზე მოხერხებულად დაჯდებოდა, რის გამოც მისი კუზიდან ზედ მიწაზე გადმოებერტყა. მეორეჯერ, მძიმედ მოარულ დრომადერს ისე დაენჯღრია, რომ ორი დღე გონს ვერ მოსულა; ერთი სიტყვით, რამდენადაც ნელი ორი თუ სამი გასეირნების შედეგს აღტაცებით იგონებდა და ირწმუნებოდა, ამაზე სასიამოვნო ქვეყნად არაფერიაო, იმდენად შავბნელი მოგონებები აღეძვროდა პანი ოლივერს. მისი აზრით, აქლემით მგზავრობა ზედგამოჭრილი იყო არაბებისა და ნელის მსგავსი პაწაწკინტელა არსებისათვის და არა მძიმე და დარბაისელი ქალისთვის, მით უფრო, თუ ამ ქალს ზღვის საძაგელი ავადმყოფობისაკენ მიდრეკილება აწამებდა. თუმცა, მედინეტელ-ფაიუმისაკენ მგზავრობაში სხვა ხიფათიც იმალებოდა. პორტ-საიდში ისევე, როგორც ალექსანდრიაში, კაიროსა და მთელს ეგვიპტეში, გაუთავებლად ლაპარაკობდნენ მაჰდის აჯანყებასა და დავრიშთა სისასტიკეზე. რადგან პანი ოლივერს წარმოდგენა არ ჰქონდა, სად მდებარეობდა მედინეტი, შეშფოთდა, მაჰდისტებთან ძალიან ახლო ხომ არ არისო და პან რავლისონს გამოკითხვა დაუწყო.

მან კი, მხოლოდ გაიღიმა და თქვა:

– მაჰდიმ ამჟამად ალყა შემოარტყა ხარტუმს, სადაც გენერალი გორდონი არის გამაგრებული. იცით, რა მანძილია მედინეტიდან ხარტუმამდე?

– ოდნავი წარმოდგენაც არ მაქვს.

– არც მეტი, არც ნაკლები, რამდენიც აქედან სიცილიამდე. – აუხსნა პან ტარკოვსკიმ.

– არც მეტი, არც ნაკლები, – დაუდასტურა სტაშმაც. – ხარტუმი მდებარეობს იქ, სადაც თეთრი და ცისფერი ნილოსი ერთმანეთს ერწყმის და ერთ მდინარედ იქცევა. მას ეგვიპტის ვეებერთელა სივრცე და მთელი ნუბია გვაშორებს.

სტაშს იმის დამატებაც უნდოდა, რომ მედინეტი აჯანყებულთა მიერ დაკავებულ მხარესთან თუნდაც სულ ახლო ყოფილიყო, ის ხომ იქ იქნებოდა თავისი შტუცერით, მაგრამ გაახსენდა, რომ ამგვარი ტრაბახისათვის მამას არაერთხელ დაუტუქსავს და ისევ გაჩუმება ამჯობინა.

უფროსებმა სიტყვა ჩამოაგდეს მაჰდისა და აჯანყებაზე, რადგან ეგვიპტის მთავრობას იმჟამად ყველაზე მნიშვნელოვან ამბად ის მიაჩნდა. ხარტუმიდან ცუდი ამბები აღწევდა. ველური ურდოები, უკვე თვენახევარია, ქალაქს გარშემორტყმოდნენ; ეგვიპტელთა და ინგლისელთა რიგები თანდათან თხელდებოდა. დამხმარე ძალა მათკენ ახლახან წასულიყო, მაგრამ გორდონის სახელის, სიმამაცისა და სიმარჯვის მიუხედავად, საყოველთაო შიში გამეფებულიყო, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი ქალაქი ბარბაროსებს ჩაუვარდებოდა ხელში. ამავე აზრისა იყო პან ტარკოვსკიც, რომელიც ეჭვობდა, რომ გულიგულში ინგლისს სურდა, მაჰდის ეგვიპტისთვის წაერთმია სუდანი, რათა, მოგვიანებით, თავად მას წაეგლიჯა იგი მაჰდისთვის და ეს ვეებერთელა ქვეყანა დაემორჩილებინა. თუმცაღა, პან ტარკოვსკის თავისი ეჭვი პან რავლისონისთვის არ გაუნდვია, რადგან მისი პატრიოტული გრძნობის შებღალვას ერიდებოდა.

სადილობის მიწურულს სტაში იმის გამოკითხვას შეუდგა, რისთვის მიიტაცა ეგვიპტემ ნუბიის სამხრეთით მდებარე მიწები, კერძოდ – კორდოფანი, დარფური და სუდანი ზედ ალბერტ-ნიანძამდე და რად წაართვა იქაურ ხალხს თავისუფლება. პან რავლისონმა ასე უპასუხა: რასაც ეგვიპტის მთავრობა აკეთებს, აკეთებს ინგლისის დავალებით, რადგან ეგვიპტეზე თავის პროტექტორატს ავრცელებს და ისე იქცევა, როგორც თავად სურს.

– ეგვიპტის მთავრობას იქაურებისათვის თავისუფლება კი არ წაურთმევია – დასძინა, – პირიქით, ასეულ ათასობით და, შესაძლოა, მილიონობით ადამიანს თავისუფლება მიანიჭა. კორდოფანში, დარფურსა და სუდანში, ბოლო ხანებში, არავითარი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ ყოფილა. აქა-იქ მომძლავრებული რომელიმე ბელადი თავის უფლებებს აცხადებდა ამა თუ იმ მიწაზე და ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილის წინააღმდეგ, ანუ ძალით იერთებდა მას. ეს მიწები, უმეტესწილად, დასახლებული იყო არაბულ-ზანგური დამოუკიდებელი ტომებით, ანუ ისეთი ხალხით, რომელთა ძარღვებშიც ორივე რასის სისხლი ჩქეფდა. ეს ტომები განუწყვეტელი

ომიანობის პირობებში ცხოვრობდნენ. ერთმანეთს თავს ესხმოდნენ და ართმევდნენ ცხენებს, აქლემებს, რქოსან პირუტყვსა და, უპირველესად, ტყვეებს. ამასთანავე უამრავ სისასტიკეს სჩადიოდნენ. მაგრამ ყველაზე საშინელი მაინც სპილოს ძვალსა და ტყვეებზე მონადირე ვაჭრები იყვნენ. ისინი თითქოსდა ადამიანთა განსაკუთრებულ კლასს ჰქმნიდნენ, რომელსაც მიეკუთვნებოდა ყველა ტომის ბელადი და, ამასთანავე, მდიდარი ვაჭრები. შორს, აფრიკის სიღრმეში მძარცველურ ლაშქრობებს აწყობდნენ და ყველგან სპილოს ეშვებსა და ათასობით ადამიანს – მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს იტაცებდნენ. ამასთანავე, შეუბრალებლად ანადგურებდნენ სოფლებსა და დასახლებებს, ნაცარტუტად აქცევდნენ ყანებს, სისხლის მდინარეებს აჩუხჩუხებდნენ და მოწინააღმდეგეს უგულოდ უსწორდებოდნენ. სუდანის, დარფურისა და კორდოფანის სამხრეთული მიწები, ამასთანავე ნილოსის მთიანი მხარეები, თვით ტბებამდე მოყოლებული, ალაგ-ალაგ თითქმის სრულიად გაუკაცრიელდა. არაბული ბანდები კიდევ უფრო შორს მიიწევდნენ და მთელი ცენტრალური აფრიკა სისხლითა და ცრემლით მორწყეს. როგორც მოგეხსენებათ, ინგლისი მთელს დედამიწის ზურგზე დევნის ტყვეებით ვაჭრობას და კორდოფანის, დარფურის და სუდანის დაკავებას ეგვიპტის მთავრობის მიერ იმიტომ დათანხმდა, რომ ეს იყო ერთადერთი საშუალება, რათა ამ მკვლელ-მძარცველთათვის სამარცხვინო ჩვევა მოეშლევინებინა და, ასე თუ ისე დაემორჩილებინა. საბრალო ზანგებმა ამოისუნთქეს, თავდასხმა და ძარცვა-გლეჯა შეწყდა და ხალხიც მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგა. რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა ვაჭრებს ჭკუაში არ დაუჯდათ და აღმოჩნდა თუ არა მათ შორის მაჰდი, ანუ მოჰამედ-ახმედი, რომელმაც წმინდა ომი გამოაცხადა იმ მიზეზით, ეგვიპტეში მაჰდის ჭეშმარიტი რწმენა იბღალებაო – ყველამ, ვით ერთმა კაცმა, ხელი იარაღს წამოავლო. და დაიწყო საშინელი ომი, რომელშიც ეგვიპტელები მაინცდამაინც დიდად არ ბრწყინავდნენ. მაჰდიმ მთავრობის ჯარები ყველა ომში დაამარცხა და კორდოფანი, დარფური და სუდანი დაიკავა; ამჟამად მისი ურდოები ხარტუმს გარშემოერტყმოდნენ და ჩრდილოეთით, ზედ ნუბიის საზღვარს მოსდგომოდნენ.

– შეუძლიათ ეგვიპტემდეც მოაღწიონ?– ჰკითხა სტაშმა.

– არა. – მიუგო პან რავლისონმა. – მართალია, მაჰდი ირწმუნება, რომ მთელ მსოფლიოს დაიპყრობს, მაგრამ ის ველური კაცია და ბევრი რამ არ გაეგება. ეგვიპტის დამპყრობი ის არ არის, რადგან ამის ნებას ინგლისელები არ მისცემენ.

– ეგვიპტის ჯარები მთლად რომ გაანადგუროს, მაშინ?

– მაშინ ბრძოლაში ჩაებმება ინგლისის ჯარი, რომლის მომრევი ქვეყნად არავინ მეგულება.

– მერე ინგლისმა რატომ დაანება მაჰდის ამდენი ქვეყნის დაპყრობა?

– რა იცი, რომ დაანება, – უპასუხა პან რავლისონმა, – ინგლისს აჩქარება არ სჩვევია, რადგან იგი მარადიული ქვეყანაა.

საუბარი შეაწყვეტინათ შემოსულმა ზანგმა, რომელმაც განუცხადათ, სმაინის ცოლი, ფატმა მოვიდა და მოსმენას გთხოვთო.

ქალები აღმოსავლეთში, ჩვეულებისამებრ, საშინაო საქმეებით არიან დაკავებულნი და ჰარამხანიდანაც იშვიათად გამოდიან. მხოლოდ ღატაკები ეწევიან ვაჭრობას, ანდა მინდვრად შრომობენ, ისიც ფელაჰის ცოლები, მაგრამ მაშინაც კი სახეს იბურავენ. ფატმას სამშობლოში კი, სუდანში, ამ წესს მაინცდამაინც მკაცრად არ იცავენ. ფატმა ინჟინრებთან მანამდეც ყოფილა კანტორაში, მაგრამ ასე გვიან მისმა გამოჩენამ აქ, ამ კერძო სახლში, ერთგვარი გაოცება გამოიწვია.

– სმაინზე მაინც შევიტყობთ ახალ ამბავს. – თქვა პან ტარკოვსკიმ.

– ჰო, – მიუგო პან რავლისონმა და მსახურს აგრძნობინა, ფატმა შემოიყვანეო.

წუთიც და ოთახში შემოვიდა ტანწერწეტა, ახალგაზრდა, სახედაუფარავი სუდანელი, რომელსაც კუპრივით შავი სახე და ულამაზესი, ოდნავ ველური, თან ოდნავ მტრული თვალები ჰქონდა. შემოსვლისთანავე მიწაზე სახით დაემხო და როცა პან რავლისონმა ადგომა უბრძანა, წამოიწია, მაგრამ მუხლებზე დამხობილი დარჩა.

– სიდი, – თქვა – ალაჰმა დაგლოცოთ შენ, შენი მთავრობა, შენი სახლი და შენი ჯოგი.

– რა გნებავს? – ჰკითხა ინჟინერმა.

– გულმოწყალება, შველა და გაჭირვების ჟამს ხელის წაშველება, ჩემო ბატონო! პორტ-საიდში ვარ დატყვევებული და ყოველ წამს განადგურება გველის მეც და ჩემს შვილებსაც.

– დაპატიმრებული ვარო, ამბობ და აქ მოსვლა კი შეძელი, თანაც ღამით.

– იმ პოლიციელებმა მომიყვანეს, ჩემს სახლს დღე და ღამ რომ დარაჯობენ და ვიცი, მალე თავებსაც დაგვაყრევინებენ.

– წინდახედულად ილაპარაკე, – უთხრა პან რავლისონმა და მხრები აიჩეჩა. –სუდანში ხომ არ ხარ, ეგვიპტეში იმყოფები, აქ კი, სასამართლოს გარეშე, არავის კლავენ, ჰოდა, გწამდეს, ვერც შენ და ვერც შენს შვილებს თითსაც ვერავინ დაგაკარებთ.

მაგრამ ფატმამ ვედრება დაუწყო, თავდებად დადგომოდა მთავრობასთან, რათა სმაინთან წასვლის ნება დაერთოთ. “შენსავით სახელოვან ინგლისელს (ეუბნებოდა) ყველაფერი შეუძლია. კაიროს მთავრობა ფიქრობს, რომ სმაინი მოღალატეა, მაგრამ

იცოდეთ, ეს ტყუილია. სწორედ გუშინ მომინახულეს სოუაკიმიდან ჩამოსულმა არაბმა ვაჭრებმა, რომლებსაც სუდანში რეზინი და სპილოს ძვალი შეუსყიდიათ და მათ მითხრეს, ავადმყოფი სმაინი ელ-ფაშერში წევს და შენ და ბავშვებს თავისთან გიბარებთ, რათა დაგლოცოთო”...

– ფატმა, ეგ ყველაფერი შენი გამოგონილია. – გააწყვეტინა პან რავლისონმა. ამაზე ფატმამ ალაჰი დაიფიცა, რომ მართალს ამბობდა, თან დასძინა, გამოჯანსაღდება თუ არა, სმაინი ყველა ქრისტიან ტყვეს გამოისყიდის, მაგრამ თუ მოკვდა, როგორც დავრიშთა სისხლით ნათესავი, გამოსავალს უეჭველად მოვნახავ და ისე მოვიქცევი, როგორც მოვინდომებ. დამრთონ წასვლის ნება, თორემ ქმრის ნატვრაში, საცაა სული ამომხდება. რა დავუშავე მე უბედურმა მთავრობას და ჰედივს? ნუთუ ჩემი ბრალია და პასუხი უნდა ვაგო, დავრიშ მოჰამედ ახმედის სისხლით ნათესავი რომ ვარ?

ინგლისელთა თანდასწრებით ფატმამ ვერ გაბედა თავისი ნათესავისათვის მაჰდი ეწოდებინა, რადგან იცოდა, ეგვიპტის მთავრობა მას მეამბოხედ და თაღლითად მიიჩნევდა. ფატმა იატაკს შუბლს სცემდა და ცასა და მიწას მოუხმობდა თავისი უმწიკვლობისა და უბედურების უტყუარ დასტურად; მერე ატირდა და თან ისე შესაბრალის კივილს მოჰყვა, როგორც აღმოსავლეთში ქმრისა და ვაჟიშვილის დამკარგავმა დედებმა იციან. შემდეგ სახით ისევ იატაკს, უფრო სწორედ კი ფარდაგს დაასკდა და დადუმებული გაირინდა.

თვალის მოსატყუებლად მიწოლილმა ნელიმ გაიღვიძა და რადგან გულჩვილი იყო, მამას ხელზე ჩააფრინდა, აკოცა და აკოცა და ფატმას დახმარება სთხოვა:

– მიეხმარე რა, მამიკო, მიეხმარე!

ეტყობა, ფატმას ინგლისური ესმოდა, რადგან ამოქვითინებასა და ამოქვითინებას შორის, ფარდაგიდან სახის აუწევლად წამოიძახა:

– ალაჰმა დაგლოცოს, სამოთხის ვარდო, უმწიკვლო ვარსკვლავო!

მართალია, სტაში მაჰდისტებზე იყო გაბრაზებული, მაგრამ ფატმას ვედრებამ და ჩივილმა ისიც ააღელვა. რამდენადაც ნელი გამოექომაგა, სტაშს კი მუდამ ის სურდა, რაც ნელის, თითქოსდა საკუთარ თავს ეუბნებაო, მაგრამ ისე, რომ სხვებსაც გაეგონათ, წარმოთქვა:

– მე რომ მთავრობა ვიყო, ფატმას წასვლის ნებას მივცემდი.

– რამდენადაც მთავრობა არ ხარ, – უთხრა ამაზე პან ტარკოვსკიმ, – კარგს იზამ, სხვის საქმეში ცხვირს თუ არ ჩაყოფ.

პან რავლისონიც შემწყნარებელი იყო და ფატმას მდგომარეობას ისიც განიცდიდა, მაგრამ გულზე მოხვდა ქალის ნათქვამი რამდენიმე ფრაზა, რომლებიც აშკარა ტყუილს ჰგავდა. იზმაილის საბაჟოსთან ყოველდღიური ურთიერთობის წყალობით მშვენივრად იცოდა, რომ რეზინითა და სპილოს ძვლით მოვაჭრეებს ბოლო ხანებში არხზე არ გამოუვლიათ. ამ საქონლით ვაჭრობა თითქმის სრულიად ჩაკვდა. არაბ ვაჭრებს უჭირდათ სუდანის ქალაქ ელ-ფაშერიდან უკან დაბრუნება, რადგან მაჰდისტები თავდაპირველად ვაჭრებს ახლოსაც არ იკარებდნენ, ხოლო თუ რომელიმე მათგანი ხელში ჩაუვარდებოდათ, ტყვედ მიჰყავდათ. სმაინის ავადმყოფობაზე ლაპარაკიც აშკარა სიცრუედ მიიჩნია.

ნელიმ რომ მავედრებელი თვალები არა და არ მოაცილა, მამას შვილის გაწბილებაზე მეტად კი არაფერი ეჯავრებოდა, მცირე ხნის შემდეგ ფატმას უთხრა:

– ფატმა, შენი თხოვნა ამას წინათ უკვე მივწერე მთავრობას, მაგრამ უშედეგოდ. ახლა კი მისმინე: ხვალ მე და ეს მეჰედი (ინჟინერი), მედინეტ-ელ-ფაიუმში მივდივართ, გზად ერთი დღე კაიროში უნდა შევჩერდეთ, რადგან ჰედივს ბაჰრ-იუზეფიდან გაყვანილი არხის შესახებ სურს ჩვენთან საუბარი. შევეცდები, შენს გასაჭირზეც ვუამბო და მოწყალება გამოვთხოვო. სხვა არაფერი შემიძლია და ვერც ვერაფერს გპირდები.

ფატმა ფეხზე წამოდგა და მადლობის ნიშნად ხელებაპყრობილმა შესძახა:

– გადავრჩი და ეგაა!

– არა, ფატმა, – მიუგო პან რავლისონმა. – გადარჩენაზე ნუ ლაპარაკობ, რადგან უკვე გითხარი, არც შენ და არც შენს შვილებს სიკვდილი არ გემუქრებათ. წინასწარ ვერ გეტყვი, ჰედივი შენი გამგზავრების თანხმობას მომცემს თუ არა, რადგან სმაინი ავად არ არის, თანაც მოღალატეა; მთავრობას ფული გამოსტყუა, მაგრამ მოჰამედ-ახმედის ტყვეების გამოსყიდვა არც უფიქრია.

– სმაინი უდანაშაულოა, ბატონო, და ელ-ფაშერში წევს – გაიმეორა ფატმამ. – მაგრამ თუ მთავრობის ფული მაინც გაფლანგა, სიტყვას გაძლევთ, ჩემო კეთილისმყოფელო, თუკი აქედან წასვლის ნებას დამრთავენ, მოჰამედ-ახმედს მანამ ვევედრები, სანამ თქვენს ტყვეებს არ გაათავისუფლებენ.

– კარგი. გპირდები, რომ ჰედივს შენზე დაველაპარაკები.

ფატმამ თავი უთვალავჯერ დაუკრა.

– დიდი მადლობა, სიდი! მარტო ძლიერი კი არა, სამართლიანიც ხართ. ახლა კი გევედრები, ტყვესავით მიმსახურე.

– ეგვიპტეში ტყვეები არ უნდა იყვნენ. – ღიმილით მიუგო პან რავლისონმა. – მსახურები ისედაც საკმარისად მყავს და შენს სამსახურს კიდევ იმიტომ ვერ მივიღებ, რომ, როგორც წეღან გითხარი, ყველანი მედინეტში მივემგზავრებით და შეიძლება იქ რამაზანამდეც დავრჩეთ.

– ვიცი, ჩემო ბატონო, ეს ზედამხედველმა ხადიგმა მითხრა და უმალვე თქვენთან მოვედი, მაგრამ არა მხოლოდ დახმარების სათხოვნელად. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი გვარის, ანუ დანგალთა შტოს ორი წარმომადგენელი, იდრისი და გებჰრი მედინეტში მეაქლემეები არიან, იქ ჩასვლისთანავე თაყვანს გცემენ და თავიანთი აქლემებით თქვენს განკარგულებაში იქნებიან.

– კეთილი, კეთილი, – მიუგო დირექტორმა. – მაგრამ ეგ ცოოკის კომპანიის საქმეა და არა ჩემი.

ფატმამ ორივე ინჟინერსა და ბავშვებს ხელები დაუკოცნა, განსაკუთრებით დალოცა ნელი და გავიდა. უფროსები ერთხანს დუმდნენ, მერე კი პან რავლისონმა თქვა:

– საბრალო ქალი... მაგრამ ისევე ცრუობს, როგორც საერთოდ აღმოსავლეთში იციან. მადლობის სიტყვებშიც კი სიყალბე იგრძნობოდა.

– სწორს ამბობ, – კვერი დაუკრა პან ტარკოვსკიმ, – მაგრამ ის კი უეჭველია, რომ სმაინი მოღალატეა თუ არა, მთავრობას ეგვიპტეში ფატმას გაჩერების უფლება არ აქვს, რადგან ცოლი ქმრის მოქმედებაზე პასუხს არ აგებს.

– მთავრობა განსაკუთრებული ნებართვის გარეშე სოუაკიმსა და ნუბიაში წასვლის ნებას არ აძლევს არა მარტო ფატმას, არამედ არც სხვა სუდანელებს. ეგვიპტეში ისინი მრავლად არიან საშოვარზე, მათ შორის ბევრია დანგალთა შტოს წარმომადგენელი, ანუ მაჰდის ნათესავი, მაგალითად, ფატმას გარდა, ხადიგი და ის ორი მედინეტელი მეაქლემეც... მაჰდისტები ეგვიპტელებს თურქებს ეძახიან და მათ წინააღმდეგ ომს აწარმოებენ, მაგრამ ალბათ აქაურ არაბებს შორისაც მოიძებნებიან მაჰდის უამრავი მომხრენი, რომლებიც სიამოვნებით გაიქცეოდნენ მასთან. ამ ხალხს უნდა მივუმატოთ აგრეთვე ფანატიკოსები, არაბი ფაშას ოდინდელი მომხრენი და უამრავი ღარიბ-ღატაკიც... ეს ხალხი მთავრობას საყვედურობს ინგლისის გავლენის ქვეშ მოქცევას და ირწმუნება, რელიგია იჩაგრებაო. ღმერთმა იცის, უკვე რამდენმა მოახერხა უდაბნოს გავლით გაქცევა და უარი თქვა სოუაკიმისაკენ ჩვეულებრივი საზღვაო გზით წასვლაზე, ჰოდა, როცა მთავრობამ შეიტყო, ფატმაც ასე აპირებდა გაქცევას, მისი მეთვალყურეობა ბრძანა. ალბათ მხოლოდ ამ ქალსა და მის ბავშვებზე, როგორც მაჰდის სისხლით ნათესავებზე, შეიძლება ტყვეების გაცვლა.

– ნუთუ მართალია, რომ ეგვიპტის ღატაკთა ფენა მაჰდის უთანაგრძნობს?

– მაჰდის მომხრენი ჰყავს თვით ჯარშიც, რომელიც, შესაძლოა, სწორედ ამის გამო იბრძვის ასე სუსტად.

– კი მაგრამ, როგორ უნდა გაიქცნენ სუდანელები უდაბნოზე? ეს ხომ ათასმილიანი გზაა?

– სწორედ იმ გზით გამოჰყავდათ ტყვეები ეგვიპტეში.

– არა მგონია, იმ გზას გაუძლონ ფატმას შვილებმა.

– ამიტომაც სურს გზის შემოკლება და სოუაკიმში ზღვით გამგზავრება.

– ასეა თუ ისე, საბრალო ქალია...

ეს საუბარი ამაზე დასრულდა.

თორმეტიოდ საათის შემდეგ "საბრალო ქალი" თავის სახლში ზედამხედველ ხადიგის ვაჟთან ერთად საგულდაგულოდ ჩაკეტილი, წარბებშეჭმუხნული და თვალებგაბოროტებული ჩურჩულებდა:

– ხამის, ხადიგის ვაჟიშვილო, აი, ფული. დღესვე წახვალ მედინეტში და იდრისს გადასცემ ამ წერილს, რომელიც, ჩემი თხოვნით წმინდა დავრიშმა ბელალიმ დაწერა... ამ მეჰენდისების ბავშვები კეთილები არიან, მაგრამ თუ წასვლის ნება არ მომცეს, მაშინ სხვა გზას ვერ ვხედავ. ვიცი, არ მიღალატებ... გახსოვდეს, რომ შენც და მამაშენიც მიეკუთვნებით იმ ტომს, რომლის ბელადიც დიდი მაჰდია.

კარი III

ინჟინრები მეორე დღესვე, დილაუთენია გაემგზავრნენ კაიროში, სადაც სასწრაფოდ უნდა ენახათ ინგლისის რეზიდენტი და დარბაზობაზე სწვეოდნენ მეფისნაცვალს. სტაშის ვარაუდით, ამას ორ დღეს მოანდომებდნენ და მართალიც გამოდგა, რადგან სწორედ მესამე დღეს, საღამოჟამს მედინეტიდან მიიღო მამის დეპეშა: "კარვები მზადაა. შეგიძლიაათ არდადეგების დაწყებისთანავე წამოხვიდეთ. ფატმას ხადიგის პირით აცნობეთ, რომ მისთვის ვერაფერი მოვახერხეთ". მსგავსი დეპეშა მიიღო^ პანი ოლივერმაც, რომელიც ზანგი დინაჰის დახმარებით შეუდგა მგზავრობის სამზადისს.

ამის დანახვაზე ორივე ბავშვი სიხარულით ცას ეწია. მაგრამ მერე მოხდა ისეთი რამ, რამაც ეს დაწყობილი საქმე მთლად არია და გამგზავრება კინაღამ ჩაფუშა. სწორედ

სტაშის არდადეგების დაწყებისას, ზედ გამგზავრების წინა დღეს, ბაღში ჩათვლემილ პანი ოლივერს მორიელმა უკბინა. ეს შხამიანი არსებები ეგვიპტეში მაინცდამაინც საშიშები არ არიან, მაგრამ ამჯერად, ნაკბენი, შესაძლოა, საბედისწერო გამომდგარიყო. დაწნულ სავარძელზე აცოცებული მორიელი საზურგეზე მიწოლოლ პანი ოლივერს თავით მიეჭყლიტა და მასაც სწორედ მაშინ ეკბინა. ქალს ამას წინად სახეზე წითელი ქარი სჭირდა და ახლა ავადმყოფობის გამეორების საშიშროება წარმოიშვა. ექიმი უმალვე გამოიძახეს, მაგრამ სხვაგან დასაქმებული, მხოლოდ ორი საათის შემდეგ გამოჩნდა. ავადმყოფს კისერი და სახე გაუსივდა, მერე კი სიცხემ აუწია, რაც მოწამვლის უტყუარი ნიშანი იყო. ექიმმა განაცხადა, ასეთი ავადმყოფის მგზავრობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტიაო და მას ლოგინში წოლა ურჩია; ამგვარად, ბავშვებს შობის დღესასწაულის შინ გატარება დაემუქრა. ნელის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ პირველ წუთებში თავისი მასწავლებლის ტანჯვაზე უფრო წუხდა, ვიდრე წაუსვლელობაზე. კუთხეში მიმჯდარი ჩუმად იმდუღრებოდა, რომ მამას რამდენიმე კვირას ვეღარ ნახავდა. თუმცა სტაშს ასე ხელაღებით არ დაუყრია ფარ-ხმალი და ჯერ დეპეშა გაგზავნა, მერე კი – წერილი – რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო.

პასუხი ორი დღის შემდეგ მოვიდა. პან რავლისონი, უპირველესად, ექიმს დაუკავშირდა და როცა გაიგო, საშიშროებას ნაწილობრივ ჩაევლო და პანი ოლივერს მხოლოდ წითელი ქარის გამეორების შიშით არ რთავდა პორტ-საიდიდან გამგზავრების ნებას, თან დაარწმუნა, რომ ზრუნვასა და ყურადღებას არ მოაკლებდა, ბავშვებს მხოლოდ ამის შემდეგღა აცნობა, რომ შეეძლოთ დინაჰთან ერთად დადგომოდნენ გზას. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დინაჰს ნელი სულით და გულით უყვარდა, რკინიგზასა და სასტუმროში მარტო ვერას გახდებოდა, ჰოდა, გზაზე წინამძღოლობა და ხაზინადრობაც სტაშს დაეკისრა. იოლო წარმოსადგენია, როგორ ეამაყებოდა თავი ამ როლში და რა რაინდული აღმაფრენით აღუთქვა პაწია ნელის, თავიდან თმის ღერიც არ ჩამოგვარდებაო, თითქოსდა კაიროდან მედინეტამდე გზაზე მართლა რაიმე საშიშროება ყოფილიყო მოსალოდნელი.

ყოველგვარ სამზადისს წინდაწინ მორჩნენ და იმავე დღეს გაემგზავრნენ არხით ისმაილიასაკენ, იქიდან კი მატარებლით უნდა წასულიყვნენ კაიროში, სადაც ღამე უნდა გაეთიათ და მეორე დღესვე დადგომოდნენ მედინეტის გზას. ისმაილიადან გასულებმა მალე დაინახეს ტიმსაჰის ტბა, სადაც სტაში ადრეც ყოფილა, რადგან პან ტარკოვსკის, ნადირობის ამ ჭეშმარიტ ტრფიალს, მოცალეობის ჟამს შვილიც დაჰყავდა ტბის ფრინველებზე სანადიროდ. შემდგომი გზა ვადი-ტოუმილათიდან, ანუ ნილოსიდან მოყოლებული, ისმაილიასა და სუეცამდე გაჭიმულ მტკნარი წყლის არხს მიუყვებოდა. ეს არხი სუეცის არხის გაჭრამდე გაეყვანათ, რადგან ლესეპსის დიად წამოწყებაზე დასაქმებული ხალხი, უბრალოდ, სასმელი წყლის გარეშე ხელსაც ვერ გაანძრევდა. მაგრამ მის გაჭრას, რასაკვირველია, სხვა მიზანიც გააჩნდა: მხარე, რომელიც უწინ ხრიოკ

უდაბნოს წარმოადგენდა, მთლად გადაახალისა და ააყვავა ძლიერი და მაცოცხლებელი მტკნარი წყლის ძარღვმა. ბავშვებს ვაგონის მარცხენა ფანჯრიდან შეეძლოთ დაენახათ მწვანედ აბიბინებული მინდვრები, სადაც უამრავი ცხენი, აქლემი და ცხვარი ძოვდა. დამუშავებულ მინდვრებზე კი – სიმინდი, ფეტვი, ალფალფა და სხვა მცენარეულობა შენიშნეს. არხის სანაპიროზე, ალაგ-ალაგ მოჩანდა ჭები, საიდანაც ფელაჰები წყალს ვედროებით ხაპავდნენ და ფარეხებთან მიჰქონდათ, ანდა, კამეჩებშებმულ საზიდრებზე დაწყობილი კასრებით ეზიდებოდნენ. დათავთავებულ მინდვრებს მტრედები დასტრიალებდნენ, დროდადრო კი, აქა-იქ, მწყრების მთელი გუნდი წამოფრთხიალდებოდა. არხის სანაპიროზე დარბაისლურად დააბიჯებდნენ ყარყატები და წეროები. მოშორებით კი, ფელაჰთა მიწურ ქოხებს ჯიღებივით გადმოფაფროდა ფინიკის გაბარჯღული პალმები.

სამაგიეროდ, რკინიგზის ჩრდილოეთით მოჩანდა მოტიტვლებული უდაბნო, რომელიც სულ აღარაფრით ჰგავდა სუეცის მეორე მხარეს მდებარე უდაბნოს. ის უეჭველად მოგაგონებდათ ზღვის უკიდეგანო ფსკერს, საიდანაც, თითქოსდა წყალი გაწრეტილიყო და იქ მხოლოდ დატალღული ქვიშა დარჩენილიყო. აქაური ყვითელი ქვიშა ალაგ-ალაგ ბორცვებად აღმართულიყო, ხოლო მათ დამრეც კალთებზე ბღუჯა-ბღუჯად ამოჩრილიყო მონაცრისფრო ბალახ-ბულახი. ამ ბორცვებს შორის, რომელთაც დროდადრო, ვეებერთელა მთა-გორებიც ენაცვლებოდა, ვრცელი მინდვრები და ზედ მიმავალი ქარავნებიც მოჩანდა ხოლმე.

ვაგონის ფანჯრიდან ბავშვებს შეეძლოთ დაენახათ თვალუწვდენელ ქვიშიან უსასრულობაში მიმავალი დატვირთული აქლემების გრძელ-გრძელი მწკრივები. ყოველ აქლემს წინ მიუძღოდა შავწამოსასხამიანი და თეთრჩალმოსანი არაბი. ამის დანახვაზე პაწია ნელის უმალვე გაახსენდა, ბიბლიის ფურცლებზე გამოსახული სურათები, რომლებზეც ასახული იყო იესოს დროს ეგვიპტეში ებრაელთა შესვლის ამბავი. ისინი სწორედ აქ ნანახს გავდა. სამწუხაროდ, მოქარავნეთა დანახვა უკეთ არ შეეძლო, რადგან ვაგონის იმ მხარეს, ზედ ფანჯარასთან ორი ინგლისელი ოფიცერი იჯდა და ისინი ეფარებოდნენ.

შესჩივლა თუ არა ნელიმ ეს სტაშს, მან უმალვე დარბაისლური სახე მიიღო, ქუდზე თითი მიიდო და ოფიცრებს მიმართა:

– ჯენტლმენებო, ადგილს ხომ ვერ დაუთმობთ ამ პატარა მისს, რომელსაც აქლემების დანახვა სურს?

ოფიცრები მის თხოვნას გულისხმიერად მოეკიდნენ და არა მარტო ადგილი დაუთმეს, ერთ-ერთმა მათგანმა ნელი ხელშიც აიყვანა და ფანჯარასთან, სკამზე დააყენა.

სტაშმა მოხსენების გაკეთება გადაწყვიტა:

– ეს გახლავთ უძველესი გოსჰენის მხარე, რომელიც ფარაონმა იესოს თავისი ისრაელელი ძმებისთვის უბოძა. ოდესღაც, ჯერ კიდევ უძველეს დროს იყო აქ მტკნარი წყლის არხი, ასე რომ, ეს ახალი აღდგენილი ძველი არხია. მოგვიანებით იგი განადგურებულა და ეს მხარეც უდაბნოდ ქცეულა. ამჟამად აქაურობა ხელახლა იწყებს აღორძინებას.

– ჯენტლმენო, ეს ყოველივე საიდან იცით? – ჰკითხა ერთ-ერთმა ოფიცერმა.

– ჩემი ასაკის ხალხმა ასეთი რამეები უკვე იცის. – მიუგო სტაშმა. – ამას გარდა, ახლახან ვადი-ტიუმილათზე პროფესორმა სტერლინგმა წაგვიკითხა მოხსენება.

სტაში ინგლისურად სხაპასხუპით ლაპარაკობდა, მაგრამ მისი საუბრის ოდნავ განსხვავებულმა კილომ მეორე ოფიცრის ყურადღება მიიპყრო და ჰკითხა:

– პატარა ჯენტლმენო, თქვენ ინგლისელი არ ხართ?

– პაწია ნელი, რომლის მამამაც გზაში მისი მეურვეობა მთხოვა, ინგლისელია, მე კი არხის ინჟინრის შვილი ვარ, წარმოშობით პოლონელი.

თამამი ბიჭის პასუხზე ოფიცერს გაეღიმა და უთხრა:

– პოლონელებს დიდ პატივს ვცემ. მე თავად ვმსახურობდი ცხენოსანთა იმ პოლკში, რომელიც ნაპოლეონის დროს რამდენჯერმე იბრძოდა პოლონელ ულანებთან ერთად.

– მეტად სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. – მიუგო სტაშმა.

ოფიცრები გამხიარულდნენ და ამის შემდეგ საუბარი უფრო ხალისიანად წარიმართა. აღმოჩნდა, რომ ორთავენი პორტ-საიდიდან კაიროში მიემგზავრებოდნენ ინგლისის ელჩთან შესახვედრად, მოსალოდნელი ხანგრძლივი მგზავრობისათვის ინსტრუქციის მისაღებად. მათგან უმცროსი გახლდათ სამხედრო ექიმი, მეორეს კი, რომელიც სტაშს ესაუბრებოდა, ანუ კაპიტან გლენს, თავისი უფროსებისაგან დავალება მიეღო, – კაიროდან სუეცის გავლით მისულიყო მომბასამდე და, პორტიდან მოყოლებული, მთელი ეს მხარე, ზედ უცნობ სამბურამდე, თავისი მთავრობისათვის დაემორჩილებინა. სტაშს ბევრი რამ წაეკითხა აფრიკაზე და იცოდა, რომ მომბასა ეკვატორთან მდებარეობდა და მისი შემოგარენი მხარეები, რომლებზეც ინგლისს ეჭირა თვალი, ჯერაც არ იყო გამოკვლეული, ველურ მხარეებად ითვლებოდა და სავსე იყო სპილოების, ჟირაფების, მარტორქების, კამეჩემისა და ანტილოპების ჯოგებით, რომელთაც ექსპედიციები და ჯარები, მისიონერები და ვაჭრები დღენიადაგ ხედავდნენ. სტაშს

უმალვე შეშურდა კაპიტანი გლენისა და უთხრა კიდეც, უთუოდ გეწვევით მომბასაში ლომსა და კამეჩზე სანადიროდო.

– კეთილი, ოღონდ ამ პატარა მისთან ერთად, – მიუგო პასუხად კაპიტანმა გლენმა და სწორედ იმ წუთას ფანჯარას მოცილებულ და მათკენ მიბრუნებულ ნელიზე მიუთითა.

– მის რავლისონს მამა ჰყავს, – უპასუხა სტაშმა, – მე კი მხოლოდ ამ გზაზე მევალება მისი მეურვეობა.

ამის გაგონებაზე მსწრაფლ შემობრუნდა მეორე ოფიცერი და იკითხა:

– რავლისონი? არხის ერთ-ერთი დირექტორთაგანი, რომელსაც ძმა ჰყავს ბომბეიში?

– ბომბეიში ბიძაჩემი ცხოვრობს. – თქვა ნელიმ და პაწია თითი ასწია.

– ძვირფასო, ბიძაშენი ხომ ჩემი დის ქმარია. მე კლარი მქვია. ერთი სიტყვით, ნათესავები ვყოფილვართ და ძალიან მიხარია, რომ შეგხვდი და გაგიცანი, ჩემო პატარა, საყვარელო ჩიორავ.

ექიმი მართლაც გახარებული ჩანდა. თქვა: პორტ-საიდში ჩამოსვლისთანავე მოვიკითხე პან რავლისონი, მაგრამ დირექციის კანტორაში მითხრეს, სადღესასწაულოდ გაემგზავრაო. სინანული გამოთქვა, რომ ის გემი, რომლითაც გლენთან ერთად მომბასაში უნდა გამგზავრებულიყო, სუეციდან რამდენიმე დღეში გადიოდა, რის გამოც მედინეტში ჩასვლას ვერ მოასწრებდა.

ნელის მამასთან მოკითხვა დააბარა და მომბასადან წერილის მოწერას შეჰპირდა. ორივე ოფიცერი ნელისთან საუბარში გაერთო, ასე რომ, სტაში, ცოტა არ იყოს და, განზე დარჩა. სამაგიეროდ, ყოველ სადგურზე მანდარინი, მწიფე ფინიკი და სანაქებო შარბათი უზომოდ ჰქონდათ.

ამგვარად, კაირომდე გზა თვალისდახამხამებაში გაილია. დამშვიდობებისას ოფიცრები ნელის ხელსა და თავზე ეამბორნენ, სტაშს კი ხელი ჩამოართვეს, თანაც კაპიტანმა გლენმა, რომელსაც ბიჭი ძალზე მოეწონა, ხუმრობანარევ კილოზე უთხრა:

– გამიგონე, ჩემო ბიჭუნავ! ვინ იცის, კიდევ სად, როდის და რა ვითარებაში მოგვიწევს შეხვედრა. ჰოდა, დაიმახსოვრე, ჩემი დახმარების იმედი მუდამ გქონდეს.

– ჩემიც! – მიუგო სტაშმა და თავი ამაყად დაუკრა.

პაწია ნელის უსაზღვროდ მოსიყვარულე პან ტარკოვსკი და ^პან რავლისონი შვილების ჩასვლამ მეტისმეტად გაახარა. ბავშვებიც სიხარულით მიესალმნენ თავიანთ მამებს და მსწრაფლვე შეუდგნენ უკვე გაშლილი და ძვირფასი სტუმრების მისაღებად გამზადებული კარვების დათვალიერებას. შესანიშნავ ორფა კარვებს შიდაპირი ცისფერი და წითელი ფლანელისა ჰქონდა, იატაკი – ქეჩისა, ასე რომ, შიგნით ნამდვილი ოთახის შთაბეჭდილება იქმნებოდა. კომპანიას, რომელსაც არხის საზოგადოების მაღალი თანამდებობის პირთა მომსახურება ჰქონდა დავალებული, ძალ-ღონე არ დაუზოგავს, რათა ყველაფერი კარგად და მოხერხებულად მოეწყო. პან რავლისონს თავდაპირველად გული ეთანაღრებოდა, შესაძლოა, კარავში დიდხანს ყოფნამ ნელის ჯანმრთელობას ავნოსო და თუ დათანხმდა, მხოლოდ იმიტომ, რომ უამინდობის შემთხვევაში ყოველთვის შეეძლო სასტუმროში გადასვლა. მაგრამ ახლა, როცა ყოველივე საკუთარი თვალით ნახა და აწონ-დაწონა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სუფთა ჰაერზე გატარებული დღეები და ღამეები, მისი ერთას ჯანმთელობისათვის ასწილ სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე ადგილობრივი პაწია სასტუმროების დამყაყებული ჰაერი. დიდებული ამინდიც ხომ ხელს უწყობდათ. ლიბიის უდაბნოს ქვიშიანი ბორცვებით შემოზღუდულ მედინეტს, ანუ ელ-მედინეტს, სადაც კაიროზე ბევრად უკეთესი ჰავაა, ტყუილუბრალოდ არ ეძახდნენ “ვარდების მხარეს”. დამცველი ზღუდისა და მოჭარბებული ტენიანობის გამო, ღამით არც ისე ცივა, როგორც ეგვიპტის სხვა მხარეებში. აქ ზამთარიც შესანიშნავი იცის. მცენარეულობა ნოემბრიდან იწყებს ზრდა-განვითარებას. ფინიკის პალმა, ზეთისხილი, რომელიც ეგვიპტეში, საერთოდ ცოტაა, ლეღვი, ფორთოხალი, მანდარინი, ბროწეული, უზარმაზარი აბუსალათინი და უამრავი სამხრეთული ხე ამ თვალწარმტაც ოაზისში ერთ მთლიან, გაფოფრილ ტყეს ჰქმნიან. ბაღ-ბოსტნებში ტალღა-ტალღად ირწევა აკაცია, იასამანი, ვარდი, ასე რომ, ღამ-ღამობით, ნიავის ყოველ დაქროლვას მათი დამათრობელი სურნელი მოაქვს. გული სიამით გევსება და, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ ხოლმე, აქ “სიკვდილიც აღარ მოგინდება”.

ასეთივე ჰავა არის ნილოსის მეორე მხარეს, ოღონდ ბევრად სამხრეთით მდებარე ჰელუანში, თუცა იქ ამდენნაირი მცენარეულობა არ ხარობს.

ჰელუანთან პან რავლისონს ნაღვლიანი მოგონება აკავშირებდა, რადგან სწორედ იქ გარდაიცვალა ნელის დედა. ამიტომაც ამჯობინა მედინეტში წასვლა და ახლა, გოგონას გაბადრული სახის შემხედვარე, გულში ფიცს დებდა, უახლოეს ხანებში აქ მიწა ეყიდა, დაედგა კოხტა ინგლისური სახლი და ამ დალოცვილ მხარეში გაეტარებინა ყველა შვებულება, ხოლო არხზე სამსახურის დასრულების შემდეგ, საერთოდაც, აქ დასახლებულიყო.

თუმცა, ეს შორეული მომავლის გეგმები იყო და არც მთლად ჩამოყალიბებული. ამასობაში კი, ბავშვები, ჩამოსვლის პირველივე წუთებიდანვე, ბუზებივით ყველგან ტრიალებდნენ და სადილობამდე სურდათ ცოოკის მიერ ადგილზევე დაქირავებული ყველა ვირისა და აქლემის, აგრეთვე ყველა კარვის ნახვა. აღმოჩნდა, რომ პირუტყვი შორეულ საძოვარზე იყო გადენილი და მათი ნახვა მხოლოდ მეორე დღეს შეიძლებოდა. სამაგიეროდ, პან რავლისონის კარვის წინ ნელიმ და სტაშმა თვალი მოკრეს თავიანთ პორტ-საიდელ კეთილ ნაცნობს – ხადიგის ვაჟიშვილს, ხამისს. ხამისი ცოოკის მსახურთა სიაში არ ირიცხებოდა და პან რავლისონს ელ-მედინეტში მისი დანახვა, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა კიდეც, მაგრამ რადგან ადრე იარაღის მტვირთავად ამუშავებდა, ახლაც შიკრიკად და სხვადასხვა წვრილმანი საქმის მოსაგვარებლად დაიტოვა.

სამხარი შესანიშნავი აღმოჩნდა, რადგან ცოოკის კომპანიის ნაცად მზარეულს, ბებერ კოპტს, საკუთარი ხელობით თავმოწონება გადაეწყვიტა. ბავშვები გზაში გაცნობილ ორ ოფიცერზე ლაპარაკობდნენ, რამაც პან რავლისონის ყურადღება მიიპყრო – მისი ძმა რიშარდი, რომელსაც კლარის და ჰყავდა ცოლად, ძალიან დიდხანს ცხოვრობდა ინდოეთში. ისინი უშვილონი იყვნენ, ამიტომაც ბიძას გამორჩეულად უყვარდა თავისი პაწია ძმისწული, რომელსაც მხოლოდ სურათებით იცნობდა და ყოველ წერილში დაწვრილებით კითხულობდა მის ამბავს. ორივე მამა გაართო კაპიტან გლენის მიერ მომბასაში სტაშის მიპატიჟებამ. ბიჭს კი ეს ტვინში ღრმად ჩაბეჭდოდა და თავს გამუდმებით აღუთქვამდა, უეჭველად სწვეოდა თავის ახალ მეგობარს ეკვატორს მიღმა. ბოლოს, პან ტარკოვსკი იძულებული გახდა შვილისთვის აეხსნა: ინგლისელი მოხელენი, აფრიკის მომაკვდინებელი ჰავის გამო, ერთ ადგილას დიდხანს სამუშაოდ არასოდეს რჩებიან და, სანამ შენ გაიზრდები, კაპიტანი გლენი ათიოდ ადგილს მაინც გამოიცვლის, თუკი, სართოდაც, მანამდე ცოცხალი დარჩა.

ნასამხრევს უკლებლივ ყველა გავიდა კარვის წინ, სადაც მსახურებს გასაშლელი დაწნული სავარძლები დაედგათ, უფროსებისთვის კი სოდიანი წყლით სავსე სიფონები და ბრენდი მოემზადებინათ. უკვე ღამე იყო, თუმცა ერთობ თბილოდა, თანაც იქაურობა სავსე მთვარეს დღესავით გაებრდღვიალებინა. მოპირდაპირე მხარეს ქალაქის ნაგებობათა თეთრი კედლები მოჩანდა, ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდა, ჰაერში კი ვარდის, აკაციისა და ჰელიოტროპის სურნელი ტრიალებდა. ქალაქს უკვე ეძინა. ღამის სიჩუმეში, დროდადრო, ნილოსის სანაპიროდან კაროუნის ტბისაკენ მიმფრენი წეროების, ყარყატებისა და ფლამინგოების ხამამაღალი ყიპყიპი აღწევდა. ანაზდად გაისმა ძაღლის ბოხი, ხრინწიანი ყეფა, რამაც სტაში და ნელი ერთობ გააკვირვა; ჩანდა, ხმა მოდიოდა სწორედ იმ კარვიდან, რომლის დათვალიერებაც მათ ვერ მოასწრეს და რომელიც განკუთვნილი იყო უნაგირების, ჭურჭლისა და სხვა სამგზავრო რამე-რუმეების შესანახად.

– უშველებელი ძაღლი უნდა იყოს, წამო, ვნახოთ. – თქვა სტაშმა.

პან ტარკოვსკის სიცილი წასკდა, პან რავლისონმა სიგარას ფერფლი ჩამოაცალა და მანაც სიცილით თქვა:

– მისი ჩაკეტით ვითომ რამეს გავხდით?

ამის შემდეგ კი ბავშვებს მიუბრუნდა:

– მისმინეთ: ხვალ შობის წინადღეა და ის ძაღლი პან ტარკოვსკის მოულოდნელი საჩუქარი უნდა ყოფილიყო ნელისთვის, მაგრამ, რადგან ამ მოულოდნელობამ ყეფა დაიწყო, იძულებულია, დღესვე მოგიძღვნას.

ამის თქმა და ნელი პან ტარკოვსკის უმალვე მუხლებზე ააცოცდა, მოეხვია, მერე მამისაკენ ისკუპა და შესძახა:

– მამიკო, რა ბედნიერი ვარ! რა ბედნიერი!

ხვევნა-კოცნას საზღვარი აღარ ჰქონდა; ბოლოს, საკუთარ ორ ფეხზე დამდგარმა ნელიმ პან ტარკოვსკის თვალებში ჩახედა:

– მისტერ ტარკოვსკი...

– რა იყო ნელი?

– რადგან მაინც უკვე ვიცი, რომ ის იქაა, შემიძლია დღესვე ვნახო?

– ხომ ვიცოდი, – ვითომდა ბრაზიანად შესძახა პან რავლისონმა, – რომ ეს პაწია მღილი მხოლოდ ნათქვამს არ დასჯერდებოდა.

ამასობაში პან ტარკოვსკი ხადიგის ვაჟს მიუბრუნდა და უთხრა:

– ხამის, ძაღლი მოიყვანე.

ახალგაზრდა სუდანელი სამზარეულო-კარავს მიეფარა და წუთის შემდეგ საყელურიანი უშველებელი ნადირი მოიყვანა.

ნელიმ უკან დაიხია.

– ვაი! – შესძახა და მამას ხელი წაავლო.

სამაგიეროდ სტაში აღფრთოვანდა.

– ეს ხომ ლომია და არა ძაღლი.

– ჰოდა, ლომაც სწორედ მაგიტომ ჰქვია – მიუგო პან ტარკოვსკიმ. – ამ ჯიშის ძაღლები ქვეყნად ყველაზე დიდები არიან. ეს მხოლოდ ორი წლისაა და უკვე ამხელაა. ნუU გეშინია, ნელი, სამაგიეროდ, ცხვარივით თვინიერია. ოღონდ გაბედულად მიდი. აუშვი, ხამის.

ხამისმა ხელი გაუშვა სახელურს, რომლითაც ქოფაკი ეჭირა. მიხვდა თუ არა, თავისუფლად მიმიშვესო, ძაღლი კუდის ქიცინსა და მხიარულ ყეფას მოჰყვა, თან ადრე გაცნობილ ^პან ტარკოვსკის მიელაქუცა.

ბავშვები მთვარის შუქზე გაოცებულნი შეჰყურებდნენ მის ძლიერ, მომრგვალებულ შუბლს, ჩამოფლაშულ ლაშებს, ვეება ტორებს, მართლაცდა ლომისებურ სხეულს. სიცოცხლეში ამის მსგავსი არაფერი ენახათ.

– ასეთ ძაღლთან ერთად მთელი აფრიკის გავლა უშიშრად შეიძლება. – შესძახა სტაშმა.

– ჰკითხე ერთი, მარტორქას თუ მოერევა? – უთხრა პან ტარკოვსკიმ.

მართალია, ლომას ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შეეძლო, სამაგიეროდ, კუდი უფრო მხიარულად ააქიცინა და ადამიანებს ისე გულიანად მიესიყვარულა, რომ ნელის შიში უმალვე გაუქრა და თავზე ხელი გადაუსვა.

– ლომა, ძვირფასო, საყვარელო ლომა.

პან რავლისონი ძაღლისკენ დაიხარა, შუბლი აუწია, გოგონასაკენ მიახედა და უთხრა:

– ლომა, კარგად დააკვირდი ამ გოგონას. ეს არის ახლა შენი პატრონი! ამას უნდა უდარაჯო და გაუგონო, გასაგებია?

– უჰ! – მიუგო პასუხად ლომამ, თითქოს ნათქვამი გაიგოო.

თუმცა, რაღა თითქოს, ეტყობა, მართლა გაიგო, რადგან გოგონას ცხვირი და ლოყები თავისი უშველებელი ენით აულოკა.

ამან საყოველთაო სიცილი გამოიწვია. ნელი კარავში შევარდა ცხვირ-პირის მოსაბანად. თხუთმეტიოდ წუთის შემდეგ კარში გამოსულმა, სტაშის მხრებზე თათებდაწყობილი ლომა დაინახა. ბიჭი ძაღლის სიმძიმისგან მოხრილიყო. დასვენების დრო ახლოვდებოდა, მაგრამ პაწიამ სათამაშოდ კიდევ ნახევარი საათი ითხოვა, რათა თავის ახალ მეგობარს უფრო კარგად გაცნობოდა. ეს ახლო გაცნობა ისე იოლად მოახერხა, რომ სულ მალე პან ტარკოვსკიმ გოგონა ძაღლის ზურგზე შესვა, ხელი ჩასჭიდა, არ გადმოვარდესო, თან სტაშს საყელურზე წაავლებინა ხელი. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარეს, სტაშმა თავადაც მოიწადინა ძაღლით გასეირნება და გავაზე მოაჯდა, მაგრამ უმალვე ქვიშაზე დაეპერტყა.

ის იყო, ბავშვები დასაძინებლად უნდა წასულიყვნენ, რომ მთვარის შუქით განათებულ მოედანზე კარვებისაკენ მომავალი ორი ადამიანი გამოჩნდა.

აქამდე თვინიერი ლომა ყრუდ და მრისხანედ აყეფდა, ასე რომ, პან რავლისონის ბრძანებისამებრ, ხამისმა ისევ საყელურზე წაავლო ხელი. ამასობაში, თეთრბურნუსიანი კაცები კარვებთან შედგნენ.

– ვინ ხართ? – იკითხა პან ტარკოვსკიმ.

– აქლემების მეგზურები – პასუხი მიაგება ერთ-ერთმა მოსულთაგანმა.

– ოჰ, იდრისი და გებრჰი ხართ? რა გინდათ?

– საკითხავად მოვედით: ხვალ ან ზეგ ხომ არ დაგჭირდებით?

– არა. ხვალ და ზეგ დიდი დღესასწაულია და ექსკურსიაზე ვერ წავალთ. მასზეგ დილით მოდით.

– გმადლობთ, ეფენდი.

– კარგი აქლემები თუ გყავთ? – ჰკითხა პან რავლისონმა.

– ბისმილაჰ! – მიუგო იდრისმა – ნამდვილი საჯდომი – სქელკუზიანი და ცხვარივით თვინიერი აქლემები გვყავს. სხვაგვარად ცოოკი არ დაგვიქირავებდა.

– ძალიან ხომ არ ირწევიან?

– რომლის კუზზედაც გნებავთ, დააწყვეთ ერთი მუჭა ლობიო და რაგინდ სწრაფადაც უნდა ირბინონ, მარცვალიც არ გადმოვარდება.

– გადაჭარბება თუ არის, არაბული უნდა იყოს. – სიცილით თქვა პან ტარკოვსკიმ.

– ანდა, სუდანური. – დასძინა პან რავლისონმა.

ამ ხნის განმავლობაში თეთრი ქანდაკებებივით მდგარი იდრისი და გებჰრი ხარბად შესცქეროდნენ სტაშსა და ნელის. მთვარის შუქით განათებული მათი ჩაკუნაპეტებული სახეები ბრინჯაოსაგან ნაქანდაკები გეგონებოდათ. ჩალმებქვეშიდან გამომზირალი თვალების თეთრი გარსი ორთავეს მწვანედ ულაპლაპებდა.

– ღამე მშვიდობისა! – თქვა პან რავლისონმა.

– ალაჰი იყოს, ეფენდი, თქვენი მფარველი დღისით და ღამით.

ეს რომ თქვეს, იქ მყოფთ თავი დაუკრეს და გაუჩინარდნენ. მათ თან გაჰყვა შორეული ქუხილის მსგავსი ყრუ ღრენა ლომასი, რომელსაც, ჩანდა, ეს ორი სუდანელი, მაინცდამაინც თვალში არ მოუვიდა.

კარი V

მომდევნო დღეებში ექსკურსიაზე არ წასულან. სამაგიეროდ, შობის წინა დღეს, როცა ცაზე პირველი ვარსკვლავი გამოჩნდა, პან რავლისონის კარავში, ნელისთვის განკუთვნილ ხეზე, ასობით სანთელი აციმციმდა. ნაძვის ხის მაგივრობას სწევდა ელ-მედინეტის ერთ-ერთ ბაღში მოჭრილი ტუია, რომლის ტოტებს შორისაც იპოვა ნელიმ უამრავი სასუსნავი და მამამისის მიერ კაიროდან ჩამოტანილი მშვენიერი თოჯინა, სტაშმა კი – თავისი ნანატრი ინგლისური შტუცერი. მან მამამისისაგან საჩუქრად მიიღო აგრეთვე თოფისწამალი, სხვადასხვა იარაღი და ცხენის უნაგირი. ნელი სიხარულს ვერ მალავდა, სტაში კი, თუმცა თვლიდა, რომ ინგლისური შტუცერის პატრონს სიხარულის დაფარვა უნდა შესძლებოდა და შესაბამისი ღირსებაც ჰქონოდა, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა, შეარჩია ისეთი დრო, როცა ახლომახლო არავინ ჭაჭანებდა და კარავს ყირაზე მდგარმა გარშემოუარა. პორტ-საიდში მტკიცედ ფეხმოკიდებულ ამ ხელობას ზედმიწევნით ოსტატურად ფლობდა და ბევრჯერაც განუცვიფრებია ნელი, რომელსაც სტაშის სიმარჯვე გულით შურდა.

შობის წინადღე და თავად დღესასწაულიც ბავშვებმა ნაწილობრივ ლოცვას, ნაწილობრივ კი მიღებული საჩუქრების თვალიერებასა და ლომას წვრთნას მოანდომეს. ახალი მეგობრის საზრიანობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პორველ დღესვე ისწავლა თათის გაშვერა, ცხვირსახოცის მიწოდება, თუმცაღა იგი მაინცდამაინც იოლად არ ეთმობოდა და მიხვდა, რომ ნელისთვის ცხვირ-პირის ენით ალოკვა ჯენტლმენ-ძაღლს არამც და არამც არ ეკადრებოდა. პაჭუა ცხვირზე თითმიდებული ნელი სხვადასხვა სიბრძნეს ასწავლიდა, ის კი კუდის ქიცინით უმტკიცებდა, რომ ყურადღებით უსმენდა და მის ყოველ შეგონებას გულისფიცარზე იწერდა. ქალაქის ქვიშიან მოედანზე გასეირნებისას ლომას დიდება მედინეტში წუთიწუთ იზრდებოდა, მაგრამ როგორც საერთოდ დიდებას სჩვევია, ამას უარყოფითი მხარეც გააჩნდა, კერძოდ, ძაღლს არაბი ბავშვები გუნდ-გუნდად დასდევდნენ. თავდაპირველად შორს მიჰყვებოდნენ, შემდეგ კი, “საფრთხობელას” ლმობიერებით გულმოცემულნი, თანდათან უახლოვდებოდნენ და ბოლოს კარვებს ისე მჭიდროდ გარშემოერტყნენ, თავისუფლად

ნაბიჯის გადადგმაც კი ჭირდა. ამას გარდა, რადგან ყველა არაბი ბავშვი დილიდან დაღამებამდე შაქრის ლარწამს ღეჭავდა, ამდენად ბავშვებს თან სდევდა ლეგიონები ბუზებისა, რომლებიც ჯერ ისე, თავისთავად, მომაბეზრებელნი, საშიშნიც არიან, რადგან თვალის ანთების ეგვიპტურ მიკრობს ავრცელებენ. ამის თავიდან ასაცილებლად მსახურები ბავშვების გარეკას ცდილობდნენ, მაგრამ მათ ნელი იცავდა, მეტიც, უმცროსებს აუცილებლად ტკბილეულს ჩამოურიგებდა ხოლმე.

სამი დღის შემდეგ დაიწყო გაერთიანებული ექსკურსიები ჯერ ვიწროლიანდაგიანი გზებით, რომლებიც ინგლისელებს მედინეტ-ელ-ფაუმში გაეყვანათ, შემდგომ – ვირებით, დროდადრო კი – აქლემებითაც. აღმოჩნდა, რომ ეს პირუტყვი იდრისს გადაჭარბებული მონდომებით შეექო, რადგან ლობიო კი არა, ადამიანს უჭირდა უნაგირზე გაჩერება, თუმცა ნათქვამში სიმართლეც ერია. ეს აქლემები საჯდომი ჯიშისანი იყვნენ და უამრავ სორგოს (ადგილობრივ თუ სირიულ სიმინდს) აჭმევდნენ, ამდენად კუზები სქელი ჰქონდათ და ისე ხალისიანად გარბოდნენ, ხანდახან მათი ძალად გაჩერებაც კი უხდებოდათ. სუდანელმა იდრისმა და გებჰრმა, მიუხედავად თვალების ველური ბრიალისა, მეგობრების გული მოიგეს, უმეტესწილად იმით, რომ ნელის მზრუნველად დასტრიალებდნენ და ცივ ნიავს არ აკარებდნენ. გებჰრს სახეზე მუდამ მკაცრი და ოდნავ სასტიკი გამომეტყველება დასთამაშებდა, სამაგიეროდ იდრისი უმალვე მიხვდა, რომ ეს პაწია იყო ამ ხალხის თვალისჩინი და ყოველ შესაფერის ჟამს ხმამაღლა აცხადებდა, მეც "საკუთარ სულზე" მეტად მიღირსო. პან რავლისონს ეგონა, რომ იდრისს, ნელის მეშვეობით, ჩემს ქისაში ხელის ფათური მონდობებიაო, მაგრამ ამ აზრს უმალვე უკუაგდებდა ხოლმე, რადგან სწამდა, რომ არ მოიძებნებოდა ქვეყნად ადამიანი, რომელიც მის ერთას არ შეიყვარებდა, ჰოდა, მადლიერი იყო და არც "გასამრჯელოზე" ძუნწობდა.

ხუთი დღის განმავლობაში საზოგადოებამ მოინახულა ქალაქის მახლობლად მდებარე უძველესი ნიანგოპოლისი, სადაც, ოდესღაც, ეგვიპტელები თაყვანს სცემდნენ სებაკად წოდებულ თავის ღმერთს, რომელსაც ტანი ადამიანისა ჰქონდა, თავი კი – ნიანგისა. შემდგომ უგრძეს ექსკურსიაზე და ისიც სულ აქლემებით, ჰანარის პირამიდისა და ლაბირინთის ნაშთის სანახავად, ზედ კაროუნის ტბისაკენ უნდა წასულიყვნენ. მისი ჩრდილოეთ სანაპირო იყო ერთი გაშლილი უდაბნო, სადაც, ეგვიპტის უძველეს ქალაქთა ნანგრევების გარდა, სიცოცხლის სხვა რამ ნიშანწყალი არ ჩანდა. სამაგიეროდ, სამხრეთით დუღდა და გადმოდუღდა სიცოცხლე – მანანითა და ლერწმით დაბურულ სანაპიროზე უთვალავი ვარხვი, ფლამინგო, გარეული იხვი და ბატი ირეოდა. აი, სწორედ აქ გამოიჩინა სტაშმა თვალის სიმარჯვე. როგორც ჩვეულებრივი თოფით, ასევე შტუცერით ისე მარჯვედ ისროდა, რომ იდრისი და მენიჩბე არაბები განცვიფრებისაგან სულ პირს აწკლაპუნებდნენ, წყალში ჩაცვივნულ ფრინველებს კი თან მიჰყვებოდა შეძახილები: "ბისმილაჰ! მაშალაჰ!"

არაბები ირწმუნებოდნენ, რომ “უდაბნოს” მოპირდაპირე სანაპიროზე უამრავი მგელი და აფთარი იყო და თუ ნაშალზე ცხვრის მძორს დააგდებდნენ, სანადიროდ გასვლას ნამდვილად ჰქონდა აზრი. ამ შეგონების შემდეგ პან ტარკოვსკიმ და სტაშმა უდაბნოში, დინას ნანგრევებს შორის ორი ღამე გაატარეს. მაგრამ პირველი ცხვარი მონადირეების გასვლისთანავე, ბედუინებმა აწაპნეს, მეორემ კი მიიტყუა მხოლოდ კოჭლი ტურა, რომელიც სტაშმა გააგორა. ამის შემდეგ ნადირობა გადადეს, რადგან მედინეტის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ელ-ლაჰუმის მახლობლად, ბაჰრ-იუსეფთან მიმდინარე საწყალოსნო სამუშაოების შესამოწმებლად ინჟინრების წასვლის დრომაც მოაღწია.

პან რავლისონი პანი ოლივერის ჩამოსვლასღა ელოდა. სამწუხაროდ, მის ნაცვლად მიიღეს მხოლოდ ექიმის წერილი, რომლითაც იუწყებოდა, რომ ოდინდელი წითელი ქარი კბენის შემდეგ სახეზე განახლებოდა და ავადმყოფი კარგა ხანს ვერ შესძლებდა პორტ-საიდიდან გასვლას. ერთობ საჩოთირო მდგომარეობა შეიქმნა. ბავშვების, მოხუცი დინაჰისა და მსახურების თან წაყვანა შეუძლებელი იყო, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, ინჟინრები დღეს აქ რომ იყვნენ, ხვალ სულ სხვაგან უწევდათ წასვლა და შესაძლოა, თვით იბრაჰიმის უდიდეს არხამდეც მიეღწიათ. ამის გამო მცირე ბჭობა გამართეს და პან რავლსონმა გადაწყვიტა, პაწია ნელი მოხუცი დინაჰისა და სტაშისათვის, აგრეთვე საკონსულოს იტალიელი აგენტისა და ამას წინათ გაცნობილი ადგილობრივი მუდირის (გუბერნატორის) მზრუნველობის იმედად დაეტოვებინა. ამასთანავე, ნელის, რომელსაც მამასთან გაყრა მეტისმეტად ეძნელებოდა, აღუთქვა, უახლოესი ადგილებიდან, პან ტარკოვსკისთან ერთად, უეჭველად შეივლიდნენ მედინეტში და თუ დასათვალიერებლად რაიმე საინტერესო ადგილს ნახავდნენ, ბავშვებს თავისთანაც დაიბარებდნენ.

– ხამისიც თან მიგვყავს – ამბობდა – და თქვენთან ამას გამოვაგზავნით ხოლმე. დინაჰი ნელის ყველგან გაჰყვეს, მაგრამ რაც მოესურვება, ნელიმ ის აკეთოს, ოღონდ, შენ, ჩემო სტაშ, ორივეს უნდა უპატრონო.

– გწამდეთ, – მიუგო სტაშმა, – რომ ნელის საკუთარი დასავით გავუფრთხილდები. მას ლომა ჰყავს, მე შტუცერი მაქვს, ჰოდა, ვინ რას გაგვიბედავს...

– მთავარი ეგ არ არის, – უთხრა პან რავლისონმა. – ლომა და შტუცერი, ალბათ, არ დაგჭირდებათ. გამოიჩინე გულისხმიერება, რომ ნელი არ გადაიღალოს და, ამასთანავე არ გაცივდეს. კონსულს ვთხოვე, ოდნავი უგუნებობაც რომ შეატყოთ, კაიროდან უმალვე ექიმი გამოიძახეთ-მეთქი. ამბის გასაგებად ხამისს ხშირ-ხშირად გამოვგზავნით. მუდირიც მოგინახულებთ. თან იმის იმედიც მაქვს, რომ დიდხანს არ მოგვიწევს სხვაგან ყოფნა.

შვილი პან ტარკოვსკიმაც გააფრთხილა. ნელის იარაღით დაცვა არ დასჭირდება, რადგან მედინეტსა და ელ-ფაუმის მთელს პროვინციაში არც ველური ხალხია და არც ნადირი. ამგვარ რამეზე ფიქრი სასაცილოც კია ბიჭისთვის, რომელიც მალე თოთხმეტი წლისა უნდა გახდეს. მხოლოდ ზრუნვას და ყურადღებას ნუ მოაკლებ, საკუთარი თავის იმედად ნურსად წახვალ, ისიც ნელისთან ერთად და რაც მთავარია, აქლემებით, რომლებითაც სეირნობა, რაც არ უნდა იყოს, მაინც დამქანცველია.

ამის გაგონებაზე ნელის სახე ისეთი ნაღვლიანი იერი დაედო, რომ პან ტარკოვსკი იძულებული გახდა, დაემშვიდებინა.

– რასაკვირველია, – უთხრა და თმაზე ხელი გადაუსვა, – აქლემებით ისეირნებთ, მაგრამ მხოლოდ ჩვენთან ერთად, ანდა ჩვენსკენ წამოსვლისას, როცა თქვენს წამოსაყვანად ხამისს გამოვგზავნით.

– ჩვენ თვითონ სულ პატარაზე, პაწაწკინტელაზე გასეირნებაც არ შეგვიძლია? – ჰკითხა გოგონამ.

და პაწია თითებით აჩვენა, როგორ გასეირნებასაც გულისხმობდა. ბოლოს, მამიკოებმა შვილებს პირობა წაუყენეს, რომ ისეირნებდნენ ვირებით და არა აქლემებით, ოღონდ არა ნანგრევებამდე, სადაც სულ იოლად შეიძლებოდა სადმე ნაპრალში ჩაჩეხა, არამედ მინდვრისა და ქალაქგარეთა ბაღების მომიჯნავე გზებზე. თარჯიმანი და ცოოკის სხვა მსახურები ბავშვებს გამუდმებით თან უნდა ხლებოდნენ.

ამის შემდგომ უფროსები გაემგზავრნენ, მაგრამ სულ ახლო მანძილზე, ჰამარეთ-ელ-მაკტაში ისე, რომ ათი საათის შემდეგ ღამის გასათევად ისევ მედინეტში დაბრუნდნენ. ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღე, სანამ ყველა ახლომახლო სამუშაო არ მოინახულეს. მერე კი, როცა შორ და კიდევ უფრო დაშორებულ ადგილებში უნდა წასულიყვნენ, ღამ-ღამობით ხამისს აბრუნებდნენ უკან და როცა მამებს შვილებისათვის რაიმე საინტერესო ადგილის ჩვენება უნდოდათ, ნელი და სტაშიც თან მიჰყავდა. დღის უმეტეს ნაწილს ბავშვები მამებთან ატარებდნენ, მზის ჩასვლის ჟამს კი ისევ მედინეტში, კარვებში ბრუნდებოდნენ. თუმცა, იყო დღეები, როცა ხამისი არ მოდიოდა და მაშინ ნელი, მიუხედავად სტაშისა და ლომას მეგობრობისა, ნაღვლიანად გაჰყურებდა შიკრიკის გზას. ასე განვლო დრომ გრძნეულთა დღესასწაულამდე, რომელზეც ორივე ინჟინერი კვლავ მედინეტში დაბრუნდა.

ორი დღის შემდგომ ისევ წავიდნენ და ყველანი გააფრთხილეს, ამჯერად თვით ბენი-სუეფამდე ვივლით, იქიდან კი წასვლა მოგვიწევს ელ-ფახენისაკენ, სადაც იწყება ამავე სახელწოდების არხი, რომელიც სამხრეთით ნილოსის გასწვრივ მიემართებაო.

უნდა გენახათ ბავშვების განცვიფრება, როცა მესამე დღეს, დაახლოებით დილის თერთმეტი საათისათვის მედინეტში ხამისი გამოჩნდა. მას საძოვარზე გაშვებული აქლემების სამწყემსად გასული სტაში შეხვდა. ხამისი იდრისს ესაუბრებოდა და სტაშს მხოლოდ ის აუწყა, შენი და ნელის წასაყვანად მოვედიო, კარავში მალე შემოვალ და აგიხსნით, უფროსი ბატონების დავალებით, საითაც უნდა წაგიყვანოთო. კეთილი ამბის სათქმელად ბიჭი თავპირისმტვრევით გაიჭრა ნელისაკენ, რომელიც კარვის წინ ლომას ეთამაშებოდა.

– იცი, რა მოხდა? ხამისი მოვიდა! – შესძახა შორიდანვე.

ნელი სიხარულისაგან აკუნტრუშდა.

– წავალთ! წავალთ!

– წავალთ და თან იცი, რა შორს!

– საით? – ჰკითხა და ჩამოშლილი თმა ხელით შეისწორა.

– არ ვიცი. ხამისმა მითხრა, ახლავე მოვალ და ყველაფერს აგიხსნითო.

– აბა, საიდან იცი, რომ შორს წავალთ?

– საიდან და ყური მოვკარი, იდრისმა რომ უთხრა, მე და გებჰრი ახლავე დავიძვრით აქლემებითო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მატარებლით წავალთ და აქლემებს შევხვდებით იქ, სადაც ჩვენი მამები არიან, იქიდან კი სადმე ექსკურსიაზე წავალთ.

განუწყვეტელი ხტუნაობისგან ნელის თმა ისევ ჩამოეშალა.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ხამისიც გამოჩნდა და ბავშვებს თავი დაუკრა.

– ბატონიშვილო, – მიმართა სტაშს, – სამი საათის შემდეგ მივყვებით პირველივე მატარებელს.

– საით?

– ელ-ჰარაკ-სულთანისკენ, იქიდან კი, უფროს ბატონებთან ერთად, აქლემებით წავალთ ვადი-რაიანში.

სტაშს სიხარულისაგან გული აუთრთოლდა, მაგრამ იმავდროულად, ხამისის სიტყვებმა გააკვირვა კიდეც. იცოდა, რომ ვადი-რაიანი ლიბიის უდაბნოს ჩრდილოეთითა და მედინეტიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა, მაშინ, როდესაც პან ტარკოვსკიმ და პან რავლისონმა წასვლისას დაიბარეს, რომ სრულიად საწინააღმდეგო მხარეს, ნილოსის მიმართულებით მიემგზავრებოდნენ.

– რა მოხდა? – ჰკითხა სტაშმა. – მამაჩემი და პან რავლისონი ბენი-სუეფის ნაცვლად ელ-გჰარაკში არიან?

– ასე მოხდა. – მიუგო ხამისმა.

– კი მაგრამ, მათ ხომ ელ-ფახენში დაგვიბარეს წერილის გაგზავნა.

– უფროსი ეფენდი სწორედ წერილში გწერთ, როგორ მოხვდნენ ელ-გჰარაკში.

წერილი ერთხანს ეძება, მერე კი შესძახა:

– ო, ნაბი /წინასწარმეტყველო/, წერილი აქლემზე გადაკიდებულ ჩანთაში დამრჩა. ახლავე გავიქცევი და მოგიტანთ, სანამ იდრისი და გებჰრი გამასწრებენ.

და აქლემებისაკენ გაიქცა, ბავშვები კი მგზავრობის სამზადისს შეუდგნენ. რადგან ხანგრძლივი გასეირნება ელოდათ, დინაჰმა რამდენიმე კაბა, ცოტაოდენი თეთრეული და ნელის ყველაზე თბილი ტანსაცმელი ჩაალაგა. სტაშმა საკუთარ თავზე იზრუნა, რაც მთავარია, შტუცერი და ტყვია-წამალი არ დავიწყებია, რადგან იმედი ჰქონდა, ვადი-რაიანის გორაკებს შორის მგლებსა და აფთრებს შეხვდებოდა.

ხამისი მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მობრუნდა, მაგრამ ისეთი ოფლიანი და აქლოშინებული, კარგა ხანს სული ვერ მოითქვა.

– აქლემოსნებს ვეღარ მივუსწარი – თქვა – და გამოვუდექი, მაგრამ, ამაოდ: თუმცა რა უშავს, წერილსაც და თავად ეფენდიებსაც ელ-გჰარაკში ვნახავთ. დინაჰიც მოდის?

– აბა, არ უნდა წამოვიდეს?

– ხომ არ აჯობებს, რომ დარჩეს? ბატონებს მაგაზე არაფერი უთქვამთ.

– წასვლის წინ გვითხრეს, დინაჰი პაწიას არ მოშორდესო, ჰოდა, ახლაც წამოვა.

ხამისმა თავი დახარა, ხელი გულზე მიიდო და თქვა:

– იჩქარეთ, თორემ კატრი /მატარებელი/ გაგვასწრებს.

ბარგი მზად ჰქონდათ და ერთ საათში უკვე სადგურზე იყვნენ. მედინეტიდან გჰარაკემდე ოცდაათიოდ კილომეტრი თუ იქნებოდა, მაგრამ ამ გზაზე მატარებელი მეტისმეტად ნელა დადიოდა, თან ხშირად ჩერდებოდა. სტაში რომ მარტო ყოფილიყო, იცოცხლე, მატარებლით ჩაქჩაქს აქლემს ამჯობინებდა, რადგან მატარებელზე ორი საათით ადრე წასული იდრისი და გებჰრი ელ-გჰარაკში მათზე ადრე ჩავიდოდნენ. სამაგიეროდ, ნელისთვის იქნებოდა ეს გზა უგრძესი, ჰოდა, პატარა მეურვეს, რომელიც მამების თხოვნას გულმოდგინედ ასრულებდა, არ სურდა გოგონა ზედმეტად

გაეწვალებინა. თუმცა, დრომ ორივესთვის სწრაფად გაირბინა და სანამ მიხედ-მოხედვას მოასწრებდნენ, უკვე გჰარაკში იყვნენ.

პატარა სადგური, საიდანაც, საერთოდ, ინგლისელები გასართობად ვადი-რაიანისაკენ მიემგზავრებოდნენ ხოლმე, თითქმის უკაცრიელი ჩანდა. მოშორებით თვალი მოჰკრეს სახეზე ჩადრჩამოფარებულ რამდენიმე ქალს, რომლებსაც მანდარინით სავსე კალათები მიჰქონდათ და ორ უცნობ მეაქლემე-ბედუინს. აქვე იყვნენ იდრისი და გებჰრი თავიანთი შვიდი აქლემით, რომელთაგან ერთ-ერთი მეტისმეტად დაეტვირთათ. სამაგიეროდ პან ტარკოვსკი და პან რავლისონო არსად ჩანდენენ.

იდრისმა მათი იქ არყოფნა ასე ახსნა:

– უფროსი ბატონები უდაბნოში წავიდნენ ეტსაჰიდან ჩამოტანილი კარვების გასაშლელად, ჩვენ კი თქვენთან გამოგვგზავნეს.

– მერე მთებს შორის მათ როგორღა ვიპოვით? – იკითხა სტაშმა.

– წინამძღოლები გამოგვიგზავნეს და ესენი წაგვიყვანენ.

ამის თქმაზე ხელი ბედუინებისაკენ გაიშვირა. მათგან უფროსმა თავი დახარა, თვალზე თითი გადაისვა და თქვა:

– ჩვენი აქლემები მსუქნები არ არიან, მაგრამ სისწრაფით თქვენებს არ ჩამოუვარდებიან. ერთ საათში ადგილზე ვიქნებით.

სტაშს გაუხარდა, ღამეს უდაბნოში გავათევთო, სამაგიეროდ ნელი დარჩა გაწბილებული, რადგან ეგონა გჰარაკში მამას შეხვდებოდა.

ამასობაში უსაქმურობისაგან მოწყენილი და თვლემამორეული, წითელფესიანი და შავსათვალიანი სადგურის უფროსი ევროპელ ბავშვებს მიაშტერდა.

– ესენი ინგლისელების ბავშვები არიან, დილაუთენია უდაბნოში სანადიროდ რომ წავიდნენ. – აუხსნა იდრისმა, როცა ნელის უნაგირზე სვამდა.

სტაშმა შტუცერი ხამისს მიაწოდა და თავად ნელის შემოუჯდა, რადგან უნაგირი განიერი ტახტრევნის ფორმისა იყო, ოღონდ უსახურაო. დინაჰი ხამისს შემოუსვეს, სხვები ცალ-ცალკე დასხდნენ აქლემებზე და გზას გაუდგნენ.

სადგურის უფროსს უფრო დიდხანს რომ გაეყოლებინა თვალი, ეგებ ძალიან გაჰკვირვებოდა, რადგან ის ინგლისელები, ვინც წეღან იდრისმა ახსენა, პირდაპირ სამხრეთით მდებარე ნანგრევებისკენ წავიდნენ, ამათ კი თავიდანვე ნანგრევების

მოპირდაპირე მხარეს, ტალეისკენ გაუხვიეს. მაგრამ სადგურის უფროსი ადრევე შებრუნდა სახლში, რადგანაც იმ დღეს გჰარაკში სხვა მატარებელს არ მოელოდა.

ნაშუადღევის მეხუთე საათი იქნებოდა. შესანიშნავი ამინდი იდგა. მზე უკვე ნილოსის იქით გადაწვერილიყო და უდაბნოსაკენ დახრილი, დასავლეთით ანთებულ ოქროსა და ალისფერ დაფიონში ჩაფლულიყო. ვარდისფრით გაჯერებულ ჰაერს თვალს ვერ გაუსწორებდი. მინდვრებს სოსანისფერი გადაჰკრავდა. სამაგიეროდ, დაფიონის ფონზე მკვეთრად მოხატულ შორიახლო ბორცვებს კამკამა ლურჯი ფერი დასდებოდა. სამყარო რეალურობის ნიშან-თვისებებს კარგავდა და არაამქვეყნიური ელფერით იმოსებოდა.

სანამ ამ მწვანედაფენილ და დასახლებულ ადგილებს მიუყვებოდნენ, მეგზურ-ბედუინს ქარავანი დინჯი ნაბიჯით მიჰყავდა, მაგრამ იგრძნეს თუ არა აქლემებმა მოშრიალე ქვიშის სიმყარე, მყისვე ყველაფერი გადასხვაფერდა.

– იალა! იალა! – გაისმა ანაზდად ველური ყიჟინა.

იმავდროულად მათრახებიც აზუზუნდა და ჩორთიდან ოთხზე გადასული აქლემები ქარიშხალივით გაიჭრნენ წინ და ქვიშა და უდაბნოს ხრეში ააბუქეს.

– იალა! იალა!

ჩორთით მიმავალი აქლემები უფრო გარყევს, ოთხით კი – რასაც იშვიათად იყენებენ, უფრო გარწევს, ჰოდა, ბავშვებს თავდაპირველად ერთობ მოეწონათ ასე გიჟური ჭენება. მაგრამ ვისაც საქანელაზე დიდხანს უქანავია, მიხვდება, რომ ეს საქმიანობა ბოლოს თავბრუსხვევით მთავრდება. კარგა ხნის შემდეგ, ქროლვა რომ არა და აღარ შეწყდა, ნელის თავბრუ დაეხვა და თვალები მილულა.

– სტაშ, ასე რად მივქრივართ? – ყვირილით მიმართა ამხანაგს.

– მე მგონი, აქლემები ძაან მიუშვეს და გაჩერებას ვეღარ ახერხებენ. – უპასუხა სტაშმა.

მაგრამ შენიშნა თუ არა, გოგონამ ფერი დაჰკარგაო, წინ წასულ ბედუინს გასძახა, ნაბიჯი შეანელეთო. მის ძახილს შედეგად ის მოჰყვა, რომ კვლავ გაიმა: – იალა! – და პირუტყვი კიდევ უფრო სწრაფად გააჭენეს.

ბიჭს ჯერ ეგონა, ბედუინმა ჩემი ხმა ვერ გაიგონაო, მაგრამ როცა არც მეორე დაძახებას მოჰყვა შედეგი და უკან მომავალი გებჰრი მის და ნელის აქლემს წამდაუწუმ მათრახს უზუზუნებდა, მიხვდა, რომ აქლემები კი არ მიჰქროდნენ, მათ ადმიანები მიაჭენებდნენ მისთვის გაუგებარი მიზეზის გამო.

მერე თავში გაუელვა, ეგებ გზა აებნათ და დაგვიანებისათვის ბატონებს რომ არ ეყვირათ, ახლა დროის მოსაგებად აქლემებს იმიტომ მიაქროლებენ ასე თავგამოდებითო.

მაგრამ უმალვე მიხვდა, რომ პან რავლისონი ნელის გადაღლისათვის უფრო გაუბრაზდებოდათ. მაშ, რაღას ნიშნავს ყოველივე ეს? ან მის ბრძანებას რატომ არაფრად აგდებენ? ბიჭს გული თანდათან ბოღმით და ნელის დარდით აევსო.

– სდექ! – შესძახა მთელი ხმით და გებჰრისაკენ შებრუნდა.

– კრინტი! – დაუღრიალა პასუხად სუდანელმა.

და კვლავ ჭენება განაგრძეს.

ექვსი საათისათვის ეგიპტეში ღამე ჩამოწვა, დაფიონი მალევე გაქრა, გარკვეული დროის შემდეგ ცაზე უშველებელი, ვარსკვლავების შუქით შეალისფერებული მთვარე ამოგორდა და უდაბნოს მშვიდი ნათელი მოჰფინა.

სიჩუმეში მხოლოდ აქლემების ქოშინი და ქვიშაზე მათი ფლოქვების ყრუ, სწრაფი თქარათქური ისმოდა, დროდადრო კი – მათრახების სტვენა გაჰკვეთდა ჰაერს. ნელი ისე დაიქანცა, სტაში იძულებული იყო უნაგირზე ხელით დაემაგრებინა. წამდაუწუმ კითხულობდა, მალე თუ მივალთო და ჩანს, გულს მხოლოდ მამასთან მალე შეხვედრის ხათრით იმაგრებდა. მაგრამ თვალებს ამაოდ აცეცებდა. გავიდა საათი, მერე მეორეც მიიწურა, მაგრამ არც კარვები ჩანდა სადმე და არც ცეცხლი.

მიხვდა თუ არა სტაში, გაგვიტაცესო, თმა ყალყზე დაუდგა.

კარი VI

პან რავლისონი და პან ტარკოვსკი, რასაკვირველია, ბავშვებს ელოდნენ, მაგარამ არა ვადი-რაიანის ქვიშიან მთებს შორის, სადაც ყოფნის არც სურვილი ჰქონდათ და არც მიზეზი, არამედ სრულიად სხვა მხარეში, ქალაქ ელ-ფახენში, ამავე სახელწოდების არხთან, სადაც წლის ბოლოს წარმოებულ სამუშაოებს ათვალირებდნენ. მედინეტიდან ელ-ფახენამდე პირდაპირი გზა ორმოცდახუთ კილომეტრამდე აღწევს. მაგრამ რადგანაც პირდაპირი კავშირი არ არსებობს და ელ-ვასტამდე წასვლაა საჭირო, ეს გზას თითქმის აორმაგებს და სარკინიგზო განრიგზე თავდახრილი პან რავლისონი შემდეგნაირ გამოთვლას აწარმოებდა:

– ხამისი გუშინწინ საღამოს წავიდა, – ეუბნებოდა პან ტარკოვსკის, – ელ-ვასტაში კაიროს მატარებელს მიუსწრებდა და მედინეტში გუშინ დილით ჩავიდოდა. ბავშვები

ერთ საათში მოემზადებოდნენ. ასე თუ ისე, შუადღისას წამოვიდოდნენ და ნილოსის გასწვრივ მომავალ ღამის მატარებელს დაელოდებოდნენ, მაგრამ რამდენადაც ნელის ღამით მგზავრობას ვუკრძალავ, მხოლოდ დღეს დილით დაიძროდნენ და აქ მხოლოდ მზის ჩასვლის ჟამს ჩამოაღწევენ.

– დიახ, – მიუგო პან ტარკოვსკიმ, – ხამისს ცოტა ხომ უნდა დაესვენა. სტაშს, მართალია, თავში უქრის, მაგრამ როცა საქმე ნელის ჯანმრთელობას ეხება, მისი იმედი ყოველთვის გქონდეთ. ამასთანავე, წერილიც გავუგზავნე და ვთხოვე, ღამით არ წამოსულიყვენენ.

– ყოჩაღი ბიჭია და ვენდობი კიდეც. – თქვა პან რავლისონმა.

– რაც მართალია, მართალია, მეც ვენდობი. ბევრ უარყოფით თვისებასთან ერთად სტაშს სამართლიანობის გრძნობა არ აკლია და არც არასოდეს ცრუობს, უფრო სწორად, მამაცია და ცოტას ცრუობს. არც ძალ-ღონე აკლია და თუ, დროთა განმავლობაში, დინჯ განსჯას მიეჩვია, ცხოვრება არ გაუჭირდება.

– ნამდვილად. რაც შეეხება დინჯ განსჯას, მის ასაკში შენ განა დინჯი იყავი?

– უნდა გამოვტყდე და არა, – სიცილით მიუგო პან ტარკოვსკიმ, – მაგრამ არც მასავით ღრმად ვიყავი საკუთარ თავში დარწმუნებული.

– ეგ გაუვლის. ისე, უნდა გიხაროდეს, ასეთი ბიჭი რომ გყავს.

– შენ კი შენი ტკბილი და საყვარელი ნელით უნდა ამაყობდე.

– ღმერთმა კარგად მიმყოფოს. – ჩაილაპარაკა გულაჩუყებულმა რავლისონმა.

მეგობრებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, მერე სამუშაოს ჩაუსხდნენ და საღამომდე არც ერთს თავი მაღლა არ აუწევია.

ექვსი საათისთვის, ჩამობნელდა თუ არა, სადგურზე გავიდნენ და ბაქანზე სეირნობისას კვლავ თავიანთ შვილებზე ჩამოაგდეს სიტყვა.

– მშვენიერი ამინდია, ოღონდ ცივა. – წარმოთქვა პან რავლისონმა. – ნეტა, ნელიმ თბილი ტანსაცმელი თუ წამოიღო?

– ეგ არც სტაშს დაავიწყდებოდა და არც დინაჰს.

– ახლა ვნანობ, აქ გამოძახების ნაცვლად, რატომ თავად არ წავედით მედინეტში.

– აბა, გაიხსენე, მეც ხომ მაგას გეუბნებოდი.

– ვიცი, მაგრამ აქედან სამხრეთისაკენ წასვლა რომ არ გვიხდებოდეს, უეჭველად დაგეთანხმებოდი. ჩემი გამოთვლის თანახმად, გზა ბევრ დროს გვართმევდა და ბავშვებთან ცოტა ხანს გვიწევდა ყოფნა. მაგრამ უნდა გამოგიტყდე და სწორედ ხამისმა წამოაყენა მათი აქ ჩამოყვანის აზრი. მითხრა, ძალიან მომენატრნენ და ბედნიერი ვიქნები, თუ მათ ჩამოსაყვანად გამგზავნითო. არც მიკვირს, რადგან ბავშვებს ძალიან მიეჩვია...

საუბარი მოახლოებული მატარებლის სიგნალმა შეაწყვეტინათ. წუთიც და სიბნელეში ორთქლმავალის ცეცხლოვანი თვალები გამოჩნდა და იმავდროულად ქშენა და სტვენა მისწვდა მათ ყურთასმენას.

განათებული ვაგონების მწკრივი ბაქნის გასწვრივ გაიწელა და დადგა.

– ვერც ერთ ვაგონში ვერ მოვკარი ბავშვებს თვალი. – თქვა პან რავლისონმა.

– ეგებ სიღრმეში იყვნენ და ახლავე გამოვლენ.

მგზავრები ჩამოსხდნენ; უმეტესწილად არაბები იყვნენ, რადგან ელ-ფახენში, პალმისა და აკაციის მშვენიერი ჭალების გარდა, დასათვალიერებელი არც არაფერია. ბავშვები არ ჩამოსულან.

– ხამისმა ან ვერ მიუსწრო ელ-ვასტას მატარებელს, – თქვა ნირწამხდარმა პან ტარკოვსკიმ – ან კიდევ ღამით ნამგზავრს ჩაეძინა და მხოლოდ ხვალ დილით ჩამოვლენ.

– შესაძლოა, ეგრეც იყოს – მიუგო აღელვებულმა პან რავლისონმა. – მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ რომელიმე ავად გახდა.

– მაშინ, სტაში უეჭველად დეპეშას გამოგვიგზავნიდა.

– ვინ იცის, ეგებ დეპეშა უკვე სასტუმროშია.

– წავედით.

მაგრამ სასტუმროში არავითარი დეპეშა არ დახვედრიათ. პან რავლოსონს მღელვარება მოეძალა.

– იცი, კიდევ რა შეიძლება მომხდარიყო? – თქვა პან ტარკოვსკიმ. – ვთქვათ და ხამისს ჩაეძინა, ეს მან ბავშვებს არ გაუმხილა, მათთან ალბათ დღეს მივიდა და უთხრა, ხვალ მივემგზავრებითო. ჩვენთან კი თავს იმით იმართლებს, თითქოსდა ბრძანება ვერ გაიგო. ყოველ შემთხვევაში, სტაშს დეპეშას გავუგზავნი.

– მე კი – გუბერნატორ ფაუმს.

ცოტა ხანიც და ორი დეპეშა გაგზავნეს. ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მღელვარების მიზეზი, მაგრამ პასუხის მოლოდინში ღამე მოუსვენრად გაატარეს და განთიადს უკვე ფეხზე ამდგარნი შეხვდნენ.

გუბერნატორისაგან პასუხი ათი საათისათვის მიიღეს:

“შევამოწმეთ სადგურზე. ბავშვები გუშინ გაემგზავრნენ გჰარაკ-ელ-სულთანში”.

ადვილი წარმოსადგენია ამ მოულოდნელი ცნობის გაგებაზე მამები რა განცვიფრებამ და მრისხანებამ შეიპყრო. ერთხანს ერთმანეთს შეჰყურებდნენ, თითქოს დეპეშის აზრი ვერ გაიგესო, მერე კი, უფრო ფიცხმა პან ტარკოვსკიმ მაგიდას ხელი დაარტყა და შესძახა:

– ეს სულ სტაშის ოინებია, მაგრამ, თუ კაცი ვარ, ვასწავლი ჭკუას.

– ასეთ რამეს სტაშისგან არ მოველოდი. – თქვა ნელის მამამ.

მაგრამ უმალვე დასძინა:

– მაშ, ხამისი რაღა იქნა?

– ან ვერ მიუსწრო და აზრზე არ არის, რა იღონოს, ანდა მათ გამოუდგა.

– მეც ასე ვფიქრობ.

საათიც არ გასულა, რომ მედინეტისაკენ გაემგზავრნენ. კარვებში შეიტყვეს, რომ აღაც მეაქლემენი ჩანდნენ, სადგურზე კი დაუდასტურეს, რომ ელ-გჰარაკში ხამისიც ბავშვებთან ერთად წავიდა. საქმე თანდათან ბნელმა მოიცვა და მისი ახსნა მხოლოდ ელ-გჰარაკში შეიძლებოდა;

მართლაც, ამ სადგურზე საშინელ სიმართლეს ოდნავ აეხადა ფარდა.

სადგურის უფროსმა, იმავე შავსათვალიანმა და წითელფესიანმა, ნამძინარევმა ეგვიპტელმა, ინჟინრებს უპასუხა, რომ დაინახა თოთხმეტიოდე წლის ბიჭი და რვა წლის გოგონა, თანმხლები ხნიერი ზანგი ქალითურთ, რომლებიც უდაბნოსკენ წავიდნენ. აღარ ახსოვდა, აქლემი რვა იყო თუ ცხრა, მაგრამ ის კი შენიშნა, რომ ერთ-ერთი მათგანი თითქოსდა შორი გზისთვის იყი დატვირთული, ორ ბედუინს კი მოზრდილი საპალნეები გადაეკიდებინა უნაგირზე. ისიც გაიხსენა, ქარავანს რომ დავაკვირდი, ერთ-ერთმა ბედუინმა, სუდანელმა, მითხრა, ესენი ვადი-რაიანში წინდაწინ წასული ინგლისელების შვილები არიანო.

– ის ინგლისელები უკან თუ დაბრუნდნენ? – ჰკითხა პან ტარკოვსკიმ.

– ეგრეა. ჯერ კიდვ გუშინ დაბრუნდნენ და ორი მოკლული მგელიც მოუჩანდათ. – მიუგო სადგურის უფროსმა. – ისე, კი გამიკვირდა, ბავშვები რომ ვერ დავინახე, მაგრამ რადგან მე არ მეხებოდა, არც არაფერი მიკითხავს.

ესა თქვა და თავის საქმეს მიუბრუნდა.

ამის გაგონებაზე პან რავლისონს სახეზე მიტკლისფერი დაედო. მეგობარს ამღვრეული თვალებით გადახედა, ქუდი მოიხადა, ხელი გაოფლილი შუბლისაკენ წაიღო და ისე შებარბაცდა, ჰა და ჰა, წაიქცეოდა.

– გამაგრდი, რავლისონ! – შესძახა პან ტარკოვსკიმ. – ჩვენი ბავშვები მოტაცებული არიან. უნდა გადავარჩინოთ.

– ნელი! ნელი! – იმეორებდა უბედური ინგლისელი. – ნელი და სტაშ! სტაშს ბრალი არ მიუძღვის. ორივე მოატყუეს და მოიტაცეს. ვინ იცის – რა მიზნით. ეგებ გამოსასყიდის გულისთვის. ხამისიც იმათ შორისაა. იდრისი და გებჰრიც.

ახლა გაახსენდა ფატმას ნათქვამი, ორივე სუდანელი დანგალთა ტომის წარმომადგენელია, როგორც თავად მაჰდი და იმავე ტომს ეკუთვნის ხამისის მამა ხადიგიცო. ამის გახსენებაზე კინაღამ გული გაუსკდა, რადგან მიხვდა: ბავშვები გამოსასყიდის გულისთვის კი არა, სმაინის ოჯახზე გასაცვლელად მოეტაცებინათ.

მაგრამ როგორ მოეპყრობოდნენ მათ ავბედითი წანასწარმეტყველის თანატომელები? უდაბნოში თუ ნილოსის სანაპიროზე თავის შეფარება გაუჭირდებოდათ, რადგან უდაბნოში შიმშილისა და წყურვილისაგან დაიხოცებოდნენ, ნილოსის შორიახლო კი მათ უეჭველად დაიჭერდნენ. სხვა შემთხვევაში ბავშვებიანად პირდაპირ მაჰდისკენ მოუსვამდნენ.

ამის გაფიქრებაზე პან ტარკოვსკი შიშმა შეიპყრო, მაგრამ მხნე ექს-ჯარისკაცი უმალვე გონს მოეგო, მომხდარი გუნებაში აწონ-დაწონა და ხსნის გზას დაუწყო ძებნა.

“ფატმას, – განსჯიდა თავისთვის, – არც ჩვენი და არც ბავშვების შურისძიების მიზეზი არ გააჩნია და თუ ისინი მოიტაცეს, ალბათ მხოლოდ იმისთვის, რომ სმაინს გადასცენ. სიკვდილი ნამდვილად არ ემუქრებათ. და ამ უბედურებაში ერთადერთი სასიხარულო სწორედ ესაა; სამაგიეროდ, წინ ელოდებათ უსაშინლესი გზა, რომელიც, შესაძლოა, მათთვის საბედისწეროც გამოდგეს”.

თავისი აზრები უმალვე მეგობარს გაუზიარა:

– იდრისმა და გებჰრმა, ამ ველურმა და უჭკუო ადამიანებმა წარმოიდგინეს, რომ მაჰდის რაზმები უკვე ახლოს არიან, მაშინ, როცა ხარტუმი, სადამდეც მათ მიაღწიეს,

აქედან ორიათასი კილომეტრის სიშორეს მდებარეობს; ეს გზა მათ ნილოსის გასწვრივ უნდა გაიარონ, რადგან სხვაგვარად, აქლემებიცა და ხალხიც წყურვილით დაიხოცებიან. ახლავე წადი კაიროში და ჰედივს მოსთხოვე, ყველა საგუშაგოზე გაგზავნოს დეპეშა და მდინარის ორივე მხარეს გაუშვას მდევარი. სანაპიროს შეიხებს დიდძალი თანხა აღუთქვი საჩუქრად. სოფლებში გააჩერონ ყველა, ვინც წყალს მიუახლოვდება. მხოლოდ ასე თუ ჩაუვარდებიან იდრისი და გებჰრი მთავრობას ხელში, ჩვენ კი ჩვენს შვილებს დავიბრუნებთ.

პან რავლისონი უკვე გონს მოეგო.

– მივდივარ, – თქვა. – იმ ბედოვლათებს დაავიწყდათ, რომ უოლსლეის ინგლისური ჯარი უკვე მიისწრაფის გორდონის დასახმარებლად და მაჰდის კუდით ქვას ასროლინებს. ვერ გაგვისხლტებიან. არ უნდა გაგვისხლტნენ. ამ წუთას, ჯერ ჩვენს მინისტრს გავუგზავნი დეპეშას და მერე წავალ. შენ რაღას აპირებ?

– დეპეშით შვებულებას მოვითხოვ და პასუხს არც დაველოდები, უმალვე მათ გავუდგები კვალდაკვალ, ნილოსის მხარეს, ნუბიისაკენ, რათა დევნას ვუმეთვალყურო.

– ჰოდა, ერთმანეთს კიდეც შევხვდებით, რადგან კაიროდან მეც მაგ გზას უნდა გავუდგე.

– კეთილი! ახლა კი საქმეს მივხედოთ.

– ღვთის შეწევნით! – მიუგო პან რავლისონმა.

კარი VII

აქლემები კი, ამასობაში, ქარიშხალივით მიქროდნენ მთვარისგან ვერცხლისფრად დაფერილ ქვიშაზე. შუაღამემ მოაღწია. მთვარე, თავდაპირველად, დიდრონ, წითელ რგოლს რომ გავდა, ახლა მაღლა აიწია და გაფერმკრთალდა. უდაბნოს შორეული მთები ვერცხლისფერი ნისლის აბლაბუდაში გაეხვია. დროდადრო, კლდეებიდან, ტურების შესაბრალისი წკმუტუნი ისმოდა.

კიდევ გავიდა საათი. სტაშმა ნელის მკლავები შემოხვია და ცდილობდა, უნაგირიდან არ გადავარდნოდა. გოგონა წამდაუწუმ ეკითხებოდა, ასე სწრაფად რატომ მივაჭენებთ და რატომ არსად ჩანან არც კარვები და არც მამიკოებიო. სტაშმა, ბოლოს და ბოლოს,

გადაწყვიტა, მეგობრისათვის გაემხილა სიმართლე, რაც ადრე თუ გვიან, მაინც გამჟღავნდებოდა.

– ნელი, – უთხრა – ხელთათმანი წაიძრე და შეუმჩნევლად გადააგდე.

– რატომ, სტაშ?

სტაშმა გოგონა მკერდში ჩაიკრა და რაღაც უჩვეულო სინაზით უთხრა:

– როგორც გეუბნები, ისე მოიქეცი.

ნელის ცალი ხელი სტაშისთვის ჩაებღუჯა და გაშვებისა შეეშინდა, მაგრამ ხელთათმანი თითებზე კბილებით წაიძრო და მიწაზე გადააგდო.

– ცოტა ხნის შემდეგ მეორეც გადააგდე. – კვლავ უთხრა სტაშმა. – მე ჩემები უკვე გადავყარე, მაგრამ შენი უფრო გამოჩნდება, რადგან უფრო ფერადია.

გოგონას ცნობისმოყვარე მზერა რომ შენიშნა, სტაშმა განაგრძო:

– ნუ გეშინია, ნელი... მარგამ, როგორც ხედავ... შესაძლოა, ვერც შენს მამიკოს შევხვდეთ, ვერც ჩემსას... ჩვენ, მგონი, ამ საძაგელმა კაცებმა მოგვიტაცეს. მაგრამ ნუ გეშინია... თუ ეს მართლა ასეა, მდევარს დაგვადევნებენ, დაგვეწევიან და ამათ ჩვენს თავს წაართმევენ. ხელთათმანების გადაყრაც ამიტომ გითხარი, მდევარმა რომ კვალს მოაგნოს... მეტის გაკეთება ახლა არ შეგვიძლია. მაგრამ მოგვიანებით რაიმეს მოვიფიქრებ... ნამდვილად რაიმეს მოვიფიქრებ, ოღონდ შენ ნუ გეშინია და ჩემი იმედი გქონდეს...

გაიგო თუ არა, მამას ვერ ვნახავ და სადღაც შორს, უდაბნოში მივქრივართო, შიშისა და ტირილისაგან ათრთოლებული ნელი სტაშს ჩაეკრა და ზლუქუნ-ზლუქუნით ეკითხებოდა, რატომ მოგვიტაცეს და საითკენ მივყავართო. ბიჭმა ნელი შეძლებისდაგვარად დაამშვიდა. ჩვენი მამები ისედაც დაგვედევნებიან, თან ნილოსის სანაპიროზე ყველა საგუშაგოს გააფრთხილებენო. ბოლოს, მტკიცედ დასძინა, რაც არ უნდა მოხდეს, არასოდეს მიგატოვებ და ყველგან დაგიცავო.

მაგრამ მამის მონატრება შიშზე იმდენად ძლიერი იყო, რომ ტირილი კიდევ კარგა ხანს არ შეუწყვეტია – და ნაღGველმორეულები მიქროდნენ ნათელი ღამის ფონზე უდაბნოს გაფერმკრთალებულ ქვიშაზე.

მაგრამ სტაშს გული არა მხოლოდ ნაღველისა და შიშის, არამედ სირცხვილის გამოც ემდუღრებოდა. მართალია, მომხდარში თავად დანაშაული არ მიუძღოდა, მაგრამ ახლა მოაგონდა თავისი უწინდელი ბაქიაობა, რის გამოც მამას ხშირად დაუტუქსავს. ადრე დარწმუნებული იყო, რომ არ არსებობდა ისეთი რთული ამბავი, გამოსავალი რომ არ

ეპოვა. თავი რაღაც უჩვეულო ძალის ჭაბუკად წარმოედგინა და მზად იყო, მთელ სამყაროს შეჭიდებოდა. ახლა კი მიხვდა, რომ ერთი პატარა, იოლად ხელწამოსაკრავი ბიჭი იყო, რადგან აგერ, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ მიაჭენებს აქლემს, მხოლოდ იმიტომ, რომ მას უკან მომავალი ველური სუდანელი მიეკარება. თავს სასტიკად დამცირებულად გრძნობდა, მაგრამ გამოსავალს ვერ ხედავდა. უჭირდა საკუთარი თავისთვის გაემხილა, რომ ეშინოდა – ეშინოდა ამ ხალხის, უდაბნოსი და იმისიც, რაც აწი მას და ნელის შეიძლებოდა დამართნოდა. მარტო გოგონას კი არა, საკუთარ თავსაც მტკიცედ აღუთქვა, რომ გაუფრთხილდებოდა და დაიცავდა, სიცოცხლის ფასადაც რომ დასჯდომოდა.

ტირილისა და ექვსსაათიანი გიჟური ჭენებისაგან ქანცგაწყვეტილ ნელის თვლემა მოერია და დროდადრო ჩაეძინეოდა კიდეც. სტაშმა იცოდა, გაჭენებული აქლემიდან გადმოვარდნა სიკვდილის ტოლფასი რომ იქნებოდა და გოგონა თოკით მიიბა; გარკვეული დროის შემდეგ მოეჩვენა, თითქოს ჭენება ოდნავ მიყუჩდა, თუმცაღა ისევ ისე მიქროდნენ უდაბნოს გადასარკულ და რბილ ქვიშაზე. შორს ბუნდოვნად ილანდებოდა მთა, ვაკეზე კი უდაბნოსათვის ჩვეული ღამეული მოჩვენებანი აბორიალდა. ცაზე მთვარე თანდათან მკრთალად ანათებდა; დაბლა კი შუქჩრდილების უცნაური, ვარდისფერი, გამჭვირვალე შუქით ნაქსოვი ღრუბლები აპრიალდა. ვინ იცის, რისთვის შექმნილთ, თითქოსდა ნიავი მიერეკებოდა წინ. სტაში ხედავდა, იმ განათებულ სივრცეში შესული ბედუინების მოსასხამები და აქლემები რა ანაზდად ვარდისფრდებოდა და მალე მთელი ქარავანი ნაზ, ვარდისფერ ათინათში ეხვეოდა. დროდადრო, მთებამდე გაწელილ ღრუბლებს, ცისფერი მოედებოდა.

მთებთან მიახლოებისას აქლემებმა სრბოლას უკლეს. ირგვლივ ქვიშიან ბორცვებს შორის გამოჩრილი უშნოდ აჩონჩხილი კლდეები მოეძალა. მიწა თანდათან ქვიანი გახდა. თანმიმდევრობით განვლეს დამშრალი მდინარის კალაპოტისმაგვარი ჩახრამული, ქვაღორღიანი ადგილი. დროდადრო გზას უღობავდათ ხეობები და იძულებული იყვნენ მათთვის გარს შემოევლოთ. პირუტყვი ფეხს ახლა ფრთხილად ადგამდა, რამდენიმემ კიდეც წაიბორძიკა და აშკარა გახდა, რომ აქლემები უნდა დაესვნებინათ.

მართლაც, ბედუინები ერთ ღრმა ხეობაში გაჩერდნენ და უნაგირებიდან ჩამომხტარნი საპალნეებს მიუბრუნდნენ. იდრისმა და გეზჰრმაც მათ მიბაძეს. ჯერ აქლემებს ახედ-დახედეს, მოსართავები მოუშვეს, საგზლის მარაგი ჩამოხსნეს და ცეცხლის დასანთებად ბრტყელი ქვის ძებნას შეუდგნენ. ფიჩხზე ან გამხმარ ნაკელზე, რასაც არაბები საწვავად ხმარობენ, ლაპარაკის კი ზედმეტი იყო, ამიტომაც ხამისმა, ხადიგის ძემ, იერიქონის ვარდის ბარდები მოკრიფა, ერთ ადგილას დააბულულა და ცეცხლი აანთო. ანაზდად, სანამ სუდანელები აქლემებს დასტრიალებდნენ, სტაში, ნელი და მისი გადია დინაჰი, ერთად მოგროვდნენ. დინაჰი ბავშვებზე მეტად შეშინებულიყო და ენას ვერ აბრუნებდა.

ისღა მოახერხა, რომ ნელის თბილი შალი მოახვია და მასთან ერთად მიწაზე ჩამჯდარმა ხელებზე დაუწყო კოცნა. სტაშმა ხამისს პირდაპირ ჰკითხა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს, რა მოხდაო, მან კი გაიცინა, ქათქათა კბილები გამოაჩინა და ისევ იერიქონის ვარდების შესაგროვებლად გაბრუნდა. შემდეგ იდრისს ჰკითხა, რაზედაც ერთადერთი სიტყვა გაიგონა: "ნახავ" – და მუქარის ნიშნად თითი დაუქნია. როცა ვარდების ცეცხლი ავარდა, უფრო სწორად კი, როცა ვარდები ახრჩოლდა, მას ყველა გარს შემოეხვია, გარდა გებჰრისა, რომელის ჯერაც აქლემებს დასტრიალებდა და სიმინდის კვერების, ცხვრისა და თხის გამხმარი ხორცის ჭამას შეუდგნენ. გრძელი გზით დამშეული ბავშვებიც ჭამდნენ, თუმცა ძილმორეულ ნელის თვალები ეხუჭებოდა. მაგრამ ამ დროს, კოცონის მკრთალი შუქის ფონზე, შავკაბიანი გებჰრი გამოჩნდა, თვალებალაპლაპებულმა ორი პაწია ხელთათმანი ასწია და იკითხა:

– ეს ვისია?

– ჩემი – ნამძინარევი და გატანჯული ხმით მიუგო ნელიმ.

– შენია, გველის წიწილო? – წაისისინა სუდანელმა. – შენ ამით გზას ასწავლიდი მამას, რომ დაგვეწიოს?

ამის თქმა და ნელის საშინელი, არაბული მათრახი გადაუჭირა. თუმცა გოგონა სქელ შალში იყო გახვეული, შიშისა და ტკივილისაგან შეჰყვირა, მაგრამ გებჰრმა მეორედ დარტყმა ვეღარ მოასწრო, რადგან იმწამსვე ფოცხვერივით წამოწხტარმა სტაშმა მკერდზე თავი დაარტყა და ხელები კისერზე წაავლო.

ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ სუდანელი უმალვე მიწაზე გაიშხლართა, სტაში ზემოდან დააწვა და ორივე მიწაზე აგორავდა. თავის ასაკთან შედარებით ბიჭი გამორჩეულად ძლიერ იყო, მაგრამ გებჰრი უმალვე მოერია ჯერ კისრიდან მოიცილა მისი ხელები, მერე სახით მიწისკენ გადააბრუნა და მხრებზე მათრახი უცხუნა.

ატირებული ნელი ველურს ხელებზე ჩააფრინდა და სთხოვა, სტაშს აპატიეო, მაგრამ ამაოდ. სამაგიეროდ ბიჭს ახლა იდრისი გამოესარჩლა. იგი გებჰრზე უფრი ძლიერი იყო და გჰარაკ-ელ-სულთანიდან გაქცევის შემდეგ ყველა მას ემორჩილებოდა. ახლაც, თანამოძმეს მათრახი გამოსტაცა, შორს მოისროლა და შესძახა:

– დაიკარგე, ჩერჩეტო!

– ცემით სულს ამოვხდი ამ მორიელს! – კბილების ხრჭენით მიუგო გებჰრმა.

ამის გაგონებაზე იდრისმა ხელი მოსასხამის გულისპირზე წაავლო, თვალებში ჩახედა და მრისხანედ, თუმცა თავშეკავებით აუხსნა:

– კეთილშობილმა ფატმამ გვიბრძანა, ამ ბავშვებს არ აწყენინოთო.

– სულს ამოვხდი! – გაიმეორა გებჰრმა.

– მე კი გეუბნები, ამათ მათრახს ვერ დააკარებ. დაიმახსოვრე, ყოველ დარტყმაზე, შენ ათჯერ დაგარტყამ.

მერე პალმის ტოტივით დაუწყო რწევა, თანაც დასძინა:

– ეს ბავშვები სმაინის საკუთრებას წარმოადგენენ და თუ რომელიმე მათგანმა ცოცხალმა ვერ ჩააღწია, თავად მაჰდი /ღმერთი იყოს მისი შემწე/, ბრძანებს შენს ჩამოხრჩობას. მიხვდი, ჩერჩეტო!

მაჰდის სახელის ხსენებამ მის ქვეშევრდომებზე ისეთი დიდი ზეგავლენა მოახდინა, რომ გებჰრმა ბიჭს უმალვე ხელი გაუშვა და თითქოსდა შიშით გაიმეორა:

– ალაჰ აკბარ! ალაჰ აკბარ!

აქლოშინებული და ნაცემი სტაში წამოდგა, მაგრამ გრძნობდა, ამ წუთას მამას რომ მისი დანახვა და მოსმენა შესძლებოდა, უეჭველად იამაყებდა; თუმცა ნაცემ ადგილებზე ცეცხლი ეკიდა, საკუთარ ტკივილს არად აგდებდა, უმალვე გოგონას დამშვიდება სცადა და ჰკითხა, ხომ არაფერი გტკივაო.

მერე კი დასძინა:

– რაც იყო, იყო, მაგრამ ამიერიდან ხელის ხლებასაც ვერ გაგიბედავს. ეჰ, ნეტა იარაღი მქონდეს!

პატარა ქალუნიამ ბიჭს კისერზე შემოხვია ხელები, ცრემლით დაუსველა გულისპირი და უთხრა: ტკივილისაგან კი არა, შენი ცოდვით ვტირიო. ამის გაგონებაზე სტაშმა ბაგეები ყურზე მიადო და ჩასჩურჩულა:

– ნელი, ჩემსას კი არა, ვფიცავ, შენს ცემას არ ვაპატიებ.

ეს ამბავი ამაზე დასრულდა. შერიგებულმა იდრისმა და გებჰრმა ცოტა ხნის შემდეგ მიწაზე მოსასხამები გაფინეს და დაწვნენ, მალე ხამისმაც მათ მიბაძა. ბედუინებმა პირუტყვს სორგო დაუყარეს, რის შემდეგაც ორივე აქლემებზე შესხდნენ და ნილოსის მხარეს გაეშურნენ. ნელიმ მოხუც დინაჰს მუხლზე დაადო თავისი პაწია თავი და დაიძინა. კოცონი მიინავლა, აქლემები სორგოს ახრამუნებდნენ. ცაზე ანაზდად გამოიკვეთა პაწაწკინტელა ღრუბლები, რომლებიც დროდადრო მთვარეს ჩამოეფარებოდნენ, მაგრამ მაინც ნათელი ღამე იდგა. კლდეების იქით ისევ მოისმოდა ტურების შესაბრალისი წკავწკავი.

ორიოდ საათის შემდეგ ბედუინები დაბრუნდნენ და ტიკებით წყალი მოტანეს. ცეცხლს ისევ შეუკეთეს და სავახშმოდ დასხდნენ. მათ მოსვლაზე სტაშს გაეღვიძა. ძილი გაუკრთა აგრეთვე ორ სუდანელსა და ხამისს, ძეს ხადიგისას – და კოცონთან შემდეგი საუბარი გაიმართა:

– გზის გაგრძელება შეგვიძლია? – იკითხა იდრისმა.

– არა, ჯერ ჩვენც და აქლემებმაც კარგად უნდა დავისვენოთ.

– ხომ არავინ დაგინახათ?

– არა. მდინარესთან ორ სოფელს შორის მდებარე ბილიკს ჩავუყევით. ძაღლების ყეფა შორიდან აღწევდა.

– წყლისთვის მუდამ შუაღამისას უნდა წავიდეთ და ისიც ყოველთვის უკაცრიელ ადგილას. მთავარია, პირველ ჭორომს გავცდეთ, მერე სოფლების უფრო იშვიათია და – ხალხიც უფრი კეთილგანწყობილი. მდევარს უეჭველი გამოგზავნიან.

ხამისი გულდაღმა დაწვა, ხელები ნიკაპქვეშ ამოიწყო და თქვა:

– ბატონები ბავშვებს ელ-ფახენში მთელ ღამეს დაელოდებოდნენ, მერე – შემდეგ მატარებელს, მერე ელ-ფაუმში წავიდოდნენ, იქიდან კი – გჰარაკში. იქ ალბათ მიხვდებოდნენ, რაც მოხდა და უმალვე მედინეტში გაბრუნდებოდნენ, რათა სპილენძის მავთულებით გაგზავნონ მფრინავი სიტყვა. ნილოსის სანაპირო ქალაქებში აქლემებით ხალხს დაგვადევნებდნენ. ყოველივე ამას სამი დღე მაინც დასჭირდება. ამიტომ საჭირო არ არის ჩვენი და აქლემების გადაღლა; შეგვიძლია გულარხეინად ვაბოლოთ ჩიბუხები.

ამის თქმაზე კოცონს იერიქონის ვარდის წკირი გამოაცალა და ჩიბუხს მოუკიდა, იდრისმა კი, არაბული ჩვეულებისამებრ, სიამოვნების წკლაპუნი ატეხა.

– ეგ ყველაფერი კარგია, ხადიგის ძევ, – თქვა, – მაგრამ ჩვენ ეს სამი დღე უნდა გამოვიყენოთ და რაც შეიძლება შორს წავიდეთ სამხრეთისაკენ. მშვიდად მხოლოდ მაშინ დავისვენებ, როცა ნილოსსა და კჰარგს /ნილოსის აღმოსავლეთით მდებარე დიდი ოაზისი/ შორის მდებარე უდაბნოს გადავლახავთ. ღმერთმა ქნას და აქლემებმა გაძლონ.

– გაძლებენ. – გამოეპასუხა ერთ-ერთი ბედუინი.

– ხალხი ამბობს, – ჩაურთო ხამისმა, – რომ მაჰდი /დაე, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს/ თავისი ჯარით უკვე ასუანს უახლოვდებაო.

სტაში, რომელსაც მათი საუბრიდან სიტყვა არ გამორჩენია და ისიც კარგად დაიმახსოვრა, მანამდე რა თქვეს იდრისმა და გებჰრმა, – წამოდგა და განაცხადა:

– მაჰდის ჯარი ხარტუმთან არის.

– ლა! ლა! /არა! არა!/ – შეეპასუხა ხამისი.

– მაგის სიტყვას ნუ ენდობით, – თქვა სტაშმა, – რადგან მაგას მარტო კანი კი არა, ტვინიც შავი აქვს. ხარტუმამდე, ყოველ სამ დღეში რომ ახალ-ახალი აქლემები იყიდოთ და დღევანდელივით ჭენებით ამოხადოთ სული, ერთ თვეზე ადრე ვერ მივაღწევთ. თქვენ ალბათ, არც ის იცით, რომ გზას გადაგიჭრით ჯარი, ოღონდ ეგვიპტის კი არა, ინგლისის...

ამ სიტყვებმა გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა. ეს რომ შენიშნა, სტაშმა კვლავ განაგრძო:

– სანამ ნილოსსა და დიდ ოაზისს შორის მიაღწევთ, უდაბნოს ყველა გზაზე მეთვალყურე ჯარის ნაწილს ჩააყენებენ. აბა! სპილენძის მავთულით სიტყვა თქვენს აქლემებზე უფრო სწრაფად მიდის! როგორღა აპირებთ გასხლტომას?

– უდაბნო ვრცელია, – მიუგო ერთ-ერთმა ბედუინმა.

– გინდათ თუ არა, ნილოსის შორიახლო უნდა იაროთ.

– ნილოსზე გადასვლაც შეგვიძლია და, როცა აქეთ მხარეს დაგვიწყებენ ძებნას, ჩვენ უკვე იქით ვიქნებით.

– სპილენძის მავთულით სიტყვა მდინარის ორივე მხარეს აღწევს.

– მაჰდი გამოგვიგზავნის ანგელოზს, რომელიც თვალებზე თითს დააფარებს ინგლისელებსა და თურქებს /ეგვიპტელებს/, ჩვენ კი ფრთებით დაგვიფარავს.

– იდრის – თქვა სტაშმა, – მე არ მივმართავ ხამისს, რომელსაც თავი ცარიელ გოგრას მიუგავს და არც გებჰრს, რომელიც ცბიერი ტურაა, არამედ მოგმართავ შენ. უკვე ვიცი, რომ მაჰდისთან უნდა მიგვიყვანოთ და სმაინს გადაგვცეთ. თუ ამას ფულის გულისთვის აკეთებთ, მაშინ იცოდეთ, რომ პატარა ბინტის /გოგონას/ მამა, ერთად აღებულ მთელს სუდანელებზე უფრო მდიდარია.

– მერე რა? – შეაწყვეტინა იდრისმა.

– მერე რა? უკანვე დაგვაბრუნეთ და არც დიდი მეჰენდი და არც მამაჩემი ფულს არ დაიშურებენ.

– ანდა მთავრობას გადაგვცემენ, რომელიც უმალვე ჩვენი ჩამოხრჩობის ბრძანებას გასცემს.

– არა, იდრის. თუმცა ჩამოხრჩობას ვერ აცდებით, თუ გაქცეულებს დაგიჭერენ. ამას წყალი არ გაუვა. მაგრამ თუ საკუთარი სურვილით დაგვაბრუნებთ, არავინ დაგსჯით, ეგ კი არა და, სიცოცხლის ბოლომდე უმდიდრესი ადამიანები იქნებით. შენ კარგად იცი, რომ თეთრი ევროპელები სიტყვას არ გატეხენ. ჰოდა, ორივე მეჰენდის სახელით პირობას გაძლევთ, რომ ისე იქნება, როგორც გეუბნებით.

სტაში დარწმუნებული იყო, რომ მამამისიც და პან რავლისონიც ასწილ ამჯობინებდნენ მის მიერ მიცემული სიტყვის შესრულებას, ვიდრე ორთავეს, განსაკუთრებით კი ნელის, საშინელი მგზავრობისა და მაჰდის თავაშვებულ და ველურ ურდოთა შორის კიდევ უფრო საშინელი ცხოვრებისათვის გასწირავდნენ.

ამიტომაც გულისფანცქალით ელოდა ფიქრებში ჩაფლული იდრისის პასუხს. სუდანელმა კარგა ხნის შემდეგ უპასუხა:

– შენ ამბობ, რომ პატარა ბინტისა და შენი მამა ბევრ ფულს მოგვცემენ, არა?

– დიახ, ასეა.

– ნუთუ გგონია, რომ მათი ფული გაგვიღებს სამოთხის კარს, რომლის გასაღებადაც მაჰდის მხოლოდ ერთი დალოცვაც კი საკმარისია?

– ბისმილაჰ! – შესძახა ორივე ბედუინმა – ხამისმა და გებჰრმა.

სტაშს უმალვე სასო წარეკვეთა, რადგან იცოდა, რომ, მართალია, აღმოსავლელის მოსყიდვა შეიძლება, მაგრამ თუ ჭეშმარიტი მაჰმადიანი რაიმე საქმეს რწმენის სამზერიდან შეხედავს, მორჩა, ქვეყნად არ მოიძევება ისეთი საუნჯე, რომლის წყალობითაც მისი ცდუნება შეიძლებოდეს.

შეძახილებით გამხნევებულმა იდრისმა საუბარი განაგრძო, მაგრამ არა იმდენად სტაშის პასუხად, რამდენადაც ამხანაგებს შორის მეტი რიდისა და პატივისცემის მოსაპოვებლად.

– ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება ვეკუთვნოდეთ იმ შტოს, რომელმაც შვა შესანიშნავი წინასწარმეტყველი, მაგრამ “კეთილშობილი” ფატმა შვილებითურთ მისი ნათესავია და დიდ მაჰდის ის უყვარს. თუ შენ და პატარა ბიტნს მას მიგგვრით, ფატმასა და მის ვაჟიშვილებზე გაგცვლით, ჩვენ კი დაგვლოცავს. დაიმახსოვრე, თუ წყალიც კი, რომლითაც ის ყოველ დილას ყურანის წესისამებრ განიბანება, სნეულებს ჰკურნავს და ცოდვებს განაქარვებს, მაშინ მისი დალოცვა რაღას იზამს!

– ბისმილაჰ! – გაიმეორეს სუდანელებმა და ბედუინებმა.

სტაშმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლა:

– თუ ასეა, მე წამიყვანეთ, ბედუინებმა კი პატარა ბინტი დააბრუნონ. ჩემს თავში გაცვლიან ფატმას და მის ვაჟებს.

– ორივეში უფრო ნაღდად გაცვლიან.

ამის გაგონებაზე სტაში ხამისს მიუბრუნდა.

– შენს საქციელზე მამაშენი აგებს პასუხს.

– მამაჩემი უკვე უდაბნოშია და წინასწარმეტყველისაკენ მიეშურება.

– ჰოდა, მას მაინც დაიჭერენ და ჩამოკიდებენ.

ახლა იდრისმა გადაწყვიტა ამხანაგების გამხნევება.

– ის ძერები, – თქვა, – რომლებმაც ჩვენს ძვლებს ხორცი უნდა შემოაჭამონ, შესაძლოა ჯერაც არ გამოჩეკილან. მშვენივრად ვიცით, რაც გვემუქრება, მაგრამ არც ბავშვები ვართ და უდაბნოსაც კარგა ხანია ვიცნობთ. ეს კაცები /და ბედუინებზე მიანიშნა/ უკვე მრავალჯერ ყოფილან ბერბერაში და კარგად იციან ისეთი გზები, რომლებზეც მხოლოდ გაზელები დახტიან. იქ ვერავინ გვიპოვის და ვერც ვერავინ დაგვიჭერს. ჭეშმარიტად, იძულებულნი ვიქნებით წყლისთვის ბაჰრ-ელ-იუსუფისაკენ გავუხვიოთ, მოგვიანებით კი ნილოსისაკენ, მაგრამ ამას ჩვენ ღამ-ღამობით ვიზამთ. ნუთუ გგონიათ, რომ მდინარეზე მაჰდის ფარული გულშემატკივრები არ არიან? მე გეუბნებით, რაც უფრი სამხრეთისაკენ წავალთ, ისინი მით მეტნი იქნებიან, მთელი ტომებიც კი და მათი შეიხები შესაფერის დროს ელოდებიან, რათა თავიანთი ჭეშმარტი რელიგიის დასაცავად მახვილს მოჰკიდონ ხელი. წყალს, საჭმელს, აქლემებს თავად მოგვაწვდიან და მდევარსაც კვალს აუბნევენ. მართალია, ვიცით, რომ მაჰდიმდე შორია, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ყოველი დღე მიგვაახლოებს იმ ცხვრის ტყავს, რომელზეც დაჩოქილი წინასწარმეტყველი ყოველდღე ლოცულობს.

– ბისმილაჰ! – მესამეჯერ შეჰყვირეს ამხანაგებმა.

იდრისის ღირსება, ჩანდა თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა. სტაში მიხვდა, რომ წააგო, მაგრამ სუდანელთა რისხვისაგან ნელის დასაცავად უკანასკნელად გაიბრძოლა:

– ექვსი საათის ჭენების შემდეგ ნელი სულს ძლივს ითქვამს. როგორ გგონიათ, ამხელა გზას გაუძლებს? ეს რომ მოკვდეს, მეც მოვკვდები, ჰოდა, როგორღა მიხვალთ მაჰდისთან?

ახლა იდრისმა ვეღარ მოახერხა პასუხის გაცემა, ჰოდა, სტაშმა განაგრძო:

– როგორღა მიგიღებენ მაჰდი და სმაინი, როცა გაიგებენ, რომ თქვენი სისულელის წყალობით ფატმა და მისი შვილები სიცოცხლეს უნდა გამოასალმონ?

მაგრამ სუდანელი გონს მოედო და უმალვე უპასუხა:

– კარგად დავინახე, როგორ უვარჯიშებდი გებჰრს კისერს. ალაჰს ვფიცავ, სწორედ ლომის ლეკვი ხარ და არ მოკვდები, გოგონას კი...

და მოხუცი დინაჰის მუხლებზე მიყრდნობილი ნელის პაწია თავს რომ შეხედა, რაღაცნაირად დამტკბარი ხმით დაასრულა:

– გოგონას კი აქლემის კუზზე ჩიტის ბუდესავით ლამაზ სამყოფელს დავუწნავ, რომ დაღლა არ იგრძნოს და გზაში ისევე მშვიდად იძინოს, როგორც ახლა ძინავს.

ეს რომ თქვა, აქლემებისკენ წავიდა და ბედუინებთან ერთად ყველაზე საუკეთესო დრომადერის ზურგზე გოგონას სამყოფელის კეთებას შეუდგა. ბევრს ლაპარაკობდნენ და კინკლაობდნენ კიდეც, მაგრამ მალე თოკების, შალებისა და ბამბუკის ჯოხების მეშვეობით შეჰკრეს როგორიღაც ღრმა, მტკიცე კალათი, რომელშიც ნელის ჯდომაც შეეძლო, წოლაც და რაც, მთავარია, გადმოვარდნის საშიშროებაც გამოირიცხა. ამ ვრცელ კალათში, რომელსაც სახურავიც გაუკეთეს, დინაჰიც თავისუფლად ჩაეტეოდა.

– აი, ხომ ხედავ, – უთხრა იდრისმა სტაშს – ამ შალებში მწყრის კვერცხიც კი არ გატყდება. გოგონასთან მოხუცი ქალი იმგზავრებს, რომ დღისითაც ემსახუროს და ღამითაც... შენ მე შემომიჯდები, თუმცა შეგიძლია მას გაყვე უკან და იფხიზლო.

სტაში გახარებული იყო, თუნდაც ამას რომ მიაღწია. თავიანთ მდგომარეობას რომ ჩაუფიქრდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათ უეჭველად დაიჭერდნენ ჯერ კიდევ პირველ ჭორომამდე და ამ აზრმა მხნეობა შემატა. საშინლად ეძინებოდა და თავს აღუთქვა, რაიმე თოკით მიმაგრებოდა უნაგირს და, რადგან ნელის მზრუნველობა აღარ სჭირდებოდა, რამდენიმე საათი გამოეძინა.

ღამე თანდათან გაფერმკრთალდა და ხეობაში ტურებმა წკავწკავი შეწყვიტეს. ის იყო ქარავანი გზას უნდა დადგომოდა, მაგრამ სუდანელებმა მოშორებით აღმართული კლდის მიღმა განთიადის ნათელს მოჰკრეს თვალი და, ყურანის წესისამებრ, განბანას შეუდგნენ, ოღონ წყლის დაზოგვის მიზნით, ქვიშა იხმარეს. მერე განთიადის პირველი ლოცვა წარმოსთქვეს. ჩამოწოლილ მდუმარებაში მათი ხმები მკვეთრად ჟღერდა: “მოწყალეო და ლმობიერო ღმერთო. იდიდოს სახელი შენი, სამყაროს მფლობელო მოწყალეო და ლმობიერო, განსჯის დღეს შენ გადიდებთ და თაყვანს გცემთ. შენ გევედრებით შველას. გვატარე იმ გეზით მათსავით, ვისთვისაც არ გენანება

კეთილდღეობა და გულმოწყალება და ნუ გვატარებ ბილიკებით, რომლითაც უვლიათ ცოდვილთ და დღესაც დაეხეტებიან და ამით დაიმსახურეს შენი რისხვა. ამინ.”

ამ სიტყვების გაგონებაზე სტაშმა თვალები ზეცას მიაპყრო და იმ მივარდნილ მხარეში, სადაც მხოლოდ ქვიშა ბატონობდა, გულმხურვალედ წარმოთქვა: “შენი შემწეობის იმედი გვაქვს დედაო ღვთისმშობელო...”

კარი VIII

ღამე ფერმკრთალდებოდა. ის იყო ხალხი აქლემებზე უნდა შემსხდარიყო, რომ ანაზდად თვალი მოჰკრეს უდაბნოს კუდამოძუებულ მგელს, რომელმაც ხეობაში ქარავნისაგან ასიოდ ნაბიჯის მოშორებით გაიელვა და მაღლა ასულმა უკანმოუხედავად მოუსვა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ შეშინებული რაღაცას გაურბოდა. ეგვიპტის უდაბნოში არ იყო ისეთი ველური ნადირი, რომლისაც მგელს შეეშინდებოდა; ამიტომ შეაშფოთა მისმა ქცევამ სუდანელი არაბები. რა უნდა ყოფილიყო? ნუთუ მდევარი უახლოვდებოდათ? ერთ-ერთი ბედუინი უმალვე კლდეზე აცოცდა და ის იყო, იქაურობას თვალი მოავლო, მსწრაფლვე ძირს ჩამოცოცდა.

– ო, წინასწარმეტყველო! – შესძახა არეულმა და დამფრთხალმა – მგონო ლომი მოგვდევს და საცაა აქ გაჩნდება!

ამის თქმა და კლდის იქიდან ბოხი “აფ, აფ” გაისმა, რის შემდეგაც სტაშმა და ნელიმ ერთხმად შესძახეს:

– ლომა! ლომა!

ბედუინები კიდევ უფრო დაფრთხნენ, მაგრამ ხამისმა გაიცინა და თქვა: – ვიცნობ მაგ ლომს.

თქვა და ერთი გემრიელად დაუსტვინა თუ არა, იმავე წამს ვეებერთელა ქოფაკი აქლემებს შორის შეიჭრა. ბავშვებთან მივარდა, მისკენ ხელებგაშვერილი ნელი წააქცია, სტაშს აეტორღიალა, მერე წკმუტუნ-წკმუტუნით ორივეს გარშემოუარა, ისევ წააქცია ნელი, ისევ აეტოტა სტაშს და ბოლოს მათ ფეხებთან გაშხლართული აქლოშინდა.

გვერდები ჩაცვენოდა, გადმოგდებული ენიდან დორბლი სდიოდა, მაინც კუდს აქიცინებდა და ნელის სიყვარულით შესცქეროდა, თითქოსდა უნდოდა ეთქვა: “მამაშენმა შენი დარაჯობა მიბრძანა და აგერ, უკვე შენთან ვარ.”

ბავშვები აქეთ-იქიდან მიუსხდნენ და მიუალერსეს. ორი ბედუინი, რომელთაც მსგავსი არსება მანამდე არ ენახათ, განცვიფრებულნი შესცქეროდნენ და წამდაუწუმ იმეორებდნენ: “ალაჰ! რამხელა ძაღლია!” ძაღლი ერთხანს მშვიდად იწვა, მერე თავი ასწია, ვეებერთელა ცხვირით ჰაერი მოყნოსა და ფეხზე წამომხტარი კოცონთან მივარდა საჭმლის ნარჩენებისთვის.

იმავე წამს თხისა და ცხვრის ძვლები ჩალასავით დაიფქვა ძაღლის ძლიერ კბილებშუა. შვიდი ადამიანის საჭმლის მონარჩენი ლომას ძლივს ეყო.

სუდანელები ერთობ ჩააფიქრა ძაღლის გამოჩენამ, ორმა მეაქლემემ ხამისი გვერდზე გაიხმო და მათ შორის მღელვარე საუბარი გაიმართა:

– რა ეშმაკმა მოიყვანა ეს ძაღლი აქ! – შესძახა გებჰრმა. – როგორ მოაგნო ბავშვებს, როცა გჰარაკში მატარებლით ჩამოვიდნენ?

– ალბათ აქლემების კვალს გამოჰყვა. – მიუგო ხამისმა.

– ძალიან ცუდი ამბავია. ყველა, ვინც დაინახავს, ჩვენს ქარავანს დაიმახსოვრებს და გაგვთქვამს, საითკენ წავედით. ახლავე უნდა გავაქროთ.

– კი მაგრამ, როგორ? – ჰკითხა ხამისმა.

– ხომ არის თოფი, აიღე და შიქ თავში დაუმიზნე.

– თოფი კი არის, მაგრამ მე რომ სროლა არ ვიცი. თქვენ იცით?

გაჭირვების ჟამს ხამისს შეიძლება კიდეც მოეხერხებინა სროლა, სტაშს ხომ მისი თანდასწრებით არაერთხელ გადაუხსნია იარაღი და დაუხურავს, მაგრამ გულით ეცოდებოდა ძაღლი, რომელსაც მედინეტში მეთვალყურეობდა. მშვენივრად იცოდა, ამასთანავე, რომ სუდანელებს ახალ იარაღზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ და ვერც მოიხმარდნენ.

– თუ თქვენ არ იცით, – თქვა ეშმაკური ღიმილით, – მაშინ ძაღლის მოკვლას მოახერხებს მხოლოდ პატარა ნუზრნი /ქრისტიანი/, მაგრამ იმ თოფს შეუძლია რამდენჯერმე გაისროლოს, ამდენად, არ გირჩევთ, თოფი მის ხელში მოხვდეს.

– ღმერთმა დაგვიფაროს. – უპასუხა იდრისმა. – მწყრებივით მიგვაწყობს ერთმანეთზე.

– დანა ხომ გაქვს. – შენიშნა გებჰრმა.

– მიდი, სინჯე, ოღონდ ნუ დაგავიწყდება, რომ გაქვს ყელი, რომელსაც ძაღლი უმალვე გამოგღადრავს, სანამ შენ დარტყმას მოასწრებდე.

– აბა, რა ვქნთ?

ხამისმა მხრები აიჩეჩა.

– ვერ გამიგია, რატომ კლავთ მაგ ძაღლს? ქვიშაც რომ მიაყარით, ტურები მაინც ამოთხრიან, მდევარი იპოვის მის ძვლებს და მიხვდება, რომ ნილოსი გადავჭერით, რადგან იქით გვიჭირავს გეზი. წამოგვყვეს. რამდენჯერაც ბედუინები წყლის მოსატანად წავლენ, ჩვენ რომელიმე ხეობაში დავიმალებით, დარწმუნებული იყავით, ბავშვებს არ მოსცილდება. ალაჰ! კიდევ კარგი რომ უკვე დაგვეწია, თორემ მდევარს ბერბერაში მოგვაყენებდა. მაგის კვება არ დაგვჭირდება, რადგან მონარჩენებიც ეყოფა, თუ არა და ამას ტურა და აფთარი გაუმკლავდება? გეუბნებით თავი დაანებეთ და ტყულუბრალოდ ლაპარაკში დროს ნუ კარგავთ.

– ეგებ მართალიც ხარ. – თქვა იდრისმა.

– მართალი თუ ვარ, წყალსაც დავალევინებ ხოლმე, რათა მოწყურებული თავად არ გაიჭრას ნილოსისაკენ და სოფლებში არ გამოჩნდეს.

ასე გადაწყდა ბედი ლომასი, რომელმაც მცირე დასვენებისა და დანაყრების შემდეგ, მთელი თასი წყალი თვალისდახამხამებაში გააქრო და ქარავანს ღონემოცემული აედევნა.

ხებოდან გამოსულები უმალვე აღმოჩნდნენ ნაოჭ-ნაოჭ ქვიშადადებულ ტრიალ უდაბნოში. ზეცას ამჯერად მარგალიტისფერი ედო. აღმოსავლეთით თავშეყრილი თეთრი ღრუბლები ანაზდად ოქროსფრად შეიმღვრა. ჯერ ერთი სხივი გამოკრთა, მერე – მეორე და როგორც საერთოდ სჩვევია მზეს სამხრეთით, სადაც საერთოდ არ იცის შებინდება და განთიდი, კი არ ამოვიდა, ღრუბლებიდანცეცხლის ენასავით ამოიფრქვა და იქაურობა თვალისმომჭრელი შუქი მოჰფინა. ზეცას მხიარული იერი დაედო, გამხიარულდა მიწაც და ადამიანთა თვალწინ ამქვეყნიური უსასრულობა გადაიშალა.

– უნდა ვიჩქაროთ, – თქვა იდისმა, – რადგან აქ შორიდანაც კარგად ვჩანვართ.

დასვენებული და დარწყულებული აქლემები გაზელებივით გაიჭრნენ წინ. ლომა ჩამორჩა, მაგრამ ეჭვი არ იყო, რომ პირველივე შეჩერებისას წამოეწეოდათ. დრომადერი, რომელზეც სტაში იდრისს შემოჯდომოდა, ნელის აქლემის გვერდით გარბოდა, ასე რომ ბავშვებს თავისუფლად შეეძლოთ ერთმანეთს დალაპარაკებოდნენ. სუდანელების გაკეთებული დასაჯდომი, მართლაც რომ დიდებული აღმოჩნდა და ნელი იქ თავს ისე გრძნობდა, როგორც ჩიტი ბუდეში. მძინარეც კი არ გამოვარდებოდა და ჭენება არც

ღამით შეაწუხებდა. დღის ნათელმა ბავშვები ცოტა მოაგუნება. სტაშს გულში იმედი ჩაუდგა, რადგან, მისი აზრით, თუ ლომამ მოაგნოთ, მდევარს რაღა დაუდგებოდა წინ. თავისი აზრი უმალვე გაუზიარა ნელის, რომელმაც მოტაცების შემდეგ პირველად გაუღიმა.

– როდის დაგვეწევიან? – ჰკითხა ფრანგულად, რათა იდრისს არ გაეგო.

– არ ვიცი. იქნებ დღეს, ან ხვალ, ანდა სულაც ორი-სამი დღის შემდეგ.

– უკანაც ხომ აქლემებით არ წავალთ?

– არა. მხოლოდ ნილოსამდე მივალთ, ნილოსიდან კი – ელ-ვასტაში.

– რა კარგია, ვაი, რა კარგია!

საბრალო ნელის, აქამდე სანატრელი სეირნობა, ჩანს, უკვე ყელში ამოსვლოდა.

– ნილოსიდან... ელ–ვასტაში, იქიდან კი მამიკოსთან! – იმეორებდა ნამძინარევი ხმით.

და რამდენადაც წინა შესვენებისას საკმარისად ვერ გამოიძინა, ახლა ჩაეძინა ისე ღრმად, როგორც ქანცგამოცლილ ადამიანს ჩაეძინება ხოლმე განთიადისას. ამასოსაში ბედუინები აქლემებს სულმოუთქმელად მიერეკებოდნენ და სტაშმა შენიშნა, რომ უდაბნოს შუაგულისაკენ მიემართებოდნენ.

თავისი აზრის დასამტკიცებლად იდრისს გამოელაპარაკა:

– ნილოსსა და ბაჰრ-იუსეფს სცილდებით, მაგრამ ეს ვერ გიშველით, რადგან ძებნას სანაპიროზე კი არ დაგვიწყებენ, სადაც სოფლები ერთიმეორის მიყოლებით მდებარეობს, არამედ შუაგულ უდაბნოში.

იდრისმა ჰკითხა:

– შენ საიდან იცი, რომ ნილოსს ვცილდებით, როცა აქედან ნაპირის დანახვა შეუძლებელია?

– საიდან და მზე, რომელიც აღმოსავლეთით იმყოფება, ახლა ზურგში გვაცხუნებს; ეს იმას ნიშნავს რომ დასავლეთისაკნ მივდივართ.

– ჭკვიანი ბიჭი ხარ. – აღიარა იდრისმა.

მაგრამ წამის შემდეგ დასძინა:

– მაგრამ ვერც მდევარი დაგვეწევა და ვერც შენ გაიქცევი.

– არა, – უპასუხა სტაშმა, – მე არ გავიქცევი... მაგრამ თუ გავიქეცი, მხოლოდ მასთან ერთად.

და მძინარე ნელიზე ანიშნა.

შუადღემდე შეუსვენებლად მიაჭენებდნენ, მაგრამ როგორც კი მზემ მაღლა აიწია და დააცხუნა, აქლემებს, რომლებიც საერთოდ იშვიათად ოფლიანდებიან, ამჯერად ოფლი წყალივით გასწურწურებდათ და ვეღარც წეღანდელივით გარბოდნენ. ქარავანს ისევ კლდეები და ნაშალი შემოეჯარა. ხეობები, რომლებიც წვიმიანობისას ნაკადულების კალაპოტად იქცევიან, ახლა წამდაუწუმ ხვდებოდათ. ბედუინები მთლად კლდეში ჩაკარგულ ერთ-ერთ ასეთ ხეობაში შეჩერდნენ. მაგრამ აქლემებიდან ჩამოხტომაც ვერ მოასწრეს, რომ უმალვე ისევ წინ გაიჭრნენ, თან გამოშვერილ კლდის ქიმებს თავს არიდებდნენ. სტაშმა აქლემიდან ჩამოხტომა ვერც კი მოახერხა, რომ ანაზდად თვალწინ ასეთი სურათი გადაეშალა: ხეობის ძირში მოფენილ გადამხმარ ბუჩქებს შორის უზარმაზარი გველი გამოძვრა და ელვის უსწრაფესად გასრიალდა კლდის ნაშალისაკენ, თავის ერთ-ერთ ხვრელში ჩასაძრომად. გამძვინვარებული ბედუინები უკან დაედევნენ, მათ საშველად გავარდა დანამომარჯვებული გაბჰრიც. ოღროჩოღრო ადგილმდემარეობის გამო ვარც ქვის მორტყმა მოახერხეს და ვერც დანისა, ჰოდა შეშინებულებმა ისევ უკან დაბრუნება ამჯობინეს.

და გაისმა არაბებისათვის დამახასიათებელი შეძახილები:

– ალაჰ!

– ბისმილაჰ!

– მაშალაჰ!

ამის შემდგომ ორივე სუდანელმა სტაშს რაღაც განცვიფრებული და გამომცდელი მზერა მიაპყრო, ის კი ვერაფერს მიხვდა.

ამასობაში ნელიც ჩამოსვეს აქლემიდან და რადგან ახლა ნაკლებად დაღლილიყო, ვიდრე წინა ღამეს, სტაშმა ჩრდილში ქეჩა გაუშალა, როგორც იტყვიან, მუხლის გასაშლელად. არაბებმა სადილობის თადარიგი დაიჭირეს. ჩამორიგდა ორცხობილა, ფინიკი და ყლუპი წყალი. აქლემებისთვის წყალი არ მიუციათ, რადგან ღამით დაარწყულეს. იდრისს, გებჰრს და ბედუინებს შეფიქრიანება ეტყობოდათ და ყველანი მდუმარედ ილუკმებოდნენ. ბოლოს იდრისმა სტაში განზე გაიხმო და იდუმალი, ამასთანავე მღელვარე სახით ჰკითხა:

– გველი თუ დაინახე?

– დავინახე.

– შენ ხომ არ შეულოცე, რომ წინ დაგვხვედროდა?

– არა.

– რაღაც უბედურება შეგვემთხვევა, რადგან იმ ჩერჩეტებმა მისი მოკვლა ვერ მოასწრეს.

– სახრჩობელა გელოდებათ.

– ხმა გაკმინდე. მამაშენი ჯადოქარი ხომ არ არის?

– არის. – უყოყმანოდ მიუგო სტაშმა, რადგან უმალვე მიხვდა, რომ ეს ველური და ცრუმორწმუნე ადამიანები ქვეწარმავლის დანახვას ცუდის მომასწავებელ ნიშნად მიიჩნევდნენ.

– მაშ ეს განსაცდელი მამაშენმა მოგვივლინა? – თქვა იდრისმა – მაგრამ უნდა სცოდნოდა, რომ მისი ჯადოქრობოსთვის შენზე ვიძიებთ შურს.

– ვერაფერსაც ვერ მიზამთ, რადგან მერე ფატმას ვაჟიშვილს აგებინებენ პასუხს.

– მაგას უკვე მიხვდი? მაგრამ ისიც ნუ დაგავიწყდება, მე რომ არა, გებჰრი მათრახის ცემით ამოგხდიდა სულს.

– მხოლოდ შენ დაგიდგები თავდებად, გებჰრი კი ყულფში გაჰყოფს თავს.

ამის გამგონე იდრისს გაოცებისაგან ერთხანს ენა ჩაუვარდა, მერე კი უთხრა:

– ჯერჯერობით ჩვენი სიცოცხლე შენს ხელთ არაა, შენ კი უკვე ბატონივით გველაპარაკები...

და მერე დასძინა:

– საოცარი ბიჭი ხარ და შენნაირი ვერ არავინ მინახავს. აქამდე კეთილად გეპყრობოდით, ჰოდა, თავი შეიკავე და მუქარას მოეშვი.

– ღმერთი ღალატს არავის აპატიებს. – მიუგო სტაშმა.

აშკარად იგრძნობოდა, რომ ბიჭის თავდაჯერებულმა საუბარმა და გველის გაქცევამ იდრისი მეტისმეტად ჩააფიქრა. უკვე აქლემზე შემჯდარმა რამდენჯერმე გაიმეორა: “მე თქვენთვის არაფერი დამიშავებია,” თითქოსდა ყოველი შემთხვევისთვის სტაშს თავისი კეთლიმყოფლობა წინდაწინ გონებაში უნდა ჩაუბეჭდოსო, მერე კი კაკლის ნაჭუჭისაგან გაკეთებული კრიალოსანი ჩამომარცვლა და ლოცვას შეუდგა.

ნაშუადღევის ორი საათის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი იდგა, აუტანელი სიცხე ჩამოწვა. ცაზე ერთი ღრუბელიც არ ჩანდა, მაგრამ ჰორიზონტი რატომღაც შეიმღვრა. ქარავანს თავს დასტრიალებდა რამდენიმე ძერა, რომელთა ფართოდ გაშლილი ფრთები ქვიშაზე ჩრდილებს ჰფენდა. გახურებულ ჰაერში მხუთრის სუნი ტრიალებდა. აქლემები ძველებურად მიქროდნენ, მაგრამ მალე უცნაური ხვიხვინი აუტყდათ. ერთ-ერთი ბედუინი იდრისს მიუახლოვდა.

– რაღაც ცუდი გვიახლოვდება. – უთხრა.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა სუდანელმა.

– ავმა სულებმა გააღვიძეს უდაბნოს დასავლეთით მძინარი ქარი, ჰოდა ქვიშიდან წამომდგარი ახლა ჩვენსკენ მოიჩქარის.

იდრისი უნაგირზე წამოიმართა, შორს გაიხედა და მიუგო:

– ეგრეა. დასავლეთიდან და სამხრეთიდან მიემართება, მაგრამ ეგ კჰმასინივით* მძვინვარე არ არის.

– სამი წლის წინ აბუ-ჰამელის მახლობლად მთელი ქარავანი ჩამარხა და მხოლოდ შარშან ზამთარს გადააცალა ქვიშა. იალაჰ! ნეტა ძალა მოგვცა, აქლემებს ნესტოები ამოვუგმანოთ და ტიკებში წყალი დავაშროთ.

– უნდა ვიჩქაროთ, რომ მხოლოდ ცალი ფრთით შეEგვეხოს.

– პირდაპირ მისკენ მივქრივართ და მხარის აქცევას ვერ შევძლებთ.

– რაც უფრო სწრაფად მოგვიახლოვდება, მით სწრაფადვე ჩაგვიქროლებს.

ამის თქმაზე იდრისმა აქლემს მათრახი მოუქნია, სხვებმაც მას მიჰბაძეს. ერთხანს ტაშისცემასავით გაისმოდა მათრახების ტკაცატკუცი და შემახილები: იალა!.. სამხრეთ-დასავლეთით მანამდე მოთეთრო ჰორიზონტი ჩაშავდა. ისევ ხვატი იდგა და მიმავალთ თავი უხურდათ. ძერები, ეტყობა, ძალზე მაღლა აფრინდნენ, რადგან მათი ფრთათა ჩრდილები თანდათან დაპატარავდა და ბოლოს სულაც გაქრა.

სულის მოთქმა გაჭირდა.

არაბები აქლემებს მანამდე უყვიროდნენ, სანამ ყელი არ გაუშრათ, რის შემდეგაც დადუმდნენ და იქაურობა ანაზდად მოიცვა სამარისებურმა სიჩუმემ, რასაც დროდადრო ნადირთა ბღავილი არღვევდა. ქარავანს ორმა პაწაწინა, მაგრამ დიდყურა მელამ ჩაურბინა და მოწინააღმდეგე მხარეს გაუჩინარდა.

იმავე ბედუინმა, რომელიც წეღან იდრისს ესაუბრა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაილაპარაკა, მაგრამ ამჯერად ხმა საგრძნობლად შეცვლოდა.

– ეს ჩვეულებრივი ქარი არ იქნება. ბოროტი ჯადო მოგვდევს. ყველაფერი გველის ბრალია.

– ვიცი. – მიუგო იდრისმა.

– შეხე, ჰაერი თრთის. ზამთარში ასეთი რამ არ იცის.

მართლაც, გახურებული ჰაერი ათრთოლდა და თვალაჭრელებულ მგზავრებს მოეჩვენათ, თითქოს ქვიშაც ათრთოლდა. ბედუინმა ოფლით დასველებული თავსაბურავი მოიხსნა და თქვა:

– უდაბნოს გული მღელვარებისგან თრთის.

მეორე, აქლემების მეგზურად წინმიმავალი ბედუინი, შემობრუნდა და დაიძახა:

– უკვე მოდის! მოდის!

და მართლაც, ქარი უახლოვდებოდათ. შორიდან გამოჩნდა რაღაც შავი ღრუბელი, რომელსაც თანდათან ემატებოდა სიმაღლე და ქარავნისაკენ მოიწევდა. ირგვლივ ჰაერის ტალღები ამოძრავდა და უცაბედმა დაქროლვამ ქვიშა დაახვია. აქა-იქ ძაბრები გაჩნდა, თითქოსდა ვიღაც უჩინარი ჯოხებზე ახვევდა უდაბნოს სივრცეს. ალაგ-ალაგ სწრაფმა გრიგალმა ჩამოიქროლა, მაგრამ ეს ყოველივე წამისუსწრაფესად ჩამთავრდა. აქლემების მეგზურის მიერ დანახული ღრუბელი ენითუთქმელი სისწრაფით მოვარდა. ხალხსა და პირუტყვს თითქოსდა რაღაც უზარმაზარმა ფრინველმა შემოჰკრა ფრთა. მგზავრებს თვალები და პირი უმალვე მტვრით აევსო. მტვრისავე ნისლმა დაფარა ზეცა, დააბნელა მზე და დედამიწის წყვდიადში გაეხვია. ხალხი თვალსა და ხელს შუა გაქრა, აქლემები უმწეოდ აბარბაცდნენ. შრიალი კი არა, უდაბნოში ხომ ხეები არ არის, ქარიშხლის გუგუნი ახშობდა მეწინავის ყვირილსა და პირუტყვის ბღავილს. ჰაერში მხუთრის სუნი დატრიალდა. აქლემებმა მიწას ფეხები მიაბჯინეს და გრძელი კისრები ისე დახარეს, ნესტოებით თითქმის ქვიშას ეხებოდნენ.

სუდანელები შეჩერებაზე არ თანხმდებოდნენ, რადგან ქარიშხლის დროს დამდგარი ქარავანი ხშირად ქვიშაში იმარხებოდა. მსგავს შემთხვევაში ყველაზე კარგია ქარიშხლის მიმართულებით სწრაფი ჭენება, მაგრამ იდრისს და გებჰრს არც ეს უნდოდათ, რამეთუ, ამგვარად ისევ დაბრუნდებოდნენ ფაიუმში, საიდანაც მდევარს მოელოდნენ. ჰოდა, რადგან პირველი დარტყმა უკვე გადაიტანეს, აქლემები ისევ წინ გაიჭრნენ.

წამიერი სიჩუმე ჩამოწვა, მაგრამ წყვდიადი მეტისმეტად ნელა იფანტებოდა, ამგვარად ჰაერში ჩამოფარებულ სქელ ნისლში არც მზე ჩანდა. ქვიშის წვიმა წამოვიდა. ქვიშა ავსებდა უნაგირებისა და ტანსაცმლის ყველა ღრიჭოსა და ნაოჭს. ადამიანები და პირუტყვი წამიწამ ისუნთქავდნენ მტვერს, რაც ფილტვებს საშინლად აღიზიანებდა და კბილებშიც ხრჭიალებდა.

შესაძლებელია გრიგალი ისევ ამოვარდნილიყო და მთელი სამყარო დაებნელებინა. სტაშს ანაზდად თავში გაუელვა, ერთი ასეთი ჩამობნელების ჟამს, ნელისთან ერთად აქლემზე რომ მჯდარიყო, შეეძლო უკან შემობრუნება და ქარდაქარ ჩრდილოეთისაკენ გაქცევა. ვინ იცის, წყვდიადში ეგებ ვერც შეემჩნიათ მათი გაუჩინარება, ნილოსზე ბაჰრ-იუსეფთან მდებარე რომელიმე სოფლამდე მიღწევას თუ მოახერხებდნენ, გადარჩენილნი იყვნენ – იდრისი და გებჰრი გამოდგომას ვერ გაბედავდნენ, რადგან უმალვე ადგილობრივ ზაბტივებს ჩაუვარდებოდნენ ხელში.

ყველაფერი რომ აწონ-დაწონა, სტაშმა იდრისს მხარზე ხელი წაჰკრა:

– წყალი მომეცი.

იდრისს უარი არ უთქვამს და თუმცა მდინარეს კარგა მანძილით დაშორდნენ, წყალი მაინც ბლომად ჰქონდათ. ამას გარდა, როგორც უდაბნოს კარგად მცოდნემ, იცოდა, რომ გრიგალს, ჩვეულებისამებრ, წვიმა მოჰყვება და დამშრალი ხევები უმალვე ნაკადულებად იქცევა ხოლმე.

სტაშს მართლაც წყუროდა და ხარბადაც დალია; ჭურჭელი რომ დაუბრუნა, იდრისს, ისევ მხარზე წაჰკრა ხელი.

– ქარავანი გააჩერე.

– რატომ? – ჰკითხა სუდანელმა.

– რატომ და პატარა ბინტის აქლემზე უნდა გადავჯდე და წყალი დავალევინო.

– დინაჰს ჩემზე მეტი წყალი აქვს.

– დინაჰი ღორმუცელაა და შეიძლება სულ დალია. თან თქვენს გაკეთებულ კალათივით უნაგირს ბევრი ქვიშა დაეყრებოდა. დინაჰი მის გაწმენდას ვერ მოახერხებს.

– საცაა ქარი ისევ ამოვარდება და ყველაფერს ქვიშით აავსებს.

– ჰოდა პატარა ბინტს მით უფრო ენდომება შველა.

იდრისმა აქლემებს მათრახი გადაჰკრა და ერთხანს მდუმარედ მიდიოდნენ.

– რატომ არ მპასუხობ? – ჰკითხა სტაშმა.

– რატომ და იმას ვფიქრობ, უნაგირზე მიგაბა თუ ხელები შეგიკრა.

– გაგიჟდი?

– არა. მაგრამ შენს ჩანაფიქრს მივხვდი.

– მდევარი მაინც დაგვეწევა, ასე რომ, მაგას მაინც არ ვიზამ.

– უდაბნო ღვთის ხელშია.

ისევ დადუმდნენ. მსხვილი ქვიშა მთლიანად ჩამოიცალა; ჰაერში დარჩა მხოლოდ წვრილი, რაღაც ჭირხლისმაგვარი წითელი მტვერი, რომლის მიღმაც მზე გავარვარებული ღუმლის ფილასავით მოჩანდა, მაგრამ უკვე შეიძლებოდა შორ მანძილზე გახედვა. ქარავნის წინ ახლა ვრცელი დაბლობი გადაშლილიყო, მაგრამ ამ დაბლობის თითქმის ბოლოში არაბთა მახვილმა მზერამ უკვე შენიშნა ახალი ღრუბელი. იგი წინაზე უფრო მაღალი იყო, ამას გარდა ღრუბელი თითქოსდა გავარვარებულ სვეტებს და ვეებერთელა ქვებს ისროდა. ამის დანახვაზე არაბებსა და ბედუინებს გული აუთრთოლდა, რამეთუ იცნეს ქვიშის ვეებერთელა გრიგალი. იდრისმა ხელები ზეაღმართა, ხელისგულები ყურებისკენ მიიმარჯვა და მოახლოებულ გრიგალს თაყვანი სცა. ერთადერთი ღმერთის რწმენა, ჩანს, ხელს არ უშლიდა თაყვანი და პატივი ეცა სხვისთვისაც, რადგან სტაშმა გარკვევით გაიგონა:

– ბატონო! ჩვენ შენი შვილები ვართ და ნუ ინებებ ჩვენს შეჭმას!

“ბატონი” კი უკვე მოვარდა და აქლემებს ისეთი საშინელი ძალით ეძგერა, კინაღამ მიწაზე დაყარა. პირუტყვი მჭიდროდ მიეკრა ერთმანეთს და წრის შიგნით მოქცეული თვალები დაბლა დახარა. თითქოსდა მთელმა ქვიშამ ფეხი აიდგაო. ქარავანი უწინდლზე ბნელმა წყვდიადმა შთანთქა, იმ წყვდიდში კი მგზავრებს გვერდით ჩაუქროლა კიდევ უფრო შავმა, უჩვეულო საგნებმა, ვეებერთელა ფრინველებმა თუ იმავე გრიგალის მიერ საიდანღაც Cწამოღებულმა აქლემებმა; შიშმა შეიპყრო არაბები, რომელთაც ეს ყველაფერი ქვიშაში დაღუპული ცხოველებისა და ადამიანების სულები ეგონათ. ქარიშხლის ამ გრიალსა და გუგუნში დროდადრო უცნაური, ქვითინისა თუ სიცილის მსგავსი ხმები მოისმოდა, ხანაც თითქოს ვიღაც შველას ითხოვდა. მაგრამ ეს მოჩვენება იყო. ქარავანს ასგზის საშინელი განსაცდელი ელოდა. სუდანელებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ თუ გრიგალი მათ პირდაპირ დაეტაკებოდა, მხედრებიან-აქლემებიანად მოცელავდა და აიტაცებდა, მაგრამ თუ გატყდებოდა და დაეცემოდათ, თვალისდახამხამებაში მოუწყობდათ უზარმაზარ ქვიშის სამარხს, სადაც უნდა დალოდებოდნენ მომავალ გრიგალს, რომელიც მათ ჩონჩხებს ქვიშას გადააცლიდა.

სტაშს თავბრუ ესხმოდა, სუნთქვა უჭირდა და ქვიშამ თითქმის დააბრმავა. მაგრამ ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ნელის ტირილი და ძახილი ესმოდა. ჰოდა, მხოლოდ მასზე ფიქრობდა. რადგან აქლემები ერთად შეჯგუფებულიყვნენ და იდრისი მას ყურადღებას ვეღარ აქცევდა, შემთხვევით ისარგებლა და გადაწყვიტა, აქლემიდან შეუმჩნევლად გადასულიყო ნელისთან, მაგრამ უკვე არა გასაქცევად, არამედ მისაშველებლად და გასამხნევებლად. მაგრამ ის იყო ფეხი მაღლა ასწია და ხელი წაიღო ნელის უნაგირზე მოსაჭიდებლად, ანაზდად იდრისის უშველებელი მუშტი მოხვდა. სუდანელმა ბუმბულივით აიტაცა, წინ დაისვა და პალმის წკეპლა უცხუნა, მერე ხელები გაუკრა და უნაგირზე გადაკიდა. სტაში კბილებს აკრაჭუნებდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უძალიანდებოდა, მაგრამ – ამაოდ. ხახაგამშრალსა და ქვიშით პირგავსებულს არც შეეძლო და არც უნდოდა იდრისი დაერწმინებინა, რომ გოგონას მიხმარება სურდა და არა გაქცევა.

მცირე ხნის შემდეგ, როცა იგრძნო, რომ იხრჩობოდა, მოგუდული ხმით აყვირდა:

– პატარა ბინტს უშველეთ!.. პატარა ბინტს უშველეთ!

მაგრამ არაბებს საკუთარ სიცოცხლეზე ფიქრი ერჩიათ. ისეთი სიძლიერის ქარი დააცხრათ, ვერც აქლემებზე თავშეკავებას ახერხებდნენ და ვერც აქლემები იდგნენ ფეხზე. ორი ბედუინი, ხამისი და გებჰრი ჩამოქვეითდნენ, რათა ერთმანეთზე გადბმული აქლემები ღვედით დაეჭირათ. იდრისმა სტაში უნაგირის უკან გადაჰკიდა და თავადაც ამხანაგებს მიბაძა. პირუტყვს ფეხები განზე გაეჩაჩხა გამძვინვარებულ გრიგალთან გასამკლავებლად, მაგრამ ღონე აღარ ჰქონდათ და ქვიშით ნაჩხვლეტმა, ხრეშის შოლტებით ნაცემმა ქარავანმა, ნება-ნება იწყო განგან გაწევა და უკანდახევა. დროდადრო, გრიგალი ფეხქვეშ საყრდენს აცლიდათ, ხან კი იმდენ ხრეშს და ქვიშას მიაყრიდათ, მუხლებამდე ეფლობოდნენ. ასე მისდევდა საათი საათს. კიდევ უარესი საშიშროება წინ ელოდებოდათ. ბოლოს, იდრისი მიხვდა, ერთადერთი ხსნა აქლემებზე ამხედრება და გრიგალს დამორჩილება იქნებოდა. მაგრამ ეს ნიშნავდა დაბრუნებას ისევ ფაიუმში, სადაც ეგვიპტის მართლმსაჯულება და სახრჩობელა ელოდათ.

“ჰა! ძნელია – გაიფიქრა იდრისმა. – გრიგალმა შეაჩერა მდევარიც და როგორც კი ჩაცხრება, ისევ სამხრეთისაკენ მოვუსვამთ.”

და ყვირილი მორთო, აქლემებზე შესხედითო.

მაგრამ ამ დროს მოხდა ისეთი რამ, რამც მდგომარეობა შეცვალა.

ანაზდად ქვიშის ქურუხი, თითქმის შავი ღრუბლები მოლურჯო შუქმა გაჰკვეთა. ამჯერად კიდევ უფრო ჩამობნელდა, თითქმის ჩამოლუსკუმდა, მაგრამ იმავდროულად ზეცაში მიყუჩებულმა და გრიგალისაგან გაღვიძებულმა ქუხილმა თავი აიშვა და

არაბეთისა და ლიბიის უდაბნოთა შორის ერთი ვაი-უშველებელი ატეხა – ძლიერი, მრისხანე, გაბოროტებული ჭექა-ქუხილი თითქოსდა ზესკნელიდან მთებსა და კლდეებს ისროდა და იქაურობას განადგურებას უპირებდა. ყურისწამღები გრუხუნი ძლიერდებოდა, იზრდებოდა, ქვეყანას აზანზარებდა, ალაგ-ალაგ ისეთი ძალით იჭექებდა, იფიქრებდით, ზეცა გასკდა და საცაა დედამიწას დაემხობაო; მერე ისევ გადაივლიდა ყრუ გუგუნი, ისევ იფეთქებდა, იმტვრეოდა, ელვის ენებით იქაურობას აბრმავებდა, მეხი წამდაუწუმ სკდებოდა, ხან დაბლა, ხანაც მაღლა, გრგვინავდა და აღარ მთავრდებოდა.

ქარი, თითქოსდა რაღაცამ შეაშინაო, ანაზდად ჩაცხრა და როცა კარგა ხნის შემდეგ – სადღაც საოცრად შორს, საშინელი ქუხილის შემდეგ ზეცა შეირყა – სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

და ამ სიჩუმეში, მცირე ხნის შემდეგ, მეწინავე ბედუინის ხმა გაისმა:

– ღმერთი მართავს გრიგალს და ქარიშხალს! გადავრჩით!

დაიძრნენ. მაგრამ ისეთი უკუნი იდგა, რომ მართალია აქლემებს ახლო-ახლო მიაჭენებდნენ, ადამიანები ერთმანეთს ვეღარ ხედავდნენ და იძულებული იყვნენ, ერთმანეთს წამდაუწუმ ხმამაღლა შეხმიანებოდნენ, რათა არ დაკარგულიყვნენ. დროდადრო, ქვიშიან სივრცეში, ლურჯი თუ წითელი თვალისმომჭრელი ელვა ანათებდა, რის შედეგადაც ისეთი სქელი უკუნი ჩამოწვებოდა, იფიქრებდით, ხელით შეხება შეიძლებაო. მეწინავე სუდანელის მიერ ჩანერგილი სიმხნევის მიუხედავად, მათ გულებს მღელვარება არ სცილდებოდა თუნდაც იმიტომ, რომ წინ ალალბედზე მიიწევდნენ და კარგად არც კი იცოდნენ, საით მიიჩქაროდნენ - ერთ ადგილზე ტრიალებდნენ თუ სულაც ჩრდილოეთისაკენ ბრუნდებოდნენ. აქლემებს წამდაუწუმ ფეხები ებლანდებოდათ და სწრაფი ჭენება უჭირდათ, ამასთანავე ისე უცნაურად და ხრინწიანად სუნთქავდნენ, რომ მხედრებს ეჩვენებოდათ, მთელი უდაბნო მღელვარედ ქშინავსო. ბოლოს, როგორც იქნა, წამოვიდა დიდრონ-დიდრონი წვეთები წვიმისა, რომელიც მუდამ თან სდევს გრიგალს და იმავდროულად სიბნელეში წინ წასული მეწინავის ხმაც გაისმა:

– ხეობა!..

მართლაც, ხეობის თავზე იდგნენ. კლდიან ქიმთან შემდგარი აქლემები ნება-ნება დაეშვნენ დაბლა.

ქვებით ძირმოფენილი, განიერი ხეობა იყო. ქვებს შორის ჯუჯა ეკალბარდები იზრდებოდა. სამხრეთის კედელი შეჭრილ-შემოჭრილ, ნაპრალებიან კლდეს წარმოადგენდა. არაბებმა ყოველივე ეს ოდნავ დამშვიდებული, თუმცა უფრო მოხშირებული გაელვებისას დაათვალიერეს. მალე კლდოვან კედელზე შენიშნეს ერთი არცთუ ღრმა გამოქვაბული, უფრო სწორად კი ვრცელი გამოღრმავებული ადგილი, სადაც ადამიანებს თავისუფლად შეეძლოთ თუნდაც საშინელ ღვართქაფში თავის შეფარება. აქლემებიც იქვე, ოდნავ მომაღლო ადგილას მოხერხებულად დააბინავეს. ბედუინებმა და ორმა სუდანელმა აქლემებს ტვირთი და უნაგირები ჩამოხსნეს, რათა კარგად დაესვენათ, ხამისი კი, შვილი ხადაგისა, კოცონოს დასანთებად, უმალვე ხმელი ეკალბარდის შეგროვებას შეუდგა. წვიმის მსხვილი, იშვიათი წვეთები განუწყვეტლივ მოდიოდა, მაგრამ თავსხმა მხოლოდ მაშინ დაიწყო, როგორც კი ხალხი დასაძინებლად დაწვა. თავდაპირველად ეს თითქოს წყლის თასმებს მიაგავდა, მერე ღვედებს, ბოლოს კი, იფიქრებდით, უხილავი ღრუბლებიდან დედამიწას უთვალავი მდინარე ჩამოასკდაო. ასეთი წვიმა, რომელიც რამდენიმე წელიწადში ერთხელ იცის, ზამთარშიც კი ადიდებს წყალს არხებსა და ნილოსში, ხოლო ადენში პირთამდე ავსებს ვეებერთელა ავზებს, ურომლისოდაც ქალაქის არსებობა, უბრალოდ, შეუძლებელია. სტაშს სიცოცხლეში მსგავსი არაფერი ენახა. ხეობის ძირში ნიაღვარი ახმაურდა, ქვაბულის გასასვლელში თითქოსდა წყლის ფარდა ჩამოეშვა. ირგვლის მხოლოდ ჩხრიალი და ჩუხჩუხი ისმოდა. აქლემები შემაღლებულზე იდგნენ და დიდი-დიდი დასველებულიყვნენ, მაგრამ არაბები წამდაუწუმ მათკენ გარბოდნენ, რაიმე საშიშროება არ ემუქრებოდეთო. სამაგიეროდ, ადამიანები მისხდომოდნენ უშიშრად კოცონს. სახეზე ყველას სიხარული ეწერა. იდრისმა სტაშს დაბანაკებისთანავე გაუხსნა ხელები, რათა ჭამაც შესძლებოდა და ახლა ბიჭს ამაყად და დამცინავად მიუბრუნდა:

– მაჰდი ყველა თეთრ ჯადოქარზე ძლიერია. სწორედ მან შეაჩერა გრიგალი და წვიმაც გამოგვიგზავნა.

სტაშს არაფერი უპასუხია, რადგან ძლივსღა მღაფავ ნელის დასტრიალებდა. თავდაპირველად თმიდან ქვიშა ჩამოუფერთხა, მოხუც დინაჰს შეხვეული ტანსაცმლის ამოღება დაავალა, პირსახოცი გაშალა, დაასველა და გოგონას პირისახე და თვალები მოუწმინდა. დინაჰს ამის გაკეთება არ შეეძლო, რადგან ისედაც მხედველობასუსტს ახლა სულ მოთავებოდა ხელი. მას ვერც თვალების ამობანამ მოუტანა შვება. მოღვენთილი ნელი სტაშს უხმოდ ემორჩილებოდა და მხოლოდ დაღლილ-დაქანცული ჩიტივით შეჰყურებდა – და როცა ქვიშის გამოსაყრელად ბათინკები გახადა და ქეჩა გაუფინა, ბიჭს კისერზე ხელები შემოხვია.

ბიჭს კი გული თანაგრძნობით აევსო. თავი მეურვედ, უფროს ძმად და იმავდროულად ამ წუთებში ნელის ერთადერთ დამცველად იგრძნო და იმასაც მიხვდა, რომ ეს პაწია დაიკო ძალიან უყვარდა, იმაზე მეტად, ვიდრე მანამდე უყვარდა. მართალია იგი პორტ-საიდშიც უყვარდა, მაგრამ "ბუთხუზად" მიიჩნევდა, და აზრადაც არასოდეს მოსვლია ღამემშვიდობისას თქმისას ხელზე ეკოცნა. ვინმეს რომ მისთვის ასეთი აზრი შეეთავაზებინა, ეტყოდა, ცამეტი წლის ყმაწვილის ღირსებას ეს არ შეფერისო. მაგრამ ახლა, ერთად გადატანილმა განსაცდელმა მასში მიძინებული სინაზე გააღვიძა და ერთი კი არა, გოგონას ორივე ხელი დაუკოცნა.

დაწოლილი ისევ ნელიზე ფიქრობდა და გადაწყვიტა, მის გადასარჩენად უჩვეულო რამ ჩაედინა. ყველაფრისთვს მზად იყო, თუნდაც დაეჭრათ ან მოეკლათ, ოღონდაც გულიგულში იმედოვნებდა, რომ ჭრილობა ძალიან არ ეტკინებოდა და არც სიკვდილი იქნებოდა ნაღდი, თორემ როგორღა უნდა დაენახა განთავისუფლებული ნელის გაცისკროვნებული სახე! ამის შემდგომ ფიქრი დაიწყო განთავისუფლების ყველა გმირულ ხერხზე, მაგრამ აზრები აერ-დაერია. წუთიც და მოეჩვენა, თითქოს ზედ დაეყარა ქვიშის ზვინები, მერე თითქოსდა ყველა აქლემი თავზე დააწვა და ჩაეძინა.

გრიგალთან ბრძოლისაგან დაღლილ-დაქანცულ არაბებს, მორჩნენ თუ არა აქლემების მოვლას, მკვდრებივით ჩაეძინათ. კოცონი მიინავლა; ქვაბულში წყვდიადი გამეფდა. ცოტა ხნის შემდეგ მხოლოდ ხვრინვა და ხეობის ძირში აქაფებული ნიაღვრის ქვებზე ხეთქების ხმა ისმოდა. ასე გადიოდა ეს ღამე.

განთიადის ჟამს სტაში სიცივის შეგრძნებამ გააღვიძა. ნაპრალებიდან შემოღწეული წვიმის წვეთები ბიჭს ზედ თავზე ეცემოდა. ქეჩაზე წამოჯდა და კარგა ხანს ვერ მიხვდა, სად იყო და რა ხდებოდა.

წუთიც და გონს მოეგო.

"ჰოო! – გაიფიქრა, – გუშინ გრიგალი იყო, ჩვენ კი მოტაცებულები ვართ და წვიმისგან თავშესაფარებლად რომელიღაც ქვაბულში ვიმყოფებით.

ირგვლივ მიმოიხედა. ყველაზე პირველად, განცვიფრებულმა, ის შენიშნა, რომ წვიმას გადაეღო, ქვაბულში კი გვარიანად ებნელებოდა, რომ არა დასავლეთისაკენ გადასული მთვარე, რომლის შუქზეც არცთუ ღრმა გამოქვაბულის ყოველი კუნჭული კარგად ჩანდა. სტაშმა მალე გაარჩია მის გვერდით მწოლარე არაბები, მოპირდაპირე კედელთან კი დინაჰის გვერდით მძინარე ნელის თეთრი კაბა დაინახა.

და ისევ აუჩუყდა გული.

“იძინე ნელი... იძინე – ამბობდა თავისთვის. – მე კი არ მძინავს... ვალდებული ვარ გადაგარჩინო.”

ამის შემდეგ, არაბებისაკენ მომზირალმა, გულში დასძინა:

“ოჰ, როგორ მინდა ამ არამზადებს...”

და ანაზდად შეკრთა.

თვალი მოკრა ტყავის ბუდეს, რომელშიც საახალწლოდ ნაჩუქარი მისი შტუცერი იდო და მას და ხამისს შორის ჩადებულ ტყვია-წამლის ყუთს, რომლის ასაღებად ერთი ხელის გაშვერა კმაროდა.

გული გამალებით უძგერდა. იარაღსა და ტყვია-წამალს რომ მისწვდენოდა, იქაურობის ბატონ-პატრონი გახდებოდა. საკმარისი იყო, კარში შეუმჩნევლად გასულიყო, რომელიმე ნაპრალს მოფარებოდა და იქიდან ემეთვალყურა გამოსასვლელისთვის.

“სუდანელები და ბედუინები რომ გაიღვიძებენ, – ფიქრობდა – და ჩემს არყოფნას შენიშნავენ, გამოქვაბულიდან ერთად გამოცვივდებიან, მე კი პირველ ორს ორი გასროლით იქვე მივაწვენ, სანამ შემდეგი ორი გამოვარდება, თოფის ხელახლა გატენას მოვასწრებ. დარჩება ხამისი, რომელსაც იოლად მოველაპარაკები.”

ამის გაფიქრებაზე ანაზდად თვალწინ დაუდგა სისხლში მოცურავე ოთხი ცხედარი და შიშისა და ელდისაგან კინაღამ გული გაუსკდა. ოთხი ადამიანის მოკვლა! მართალია, არამზადები არიან, მაგრამ კაცის მოკვლას ეხუმრები? გაახსენდა, ერთხელ პორტ-საიდში დაინახა მუშა – ფელახი, რომელიც მიწის სათხრელი მანქანის ტარს დაეფლითა და ცუდად გახდა სისხლში მოფართხალე სხეულის დანახვაზე. ამის გახსენებაზეც კი შეკრთა. ახლა კი თავად ოთხი უნდა... ცოდვა არის და საშინელებაც!.. არა, არა! ამას ვერასოდეს ვიზამო, გაივლო გუნებაში.

თავი აზრებმა აუფორიაქა. საკუთარი სიცოცხლის გულისთვის ამას არ იზამდა! არასოდეს! მაგრამ საქმე ხომ ნელის ეხება, მის დაცვას, გადარჩენას და მის სიცოცხლეს, რადგან ამას ყოველივეს მისი ჯანმრთელობა ვერ გაუძლებს და უეჭველად მოკვდება ან გზაში, ან არადა ველური და გაშმაგებული დავრიშების ურდოებს შორის. რას წარმოადგენს ამ ვიგინდრების სისხლი ნელის სიცოცხლესთან შედარებით და ნუთუ მსგავს შემთხვევაში ყოყმანი დასაშვებია?

– ნელისთვის! ნელისთვის!

ანაზდად სტაშის გონებას გრიგალივით დაეძგერა აზრი, რომლისგანაც თმა ყალყზე დაუდგა. რა მოხდება, რომ რომელიმე ყაჩაღთაგანმა ნელის მკერდზე დანა მიადოს და

დასჭყივლოს, მოვკლავ, თუ სტაში არ დაგვნებდება და იარაღს არ დაგვიბრუნებსო. ჰო, მერე?

– მერე – საკუთარ თავს უპასუხა სტაშმა. – უმალვე დავუბრუნებ.

და საკუთარი უმწეობის შეგრძნების გამო ისევ ქეჩაზე დაეშვა.

გამოქვაბულის ღიობში მთვარე ამჯერად ცერადღა იხედებოდა და შიგნით თითქმის ჩამობნელდა. არაბები ისევ ხვრინავდნენ. სტაში ერთხანს წყნარად იწვა, მაგრამ მალე თავში ახალი აზრი შეუძვრა.

ვთქვათ და, იარაღიანად კარში გასულმა და კლდეს ამოფარებულმა ხალხი კი არა, აქლემები რომ დახოცოს? ცოდო კი არის უდანაშაულო პირუტყვის მოკვლა – რაც მართალია, მართალია, მაგრამ რას იზამ! ადამიანები ხომ ცხოველებს სიცოცხლის გადასარჩენად კი არა, წვნიანისა და ღვიძლისთვის კლავენ. ჰოდა, ამ საქმეს წყალი არ გაუვა, ოთხი, ანდა ხუთი აქლემი რომ მოკლას, გზის გაგრძელება უკვე შეუძლებელი გახდება. ვერც ერთი მექარავნე ვერ გაბედავდა სანაპირო სოფელში ახალი აქლემების საყიდლად მისვლას. მაშინ სტაში მამამისის სახელით ყველას დაუსჯელობას აღუთქვამდა, ეგ კი არა და ფულად ჯილდოსაც შეპირდება – და... მეტი რაღა გზა ექნებათ, უკან არ დაბრუნდნენ.

ჰო, მაგრამ ამ დაპირების წარმოთქმა რომ არ აცალონ და გაცხარებულებმა უმალვე მოკლან?

უნდა აცალონ და მოუსმინონ, რადგან თოფით აიძულებს მათ გარკვეულ მანძილზე გაქვავებას, სანამ ყველაფერს არ იტყვის. რომ მორჩება, მიხვდებიან, რომ დამორჩილების გარდა სხვა გზა არ აქვთ. მაშინვე ჩაუდგება ქარავანს სათავეში და ნილოსის მიმართულებით, ბაჰრ-იუსეფისკენ წაუძღვება. მართალია, იქიდან საკმაოდ შორს იმყოფებიან, ერთი თუ ორი დღის სავალზე, რადგან არაბებმა, სიფრთხილის გულისთვის, უდაბნოს შუაგულისკენ შეუხვიეს. მაგრამ ეს რა სახსენებელია; რამდენიმე აქლემს ცოცხალს დატოვებს, ერთ-ერთ მათგანზე კი ნელის შესვამს. სტაში არაბებს ყურადღებით დააკვირდა. ყველას ღრმად ეძინა, როგორც საერთოდ დაღლლ კაცს ძინავს ხოლმე, მაგრამ რადგან ღამე იწურებოდა, შეიძლება უკვე გაღვიძებოდათ. სწრაფად უნდა ემოქმედა. ტყვია-წამლის ყუთის აღება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან იქვე იდო. უფრო ძნელი იყო ხამისის მიერ მეორე მხარეს დადებული შტუცერის აღება. სტაში იმედოვნებდა, რომ მისი აღება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ გადაწყვიტა, ბუდიდან მხოლოდ მაშინ ამოეღო და დაეტენა, როცა ქვაბულს რამდენიმე ნაბიჯით დაცილდებოდა, რადგან ეშინოდა, რკინის რკინაზე გაჟღარუნებას ხალხი არ გაეღვიძებინა.

ჟამმა მოაღწია. ბიჭი ხამისის თავზე რკალივით მოიღუნა, ბუდეს ღვედზე წაავლო ხელი და თავისკენ ასწია. გული საშინლად აუბაგუნდა, თვალთ დაუბნელდა, სუნთქვა შეეკრა, მაგრამ კრიჭაშეკრულმა გრძნობების დაოკება შეძლო. მაგრამ როგორც კი ბალთამ გაიწკარუნა, შუბლი ოფლის წვეთებმა დაუცვარა. ის წამი საუკუნედ მოეჩვენა. მაგრამ ხამისი არც შერხეულა. ბუდემ მის თავზე ნახევარწრე მოხაზა და ტყვია-წამლის ყუთთან შეჩერდა.

სტაშმა ამოისუნთქა. ნახევარი საქმე გაკეთებული იყო. ახლა ქვაბულიდან უხმაუროდ გასვლა იყო საჭირო, მერე რამდენიმე ათეულ ნაბიჯით უნდა გასცლოდა ქვაბულს, ნაპრალში დამალულიყო, გაეხსნა ყუთი, დაეტენა იარაღი და ტყვიები ჯიბეში ჩაედო. ამის შემდეგ ქარავნის ბატონ-პატრონო ხდებოდა.

გამოქვაბულის ღიობის ნათელ ფონზე სტაშის შავი სილუეტი გამოისახა. წამიც და კარში აღმოჩნდებოდა. კიდევ წუთიც და კლდის ნაპრალს ამოეფარებოდა: მაშინ კი, რომც რომელიმე ყაჩაღს გაღვიძებოდა, სანამ მიხვდებოდა, რა მოხდა, სანამ სხვებს გააღვიძებდა – უკვე გვიანი იქნებოდა. იმის შიშით, გასასვლელთან დახვავებული ქვები არ შენძრეულიყო, ბიჭმა ცალი ფეხი ფრთხილად ასწია და დასადგმელად მყარი ნიადაგის მოსინჯვას შეუდგა.

და ის იყო, ღიობში თავი გაჰყო, უკვე სულ უნდა გასულიყო, რომ ანაზდად ისეთი რამ მოხდა, მოულოდნელობისაგან ძარღვებში სისხლი გაეყინა.

გამეფებულ სიჩუმეში ქუხილივით გახმიანდა ლომას მხიარული ყეფა, მთელი ხეობა აავსო და შიგ ჩაძინებული ექოც გამოაღვიძა. არაბები, როგორც ერთი კაცი, უმალვე წამოხტნენ და პირველი, რაც თვალში ეცათ, თოფმომარჯვებული სტაში იყო.

. . . . . .

ეჰ, ლომა, ლომა, ეს რა ჰქენი!!!

კარი X

საშინლად აღრიალებულები უმალვე სტაშს ეცნენ, თვალისდახამხამებაში წაგლიჯეს თოფი, ტყვია-წამალი და მიწაზე წამოაქციეს. ხელ-ფეხი თოკით გაუკრეს, ზედ შესდგნენ და მანამ ცემეს, სანამ შეშინებულმა იდრისმა არ გარეკა, აქაოდა, ბიჭი არ მოკლანო. მერე, საზარელ ამბავს გადარჩენილ ადამიანებს რომ სჩვევიათ, ისე ნაწყვეტ-ნაწყვეტ აქაქანდნენ.

– ეს თავაშვებული სატანაა! – შესძახა შიშისა და მღელვარებისაგან სახეგაფითრებულმა იდრისმა.

– ველური იხვებივით დაგვხოცავდა და შეგვსანსლავდა! – დაუმატა გებჰრმა.

– ეს ძაღლი რომ არა...

– ღმერთმა გამოგვიგზავნა.

– თქვენ კი მოკვლა გინდოდათ! – შესძახა ხამისმა.

– ხელსაც ვეღარავინ ახლებს.

– ძვლები და წყალი არ მოაკლდება.

– ალაჰ! ალაჰ! – გაიმეორა იდრისმა, რომელიც ვერა და ვერ დამშვიდდა – სიკვდილი თვალებში გვიყურებდა. უჰ!

და მიწაზე დაგდებულ სტაშს ზიზღით დაუწყეს ყურება, თუმცა ერთგვარი განცვიფრებითაც, რომ ამდენი ხალხი ერთ პატარა ბიჭს უნდა დაემარცხებინა და დაეღუპა.

– წინასწარმეტყველის სახელს გეფიცებით! – თქვა ერთ-ერთმა ბედუინმა. – რამე უნდა ვიღონოთ, რომ ამ ღლაპმა თავი არ წაგვაცალოს. გველის წიწილი მიგვყავს მაჰდისთან! რას ფიქრობთ, რა უნდა ვუყოთ!

– მარჯვენა ხელის მტევანი უნდა მოვაჭრათ! – შესძახა გებჰრმა.

ბედუინს არფერი უთქვამს, მაგრამ იდრისი არ დაეთანხმა. თავში აზრმა გაუელვა, მდევარი რომ წამოწეოდათ, ბიჭის დასახიჩრებისათვის, ყველას უმძიმესი სასჯელი არ ასცდებოდა! თანაც, თავდები ვინ იყო, რომ ამ ოპერაციის შემდეგ სტაში არ მოკვდებოდა? ასეთ შემთხვევაში, ფატმასა და მის შვილებზე გადასაცვლელად მხოლოდ ნელი დარჩებოდა.

და როგორც კი გებჰრმა მუქარის აღსასრულებლად დანა ამოიღო, იდრისმა მაჯაზე ხელი წაავლო და შეაჩერა:

– არა! – უთხრა. – სირცხვილი და თავის მოჭრაა მაჰდის ხუთ მეომარს ამ ღლაპი ქრისტიანის ეშინოდეს და ამისთვის მას ხელი მოაჭრან. საკმარისია ღამ-ღამობით გავთოკოთ, ხოლო იმისთვის, რის გაკეთებასაც აპირებდა, ათჯერ გადავკრათ მათრახი.

გებჰრს იმწამსვე უნდოდა განაჩენის სისრულეში მოყვანა, მაგრამ იგი იდრისმა ისევ განზე გასწია და ერთ-ერთ ბედუინს უბრძანა გამათრახება, მაგრამ ყურში ჩუმად

ჩასჩურჩულა, მაგრად არ დაერტყა. ხამისმა ამ საქმეში ჩარევა არ ისურვა – ეგებ სულაც ინჟინრებთან დიდი ხნის მუშაობის გამო, ჰოდა სტაში მეორე ბედუინმა გადააბრუნა ზურგაღმა და ის იყო, დასჯას უნდა შესდგომოდა, რომ ანაზდად ხელისშემშლელი წინააღმდეგობა გამოჩნდა.

ქვაბულის ღიობში ნელი და ლომა ჩამოდგნენ. შიგნით შევარდნილი ძაღლი უკანვე ნელისთან მიიჭრა და მასთან ალერსით გართულ ნელის არაბების ყვირილი კი ესმოდა, მაგრამ ეგვიპტეში არაბებიც, ისევე როგორც ბედუინები, ყველა ამბის გარჩევისას ისეთ ღრიანცელს ატეხენ ხოლმე, იფიქრებთ, საცაა ერთმანეთს დაკლავენო, ჰოდა, მათთვის ყურადღება არ მიუქცევია. როცა სტშს გასძახა და მისგან პასუხი ვერ გაიგონა, იფიქრა, უკვე აქლემზე ხომ არ ზისო და მის დასანახად კარში გასულმა მიწაზე გაშხლართული სტაში და მათრახშემართული ბედუინი არ დაინახა! ყურისწამღები კივილი და ფეხების ბაკუნი ატეხა, მაგრამ რადგან ბედუინმა ყურადღება არ მიაქცია და ის იყო ბიჭისთვის უნდა დაერტყა, წინ გაიჭრა და ბიჭს გადაეფარა.

ბედუინი შეყოყმანდა, რადგან გოგონას დასჯა მისთვის არავის უბრძანებია, ამასობაში მისი შიშნარევი და სასოწარკვეთილი ხმაც გაისმა:

– ლომა! ლომა!

ლომა უმალვე ყველაფერს მიხვდა და ერთი ნახტომით გაჩნდა ბავშვებთან. ზურგსა და კისერზე ბალანი ყალყზე დაუდგა, თვალები წითლად აულაპლაპდა და მკერდიდან ამომსკდარი ყეფა გრგვინვასავით გახმიანდა. მერე კი ვეებერთელა ლაშები ნელა-ნელა გაიფჩხნა და სისხლისფერ ხახამდე გაღებულ პირში ბასრი კბილები და გრძელი ეშვები გამოუჩნდა. უშველებელი ქოფაკი ხან მარჯვნივ შებრუნდა, ხან – მარცხნივ, იფიქრებდით სუდანელებისა და ბედუინებისათვის თავისი მრისხანე “იარაღის” ჩვენება სურსო, რათა მიეხვედრებინა: შეხეთ, აი, რით უნდა დავიცვა ბავშვებიო.

უმალვე უკან დაიხიეს, რადგან ჯერ ერთი, ლომამ ისინი წეღან სიკვდილს გადაარჩინა, მეორეც, ცხადზე უცხადესი იყო, ვინც იმ წუთას ნელის მიუახლოვდებოდა, გამძვინვარებული ქოფაკი უმალვე ყელში ეშვებს ჩაარჭობდა. ჰოდა, უმწეოდ ხელებჩამოყრილნი ერთმანეთს გაუბედავად შეჰყურებდნენ, რადგან არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ.

მათი ყოყმანი ისე დიდხანს გაგრძელდა, რომ ნელიმ მოხუცი დინაჰის დაძახება და სტაშისთვის თოკების შეხსნაც მოასწრო. ფეხზე წამომდგარმა სტაშმა ლომას თავზე დაადო ხელი და თავდამსხმელებს მიუბრუნდა:

– თქვენი კი არა, აქლემების მოკვლა მინდოდა.

მაგრამ ამ ცნობამაც არანაკლებ ააღელვა არაბები და ლომას მოლაპლაპე თვალები და კვლავაც ყალყზე მდგარი ბალანი რომ არა, სტაშს ისევ ეცემოდნენ. გებჰრმა მაინც დააპირა მისკენ გადახტომა, მაგრამ ლომას ერთმა ყრუ დაღრინებამაც ადგილს მიალურსმა.

ჩამოწოლილ სიჩუმეში იდრისის ხმა გაისმა:

– გზას გავუდგეთ! გზას!

კარი XI

გავიდა დღე, ღამე და კიდევ დღე. ისინი კი კვლავაც სამხრეთისაკენ მიიჩქაროდნენ და მხოლოდ ცოტა ხნით თუ შეისვენებდენ რომელიმე ხეობაში, რათა აქლემები მეტისმეტად არ გადაღლოდათ, არ დაესნეულებინათ რათა მათთვის ეჭმიათ და თავადაც ერთმანეთში გაენაწილებინათ სასმელ-საჭმელი. მდევრის შიშით კიდევ უფრო მეტად გადაუხვიეს დასავლეთისკენ, წყალზე კი შეეძლოთ კარგა ხანს აღარ ედარდათ. მართალია, თავსხმა მხოლოდ შვიდ საათს გრძელდებოდა, მაგრამ ისეთი წყალუხვი იყო, იფიქრებდით, ცა ჩამოიქცაო, ჰოდა, ისევე როგორც ბედუინებმა, იდრისმა და გებჰრმაც იცოდნენ, რომ ხეობების ძირში და იქ, სადაც კლდეები ბუნებრივ ჩაღრმავებებს ჰქმნის, ორ დღეს კიდევ იმდენი წყალი იქნებოდა, მათ და აქლემების დასარწყულებლად კი არა, მარაგისთვისაც იკმარებდა. დიდი წვიმის შემდეგ, როგორც საერთოდ იცის ხოლმე, მშვენიერი ამინდი დაიჭირა. უღრუბლო ზეცა მოსარკულიყო და გამჭვირვალე სივრცეში მზერა საოცრად შორს სწვდებოდა. ვარსკვლავებით მიჭედილი ცა ღამღამობით ისე ბრჭყვინავდა და ციმციმებდა, ალმასებით მორთული გეგონებოდათ. უდაბნოს ქვიშას სუსხიანი სიცივე გასჯდომოდა.

აქლემებს კუზები დაპატარავებოდათ, მაგრამ პირუტყვს კარგად კვებავდნენ, არაბული გამოთქმისამებრ, “ძღომაზე”, რათა არ დაცვენილიყვნენ და კარგადაც ერბინათ, ჰოდა, ქარავანი თითქმის ისევე სწრაფად მიიწევდა წინ, როგორც გჰარაკ-ელ-სულთანიდან გამოსვლის პირველ დღეს. განცვიფრებულმა სტაშმა შენიშნა, რომ ხეობებში შესულნი, ამა თუ იმ გამოქვაბულში ფინიკსა და სორგოს პოულობდნენ და მიხვდა, რომ სუდანელებს საკვები წინდაწინ მოემარაგებინათ.

ბიჭმა იფიქრა, სუდანელების მოსყიდვა ხომ არ ვცადოო, მაგრამ გაახსენდა, მაჰდის თავგადადებული თაყვანისმცემლები რომ იყვნენ და ეს შეუძლებელ საქმედ მიიჩნია.

თავს აღუთქვა: ყოველდღე მათრახით რომ ამიჭრელონ გვერდები, თავის გამოხსნაზე ოცნებას მაინც არ შევწყვეტო. იმის გაფიქრებაზე, რა შეემთხვა, როგორ გამოსტაცეს თოფი და წიხლით სცემეს, ამ ყაჩაღებისადმი ზიზღი გაუათკეცდა და დაიბოღმა; ხმის ამოღება უჭირდა და ზიზღს არც მალავდა. ეს იდრისმაც შენიშნა და მიხვდა: მდევარი რომ წამოსწეოდათ, ბიჭი მის დასაცავად კრინტსაც აღარ დაძრავდა. იდრისს სიმამაცე არ აკლდა, მაგრამ წინდახედულიც იყო და უკანდასახევ გზას ყოველთვის იტოვებდა. ამიტომაც იყო, პირველივე შესვენებაზე სტაშთან გამოლაპარაკება რომ გადაწყვიტა:

– იმის გამო, რის გაკეთებასაც აპირებდი, – უთხრა, – აუცილებლად უნდა დამესაჯე, თორემ მოკვლას ვერ გადაურჩებოდი; სამაგიეროდ, ბედუინს ვუჩურჩულე, მაგრად არ დაერტყა მათრახი.

პასუხი რომ ვერ მიიღო, განაგრძო:

– შენგან გამიგონია, თეთრებს სიტყვის გატეხა არ სჩვევიათო. ჰოდა, თუ დაიფიცებ შენს ღმერთსა და პატარა “ბინტის” თავს, რომ ჩვენს საწინააღმდეგოს არაფერს მოიმოქმედებ, ღამღამობით ხელ-ფეხს შეგიხსნი.

სტაშს არც ამჯერად დაუძრავს კრინტი და მისი თვალების შემხედვარე იდრისი მიხვდა: ამაოდ ირჯებოდა.

გებჰრისა და ბედუინების წინააღმდეგობის მიუხედავად, ბიჭი ღამით აღარ გაუთოკავთ, მაგრამ, რადგან გებჰრი არ დაცხრა, მრისხანედ შესძახა:

– ამაღამ, ძილის ნაცვლად, ყარაულად დადგები. ამის შემდეგ სულ ასე იქნება, როცა ყველა დაიძინებს, ერთ-ერთი ჩვენგანი ყოველთვის იყარაულებს.

მართლაც ასე მოიქცნენ. ამან ერთობ გააძნელა სტაშის ჩანაფიქრის შესრულება, რადგან ყველა გუშაგის ყურადღება მუდამ მისკენ იყო მიმართული.

სამაგიეროდ, ბავშვები უფრო თავისუფლად იყვნენ, ერთმანეთთან მისვლა და დალაპარაკებაც შეეძლოთ. პირველივე შესვენებისას სტაში ნელის მიუჯდა, რათა დახმარებისთვის მადლობა ეთქვა.

მართალია, მადლიერი იყო, მაგრამ ამ გრძნობის გამოსახატავად სიტყვები არ ჰყოფნიდა, ნელის ხელებში ჩააფრინდა.

– ნელი! – უთხრა. – ძალიან კეთილი ხარ, გმადლობ და პირდაპირ გეუბნები, ნაღდი ცამეტი წლის ბავშვივით მოიქეცი.

სტაშისაგან ეს ყველაზე დიდი შექება იყო, ჰოდა, პატარა ქალუკას გული სიხარულითა და სიამაყით აღევსო.

ყველაფერი შესაძლებელი ეჩვენა.

– ერთი მალე გავიზარდო, ამათ ვუჩვენებ სეირს, – და სუდანელებისაკენ მრისხანედ გაიხედა.

ნელიმ არ იცოდა, რატომ დაესხნენ არაბები თავს, ჰოდა სტაშმა უამბო, როგორ გადაწყვიტა თოფის მოპარვა, აქლემების დახოცვა და უკან დაბრუნება.

– ეს რომ გამეკეთებინა, – თქვა, – უკვე თავისუფალი ვიქნებოდით.

– მაგრამ გაეღვიძათ, არა? – გულისფანცქალით ჰკითხა გოგონამ.

– ჰო. უფრო სწორად, ისინი გამოქვაბულში შემოვარდნილმა ლომამ გააღვიძა, ისე დაიყეფა, მკვდარს გააღვიძებდა.

– საზიზღარი ლომა! საზიზღარი! – შესძახა გოგონამ. – ერთი მოვიდეს, ხმას არ გავცემ და ვეტყვი, რომ მახინჯია.

სამხიარულო რა ჰქონდა, მაგრამ ამაზე სტაშს გაეცინა და ჰკითხა:

– ხმას თუ არ გასცემ, როგორღა ეტყვი, რომ მახინჯია?

ნელიმ პაწია წარბები აძგიბა, სახეზე შეფიქრიანება დაეტყო და თქვა:

– რომ შემომხედავს, ისედაც მიხვდება.

– ალბათ. მაგრამ რა მისი ბრალი იყო; საიდან უნდა სცოდნოდა, რა ხდებოდა. ისიც არ დაგავიწყდეს, მერე რომ მოგვეშველა.

ნელის გულისწყრომა ოდნავ დაცხრა, თუმცა არ უნდოდა, ლომასთვის ყველაფერი უმალვე ეპატიებინა.

– კეთილი, – თქვა, – მაგრამ ნაღდი ჯენტლმენი მისალმებისას არ უნდა ყეფდეს.

სტაშს ისევ გაეღიმა:

– ნაღდი ჯენტლმენი არც გამომშვიდობებისას ყეფს, თუ ის ძაღლი არ არის. ლომა კი ძაღლია!

წუთიც და ბიჭს თვალები დაუნაღვლიანდა, ჯერ ერთხელ ამოიოხრა, მერე – მეორედ, მასუკან წამოდგა და თქვა:

– ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ შენი განთავისუფლება ვერ შევძელი.

ნელიმ ფეხის წვერებზე აიწია და სტაშს კისერზე ხელები შემოხვია. უნდოდა, დაემშვიდებინა, ცხვირი ლოყაზე მიედო და მადლობის სიტყვები ჩაეჩურჩულებინა, მაგრამ სათქმელს თავი ვერ მოაბა, კიდევ უფრო მაგრად შემოეჭდო და ყურზე აკოცა. ამასობაში ლომა, რომელიც ქარავანს მუდამ ჩამორჩებოდა, ოღონდ არა იმიტომ, რომ აქლემებს ვერ ეწეოდა, არამედ იმიტომ, რომ გზადაგზა ტურებზე ნადირობდა და კლდეებზე ჩამომსხდარ ძერებს უყეფდა, – ჩვეულებრივი ყეფა-ყეფითა და ქშუტუნით მოვარდა. ბავშვებს საკუთარი გაჭირვება უმალვე გადაავიწყდათ და მანამ ეფერნენ და ეალერსნენ, სანამ არაბებმა არ შეაწყვეტინეს. ხამისმა ძაღლს საჭმელი და წყალი მიუტანა. ამის შემდეგ აქლემებზე შესხდნენ და სამხრეთისკენ სწრაფად გაიჭრნენ.

კარი XII

ეს ყველაზე გრძელი ეტაპი იყო – თვრამეტი საათის მგზავრობისას ერთადერთხელ შეისვენეს და ისიც – მცირე ხნით. მხოლოდ კარგად დარწყულებულ ჭეშმარიტ საჯდომ აქლემს შეუძლია ამხელა გზის გაძლება. იდრისი პირუტყვს არ ზოგავდა, რადგან მდევრის მართლა ეშინოდა. ესმოდა, რომ მდევარი რა ხანია გამოსული იყო, იმასაც ვარაუდობდა, რომ მას ორივე ინჟინერი მოჰყვებოდა და დროს ტყუილუბრალოდ არ დაკარგავდნენ. საშიშროება მდინარის მხრიდან ემუქრებოდათ, რამეთუ ბავშვების გატაცებისათვის უეჭველად გაიგზავნებოდა სატელეფონო ბრძანება ყველა სანაპირო დასახლებული პუნქტისაკენ, რათა შეიხებს ნილოსის ორივე მხარეს მდებარე უდაბნოს შუაგულისკენ მოეწყოთ ლაშქრობები და დაეკავებინათ სამხრეთისაკენ მიმავალი ყველა მგზავრი. ხამისი ირწმუნებოდა, რომ ინჟინრები მათ დასაჭერად დიდ ჯილდოს დააწესებდნენ და ამის გამო უდაბნოში მდევართა მთელი ქსელი იქნება გაბმულიო. ერთადართი გამოსავალი რჩებოდათ – რაც შეიძლება მეტად უნდა გადაეხვიათ დასავლეთისკენ; მაგრამ დასავლეთით მდებარეობდა უდიდესი ოაზისი კჰარგა და დეპეშას არც იქ მიღწევა გაუჭირდებოდა, ამას გარდა, მდინარეს ძალიან რომ დაშორებოდნენ, ორიოდ დღეში უწყლოდ დარჩებოდნენ და მაშინ წყურვილით სიკვდილი ელოდათ.

საკვებიც გასათვალისწინებელი იყო. ბავშვების მოტაცებამდე ორი კვირით ადრე ბედუინებმა სორგო, ორცხობილა და ფინიკი სამალავებში კი დაიმარაგეს, მაგრამ მხოლოდ მთიანეთიდან ოთხი დღის სავალზე. იდრისი შიშით ფიქრობდა, საჭმელი რომ გაუთავდებოდათ, საჭირო შეიქმნებოდა მარაგის საყიდლად რომელიმე სანაპირო

სოფელში ხალხის გაგზავნა, იქ კი ისინი აღთქმული ჯილდოს მოსაპოვებლად შეიძლება სულ იოლად ჩაცვენილიყვნენ ადგილობრივი შეიხების ხელში და მთელი ქარავნის ადგილსამყოფელი გაეთქვათ. ძნელ, შეიძლება ითქვას, სავალალო დღეში ჩაცვივდნენ და იდრისი დღითი დღე რწმუნდებოდა, რა სულელურ ამბავში გაყო თავი.

“ოღონდაც ასუანს გავცილდეთ! ოღონდაც ასუანს გავცილდეთ!” – გუნებაში იმეორებდა აღელვებული და სასოწარკვეთილი. არ სჯეროდა ხამისისა, რომლის მტკიცებით, მაჰდის მეომრები უკვე ასუანს უნდა მიახლოებოდნენ, მაგრამ სტაშმა ეს მტკიცება გაუქარწყლა, რადგან სჯეროდა, თეთრკანიანმა ყველა ჩვენგანზე მეტი იცისო. მაგრამ იმასაც იმედოვნებდა, რომ, გასცდებოდნენ თუ არა პირველ ჭორომს, სადაც ხალხი უფრო ველურია და სადაც ინგლისელებსა და ეგვიპტის მთავრობას ნაკლებად ემორჩილებიან, უეჭველად შეხვდებოდნენ წინასწარმეტყველის ფარულ მიმდევრებს, რომლებიც დახმარების ხელს გამოუწვდიდნენ, აშოვნინებდნენ საჭმელსა და დასვენებულ აქლემებს... მაგრამ ბედუინების გამოთვლისამებრ, ასუანამდე დაახლოებით კიდევ ხუთი დღის უდაბური სავალი რჩებოდა, უფრო და უფრო უდაბური; ყოველი გაჩერების შემდეგ კი ხალხისა და პირუტყვის საკვები თანდათან კლებულობდა.

საბედნიეროდ, აქლემების კიდევ მეტად აჩქარება შეეძლოთ და თავგამეტებითაც მიაჭენებდნენ, რადგან სიცხეს ჯერაც არ გაეწყვიტა მათთვის ქანცი. დღისით, განსაკუთრებით შუადღის საათებში, მზე მართლაც ძალიან აცხუნებდა, მაგრამ ჰაერი კვლავაც სუფთა იყო, ღამღამობით კი გრილოდა. სტაში, იდრისის თანხმობით, ნელის აქლემზე გადაჯდა, რათა მის ჯანმრთელობაზე ეზრუნა და არ გაციებოდა.

მისი შიში ამაო გამოდგა, რადგან დინაჰი, რომელსაც თვალები უკვე საკმაოდ მორჩენოდა, თავის პაწია ქალბატონს ზედ ევლებოდა. სტაში განცვიფრებული იყო, პაწია რომ მშვენივრად გრძნობდა თავს და ამხელა გზას მის მსგავსად უძლებდა. მოწყენილობას, შიშსა და მამის მონატრების გამო დაღვრილ ცრემლს მისი ჯანმრთელობისთვის შესამჩნევი ზიანი არ მიუყენებია. მცირედ გამხდარიყო და ქარს მისი თეთრი სახე ოდნავ გაეშავებინა, მაგრამ მგზავრობის მომდევნო დღეებში უკვე ნაკლებად გრძნობდა დაღლას, ვიდრე დასაწყისში. უნდა აღინიშნოს, რომ იდრისმა ნელის ყველაზე მსუბუქადმავალი აქლემი მისცა, თანაც უნაგირზე ისეთი ტახტრევანი მოუწყო, დაძინებაც შეეძლო. უდაბნოს სუფთა ჰაერმაც თავისი ქნა და გოგონა თავს მშვენივრად გრძნობდა.

სტაში ნელის მიმართ საგანგებო ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა, რათა არაბები მიმხვდარიყვნენ, რა გამორჩეული, უჩვეულო ტყვე მიჰყავდათ; უნდოდა, გოგონას ყველა თვალისჩინივით გაფრთხილებოდა. იდრისი ამას ჯერ კიდევ მედინეტში მიეჩვია და აქაც წყალსა და ფინიკს არ იშურებდა მისთვის. ვერც საზიზღარი გებჰრი

გაბედავდა ამიერიდან მისთვის ხელის ხლებას. საოცრად ლამაზი გოგონა ყვავილსა თუ ჩიტს ჰგავდა და მის დანახვაზე ველური და გაუნათლებელი არაბებიც კი იხიბლებოდნენ. მართლაც, საღამოობით იერიქონის ვარდისა თუ ეკალ-ბარდის კოცონთან მდგარს, ალით აფაკლულსა თუ მთვარის ვერცხლისფერი შუქით გაცისკროვნებულს თვით სუდანელებიცა და არაბებიც თვალს ვერ აშორებდნენ და, აღტაცების გამოსახატავად, თავიანთი ჩვეულებისამებრ, პირს აწკლაპუნებდნენ, ხოლო დროდადრო განცვიფრებით ჩაიბურტყუნებდნენ: ალაჰ, მაშალაჰ თუ ბისმილაჰო!

მეორე დღეს, შუადღის ჟამს, იმ ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ, ამჯერად ერთ აქლემზე მსხდარმა სტაშმა და ნელიმ საოცრად ბედნიერი წუთები განიცადეს. მზის ამოსვლისთანავე უდაბნოს თავზე გაიშალა ნათელი და გამჭვირვალე ბურუსი, რომელიც მალევე გაქრა. მერე, როცა მზე მაღლა აიწვერა, წინა დღეებზე მაგარი სიცხე ჩამოწვა. აქლემები სულის მოსათქმელად რომ შეჩერდებოდნენ, ნიავი ოდნავაც არ იძვროდა და იფიქრებდით, ჰაერიც ისევე ქვის სითბოში, სინათლესა და სიჩუმეში ჩაყურსულაო. ქარავანი ერთ თვალუწვდენელ, ერთფეროვან, ხეობებით ჩაუხრამავ დაბლობზე გავიდა და ანაზდად ბავშვების თვალწინ ზღაპრული სანახაობა გადაიშალა. ტანწვრილი პალმებისა და წიწაკის ხეების კორომები, მანდარინები, თეთრი სახლები, მაღალმინარეთიანი მომცრო მეჩეთი, ქვემოთ კი ბაღ-ბოსტნებს შემოვლებული კედლები. ყოველივე ეს ისე ცხადად და ისე ახლოს გამოჩნდა, იფიქრებდით, ნახევარი საათიც და ქარავანი იმ ხეების ჩეროში ამოყოფს თავსო.

– ეს რა არის? – შესძახა სტაშმა. – ნელი! ნელი! შეხედე!

ნელიმ წამოიწია და განცვიფრებისაგან ენა ჩაუვარდა, მაგრამ უმალვე გონს მოეგო და მხიარული კივილი აღმოხდა:

– მედინეტი! მამიკოსთან მივდივარ, მამიკოსთან!

სტაშს გაოცებისგან სახე გაუფითრდა.

– მართლაც... იქნებ კჰარგაა... მაგრამ, არა! ნაღდად მედინეტია... მინარეთი ვიცანი, აგერ კიდევ ჭებთან წისქვილს ვხედავ.

შორიდან მართალივით მოჩანდა მაღლა აწოწილი წისქვილის ფრთები. მწვანე ხეების ფონზე ისე ცხადად ჩანდა, რომ სტაშის მახვილმა თვალმა ფრთების კიდეების წითელი არშიაც კი გაარჩია.

– ეს მედინეტია!..

სტაშმა წიგნებიდანაც იცოდა და მონათხრობითაც, რომ უდაბნოში არსებობს მირაჟი, რომელსაც ფატა-მორგანას ეძახიან, რომ მგზავრებს არაერთხელ მოსჩვენებიათ

ოაზისები, ქალაქები, ხეთა კორომები და ტბები, რომელნიც სხვა არაფერია, თუ არა მოჩვენება, შუქჩრდილების თამაში და ნაღდი, შორეულ საგანთა ანარეკლი. მაგრამ ამჯერად სანახაობა იმდენად ცხადი, იმდენად ხელშესახები იყო, ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ნამდვილ მედინეტს ხედავდა. აგერ მუდირის სახლის კოშკურაა, იქით, ზედ მინარეთის წვერზე, დახვეული აივანი, საიდანაც მოლა ხალხს სალოცავად უხმობს ხოლმე, აგერ ნაცნობი ხეების ჯგუფი და კიდევ ის წისქვილის ფრთები! არა, არა, ეს ყოველივე ცხადზე უცხადესი უნდა ყოფილიყო. ბიჭმა ისიც კი გაიფიქრა, ჩანს, სუდანელები მიხვდნენ, რომ ვერსად გაიქცეოდნენ, ჩემთვის არაფერი გაუმხელიათ და ისევ უკან, ფაიუმისაკენ დავბრუნებულვართო, მაგრამ მათმა სიმშვიდემ, ცოტა არ იყოს და, ჩააფიქრა. ეს რომ ფაიუმი იყოს, ასე გულგრილად რად იცქირებიან? ხედავდნენ წინ გადაშლილ ხედს, ერთმანეთს თითით აჩვენებდნენ, მაგრამ სახეზე არც მღელვარება ეტყობოდათ და არც ყოყმანი. სტაშმა კიდევ მიიხედა მათკენ და სწორედ არაბთა გულგრილობამ გამოიწვია ის, რომ სანახაობა ამჯერად საოცრად გაფერმკრთალდა. ისიც გაიფიქრა, მართლა უკან რომ დაბრუნებულიყვნენ, ქარავანიც მჭიდროდ ჯგუფად შეიკვროდა და ხალხი, თუნდაც შიშის გამო, ერთად სიარულს ამჯობინებდა. ამასობაში კი იდრისის მიერ ამ დღეებში წინდაწინ გაგზავნილი ბედუინები სულაც არსად ჩანდნენ, მცველის მოვალეობის შემსრულებელი უკან ჩამდგარი ხამისი კი თვალებბრიალა ძერას ჰგავდა.

“ფატა-მორგანა!” – თავისთვის ჩაილაპარაკა სტაშმა.

ამასობაში იდრისი მიუახლოვდა და დაუყვირა:

– ჰეი! აქლემს შეუძახე! ხედავ მედინეტს?

ეტყობოდა, ხუმრობით თქვა და ხმაზეც ისეთი წინააღმდეგობრიობა ემჩნეოდა, რომ ბიჭს უკანასკნელი იმედიც გადაეწურა, რომ მართლა ნამდვილ მედინეტს ხედავდა.

და ნელისაკენ გულისტკივილით მიბრუნებულს უნდოდა მისთვისაც ეკითხა მოჩვენებაზე, რომ ამ დროს მოხდა ერთი მოულოდნელი ამბავი, რომელმაც ყველას ყურადღება სულ სხვა რამეზე გადაიტანა.

წინ გამოჩნდა ბედუინი, რომელიც გამალებული მოაქროლებდა აქლემს, თან შორიდან მოაქნევდა ზეაღმართულ გრძელ არაბულ თოფს, რომელიც მანამდე ქარავანში არავის ჰქონია. იდრისთან მივარდნილმა რამდენიმე სიტყვა გადაულაპარაკა თუ არა, ქარავანი მსწრაფლვე უდაბნოს შუაგულისაკენ მიტრიალდა. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გამოჩნდა მეორე ბედუინი, რომელსაც ტყავის საპალნეგადაკიდებული ჩასუქებული დედალი აქლემი მოჰყავდა. კვლავ გაიმართა ხანმოკლე საუბარი, მაგრამ სტაშმა ყური ვერაფერს მოჰკრა. ჭენებით მიმავალი ქარავანი კი კვლავ დასავლეთისკენ მიიჩქაროდა

და შეჩერდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ახორხლილი კლდეებით, ნაპრალებითა და გამოქვაბულებით სავსე ვიწრო ხეობას წააწყდნენ. ერთი გამოქვაბული იმდენად ვრცელი იყო, რომ სუდანელებმა შიგ ხალხიც დამალეს და აქლემებიც. სტაში დაახლოებით მიხვდა, რაც მოხდა, იდრისის გვერდით წამოწვა და თავი მოიმძინარა იმ იმედით, რომ ბუდუინები, რომელთაც მომხდარზე ორიოდ წინადადება დასცდათ, ახლა გრძელ საუბარს გააბამდნენ. იმედი არ გასცრუებია, რადგან, აქლემებს საჭმელი დაუყარეს თუ არა, ბედუინები და სუდანელები ხამისთან ერთად ჩამოსხდნენ და ბჭობა გამართეს.

– ამიერიდან ღამღამობით უნდა ვიაროთ, დღისით კი – დავიმალოთ. – დაიწყო ცალთვალა ბედუინმა. – ამ გზაზე ბევრი შეგვხვდება და თავშესაფარს ყველგან ვიპოვით.

– დაწმუნებული ხარ, რომ ჩაფარი იყო? – ჰკითხა იდრისმა.

– ალაჰ! ველაპარაკეთ კიდეც. ბედი ჩვენი, რომ მარტო იყო. კლდეს ამოფარებოდა და ვერ დავინახეთ, სამაგიეროდ შორიდან აქლემის ხმა გავიგონეთ. მაშინ ნაბიჯს მოვუკელით და ფეხაკრებით მიპარულები მაშინღა დაგვინახა, მასთან მისვლამდე რამდენიმე ნაბიჯიღა რომ გვაკლდა. ძალიან შეშინდა და თოფის დამიზნება დააპირა. რომ გაესროლა, მიუხედავად იმისა, მოგვახვედრებდა რომელიმეს თუ არა, სროლის ხმას სხვა ჩაფრები გაიგონებდნენ. ამიტომაც გაბედულად ვუთხარით: “სდექ! ჩვენ ორი თეთრკანიანი ბავშვის გამტაცებლებს მივდევთ და დანარჩენი მდევარიც მალე მოაღწევს”. ახალგაზრდა და ჩერჩეტი ბიჭი გამოდგა, დაგვიჯერა, ოღონდ მაინც გვითხრა, ყურანზე დაიფიცეთ, რომ სიმართლეს ამბობთო. აქლემებიდან ჩამოვხტით და დავიფიცეთ... იმედია, მაჰდი მოგვიტევებს...

– და დაგლოცავთ კიდეც. – უთხრა იდრისმა. – განაგრძეთ, მერე რა ქენით?

– რა და, – განაგრძო ბედუინმა, – ჩვენ რომ დავიფიცეთ, ბიჭს იქით შევუტიე: – ვინ დაგიდგება თავდებად, რომ შენ თავად არ ეკუთვნი იმ თეთრკანიანი ბავშვების გამტაცებელ ბანდას და აქ მდევრის შესაჩერებლად არ ხარ დატოვებული? ჰოდა, ვუთხარი, შენც დაიფიცე, რომ არ გვატყუებ – მეთქი! დაგვეთანხმა და ამის შემდეგ ჩვენს სიმართლეში ეჭვიც აღარ შეჰპარვია. გამოკითხვა დავუწყეთ, ალუმინის მავთულებით შეიხებს ბრძანება თუ მოუვიდათ და უდაბნოში ყარაულები თუ იდგნენ. გვითხრა, ეგრეა, თან ძალიან დიდ ჯილდოს შეგვპირდნენ და მდინარიდან ორი დღის სავალზე მდებარე ყველა ხეობაში ყარაული დგას, თავად მდინარეზე კი გამუდმებით დაცურავენ ინგლისელებითა და ჯარისკაცებით სავსე ბაბურები (გემები)...

– ალაჰისა და წინასწარმეტყველის წინაშე გემებიც უძლურია და ჯარიც...

– ღმერთმა კარგი ყურით გისმინოს!

– ახლა ისა თქვი, იმ ბიჭს რაღა უყავით?

ცალთვალა ბედუინმა თითი ამხანაგისაკენ გაიშვირა.

– აბუ-ანგამ ჰკითხა კიდევ, – თქვა, – ახლომახლო სხვა ჩაფარი თუ არისო, პასუხად მოისმინა თუ არა, არაო, კისრის ქვეშ დანა ისე სწრაფად ჩაარტყა, ბედკრულმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო. ღრმა ნაპრალში ჩავაგდეთ და ქვები და ეკალ-ბარდები მივაყარეთ. სოფელში იფიქრებენ, რომ მაჰდისთან გაიქცა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვითხრა, ასე უნდა ვქნაო.

– ღმერთმა ყველა გაქცეული ისე დალოცოს, როგორც თქვენ დაგლოცათ. – თქვა იდრისმა.

– ჰო, ჰო! დაგვლოცა, – წამოიძახა აბუ-ანგამ, – რადგან უკვე ვიცით, რომ ამიერიდან მდინარისგან სამი დღის სავალზე უნდა ვიყოთ, ამის გარდა, ვიშოვეთ თოფი, რომელიც ნამდვილად გვაკლდა და მეწველი აქლემი.

– ტიკები, – დასძინა ცალთვალამ, – წყლითაა სავსე და თოფრაკები – ქერით, ოღონდ დენთია ცოტა.

– ხომ გვაქვს თეთრი ბიჭის თოფის ტყვიები. მართალია, იმის სროლა არ ვიცით, მაგრამ დენთი დენთია და ჩვენსასაც მიუდგება.

ამის თქმაზე იდრისი ჩაფიქრდა და შავი სახე მძიმე ნაღველმა შეუჭმუხნა, რადგანაც მიხვდა, რახან ერთი გვამი უკვე იყო მათ კისერზე, ეგვიპტის მთავრობის ხელში ჩავარდნის შემთხვევაში სტაშის გამოქომაგებაც უკვე ვეღარას უშველიდათ.

სტაში ამას ყველაფერს გულაჩქროლებული და დაძაბული ისმენდა. იყო ამ საუბარში დამამშვიდებელი ამბავიც, კერძოდ ის, რომ მდევარი უკვე გამოეგზავნათ, ჯილდოც აღეთქვათ და სანაპირო ტომების შეიხებსაც უკვე მიეღოთ სამხრეთისაკენ მიმავალი ყველა ქარავნის დაკავების ბრძანება. ბიჭი იმანაც დაამშვიდა, რომ მდინარეზე მოცურავე გემები სავსე იყო ინგლისელებით. მაჰდის დავრიშები შესაძლოა ეგვიპტის არმიას შებრძოლებოდნენ და დაემარცხებინათ კიდეც, მაგრამ ინგლისელებთან შებმა სულ სხვა რამ იყო და იოტისოდენი ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ პირველივე ბრძოლა ველური ბრბოების სასტიკი დამარცხებით დამთავრდებოდა. გამხნევებული იმას ნატრობდა, ნეტა მაჰდისთან მიგვიყვანონ და ისე მოხდეს, ჩვენი იქ მისვლისთვის აღარც მაჰდი იყოს და აღარც მისი დავრიშებიო, მაგრამ ეს ნუგეში უმალვე მოუშხამა ფიქრმა იმაზე, რომ ასეთი დასასრულის შემთხვევაში კიდევ მთელი კვირის მგზავრობა მიუწევდათ, რაც ნელის ალბათ, ქანცს გაუწყვეტდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში კი ისევ ამ არამზადებსა და მკვლელებთან ერთად მოუწევდათ ყოფნა. ბედუინების მიერ ცხვარივით დაკლული

ყმაწვილი არაბის გახსენებაზე სტაში შიშისა და სინანულის გრძნობამ შეიპყრო. გადაწყვიტა, ამაზე კრინტი არ დაეძრა ნელისთან, რათა კიდევ არ გაემძაფრებინა ფაიუმის ოაზისისა და ქალაქ მედინეტის მოჩვენებითი ხილვით გამოწვეული მისი ნაღველი. ხეობაში შემოსვლისას თვალი მოჰკრა, რა ღაპაღუპით სდიოდა გოგონას ცრემლი; ერთი სიტყვით, მოისმინა თუ არა ბედუინთაგან ის, რისი გაგებაც სურდა, თავი ისე დაიჭირა, თითქოს და ახლა გაეღვიძოს და ნელისთან გადაჯდა. იგი დინაჰთან ერთად კუთხეში მიმჯდარიყო და ცრემლებით დასველებულ ფინიკს ღეჭავდა. მაგრამ სტაშის დანახვისთანავე გაახსენდა, რომ მისი ამასწინანდელი მოქმედება ცამეტი წლის გოგონას ნამოქმედარს შეადარა და, ისევ ბავშვად რომ არ მოსჩვენებოდა, სლუკუნის შესაკავებლად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფინიკს კბილები დააჭირა.

– ნელი, – უთხრა ბიჭმა. – მედინეტი მოჩვენება იყო, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ მოგვდევენ; ჰოდა, ნუ დარდობ, ნუ ტირი!

ამაზე გოგონამ ცრემლჩამდგარი თვალებით შეხედა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა:

– არა, სტაშ... ტირილი სულაც არ მინდა... ოღონდ, რაღაც... თვალები გამეოფლა.

მაგრამ იმავე წამს პაწია ნიკაპი აუთრთოლდა, შეწებებულ წამწამებს შორის უშველებელი კურცხლები ჩამოუგორდა და ქვითინი წასკდა.

სირცხვილისა და შიშისაგან, სტაში დამტუქსავსო, აღარ იცოდა, რა ექნა, ჰოდა, ბიჭს თავი მკერდზე მიადო და ხალათი ცრემლით დაუსველა.

რაღა უნდა ექნა, სტაში მის დამშვიდებას შეუდგა.

– ნელი, შადრევანი ხომ არა ხარ? დაინახე, ვიღაც არაბს თოფი და აქლემი რომ წაართვეს? იცი, ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ უდაბნო ჩაფრებითაა სავსე. თუ ამ არამზადებმა ჩაფრის ხელში ჩაგდება მოახერხეს, რა გგონია, ჩაფრები ამათ დაჭერას ვერ მოახერხებენ? ნილოსზეც უამრავი გემი მიდი-მოდის... აბა, რა გგონია! დავბრუნდებით, ნელი, დავბრუნდებით – იმ გემით დავბრუნდებით. ნუ გეშინია!..

და კიდევ დიდხანს დაამშვიდებდა ასე და ამგვარად, რომ გარედან ქვიშიანი აჩრდილებიდან შემოსულ უცნაურ ხმას არ მიეპყრო მისი ყურადღება. ეს ხმა ლერწმის სასტვენლის ლითონისებურ წვრილ ხმას ჰგავდა. სტაშმა საუბარი შეწყვიტა და სმენად იქცა. წუთიც და ისეთივე წვრილი და ნაღვლიანი ხმები ერთდროულად ყოველი მხრიდან გაისმა. ბიჭს თავში გაუელვა აზრმა, ეგებ არაბი ჩაფრები ხეობას გარს ერტყმიან და ერთმანეთს სასტვენებით უხმობენო. გულმა ბაგაბუგი დაუწყო. მალიმალ გადახედავდა სუდანელებს იმ იმედით, ეგებ სახეზე რომელიმეს მღელვარება შევამჩნიოო, მაგრამ არაფერიც! იდრისი, გებჰრი და ორი ბედუინი მშვიდად ღრღნიდნენ

ორცხობილას, მხოლოდ ხამისს ეტყობოდა განცვიფრება. ის ხმები კი არ წყდებოდა. მოგვიანებით იდრისი წამოდგა და გამოქვაბულიდან გარეთ გაიხედა, მერე უკან მობრუნებული ბავშვებთან შედგა და თქვა:

– ქვიშა იწყებს სიმღერას. სტაში ისეთმა ცნობისწადილმა შეიპყრო, რომ იმ წუთას კიდეც დაავიწყდა საკუთარი გადაწყვეტილება, იდრისს სიცოცხლეში ხმას აღარ გავცემო და ჰკითხა:

– ქვიშა? ეგ რას ნიშნავს?

– როცა ასე ხდება, ეს იმას მოასწავებს, რომ დიდხანს აღარ იწვიმებს. მაგრამ სიცხე არ შეგვაწუხებს, რადგან ასუანამდე მხოლოდ ღამღამობით ვივლით.

მეტი მისგან, ვერაფერი შეიტყვეს. სტაში და ნელი დიდხანს უსმენდნენ იმ იშვიათ წკრიალს, რომელიც ცხადად ისმოდა, ვიდრე მზე დასავლეთისაკენ არ გადაიწვერა. ამის შემდეგ, დაღამებისთანავე, ქარავანმა გზა განაგრძო.

კარი XIII

დღისით კლდეებსა და ნაპრალებს შორის მოფარებულ და ძნელადმისაწვდომ ადგილებში იმალებოდნენ, ღამღამობით კი სულმოუთქმელად მიქროდნენ, სანამ პირველ ჭორომს არ გასცდნენ. ბოლოს, როდესაც ბედუინებმა ხეობების მდგომარეობისა და აღნაგობის მიხედვით შეამჩნიეს, რომ ასუანი უკან ჩამოიტოვეს. იდრისმა შვებით ამოისუნთქა. რაკიღა უკვე წყლის ნაკლებობას განიცდიდნენ, მდინარეს ამჯერად ნახევარი დღის სავალზე მიუახლოვდნენ. მომდევნო ღამეს, იდრისმა ქარავანი რომ დამალა, ბედუინებს ყველა აქლემი გააყოლა ნილოსზე, რათა გრძელი გზის გასავლელად კარგად დაერწყულებინათ. ასუანის შემდეგ ნილოსის გამყოლი მოსავლიანი ზოლი საგრძნობლად ვიწროვდებოდა. ზოგ-ზოგ ადგილს უდაბნო ზედ მდინარეს მიბჯენოდა. სოფლებს შორის აქ დიდი მანძილი იყო. ბედუინები გახარებული დაბრუნდნენ, რადგან ისინი ვერავის შეენიშნა და თანაც წყალი ბლომად მოემარაგებინათ. ახლა მხოლოდ საკვებზე უნდა ეზრუნათ, რადგან პირუტყვს უკვე ცოტას აჭმევდნენ და ერთ კვირაში საგრძნობლად გახდნენ. კისრები დაუგრძელდათ, კუზები მოეფლაშათ, ფეხები კი დაუსუსტდათ. სორგო და ხალხის საჭმელი დიდი-დიდი ორ დღეს ეყოფოდათ. მაგრამ

იდრისი იმედოვნებდა, რომ ორი დღის შემდეგ, დღისით თუ არა ღამით მაინც მიუახლოვდებოდნენ სანაპირო საძოვარს და შეიძლება რომელიმე სოფელში ორცხობილა და ფინიკიც ეყიდათ.

ლომას უკვე აღარ აჭმევდნენ და აღარც წყალს ასმევდნენ, მხოლოდ ბავშვები თუ გადაუნახავდნენ ორიოდ ლუკმას, მაგრამ ძაღლი ახერხებდა თავის გატანას და ბანაკში ხშირად ლაშებდასისხლიანებული ბრუნდებოდა, თუმცა ხანდახან კისერსა და მკერდზე ნაკბენებიც ეტყობოდა. ამ ბრძოლების ნადავლი ტურები იყვნენ თუ ჰიენები, ქვიშრობის მელიები თუ ძაღლები – არავინ იცის, ის კი აშკარა იყო, რომ ძაღლი დიდად დამშეული არ ჩანდა. დროდადრო, თითქოსდა წყალი დალიაო, შავი დრუნჩი სველი ჰქონდა. ბედუინები მიხვდნენ, რომ ხეობის ძირში ღრმა ორმოებს თხრიდა წყლისთვის, რასაც ის ყნოსვით პოულობდა. ამგვარად თხრიან ხოლმე ორმოებს გზააბნეული მგზავრები და, თუ წყალს ხშირად ვერ პოულობენ, ქვიშის ტენიან ფენამდე მაინც ჩადიან და წყურვილის მოსაკლავად ტენს გამოწოვენ ხოლმე.

თუმცა, ცვლილება ლომასაც დაეტყო: ყელ-კისერი და მკერდი ისევ ისე ძლიერი ჰქონდა, მაგრამ ფერდები კი ჩაუცვივდა, რის გამოც კიდევ უფრო მაღალი გამოჩნდა. თვალების თეთრი გარსი ჩასისხლიანებოდა და შიგ რაღაც მრისხანე თუ ველური გამომეტყველება ჩაბუდებოდა. ნელისა და სტაშს ძველებური სიყვარულით ეპყრობოდა და, რაც მოეპრიანებოდათ, მათ ყველაფრის ნებას აძლევდა. ხამისს თუ დაუქიცინებდა ხანდახან კუდს, ბედუინებსა და სუდანელებს კი ან ყრუდ უღრენდა, ანდა თავის საშინელ ეშვებს ელვასავით აკვესებდა. იდრისსა და გებჰრს თანდათანობით მისი შიში შეეპარათ და, უწინდელი დამსახურების მიუხედავად, ისეთნაირად შეეზიზღათ, მზად იყვნენ, ნაალაფარი თოფით სული გაეფრთხობინებინათ, რომ არა სმაინთან თავმოსაწონებლად განსაკუთრებული ცხოველის მიყვანის სურვილი და კიდევ ის, რომ უკვე ასუანს გასცდნენ.

ასუანს გასცდნენ! სტაში გამუდმებით ამაზე ფიქრობდა და თანდათანობით მდევრის წამოწევის შიშმა შეიპყრო. კარგად იცოდა, რომ არა მარტო თავად ეგვიპტე, რომელიც ვადი-ჰალფასთან, ანუ მეორე ჭორომთან, მთავრდებოდა, არამედ მთელი ნუბიაც ეგვიპტის მთავრობის ხელში იყო, მაგრამ ესმოდა, რომ ასუანის, ანუ ვადი-ჰალფას, შემდეგ დევნა ძალზე ძნელი იქნებოდა და ბრძანებას უგულისყუროდ მოეკიდებოდნენ. იმის იმედიღა ასულდგმულებდა, რომ მდევრის გაგზავნის შემდეგ მამამისი, პან რავლისონთან ერთად ფაიუმიდან თავადაც ვადი-ჰალფასაკენ წავიდოდნენ გემით და იქ, მთავრობისგან ჯარისკაცებსა და აქლემებს მიიღებდნენ თუ არა, თავადვე ეცდებოდნენ სამხრეთისაკენ მიმავალი ქარავნებისთვის გზის გადაჭრას. ბიჭმა თავისთვის გაიანგარიშა, რომ მათ ადგილას თავადაც ასე მოიქცეოდა და ამიტომაც თვლიდა თავის ვარაუდს უტყუარად.

მაგრამ არც გაქცევის საკუთარ გეგმაზე უთქვამს უარი. სუდანელებს ნაალაფარი თოფისთვის დენთი მოუნდათ და გადაწყვიტეს, შტუცერის რამდენიმე ტყვია გაეხსნათ, მაგრამ ბიჭმა განუცხადა, მაგის გაკეთებას ჩემს მეტი ვერავინ მოახერხებს, რადგან, შესაძლოა, გახსნისას ტყვია რომელიმეს პირდაპირ ხელში აუფეთქდეს და წააწყვიტოსო. იდრისს, საერთოდ, ძალიან ეშინოდა უცნობი საგნებისა და ინგლისელთა გამოგონებებისა და გადაწყვიტა, ეს საქმე ბიჭისთვის მიენდო. სტაში სიამოვნებით შეუდგა საქმეს იმ იმედით, რომ ძლიერი ინგლისური დენთი პირველსავე გასროლაზე გახლეჩდა ძველ არაბულ თოფს, მეორეც, შესაძლებლობა ექნებოდა, ცოტაოდენი დენთი გადაემალა. ყველაფერი იმაზე იოლად მოახერხა, ვიდრე ეგონა. მუშაობისას ჯერ მეთვალყურეობდნენ, შემდეგ ლაპარაკი გააბეს და ბოლოს თვალთვალი სულაც გადაავიწყდათ. სწორედ ამ ლაქლაქისადმი მათმა გადამეტებულმა სიყვარულმა და ჩვეულმა დაუდევრობამ სტაშს საშუალება მისცა, შვიდი ტყვია გადაემალა. ახლა შტუცერის ხელში ჩაგდებაღა იყო საჭირო.

ბიჭი ფიქრობდა, რომ ვადი-ჰალფას, ანუ მეორე ჭორომის შემდეგ ეს არ გაუჭირდებოდა, რადგან გრძნობდა, რაც უფრო ახლო იქნებოდნენ მიზანთან, არაბები ყურადღებას მით უფრო მოადუნებდნენ. ის აზრი, რომ იძულებული გახდებოდა, სუდანელები და არაბები დაეხოცა და, შესაძლოა, ხამისიც ზედ მიეყოლებინა, გულს უძმარავდა, მაგრამ ბედუინების მიერ არაბის მოკვლის შემდეგ საჭოჭმანო აღარაფერი იყო. თავს არწმუნებდა, რომ საქმე ეხებოდა თავდაცვას, ნელის თავისუფლებასა და სიცოცხლეს და ამის გამო მოწინააღმდეგის სიცოცხლე რა ბედენა იყო, მით უფრო, თუ არ დანებდებოდნენ და მათთან შებრძოლება მოუწევდა.

ოღონდ ჯერ შტუცერი უნდა მოეპოვებინა. გადაწყვიტა, ეშმაკობით ჩაეგდო ხელში და, თუ ამას მოახერხებდა, ვადი-ჰალფამდე აღარ დაეცადა და საქმე რაც შეიძლება სწრაფად მოეგვარებინა.

მართლაც, მოქმედებას შეუდგა.

ასუანს გასცდნენ თუ არა, იდრისმა მესამე დღეს განთიადისთანავე გაგზავნა ბედუინები საჭმლის მარაგის მოსაპოვებლად. მტრის ბანაკის შეთხელებისთანავე სტაშმა საკუთარ თავს უთხრა: “ან ახლა, ან არასოდეს” და უმალვე სუდანელს მიუბრუნდა, ჰკითხა:

– იდრის, იცი თუ არა, ვადი-ჰალფას შემდეგ რომ ნუბია იწყება?

– ვიცი. მე თხუთმეტი წლისა ვიყავი, გებჰრი კი – რვისა, როდესაც მამამ სუდანიდან ფაიუმში ჩამოგვიყვანა და მახსოვს, რომ მაშინ მთელი ნუბია აქლემებით გამოვიარეთ. მაგრამ ეს მხარე ჯერაც თურქებს (ეგვიპტელებს) ეკუთვნის.

– დიახ, მაჰდი ჯერ კიდევ ხარტუმთან იმყოფება, ხომ მიხვდი, რა სისულელეს ამბობდა ხამისი. დერვიშთა ჯარი უკვე ასუანს მოადგაო, მაგრამ მე სულ სხვა რამეს გეკითხები. წიგნებში წამიკითხავს, რომ ნუბიაში ბევრი მძვინვარე მხეცი და ყაჩაღია, რომლებიც არც არავის ემორჩილებიან და ერთნაირად ესხმიან თავს როგორც ეგვიპტელებს, ასევე მაჰდის ერთგულ ხალხს. რითი აპირებთ თავდაცვას, გამძვინვარებული მხეცი ან ყაჩაღები რომ დაგესხან თავს?

გამძვინვარებულ მხეცებს განგებ ახსენებდა, სამაგიეროდ ყაჩაღობა ამ მხარეში ისედაც ხშირი იყო და ამ ომიანობისას ხომ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა.

იდრისი ღრმად ჩააფიქრა ახალმა საშიშროებამ, რაც მანამდე საერთოდ არ გახსენებია.

– დანები და თოფები ხომ გვაქვს.

– ეგ თოფი გამოუსადეგარია.

– ვიცი. შენი სჯობს, მაგრამ ხმარება არ ვიცით, შენ კი ხელში ვერ ჩაგიგდებთ.

– გაუტენავსაც?

– ჰო, რა ვიცი, ეგებ მოჯადოებულია!

სტაშმა მხრები აიჩეჩა.

– იდრის, ეგ რომ გებჰრს ეთქვა, არ გამიკვირდებოდა, მაგრამ შენ უფრო ჭკვიანი მეგონე. გაუტენავი თოფით თვით თქვენი მაჰდიც ვერ ახერხებს სროლას.

– კრინტი! – მკაცრად შეაწყვეტინა იდრისმა. – მაჰდი თითითაც კი გაისვრის.

– მაშინ შენც ისროლე.

სუდანელმა ბიჭს თვალებში ჩახედა.

– რისთვის გინდა, თოფი რომ მოგცე?

– მინდა, სროლა გასწავლო.

– რაში გენაღვლება, ვისწავლი თუ არა?

– ძალიანაც მაგრად მენაღვლება: ყაჩაღები რომ დაგვეცნენ, ყველას ერთიანად ამოგვჟუჟავენ, მაგრამ შენ თუ თოფისა გეშინია, წასულია ჩვენი საქმე და ეგაა.

იდრისი დადუმდა. მართლა ეშინოდა, მაგრამ გამხელა არ სურდა. ისე კი ძალიან უნდოდა ესწავლა სროლა, რაც მაჰდისტების ბანაკში მის სახელს ერთიორად გაზრდიდა, თანაც, თავდასხმის შემთხვევაში, თავის დაცვას უფრო იოლად შეძლებდა.

ჰოდა მცირე ყოყმანის შემდეგ თქვა კიდეც:

– კეთილი. მოგაწოდოს ხამისმა.

ხამისმა ბრძანება გულგრილად შეასრულა. კიდევ კარგი, გებჰრი იმჟამად აქლემებთან იყო და წინააღმდეგობას ვერ გასწევდა. სტაშს ხელი ოდნავ აუთრთოლდა, როცა ჩახმახი გამოწია, მერე ლულა და იდრისს მიაწოდა.

– აი, ჩახედე, ცარიელია, – უთხრა.

იდრისმა ლულა გამოართვა, მაღლა აწია და ჩახედა.

– მართალია, შიგ არაფერია.

– ახლა უყურე, – უთხრა სტაშმა, – აი, თოფი ასე იწყობა (ამას რომ ამბობდა, ჩახმახი და ლულა ააწყო), ასე კი იშლება. ხედავ ახლა ისევ დავშლი, და შენ ააწყვე...

სუდანელი სტაშის მოძრაობას გაფაციცებით ადევნებდა თვალს და მერე თვითონაც მოსინჯა. მთლად იოლად არ გამოსვლია, მაგრამ, რამდენადაც არაბები საერთოდ დიდი მოხერხებულობით გამოირჩევიან, თოფი სულ მალე ააწყო.

– გახსენი! – ბრძანება გასცა სტაშმა.

იდრისმა შტუცერი სწრაფად გახსნა.

– დახურე.

კიდევ უფრო იოლად დახურა.

– ახლა ორი ცარიელი მასრა მომაწოდე. გასწავლი, დენთით როგორ უნდა დატენო. არაბებს დაცარიელებული მასრები შეენახათ და, იდრისმა სტაშს ორი ცალი მიაწოდა თუ არა, სწავლება უმალვე განახლდა.

სუდანელი თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, დააფრთხო ფალიაზე ჩახმახის ტკაცანმა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ცარიელი მასრითა და ცარიელი ლულით გასროლას ვერავინ შეძლებდა. სტაშის ნდობა იმიტომაც დაუბრუნდა, რომ იარაღს წამდაუწუმ ხელში აჩეჩებდა.

– ასე, – უთხრა სტაშმა, – უკვე იცი შტუცერის აწყობა, იცი გახსნა, დახურვა, სახესთან მიტანა და ჩახმახის გამოკვრა, მაგრამ ასევე საჭიროა დამიზნება. ეს ყველაზე ძნელი საქმეა. აიღე ცარიელი ტიკი და ასი ნაბიჯის დაშორებით დადე... აგერ, იმ ქვებზე, მერე ჩემთან მოდი და გაჩვენებ, როგორ უნდა დაუმიზნო.

იდრისმა ტიკს დაუფიქრებლად წამოავლო ხელი და ნაჩვენები ქვებისაკენ წავიდა. სანამ იქამდე მივიდოდა, სტაშმა თოფიდან ცარიელი მასრა ამოიღო და შიგ დამუხტული ჩადო. მარტო გული კი არა, საფეთქლებიც ისეთი ძალით აუტოკდა, ეგონა, საცაა თავი გამისკდებაო. დადგა გადამწყვეტი ჟამი – მისი და ნელის თავისუფლების ჟამი, ჟამი გამარჯვებისა, ერთდროულად საშინელი და სანუკვარი ჟამი.

აჰა! იდრისის სიცოცხლე მის ხელთაა! ჩახმახზე თითის გამოკვრა და ეს მოღალატე, ნელის გამტაცებელი, უსულოდ გაერთხმის მიწაზე, მაგრამ სტაში, რომლის ძარღვებშიც პოლონური და ფრანგული სისხლი ჩქეფდა, ანაზდად მიხვდა, რომ ზურგით მდგარ ადამიანს თავის სიცოცხლეში არ ესროდა. შემობრუნდეს მაინც და სიკვდილს პირდაპირ ჩახედოს თვალებში. მერე? მერე გებჰრი გამოვარდება და ათი ნაბიჯის გადმოდგმასაც ვერ მოასწრებს, თავადაც უსულოდ გაიშოტება. დარჩება ხამისი. ხამისი დაიბნევა, რომც არ დაიბნეს, მაინც მოასწრებს ლულაში ახალი მასრის ჩადებას. ბედუინები რომ მობრუნდებიან, სამ გვამს ნახავენ და თავადაც იმას მიიღებენ, რაც დაიმსახურეს. მერე კი საკმარისი იქნება აქლემების მდინარისაკენ წასხმა.

ამ აზრებმა ელვის უსწრაფესად გაუელვა სტაშს თავში. გრძნობდა, რაც ამ წუთას უნდა მომხდარიყო, გარდუვალიც იყო და საშინელიც. გამარჯვების სიამაყე და იმავე გამარჯვებისადმი ზიზღის გრძნობა გულზე ლოდივით დააწვა. იყო წამი, როცა შეყოყმანდა, მაგრამ გაახსენდა თეთრკანიანი ტყვეების ტანჯვა, მამა, პან რავლისონი, ნელი, გებჰრი, რომელმაც გოგონას მათრახი გადააწნა და ზიზღმა ახალი ძალით იფეთქა. “საჭიროა! საჭიროა!” – შეუძახა თავს და სახეზე მტკიცე გადაწყვეტილება აღებეჭდა. ამასობაში იდრისმა ტიკი ნაჩვენებ ქვაზე დადო, უკან შემობრუნდა და სტაშმა აშკარად დაინახა მისი მომღიმარე სახე და ქვიშნარ დაბლობზე ზეაღმართული ტანი. უკანასკნელად გაუელვა აზრმა, რომ ეს ცოცხალი ადამიანი წამის შემდეგ ძირს დაენარცხება და უკანასკნელ კრუნჩხვებში ჩავარდნილი თითებით ქვიშას დაუწყებს ფხოჭნას, მაგრამ ბიჭი ყოყმანს მორჩა და, როდესაც იდრისი ორმოცდაათიოდ ნაბიჯზე მოუახლოვდა, ნება-ნება იწყო თოფის თვალთან მიტანა.

მაგრამ, სანამ ჩახმახს თითს გამოჰკრავდა, რამდენიმე ასეული ნაბიჯით დაშორებული ქვაყრილიდან ხმამაღალი ყიჟინა შემოესმა და იმავე წუთს დაბლობზე ოციოდე ცხენოსანი და აქლემოსანი მხედარი გამოიჭრა. მათ დანახვაზე იდრისი გახევდა. არც სტაში განცვიფრებულა ნაკლებად, მაგრამ მისი განცვიფრება უმალვე გიჟურმა სიხარულმა შეცვალა. აჰა, ესეც ნანინანატრი მდევარი! დიახ! მაშ, სხვა ვინ უნდა იყოს!

ჩანს, სოფელში ბედუინები შეიპყრეს და მათ გათქვეს დანარჩენ მოქარავნეთა ადგილსამყოფელი! ამას მიხვდა იდრისიც, რომელიც შიშისაგან სახედამანჭული მიეჭრა სტაშს, დაუჩოქა და აქლოშინებული შეევედრა:

– ჩემო ბატონო, მე ხომ კეთილად გეპყრობოდით! პატარა ბინტსაც კეთილად ვეპყრობოდი – იცოდე, გახსოვდეს ეს!..

სტაშმა ლულიდან თავისდაუნებლიეთ გამოიღო მასრა და ისევ წინ გაიხედა. მხედრები თავდაუზოგავად მიაჭენებდნენ ცხენებს და აქლემებს, მხიარულად გაჰკიოდნენ და ჰაერში აგდებდნენ გრძელლულიან არაბულ თოფებს, რომლებსაც ჰაერშივე მოხერხებულად იჭერდნენ. სუფთა, კრიალა სივრცეში შესანიშნავად ჩანდა მათი სახეები. მათ წინ მიუძღოდათ ბედუინები და შერყეულებივით აქნევდნენ ხელებსა და მოსასხამებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მთელი ბანდა ქარავანს მოადგა. მხედარი უმალვე ჩამოქვეითდა, სხვები უნაგირებზევე დარჩნენ, მაგრამ მთელი ხმით გაჰკიოდნენ. მათ შეძახილებში ორად ორი სიტყვის გარჩევა შეიძლებოდა:

– ხარტუმი! გორდონი! გორდონი! ხარტუმი.

ბოლოს, ერთ-ერთი ბედუინი, ის, რომელსაც ამხანაგი აბუ-ანგას ეძახდა, სტაშის ფეხებთან მოკუნტულ იდრისთან მივარდა და ყვირილით უთხრა:

– ხარტუმი აღებულია! გორდონი მოკლეს! მაჰდი გამარჯვებულია!

იდრისი გასწორდა, მაგრამ საკუთარი ყურებისა არ სჯეროდა.

– ეს ხალხი ვინღაა? – იკითხა ტუჩებათრთოლებულმა.

– ამ ხალხს ჩვენ უნდა დავეჭირეთ, მაგრამ ახლა ჩვენთან ერთად მოდიან წინასწარმეტყველთან.

სტაშს თვალთ დაუბნელდა.

კარი XIV

და, მართლაც, გაქცევის უკანასკნელი იმედიც ჩაქრა. სტაში ცხადად მიხვდა, რომ ამიერიდან აღარც მის ჩანაფიქრს ექნებოდა აზრი და ვეღარც მდევარი დაეწეოდათ და, თუ გზის სიძნელეს გაუძლებდნენ და მაჰდიმდე მიაღწევდნენ, უეჭველად სმაინის ხელში აღმოჩნდებოდნენ. ერთადერთი დამაიმედებელი აზრი ის იყო, რომ სმაინის შვილებში გასაცვლელად მოიტაცეს. მაგრამ როდის მოხდება ეს და მანამდე კიდევ რა შეემთხვევათ? რა საშინელი ბედი ელით სისხლისმსმელ ველურ ურდოებს შორის? გაუძლებს ნელი ამდენ სიძნელესა და გაჭირვებას? ვინ გასცემდა ამაზე პასუხს. ერთი რამ აშკარა იყო – მაჰდისა და მის დავრიშებს ქრისტიანები და, საერთოდ, ევროპელები ეზიზღებოდათ; ბიჭს გულს უღრღნიდა ეჭვი, საკმარისი იქნებოდა თუ არა სმაინის ზეგავლენა, დაეცვა ბავშვი მაჰდის ერთგულთა შეურაცხყოფის, მძვინვარებისა და სისასტიკისაგან მაშინ როდესაც ისინი თვით მაჰმადის რჯულის ხალხსაც კი არ ინდობდნენ? მოტაცების შემდეგ ახლაღა შეიპყრო სტაში ღრმა სასოწარკვეთილებამ და იმავდროულად მწარე განცდამ იმისა, რომ ბედი არა და არ სწყალობდათ. თუნდაც ფაიუმადან მათი მოტაცება და ხარტუმში წაყვანა, უბრალოდ, სიგიჟე იყო, რომლის ჩადენაც შეეძლოთ იდრისისა და გებჰრისნაირ ველურ და ყეყეჩ ადამიანებს და რომლებსაც არც კი ესმოდათ, რას ნიშნავდა ეგვიპტის ხელისუფლების, უფრო სწორად კი ინგლისელთა ქვეშევრდომ ქვეყანაში ათასობით კილომეტრის გავლა. საქმე რომ კეთილად წარმართულიყო, ისინი მეორე დღესვე უნდა დაეჭირათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ისე აეწყო, საცაა მეორე ჭორომს მიუახლოვდებოდნენ, ვერც ერთი წინა მდევარი ვერ წამოეწიათ, ეს კი, რომელსაც მათი შეჩერება შეეძლო, ადგა და სულაც მათ შეუერთდა და ამიერიდან მათვე ამოუდგება მხარში. სტაშის სასოწარკვეთილებას და პაწია ნელის ბედზე შიშის განცდას თან დაერთო განცდა დამცირებისა, რომ ამიერიდან ვეღარას გააწყობდა და, რაც მთავარია, ვერც ვერაფერს მოიფიქრებდა, ეგ კი არა, ახლავე თოფი და ტყვია-წამალი რომ მიეცათ მისთვის, იმდენ მექარავნესთან აბა, რას გააწყობდა!

და ეს აზრები მით უფრო ტანჯავდა, რომ ხსნა ისე ახლო იყო. ხარტუმი რომ არ დაცემულიყო, ანდა დაცემულიყო რამდენიმე დღის შემდეგ, ეს ხალხი, ვინც ახლა მაჰდის მხარეს გადავიდა, ამათ დაიჭერდნენ და მთავრობას გადასცემდნენ. აქლემზე იდრისის უკან მჯდარი სტაში მათი საუბრის მოსმენის შემდეგ დარწმუნდა, რომ არც მთლად გულარხეინად იყვნენ. გზის გაგრძელებისთანავე მდევართა მეთაურმა იდრისს უამბო, რამ გადააწყვეტინათ ჰედივის ღალატი. წინდაწინ იცოდნენ, რომ უდიდესი ჯარი – ოღონდ არა ეგვიპტის, არამედ ინგლისის, გენერალ ვოლსელეის მეთაურობით სამხრეთისაკენ დაიძრა დავრიშთა წინააღმდეგ. უთვალავ გემს მიჰყავდა ინგლისის მრისხანე ჯარისკაცები ასუანიდან ვადი-ჰალფასაკენ, სადაც მათთვის აბუ-ჰამედამდე რკინიგზა გაჰყავდათ. დიდი ხნის განმავლობაში მთელი სანაპირო ზოლის შეიხები – ისინიც, ვინც მთავრობის ერთგულნი დარჩნენ და ისინიც, ვინც გულის სიღრმეში მაჰდის უთანაგრძნობდა, დარწმუნებული იყვნენ, რომ დავრიშთა და მათი

წინასწარმეტყველის აღსასრული გარდუვალი იყო, რადგან ინგლისელთა დამმარცხებელი მათ არავინ ეგულებოდათ.

– აკბარ ალაჰ! – შეაწყვეტინა მაღლა ხელებაპყრობილმა იდრისმა, – არადა, დამარცხდნენ.

– არა, – მიახალა მდევართა უფროსმა, – მაჰდიმ მათ წინააღმდეგ გაგზავნა ჯალნოს, ბარბარასა და დაჯიმის ტომები, სულ ოცდაათი ათასამდე საუკეთესო მეომარი, რომლებსაც მეთაურობდა მუსა, ჰელუს ვაჟი; აბუ-კლეისთან გაიმართა საშინელი ბრძოლა, სადაც ღმერთმა გამარჯვება ურჯულოებს მიაკუთვნა.

– ახლა მუსა, ჰელუს ვადი დაეცა, მისი მეომრებიდან მხოლოდ ცოტა ვინმე თუ დაბრუნდა მაჰდისთან. სხვათა სულები უკვე სამოთხეში არიან, სხეულები კი მკვდრეთით აღდგენის მოლოდინში ქვიშაში წვანან. ეს ამბავი სწრაფად მოედო ნილოსს. მაშინ ვფიქრობდით, რომ ინგლისელები სამხრეთისაკენ წავიდოდნენ და ხარტუმს გაათავისუფლებდნენ. ყველა ამას გაიძახოდა: “აღსასრულია, აღსასრული!” ღმერთი კი სულ სხვაგვარად განსჯიდა.

– როგორ, რა მოხდა? – მოუთმენლად ჰკითხა იდრისმა.

– რა მოხდა? – გაიმეორა სახეგაბადრულმა უფროსმა. – რა და ამასობაში მაჰდიმ ხარტუმი აიღო, გორდონს კი შეტევისას თავი წააცალეს. ინგლისელებს მხოლოდ გორდონის დარდი ჰქონდათ და, მისი სიკვდილის ამბავი გაიგეს თუ არა, უმალვე ჩრდილოეთისკენ გაბრუნდნენ. ალაჰ! ისევ დავინახეთ მდინარის დინების მიმართულებით მიმავალი, ჯარისკაცებით სავსე გემები, მაგრამ ვერ მივხვდით, რას ნიშნავდა ეს. ინგლისელები მხოლოდ კარგ ამბავს ავრცელებენ ელვის უსწრაფესად, ცუდს კი – მალავენ. ჩვენებში ხმა დაირხა, მაჰდი დაიღუპაო, მაგრამ შუბი ხალთაში დაიმალება? ის მხარე ჯერაც მთავრობას ეკუთვნის. ვადი-ჰალფასა და იმის იქით, მესამე, შესაძლოა მეოთხე ჭორომამდეც კი ჯერაც ჰედივის ჯარისკაცები იმყოფებიან, მაგრამ ახლაც, ინგლისელების მობრუნების შემდეგაც, ღრმად გვწამს, რომ მაჰდი მხოლოდ ნუბიასა და ეგვიპტეს კი არა, მხოლოდ მექასა და მედინას კი არა, მთელს ქვეყნიერებასაც დაიპყრობს. ამიტომაცაა, რომ დაჭერის ნაცვლად გვერდში ამოგიდექით და ახლა წინასწარმეტყველთან ერთად მივდივართ.

– არა, მართლა მიიღეთ ჩვენი დაჭერის ბრძანება?

– ყველა სოფელმა, ყველა შეიხმა, ყველა ჯარის ნაწილმა მიიღო. სადაც კაიროდან მომავალი ბრძანებების გადასაცემი სპილენძის მავთული არ მისწვდა, იქ ზაბტიები (ჟანდარმები) მიდიოდნენ იმის მოსახსენებლად, რომ, ვინც თქვენ დაგიჭერდათ, ჯილდოდ ათას ფუნტს მიიღებდა. მაშალაჰ... ეს უდიდესი სიმდიდრეა... უდიდესი...

იდრისმა მოსაუბრეს ეჭვიანად გადახედა:

– მაგრამ თქვენ მაჰდის ლოცვა-კურთხევას ამჯობინებთ?

– ასეა. მაგრამ იმასაც გეტყვი, რომ ხარტუმში მან იმდენი ნადავლი და ოქრო ჩაიგდო ხელში, რომ ეგვიპტურ ფუნტებს თავის ერთგულ მებრძოლებს საპალნეობით ურიგებს...

– თუკი, როგორც შენ ამბობ, ეგვიპტელი ჯარისკაცები ისევ ვადი-ჰალფაში იმყოფებიან, ხომ შეუძლიათ, გზაში დაგვიჭირონ?

– არა. უნდა ვიჩქაროთ, სანამ გონს მოსვლას მოასწრებდნენ. ინგლისელების უკანდახევის გამო თავგზა აებნათ როგორც მთავრობის ერთგულ შეიხებს, ასევე ჯარისკაცებსა და ჟანდარმებს. ყველას ჰგონია, რომ მაჰდის მოსვლა ყოველ წამსაა შესაძლებელი და ისინი, რომლებიც გუნებაში მას უჭერდნენ მხარს, ახლა დაუფარავად მიდიან მასთან და ვერც ვერავინ აჩერებთ, რადგან არეულ-დარეულობისას არც ბრძანების გამცემი ჩანს და არც შემსრულებელი.

– ჰო, მასეა. – უთხრა იდრისმა. – მაგრამ, შენი თქმისა არ იყოს, უნდა ვიჩქაროთ, სანამ გონს მოსულან, თორემ ხარტუმამდე კიდევ შორი გზაა...

ამის გამგონე სტაშს გულში იმედის სხივი აუკიაფდა: თუ ეგვიპტელი ჯარისკაცები აქამდე ნუბიის სანაპირო ადგილებში იყვნენ მიმოფანტული, ეს იმიტომ, რომ ინგლისელებმა ყველა გემი წაიყვანეს და იძულებული გახდნენ, ხმელეთზე ბრძოლა წაეგოთ მაჰდის ურდოებთან. ამ შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია, რომ ქარავანი რომელიმე უკანდახეულ ნაწილს შეეფეთოს და ხელში ჩაუვარდეს. სტაშმა ისიც გამოიანგარიშა, რომ, სანამ ხარტუმის აღების ამბავი ვადი-ჰალფას ჩრდილოეთით მცხოვრებ არაბ ტომებამდე მიაღწევდა, საკმაოდ დიდი დრო გავიდოდა, მით უფრო, რომ ეგვიპტის მთავრობა და ინგლისელები ამასა მალავდნენ – იმასაც ვარაუდობდა, რომ ამით გამოწვეული გაწბილება ეგვიპტელებს უკვე გაუვლით, მაგრამ გამოუცდელ ყმაწვილს თავში აზრადაც არ მოსვლია, რომ ყოველ შემთხვევაში ხარტუმის აღება და გორდონის სიკვდილი ხალხს თავგზას აუბნევდა და მთავრობის ერთგულ შეიხებსა და ეგვიპტის ადგილობრივ ხელისუფლებას ახლა ორი თეთრკანიანი ბავშვის გადარჩენაზე ფიქრის დრო და მოცალეობა არ ექნებოდა.

თუმცაღა ქარავანს მიკედლებულ არაბებს მდევრისა მაინც ეშინოდათ. ამიტომ მართლა სწრაფად მიდიოდნენ და არც აქლემებს ზოგავდნენ, მაგრამ მაინც ნილოსის შორიახლო სიარულს ამჯობინებდნენ, საღამოობით მდინარესთან ჩადიოდნენ პირუტყვის დასარწყულებლად და ტიკების წყლით ასავსებად. დროდადრო, სოფლებში დღისით შესვლასაც არ ერიდებოდნენ. სიფრთხილისთვის წინდაწინ გზავნიდნენ რამდენიმე მზვერავს, რომლებიც საჭმლის ყიდვის მომიზეზებით დაწვრილებით

გამოიკითხავდნენ, რა ხდებოდა, ახლომახლოებში ეგვიპტის ჯარი ხომ არ იდგა და იქაურები “თურქების” ერთგულები ხომ არ იყვნენ. როცა მაჰდის ფარულად ერთგულ ხალხს წააწყდებოდნენ, მთელი ქარავანი უშიშრად შედიოდა სოფელში და ხშირად ხდებოდა, რომ იქიდან უფრო მეტნი გამოდიოდნენ, რადგან მათ რიგებს უერთდებოდნენ მაჰდისთან წასვლის მოსურნე ახალგაზრდა არაბები.

იდრისმა ისიც გაიგო, რომ ეგვიპტის ჯარების უდიდესი ნაწილი ნუბიის უდაბნოში, ზუსტად კი ნილოსის მარჯვენა აღმოსავლეთ მხარეს იდგა. მათთან შეხვედრის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო მხოლოდ მარცხენა სანაპიროზე სიარული და მოზრდილი დასახლებებისა და გარნიზონებისთვის გვერდის ავლა. მართალია, ეს გზას აგრძელებდა, რადგან, ვადი-ჰალფადან მოყოლებული, მდინარე ქმნიდა უშველებელ რკალს, რომელიც შორს, სამხრეთისაკენ ეშვებოდა და მერე ისევ ჩრდილოეთისაკენ იწევდა, თვით აბუ-ჰამედამდე, სადაც უკვე სრულიად გარკვეულად იღებდა სამხრეთის მიმართულებას, მაგრამ, სამაგიეროდ, ის მარცხენა მხარე, უმეტესწილად სელიმის ოაზისიდან მოყოლებული, სრულიად გაუმაგრებელი იყო და სუდანელებს, უკვე მრავალრიცხოვან მოქარავნეებს მხიარული, საჭმელ-სასმლით უხვი გზა ედოთ წინ.

მესამე ჭორომს გასცდნენ თუ არა, სიჩქარესაც უკლეს – და მხოლოდ ღამღამობით მიდიოდნენ, დღისით კი თავს აფარებდნენ ბორცვებსა და ხეობებს, რომლებითაც დასერილი იყო მთელი უდაბნო. მათ თავზე გადმომხობილი სრულიად უღრუბლო თვალსაწიერშენაცრისფრებული ზეცა ახლა მშვიდ და წყნარ გუმბათს წააგავდა. იმის მიხედვით, რაც უფრო სამხრეთისაკენ მიიწევდნენ, სიცხე თანდათან გაუსაძლისი ხდებოდა თვით ხეობასა და ჩრდილშიც კი როგორც ადამიანების, ასევე პირუტყვისათვის. სამაგიეროდ, ღამღამობით ციოდა და თითქოსდა დიდ და პატარ-პატარა ფარებად გამოფენილი ვარსკვლავები იქაურობას აბრჭყვიალებდა.

სტაშმა შენიშნა, რომ აქ უკვე აღარ იყო ის თანავარსკვლავედები, რომლებიც ღამღამობით პორტ-საიდს ანათებდნენ. მაშინ არაერთხელ უნატრია, ოდესმე მაინც ენახა სამხრეთის ჯვარი და ახლა, როგორც იქნა, დაინახა ელ-ორდის მახლობლად, მაგრამ ამჟამად მისი შუქი მხოლოდ უბედურებას აუწყებდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ყოველღამ უნათებდა აგრეთვე მკრთალი, გაფანტული და ნაღვლიანი ზოდიაქური სინათლე, რომელიც ღამეული ვარსკვლავების გაქრობის შემდეგ გვიანობამდე ავერცხლისფრებდა ზეცის დასავლეთ მხარეს.

ვადი-ჰალფას მიდამოებიდან გამოსვლის ორი კვირის თავზე ქარავანი მაჰდის მიერ დაპყრობილ მხარეში შევიდა. სულმოუთქმელად გადაიარეს გეზირის ბორცვებიანი უდაბნო და ხენდის მახლობლად, სადაც ადრე ინგლისელებმა მუსა-უდოედ-ჰელის გაავლეს მუსრი, სრულიად უცნაურ ადგილს მიადგნენ. ქვიშისა და ნაშალის ჭაჭანება არსად ჩანდა. სადამდეც თვალი მიუწვდებოდათ, ტრამალი გადაჭიმულიყო – აქა-იქ მწვანე ბალახი მოჩანდა, ორგან ჯუნგლისმაგვარ ადგილებში, ტევრებად დაჯგუფებულიყო ეკლიანი აკაციები, რომლისგანაც ცნობილ სუდანურ რეზინს აკეთებენ, აქა-იქ კი ცალ-ცალკე მიმოფანტულიყო ნაბაკუს ვეებერთელა ხეები, რომელთა გაფოფრილ ვარჯებქვეშ ბარე ასიოდ ადამიანს შეეძლო სიცხეში თავშეფარება. დროდადრო ქარავანი გვერდს უვლიდა მაღალ, სვეტებივით აღმართულ თერმიტებს ანუ თერმიტერიებს, რომლითაც მოფენილა მთელი სუბტროპიკული აფრიკა. ერთფეროვანი, მწირი, ქვიშნარი უდაბნოს შემდეგ, საძოვრისა და აკაციის ტევრთა სიმწვანე თვალს სასიამოვნოდ ხიბლავდა.

ალაგ-ალაგ, სადაც სტეპს მდელო ცვლიდა, მაჰდის შეიარაღებულ მეომართაგან მომწყემსული აქლემების ჯოგები ხვდებოდათ. ქარავნის გამოჩენისთანავე მტაცებელი ფრინველებივით წამოიშლებოდნენ, უმალვე გარშემოერტყმოდნენ, შუბებს იქნევდნენ და ხაფი ხმით აყვირებულნი კითხულობდნენ: ვინ იყვნენ, საიდან, რისთვის მოემართებოდნენ ჩრდილოეთიდან ან საით მიდიოდნენ. ხანდახან ისე გაავებულნი ხვდებოდნენ, რომ იდრისი იძულებული იყო, თავდასხმის ასაცილებლად სულმოუთქმელად ეპასუხა მათ შეკითხვებზე.

სტაში, რომლის წარმოდგენითაც სუდანის მცხოვრებნი ეგვიპტის დანარჩენ არაბთაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ მაჰდის სცემდნენ თაყვანს და არ უნდოდათ ჰედივის მთავრობის ცნობა, მიხვდა, რომ დიდად ცდებოდა. მათ, ვინც ახლა ქარავანს წამდაუწუმ აჩერებდნენ, სხეულის უმეტეს ნაწილზე კანი იდრისსა და გებჰრზე უფრო შავი ჰქონდათ, ორ ბედუინთან შედარებით ხომ – შავზე-შავი. მათ ძარღვებში მჩქეფარე ზანგური სისხლი სჯობნიდა არაბულს. სახე და მკერდი მოსვირინგებული ჰქონდათ სხვადასხვა ნახატით ან ყურანიდან ამორიდებული ფრაზებით. ზოგიერთები თითქმის შიშვლები იყვნენ, სხვებს ჯიუბები, ანუ ფერად-ფერადი ნაჭრებისგან შეკერილი მოსასხამები უფარავდა სიშიშვლეს. ბევრს ნესტოებში, ტუჩებსა და ყურებში მარჯნის ან სპილოს ძვლის ნაკეთობანი გაერჭო. ბელადებს თავზე მოსასხამის ნაჭრისავე კუბასტი ეხურათ, დანარჩენი მეომრები თავშიშველი იყვნენ, ოღონდ ეგვიპტეში მცხოვრები არაბებივით თავგადახოტრილები კი არ იყვნენ, პირიქით, ვეებერთელა კულულები დაეწნათ და წითელი კირით შეეღებათ, რასაც მწერების მოსაგერიებლად ისვამდნენ.

უპირველეს იარაღს მათ ხელში საშინელებადქცეული ჯიდები წარმოადგენდა, მაგრამ არც ხარტუმის აღებისას და ეგვიპტის ჯართან გამართულ ბრძოლაში ნაალაფარი რემინგტონის კარაბინები აკლდათ. საშინელი სანახავები იყვნენ და საშინლადაც ეპყრობოდნენ მოქარავნეებს, რადგან გამოჩენისთანავე მათ მიიჩნევდნენ ეგვიპტელ ვაჭრებად, რომელთაც მაჰდიმ გამარჯვების შემდეგ სუდანში შესვლა აუკრძალა.

ქარავანს გარშემორტყმულნი ველურ ყიჟინას დასცემდნენ და ხალხს წვერწამახულ შუბებს მკერდზე აბჯენდნენ ან კარაბინებს უმიზნებდნენ. მაშინ იდრისი ყვირილს იწყებდა, რომ ის და მისი ძმა ეკუთვნოდნენ იმავე დანგალთა ტომს, რომელსაც ეკუთვნოდა მაჰდი და რომ სწორედ მასთან მიჰყავდათ თეთრკანიანი ტყვე ბავშვები. მხოლოდ ეგ ერთადერთი რამ აჩერებდა შუბების შემდგომ მოძრაობას. ამ საზიზღარ სინამდვილესთან პირისპირ შეჯეხებულ სტაშს გული ეყინებოდა იმის წარმოდგენაზე, თუ რა ელოდათ შემდგომ დღეებში, იდრისს კი, რომელსაც მრავალი წელი ეცხოვრა ცივილიზირებულ ქვეყანაში, მსგავსი რამ ვერც კი წარმოედგინა. ჰოდა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ერთ საღამოს ქარავანს ემირი ნურ-ელ-ტადჰილი გარშემოერტყა და ხარტუმამდე მიაცილა.

ნურ-ელ-ტადჰილი, მაჰდისთან გაქცევამდე ჰედივის ზანგური პოლკის ეგვიპტელი ოფიცერი, სხვა მაჰდისტებივით ველური არ იყო და იდრისს მასთან გამოლაპარაკება არ გასჭირვებია, თუმცაღა გაწბილება ელოდა. ასე ეგონა, მაჰდის ბანაკში თეთრკანიანი ბავშვების მიყვანით ყველას გააკვირვებდა და ამიტომაც სიძნელითა და საშიშროებებით აღსავსე უგრძესი გზის გამოვლას არად აგდებდა. იმასაც მოელოდა, რომ მაჰდისტები სიხარულით მიიღებდნენ, გულში ჩაიკრავდნენ და წინასწარმეტყველს საზეიმოდ წარუდგენდნენ, ის კი, როგორც მის ნათესავ ფატმასთვის თავდადებულ ადამიანს, ოქროსა და ქება-დიდებას არ დააკლებდა. სინამდვილეში მაჰდისტებმა მოქარავნეებს მკერდზე შუბები მიაბჯინეს, ხოლო ნურ-ელ-ტადჰილი საკმაოდ გულგრილად ისმენდა მგზავრობის წვრილმანებს; ბოლოს, როცა იდრისმა ჰკითხა, ფატმას ქმარს, სმაინს, თუ იცნობო, უპასუხა:

– არა, ომუდურმანსა და ხარტუმში ასი ათას მეომარზე მეტია. აქ ყველასთან შეხვედრა ძნელია და ყველა ოფიცერი როდი იცნობს ერთმანეთს. წინასწარმეტყველის სამფლობელო უზარმაზარია, ამიტომ განაპირა ქალაქებს სენაჟს, კორდოფანსა და დარფურს, აგრეთვე ფაშოდის მიდამოებს ემირები მართავენ. ამიტომაც ის სმაინი, რომელსაც შენ კითხულობ, შეიძლება წინასწარმეტყველთან სულაც არ იმყოფებოდესო.

იდრისს გულზე ავად მოხვდა ნურის მიერ აგდებული კილოთი ნახსენები “ის სმაინი” და მოუთმენლად მიახალა:

– სმაინს ცოლად ჰყავს მაჰდის დისწული, ჰოდა სმაინის ბავშვები წინასწარმეტყველის სისხლით ნათესავები არიან.

ნურ-ელ-ტადჰილმა მხრები აიჩეჩა.

– მაჰდის უთვალავი ნათესავი ჰყავს და ყველას ვერ დაიმახსოვრებს.

ერთხანს მდუმარედ მიდიოდნენ, მერე იდრისმა კვლავ ჰკითხა:

– ხარტუმში როდის ჩავალთ?

– შუაღამემდე, – მიუგო ტადჰილმა და ცაზე გამოჩენილ ვარსკვლავებს ახედა.

– მერე და ასე გვიან ვიშოვი ხალხისა და პირუტყვის საჭმელს? შუადღის შესვენების შემდეგ არაფერი გვიჭამია...

– ამაღამ ჩემს სახლში გაგათევინებთ და კიდეც გაჭმევთ, ხვალ კი ომდურმანში თავად უნდა იზრუნო საჭმელ-სასმელზე და იცოდე, ახლავე გაფრთხილებ, ძალიან გაგიჭირდება.

– რატომ?

– ომია და იმიტომ. ხალხს რამდენიმე წელია, არაფერი დაუთესავს და მხოლოდ ხორცით იკვებებოდნენ, მაგრამ ხორცი გამოილია თუ არა, შიმშილობაც დაიწყო. შიმშილია გამეფებული მთელ სუდანში და ტომარა სორგო ერთ ტყვეზე მეტი ღირს.

– ალაჰ აკბარ! – შესძახა განცვიფრებულმა იდრისმა. – კი მაგრამ, ტრამალზე ხომ აქლემები და საქონელი შევნიშნეთ!

– ისინი წინასწარმეტყველის, კეთილშობილებისა* და კალიფებისანი არიან... დიახ... დანგალთა ტომს, ვისაც მაჰდი ეკუთვნის და ბაგაროვებს, რომელთა ბელადიც არის კალიფი აბდულაჰი, ჯერაც მრავალრიცხოვანი ჯოგები ჰყავთ, მაგრამ სხვა ტომებს უფრო და უფრო უჭირთ თავის გატანა.

ნურ-ელ-ტადჰილმა ხელი მუცელზე დაიტყაპუნა და თქვა:

– წინასწარმეტყველის სამსახურში უფრო მაღალი წოდება, დიდი გული და უმაღლესი უფლება მაქვს, თუმცაღა, ჰედივის სამსახურში უფრო დიდი მუცელი მქონდა.

მერე კი, მიხვდა თუ არა, ზედმეტი წამომცდაო, დინჯად დასძინა:

– ეს ყველაფერი ჩაივლის, როცა ჭეშმარიტი რწმენა გაიმარჯვებს.

ამის გაგონებაზე იდრისიც ჩაფიქრდა და უნებლიეთ გაახსენდა, რომ ფაიუმში, ინგლისელებთან მუშაობისას, შიმშილი საერთოდ არ განუცდია და ჯამაგირიც გვარიანი ჰქონდა. გულიანად ამოიხვნეშა.

ამის შემდეგ ისევ ჰკითხა:

– ხვალ ხომ წაგვიყვანთ ომდურმანში?

– დიახ. წინასწარმეტყველის ბრძანებით, ხარტუმი უნდა დაიცალოს და ახლა იქ ცოტა ვინმე თუ ცხოვრობს. სახლებს ანგრევენ და აგური სხვა ნადავლთან ერთად ომდურმანში მიაქვთ. წინასწარმეტყველს ურჯულოთა მიერ გადამწვარ ქალაქში ცხოვრება არ სურს.

– ხვალ თაყვანს ვცემ, ის კი ბრძანებას გასცემს, რომ სურსათ-სანოვაგით მოგვამარაგონ.

– ჰა! თუ მართლა დანგალთა ტომს ეკუთვნი, შესაძლოა მისი პირისპირ ნახვის ნებაც დაგრთონ. მაგრამ ესეც იცოდე: მის სახლს დღედაღამ კბილებამდე შეიარაღებული ასი კაცი იცავს და ისინი ცემით ამოხდიან სულს იმას, ვინც მაჰდისთან უნებართვოდ შესვლას მოიწადინებს. სხვაგვარად ხალხი ერთ წუთსაც არ მოასვენებდა იმ წმინდა კაცს... ალაჰ! მე მათრახით ბეჭებაჭრელებული დანგალებიც მინახავს.

იდრისს თანდათან ეტყობოდა გაწბილება.

– აბა, ერთგულები წინასწარმეტყველს ვერ ნახულობენ? – ჰკითხა.

– ერთგულები ყოველდღე ნახულობენ ლოცვისას, როდესაც ცხვრის ტყავზე ჩაიმუხლებენ და ხელებს ღმერთისკენ აღაპყრობენ, ანდა, როცა ხალხს ასწავლის და უნერგავს ჭეშმარიტ რწმენას, ოღონდ მასთან პირისპირ შეყრა და საუბარი ძალიან ძნელია და, თუ ამ ბედნიერებას ეღირსა ვინმე, მისი ყველას შურს, რადგან მას ღმერთი სწყალობს და უწინდელ ცოდვებს მიუტევებს.

შუაღამემ მოაწია და მსუსხავი სიცივეც მოიყოლა. ცხენები აჭიხვინდნენ, პაპანაქება სიცხით გახვითქულ ზურგებზე ყინვის დადგომისთანავე ბოლი აუვიდათ და ნაწილი ნისლში დაინთქა. იდრისის უკან მჯდარი სტაში ნელისკენ გადაიხარა და ჰკითხა:

– ხომ არ გცივა?

– არა, – მიუგო გოგონამ. – მაგრამ... ამის შემდეგ ვეღარავინ დაგვიცავს...

და ცრემლმა სათქმელი გაუწყვიტა.

სტაშმა მის დასამშვიდებლად კრინტიც ვეღარ დაძრა, რადგან თავადაც დარწმუნებული იყო, რომ გადარჩენის ოდნავი იმედიც აღარ ჰქონდათ. აგერ, უკვე ფეხი შედგეს მხარეში, სადაც გაჭირვება, შიმშილი, სისასტიკე და სისხლი ბატონობდა.

ქარიშხლისაგან აფარფატებულ ორ საცოდავ ფოთოლსა ჰგავდნენ, იმ ქარიშხლისა, რომელსაც სიკვდილი და უბედურება მოაქვს არა მხოლოდ ცალკეული ადამიანებისათვის, არამედ მთელი ჯგუფებისა და ტომებისათვის. რა ძალას შეეძლო მისი მსახვრალი ხელისაგან ორი პაწია, უმწეო ბავშვის დახსნა და გადარჩენა?!

მთვარე მაღლა აიწია და მიმოზებისა და აკაციების ტოტები როგორღაც ვერცხლისფერ ფრთებად აქცია. გაუვალ ჯუნგლებში აქა-იქ გაისმა საშინელი, იმავდროულად თითქოსდა მხიარული სიცილი აფთრებისა, რომლებიც იმ სისხლიან მხარეში ადამიანთა უამრავ გვამს პოულობდნენ. ქარავნის თანმხლები ნაწილი გზადაგზა სხვა პატრულებს გადაეყრებოდა და მეწინავენი ერთმანეთს პაროლს ეუბნებოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, მთაგორიანი სანაპირო გაიარეს და ხეობაზე გავლით ნილოსს მიაღწიეს. ცხენები და აქლემები ფართო და ბრტყელ გემზე ავიდნენ და მალე მძიმე ნიჩბების თანაზომიერი მოსმით აშხეფებული წყალი მთვარის შუქზე ალმასებრ აბრჭყვიალდა.

ნახევარი საათის შემდეგ სამხრეთით, საითკენაც გემები მიცურავდნენ, აქა-იქ ანაზდად აციმციმდა შუქი, რომლებიც, გემების მიახლოების კვალობაზე, წყლის ზედაპირზე დაფენილ წითელი შუქის კონებად იქცეოდა. ნურ-ელ-ტადჰილმა იდრისი შეარხია, მერე ხელი წინ გაიშვირა და წარმოთქვა – ხარტუმი!

კარი XVI

გარეუბანში შეჩერდნენ, ქალაქის იერიშისას მოკლული მდიდარი იტალიელი ვაჭრის ნაქონ სახლში, რომელიც ნადავლის გაყოფისას ტადჰილს ერგო წილად. ემირის ცოლები საკმაოდ ადამიანურად მოეპყრნენ დაღლილობისგან არაქათგამოცლილ ნელის და, თუმც მთელ ხარტუმში საჭმლის ნაკლებობა იგრძნობოდა, პატარა ჯანას* ცოტაოდენი გამხმარი ფინიკით, აგრეთვე თაფლიანი ბრინჯით გაუმასპინძლდნენ და უმალ დასაძინებლად დააწვინეს. ეზოში აქლემებსა და ცხენებს შორის ღამის გასათევად დატოვებული სტაში ორცხობილას დასჯერდა, სამაგიეროდ, წყალი არ მოჰკლებია, რადგან ბაღში შადრევანი სასწაულად გადარჩენოდა დანგრევას. დაღლილობის მიუხედავად დაძინება დიდხანს ვერ შეძლო, რადგან, ჯერ ერთი, ქეჩაზე, რომელზეც იწვა, მორიელები დაღოღავდნენ, მეორეც, სიკვდილივით ეშინოდა, რომ ნელის დააშორებდნენ და ვეღარ უპატრონებდა. მის მოუსვენრობას, ეტყობა, ლომაც იზიარებდა, რადგან იქვე წრიალებდა და ხანდახან ისე დაიყმუვლებდა, ჯარისკაცებს შიშის ზარსა სცემდა. სტაში შეძლებისდაგვარად ამშვიდებდა, რათა მისთვის არავის

არაფერი დაეშავებინა. საბედნიეროდ, ვეებერთელა ქოფაკმა თავად ემირი და დავრიშები ისე მოხიბლა, რომ მისთვის ხელის ხლება არავის დაუპირებია.

არც იდრისს ეძინა. გუშინდელს აქეთ თავს შეუძლოდ გრძნობდა, ამის გარდა, ნურ-ელ-ტადჰისთან საუბრის შემდეგ თითქოსდა გაწბილებული დარჩა და მომავალს უკვე უიმედოდ შეჰყურებდა. ის კი უხაროდა, რომ ხვალ თეთრი ნილოსით გამოყოფილ ომდურმანში მიიყვანდნენ, სჯეროდა, რომ სმაინს იპოვნიდა, მაგრამ მერე? მგზავრობისას ყველაფერი ცხადად და შესანიშნავად ეჩვენებოდა. წინასწარმეტყველისა მთელი არსებით სჯეროდა და უფრო კიდევ იმიტომ მოუწევდა მისკენ გული, რომ თავადაც მისი ტომის შვილი იყო, მაგრამ როგორც ყველა არაბი, ისიც ამაყი და ხარბი იყო; ოცნებობდა, როგორ აავსებდნენ ოქროთი და სულ მცირე – ემირობას მაინც უბოძებდნენ. ოცნებობდა "თურქების" წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაზე, ხელში ჩაგდებულ ქალაქებსა და ალაფზე, მაგრამ ტადჰილთან საუბრის შემდეგ, გულში ეჭვი ჩაუძვრა, მთელი მისი შრომა და გარჯა ამაო და ზღვას შერთული წვიმის წვეთივით უჩინარი არ გამომდგარიყო. "ვინ იცის, – ფიქრობდა დანანებით, – რაც ჩავიდინე, ეგებ, ამას ყურადღებაც არავინ მიაქციოს, თავად სმაინს კი არც გაუხარდეს ამ ბავშვების ჩამოყვანა". ერთი სიტყვით, ეჭვი გულს უღრღნიდა. ხვალინდელ დღეს უნდა დაედასტურებინა ან გაექარწყლებინა ეს ეჭვი, ჰოდა, მოუთმენლად ელოდა გათენებას.

დილის ექვს საათზე მზე ამოიწვერა თუ არა, აიშალნენ. მალე ტადჰილიც გამოჩნდა და ბრძანა, სამგზავროდ გამზადებულიყვნენ. ამასთანავე, ხალხი გააფრთხილა: მის ცხენს ფეხით გაჰყოლოდნენ. სტაშის გულის გასახარად მოხუცმა დინაჰმა ზემო სართულიდან ნელი ჩამოიყვანა და ქალაქი ფეხით გადაჭრეს, მგზავრთა გადასაყვან ნავებამდე. ცხენზე ამხედრებული ტადჰილი წინ მიუძღოდათ. სტაშს ხელჩაკიდებული ნელი მიჰყავდა, მათ უკან მიდიოდნენ იდრისი, გებჰრი, ხამისი და მოხუცი დინაჰი, რომელთაც ლომა და ოცდაათი მეომარი მიაცილებდათ. დანარჩენი მოქარავნენი ხარტუმში დარჩნენ.

სტაში ირგვლივ ყველაფერს ათვალიერებდა და ვერაფრით მიხვდა, როგორ დაეცა ასე კარგად გამაგრებული, თეთრი და ცისფერი ნილოსის შესართავში მდებარე, სამმხრივ წყლით გარშემორტყმული ქალაქი, რომელსაც მხოლოდ სამხრეთიდან ჰქონდა მისადგომი. მოგვიანებით ქრისტიან ტყვეთაგან შეიტყო, რომ იმხანად მდინარე დამშრალიყო და ქვიშრობადქცეულმა კალაპოტმა მტერს მიწაყრილებთან მისვლა გაუადვილა. შიმშილით გამოფიტულმა და მაშველის მოლოდინში იმედდაკარგულმა გარნიზონმა გამძვინვარებულ ველურთა იერიშის მოგერიება ვერ შეძლო და ქალაქი დაეცა, რის შემდეგაც გაიმართა მოქალაქეთა ულმობელი ხოცვა-ჟლეტა. მართალია, იერიშის შემდეგ უკვე თვე გასულიყო, მაგრამ მაინც ყველგან ჩანდა ბრძოლის კვალი: უშნოდ აჩონჩხილიყო სახლების ნანგრევები, ყველგან ეყარა გვამები, რომელთა დამარხვას არც არავინ ფიქრობდა. გადასასვლელამდე სტაშმა ოთხასი გვამი დათვალა.

ჰაერში სიმყრალის სუნი უკვე აღარ ტრიალებდა, რადგან მცხუნვარე სუდანურ მზეს ისინი გამოეხმო და მუმიებად ექცია, ყველა მათგანს ერთნაირი, ნაცრისფერი პერგამენტის ფერი დასდებოდა, ასე რომ, ევროპელების, ეგვიპტელებისა და ზანგების ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლებელი გამხდარიყო. გვამებს შორის დაძვრებოდნენ პაწაწინა ხვლიკები, რომლებიც ფეხის ხმის გაგონებისთანავე სამალავებში, იმავე გვამების პირის ღრუსა თუ გამხმარ ნეკნებს შორის გაჩენილ ხვრელებში მიძვრებოდნენ.

სტაშს ნელი ისე მიჰყავდა, რომ იმ საშინელ სანახაობას თავად ეფარებოდა და მათთან მიახლოებისთანავე სხვაგან, ქალაქისაკენ გაახედებდა, მაგრამ ქალაქის მხარეზეც ისეთი რამ ხდებოდა, გოგონას ზაფრისაგან გული უსკდებოდა. ტყვედაყვანილი "ინგლისელი" ბავშვებისა და ლომას დანახვაზე გამვლელები ჩერდებოდნენ, გარს ეხვეოდნენ, აღარ სცილდებოდნენ, პირიქით, გზადაგზა ადევნებული კაცებისა და ქალების ამბოხი მატულობდა და მატულობდა. ბოლოს საზარლად მოსვირინგებულმა იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, იძულებული გახდნენ, შემდგარიყვნენ. ყოველის მხრიდან მრისხანე შეძახილები გაისმოდა. საზარლად მოსვირინგებული სახეები იხრებოდა სტაშისა და ნელისაკენ. მათ დანახვაზე ზოგიერთ ველურს უცებ სიცილი წასკდებოდა და სიხარულის გამოსახატავად ხელებს თეძოებზე იტყაპუნებდნენ, სხვები ლანძღავდნენ, ზოგიერთები ველური მხეცებივით ბღაოდნენ, თეთრ კბილებს აკრაჭუნებდნენ, ბავშვებს თვალის ბრიალით დანებს უღერებდნენ. თითქმის გულშეღონებული ნელი სტაშს ეკვროდა, ისიც, როგორც შეეძლო, კი ეფარებოდა, მაგრამ უკვე აღარც ეეჭვებოდა, რომ მათი აღსასრული თანდათან ახლოვდებოდა. საბედნიეროდ, ბრბოს ღრიანცელი, ბოლოს და ბოლოს, ტადჰილსაც მობეზრდა. მისი ბრძანებით რამდენიმე ჯარისკაცი ბავშვებს გარშემოერტყა, დანარჩენები აღმუვლებულ ბრბოს მათრახებით დაერივნენ. წინანი დაიქსაქსნენ, სხვები ჯარისკაცებს შემოეხვივნენ და ველური ყიჟინით მიჰყვნენ ზედ ნავებამდე.

მდინარეზე გადასვლისას ყმაწვილებმა შვებით ამოისუნთქეს. სტაში ნელის ამშვიდებდა: დავრიშები ჩვენს სახეებს შეეჩვევიან, მუქარასაც შეწყვეტენო და არწმუნებდა, სმაინი ორივეს, განსაკუთრებით კი შენ, გაგიფრთხილდება და დაგიცავს, რადგან, ჩვენ თუ რაიმე ცუდი შეგვემთხვა, თავის მემკვიდრეებს ვეღარავისზე გადაცვლისო. სტაში მართალს ამბობდა, მაგრამ გოგონა ისე შეაშინა წეღანდელმა შემოტევებმა, რომ ბიჭს წამითაც აღარ გაუშვა ხელი და ციებცხელებიანივით წამდაუწუმ იმეორებდა: "მეშინია! მეშინია!" ჭაბუკი სულითა და გულით ნატრობდა, რაც შეიძლება სწრაფად მოხვედრილიყვნენ სმაინის ხელში, რადგან იგი ბავშვებს კარგა ხანია, რაც იცნობდა, კერძოდ, ჯერ კიდევ პორტ-საიდიდან და მათდამი კეთილად იყო განწყობილი, ყოველ შემთხვევაში, თავი ასე ეჭირა. სხვა სუდანელი დანგალებივით ველური არ იყო და მის სახლში ტყვეობა, ალბათ, არც ისე ძნელადგადასატანი იქნებოდა...

საკითხავი მხოლოდ ის იყო, იპოვნიდნენ თუ ვერა მას ომდურმანში. სწორედ ამაზე ესაუბრა იდრისი ნურ-ელ-ტადჰილს, რომელმაც, როგორც იქნა, გაიხსენა, რომ ამ ერთი წლის წინათ კალიფ აბდულაჰის დავალებით ხარტუმიდან შორს, კორდოფანში ყოფნისას, გაეგონა ვიღაც სმაინზე, რომელიც დავრიშებს ეგვიპტელებისთვის წართმეული ზარბაზნებიდან სროლას ასწავლიდა, მერე კი ტყვეებზე დიდი მონადირის სახელი მოეხვეჭა. ნურმა სმაინს ემირის საპოვნელად აი, რა ხერხი ასწავლა:

– ნაშუადღევს უმბაის* ხმას რომ გაიგონებ, იმწამსვე ბავშვებიანად გაჩნდი სალოცავ მოედანზე, სადაც წინასწარმეტყველი ყოველდღე მიდის, რათა ერთგულებს საკუთარი მაგალითისამებრ გაუღვივოს და განუმტკიცოს რელიგიის რწმენა. იქ, მაჰდის წმინდა პიროვნების გარდა, ნახავ ყველა "კეთილშობილს", აგრეთვე სამ ხალიფას, ფაშებსა და ემირებს. სწორედ ემირებს შორის მონახავ სმაინს.

– მერე შუადღის ლოცვამდე რა ვქნა და სად წავიდე?

– ჩემს ჯარისკაცებთან ერთად დარჩები.

– ნურ-ელ-ტადჰილ! უნდა მიგვატოვო?

– მე ხალიფ აბდულაჰის ბრძანების შესასრულებლად მივდივარ.

– ეგაა ყველაზე უფროსი ხალიფა? შორიდან მოვდივარ და ბელადების სახელებში ჯერ ვერ გავრკვეულვარ, ისევ შენ თუ ამიხსნი.

– ჩემი ბელადი, აბდულაჰი, მაჰდის მახვილია.

– დაე, ალაჰი იყოს მისი მფარველი.

ნავებში ერთხანს სიჩუმე გამეფდა. მხოლოდ მათ კიდეზე ნიჩბების რახუნი და დროდადრო წყალზე ნიანგების კუდის დგაფუნი ისმოდა. ეს საშინელი არსებანი სამხრეთიდან მრავლად მოაწყდნენ, თვით არუმამდე, სადაც საკბილო უხვად დახვდათ, მდინარე ხომ სავსე იყო ჯერ ქალაქის იერიშისას დაღუპულთა გვამებით და მერე კიდევ მაჰდისტებსა და უფრო მეტად კი მათ ტყვეებს შორის მოდებული სენით დაღუპულებით. ხალიფების ბრძანებით წყლის "წაბილწვა" იკრძალებოდა, მაგრამ ამას ვინ რად აგდებდა და ნიანგების მიერ შეუჭმელი გვამები მდინარეს მეექვსე ჭორომამდე და უფრო იქითაც, თვით ბერბერამდე, ჩაეტანა.

მაგრამ იდრისი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა და მოგვიანებით ეს იკითხა:

– დღეს დილას არაფერი გვიჭამია. გაგვიჭირდება ლოცვამდე მოთმენა; ნეტავი, მერე ვინ დაგვაპურებს?

– ტყვე ხომ არა ხარ. შეგიძლია ბაზარში წახვიდე და იყიდო რამე. – ურჩია ტადჰილმა. – იქ გამხმარი ხორცისა და ფეტვის ყიდვა შეგიძლია. ოღონდ ძვირი დაგიჯდება, რადგან, როგორც გითხარი, ომადურმანში შიმშილობაა.

– ამასობაში კი ბოროტი ადამიანები ამ ბავშვებს მომტაცებენ ან დამიხოცავენ.

– ჯარისკაცები დაიცავენ ანდა, თუ ფულს მისცემ, რომელიმე მათგანი სიამოვნებით მოგიტანს სურსათ-სანოვაგეს.

იდრისს ფულის გაცემაზე მეტად მისი მიღება სიამოვნებდა და ამგვარი რჩევა მაინცდამაინც როდი დაუჯდა ჭკუაში, მაგრამ, სანამ პასუხს მოახერხებდა, ნავები კიდეც მიადგნენ ნაპირს.

ომდურმანი ხარტუმისაგან ბევრად განსხვავდებოდა. აქ ისევ იდგა სახლები, გუბერნატორია, სადაც გმირულად დაიღუპა გორდონი, იყო ეკლესია, ლაზარეთი, სამისიო ნაგებობანი, არსენალი, ჯარის ნაწილების ყაზარმები და ათასგვარი შესანიშნავი სუბტროპიკული მცენარეულობით სავსე დიდ-პატარა ბაღჩა-ბაღები. მაგრამ ომდურმანი მაინც ველურთა ბანაკს მოგაგონებდათ. სამხრეთ მხარეს აღმართული ფორტი გორდონის ბრძანებით დაანგრიეს. აქეთ, სადამდეც კაცს მზერა მიუწვდებოდა, ჩალის სახურავიანი კონუსისებრი ქოხები იდგა. სახლებსა და ქუჩებს ერთმანეთისგან ვიწრო ეკლიანი ღობეები ყოფდა. ალაგ-ალაგ თვალს მოჰკრავდით კარვებსაც, ალბათ ეგვიპტელებისთვის წართმეულს. სხვა ადგილს კი უბრალოდ ბამბუკის სარებზე გაჭიმული რამდენიმე პალმის ჭილოფი წარმოადგენდა მთელს საცხოვრებელს. ხალხი ჭერს თავს აფარებდა მხოლოდ წვიმისა და განსაკუთრებული სიცხეებისას, დანარჩენ დროს კი კარში ისხდნენ, იქვე ენთოთ ცეცხლი, იქვე აკეთებდეს საჭმელს, ერთი სიტყვით, ღია ცის ქვეშ ცხოვრობდნენ და კარს მომდგარ სიკვდილსაც იქვე ხვდებოდნენ. ამჯერად ქუჩებში იმდენი ხალხი ირეოდა, რომ ჯარისკაცებს ხანდახან ბრბოში გზის გაკვლევა უჭირდათ. ომდურმანი პატარა სოფლად ითვლებოდა, მაგრამ ამჟამად, ტყვეების ჩათვლით, აქ თავი მოეყარა ორასი ათასამდე ადამიანს. თავად მაჰდი და ხალიფებიც კი შეაშფოთა ამ უზარმაზარმა დუნდგომ, რომელსაც შიმშილი და სნეულება ემუქრებოდა. ამიტომ იყო, განუწყვეტლივ რომ იგზავნებოდა ჩრდილოეთისაკენ სულ ახალ-ახალი ლაშქარი ჯერაც ეგვიპტის ერთგული ქალაქებისა და სოფლების დასაპყრობად.

თეთრკანიანი ბავშვების დანახვაზე აქაც მტრული შეძახილები გაისმოდა, მაგრამ ბრბო მათ დახოცვას ვერ ბედავდა. ამის მიზეზი ეგებ მაჰდის სიახლოვე იყო ანდა სულაც ძალიან მიაჩვიეს თვალი თეთრ ტყვეებს, რომლებიც ახლა ხარტუმიდან ომდურმანში გადმოჰყავდათ. სტაშმა და ნელიმ იმ მიდამოებში ნამდვილი ჯოჯოხეთი ნახეს. მათ თვალს არ გამოჰპარვია მათრახების ცემით დასისხლიანებული ევროპელები და

ეგვიპტელები, მშიერ-მწყურვალნი ტვირთისა და წყლიანი ვედროების სიმძიმით წელში რომ წყდებოდნენ. დაინახეს თავის დროზე კარგად აღზრდილი ევროპელი ქალები და ბავშვები, ხელგაწვდილი რომ ითხოვდნენ ერთ მუჭა სორგოს ან ერთ ნაჭერ გამხმარ ხორცს – გაძვალტყავებულებს, შემოხეულ-შემოგლეჯილებს, სიდუხჭირისგან სახეგაშავებულებსა და გიჟურად მომზირალთ თვალში შიში და სასოწარკვეთილება ჩაჰყინვოდათ. თვალი მოჰკრეს, მათ დანახვაზე ველურები სიცილით რომ იჭაჭებოდნენ, დაბლა იხრებოდნენ და სცემდნენ. ყველა ქუჩასა და შუკაში იყო სანახაობა, რომელსაც ზიზღისა და საშინელების გამო თვალს არიდებდნენ. ომდურმანში დიზენტერია და ტიფი მძვინვარებდა, უპირატესად კი – ყვავილი. ჩირქოვანი მუწუკებით ტანდაფარული სნეულები ზღურბლებთან ეყარნენ და ჰაერს წამლავდნენ. ტყვეები ტილოში გახვეულ ახალ მკვდრებს ქალაქგარეთ ქვიშაში დასამარხავად მიათრევდნენ, აქ კი მათ ნამდვილ საფლავებს აფთრები უთხრიდნენ. ქალაქს თავს დასტრიალებდა ძერების უთვალავი გუნდი, რომელთა ფრთებიც ქვიშას სამგლოვიარო ჩრდილებად ეფინებოდა. ყოველივე ამის მნახველმა სტაშმა გულში გაივლო, რაც უფრო მალე დავიხოცებით მით უკეთესიო.

მაგრამ ამ სიღატაკისა და ბოროტების ზღვაში დროდადრო აქოთებულ ჭაობში გაშლილი თეთრი ყვავილივით გამოკრთებოდა ხოლმე გულმოწყალება. ომდურმანში კიდევ დარჩენილიყვნენ მაჰდისგან შეწყალებული ბერძნები, რომლებიც თავისუფლად მიმოდიოდნენ, ვაჭრობდნენ და სხვადასხვა საქმიანობასაც ეწეოდნენ, ზოგიერთები კი, უმეტესად ისინი, ვისაც თავი ისე ეჭირა, თითქოს რწმენა შეიცვალა, წინასწარმეტყველის მოსამსახურენიც კი გამხდარიყვნენ, და ეს ველური დავრიშების თვალში მათ ღირსებას მატებდა. ერთ-ერთმა ასეთმა ბერძენმა ჯარისკაცები შეაჩერა და ბავშვებს ჰკითხა, აქ საიდან გაჩნდითო. როცა გაიგო, ახლახან ჩამოსულიყვნენ და ფაიუმში მოეტაცებინათ, შეპირდა, თქვენზე მაჰდის უეჭველად მოვახსენებ და ვიზრუნებ კიდეცო. მანამ კი ნელის შემყურემ თავი დანანებით გადააქნია და ორივეს თითო მუჭი გამხმარი ლეღვი და მარია ტერეზას გამოსახულებიანი თითო ტალერი აჩუქა. ამის შემდგომ ჯარისკაცებს უბრძანა, გოგონასთვის არაფერი ეწყენინებინათ და თავისი გზით წასულმა რამდენიმეჯერ ინგლისურად ჩაილაპარაკა: საბრალო ბარტყი.

კარი XVII

დაკლაკნილი ქუჩის ბოლოს, ზედ ქალაქის შუაგულში მდებარე ბაზართან გააღწიეს. გზადაგზა მრავალად ხვდებოდათ ცალხელა და ცალფეხა ადამიანები. ესენი იყვნენ

დამნაშავენი, რომელთაც ნადავლი თუ ბოროტმოქმედნი გადაემალათ. წინასწარმეტყველის დაწესებული კანონების დარღვევისა თუ დაუმორჩილებლობისათვის ხალიფებისა და ემირების მიერ დადებული სასჯელი საშინელი იყო და სულ უმცირესი დანაშაულისთვის, თუნდაც თუთუნის მოწევა ავიღოთ, ადამიანებს მათრახით სულის ამოხდამდე სცემდნენ, მაგრამ თავად ხალიფები ამ კანონებს მხოლოდ გარეგნულად იცავდნენ, სახლებში კი თავს ყველაფრის უფლებას აძლევდნენ. ასე რომ, სასჯელი უნდა მოეხადათ მხოლოდ გაჭირვებულებს, რომლებიც თავიანთ სარჩო-საბადებელს წამში კარგავდნენ. მათხოვრობის გარდა, რაღა დარჩენოდათ, და, რადგან ომდურმანში საჭმლის მარაგი აღარ იყო, შიმშილით იხოცებოდნენ.

სურსათის ფარდულებთან უამრავი მათხოვარი დაფუსფუსებდა. პირველი, რაც ბავშვებს თვალში მოხვდათ, ბაზრის შუაგულში ჩარჭობილ ბამბუკზე ჩამოცმული ადამიანის თავი იყო. სახე ერთიანად გამხმარიყო და გაშავებულიყო, სამაგიეროდ, კეფასა და ნიკაპზე ამოსული თმა რძესავით თეთრი ჩანდა. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა იდრისს აუხსნა, ეს გორდონის თავიაო. ამის გაგონებაზე სტაშს შურისძიების, სინანულისა და წყენის გრძნობა შემოეგზნო, მაგრამ უმალვე შიშისაგან ძარღვებში სისხლი გაეყინა. ასე დაასრულა სიცოცხლე ამ სამართლიანმა და კეთილმა, უშიშარმა და მამაცმა ადამიანმა, რომელიც თვით სუდანშიც კი უყვარდათ და პატივსა სცემდნენ. ინგლისელები კი დროულად არ მიეშველნენ, მერე კიდევ უკან დაიხიეს და მისი გვამი დაუსაფლავებლად, ურჯულოთა წასაბილწავად დატოვეს! იმ წუთას სტაშს ინგლისელების რწმენა გაუქრა. აქამდე ღრმად სჯეროდა, რომ თავისი თუნდაც ერთი მოქალაქის წყენისათვის ინგლისი, როცა არ უნდა ყოფილიყო და სადაც არ უნდა ყოფილიყო, მზად იყო მთელი ქვეყნიერებისთვის ომი გამოეცხადებინა. გულის სიღრმეში იმედს არ კარგავდა, რომ რავლისონის გოგონას დასაცავად, მარცხიანი დევნის შემდეგ, ფეხზე დადგებოდნენ ინგლისის მრისხანე რაზმები და ხარტუმამდე და იმის იქითაც წასვლას არ დაიზარებდნენ. ახლა კი დარწმუნდა, რომ ხარტუმიცა და მთელი ეს ქვეყანაც მაჰდის ხელში იყო და ეგვიპტის მთავრობა და მასთან ერთად ინგლისიც მხოლოდ ეგვიპტის დაცვაზე ფიქრობდნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ ევროპელ ტყვეთა განთავისუფლება.

მიხვდა, რომ ის და ნელი ღრმა უფსკრულში ჩაცვივდნენ, საიდან ამოსვლაც შეუძლებელი იყო; ამ აზრმა და ომდურმანის ქუჩებში ნანახმა საშინელებებმა საბოლოოდ გატეხეს. მისთვის დამახასიათებელი სიყოჩაღე სადღაც გაქრა და მომავლის შიშით შეპყრობილი თითქოსდა ბედს მიენდო. ამასობაში უაზროდ უყურებდა ბაზარსა და ფარდულებს, სადაც იდრისი სურსათს ყიდულობდა. გამყიდველები, უმეტესწილად სუდანელები და ზანგის ქალები ჯიუბებს, თეთრი ტილოს ნაცვამ ხალათებს, აკაციის რეზინს, გულგამოფხეკილ გოგრას, შუშის მძივებს, გოგირდსა და ათასგვარ წვრილმანს

ყიდდნენ. სურსათ-სანოვაგის ფარდულები ცოტა იყო და ყოველ მათგანთან უამრავი ხალხი ირეოდა. მაჰდისტები მეტისმეტად ძვირად ყიდულობდნენ შინაური საქონლის გამხმარი ხორცის ნაჭრებს. ფინიკის, ლეღვისა და სორგოს ჭაჭანება არსად ჩანდა. აქა-იქ ველური ფუტკრის თაფლგარეული წყალი იყიდებოდა. იდრისი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რადგან ფატმას ნაბოძები ფულით ორ დღეს თუ გაიტანდა თავს, მერე კი სხვებივით მასაც სამათხოვროდ უნდა გაეშვირა ხელი. ამიერიდან მხოლოდ სმაინის იმედიღა ჰქონდა და ჰოი, საოცრებავ, სტაშიც მხოლოდ სმაინის იმედითღა სულდგმულობდა.

ერთი საათის შემდეგ ხალიფა აბდულაჰთან წასული ნურ-ელ-ტადჰილიც მობრუნდა. ჩანდა, იქ რაღაც უსიამოვნება შეემთხვა, რადგან ცუდ გუნებაზე იდგა. ჰოდა, როცა იდრისმა ჰკითხა, სმაინის შესახებ ხომ არაფერი გაგიგიათო, ზიზღით მიახალა:

– უტვინოვ, ხომ არ გგონია, მე და ხალიფას, შენი სმაინის მოძებნის გარდა, სხვა საქმე არა გვაქვს?

– აბა, ახლა რა უნდა ვქნა?

– რაც გინდა, ისა ჰქენი. ღამე გაგათევინე და რამდენიმე კეთილი რჩევა-დარიგება გიწყალობე. ამიერიდან შენი სახელის გაგონებაც აღარ მსურს.

– კარგი, მაგრამ ღამე სად უნდა გავათიო?

– სადაც გინდა, იქ გაათიე!

ჯარისკაცები წაიყვანა და წავიდა. იდრისი შეევედრა, ბაზრისკენ გამოეგზავნა აქლემები და დანარჩენი მექარავნენი იმ არაბებთან ერთად, რომლებიც მათ ასუანსა და ვადი-ჰალფას შორის შეუერთდნენ. ამ ხალხმა ბაზრამდე შუადღის ჟამს მოაღწია და არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რა უნდა ექნათ ამიერიდან, ან რა გზას სწეოდნენ. ორმა ბედუინმა იდრისსა და გებჰრს ჩხუბი აუტეხა. რატომ მოგვატყუეთ, სად ჩამოგვიყვანეთო?! დიდი კამათისა და ბჭობის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტეს ქალაქის კიდეში დოხნუს ტოტებისა და ლერწმისგან ქოხები აეგოთ, რათა ღამით თავშესაფარი მაინც ჰქონოდათ, სხვა მხრივ კი განგების იმედად უნდა ყოფილიყვნენ.

ქოხების აგებისთანავე, რაც სუდანელებსა და ზანგებს მეტისმეტად ეიოლებათ, ყველანი, გარდა ხამისისა, რომელსაც ვახშმობის თადარიგი უნდა დაეჭირა, საერთო სალოცავი ადგილისაკენ გაეშურნენ. მიგნება არ გასჭირვებიათ, რადგან მთელი ომდურმანი იქით მიდიოდა. განიერი მოედანი ეკალ-ბარდის ღობით შემოეკავებინათ, ამჟამად კი ალაგ-ალაგ თიხის ღობეს აკრავდნენ. შუაგულში ხის შემაღლებული ალაგი აღემართათ. წინასწარმეტყველი იქ მაშინ ადიოდა, როცა ხალხის დამოძღვრა სურდა.

შემაღლების წინ მაჰდის, ხალიფებისა და გამორჩეული შეიხებისთვის ცხვრის ტყავები დაეფინათ. გვერდებში, აქეთ-იქით, ვეებერთელა ყვავილებივით აჭრელებული, ქარზე აფრიალებული დროშები ჩაერჭოთ. მოედნის ოთხივ მხრივ დავრიშები ჩამდგარიყვნენ მჭიდრო მწკრივებად. ყველგან, საითაც გაიხედავდი, გაუვალ ტყედ აღმართულიყო შუბები, რომლითაც თითქმის ყოველი მეომარი აღჭურვილიყო.

იდრისი, გებჰრი და სხვა მექარავნენი თავს ბედნიერად თვლიდნენ, რომ ემირებთან ერთად მოხვდნენ ამ თავყრილობაში და შესაძლებლობა მიეცათ წინა რიგებში დგომისა. მაჰდის გამოჩენა ხალხს უმბაის მშვენიერმა და საზეიმო ხმამ წინდაწინვე აუწყა, მაგრამ, მოედანზე შემოაბიჯა თუ არა, უმალვე ახმაურდა დოლები, საყვირები, გამომხმარ გოგრაში ჩაყრილი ქვები, სპილოს წინა კბილებისგან გაკეთებული სასტვენები, რამაც ყურისწამღები ხმები გამოსცა. ხალხი ენითუთქმელმა აღფრთოვანებამ მოიცვა. ერთნი მუხლებზე ეცემოდნენ, სხვები ყელის ჩახრენწვამდე გაჰკიოდნენ: “ო, ღვთის მოციქულო! ო, მბრძანებელო! ო, მწყალობელო!” და ასე გაგრძელდა მანამ, სანამ მაჰდი ამბიონზე არ ავიდა. იმავე წამს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მან ხელები აწია, საჩვენებელი თითები ყურებზე მიიდო და ერთხანს ასე ლოცულობდა.

ბავშვები შორიახლო იდგნენ და კარგად ხედავდნენ: შუახნის საოცრად მსუქანი და ერთიანად შავი კაცი იყო. სტაშის მეტად მახვილ მზერას არ გამოჰპარვია, რომ მაჰდის მოსვირინგებული სახე ჰქონდა. ცალ ყურზე სპილოს ძვლის რგოლი ეკიდა. ტანზე თეთრი ჯიუბა ემოსა, თავზეც თეთრივე არახჩინი ეხურა; ფეხშიშველი იყო, რადგან ამბიონზე ასვლისას წითელი წაღები გაიხადა და იქვე, დატოვა ცხვრის ტყავთან, რომელზეც ჩამუხლულს უნდა ელოცა. მის სამოსს სიმდიდრისა ნიშანწყალიც არ ეცხო. ოღონდ დროდადრო ქარს მისგან მოჰქონდა მძაფრი სურნელი სანდალოზისა, რომელსაც მორწმუნენი ხარბად ისუნთქავდნენ და სიამოვნებისაგან თვალებს ნაბავდნენ. საერთოდ, სტაშს სულ სხვანაირ კაცად წარმოედგინა საშინელი წინასწარმეტყველი, ყაჩაღი და ათასობით კაცის მკვლელი და ახლა, ამ გაფუებულ და კეთილად მომზირალ სახეს რომ ხედავდა, მის წყლიან თვალებსა და თითქმის მუდამ ღიმილიან ბაგეებს, განცვიფრებისაგან აღარ იცოდა, რა ექნა. ეგონა, ასეთ კაცს მხრებზე უეჭველად აფთრის ანდა ნიანგის თავი უნდა ჰქონოდა დადგმული, სინამდვილეში კი მის წინ სავსე მთვარესავით პირმრგვალი კაცი იდგა.

ამასობაში წინასწარმეტყველი ხალხის დამოძღვრას შეუდგა. მისი მკერდისმიერი და მჟღერი ხმა მთელ მოედანზე შესანიშნავად ისმოდა. ასე რომ, მორწმუნეთ მისი ყოველი სიტყვა ესმოდათ. უპირველეს ყოვლისა ილაპარაკა სასჯელზე, რომელსაც იმსახურებდნენ ისინი, ვინც მაჰდის გამოცემულ კანონებს არ ასრულებდნენ და მალავდნენ ნაალაფარს, სვამდნენ ვისკის, ქურდობდნენ, თუთუნს ეწეოდნენ და ბრძოლაში მტერს ინდობდნენ. ამ ბოროტებათა გამო ალაჰი ცოდვილებს თავს ატეხს

შიმშილსა და ქოლერას, რომელიც სახეზე ნაყვავილარს ტოვებს. ამქვეყნიური ცხოვრება დაცხრილულ ტიკსა ჰგავს. სიმდიდრე და ფუფუნება უეჭველად შთაინთქმება ქვიშაში, რომელიც მიცვალებულებს ეყრება. ერთადერთი რწმენაა, მეწველ ძროხას რომ ჰგავს; მაგრამ სამოთხის კარი მხოლოდ გამარჯვებულთა წინაშე თუ გაიღება. ვინც მტერს სძლევს, ის საკუთარი სულის ხსნას მოიპოვებს. სარწმუნოებისათვის მკვდარი სამარადჟამო სასუფეველში შევა. ბედნიერნი, ასგზის ბედნიერები არიან, ვინც უკვე დაეცნენ!..

– რწმენისთვის სიკვდილი გვინდა! – ერთხმად გაჰყვიროდა ბრბო.

და იქაურობას წამიერად ისევ ჯოჯოხეთური გნიასი გადაუვლიდა. კვლავ გაისმოდა ყუმბარისა და დოლების ხმა. მეომრები მახვილს მახვილზე სცემდნენ და ფარებს ფარებზე. საომარი განწყობა კოცონივით აგიზგიზდებოდა ხოლმე. “რწმენა და ძლევამოსილება!” – გაიძახოდნენ ზოგიერთები; სხვები: “სიკვდილის გზით სამოთხეში!” სტაში ახლაღა მიხვდა, რატომ ვერ გაუმკლავდა ამ ველურ ურდოებს ეგვიპტის ჯარი.

ოდნავ რომ დაცხრნენ, წინასწარმეტყველი ისევ ალაპარაკდა. შეკრებილთ უამბო თავის ხილვებსა და ღვთისაგან ბოძებულ ნიჭზე. ახლაც ალაჰს მისთვის ებრძანებინა რწმენის განწმენდა და მთელს ქვეყნიერებაზე განვრცობა. ვინც მას, მაჰდის, მომნანიებლად არ ცნობს, ის დასაღუპავადაა განწირული. სამყაროს აღსასრული მოახლოებულია, მაგრამ მორწმუნეთა ვალია, მანამდე დაიპყრონ ეგვიპტე, მექა და ყველა ის მხარე, სადაც ურწმუნონი ცხოვრობენ. ასეთია ღვთის ნება და მისი შეცვლა არავის ძალუძს. კვლავაც ბევრი სისხლი დაიღვრება, ბევრი მეომარი ვერ დაუბრუნდება საკუთარ ცოლ-შვილს, საკუთარ კარავს, მაგრამ ენით უთქმელი ბედნიერება ელოდება მათ, ვინც ბრძოლაში დაეცემიან.

ამის შემდეგ თავშეყრილი ხალხისკენ ხელები გაიშვირა და დაასრულა:

– ჰოდა მე, მომნანიებელი და ღვთის მსახური, ვლოცავ წმინდა ომს და გლოცავთ თქვენ, მეომრებო. ვლოცავ თქვენს შრომას, ჭრილობებს, სიკვდილს, ვლოცავ გამარჯვებას და თქვენთან ერთად ვტირი მამასავით, რომელმაც შეგიყვარათ...

და ატირდა. ერთი ყაყანი და ღრიანცელი ატყდა, როცა ამბიონიდან დაბლა დაეშვა. მისი ტირილი საყოველთაო გოდებაში გადაიზარდა. ძირს ჩასულს ხალიფებმა – აბდულაჰმა და ალი-უდელ-ჰელუმ ხელი ჩაჰკიდეს და ასე მიიყვანს ცხვრის ტყავის ნატთან, სადაც წინასწარმეტყველმა დაიჩოქა. ამ მცირე შესვენების ჟამს იდრისმა დრო იხელთა და სტაშს გულაჩქროლებულმა ჰკითხა, ემირებს შორის სმაინი ხომ არ არისო.

– არა! – შესძახა ბიჭმა, რომელიც ამაოდ ეძებდა ნაცნობ სახეს. – ვერსად ვხედავ. ეგებ ხარტუმის აღებისას დაიღუპა.

ლოცვა დიდხანს გაგრძელდა. მაჰდი ლოცვისას ხელ-ფეხს ჯამბაზივით იქნევდა, ანდა თვალებს აღფრთოვანებისგან ზეაღაპყრობდა და იმეორებდა: “აგერ ისიც! აგერ, ისიც!” და როცა მზე დასავლეთისკენ გადაიწვერა, მხოლოდ მაშინ წამოდგა და სახლისაკენ გაემართა. ბავშვები ახლა თვალნათლივ დარწმუნდნენ, რა პატივისცემით ეპყრობოდნენ დავრიშები თავიანთ წინასწარმეტყველს, რადგან მის ნაკვალევს ადამიანები ჯგროდ მოსცვივდნენ და მიწა ააბდღვნეს იმ ადგილს, რომელსაც მისი ფეხი ეხებოდა. მოხდა შეხლა-შემოხლა და საქმე ცემა-ტყეპამდეც კი მივიდა, რადგან ხალხსსწამდა: ეს მიწა ჯანმრთელებს ჯანს უნარჩუნებდა, სნეულებს კი – აჯანმრთელებდა.

სალოცავი მოედანი ნელ-ნელა დაცარიელდა. იდრისმა არ იცოდა, რა ექნა და ის ის იყო, ქოხში, ხამისთან, დაბრუნება გადაწყვიტა, რომ მოულოდნელად დილას გაცნობილი ბერძენი დაინახა.

– თქვენზე მაჰდის ვესაუბრე, – უთხრა არაბულად, – და წინასწარმეტყველს თქვენი ნახვა სურს.

– მადლობა ალაჰს და თქვენ, ბატონო! – შესძახა იდრისმა. – მაჰდის გვერდით სმაინს თუ ვნახავთ?

– სმაინი ფაშოდში იმყოფება, – მიუგო ბერძენმა.

ამის შემდეგ სტაშს ინგლისურად მიმართა:

– შესაძლოა, წინასწარმეტყველმა მოწყალე თვალით გადმოგხედოთ, რადგან ბევრი ველაპარაკე. ვუთხარი, რომ მის გულმოწყალებაზე თეთრკანიან ხალხშიც ხმა გავარდება. აქ უამრავი საშინელება ხდება და მის დაუხმარებლად ან შიმშილითა და უსახლკარობით დაიხოცებით, ან სნეულებით, ან სულაც რომელიმე გადარეულის წირვა გახდებით. ასე რომ, როგორმე მისი გული უნდა მოიგოთ. ეს კი შენზეა დამოკიდებული.

– როგორ უნდა მოვიქცე, ბატონო? – ჰკითხა სტაშმა.

– უპირველესად, წარგადგენენ თუ არა, მის წინ მუხლებზე დაეცი და, თუ ხელი გამოგიწოდა, პატივისცემის ნიშნად აკოცე და შეევედრე, მფარველობა არ მოგაკლოთ. – აქ ბერძენმა სიტყვა გაწყვიტა და ჰკითხა: – ამათ ინგლისური ესმით?

– არა. ხამისი ქოხში დარჩა, იდრისი და გებჰრი კი მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ახლაფორთებენ, სხვები კი ამდენსაც ვერა.

– ძალიან კარგი. მაშ, ყური მიგდე, რადგან ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ. მაჰდი აუცილებლად გკითხავს, მზად ხარ თუ არა მიიღო მისი სარწმუნოება. უმალვე უპასუხე, რომ მზად ხარ და ისიც უთხარი, რომ მისი შემოხედვისთანავე რაღაც უცნაური

ღვთიური შუქი მოგეფინა. კარგად დაიმახსოვრე “უცნაური ღვთიური შუქი”... ამით მის გულს მოიგებ და, შესაძლოა, მულაზემად, ანუ პირად მსახურადაც კი მიგიღოს. თუ ასე მოხდა, თქვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, რადგან აღარაფერი გაგიჭირდება, თავშესაფარიც გექნებათ, საჭმელ-სასმელიც და ვეღარც სნეულება დაგაკლებთ რამეს. სხვაგვარად, შენც, ეს პაწია საცოდავიც და მეც ცუდ დღეში ჩავცვივდებით. გაიგე?

სტაშს კრიჭა შეეკრა, კრინტიც ვეღარ დაძრა, ოღონდ სახე გაუქვავდა და თვალებში გულგრილი იერი აესახა, რის გამოც ბერძენმა ისევ განაგრძო:

– ვიცი, ჩემო ბიჭუნა, ცუდ რჩევა-დარიგებას გთავაზობ, მაგრამ სხვა გამოსავალი არაა! მათ, ვინც ხარტუმში მოწყობილ ხოცვა-ჟლეტას გადაურჩა, ყველამ მაჰდის მოძღვრება აღიარა. უარი განაცხადა მხოლოდ რამდენიმე კათოლიკე მისიონერმა და მონაზონმა, მაგრამ ეს სულ სხვა რამეა. ყურანი კრძალავს სასულიერო პირის მოკვლას და, თუმც საშინელ დღეში იმყოფებიან, ყოველ შემთხვევაში სიკვდილი მაინც არ ელით. სამაგიეროდ, საერო ხალხს თავის გადარჩენის სხვა გზა არ ჰქონდა. კიდევ ერთხელ გიმეორებ, რომ მაჰმადიანობა მიიღო ყველამ: გერმანელებმა, იტალიელებმა, ინგლისელებმა, ბერძნებმა... მათ შორის, მეც...

და, თუმცა სტაშმა დაარწმუნა, ჩვენს ჯგუფში ინგლისური არავის ესმისო, მაინც ხმას დაუწია:

– იმის მტკიცებას არ დავიწყებ, რომ ეს არ არის რწმენისაგან განდგომა, რწმენის ღალატი. თუმცა თავის გულში ყველა მაინც იმად დარჩა, ვინც იყო, და ღმერთი ამას ხედავს... ძალადობის წინაშე ქედი უნდა მოიხარო, თუნდაც გარეგნულად მაინც... ადამიანის ვალია, გაუფრთხილდეს სიცოცხლეს და სიგიჟე იქნებოდა, შენ წარმოიდგინე ცოდვაც კი, განსაცდელში თავის ჩაგდება. გეკითხები – რისთვის? სულ რაღაც ორიოდ სიტყვის გულისთვის, რომელთა უარყოფაც გუნებაში ყოველთვის შეგიძლია? კარგად დაიმახსოვრე, რომ შენს ხელთაა არა მხოლოდ საკუთარი სიცოცხლე, არამედ ამ შენი პაწია მეგობრისაც, და შენი ვალია, უეჭველად თვალისჩინივით გაუფრთხილდე!.. მინდა გწამდეს, რომ, თუ ღმერთი ინებებს და ამათი ხელიდან ოდესმე დაგიხსნის, არც სინდისის ქენჯნა შეგაწუხებს და არც სხვა ვინმე დაგწამებს ცილს, ისევე, როგორც ჩვენ ყველას.

ბერძენი, ამას რომ ამბობდა, ალბათ, საკუთარი სინდისის დაშოშმინებას უფრო ცდილობდა, მაგრამ სტაშის საჩუმემაც მოატყუა და ეს შიშის ნიშნად მიუთვალა. ჰოდა, თავისი ჭკუით, ბიჭის გამხნევება გადაწყვიტა.

– აგერ, მაჰდის სახლიც. – უთხრა. – ხარტუმში ყოფნას ომდურმანში, ამ ხის შენობაში, ცხოვრება ურჩევნია, თუმცა იქ გორდონის სასახლეში შესვლაც შეეძლო. აბა, ყოჩაღად!

თავგზა არ აგებნეს! კითხვებზე გაბედულად უპასუხე; სიმამაცეს აქ დიდ პატივს მიაგებენ; არ გეგონოს, მაჰდი ლომივით ბღაოდეს. არა! ის მაშინაც კი იღიმება, როცა გუნებაში ბოროტი ზრახვა უდევს.

ეს რომ თქვა, სახლის წინ თავშეყრილ ხალხს დაუყვირა, გზა მიეცათ წინასწარმეტყველის "სტუმრებისათვის".

კარი XVIII

სახლში რომ შევიდნენ, დაინახეს მაჰდი რბილ ტახტზე წამოწოლილიყო. ირგვლივ გარშემორტყმოდნენ ცოლები, რომელთაგანაც ორნი სირაქლემას ფრთებს უნიავებდნენ, დანარჩენი ორი კი ფეხის გულებს მომეტებული სინაზით ფხანდა. ცოლების გარდა, აქ იყვნენ კიდევ ორნი: ხალიფა აბდულაჰი და ხალიფა შერიფი, მესამე კი – ალი-უდელ-ბელუსი სწორედ იმჟამად ჯარებით გაეგზავნა ჩრდილოეთისკენ, კერძოდ, ბერბერასა და აბუ-ჰამედში, რომლებიც წინდაწინ აეღოთ დავრიშებს. შემოსულთა დანახვისთანავე წინასწარმეტყველმა ცოლები მისწი-მოსწია და ტახტზე წამოჯდა. იდრისი, გებჰრი და ორი ბედუინი მყისვე პირქვე დაემხნენ, მერე კი გულზე ხელებგადაჯვარედინებულნი მუხლის ჩოქებზე დადგნენ. ბერძენმა სტაშს ანიშნა, მან კი მხოლოდ თავი დახარა და, როგორც იდგა წელში გასწორებული, ისევე დარჩა. სახე გაუფითრდა, სამაგიეროდ თვალები მეტისმეტად უბრწყინავდა და მისი შესახედაობით – ამაყად ზეაწეული თავით, მტკიცედ მოკუმული ბაგეებით – იოლად მიხვდებოდით, რომ ყოყმანსა და შიშს გაევლო და უკვე მიეღო მტკიცე გადაწყვეტილება, რომელსაც არაფრის გულისთვის აღარ გადათქვამდა. ჩანს, ამას ბერძენიც მიხვდა, რადგან სახეზე შეშფოთება დაეტყო. მაჰდიმ ბავშვებს წამიერი მზერა მოავლო, გაფიჟვინებულ სახეზე ნათელი ღიმილი დაიფინა და ამის შემდგომ ჯერ იდრისსა და გებჰრს მიუბრუნდა.

– შორეული ჩრდილოეთიდან ჩამოხვედით? – იკითხა.

იდრისმა შუბლი ძირს დასწია.

– ო, მაჰდი, ეს ასეა! ჩვენ დანგალთა ტომს ვეკუთვნით, ფაიუმში საკუთარი კერა მივატოვეთ, რათა შენს ღვთაებრივ ფეხთა წინაშე მუხლებზე დავმხობილიყავით.

– უდაბნოში დაგინახეთ. საშინელი გზა იყო, მაგრამ მე თქვენ მოგივლინეთ ანგელოზი, რომელიც გიცავდათ და მან დაგიფარათ ურჯულოთა ხელით სიკვდილისაგან. ვერ ხედავდით, მაგრამ ის მუდამ თავს დაგტრიალებდათ.

– გმადლობ შენ, მომნანიებელო!

– და სმაინს ჩამოჰგვარეთ ბავშვები, რათა ესენი თურქების მიერ პორტ-საიდში წაყვანილ თავის შვილებსა და ფატმაზე გაცვალოს.

– შენთვის მსახურება გვწადია.

– ვინც მე მემსახურება, ის საკუთარი ხსნისთვის იღწვის, ასე რომ, თქვენთვის სამოთხის კარი უკვე ღიაა. ფატმა ჩემი სისხლი და ხორცია... მაგრამ უნდა გაუწყოთ, როცა მთელ ეგვიპტეს დავიპყრობ, ჩემს ნათესავსა და მის შთამომავლობას იმავე წამს ვიპოვით და გავათავისუფლებთ.

– თუ ასეა, ყოვლად ღირსეულო, როგორც გსურთ, ისე მოეპყარით ამ ბავშვებს...

მაჰდიმ ქუთუთოები მილულა, მერე – ზეაწია, კეთილად გაიღიმა და სტაშს თავი დაუქნია.

– მომიახლოვდი, ბიჭუნავ!

სტაშმა რამდენიმე გამართული, თითქოსდა ჯარისკაცური ნაბიჯი გადადგა, თავი მეორეჯერ დაუკრა, მერე ლარივით გაიჭიმა და მაჰდისკენ ჯიქურ მომზირალი ლოდინად იქცა.

– გიხარიათ ჩემთან ჩამოსვლა? – ჰკითხა მაჰდიმ.

– არა, წინასწარმეტყველო. ძალად მოგვიტაცეს და მამებს დაგვაშორეს.

ამ უბრალო პასუხმა გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა პირფერობას მიჩვეულ მბრძანებელსა და ყველა იქ მყოფზე. ხალიფა აბდულაჰმა წარბები შეჭმუხნა. ბერძენმა ულვაში მოიკვნიტა და თითების მტვრევას მოჰყვა, თუმცაღა მაჰდის სახიდან ღიმილი არ მოსცილებია.

– სამაგიეროდ, – თქვა, – ჭეშმარიტების წყაროსთან დგახართ. გსურს დაეწაფო ამ წყაროს?

მდუმარება ჩამოწვა; მაჰდიმ იფიქრა, ყმაწვილმა შეკითხვა ვერ გაიგოო და სათქმელი დააზუსტა.

– გსურს ჩემი მოძღვრების აღიარება?

რაზედაც სტაშმა გულზე დადებული ხელით ოდნავშესამჩნევად მოხაზა წმინდა ჯვარი, თითქოსდა ჩასაძირავად განწირული გემიდან მორევში გადახტომას აპირებსო.

– წინასწარმეტყველო, – მიმართა, – შენს მოძღვრებას არ ვიცნობ და, რომც ვაღიარო, ამას, ალბათ, მშიშრობითა და სულმდაბლობით ვიზამ. ნუთუ ასე ძალიან გსურს, რომ შენი რწმენა მშიშარა და სულმდაბალმა ადამიანებმა აღიარონ?

ამას რომ ამბობდა, მაჰდის თვალებისთვის მზერა არ მოუცილებია. ისეთი სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, ბუზების ბზუილიც კი ისმოდა. იმავდროულად უჩვეულო რამ მოხდა. მაჰდი დაიბნა და აღარ იცოდა, რა ეპასუხა. სახიდან ღიმილი გაუქრა და მის ნაცვლად გულგრილობა და შეცბუნება აღებეჭდა. ხელი თაფლიანი წყლით სავსე ხაპისაკენ წაიღო და დაეწაფა, მაგრამ აშკარა იყო, ეს იმიტომ ქნა, დრო მოეგო და შეცბუნება დაემალა.

ყოჩაღი ბიჭუნა კი, ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტ დამცველთა შთამომავალი, ამაყად თავაწეული ელოდა განაჩენს. თვალებწამონთებულსა და სხეულდაძაბულს უდაბნოს მზითა და ქარით გარუჯული, გამხდარი ლოყები წამოყირმიზებოდა. “აბა, – ამბობდა გუნებაში, – ყველამ მიიღო მისი მოძღვრება, მე კი რწმენისთვის წამითაც არ მიღალატია”. და აწ მოსახდენის გამო შემონთებული შიში ანაზდად სიხარულისა და სიამაყის გრძნობამ შეცვალა.

ამასობაში მაჰდიმ ხაპი დადო და ჰკითხა:

– მაშ, უარს ამბობ ჩემს მოძღვრებაზე?

– მე მამაჩემივით ქრისტიანი ვარ...

– ვისი სმენაც დახშულია ღვთაებრივი ხმისთვის, – ნება-ნება, შეცვლილი ხმით წარმოთქვა მაჰდიმ, – ის მხოლოდ დასაწვავად განწირული კუნძია.

ამის გამგონე აბდულაჰმა, სიმკაცრითა და დაუნდობლობით სახელგანთქმულმა ხალიფამ, თეთრი კბილები ველური მხეცივით ააელვა და შესძახა:

– თავხედურად ლაპარაკობს ეს ბიჭი, ამიტომ უნდა დასაჯო, მბრძანებელო, ანდა მე დამრთეთ მისი დასჯის ნება!

“მოსახდენი მოხდა!” – გაიფიქრა სტაშმა.

მაგრამ მაჰდის სურდა, მისი გულმოწყალების ამბავი გაეგო არა მხოლოდ დავრიშებს, არამედ მთელს სამყაროს, ჰოდა, ამ პატარის მკაცრად დასჯას, შესაძლოა, სახელი გაეტეხა მისთვის.

ჩაფიქრებული ერთხანს კრიალოსანს მარცვლავდა, შემდეგ კი წარმოთქვა:

– არა. ეს ბავშვები სმაინისთვის მოიტაცეს, ამიტომაც, ურჯულოებთან არავითარ მოლაპარაკებას არ გავმართავთ, პირდაპირ სმაინს უნდა გადავცეთ. მე ასე მნებავს.

– იყოს ნება თქვენი! – მიუგო ხალიფამ.

მაჰდიმ ხელი იდრისის, გებჰრისა და ბედუინებისკენ გაიშვირა.

– ო, აბდულაჰ, ეს ხალხი ჩემ მაგივრად დაასაჩუქრე, რამეთუ გრძელი და ფათერაკიანი გზა გამოვლეს, რითაც უზომო პატივი მიაგეს ღმერთს. – ამის შემდგომ იქ მყოფთ ანიშნა, რომ მიღება დასრულდა, ბერძენსაც მყისვე უბრძანა ოთახიდან გასვლა. სამლოცველო მოედნის წყვდიადს შეფარებული ბერძენი უმალვე მხრებში ჩააფრინდა სტაშს და მრისხანედ და სასოწარკვეთით შეანჯღრია.

– წყეულო! ხომ დაღუპე უმანკო ბავშვი, – თქვა და ნელიზე მიანიშნა. – თავიც დაიღუპე და, შესაძლოა, მეც ზედ მიმიყოლე.

– სხვაგვარად არ შემეძლო. – უპასუხა სტაშმა.

– არ შეგეძლო! იცოდე, რომ პირველზე ასჯერ უარესი მგზავრობა მოგელით. ეს კი უეჭველ სიკვდილს უდრის, გასაგებია? ფაშოდის ციება ერთ კვირაში მოგიღებთ ბოლოს. მაჰდიმ იცის, რისთვისაც გაგზავნით სმაინთან.

– სიკვდილი არც ომდურმანში დაგვინდობს.

– ტყუილია! მაჰდის სახლში საჭმელ-სასმელი არ მოგაკლდებოდათ და ვერც სიკვდილი მოგერეოდათ. არადა, მაჰდი მზად იყო, თქვენთვის თავშესაფარი მოეცა. ვიცი, მზად იყო. კეთილი სიტყვების სანაცვლოდ მეც როგორ გამწირე. აწი, როგორც გსურთ, ისე მოიქეცით! აბდულაჰი ერთი კვირის თავზე ფაშოდში ფოსტას აგზავნის აქლემებით, ამ ერთ კვირას კი, რაც გინდათ, ის ქენით! მე თქვენკენ გამომხედავი აღარ ვარ!..

ამის თქმა და წასვლა ერთი იყო, მაგრამ უმალვე ისევ უკან მობრუნდა. ყველა ბერძენივით, მასაც ბევრი ლაპარაკი უყვარდა და სათქმელი ბოლომდე უნდა ეთქვა. ვერ მოისვენებდა, სანამ სტაშის ლანძღვით გულს არ მოიფხანდა. ბოროტი არ იყო, მაგრამ სურდა, ბიჭისთვის ბოლომდე წარმოედგინა დაკისრებული პასუხისმგებლობის სიმძიმე, რაკიღა მის რჩევასა და გაფრთხილებას არ უგდო ყური.

– ყოფილიყავ გულში ქრისტიანი, გიშლიდა ვინმე? – განაგრძო. – გგონია, მე ქრისტიანი არ ვარ? მაგრამ ჭკუა მოვიხმარე. შენ კი თავი გმირად მოგაქვს. ეს კი ყასიდი გმირობაა! აქამდე თეთრკანიან ტყვეებს დიდ დახმარებას ვუწევდი, ამიერიდან ამას ვეღარ

შევძლებ, რადგან მაჰდი მეც შემომწყრა. ყველანი დაიღუპებიან. შენი უბედური ამხანაგი კი, ეჭვიც არ მეპარება, ყველაზე ადრე გამოაკლდება ამ წუთისოფელს! შენ დაღუპე! ფაშოდში მოწიფული ევროპელები ბუზებივით იხოცებიან ციებ-ცხელებით და პაწია ბავშვს რაღა მოუვა?! არადა, ცხენებსა და აქლემებს რომ ფეხით გაგაყოლონ, პირველ დღესვე მოეღება ბოლო. ყველაფერი შენი ბრალია. გაიხარე ახლა ... შენი ქრისტიანობით!

და გაშორდა, მათ კი სამლოცველო მოედნიდან ქოხისაკენ მიმავალ ბნელ შუკაში გაუხვიეს.; დიდხანს მიდიოდნენ, რადგან ქალაქი უზარმაზარ ფართობზე იყო გადაჭიმული. სიბნელის, შიმშილის, შიშისა და მთელი დღის საძაგელი შთაბეჭდილებით გაბრუებულ ნელის დაღლა დაეტყო. იდრისი და გებჰრი სწრაფად სიარულს აიძულებდნენ, მაგრამ მალე ფეხებმა უმტყუნა. სტაშმა დაუფიქრებლად აიყვანა ხელში. გზადაგზა მასთან ლაპარაკს, თავის მართლებას აპირებდა, რომ სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო, მაგრამ აზრის მოკრება გაუჭირდა, თითქოსა გონებაც დაებინდა და ერთთავად იმეორებდა: – “ნელი! ნელი! ნელი!” და, სხვას რომ ვერას ამბობდა, გოგონას მხოლოდ გულში იკრავდა: რამდენიმე ათეული ნაბიჯის შემდეგ ძალაგამოცლილს მის ხელზევე ჩაეძინა. ის კი ჩუმად მიუყვებოდა მდუმარე ქუჩაბანდს, რომლის სიმშვიდესაც მხოლოდ იდრისისა და გებჰრის ლაპარაკი არღვევდა.

სტაშის საბედნიეროდ, გულები სიხარულით ავსებოდათ, თორემ მაჰდისთვის თავხედურ პასუხზე, შესაძლოა, მისი დასჯა მოეწადინებინათ. მათი გონება ისე მოეცვა თავს გადამხდარ ამბავს, რომ სხვა რამეზე ფიქრის ილაჯიც არ ჰქონდათ.

– ავად ვიყავი, – ამბობდა იდრისი, – მაგრამ წინასწარმეტყველის შემოხედვამ მომარჩინა.

– უდაბნოში შემოფეთებულ პალმასა ჰგავს და კიდევ – პაპანაქებაში დალეულ ცივ წყალს, მისი სიტყვები კი მწიფე ფინიკს მოგაგონებს, – დასძინა გებჰრმა.

– ტყუილი გვითხრა ნურ-ელ-ტადჰილმა, ახლოს არ მიგიკარებთო; მიგვიკარა კიდეც, დაგვლოცა კიდეც და აბდულაჰს ჩვენი დასაჩუქრებაც უბრძანა.

– დარწმუნებული ვარ, გულუხვადაც დაგვაჯილდოებს, რამეთუ მაჰდის სურვილი წმიდათა წმიდაა.

– ბისმილაჰ! შენს პირს შაქარი. – გამოეპასუხა ერთ-ერთი ბედუინი.

გებჰრმა ინატრა, ნეტა აქლემების მთელი ჯოგი, რქოსანი პირუტყვი, ცხენები და პიასტრებით სავსე ტომრები მოგვცესო.

ამ ოცნებიდან ანაზდად გამოაფხიზლა იდრისმა, რომელმაც ხელში გოგონაატატებული სტაშისკენ გაახედა და ჰკითხა:

– ამ ონავარსა და ბუზს რაღა ვუყოთ?

– ჰა! ამათ გამო სმაინმა კიდევ ცალკე უნდა დაგვაჯილდოოს.

– რადგან წინასწარმეტყველმა თქვა, ურჯულოებთან არანაირ მოლაპარაკებას არ გავმართავო, სმაინს ესენი, ალბათ, უკვე აღარაფრად უღირს.

– თუ ასეა, მეწყინება, ხელში რომ არ ჩაუცვივდნენ ხალიფას, რომელიც ამ ძაღლის ლეკვს უეჭველად ასწავლიდა, როგორ უნდა ღვთის რჩეულისთვის დაყეფება.

– მაჰდი გულმოწყალეა. – მიუგო იდრისმა.

მერე ერთხანს ჩაფიქრდა და თქვა:

– ჩემი აზრით, ესენი რომ ხელში ეყოლება, სმაინი დარწმუნებული იქნება, რომ ვერც თურქები და ვერც ინგლისელები ფატმასა და მის შვილებს ვერ დახოცავენ.

– ეგებ კიდეც დაგვაჯილდოოს?

– რატომაც არა. დაე, ესენი აბდულაჰის ფოსტამ წაიყვანოს ფაშოდში. ხელ-ფეხი მაინც გაგვეხსნება. როცა სმაინი აქ დაბრუნდება, გასამრჯელო მაშინ მოვთხოვოთ.

– გამოდის, რომ ომდურმანში ვრჩებით?

–ალაჰ! არ გეყო ფაუმიდან ხარტუმამდე გამოვლილი გზა? დროა, დავისვენოთ.

ქოხებამდე დიდი მანძილი აღარ დარჩენოდათ. სტაშმა ნაბიჯი შეანელა, რადგან ძალ-ღონე მასაც გამოელია. სხვა დროს ფიორასავით მსუბუქი ნელი ახლა თანდათან დამძიმდა. სუდანელები, რომელთაც დაძინება ეჩქარებოდათ, უყვიროდნენ, რათა ფეხი აეჩქარებინა, მერე კი თავში მუშტებიც შემოჰკრეს. გებჰრმა ბეჭზე დანაც კი უჩხვლიტა. ბიჭი ყველაფერს მოთმინებით უძლებდა, უპირველესად თავისი პაწია დაიკოს გადასარჩენად და, როცა ერთმა ბედუინმა ისე წაუთაქა, რომ კინაღამ წაიქცა, კბილებიდან გამოსცრა:

– ფაშოდამდე ცოცხლებმა უნდა ჩავაღწიოთ.

ამ სიტყვებმა მართლა შეაკავა არაბები, რადგან მაჰდის ბრძანების დარღვევას ერიდებოდნენ, მაგრამ უფრო კი იმან შეაჩერათ, რომ ანაზდად იდრისმა ისეთი თავბრუსხვევა იგრძნო, იძულებული გახდა, გებჰრს მხარზე ჩამოყრდნობოდა. თავბრუმ მალე გაუარა, მაგრამ სუდანელს შეეშინდა და თქვა:

– ალაჰ! მგონი რაღაც საშინელება მჭირს. რამე ავადმყოფობა ხომ არ შემეყარა?

– მაჰდი იხილე და რა ავადმყოფობა მოგერევა! – მიუგო გებჰრმა.

როგორც იქნა, ქოხებამდეც მიაღწიეს. ღონემიხდილმა სტაშმა მძინარე ნელი ხელშივე მიაწოდა ბებერ დინაჰს, რომელიც დასუსტებულიყო, მაგრამ თავისი გოგონასათვის მაინც მარჯვედ გაეშალა ქვეშაგები. სუდანელებმა და ბედუინებმა ხორცის თითო-ოროლა ლუკმა შელოღნეს და ქეჩებზე მკვდრებივით მიეყარნენ. სტაშისთვის საჭმელი არ მიუციათ, სამაგიეროდ ბებერმა დინაჰმა მუჭში ჩაუტენა აქლემების არჩივიდან მოპარული დამბალი სორგო, მაგრამ ბიჭს ძილისა და ჭამის თავიც აღარ ჰქონდა.

მხრებზე ატატებული ტვირთი, მისთივს ერთობ მძიმე აღმოჩნდა. უარყო რა მაჰდის კეთილგანწყობა, რისთვისაც რჯული და სული უნდა გაეყიდა, გრძნობდა, რომ ღირსეულად მოიქცა. გრძნობდა აგრეთვე, რომ მისი საქციელით მამა იამაყებდა და გაიხარებდა, მაგრამ იმავდროულად ფიქრობდა, რომ ნამდვილად დაღუპა უბედური თანამგზავრი, უსაყვარლესი დაიკო, პაწია ნელი, ვისი გულისთვისაც სისხლის უკანასკნელ წვეთებსაც კი არ დაინანებდა.

ჰოდა, ყველამ დაიძინა თუ არა, ქვითინი წასკდა და ქეჩის ნაჭერზე მიგდებული დიდხანს ბალღივით ტიროდა, რამეთუ ჯერაც კიდევ ბალღი იყო.

კარი XIX

მაჰდის ნახვამ და მასთან საუბარმა იდრისი, ჩანს, ვერ მოამჯობინა, რადგან ღამით კიდევ უფრო ცუდად გახდა და დილისთვის გრძნობა დაკარგა. ხალიფასთან გამოძახებული ხამისი, გებჰრი და ორი ბედუინი რამდენიმე საათს ისმენდნენ მისგან ქება-დიდებას. საშინლად მოძმარულ-მოჟამულები დაბრუნდნენ, რადგან, ღმერთმა უწყის რაღანაირი საჩუქრის იმედი არ ჰქონდათ, აბდულაჰმა კი მხოლოდ თითო ეგვიპტური ფუნტი და თითო ცხენი უწყალობათ.

ბედუინები გებრჰს აუხირდნენ და საქმე ჩხუბამდეც კი მივიდა, ბოლოს განუცხადეს, ფოსტას ფაშოდამდე აქლემებით გაჰყვებოდნენ, რათა სმაინისთვის გასამრჯელო გამოერთმიათ. მათ შეუერთდა ხამისიც, რომელიც იმედოვნებდა, რომ სმაინის მფარველობა უფრო მეტ სარგებელს მოუტანდა, ვიდრე ომდურმანში დარჩენა.

ბავშვებისთვის კი დაიწყო შიმშილისა და გაჭირვების კვირა, რადგან გებჰრს მათი დაპურება არც უფიქრია. საბედნიეროდ, სტაშს ბერძნის ნაჩუქარი მარია ტერეზას ორი ტალერი ჰქონდა და ბაზარში წავიდა ფინიკისა და ბრინჯის საყიდლად. სუდანელებს გაშვებაზე უარი არ უთქვამთ, რადგან იცოდნენ: ომდურმანიდან გაქცევა უკვე შეუძლებელი იყო და თან არაფრის დიდებით არ მიატოვებდა პატარა ბინტს, მაგრამ ამ ამბავმა უხიფათოდ მაინც ვერ ჩაიარა, რადგან ბაზარში სურსათის საყიდლად შესულ ევროპულად ჩაცმულ ბიჭს ნახევრადველური დავრიშები გუნდ-გუნდად გარშემოერტყნენ და სიცილითა და ბღავილით გააყრუეს. საბედნიეროდ, ბევრმა დაინახა, რომ გუშინ იგი მაჰდისთან იყო და მასზე თავდასხმის მოსურნენი იმათ შეაჩერეს. მხოლოდ ბავშვები ესროდნენ ქვიშასა და ქვას, მაგრამ სტაშს ამისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

ბაზარს ცეცხლის ფასი ედო. ფინიკი საერთოდაც არ იყიდებოდა, ბრინჯის დიდი ნაწილი კი გებჰრმა წაართვა თავისი "ავადმყოფი ძმისთვის". ბიჭმა წინააღმდეგობა გაუწია, რაც ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა და, რასაკვირველია, კარგა გვარიანადაც მიიტყიპა. ხამისმაც საკმაო გულბოროტება გამოამჟღავნა. ის მხოლოდ ლომას ელოლიავებოდა და უმ ხორცს აჭმევდა. სამაგიეროდ ბავშვებს, რომლებსაც უკვე კარგა ხანია იცნობდა და მათგან სიკეთის მეტი არაფერი ახსოვდა, გულგრილად უყურებდა და, როცა სტაშმა სთხოვა, ნელისთვის მაინც გაემეტებინა ცოტაოდენი საჭმელი, ღრეჭით უთხრა:

– წადი და იმათხოვრე!

ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ნელის გადასარჩენად სამათხოვროდაც გავიდა. ხელი ყოველთვის არ მოცარვია. ხანდახან რომელიმე ყოფილი ჯარისკაცი ან ეგვიპტელი ჰედივის ოფიცერი რამდენიმე პიასტრს ან გამხმარ ფინიკს გაიმეტებდა, თან მეორე დღეს ხელის გამართვასაც შეჰპირდებოდა. ერთხელ გზად გადაეყარა მისიონერსა და მოწყალების დას, რომელთაც მწარედ განიცადეს ორი ბავშვის უიღბლობა და, თუმც თავადაც შიმშილობდნენ, რაც ჰქონდათ, უწილადეს. აღუთქვეს, ქოხში მოგაკითხავთ და ჩვენთან წაგიყვანთო. მეორე დღეს მისულები გებჰრმა და ხამისმა მათრახის ცემით მოაშორეს იქაურობას. სტაში მათ ისევ შეხვდა და საწყაო ბრინჯი და ორი შეკვრა ქინაქინა მისცეს, თან გააფრთხილეს, წამალს თვალისჩინივით გაფრთხილებოდა, რადგან შიშობდნენ, რომ ფაშოდში ციებ-ცხელება ორივეს შეეყრებოდა.

– თქვენ ახლა, – უთხრეს, – თეთრი ნილოსის გასწვრივ, ჭალა-ჭალა ივლით. მდინარე მდორედ მიედინება, რადგან კალაპოტი სავსეა მცენარეულობით, მერე და მერე უფრო მდოვრდება და თავთხელ ადგილებში ქმნის უშველებელ სნებოვან ჭაობს, სადაც ციება თვით ზანგებსაც კი არ ინდობს. ყველაზე მეტად ღამღამობით ტიტველ მიწაზე დაწოლას ერიდეთ.

– ნეტავი, ახლავე დავიხოცებოდეთ! – თითქმის წამოიკვნესა სტაშმა.

ამაზე მისიონერმა გამოფიტული სახე აწია, ერთხანს ილოცა, რის შემდეგაც ბიჭს პირჯვარი გარდასახა და გაამხნევა:

– გწამდეს ღვთისა. რადგან არ უარყავი, იცოდე, მისი გულმოწყალება და მფარველობა არ მოგაკლდება.

ამის შემდეგ სტაშმა მათხოვრობა კი არა, მუშაობა სცადა: ერთ დღეს სამლოცველო მოედანზე მომუშავე ხალხი დაინახა, მათ შეუერთდა და მოედნის შემოსაღობი თიხის ზიდვას შეუდგა. დასცინოდნენ და მუჯლუგუნს ურტყამდნენ, მაგრამ სამუშაოს ზედამხედველმა ბებერმა შეიხმა საღამოხანს თორმეტი ფინიკი მისცა. სტაში სიხარულისაგან ცას ეწია, რადგან ნელისთვის ბრინჯი და ფინიკი იყო ერთადერთი ყუათიანი საჭმელი და აქ, ომდურმანში, ესეც არ იშოვებოდა.

ფინიკი სიამაყით აღვსილმა მიუტანა პაწია დაიკოს, ვისთვისაც სულიც არ ენანებოდა და ყველაფერს მას აჭმევდა, თავად კი, აგერ თითქმის მთელი კვირა, მხოლოდ აქლემების სარჩოდან მოპარული სორგოთი იკვებებოდა. საყვარელი ხილის დანახვამ ნელი გაახარა, მაგრამ მოიწადინა, მის მეგობარსაც ეჭამა. ფეხის წვერებზე აწეულმა ხელი მხარზე დაადო, თავ-კისერი აიღერა, ბიჭს თვალებში ჩახედა და სთხოვა:

– სტაშ! ნახევარი შეჭამე რა, გეხვეწები!

რაზედაც ბიჭმა უპასუხა:

– ვჭამე, უკვე ვჭამე! იცი, რა მაძღარი ვარ?

და გაიღიმა, მაგრამ პირს მომდგარი ქვითინის შესაკავებლად უმალვე ტუჩი მოიკვნიტა, რადგან შიმშილისაგან არც მეტი, არც ნაკლები, კუჭი უხმებოდა. თავს შთააგონა, სამუშაოდ მეორე დღესაც წასულიყო, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად შეტრიალდა: დილაუთენია აბდულაჰის შიკრიკმა ამბავი მოიტანა, ფოსტა აქლემებით ამ ღამით მიემგზავრებოდა ფაშოდში და ხალიფას ბრძანებით იდრისი, გებჰრი, ხამისი და ორივე ბედუინი ბავშვებთან ერთად გზას უნდა გასდგომოდნენ. გებჰრი ბრძანებამ გააკვირვა, თან საშინლად გაანაწყენა და დაურიდებლად განაცხადა, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, რადგან ძმა ავად მყავს და უპატრონოდ ვერ დავტოვებ, თუმცა კარგადაც რომ იყოს, ორივენი მაინც ომდურმანში დავრჩებოდითო.

ამის გამგონე შიკრიკმა მიახალა:

– მაჰდის სურვილი უცვლელია, აბდულაჰს კი, მის ხალიფასა და ჩემს ბატონს, ბრძანებისთვის არასოდეს გადაუხვევია. ძმას ტყვე მოუვლის, შენ კი ფაშოდში წახვალ.

– თავად მივალ და განვუცხადებ, რომ წავალ.

– ხალიფასთან შედიან მხოლოდ ისინი, ვისი ნახვაც თვითონ სწადია. შენ რომ მასთან შენით შესვლა მოინდომო, იცოდე, სახრჩობელაზე ამოყოფ თავს.

– ალაჰ აკბარ! თქვი პირდაპირ, რომ ტყვე ვარ, და მორჩი საქმეს!

– ხმა გაკმინდე და ბრძანებას დაემორჩილე! – განუცხადა შიკრიკმა.

სუდანელს ომდურმანში უკვე დაენახა ჩამოხრჩობილთა გვამებისგან დამძიმებული სახრჩობელები, რომლებსაც, მრისხანე ხალიფას განჩინებით, სულ ახალ-ახალი გვამებით ამკობდნენ და შეშინდა. ყველა დავრიშმა დაამოწმა შიკრიკის ნათქვამი – მაჰდის სურვილი უცვლელია და აბდულაჰი მხოლოდ ბრძანებას ასრულებსო. მეტი რა ჩარა იყო, ბედს უნდა დამორჩილებოდა და გზას გასდგომოდა.

“ამიერიდან იდრისს ვეღარ ვნახავ!” – გულში გაივლო გებჰრმა. სინანულმა და სასოწარკვეთილებამ შეიპყრო იმის გაფიქრებაზე, რომ თანშეზრდილი ძმა გაჭირვებაში უნდა მიეტოვებინა. ხამისი და ბედუინები ამაოდ არწმუნებდნენ, ეგების ფაშოდში უფრო გაგვიმართლოს, ვიდრე ომდურმანში და სმაინმა ხალიფაზე გულუხვად დაგვაჯილდოოსო. გებჰრის მწუხარებისა და მძვინვარების ჩაცხრობა არანაირ სიტყვებს არ შეეძლო და გულისჯავრი უმეტესწილად სტაშზე იყარა.

ის დღე სტაშისთვის ნამდვილ სატანჯველად იქცა. ბაზარში წასვლის ნება არ დართეს, ამდენად არც მუშაობისა და არც მათხოვრობის საშუალება არ მიეცა, ეგ კი არადა, ტყვესავით მთელ დღეს სამგზავრო საპალნეებს დასტრიალებდა და მშიერ-მწყურვალი ფეხზე ძლივს იდგა. დარწმუნებული იყო, მზეში გებჰრის მათრახი თუ არა, შიმშილი მოუღებდა ბოლოს.

ბერძენი, საბედნიეროდ, გულკეთილი კაცი აღმოჩნდა და საღამოხანს ბავშვებს გამოსამშვიდობებლად მიაკითხა, თან საჩუქრებიც მიუტანა – რამდენიმე შეკვრა ქინაქინა, შუშის მძივები და ცოტაოდენი სურსათი. იდრისის ავადმყოფობის ამბავი რომ გაიგო, გებჰრს, ხამისსა და ბედუინებს მიუბრუნდა.

– იცოდეთ, – უთხრა მათ, – აქ მაჰდის ბრძანებით მოვედი!

და, რომ დაინახა, ქედი მოიხარეს, დასძინა:

– გზაში ბავშვებს უნდა გაუფრთხილდეთ და კარგად მოეპყრათ. თქვენი საქციელი ამათ სმაინს უნდა მოახსენონ. სმაინი კი, თავის მხრივ, წინასწარმეტყველს მოსწერს. თქვენ შესახებ რომ აქ რაიმე საყვედური მოვიდეს, შემდეგი ფოსტა სასიკვდილო განაჩენს ჩამოგიტანთ.

ამის გამგონეთ ისევ ქედი მოხარეს, ამასთანავე, გებჰრმა და ხამისმა სადრუნჩეწამოცმული ნაგაზების გამომეტყველება მიიღეს.

ბერძენმა ისინი მოიცილა, რის შემდეგაც ბავშვებს ინგლისურად გამოელაპარაკა:

– ყველაფერი ეს მე მოვიგონე, რადგან მაჰდის თქვენ შესახებ ახალი აღარაფერი უბრძანებია, მაგრამ, რადგან ფაშოდში წასვლა დაგავალდებულათ, იქ ცოცხლებმა უნდა ჩააღწიოთ, თან იმედი მაქვს, წასვლამდე ვერც ერთი ამათთაგანი ვერც მაჰდისა და ვერც ხალიფას ვეღარ ნახავს.

მერე სტაშს მიუბრუნდა:

– შენზე ნაწყენი ვიყავი, ყმაწვილო, და ვარ კიდეც. იცი, რომ კინაღამ დამღუპე? მაჰდი მეც გამინაწყენდა და მისი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად იძულებული გავხდი, აბდულაჰისათვის ჩემი ქონების უმეტესი ნაწილი მიმეცა, თან ჯერ კიდევ არ ვიცი, დიდი ხნით გადავრჩი თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ტყვეებს ისე ვეღარ მივეხმარები, როგორც აქამდე ვეხმარებოდი. მაგრამ ძალიან მებრალებით, განსაკუთრებით კი ეს (და ნელიზე მიუთითა). – სწორედ ამის ტოლა გოგონა მყავს... რომელიც საკუთარ სიცოცხლეს მირჩევნია... რაც ჩავიდინე, ყველაფერი მისი გულისთვის... ამის გამო ქრისტე განმსჯის... ჩემი გოგონა დღემდე ატარებს კაბის ქვეშ ვერცხლის ჯვარს... სახელიც კი ერთნაირი გქვიათ. ის რომ არა, ამ ჯოჯოხეთში ცხოვრებას სიკვდილი მერჩია.

და გული აუჩუყდა. ერთხანს იყუჩა, ბოლოს შუბლზე ხელი მოისვა და საუბარი სხვა რამეზე გადაიტანა.

– მაჰდი ფაშოდში იმ იმედით გაგზავნით, რომ იქ დაიხოცებით. ამგვარად შურსაც იძიებს თქვენზე, ყმაწვილო, შენი სიჯიუტის გამო, რამაც დიდად შეურაცხყო, თან არც “გულმოწყალის” ღირსებას დააკლდება რამე. ის მუდამ ასეთია... მაგრამ, ვინ იცის, ვის უფრო ადრე მოელის სიკვდილი! აბდულაჰმა შთააგონა, რომ თქვენი მომტაცებლებიც თქვენთან ერთად წამოსულიყვნენ. მართალია, ეგენი დაასაჩუქრეს, მაგრამ ეშინია, ხმა არ გავარდეს და ამ ხალხმა არ ილაპარაკოს, რომ ეგვიპტეში კიდევ არიან ჯარები, ზარბაზნები, ფული და ინგლისელები... მძიმე და გრძელი გზა გელოდებათ. უკაცრიელ და სნებოვან მხარეში მოგიწევთ მგზავრობა, ჰოდა იცოდეთ, თვალისჩინივით გაუფრთხილდით იმ ფხვნილს, მე რომ მოგეცით.

– ერთხელ კიდევ უთხარით, ბატონო, გებჰრს, აღარ გაბედოს ნელის დამშევა და ცემა! – სთხოვა სტაშმა.

– ნუ გეშინიათ. თქვენი თავი ფოსტის გამყოლ ბებერ შეიხს ჩავაბარე. ის ჩემი ძველი ნაცნობია. საათი მივეცი და თქვენზე მზრუნველობაც დავავალე.

ამის შემდგომ გამოთხოვების ჟამიც დადგა. ხელში აყვანილი ნელი გულში ჩაიკრა და გაიმეორა:

– ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო პატარავ!..

ამასობაში მზე ჩავიდა და ვარსკვლავებიანი ღამე ჩამოწვა. სიბნელეში ცხენების ჭიხვინი და დასაპალნებული აქლემების ქშინვა გაისმა.

კარი XX

მოხუცი შეიხი ჰატიმი პირნათლად ასრულებდა ბერძნისთვის მიცემულ პირობას და ბავშვებს მზრუნველობას არ აკლებდა. ზემოთ, თეთრი ნილოსისაკენ მიმავალი გზა, ედ-დუციმი და კანო რომ გაიარეს, გვერდით ჩაუარეს აბას, ნილოსის ტყიან კუნძულს, სადაც ომის დაწყებამდე ერთი ხის ფუღურეში მაჰდი დავრიში განდეგილივით ცხოვრობდა. ქარავანი ხშირად იძულებული იყო, გარს შემოევლო პაპირუსებით დაფარული ჭალებისათვის, ანუ სედის ჭანჭრობისათვის, საიდანაც ნიავს მდინარის დინებით ჩამოტანილი და უკვე გახრწნილი ფოთლების მყრალი სუნი მოჰქონდა. ინგლისელმა ინჟინრებმა ეს საცობები გახსნეს* და გემები ხარტუმიდან ფაშოდამდე და მის იქითაც დაცურავდნენ. ამჟამად მდინარეს იქაურობა ისევ ჩაეშლამა, დინება თავისუფლად ვეღარ მიიქცეოდა და იძულებული იყო ნაპირებზე გადმონთხეულიყო. მარჯვენა და მარცხენა სანაპირო დაეფარა მაღალ გაუვალ ჯუნგლებს, აქა-იქ ვეებერთელა ხეებიც აფოფრილიყვნენ. შედარებით მშრალ ადგილებში აკაციის ჭალები შრიალებდა. პირველ ხანებში გზადაგზა ხვდებოდნენ არაბთა სოფელ-დასახლებებს, სადაც სახლებს დონნუს ჩალით დაწნული გუმბათიანი სახურავები ედგა. აბას შემდეგ, გოზ-აბუ-გუმიდან მოყოლებული, შავკანიანთა ქვეყანას მიადგენენ. მაგრამ იქაურობა პირწმინდად გაუკაცრიელებულიყო, რადგან დავრიშებს ადგილობრივი ზანგი მოსახლეობა ერთიანად წაესხათ და ხარტუმის, ომდურმანის, დარის, ფაშერის, ელ-ობიედისა და სუდანის, დარფურისა და კორდოფანის სხვა ქალაქების ბაზრობებზე ყიდდნენ. მათ, ვინც ტყვეობას გადაურჩა და ტყესა და ბუჩქებს მისცა თავი, მუსრი გაავლო შიმშილმა და ყვავილმა, რაც თეთრი და ცისფერი ნილოსის მიდამოებში გაუგონარი ძალით მძვინვარებდა. თავად დავრიშთა თქმით, ხალხი ბუზებივით იხოცებოდა. სორგოს, მანიოკისა და ბანანის ყოფილ პლანტაციებზე ჯუნგლებს გადაევლო. მხოლოდ მხეცნადირი მომრავლებულიყო, რადგან მათზე აღარავინ ნადირობდა. საღამოობით ბავშვებს არაერთხელ მოუკრავთ თვალი მოძრავი კლდეებისდარი სპილოების ჯოგებისთვის,

დინჯად რომ მიიზლაზნებოდნენ დასარწყულებლად მხოლოდ მათთვის ცნობილ ბილიკებზე. მათ დანახვაზე სპილოს ძვლის გამყიდველი ჰატიმი პირს აწკლაპუნებდა, ხვნეშოდა, სტაშს გულდაწყვეტით ეუბნებოდა:

– მაშალაჰ! – რამდენი სიმდიდრეა! მაგრამ ახლა ნადირობა არ ღირს, რადგან მაჰდიმ ეგვიპტელ ვაჭრებს ხარტუმში ჩამოსვლა აუკრძალა და ეშვების მყიდველიც აღარავინაა...

სპილოების გარდა ჟირაფებიც ხვდებოდათ, ქარავნის დანახვაზე ნაჩქარევად რომ გარბოდნენ და გრძელ კისრებს ისე მიაქნევდნენ, კოჭლები გეგონებოდნენ. გოზ-აბუ-გუმას რომ გასცდნენ, სულ უფრო მომრავლდა კამეჩებისა და ანტილოპების ჯოგები. მექარავნენი ხორცის ნაკლებობას განიცდიდნენ და ნადირობდნენ ხოლმე, მაგრამ თითქმის ყოველთვის ტყუილუბრალოდ ირჯებოდნენ, რადგან მგრძნობიარე და სწრაფი ცხოველები ახლოს მისვლისა და გარშემორტყმის საშუალებას არ იძლეოდნენ.

საკვები საერთოდაც ცოტა ჰქონდათ, რადგან იმ მხარის გაუკაცრიელების გამო შეუძლებელი იყო ბანოსა და ფეტვის შეძენა, აგრეთვე თევზის, რასაც უწინ შილუკისა და დინკის ტომის ზანგები მექარავნეთ სიამოვნებით უცვლიდნენ შუშის მძივებსა და თითბრის მავთულებში. მაგრამ ჰატიმს ბავშვები საშიმშილოდ არ გაუწირავს და რაც მთავარია, გებჰრს მაგრად მოუჭირა ხელი: როცა ერთხელ ღამისგასათევად აქლემებს უნაგირს ხსნიდნენ და სტაშს მუშტი სთხლიშა, ბრძანა, მიწაზე გაეწვინათ და ბამბუკის ჯოხი ტერფებზე ოცდაათ-ოცდაათჯერ ეცხუნებინათ. საძაგელი სუდანელი ორ დღეს მხოლოდ ფეხის წვერებზე აწეული დადიოდა, ფაიუმიდან წამოსვლის წუთებს წყევლიდა და გულს ნაჩუქარი ტყვის, კალის, ცემით იოხებდა.

სტაშს თავდაპირველად ძალიან უხაროდა, აყროლებულ ომდურმანს რომ დააღწია თავი და იმ მხარეში მოხვდა, რომლის ნახვაც ოცნებად ქცეოდა. მისმა ძლიერმა სხეულმა ჯერხნობამდე კარგად გაუძლო გზის სიძნელეებს, ხოლო უხვმა საჭმელმა ძალ-ღონე დაუბრუნა. გზადაგზა და ღამის სათევშიც არაერთხელ ჩასჩურჩულა პაწია დაიკოს ყურში, რომ გაქცევა თეთრი ნილოსის მიდამოებიდანაც შეიძლებოდა და ამ განზრახვაზე ხელი არ აუღია. მაგრამ სტაშს გოგონას ჯანმრთელობა ძლიერ ადარდებდა. მართალია, ომდურმანიდან გამოსვლის სამი დღის თავზე ნელის ციებ-ცხელება არ დამართნია, მაგრამ სახე მეტისმეტად ჩამოუხმა და გარუჯვის ნაცვლად სულ უფრო და უფრო უფერმკრთალდებოდა, ხოლო მისი პაწია ხელის მტევნები ცვილისგან ჩამოქნილი გეგონებოდათ. ჰატიმის მეოხებით სტაშისა და დინაჰისგან მოვლა-მზრუნველობა არ აკლდა, სამაგიეროდ ჯანსაღი ჰაერი ნამდვილად ესაკლისებოდა. ისედაც დასუსტებულ გოგონას აქაურმა ნესტიანმა ცხელმა ჰავამ და მგზავრობის სიძნელემ ჯანმრთელობა მთლად შეურყია.

გოზ-აბუ-გუმიდან მოყოლებული სტაში ყოველდღე ქინაქინის ნახევარ-ნახევარ ფხვნილს ასმევდა და შიშისგან გული უსკდებოდა, რომ წამალი დიდხანს არ ეყოფოდა, არადა მერე აქ მისი შოვნა ყოვლად შეუძლებელი გახდებოდა. მეტი რა ჩარა იყო, ყოველნაირად უნდა ცდილიყვნენ, ციებისათვის თავი აერიდებინათ. იყო წუთები, როცა ბიჭს სასოწარკვეთა იპყრობდა. ხანაც თავს იტყუებდა, რომ, თუ სმაინი თავის ბავშვებზე ტყვეთა გაცვლას მოიწადინებდა, მაშინ ფაშოდზე უფრო ჯანსაღი ადგილი უნდა შეერჩია.

მაგრამ უბედურება თითქოს ფეხდაფეხ სდევდათ. ფაშოდში ჩასვლამდე ერთი დღით ადრე დინაჰი, რომელმაც ჯერ კიდევ ომდურმანში იგრძნო თავი ცუდად, ფაიუმიდან წამოღებულ ნელის ნივთების ფუთას რომ ხსნიდა ანაზდად, აქლემიდან გადმოვარდა. სტაშმა და ხამისმა ძლივძლივობით მოასულიერეს. გონს მოსვლა მაინც ვერ შეძლო, მხოლოდ საღამოხანს მოიხედა და იმდენი მოახერხა, ცრემლჩამდგარი თვალებით თავის საყვარელ პაწია ქალბატონს გამოსთხოვებოდა და ისე მომკვდარიყო. გებჰრმა იმავ წუთს მისთვის ყურების დაჭრა მოინდომა, რათა სმაინისათვის ეჩვენებინა და მისი მოტაცების საფასურიც გამოეთხოვა. მაშინ ასე იქცეოდნენ, თუკი ტყვე გზაში მოკვდებოდა, მაგრამ სტაშისა და ნელის თხოვნით, ჰატიმი ამაზე არ დაეთანხმა, პირიქით, დინაჰი პატიოსნად დამარხეს და გვამი აფთარს რომ არ ამოეთხარა, საფლავზე ქვები და ეკლები დააწყვეს. ბავშვებმა თავი კიდევ უფრო ობლად იგრძნეს, რადგან ერთადერთი მახლობელი და მზრუნველი არსება დაკარგეს. ეს დარტყმა განსაკუთრებით იგრძნო ნელიმ, რომელსაც იმ და კიდევ მომდევნო დღეს სტაში ამაოდ იხუტებდა გულში.

დადგა მოგზაურობის მეექვსე დღე. შუადღისას ქარავანი ფაშოდს მიადგა, მაგრამ იქ მხოლოდ ნახანძრალი დახვდათ. მაჰდისტები ღია ცის ქვეშ ანდა ტოტებისა და თივის სახელდახელო ქოხებში დაბანაკებულიყვნენ. დასახლება სამი დღის წინათ მთლიანად ფერფლად ქცეულიყო. დარჩენილიყო მხოლოდ მრგვალი ქოხების კვამლისგან გაშავებული თიხის კედლები და წყაროსთან მდგარი ხის ფარდული, რომელსაც ეგვიპტის ბატონობის ჟამს სპილოს ძვლის საწყობად იყენებდნენ და რომელშიც ამჟამად დავრიშების ბელადი, ემირ სეკი-ტამალა ცხოვრობდა. მას მაჰდისტებს შორის ხალიფა აბდულაჰის ფარულ მტრად იცნობდნენ, სამაგიეროდ იგი ჰატიმის განსაკუთრებულ მეგობრად ითვლებოდა. მოხუცი შეიხი ბავშვებითურთ მან განსაკუთრებული პატივისცემით მიიღო, მაგრამ მათ უმალვე გაუგონარი ამბავი ამცნო.

მაშ, ასე, ფაშოდში სმაინს ვერ შეხვდებოდნენ. ორი დღის წინათ გასდგომოდა გზას აღმოსავლეთისაკენ, ნილოსიდან ჩრდილოეთით, ტყვეთა ხელში ჩასაგდებად, და არავინ იცოდა, უკან როდის დაბრუნდებოდა, რამეთუ უახლოესი ადგილები უკვე გაეუკაცრიელებინათ, ასე რომ, ეს ორფეხა საქონელი უფრო შორს უნდა ეძებნათ. ფაშოდის შორიახლო მდებარეობდა აბისინია, რომელთანაც დავრიშები ომს

აწარმოებდნენ, მაგრამ სამასკაციანი რაზმით სმაინი მისი საზღვრის გადაჭრას ვერ გაბედავდა, რადგან იქაური მეომრები და მეფე იანის ჯარისკაცები სადარაჯოზე ფხიზლად იდგნენ.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით სეკი-ტამალამ და ჰატიმმა ბჭობა გამართეს, რა ეყოთ ყმაწვილებისათვის. ბჭობა წარიმართა, ძირითადად ვახშმობისას, რომელზედაც ემირმა სტაში და ნელიც მიიწვია.

– მე, – მიმართა ჰატიმს, – მთელი ჩემი ხალხით შორეულ ლადოში მჯდომ ემინ-ფაშასთან საომრად უნდა გავემართო; იქ მას გემი და ჯარი ჰყავს. ასეთი ბრძანება ჩამოვიტანე, ჩემო ჰატიმ... შენ ომდურმანში უნდა დაბრუნდე, ასე რომ ფაშოდში სულიერი არ დარჩება. აქ არც საცხოვრებელია და არც საჭმელი, სამაგიეროდ სნეულებანი ბობოქრობს. ცნობილი ამბავია, თეთრკანიანებს ყვავილი არ ეკარება, მაგრამ ციებ-ცხელება ამ ბავშვებს ერთ თვეში მოუღებს ბოლოს.

– მე ამათი აქ ჩამოყვანა მიბრძანეს, – მიუგო ჰატიმმა, – ჩამოვიყვანე კიდეც და შემეძლო ბავშვებზე მზრუნველობა ამით დამესრულებინა, მაგრამ მათი თავი ჩემმა მეგობარმა, ბერძენმა კალიოპულომ ჩამაბარა, ჰოდა, არ მინდა, რომ დაიხოცონ.

– ეს რომ ასე მოხდება, ამას წყალი არ გაუვა.

– როგორღა მოვიქცე?

– ფაშოდში დატოვების ნაცვლად სმაინთან გაგზავნე და გააყოლე ის ხალხი, ვინაც ეგენი აქ ომდურმანიდან ჩამოიყვანა. სმაინი ზევით, მშრალი და მაღალმთიანი მხარისკენ გაემართა, სადაც ციება ისე ვერ ერევა ხალხს, როგორც მდინარის გასწვრივ.

– მერედა სმაინი როგორღა იპოვონ?

– ის უეჭველად ჯუნგლების დაწვას მოჰყვება; ჯერ ერთი, იმისათვის, რომ მხეცნადირი ვიწრო ხეობებში შერეკოს, იოლად გარშემოერტყას და დახოცოს; მეორეც, იმიტომ, რომ ჯუნგლებს თავშეფარებული ურჯულოები დააფრთხოს და იქიდან გამოიყვანოს... ერთი სიტყვით, სმაინის პოვნა ძნელი საქმე არაა...

– დაეწევიან კი?..

– ერთ ადგილას შეიძლება კვირაობითაც კი მოუწიოს გაჩერება, რადგან ხორცი ხომ უნდა შებოლოს. ორი-სამი დღის შემდეგაც რომ გავიდნენ, უეჭველად დაეწევიან.

– ისე, რატომ უნდა გამოუდგნენ? სმაინი ხომ ისედაც ფაშოდში დაბრუნდება?

– არა. თუ ბედმა გაუღიმა და ბლომად ტყვე მოიგდო ხელში, მათ პირდაპირ ბაზრობაზე წაასხამს...

– რა გზას ვეწიოთ?

– იცოდე, როგორც კი მე და შენ ფაშოდიდან წავალთ, ბავშვებს ციებაც რომ არ შეეყაროს, შიმშილი მოუღებს ბოლოს.

– ოი, უფალო! ეგ მართალია.

მართლაც, მეტი რა ჩარა იყო და ბავშვები ისევ სახეტიალოდ უნდა გაეწირათ. კეთილ ჰატიმს ისღა ადარდებდა, რომ გებჰრი, რომლის გულბოროტებაც გზაში გამოსცადა, ბავშვებს არ დაინდობდა. მაგრამ მრისხანე სეკი-ტამალამ, საკუთარ ჯარისკაცებსაც კი შიშის ზარს რომ სცემდა, სუდანელის მასთან მიყვანა ბრძანა და განუცხადა, ტყვეები სმაინთან ცოცხალი და საღ-სალამათი ჩაეყვანა, თანაც კარგად მოპყრობოდა, თორემ ჩამოხრჩობა არ ასცდებოდა. კეთილმა ჰატიმმა ემირს ნელისთვის აჩუქებინა ტყვე ქალი, რომელიც ბავშვს გზაშიც მოუვლიდა და სმაინის ბანაკშიც. ნელი უზომოდ გაახარა ამ საჩუქარმა, რადგან ტყვე დინკების ტომის საოცრად ლამაზი და ეშხიანი გოგონა იყო.

სტაშს ესმოდა, რომ ფაშოდი – ეს უეჭველი სიკვდილი იყო, ჰოდა, ჰატიმისთვის არც უთხოვია, ისინი ახალი, რიგით მესამე მოგზაურობისთვის არ გაეწირა. გულში ფიქრობდა, სამხრეთ-აღმოსავლეთით მოძრაობისას შესაძლოა, აბისინიის უკიდურეს სამხრეთ საზღვრებამდე მიეღწიათ და მერე იქიდან გაქცევაც მოეხერხებინათ. იმასაც იმედოვნებდა, მშრალ მაღალმთიანეთში ნელი, ეგების ციებას გადაურჩეს და ყოველივე ამის გამო სიამოვნებით და გაფაციცებით შეუდგა გამგზავრების სამზადისს.

არც ხამისი, გებჰრი და ორი ბედუინი იყვნენ გამგზავრების წინააღმდეგი. ისინი ვარაუდობდნენ, რომ სმაინის გვერდით ბლომად ტყვეს ჩაიგდებდნენ ხელში და მერე ბაზრობაზე სარფიანად გაყიდდნენ. გაეგონათ, რომ ტყვეებით მოვაჭრენი ხანდახან დიდ ქონებასაც მოიხვეჭენო; ყოველ შემთხვევაში, ჰატიმისა და სეკი-ტამალას ხელში ჰოფნას ისევ გამგზავრება ერჩიათ.

სამზადისს დიდი დრო მოანდომეს, მით უფრო, რომ ბავშვებს დასვენება ესაჭიროებოდათ. ამ მგზავრობისას აქლემების გამოყენება უკვე შეუძლებელი იქნებოდა, ამდენად არაბებიცა და მათთან ერთად სტაში და ნელიც ცხენებით უნდა წასულიყვნენ, ხოლო გებჰრის ტყვე, კალი და მეა (სტაშის რჩევისამებრ ასე დაარქვა ნელიმ თავის მოახლეს), ცხენებს ფეხით უნდა გაჰყოლოდნენ. ჰატიმმა ბავშვებს სახედარიც უშოვა და გოგონასთვის განკუთვნილი კარავი და სამი დღის საგზალი აჰკიდეს. ამაზე მეტის მიცემა სეკი-ტამალამ ვერ შეძლო. ნელის ქალის უნაგირის მაგვარი დასაჯდომი მოუწყვეს ქეჩის, ბამბუკისა და პალმის ძენძისაგან.

ბავშვები ფაშოდში დასასვენებლად სამ დღეს დარჩნენ, მაგრამ მდინარეზე თავშეყრილი კოღოების ურიცხვი ჯარი აქ ჰოფნას გაუსაძლისს ხდიდა. დღისით საიდანღაც გამოჩნდნებოდნენ უშველებელი ცისფერი ბუზები, რომლებიც, მართალია, არ იკბინებოდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ხალხს თვალებზე ასხდებოდნენ, ყურებსა და, ასე განსაჯეთ, ცხვირ-პირში უძვრებოდნენ. სტაშს ჯერ კიდევ პორტ-საიდში გაეგონა, რომ კოღოები და ბუზები ავრცელებდნენ ციებ-ცხელებისა და თვალის ანთების ბაცილებს; ჰოდა, თავადვე სთხოვდა სეკი-ტამალას, რაც შეიძლება მალე გაემგზავრებინა ისინი, მით უფრო, რომ საგაზაფხულო წყალდიდობის პერიოდიც ახლოვდებოდა.

კარი XXI

– რა ხდება, სტაშ, სულ მივდივართ და მივდივართ, სმაინი კი არა და არ ჩანს?

– არ ვიცი. ეტყობა, ძალიან სწრაფად მიიწევს წინ, რათა მალე მიაღწიოს იმ მხარეს, სადაც ბევრი ზანგის დაჭერას შეძლებს. რაო, ასე გეჩქარება მის რაზმთან შეერთება?

გოგონამ უმალვე დაუქნია თავისი ჩალისფერთმიანი თავი.

– რისთვის გეჩქარება? – ჰკითხა სტაშმა.

– ეგებ სმაინთან ვეღარ გაბედოს გებჰრმა ამ საცოდავი ქალის ცემა.

– უკეთესი, ალბათ, არც სმაინია. ტყვეებს ესენი საერთოდ არ სწყალობენ.

– ჰოო?

ეს იყო მგზავრობის მეცხრე დღეს. ქარავნის ამჟამინდელი წინამძღოლი გებჰრი თავდაპირველად იოლად პოულობდა სმაინის რაზმის ნაკვალევს. მის გზას ნახანძრალი ჯუნგლები და ნაბანაკარის ირგვლივ მიმოყრილი გამოხრული ძვლები და ათასგვარი ნაყარ-ნუყარი მიანიშნებდა, მაგრამ ხუთი დღის შემდეგ მიადგნენ თვალუწვდენელ სივრცეზე გადაშლილ გადამწვარ ტრამალს, რომელზეც ქარს ყოველმხრივ მიმოეფანტა ცეცხლი. ნაკვალევი აირდაირია, რისი მიზეზიც ის იყო, რომ სმაინმა, რაზმი ალბათ რამდენიმე მცირე დასად დაყო, რათა ნადირს იოლად გარშემორტყმოდნენ და საკვები მოეპოვებინათ. გებჰრმა აღარ იცოდა, რომელ მხარეს წასულიყო და ხშირად ისეც ხდებოდა, რომ კარგა ხნის ბოდიალის შემდეგ ქარავანი ისევ იმ ადგილს უბრუნდებოდა,

საიდანაც დაიძრა. მერე ტყეს მიაღწიეს და ის რომ გადასერეს, ანაზდად მიადგნენ კლდოვან ადგილს, სადაც პიტალო ქვები ეყარა, ალაგ კი – ქვა-ღორღი. მცენარეულობა აქ ერთობ შემეჩხრებულიყო. მხოლოდ ალაგ-ალაგ, ღარტაფებში, იზრდებდა რძიანა, მიმოზა, უფრო იშვიათად ხვდებოდათ ტანმაღალი, ღიამწვანე ფერის ხე, რომელსაც კალი კი-სვაჰილის ენაზე "მწი"-ს ეძახდა და რომლის ფოთლებსაც ცხენებს აჭმევდნენ. ამ მხარეს აშკარად აკლდა ნაკადულები და წყაროები, მაგრამ, საბედნიეროდ, დროდადრო წვიმდა და კლდის ღრმულებსა და ნაპრალებში ჩაგროვებულ წყალს პოულობდნენ.

მხეც-ნადირი სმაინის რაზმებს დაეფრთხო და ქარავანი შიმშილით სიკვდილს ვერ ასცდებოდა, რომ არა პენტარეკი, რომელთა გუნდები წამდაუწუმ წამოფრთხიალდებოდნენ ხოლმე ცხენების ფეხებთან, საღამოს კი იმდენი სხდებოდნენ ხეებზე, საკმარისი იყო იმ მიმართულებით ერთი გასროლა, მიწაზე რამდენიმე ერთად ვარდებოდა. მშიშრები არ იყვნენ და მიახლოებისას ისე მძიმე-მძიმედ და ზანტად წამოიშლებოდნენ, დღე არ გავიდოდა, ქარავნის წინ მორბენალ ლომას რამდენიმე არ მოეგდო პირში.

ხამისიც ბევრს ხოცავდა ძველი ფალიანი თოფით, რომელიც ომდურმანიდან ფაშოდში გადასვლისას გამოსტყუა ჰატიმის ერთ-ერთ დავრიშს. ოღონდ საფანტი ოციოდ გასროლაზე თუღა ეყოფოდა და შიშით აღარ იყო, რა უნდა ექნა, მარაგი სულ რომ გამოელეოდა. დაფრთხობის მიუხედავად, ხანდახან კლდეებზე მაინც გამოჩნდებოდა ხოლმე არიელის, შუა აფრიკის ყველაზე ლამაზი, ჩვეულებრივი ანტილოპების მომცრო ჯოგები, მაგრამ არიელის მოკვლა მხოლოდ შტუცერით შეიძლებოდა. მათ კი სტაშის იარაღის ხმარება არ იცოდნენ, ბიჭის ხელში მისი მოხვედრა კი გებჰრს არა და არ სურდა.

სუდანელიც გაღიზიანდა, რადგან გზას ბოლო აღარ უჩანდა. ხანდახან ფაშოდში დაბრუნებასაც კი ფიქრობდა, რადგან, თუ სმაინს ასცდებოდნენ, შესაძლოა ამ ველურ მიდამოში გზა არეოდათ, სადაც, რომ აღარაფერი ვთქვათ შიმშილზე, ყოველ წამს მოსალოდნელი იყო თავდასხმა მხეცებისა და მათზე არანაკლებ საშიში ზანგებისა, რომლებიც შურისძიების გრძნობით იყვნენ განმსჭვალული. მაგრამ, რადგანაც არ იცოდა, რომ სეკი-ტამალა ემინის წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდა (ამ თემაზე სასაუბროდ, რასაკვირველია, ის არავის მიუწვევია), მრისხანე ემირთან მოსალოდნელი შეხვედრის შიში იპყრობდა, თანაც მან ბავშვების სმაინთან მიყვანა უბრძანა და წერილიც გაატანა, ამასთან ერთად, მკაცრად გააფრთხილა: თუ წესიერად არ მოიქცევი, ყულფი არ აგცდებაო. ყოველივე ამან იგი კიდევ უფრო გააშმაგა. მართალია, სტაშსა და ნელიზე შურისძიებას თავი ანება, სამაგიეროდ ხელმოცარულობისთვის საბრალო კალის მხარ-ბეჭს ყოველდღე მათრახის ნაკვალევები ემატებოდა. ახალგაზრდა ტყვე თავის მრისხანე ბატონთან მუდამ კანკალითა და შიშით მიდიოდა. მაგრამ ამაოდ ეხვეოდა ფეხებზე და უკოცნიდა ხელებს, ამაოდ სცემდა თაყვანს და მიწას სახეს ამაოდ უხათქუნებდა. ქვა გული ვერც მორჩილებამ მოულბო და ვერც კვნესამ და უბედურ ბიჭს მათრახი ხან

უმნიშვნელო მიზეზის გამო, ხანაც სრულიად უმიზეზოდ უფლეთდა სხეულს. ღამ-ღამობით კი ფეხებს ამოჭრილ ფიცარში აწყობინებდნენ, გაქცევა რომ ვერ მოეხერხებინა. დღისით კი გებჰრის ცხენს მიჰყვებოდა თოკგამობმული, რაც მეტისმეტად ართობდა ხამისს. ნელი ცხარე ცრემლებით დასტიროდა კალის უიღბლობას, სტაშს გულში ცეცხლი ენთო და აღშფოთებული რამდენიმეჯერ გამოექომაგა, მაგრამ, როცა ნახა, გებჰრს ეს კიდევ უფრო აღიზიანებდა, კრიჭაშეკრული მდუმარებდა.

მალე კალი მიხვდა, რომ ბავშვები მისდამი კეთილად იყვნენ განწყობილი და თავისი ბეჩავი, ნატანჯი სულითა და გულით ისინი ალალად შეიყვარა.

ორი დღე მიუყვებოდნენ მაღალ, პიტალო კლდეებს შორის გაწოლილ ვიწრო ხეობას. ჩამოტანილი და უწესოდ მიმოფანტული ქვების მიხედვით კაცი ადვილად მიხვდებოდა, რომ წვიმიანობის ჟამს ხეობა წყლით ივსებოდა, მაგრამ ამჯერად ფსკერი სრულად დამშრალიყო. აქეთ-იქით კედლებზე იშვიათად მოჰკრავდნენ თვალს ბალახს, სამაგიეროდ ბევრი იყო ეკალ-ბარდები და აქა-იქ – ხეებიც კი. გებჰრმა ამ ქვის ხახაში თავი მხოლოდ იმიტომ შეყო, რომ გზა სულ უფრო და უფრო ზევით მიემართებოდა და იფიქრა, ეგებ რაიმე მწვერვალს მივაღწიო და იქიდან იოლად დავინახავ სმაინის ბანაკის კვალს დღისით კვამლით, საღამოს კი – კოცონის შუქითო. დროდადრო ხეობა ისე ვიწროვდებოდა, რომ მხოლოდ ორ-ორ ცხენს შეეძლო გვერდიგვერდ სიარული, ალაგ-ალაგ კი ისევ ფართოვდებოდა და ნელ-ნელა მათ თვალწინ გადაიშლებოდა მრგვალი ველობი, გარშემორტყმული ქვის კედლებით, სადაც არხეინად მოთამაშე პავიანები ყეფდნენ და მოქარავნეთ კბილებს უჩვენებდნენ.

ნაშუადღევის ხუთი საათი იქნებოდა. მზე დასავლეთისკენ გადახრილიყო. გებჰრი ღამის გასათევზე ფიქრობდა. უნდოდა მოენახა ისეთი ველობი, რომელსაც ველური მხეცებისგან თავდასაცავად მიმოზისა და აკაციის ეკლიანი ტოტების ღობეს შემოაკრავდა. ლომა წინ-წინ გარბოდა და გაავებული უყეფდა მაიმუნებს, რომლებიც მის დანახვაზე შემკრთალი გარბოდნენ. ძაღლი დროდადრო კლდის მიხვეულ-მოხვეულებში გაუჩინარდებოდა ხოლმე. მის ყეფას ექო ახმოვანებდა.

მაგრამ ანაზდად დადუმდა, ხოლო რამდენიმე წამში უკანვე მოვარდა ცხენებთან, კუდამოძუებული და ბალანაშლილი. ბედუინები და გებჰრი მიხვდნენ, რომ რაღაცამ შეაშინა, ერთმანეთს გადახედეს და ამბის გასაგებად წინ დაიძრნენ. პატარა მოსახვევს რომ გასცდნენ, ცხენები შეკრთნენ და, ანაზდად გაქვავდნენ, ადგილიდან ფეხი ვეღარ მოიცვალეს. წინ ასეთი სურათი გადაეშალათ:

იმ ადგილას უკვე გაფართოებული ხეობის შუაგულში, მომცრო კლდის ქიმზე, ლომი წამოწოლილიყო.

მისგან დიდი-დიდი ასიოდ ნაბიჯი ჰყოფდათ. მხედრებისა და ცხენების დანახვაზე ვეება მხეცი წინა თათებზე წამოიწია და მზერა დაძაბა. ჩამოდაბლებული მზის სხივებმა გაანათა მისი უზარმაზარი თავი, აჩეჩილი მკერდი და ამ მეწამული შუქის ფონზე იგი საოცრად წააგავდა ძველეგვიპტური სალოცავების შესასვლელების სამშვენის ერთ-ერთ სფინქსს.

ცხენები მზად იყვნენ შეტრიალებულიყვნენ და იქაურობას სწრაფად გასცლოდნენ, მაგრამ ჩაფიქრებულმა და შიშნაჭამმა მხედრებმა არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ და წამდაუწუმ წამოისროდნენ უმწეო სიტყვებს: “ალაჰ! ბისმილაჰ! ალაჰ აკბარ!”

ჯუნგლების მეფე კი, თითქოსდა თუჯისგან ჩამოუსხამთო, მათ გაქვავებული დასცქეროდა მაღლიდან.

გებჰრსა და ხამისს სუდანიდან ეგვიპტეში ჩასული სპილოს ძვლით მოვაჭრეთაგან გაეგონათ, რომ ლომი ხანდახან მუსრს ავლებდა მთელ ქარავანს. ქარავნებმა მას, არც მეტი, არც ნაკლები, შეძლებისდაგვარად გვერდი უნდა აუქციონ. მაგრამ აქ გვერდის ასაქცევი აღარსად იყო. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეეძლოთ, უკან თუ მიბრუნდებოდნენ და მოკურცხლავდნენ! კი, ბატონო, მაგრამ იმასაც მშვენივრად მიხვდნენ, რომ საზარელი მხეცი წამოხტებოდა და უკან გამოუდგებოდა.

და ისევ გაისმა ნაუცბათევი კითხვა:

– რა ვქნათ?

– რა ვქნათ?

– ალაჰ! ეგებ, უკან დაიხიოს.

– არ დაიხევს.

და ისევ მდუმარება ჩამოწვა. მხოლოდ ცხენების ფრუტუნი და ხალხის მომეტებული ქშინვაღა ისმოდა.

– გაუხსენი კალის თოკი, – ანაზდად უთხრა გებჰრს ხამისმა. – ჩვენ ცხენებს გავქუსლავთ, ლომი კი მაგას ეძგერება და ბოლოს მოუღებს.

– ეგრე ქენი! – გაიმეორეს ბედუინებმა.

მაგრამ გებჰრი მიხვდა, ასე თუ იზამდა, კალი თვალისდახამხამებაში კლდეზე აცოცდებოდა, ლომი კი ცხენებს გამოენთებოდა, ჰოდა თავში სხვა, საზარელმა აზრმა გაუელვა: დავკლავ ბიჭს და დავაგდებ, მხეცი გადმოხტომისას სისხლიან სხეულს დაინახავს და მის შესაჭმელად შეჩერდებაო.

კალი თოკით თავისკენ მისწია, დანა ზეაღმართა და ის-ის იყო, უნდა დაერტყა, რომ ანაზდად სტაში მივარდა და განიერ სახელოში ჩააფრინდა.

– რას სჩადი, არამზადავ?

გებჰრმა დასხლტომა დააპირა და ბიჭს რომ პირდაპირ ხელზე წაევლო ხელი, უმალვე გააშვებინებდა კიდეც, მაგრამ სახელო აებლანდა და გაშმაგებული აყვირდა.

– ძაღლო, ეგ თუ არ ეყო, თქვენც დაგკლავთ! ალაჰ! დაგკლავთ, დაგკლავთ!

სტაშს მკვდრისფერი დაედო და მყისვე თავში გაჰკრა აზრმა, რომ შესაძლოა, ლომს კალის გვამისთვის გვერდი აევლო და მაშინ გებჰრი ორივეს უყოყმანოდ დაკლავდა.

ჰოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სახელოზე მოქაჩა და შეჰყვირა:

– თოფი მომეცი!.. ლომს მე მოვკლავ!

მისმა ნათქვამმა ბედუინები განაცვიფრა, მაგრამ ხამისმა, ვისაც ჯერ კიდევ ჰორტ-საიდში ენახა სტაშის სიმარჯვე, უმალვე შესძახა:

– მიეცი თოფი! ეგ მოკლავს ლომს!

გებჰრს უმალვე გაახსენდა კაროუნის ტბაზე გამართული სროლა და, დიდი საფრთხის მიუხედავად, წინააღმდეგობის გაწევა აღარ უცდია. ბიჭს სასწრაფოდ მისცა შტუცერი, ხამისმაც სულმოუთქმელად გააღო ტყვია-წამლის ყუთი, საიდანაც სტაშმა მთელი მუჭა ამოხაპა.

მერე ცხენიდან ჩამოხტა, ლულა დატენა და მხეცისკენ დაიძრა.

თავდაპირველად გაბრუებული იყო. თვალწინ გებჰრის დანით განგმირული თავისი და ნელის გვამები ედგა. მაგრამ მოახლოებულმა და უსაშინლესმა განსაცდელმა აიძულა სხვა ყველაფერი მყისვე დაევიწყებინა. მის წინ ლომი იყო! მხეცის დანახვაზე თვალთ დაუბნელდა. ლოყები და ცხვირ-პირი გაეყინა, ფეხები ტყვიასავით დაუმძიმდა და მიხვდა, გამბედაობა ჰა და ჰა, უღალატებდა. არც მეტი, არც ნაკლები – შეშინდა. ჰორტ-საიდში არაერთხელ წაუკითხავს ლომებზე ნადირობის ამბები, მაგრამ სულ სხვა იყო წიგნებში დახატული სურათების თვალიერება და სულ სხვა – პირისპირ შეყრა მხეცთან, რომელიც აგერ თითქოსდა გაოცებული შემოჰყურებდა და განიერ შუბლს ნება-ნება ჭმუხნიდა.

არაბებმა სუნთქვა შეკრეს, რადგან მსგავსი რამ სიცოცხლეში არ ენახათ. ერთ მხარეს იდგა პაწია ბიჭი, რომელიც თვალუწვდენელ კლდეებს შორის კიდევ უფრო პატარა ჩანდა, მეორე მხარეს კი – ძლიერი ნადირი, მთლად ოქროსფერი, ჩამავალი მზის

სხივებისგან გალამაზებული, მრისხანე – “დიდთავა ბატონი”, როგორც მას სუდანელები უწოდებენ.

სტაშმა თავს ძალა დაატანა, რომ გახევებული ფეხები აემოძრავებინა და ისევ წინ წასულიყო. მოეჩვენა, რომ სადაც იყო, გული ყელში მოებჯინებოდა და ასე გაგრძელდა მანამ, სანამ თოფი სახესთან არ მიიტანა. ახლა კი, სულ სხვა რამეზე უნდა ეფიქრა. რა, აჯობებდა – კიდევ უფრო წინ წასვლა თუ აქედანვე სროლა? რაც უფრო მოკლეა მანძილი, გასროლაც უფრო საიმედოა... ახლა კი წინ! წინ! დიდი დიდი ორმოცი ნაბიჯიღაა... ოცდაათი! – ოცი! ნიავს უკვე მოაქვს მხეცის მძაფრი სუნი...

ბიჭი შედგა.

“ტყვია თვალებს შორის, არადა მორჩება ყველაფერი! – გაიფიქრა. – სახელითა მამისათა!..”

ლომი წამოიმართა, წელში გასწორდა, თავი დახარა. ლაშები თანდათანობით გახსნა, წარბები თვალებზე გადმოეფხატა. ამ პაწაწკინტელა არსებამ მასთან ასე მოახლოება გაბედა! – ნახტომისთვის იწყო მზადება, შეირხა, უკანა ტორებზე ჩაიზნიქა...

ანაზდად სტაშმა შენიშნა, რომ შტუცერის სამიზნე სწორედ მხეცის შუბლს გაუსწორდა და ჩახმახი დასხლიტა.

გაისმა სროლის ხმა. ლომი აიყალყა, მთელი ტანით ზეაიწია და ზურგზე დაცემულმა ოთხივე ტორი მაღლა აიქნია.

ბოლო, სასიკვდილო კრუნჩხვები და კლდიდან მიწაზე დაეძნეყა.

სტაშს მისთვის ერთხანს მიზანი არ მოუცილებია, მაგრამ, შენიშნა თუ არა, რომ თრთოლვამ თანდათან გაუარა და სხეული უსულოდ გაიშხლართა, თოფი უმალვე ხელახლა დატენა.

კლდოვანი კედლები ჯერაც ხმამაღალ ექოს იმეორებდა. გებჰრს, ხამისსა და ბედუინებს ჯერ კარგად ვერ დაენახათ, რა მოხდა, რადგან წინა ღამის ნაწვიმარ ხეობაში მსუბუქი კვამლი ჩამოდგა. როცა კვამლი გაიფანტა, გახარებულებმა ყვირილი მორთეს და ის ის იყო, ბიჭისკენ უნდა გაჭრილიყვნენ, მაგრამ ამაოდ, ცხენებს წინ ნაბიჯიც ვერ წაადგმევინეს.

ამასობაში სტაში შემობრუნდა, თვალი მოავლო ოთხ არაბს და მზერა გებჰრს მიირჭო.

– საკმარისია! – უთხრა კბილების ხრჭიალით. – ზღვარს გადახვედი. ამიერიდან ვერც ნელის მოკლავ და ვეღარც სხვა ვინმეს!

და ანაზდად იგრძნო, რომ ცხვირ-პირი ისევ გაუფითრდა, ოღონდ ეს არ იყო შიში, პირიქით, მას საბოლოო და მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო.

“ჰო! ჰო! ესენი ხომ არამზადები, ჯალათები და მკვლელები არიან, ნელი კი სწორედ მათ ხელშია!..”

– ვერ მოკლავ. – გაიმეორა.

მათკენ წავიდა, ისევ შეჩერდა. თავი უცებ, ელვისუსწრაფესად აწია და შიგ სახეში დაუმიზნა.

ორი გასროლის ექომ ხეობის მდუმარება გაფხრიწა: გებჰრი მიწას ქვიშისავსე ტომარასავით დაეძნეყა, ხამისი კი წინ გადაიხარა და სისხლიანი შუბლი ცხენის კისერს წაარტყა.

ბედუინებმა საშინლად შეჰყვირეს და ცხენებიდან ჩამომხტრები სტაშისკენ გაექანნენ. მათ უკან მცირე მოსახვევი იყო და, რომ გაქცეულიყვნენ, რასაც სტაში გულში კიდევაც ნატრობდა, სიკვდილს ნაღდად გადაურჩებოდნენ. მაგრამ შიშითა და სიბრაზით გონდაბინდულებს ეგონათ, სანამ თოფის ხელახლა დატენას მოასწრებს, ბიჭს მანამდე დავაცხრებით და დანებით ავკუწავთო. სულელები! რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაღა მოასწრეს, რომ ისევ იჭექა ავბედითმა თოფმა, ხეობამ ისევ ექოდ გაიმეორა ახალი გასროლის ხმა, ორივე სახით დაენარცხა მიწას და წყლიდან ნაპირზე ამოყრილი თევზებივით აფართხალდნენ.

ერთი, რომელსაც ნაჩქარევმა გასროლამ უმალვე ვერ მოუღო ბოლო – კიდევ წამოიწია და ხელებს დაეყრდნო, მაგრამ მას იმავე წამს ლომა დააცხრა და კისერში ეშვები ჩაასო.

სამარისებური მდუმარება ჩამოწვა.

ეს მდუმარება ანაზდად დაარღვია კალის კვნესამ, რომელმაც უმალვე მიწაზე ჩაიმუხლა, ხელები წინ გაიშვირა და კი-სვაჰილის ენაზე აბლუკუნდა.

– ბვანა კუბვა! (დიდო ბატონო!) მოკლა ლომი, მოკლა ბოროტი ხალხი, მარა არ მოკლა კალის!

მაგრამ სტაშს მისი ვედრებისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია. ერთ ხანს გაშტერებული იდგა, მერე ნელის მიტკლისფერი სახე და შიშისგან დაჭყეტილი თვალები დაინახა და უმალვე მასთან მიიჭრა.

– ნელი! ნუ გეშინია!.. ნელი! თავისუფლები ვართ...

. . . . . .

მართლაც, ნამდვილად თავისუფლები იყვნენ მაგრამ, მაინც უკაცრიელი, ველური ჯუნგლების – “შავი კონტინენტის” ყბებში ჩაკარგულებად ითვლებოდნენ.

კარი XXII

სანამ სტაში და ახალგაზრდა ზანგი მოკლული არაბებისა და ლომის მძიმე გვამებს განზე გადააწყობდნენ, მზე კიდევ უფრო გადაიწვერა და საცაა ჩამობნელდებოდა. შეუძლებელი იყო გვამების მეზობლად ღამის თევა, თუმცა მოკლული მხეცისკენ მომზირალი კალი ხელს მკერდზე ისვამდა და პირის წკლაპუნით იმეორებდა: “მსური ნუამა” (გემრიელი ხორცი), მაგრამ სტაშმა მას “ნუამასთან” ტრიალის ნაცვლად სროლის ხმაზე დამფრთხალი ცხენების დაჭერა დაავალა. შავმა ბიჭმა საოცარი სიმარჯვე გამოამჟღავნა და ხეობაში დადევნების ნაცვლად, რაც ცხოველებს ეუჭველად დააფრთხობდა, მაღლა აფორთხდა, რითაც მიხვეულ-მოხვეულები საგრძნობლად შეამოკლა, შეშინებულ ცხენებს გზა წინიდან გადაუღობა. იქვე სიცილით დაიჭირა ორი, დანარჩენ ორს კი სტაშისკენ აქნევინა პირი. ოღონდ გებჰრისა და ხამისის ცხენების პოვნა შეუძლებელი გახდა, თუმცა ოთხი ხომ ჰყავდათ, თუ არ ჩავთვლით კარვითა და სხვა ნივთებით დასაპალნებულ ყურებპანტურას, რომელმაც, ტრაგიკული ამბების მიუხედავად, ნაღდი ფილოსოფიური სიმშვიდე გამოიჩინა. იგი მალევე იპოვნეს მოსახვევში, დინჯად, აუჩქარებლად რომ წიწკნიდა კლდის ძირში ამოწვერილ ბალახს.

სუდანური ტანდაბალი ცხენები, საზოგადოდ, მიჩვეულნი არიან ველურ მხეცებთან შეხვედრას, მაგრამ ლომებისა ძალიან ეშინიათ, ჰოდა გაჭირდა კლდის პირას დამდგარ სისხლის გუბესთან მათი გატარება. ნესტოებგაფართოებული ცხენები ხვიხვინებდნენ და კისრებს იგრძელებდენ სისხლიანი ქვისკენ. და ეს მაშინ, როცა სახედარმა მხოლოდ ყურები დაცქვიტა და დინჯად გაიარა. ამის შემდეგ მიჰყვნენ მას უკან. ჰა და ჰა, უკვე ღამდებოდა, მხოლოდ ერთი კილომეტრი გაიარეს და იმ ადგილას ოდნავ გაფართოებულ ხეობაში, უამრავი ეკალ-ბარდითა და ჩხვლეტია მიმოზის ბუჩქებით დაბურულ, ამფითეატრის მაგვარ ველზე შეჩერდნენ.

– ბატონო, – თქვა ახალგაზრდა ზანგმა, – კალი კოცონს დაანთებს, დიდ კოცონს.

ხელი წამოავლო სუდანურ ფართოპირიან მახვილს, რომელიც გებჰრის გვამს ააცალა და ეკალ-ბარდებისა და მომცრო ხეების გასხეპას შეუდგა. კოცონის დანთების შემდეგ კიდევ მოჭრა და მოჭრა, სანამ მთელი ღამის სამყოფი არ მოიმარაგა.

ამის შემდგომ მან და სტაშმა ხეობის ერთ თითქოსდა საგანგებოდ ჩამოთლილ კედელთან ნელის კარავი გაშალეს და გარს ე. წ. ზერიბა, ანუ ეკალ-ბარდების მაღალი და განიერი ნახევარწრე, შემოავლეს. სტაშმა აფრიკული მოგზაურობების აღწერებიდან იცოდა, რომ ამრიგად იცავდა ხალხი თავს ველური მხეცების თავდასხმებისგან. ცხენები ღობის შიგნით ვეღარ მოთავსდებოდნენ, ამიტომაც ბიჭებმა ისინი დააპალვანდეს, ჯამ-ჭურჭელი და ტომრები ჩამოხსნეს და იქვე, შორიახლო წყლისა და ბალახის მოსაძებნად მიუშვეს. მეამ მოპირდაპირე მხარეს მალე საკმაო წყალი იშოვა აუზივით დაგუბებულ კლდის ნაპრალში. იმდენი იყო, ცხენებიც დარწყულდნენ და დილით ხამისის მოკლული პენტარეკების მოსახარშავადაც ეყოთ. სახედარს აკიდებულ ფუთებში სამიოდ საწყაო სორგო, რამდენიმე მუჭი მარილი და მანიოკის გამხმარი ფესვები აღმოაჩინეს.

მდიდრული ვახშამი გააწყვეს, თუმცაღა ძღომამდე მხოლოდ კალიმ და მეამ ჭამეს. ახალგაზრდა ზანგმა, რომელსაც გებჰრი თითქმის შიმშილით სულს ხდიდა, იმდენი ჭამა, ორ კაცს გააძღებდა. სამაგიეროდ, თავისი ახალი ბატონების მადლიერი იყო და, ივახშმა თუ არა, სტაშს მიწამდე სცა თაყვანი ნიშნად იმისა, რომ სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მათი მონობა სურდა. ამის შემდეგ ქედი მოიხარა სტაშის თოფის წინაშეც, რადგან, ალბათ, სწამდა: უფრო უსაფრთხო იქნებოდა, თავიდანვე მოეპოვებინა ასეთი მრისხანე იარაღის კეთილგანწყობა. ყველაფერი რომ მოითავა, საზეიმოდ განაცხადა: სანამ "დიდი ბატონი" და ბიბი იძინებდნენ, ის და მეა იფხიზლდებდნენ, რათა ცეცხლი არ ჩამქრალიყო და უმალვე კოცონთან ჩაყუნცდა, თან სიმღერის მსგავს რაღაცას ღიღინებდა, რომელშიც წამდაუწუმ მეორდებოდა: "წიმბა კუტა! წიმბა კუტა!", რაც სვაჰილის ენაზე ნიშნავდა: ლომი მოკლულია.

მაგრამ "დიდ ბატონსა" და პატარა ბიბის თვალზე რული არ მიჰკარებიათ. ნელიმ სტაშის ხვეწნა-მუდარის შემდეგ პენტარეკის ორიოდ ლუკმა და მოხარშული სორგოს რამდენიმე მარცვალი ძლივს გადაყლაპა. არც ჭამა სურდა, არც ძილი, მხოლოდ წყუროდა. სტაში შიშმა შეიპყრო, ვაითუ სიცხე მისცაო, მაგრამ ხელები გრილი, თითქმის გათოშილიც კი ჰქონდა. კარავში შესვლაზე დაიყოლია, ბალახ-ბულახი საგულდაგულოდ გადაჩიჩქნა, მორიელი არსად იყოსო და თავისსავე გამზადებულ ქვეშაგებზე დააწვინა. თვითონ თოფმომარჯვებული ქვაზე ჩამოჯდა, რათა გოგონა ველური მხეცების თავდასხმისაგან დაეცვა, თუ რასაკვირველია, მათ კოცონი ვერ შეაკავებდა. საშინელი დაღლილობა იგრძნო. გულში იმეორებდა: "გებჰრი მოვკალი, ხამისი მოვკალი, ბედუინები დავხოცე, ლომიც მოვკალი და თავისუფლები ვართ". მაგრამ ეჩვენებოდა, თითქოს ამ სიტყვებს ვიღაც სხვა ჩასჩურჩულებდა, მათი

მნიშვნელობა კი თავად არ ესმოდა. თავისუფლების განცდა ჰქონდა, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ, ამასთანავე, მოხდა საშინელი რამ, რამაც სიმშვიდე დაუკარგა და გულზე ლოდივით დააწვა. მერე თანდათან გაშტერდა. დიდხანს უაზროდ დაჰყურებდა ცეცხლის ალზე მოფარფატე უშველებელ ფარვანებს, თავი ააკანტურა და თვლემა მოერია. კალიც თვლემდა, მაგრამ ხშირ-ხშირად ეღვიძებოდა და ცეცხლს ტოტებს ამატებდა.

მშვიდი, ტროპიკებისათვის უჩვეულო წყნარი საღამო ჩამოწვა. ისმოდა მხოლოდ ცეცხლმოდებული ეკალ-ბარდების ტკაცატკუცი და შიშინი ალისა, რომელსაც შემორკალული კლდისძირი გაენათებინა. მთვარის ნათება ხეობის ფსკერზე ვერ აღწევდა, ზემოთ უცნობი ვარსკვლავები გუნდ-გუნდად მოჩანდა. ისეთი სიცივე ჩამოწვა, რომ სტაშს გაეღვიძა, ბურანიდან გამოერკვა და უმალვე შეკრთა, ვაითუ პაწია ნელი სიცივემ შეაწუხაო.

მაგრამ მალევე დამშვიდდა, რადგან გაახსენდა: ფაიუმიდან წამოუღებელი შალი კარავში ქეჩაზე დადო. ისიც გაიფიქრა, რომ კარგა ხანია ნილოსს დასცილდნენ და, თუმცა ნება-ნება, მაგრამ მაინც სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევდნენ, იმ მხარისაკენ, სადაც ციება ისე საშიში აღარ იყო, როგორც მდინარის დაბლობ ადგილებში. ღამის გამჭოლი სიცივე ამის უტყუარ საბუთად გამოდგებოდა.

ამ ფიქრმა სიმხნევე შემატა. წამით კარავში შევიდა, რათა ენახა, ნელის მშვიდად ეძინა თუ არა, მერე ისევ გარეთ გამოვიდა, ცეცხლს ახლორე მიუჯდა და ჩათვლიმა, ბოლოს კი ღრმა ძილმა წაართვა თავი.

ანაზდად მის ფეხებთან მიწოლილი ლომას ღრენამ გამოაღვიძა.

კალიც გამოფხიზლდა და ორივემ მღელვარედ დახედა ლარივით დაჭიმულ ნაგაზს, რომელსაც ყურები დაეცქვიტა, ჩამოწოლილი წყვდიადისთვის მზერა მიეშტერებინა და ნესტოებით ჰაერს ყნოსავდა, კისერსა და ზურგზე ბალანი აშლოდა, გახშირებული სუნთქვისაგან კი მკერდი მძიმედ აუდ-ჩაუდიოდა.

ახალგაზრდა ტყვემ კოცონს უმალვე ტოტები დაამატა.

– ბატონო, – წაიჩურჩულა, – თოფი აიღოს! თოფი აიღოს!

სტაშმა თოფს ხელი სტაცა და ხეობის წყვდიადში თვალს რომ უკეთ გაეჭრა კოცონის წინ დადგა. ლომას ღრენა ყეფამ შეცვალა. კარგა ხანს არაფერი გაუგონიათ, მერე კი სტაშისა და კალის სმენას შორეული თქარათქურის მისწვდა, გეგონებოდათ, კოცონისაკენ რომელიღაც დიდი მხეცები მორბიანო. ამ თქარათქურის ხმას ღამის სიჩუმეში კლდოვანი კედლები ექოდ იმეორებდა და კიდევ უფრო ხმამაღლა გაისმოდა.

სტაში მიხვდა, საბედისწერო საშიშროება უახლოვდებოდათ, ოღონდ რა შეიძლებოდა ეს ყოფილიყო? ეგებ, კამეჩები ანდა რამდენიმე მარტორქა ეძებდა ხეობაში გასასვლელს? ამ შემთხვევაში თუ გასროლის ხმა ვერ დააფრთხობდა და უკან ვერ გააბრუნებდა, ქარავანს ვეღარაფერი გადაარჩენდა, რადგან იმ ცხოველებს, ველურ მხეცებზე არანაკლებ მძვინვარეებსაც და შემტევებს, ცეცხლი ვერ აშინებთ და ყოველივე გზად შემხვედრს აცამტვერებენ...

ანდა ხომ შესაძლოა, ეს ყოფილიყო სმაინის რომელიმე რაზმი, რომელიც გზად გვამებს გადააწყდა და ახლა მკვლელების კვალს მოჰყვებოდა? სტაშმა თავადაც არ უწყოდა, რა ერჩია – სწრაფი სიკვდილი თუ ისევ ტყვეობა? გონებაში გაუელვა, თუ თავად სმაინი იპოვიდა, შესაძლოა დაენდო ესენი, მაგრამ, თუ ის არ იყო, მაშინ დავრიშები ან იმწამსვე დახოცავდნენ, ანდა, რაც უფრო საშინელი იყო, ყველას წამებით ამოხდიდნენ სულს. “ოჰ, – გაიფიქრა, – ღმერთმა ქნას, რომ ცხოველები იყვნენ და არა ადამიანები!”

ამასობაში თქარათქური გაძლიერდა და მალე ფლოქვების მძლავრ გრგვინვად იქცა, სანამ საბოლოოდ სიბნელიდან არ გამოსხლტა აპარპალებული თვალები, გაფართოებული ნესტოები და ჭენებისგან გაშლილი ფაფრები.

– ცხენები! – შესძახა კალიმ.

მართლაც, ესენი გებჰრისა და ხამისის ცხენები იყვნენ. ალბათ, შიშით დამფრთხალნი, ორივენი გიჟებივით მოიჭრნენ, მაგრამ შუქის წრეში მოხვდნენ და, თავიანთი დაპალვანდებული ამხანაგები დაინახეს თუ არა, უმალვე უკანა ფეხებზე აიწივნენ, მერე წინა ფლოქვები მიწას დააჭირეს და ერთ ხანს ასე გაქვავებულები დარჩნენ.

მაგრამ სტაშს სახიდან თოფი მაინც არ მოუცილებია. დარწმუნებული იყო, ცხენების უკან ან ლომის ბანჯგვლიანი თავი გამოჩნდებოდა, ანდა პანტერას პრიალა ცხვირ-პირი, მაგრამ მისი მოლოდინი ამაო გამოდგა. ცხენები ნელ-ნელა დამშვიდდნენ და, რაც მთავარია, ლომამაც მალე შეწყვიტა წრიალი, სამაგიეროდ რამდენიმეჯერ შემოუარა იმ ადგილს, როგორც საერთოდ ძაღლებმა იციან ხოლმე, მერე დაწვა, გორგალივით მოიქცა და თვალები დახუჭა. თუ ცხენებს რომელიღაც მტაცებელი ნადირი მოსდევდა – ან კვამლის სუნს იგრძნობდა, ანდა ცეცხლის ენებს შენიშნავდა და იქაურობას გაეცლებოდა.

– ეტყობა, ესენი რაღაცამ ძალიან დააშინა, – უთხრა სტაშმა კალის, – რადგან გვამებისა და ლომის გვერდით გამოვლა გაბედეს.

– ბატონო, – მიუგო ჭაბუკმა. – კალი ხვდება, რაც მოხდა, ბევრი, ბევრი აფთარი და ტურა შემოსვლა ხეობაში და გვამებისკენ წასვლა. ცხენები შეშინება და გაქცევა, მაგრამ აფთრები მათ არ დადევნება. ახლა ისინი გებჰრისა და დანარჩენების ჭამა...

– შესაძლებელია, ახლა კი მიდი, ცხენებს უნაგირები მოხსენი, ჭურჭელი და ტომრები აქ მოიტანე. ნუ გეშინია, თოფი დაგიცავს.

– კალის არ ეშინია. – მიუგო ჭაბუკმა.

ეკალ-ბარდები ოდნავ გაწია კლდისაკენ და, ზერიბადან თავი გაყო თუ არა, ამ დროს კარვიდან ნელიც გამოვიდა.

ლომა უმალვე წამოხტა, ცხვირი მიადო და ჩვეული ალერსი მოსთხოვა. გოგონამ გაწვდილი ხელი უმალვე ზიზღნარევი სიჩქარით წაიღო უკან.

– სტაშ, რა მოხდა? – ჰკითხა.

– არაფერი. გაქცეული ცხენები დაბრუნდნენ. მაგათმა თქარათქურმა გაგაღვიძა?

– უფრო ადრე გამეღვიძა და გამოსვლაც კი მინდოდა, მაგრამ...

– მაგრამ რა?

– ვიფიქრე, ვაითუ გამიბრაზდეს-მეთქი.

– მე? შენ? – ნელიმ თვალები აწია და ბიჭს ისეთი მზერა მიაპყრო, ისეთი, რანაირიც ადრე არასდროს შეუნიშნავს. სტაშს სახეზე განცვიფრების გამომეტყველებამ გადაუარა, რადგან მის სიტყვებსა და გამოხედვაში აშკარა შიში შეიმჩნეოდა.

“ჩემი ეშინია!” – გაიფიქრა.

პირველ წუთებში სასიამოვნო განცდამაც კი მოიცვა. ეამაყა იმის გაფიქრება, რომ მისმა საქციელმა ნელის თვალში არა მარტო მოწიფულ, არამედ მრისხანე კაცადაც კი აქცია. მაგრამ ეს აზრი უმალვე მოიცილა, რადგან უბედურებამ დამკვირვებლის სხარტი უნარი შესძინა და სწრაფადვე შენიშნა, რომ გოგონას შემკრთალ თვალებში შიშის გვერდით ზიზღიც ჩაგუბებულიყო ყოველივე მომხდარის, დაღვრილი სისხლისა და იმ საშინელებისადმი, რომლის მოწმეც დღეს თვითონ იყო და გაახსენდა, რა სწრაფად წაიღო ნელიმ უკან ლომას მოსაფერებლად გაწვდილი ხელი, რადგან ძაღლმა დღეს ერთ-ერთ ბედუინს მოუსწრაფა სიცოცხლე. დიახ! სტაში ჯერ თავადაც გონებაარეულს ჰგავდა. სხვა საქმე იყო პორტ-საიდში წაიკითხო ამერიკელ ტრაპერებზე, შორეულ დასავლეთში შეუბრალებლად რომ ხოცავდნენ შავკანიან ინდიელებს და სულ სხვა, ეს თავად ჩაიდინო და სულ ერთი წუთის წინათ ცოცხალი ადამიანები სისხლის ტბაში მოფართხალენი ნახო. დიახ! ნელის გული უეჭველად შიშითაა შეძრწუნებული, მაგრამ, ამასთანავე, გრძნობს ზიზღსაც, რაც აღარასოდეს მოსცილდება. “ჩემი შიში მუდამ ექნება”, – გაიფიქრა სტაშმა, – მაგრამ თავისდაუნებურად გულის სიღმეში მუდამ იგრძნობს

ჩემდამი გაბოროტებას და ეს იქნება ყოველივე იმის საზღაური, რაც მე მისთვის გავაკეთე”.

ამის გაფიქრებაზე საშინლად შეურაცხყოფილი დარჩა, რადგან მშვენივრად ხვდებოდა: ნელი რომ არა, აქამდე ან თავს შეაკლავდა ვინმეს, ანდა გაიქცეოდა. მისი გულისთვის იტანჯა, რაც იტანჯა, იმისთვის გაუძლო ამდენ წამებასა და შიმშილს, რომ აგერ ახლა ასე იდგეს შეშინებული, თითქოს იგივე პაწია დაიკო არ იყოს და ძველებური ნდობით კი არა, შიშჩამდგარი თვალებით შეჰყურებდეს. სტაშს საშინლად გაუბედურებული კაცის შეგრძნება გაუჩნდა. სიცოცხლეში პირველად მიხვდა, რას ნიშნავდა შეურაცხყოფა. თვალებში უნებლიეთ მოაწვა ცრემლი და, თუ არა მტკიცე რწმენა იმისა, რომ “მრისხანე მეომარს” ტირილი არ ეკადრება, თავს ნამდვილად ვერ შეიკავებდა.

გრძნობები მოთოკა და გოგონასაკენ მიბრუნებულმა ჰკითხა:

– გეშინია, ნელი?

მან წყნარად მიუგო:

– ჰო... რაღაცნაირად მეშინია!

სტაშმა კალის უნაგირქვეშ დასაფენი ქეჩები მოატანინა, ერთი იმ ქვაზე დააფენინა, წეღან რომ იჯდა, მეორე კი მიწაზე გაშალა და თქვა:

– აგერ, ჩემს ახლოს მოუჯექი კოცონს... ხომ ცივი ღამეა? თუ ძილი მოგერევა, თავს დამადებ და დაიძინებ.

ნელიმ ისევ გაიმეორა:

– რაღაცნაირად მეშინია!..

სტაშმა შალი საგულგაგულოდ შემოახვია და ერთხანს მდუმარედ ისხდნენ ერთმანეთს მიყრდნობილები და ცეცხლის ვარდისფერი ალით განათებულები.

ზერიბას გარეთ ცხენები ფრუტუნებდნენ და ბალახს ახრამუნებდნენ.

– მისმინე, ნელი, – ხმა ამოიღო სტაშმა, – ვალდებული ვიყავი, ასე მექნა... გებჰრი დაგვემუქრა, თუ ლომი კალისთან არ შეჩერდება და დევნას განაგრძობს, თქვენ დაგკლავთო. გესმის?.. ხვდები თუ არა, რომ მარტო მე კი არა, შენც დაგემუქრა. და ასეც იზამდა! გულახდილად გეტყვი, ეგ მუქარა რომ არა, თუმცა ამაზე დიდხანს ვფიქრობდი, მათ მაინც ვერ ვესროდი. მგონია, ვერ შევძლებდი... მაგრამ გებჰრი ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. ხომ ნახე, მანამდე როგორ ტანჯავდა კალის. ახლა ხამისს აღარ იკითხავ? თხებივით გაგვყიდა. თანაც, ხომ წარმოგიდგენია, რა მოხდებოდა, სმაინს თუ ვერ

იპოვნიდნენ? გებჰრი ჩვენც დაგვიწყებდა წამებას... შენ უნდა ეწამებინე. გაფიქრებაც კი მზარავს, რომ მათრახით უნდა ეცემე და ორთავე გავეწამებინეთ, ჩვენი სიკვდილის შემდეგ კი ფაშოდში არხეინად დაბრუნდებოდა და იტყოდა, ბავშვები ციებამ იმსხვერპლაო... მე, ნელი, ეს სიავით კი არ მომსვლია, შენს გადარჩენაზე უნდა მეფიქრა... შენ მედარდებოდი და იმიტომ.

ბრმაც კი მიხვდებოდა, რა გულნატკენი იყო. ჩანს, ამას ნელიც მიხვდა, რადგან უფრო მაგრად ჩაეხუტა, სტაშმა კი მოჭარბებული გრძნობები დაიოკა და განაგრძო.

– ამიერიდან კი არ შევიცვლები, როგორც გივლიდი და გპატრონობდი, ახლაც ისე მოგივლი და გიპატრონებ. სანამ ისინი ცოცხლები იყვნენ, გადარჩენის არავითარი იმედი არ არსებობდა. ახლა აბისინიაში* გაქცევა შეიძლება. აბისინიელები შავები და ველურები კი არიან, მაგრამ ქრისტიანობა სწამთ და დავრიშებს მტრობენ. თუ ჭკვიანად მოვიქცევით, ეგ არ გაგვიჭირდება, რადგან აბისინიამდე არც ისე შორი მანძილია. მაგრამ, ვთქვათ, და არაფერი გამოგვივიდა და ისევ სმაინის ხელში მოვხვდით, არ იფიქრო, რომ ჩვენზე შური იძიოს. მას ხომ თავის სიცოცხლეში თვალითაც არ უნახავს გებჰრი და ბედუინები; მართალია, ხამისს კი იცნობდა, მაგრამ თან არც მას გადაჰყვება. შეგვიძლია სმაინს ვუთხრათ, რომ ხამისი ჩვენთან სულაც არ ყოფილა. თუ აბისინიაში გადასვლა მოვახერხეთ, გადარჩენილები ვართ, თუ ვერა, და უკეთესი თუ იქნება, თორემ უარესი არა, რადგან იმათნაირ მტარვალებს, სანთლით რომ ეძებო, ვერსად იპოვი... ჩემი ნუ გეშინია, ნელი!..

ნდობის მოსაპოვებლად, თანაც გასამხნევებლად, თავზე ხელი ალერსიანად გადაუსვა. გოგონა უსმენდა, თან ნება-ნება, გაუბედავად, გაუსწორა მზერა. ჩანდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ეტყობოდა, ვერ გაებედა და ყოყმანობდა. ბოლოს თავი ისე დახარა, ჩამოყრილმა თმამ სახე მთლიანად დაუფარა და წეღანდელზე წყნარი და მთრთოლვარე ხმით ჰკითხა:

– სტაშ...

– რაო, ძვირფასო?

– აქ ხომ არ მოვლენ?..

– ვინ? – ჰკითხა გაკვირვებულმა სტაშმა.

– ისინი... მკვდრები?

– რას ამბობ, ნელი?..

– მეშინია! მეშინია!..

და გაფითრებული ტუჩები აუკანკალდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. სტაშს არ სჯეროდა მკვდრეთით აღდგომისა, მაგრამ, რამდენადაც ღამე იყო და თან მათი სხეულები იქვე, შორიახლო, ეწყო, რაღაცნაირად შეკრთა და მხრები აუთრთოლდა.

– რას ამბობ, ნელი? – გაიმეორა. – შენ დინაჰმა შთაგაგონა სულების შიში... მკვდრები არ...

და სიტყვა გაუწყდა, რადგან სწორედ იმ წამს საშინელი რამ მოხდა: შუაგულ ხეობაში, ჩამოწოლილი ღამის წყვდიადში, იმ მხრიდან, სადაც გვამები ეყარა, გაისმა არაადამიანური, საზარელი სიცილი, რომელშიც იგრძნობოდა სასოწარკვეთა და სიხარული, მძვინვარება და ტკივილი, ქვითინი და დაცინვა.

ეს იყო შერყეულთა და განწირულთა გულგამგმირავი, სულისშემძვრელი სიცილი.

ნელიმ შეჰკივლა და სტაშს მხრებზე შემოეხვია. ვაჟს კი თმის ყველა ღერი ყალყზე დაუდგა. ლომა წამოხტა და აღრინდა.

მხოლოდ იქვე მჯდარმა კალიმ აწია თავი მშვიდად და თითქმის მხიარულად წარმოთქვა:

– ეგ აფთრები დაცინვა – გებჰრსა და ლომს.

კარი XXIII

წინა დღის დიდმნიშვნელოვანმა ამბებმა და ღამეულმა განცდებმა სტაში და ნელი საშინლად დაქანცა და, როცა ძილი საბოლოოდ მოერიათ, მკვდრებივით ჩაეძინათ და გოგონა მხოლოდ შუადღის ჟამს გამოჩნდა კარვის წინ. კოცონთან დაგებულ ქეჩაზე მიწოლილი სტაში უფრო ადრე წამოხტა და მეგობრის მოლოდინში კალის უბრძანა, მოემზადებინა საუზმე, რომელიც დაგვიანების გამო, ალბათ, სადილიც იქნებოდა.

დღის სინათლემ ღამეული შიში დააფრთხო; გაღვიძებული ბავშვები არა მარტო დასვენებულები ჩანდნენ, სულიერადაც გამხნევებულიყვნენ. ნელი უკეთესად გამოიყურებოდა და მომაგრებულიყო კიდეც, ასე რომ, ორივეს სურვილი იყო, რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდნენ იმ ადგილს, სადაც თოფით განგმირული სუდანელები ეყარნენ. ჰოდა, წაიხემსეს თუ არა, უმალვე ცხენებზე შესხდნენ და გზას გაუდგნენ.

დღის ამ დროს, ანუ შუადღისას, აფრიკის მიდამოებში მგზავრები ყოველთვის დასვენებას ამჯობინებენ და თვით ზანგებისაგან შემდგარი ქარავანიც კი დიდრონი ხეების ჩრდილქვეშ აფარებს თავს, რადგან ეს არის ე. წ. “თეთრი საათები” – საათები პაპანაქებისა და მდუმარების, როცა მზე უმოწყალოდ აცხუნებს და ზემოდან ისე დასცქერის დედამიწას, თითქოსდა გამალებული ეძებდეს მსხვერპლს მოსაკლავად. მხეც-ნადირი ყველაზე დიდ ტევრებში შედის; წყდება ფრთოსანთა გალობა-ჭიკჭიკი, აღარ ისმის მწერთა ზუზუნი და მთელი ბუნება მდუმარებაში იძირება, ირინდება, თითქოსდა ყველა სულდგმული ბოროტ ღვთაებას ემალება. მაგრამ ესენი გულდაგულ მოუყვებოდნენ ხეობას, რომლის ერთ-ერთი კედელი იქაურობას ღრმა ჩრდილს ჰფენდა და სიცხე სრულიადაც არ აწუხებდათ. სტაში ხეობიდან გასვლას მაინცდამაინც არ ჩქარობდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მაღლა ასულებს იოლად დაინახავდნენ სმაინის რაზმები, მეორეც, უფრო იოლად იპოვნიდნენ კლდის ღრმულებში ჩაგუბებულ წყალს, რომელსაც ღია ადგილებში მიწა ისრუტავდა, ანდა მზის სხივებზე ორთქლდებოდა.

გზა ნება-ნება, ოღონდ მაინც მაღლა მიიწევდა. კლდეებს ალაგ-ალაგ გოგირდის ყვითელი დანაშრევები აჩნდა. ნაპრალებში ჩაგუბებულ წყალსაც მისი სუნი ასდიოდა, რამაც ორივე ბავშვს უმალვე უსიამოვნო მოგონებანი გაუღვიძა ომდურმანისა და მაჰდისტებისა, რომლებიც თავზე გოგირდის ფხვნილარეულ ცხიმს ისვამდნენ. სამაგიეროდ, სხვაგან უკვე მუშკის სუნი იდგა, ხოლო იქ, სადაც მაღალი ბარდნარიდან ზედ ხეობის ძირამდე შადრევნებად ეშვებოდა ლიანების ხლართები, ვანილინის დამათრობელი სურნელი ტრიალებდა. პატარა მოგზაურები სიამოვნებით ჩერდებოდნენ ალისფერი და ცისფერი ყვავილებით მორთულ ბუჩქებთან, სადაც ყვავილის ფოთოლს ცხენები მადიანად ახრამუნებდნენ.

მხეცები არსად ჩანდნენ, მხოლოდ აქა-იქ, კლდისპირებზე მაიმუნები ჩაცუცქებულიყვნენ. ცის ფონზე ისინი საოცრად მიაგავდნენ ფანტასტიკურ წარმართულ ღვთაებებს, რომლებითაც ინდოეთში ტაძრების სახურავის კიდეებს რთავენ. უშველებული, ფაფარაშლილი მამრები ლომას კბილებს უჩვენებდნენ და ნიშნად განცვიფრებისა და მრისხანებისა, დრუნჩებს წინ სწევდნენ, ხტოდნენ, თვალებს წკურავდნენ და თან გვერდებს იფხანდნენ. მაგრამ მათ ცქერას შეჩვეული ლომა მუქარას უკვე ყურადღებასაც არ აქცევდა.

მხნედ მიდიოდნენ. მოპოვებული თავისუფლების შეგრძნებამ სტაშს ღამით შემოწოლილი ნაღველი განუქარვა. ამჟამად თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა – რა გზას დასდგომოდა, როგორ გაეყვანა ნელიცა და საკუთარი თავიც იმ მიდამოდან, სადაც ისევ დავრიშთა მონობა ემუქრებოდა, როგორ მოქცეულიყო ჯუნგლებში ხანგრძლივი ხეტიალისას, რომ შიმშილითა და წყურვილით არ დახოცილიყვნენ და ბოლოს: საით აეღო გეზი? ჯერ კიდევ ჰატიმისგან გაეგონა, რომ ფაშოდიდან სწორი

გზით აბისინიის საზღვრამდე ხუთი დღის სავალი იყო, რაც, მისი გამოთვლით, დაახლოებით ას ინგლისურ მილს უდრიდა. რადგან ფაშოდიდან გამოსვლის შემდეგ თითქმის ორი კვირა გასულიყო, სრულიად ნათელი იყო, რომ იმ მოკლე გზას არ ადგნენ და სმაინის ძებნაში გეზი სამხრეთისკენ აეღოთ. ისიც გაიხსენა, რომ მგზავრობის მეექვსე დღეს გადაჭრეს მდინარე, რომელიც ნილოსი არ იყო, მერე კი, სანამ გზა მაღლა წავიდოდა, რომელიღაც ვეებერთელა ჭაობები გაიარეს. პორტ-საიდის სკოლაში ძალიან დაწვრილებით ასწავლიდნენ აფრიკის გეოგრაფიას და სტაშს მეხსიერებაში ჩაბეჭდოდა ბალორი, ნილოსის ნაკადის, ნაკლებადცნობილი მდინარე სობატის ჭალის სახელწოდება. მთლად დარწმუნებული არ იყო, რომ ზუსტად ის ჭალა გადაკვეთეს, მაგრამ დაუშვა, რომ ის იყო. დიდი ფიქრის შემდეგ იმასაც მიხვდა, რომ ტყვეების ხელში ჩასაგდებად სმაინი არამც და არამც არ წავიდოდა ფაშოდიდან აღმოსავლეთით, რადგან იქაურობა მთლად გაუკაცრიელებულიყო ჯერ დავრიშებისა და მერე ყვავილისგან, ასე რომ, იძულებული გახდებოდა, ჯერაც დაულაშქრავი სამხრეთის გზას დასდგომოდა. სტაშმა აქედან დაასკვნა, რომ სმაინის კვალს მიჰყვებოდნენ და ამის გაფიქრებაზე თავდაპირველად შეეშინდა.

ახლა იმის განსჯაში იყო, ხომ არ აჯობებდა აშკარად სამხრეთისაკენ მიმავალი ხეობიდან გამოსვლა და აღმოსავლეთისაკენ შებრუნება. საკუთარ თავთან მცირე ბჭობის შემდეგ ეს წინადადება უარყო. მართლაც, სმაინის ბანდისგან ორი-სამი დღის სავალზე სიარული უფრო უხიფათო ეჩვენა, რადგან შეუძლებელი იყო, ცოცხალი ნაალაფარით ისინი ნილოსისაკენ მიმავლი სწორი გზის ნაცვლად შემოვლით წასულიყვნენ. სტაში იმასაც მიხვდა, რომ აბისინიაში გადასვლა შეიძლებოდა მხოლოდ სამხრეთის მხრიდან, სადაც იმ ქვეყანას ველური ჯუნგლები ესაზღვრებოდა და არა დავრიშებისგან ფხიზლად დაცული აღმოსავლეთის საზღვრებიდან.

ამ ფიქრების შემდეგ გადაწყვიტა, რაც შეიძლება ღრმად წასულიყო სამხრეთისაკენ. მართლაც, შეიძლებოდა იქ როგორც თეთრი ნილოსის მხრიდან გაქცეულ, ასევე ადგილობრივ ზანგებს გადაჰყროდა. თუმცა ორივე საშინელება იყო, მაგრამ სტაშს ერჩია საქმე ჰქონოდა შავკანიანებთან, ვიდრე მაჰდისტებთან. ამასთანავე, ლტოლვილებსა თუ ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეხვედრისას კალისა და მეას დახმარების იმედიც ჰქონდა. ამ ახალგაზრდა ზანგი გოგოს ერთი დანახვაც საკმარისი იყო იმის გამოსაცნობად, დინკების თუ შილუკის ტომს რომ მიეკუთვნებოდა, რადგან უსაშველოდ გრძელი და თხელი ფეხები ჰქონდა, რითაც ნილოსის სანაპიროზე მცხოვრები და მის ჭანჭრობებში ყანჩებივით თუ წეროებივით მოხეტიალე ორივე ხალხს სხვებისგან იოლად გამოარჩევდით. გებჰრის ხელში მოხვედრილ უკვე ჩონჩხადქცეულ კალის კი სრულიად განსხვავებული გარეგნობა ჰქონდა. ჯმუხი, ძლიერი აღნაგობისა იყო. გაშლილ მხარ-ბეჭიანი, მეასთან შედარებით დაბალ ფეხებზე იდგა.

რადგან კალი არაბულად სრულიად ვერ ლაპარაკობდა, ხოლო ძალზე ცუდად იცოდა კი-სვაჰილის ენა, რომელსაც მთელს აფრიკაში იყენებენ და რომელიც სტაშმა არხზე ისწავლა ზანზიბარელებისაგან, აშკარა იყო, რომელიღაც შორეული მხარის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. კერძოდ, რომელი მხარისა – სტაშმა ამის გარკვევა სცადა.

– კალი, რა ჰქვია შენს ხალხს? – ჰკითხა.

– ვა-ჰიმა. – მიუგო ახალგაზრდა ზანგმა.

– ბევრნი არიან?

– ბევრი, რომელიც ბოროტ ზამბურუელებს ეომება და საქონელს ართმევს.

– სად მდებარეობს შენი სოფელი?

– შორს! შორს!.. კალიმ არ იცის, სად.

– ამნაირ მხარეში, სადაც ახლა ვართ?

– არა. იქ დიდი წყალია და მთები.

– იმ წყალს რას ეძახით?

– რას ვეძახით და “მუქ წყალს”.

სტაშმა იფიქრა, კალი ეგებ ამჟამად ემინ-ფაშას ხელში მყოფი ალბერტ-ნიანზის მხრიდან არისო და ამის გასარკვევად დაკითხვა ისევ განაგრძო:

– იქ ხომ არ ცხოვრობს თეთრი უფროსი, რომელსაც შავი, ბოლიანი ნავი და ჯარი ჰყავს?

– არა, უფროსი ხალხი ლაპარაკი, რომ ნახა თეთრი ხალხი (კალიმ თითებიც მოიშველია) ერთი, ორი, სამი!.. დიახ. სამი თეთრ გრძელკაბიანები. ძებნა სპილოს ეშვები... კალის ისინი ნახვა არა, რადგან ჯერ არ ყოფნა ამ ქვეყანაზე, მაგრამ ისინი მიღება კალის მამა და მიცემა ბევრი ეშვი.

– მამაშენი ვინაა?

– ვა-ჰიმას მეფე.

ამის გაგონებაზე სტაში, ცოტა არ იყოს, სიამოვნებისაგან გაიბადრა, რადგან მსახურად მეფისწული ჰყავდა.

– გინდა მამის ნახვა?

– კალის გინდა დედის ნახვა.

– როგორ მოიქცეოდი, ვა-ჰიმას რომ შეხვედროდი, ან ისინი როგორ მოიქცეოდნენ?

– ვა-ჰიმა კალის წინაშე თაყვანის ცემა.

– თუ ასეა, წაგვიყვანე მათთან, შენ იქ დარჩები და მამაშენის შემდეგ იმეფებ, ჩვენ კი გზას განვაგრძობთ ზღვისაკენ.

– კალი მათ ვერ იპოვის და ვერც დარჩება, რადგან კალის უყვარს "დიდი ბატონი" და მთვარის ასული.

სტაში თანამგზავრს მხიარულად მიუბრუნდა და ამცნო.

– ნელი, შენ მთვარის ასული გახდი.

მაგრამ მის დანახვაზე უცაბედად დანაღვლიანდა და გონებაში გაუელვა, რომ გაჩხინკული გოგონა თავისი ფერმკრთალი, დაწრეტილი სახით მართლა მთვარეულ არსებას უფრო ჰგავდა, ვიდრე მიწიერს.

ახალგაზრდა ზანგი ერთხანს დადუმდა, მერე ისევ გაიმეორა.

– კალის უყვარს ბვანა კუბვა, ბვანა კუბვამ კალი არ მოკლა, გებჰრი მოკლა, კალის კი ბევრი საჭმელი მისცა.

და აშკარად კმაყოფილმა ხელი გულმკერდზე მოისვა.

– ბევრი ხორცი, ბევრი ხორცი!

სტაშს უნდოდა ისიც გაეგო, როგორ ჩაუვარდა დავრიშებს ტყვედ, მაგრამ აღმოჩნდა, როცა ერთ ღამეს ზებრის დასაჭერ ორმოსთან შეეპყროთ, იმდენ ხელში გაევლო, მისი პასუხიდან ვერაფრით მიხვდებოდი, რომელ ქვეყნებსა და გზებს მიეყვანა ფაშოდამდე. სტაშმა მხოლოდ "მუქ წყალზე" გაამახვილა ყურადღება და ივარაუდა, რომ მისი სამშობლო იქნებოდა ალბერტ-ნიანზი, ალბერტ-ედვარდ-ნიანზის, ანუ ვიქტორია-ნიანზის მხარე, რომლის მახლობლადაც მდებარეობდა უნიოროსა და უგანდის ქვეყნები, უეჭველად გაგონილი ექნებოდა ემინ-ფაშაზე, მის ჯარსა და გემებზე, რომლებიც ზანგებს განაცვიფრებდა და შიშის ზარსაც სცემდა. ტანგანაიკა მეტისმეტად შორს იყო და მხოლოდ იმის დაშვება შეიძლებოდა, რომ კალის ხალხს სადღაც ახლო უნდა ჰქონოდა სამფლობელო. ამრიგად, ვა-ჰიმის ხალხთან შეხვედრა მოულოდნელი სულაც არ იქნებოდა.

რამდენიმე საათი რომ იარეს, მზემ გადახრა იწყო. სიცხემაც თანდათან იკლო. ანაზდად წააწყდნენ გაშლილ ტაფობს, სადაც წყალიც იყო და რამდენიმე ველური ლეღვის ხეც*

იზრდებოდა, ჰოდა, ცხენების დასასვენებლად და მარაგის შესავსებად უკეთეს ადგილს სად მონახავდნენ. რაკიღა იმ ადგილებში კლდოვანი კედლები შედარებით დაბალი იყო, სტაშმა კალის დაავალა, მაღლა ასულიყო და მიდამო მოეთვალიერებინა, სადმე კვამლი ხომ არ ჩანდა.

კალიმ ბრძანება შეასრულა და თვალისდახამხამებაში მოექცა კლდის თავზე. მიდამო გულდასმის მოათვალიერა, ლიანის მსხვილ ღეროზე ჩამოსრიალდა და განაცხადა, კვამლი არსად ჩანს, მაგრამ იქ ნიბმა არისო. ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ ნახა არა პენტარეკი, არამედ რომელიღაც დიდი ნადირი; ჯერ სტაშის თოფისკენ გაიშვირა ხელი, მერე თითები თავზე დაიდგა ნიშნად იმისა, რომ ნადირი რქოსანი იყო.

ამჯერად სტაში აცოცდა მაღლა და ირგვლივ ფრთხილად მიმოიხედა. თვალსაწიერს არაფერი უჩრდილავდა, რადგან ოდინდელი, მაღალი ჯუნგლები გადამწვარი იყო, ხოლო ახალი, გადაბუგულ-გადაშავებული მიწიდან ახლახან ამოწვერილი, რამდენიმე დიუმის სიმაღლისა თუ იქნებოდა. სადამდეც თვალი მიწვდებოდა, იშვიათად მოჩანდა დიდი, ცეცხლით ტოტებგამურული ხეები. სწორედ ერთ-ერთი ამგვარი ხის ჩრდილში ძოვდა ბალახს მომცრო ჯოგი ანტილოპა გნუსი, რომელსაც ტანი ცხენს მიუგავს, თავი კი – კამეჩს. ბაობაბის ტოტებში გაცრილი მზის სხივები მოციმციმე შუქად ეფინებოდა მათ ყავისფერ ზურგებს. სულ ცხრანი იყვნენ: მანძილი, დიდი დიდი, ასი ნაბიჯი ყოფილიყო, მაგრამ ქარი სწორედ იქიდან ქროდა ხეობისაკენ. მშვიდად ძოვდნენ და საფრთხეს სრულიად ვერ გრძნობდნენ. ქარავნის ხორცით მომარაგების მიზნით სტაშმა ესროლა მისკენ ყველაზე ახლო მდგომს, რომელიც მოსხლეტით დაეცა მიწაზე. დანარჩენები ადგილს მოსწყდნენ და მოკურცხლეს. მათ გაჰყვა უშველებელი კამეჩი, რომელიც ქვის უკან წოლილიყო და ამიტომაც ვერ შენიშნეს. ბიჭმა არა საჭიროების, არამედ მონადირული ჟინის გამო დრო შეურჩია და ტყვია მასაც ესროლა. დაჭრილი ცხოველი შეტორტმანდა, გავა აითრია, მაგრამ მაინც გაიქცა და სანამ სტაშმა თოფში ახალი ტყვიის ჩადება მოასწრო, თვალს მიეფარა.

კვამლი რომ გაიფანტა, კალი უკვე ანტილოპას მოსჯდომოდა და მუცელს გებჰრის დანით უფატრავდა. ცხოველის უკეთ დასათვალიერებლად სტაში ახლოს მივიდა და განცვიფრებისგან კინაღამ ენა ჩაუვარდა, როცა ახალგაზრდა ზანგმა რამდენიმე წუთის შემდეგ ორივე ხელში ჩაბღუჯული ანტილოპას ოხშივარავარდნილი ღვიძლი მიაწოდა.

– რისთვის მაძლევ? – ჰკითხა.

– მსური, მსური ბვანა კუბვა ახლავე შეჭამოს.

– თავად შეჭამე! – მიახალა ნაწყენმა სტაშმა.

კალის ბევრი არ უხვეწნინებია, ღვიძლს ეცა, კბილებით დაფლითა და უმ ხორცს თქლაფათქლუფით დაუწყო ჭამა, მაგრამ, რომ ნახა, სტაში ამრეზით უყურებდა, ჭამა არ შეუწყვეტია, ლუკმასა და ლუკმას შორის ჩაურთო: “მსური! მსური! (“კარგი! კარგი!”)

ასე შეჭამა ღვიძლის ნახევარი, შემდეგ კი ანტილოპას გასუფთავებას შეუდგა. გასაოცარი სისწრაფითა და მოხერხებულობით ირჯებოდა, ასე რომ, გატყავებას მსწრაფლვე მორჩა და თავ-ფეხიც აქნა. სტაში განცვიფრდა, ამ საქმიანობას ლომა რომ არ ესწრებოდა და დაუსტვინა, რათა ცხოველის წინა ნაწილებით მასაც კარგად მოელხინა.

მაგრამ ლომა არსად ჩანდა, სამაგიეროდ ანტილოპასკენ დახრილმა კალიმ აწია თავი და თქვა:

– დიდი ნაგაზი კამეჩს დადევნება.

– დაინახე? – ჰკითხა სტაშმა.

– კალიმ დაინახა.

ეს რომ თქვა, ანტილოპას სუკის ნაჭრები თავზე დაიწყო, ორი ბარკალი მხრებზე შემოიწყო და ხეობისაკენ დაეშვა. სტაშმა კიდევ რამდენიმეჯერ დაუსტვინა და დაელოდა, მაგრამ, რომ მიხვდა, ამაოდ ირჯებოდა, უკან გაჰყვა. დაბლა მეა ზერიბასათვის უკვე ეკალ-ბარდების აჭრას შესდომოდა, ნელი კი თავისი პაწია თითუნებით უკანასკნელ პენტარეკს რომ პუტავდა, უმალვე ჰკითხა:

– ლომას უსტვენდი? წეღანვე გამოგედევნათ.

– კამეჩს გამოუდგა და ძალიან მეშინია, – მიუგო სტაშმა, – ეგენი საშინლად მრისხანე ცხოველები არიან, თან ისე ძლიერები, თვით ლომიც კი ერიდება მათზე თავდასხმას. ლომას საქმე წასულია, ამისთანა მოწინააღმდეგეს თუ შეება.

ამის გაგონებაზე ნელიმ მოიწყინა და განაცხადა, სანამ ლომა არ დაბრუნდება, არ დავიძინებო. გოგონას ნაღვლიანი სახის დანახვაზე სტაში თავს გაუბრაზდა, რატომ არ დავუმალე საშიშროებაო და მის დამშვიდებას შეუდგა.

– თოფით გამოვუდგებოდი, – ამბობდა, – მაგრამ ახლა შორს იქნება წასული, თან უკვე მალე დაღამდება და კვალის დანახვა შეუძლებელი იქნება. კამეჩი მაგრად დაიჭრა და იმედი მაქვს, დაეცემა... ყოველ შემთხვევაში სისხლდენა დაასუსტებს და, ლომას რომც შეუტიოს, ვერას უზამს, ვერც დაეწევა... ჰო, ჰო! შეიძლება ღამით დაბრუნდეს, მაგრამ, რომ დაბრუნდება, ეჭვიც არ მეპარება.

ამას რომ ამბობდა, საკუთარი სიტყვებისა მაინცდამაინც არ სწამდა, რადგან ახსოვდა, რამდენი რამ წაეკითხა აფრიკული კამეჩის საშინელ შურისმაძიებლურ ხასიათზე.

თურმე, მძიმედ დაჭრილი ცხოველი გზას შემოუვლიდა, მონადირეს ბილიკზე წინ დახვდებოდა, მოულოდნელად დაესხმებოდა თავს, რქებზე წამოიცვამდა და მაღლა შეისროდა. ასეთი რამ ლომასაც შეიძლება დამართნოდა, თუ აღარას ვიტყვით სხვა სახიფათო შემთხვევებზე, ღამით გზადაგზა რომ ემუქრებოდა.

ღამეც მალე ჩამოწვა. კალიმ და მეამ ზერიბა გააწყვეს, კოცონი დაანთეს და ვახშმის თადარიგს შეუდგნენ. ლომა არა და არ ჩანდა.

სულ უფრო და უფრო დაღვრემილმა ნელიმ ბოლოს ტირილი მორთო.

სტაშმა ძლივს დაიყოლია, რომ დაწოლილიყო და აღუთქვა, ლომას დაველოდები, მერე გათენებისთანავე საძებრად წავალ და მოვიყვანო. ნელი მართლაც შევიდა კარავში, მაგრამ წამდაუწუმ ექაჩებოდა კალთაზე და კითხულობდა, ძაღლი ხომ არ დაბრუნებულაო? ბოლოს, ნაშუაღამევს, ძილმა წაართვა თავი, ამ დროს კოცონთან მოდარაჯე კალის შესაცვლელად მეა გამოვიდა. – მთვარის ასული რატომ ტირის? – ჰკითხა სტაშს ახალგაზრდა ზანგმა, როცა ორივენი დასაძინებლად ქეჩაზე მიწვნენ: – კალის ეს არ უნდა.

– ლომა ეცოდება, ალბათ, კამეჩმა დაგლიჯა.

– ეგებ ვერც დაგლიჯა. – წარმოთქვა შავმა ბიჭმა.

ამის შემდეგ გაჩუმდნენ და სტაშს ღრმად ჩაეძინა. ჯერ კიდევ ბნელოდა რომ გაეღვიძა, რადგან სიცივემ შეაწუხა. კოცონი ჩამქრალიყო. მის საყარაულოდ დარჩენილ მეასაც ჩასძინებოდა და ცეცხლისთვის ფიჩხი ვეღარ დაეყარა.

კალის ქეჩა ცარიელი იყო.

კოცონს ფიჩხი სტაშმა დააყარა. მხოლოდ ამის მერე შეანჯღრია ზანგი გოგონა და ჰკითხა:

– კალი სად არის?

ერთხანს უაზროდ უცქირა, მერე, აზრი რომ მოიკრიბა, თქვა:

– კალიმ გებჰრის მახვილი აიღო და ზერიბას გადააბიჯა. მეგონა, ფიჩხის მოსატანად წავიდა, მაგრამ უკან აღარ მობრუნებულა.

– დიდი ხანია, რაც წავიდა?

– დიდი ხანია.

სტაში ელოდა, ელოდა, მაგრამ, ზანგი რომ არ გამოჩნდა, უნებლიეთ საკუთარ თავს კითხვა დაუსვა:

– გაიქცა?

და გული მოეწურა იმ უსიამოვნო შეგრძნებისაგან, რასაც ადამიანთა უმადურობა იწვევს ხოლმე. კალის ყოველთვის მფარველობდა და იცავდა, როცა გებჰრი ყოველდღე აბუჩად იგდებდა, საბოლოოდ კი სიკვდილსაც გადაარჩინა. ნელიც კეთილად ეპყრობოდა და მის უიღბლობას დასტიროდა, მოკლედ, ორივენი თან ყვებოდნენ. ის კი გაიქცა. თავად ამბობდა, რომ არ იცოდა, რომელ მხარეს იყო ვა-ჰიმას დასახლება და რომ ვერც მიაგნებდა, არადა გაქცევით კი გაიქცა! სტაშს ისევ პორტ-საიდში წაკითხული აფრიკული დღიურები გაახსენდა, სადაც მოთხრობილი იყო ჩერჩეტ ზანგებზე, რომლებიც ყრიდნენ ბარგს და გარბოდნენ მაშინაც კი, როცა ეს გაქცევა უეჭველ სიკვდილს უქადდათ. რასაკვირველია, მხოლოდ გებჰრის სუდანური მახვილის ამარა მყოფ კალისაც შიმშილით სიკვდილი ელოდა – ან თუ ისევ დავრიშებს არ ჩაუვარდებოდა ტყვედ, ველური მხეცების საკბილო გახდებოდა.

– ოჰ! უმადური და ჩერჩეტი!

მერე სტაში იმაზე ჩაფიქრდა, რომ კალი თუ არ ეყოლებოდა, უფრო ძნელი, მძიმე და საზრუნავით გადატვირთული მგზავრობა ელოდათ. ცხენების დარწყულება და ღამღამობით დაპალვანდება, კარვის გაშლა, ზერიბის აგება, მგზავრობის დროს ბარგისა და სურსათისთვის თვალ-ყურის დევნება, ნადირობა და ნანადირევის გატყავება – ყოველივე ეს ახალგაზრდა ზანგის გაქცევის გამო მას უნდა დაწოლოდა მხრებზე, არადა თავს გამოუტყდა, რომ ზოგ საქმეზე, მაგალითად, ცხოველის გატყავებაზე მცირედი წარმოდგენაც არ ჰქონდა.

“ეჰ! ძნელია, – ჩაილაპარაკა თავისთვის, – მაგრამ, რას ვიზამ!”

ამასობაში თვალსაწიერზე მზემ ამოყო თავი და ტროპიკების ჩვეულებისამებრ ერთბაშად ჩამოდღევდა. ცოტა მოგვიანებით, პაწია ქალბატონისთვის ღამით მეას შეგროვებული წყალი კარავში ადგაფუნდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ნელი ადგა და უკვე იცვამდა. მართლაც, მალევე გამოჩნდა ჩაცმული, ოღონდ ხელში სავარცხელი ეჭირა ჯერაც თმააჩეჩილს.

– ლომა? – იკითხა.

– ჯერ არ გამოჩენილა.

გოგონას უმალვე ბაგეები აუთრთოლდა.

– იქნებ კიდეც დაბრუნდეს, – უთხრა სტაშმა. – ხომ გახსოვს, უდაბნოში ორ დღეს რომ იკარგებოდა და მერე გვეწეოდა.

– ხომ მითხარი, წავალ და მოვძებნიო?

– არ შემიძლია.

– რატომ, სტაშ?

– რატომ და შენ და მეას ხეობაში მარტო ვერ დაგტოვებთ.

– მერე კალი?

– კალი არ არის.

თქვა და დადუმდა, რადგან არ იცოდა, ეთქვა თუ არ ყველაფერი ბოლომდე, მაგრამ, რადგან ამის დამალვას აზრი არ ჰქონდა, გადაწყვიტა, ყველაფერი ერთბაშად ეთქვა.

– კალიმ გებჰრის მახვილი წაიღო, – თქვა – და წუხელ გაურკვეველი მიმართულებით წავიდა. შეიძლება გაიქცა კიდეც. ზანგები, თავისდა საუბედუროდ, ასე ხშირად იქცევიან. ისე კი მეცოდება... მაგრამ შეიძლება მალე მიხვდეს, სისულელე რომ ჩაიდინა და...

მომდევნო სიტყვის თქმა აღარ აცალა ლომას მხრიარულმა ყეფამ, რამაც მთელი ხეობა აავსო. ნელიმ სავარცხელი მიწაზე დააგდო და შესახვედრად გაქცევა დააპირა, მაგრამ ზერიბას ეკლებმა არ გაუშვა.

სტაში სწრაფად შეუდგა მის დაშლას და, სანამ ფართო შესასვლელს გააკეთებდა, ლომაც მოვარდა, მას კი უკან მოჰყვა კალი, რომელიც ცვარს ისე დაესველებინა და აელაპლაპებინა, იფიქრებდით, თავსხმა წვიმაში უვლიაო.

უდიდესმა სიხარულმა მოიცვა ორივე ბავშვი და, როცა დაღლილობისგან გულამოვარდნილი კალი ზერიბას ღობურის შიგნით აღმოჩნდა, ნელიმ თავისი თეთრი, პაწია მკლავები შავ კისერზე შემოაჭდო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გულში ჩაიკრა.

მან კი თქვა:

– კალის არ უნდა ნახოს ბიბის ტირილი, ჰოდა, კალიმ მოძებნა ძაღლი.

– კეთილო კალი! – უთხრა სტაშმა და მხარზე ხელი დაარტყა. – მერე ღამით არ შეგეშინდა, ლომს ან აფთარს რომ გადაყროდი?

– კალის ეშინოდა, მაგრამ კალი წავიდა. – მიუგო ახალგაზრდამ.

ამ სიტყვებით მან ბავშვების გული საბოლოოდ მოინადირა. სტაშმა ნელის თხოვნით ფუთა გახსნა, ომდურმანიდან წამოსვლის წინ ბერძენი კალიოპულოს ნაჩუქარი შუშის მძივების ასხმულა ამოიღო და მით კალის დიდებული ყელ-კისერი შეამკო; საჩუქრით უზომოდ გახარებულმა ახალგაზრდამ იმწამსვე ამაყად გადახედა მეას და უთხრა:

– მეას არა აქვს მძივები, კალის კი აქვს, რადგან კალი არის “დიდებული ქვეყანა”.

ასე მოხდა შავი ბიჭის კურთხევისადმი მიძღვნილი დაჯილდოება. სამაგიეროდ ლომა შეუბრალებლად დაიტუქსა. მას შემდეგ, რაც ნელის ემსახურებოდა, მან მეორედ გაიგო, რომ საშინლად ცუდი ძაღლია და თუ კიდევ ჩაიდენს მსგავს რამეს, პატარა ლეკვივით თოკით დააბამენ. ყოველივე ამას იგი საკმაოდ ორაზროვანი კუდისქიცინით ისმენდა. მაგრამ ნელის სწამდა, რომ დაიმორცხვა და, ალბათ, გაწითლდა კიდეც, რისი დანახვაც ლომას ბანჯგვლიანობის გამო შეუძლებელი იყო.

მერე ნარჩევ-ნარჩევი გარეული ლეღვისა და ანტილოპას მკერდის ანაჭრებისგან საუზმე გაიმართა, კალი კი ამ დროს თავის თავგადასავალს ჰყვებოდა. რადგან ნელის სვაჰილის ენა არ ესმოდა, სტაში მას ინგლისურად უთარგმნიდა. კამეჩი, როგორც აღმოჩნდა, შორს გაქცეულიყო. კალის გაუჭირდა კვალის პოვნა, რადგან უმთვარო ღამე იდგა. საბედნიეროდ, ორი დღის წინანდელ ნაწვიმარზე მიწა არც ისე მაგარი იყო, რის გამოც მძიმე ცხოველის ფლოქვები ღრმა ნაკვალევს ტოვებდა. კალი ამ ნაკვალევს ფეხის თითებით ეძებდა და დიდხანს მიდიოდა. ბოლოს კამეჩი დაეცა და ეტყობა, უმალვე მოკვდა, რადგან მისი და ლომას ორთაბრძოლის კვალი არსად ჩანდა. როცა კალიმ ისინი იპოვნა, ლომას წინა ბეჭის დიდი ნაწილი უკვე შეეჭამა და, მართალია, მეტის ჭამის თავი აღარ ჰქონდა, კამეჩთან მიახლოების ნებას არ აძლევდა ორ აფთარსა და რამდენიმე ტურას, რომლებიც შორიახლო დამდგარიყვნენ იმის მოლოდინში, როდის მორჩებოდა ქეიფს მათზე ძლიერი მხეცი და წავიდოდა.

ბიჭმა უსაყვედურა, ძაღლმა მეც დამიღრინა, მაგრამ უმალვე “დიდი ბატონისა” და ბიბისავით დავემუქრე, მერე თოკი მოვაბი, ძლივს მოვაცილე კამეჩს და მხოლოდ ხეობაში შემოსვლის შემდეგ შევხსენიო.

ამით დასრულდა კალის ღამეული მოგზაურობის ამბის თხრობა, რის შედეგადაც ხასიათგამოკეთებულები ცხენებზე შესხდნენ და გზა განაგრძეს.

მხოლოდ გრძელკანჭა, ერთი შეხედვით კეთილი და მორჩილი მეა უყურებდა შურით ახალგაზრდა ზანგის ყელსაბამსა და ლომას თოკს და ნაღვლიანად ფიქრობდა.

“ეგენი ორივენი “დიდი ქვეყანა” არიან, მე კი მხოლოდ თითბრის მავთული მაქვს და ისიც ცალ ფეხზე”.

კარი XXIV

მომდევნო სამი დღე ისევ ხეობაში მიდიოდნენ და ისიც – სულ მაღლა და მაღლა. დღისით უმეტესწილად ცხელოდა, ღამეები კი ხან ცივი იყო, ხანაც ჩახუთული. წვიმების პერიოდი ახლოვდებოდა. თვალსაწიერზე აქა-იქ რძესავით თეთრი, მაგრამ მძიმე-მძიმე ღრუბლები ჩნდებოდა. ალაგ-ალაგ წვიმის ზოლები და შორეული ცისარტყელები მოჩანდა. მესამე დღეს, უფრო სწორად კი დილას, ერთი ასეთი ღრუბელი მათ თავზემოთ ანაზდად სალტეშემომომძვრალი კასრივით გასკდა და მსხვილწვეთებიანი, თბილი, მაგრამ ხანმოკლე წვიმა დაუშვა. მალე ისევ მშვენიერი ამინდი დაიჭირა და კვლავ შეძლეს გზის გაგრძელება. იმდენი პენტარეკი დაფრინავდა, სტაში ცხენიდან ჩამოუსვლელად ესროდა და ხუთი ცალი ჩამოაგდო, რაც ლომასა და მათ ერთ ჭამად ნამდვილად ეყოფოდათ. ნაწვიმარ, სუფთა ჰაერზე სიარული სულაც არ უმძიმდათ, ხოლო ფრინველისა და წყლის სიუხვე შიმშილისა და წყურვილის საშიშროებას გამორიცხავდა. საერთოდ, საქმე იმაზე უკეთ აეწყო, ვიდრე მოელოდნენ. ამიტომაც მშვენიერ გუნებაზე მყოფი სტაში გოგონას მხიარულად ელაპარაკებოდა, დროდადრო კი ემასხრებოდა კიდეც:

– იცი რა, ნელი, – უთხრა ერთხელ, როცა ცხენები უზარმაზარი პურის ხის ქვეშ შეაჩერეს, რათა კალის და მეას უშველებელი, ნესვისხელა ნაყოფი ჩამოეკრიფათ, – ხანდახან მგონია, რომ მოხეტიალე რაინდი ვარ.

– რას ნიშნავს მოხეტიალე რაინდი? – ჰკითხა ნელიმ და კოხტა თავი მისკენ მიაბრუნა.

– ადრე, ძალიან ადრე, შუა საუკუნეებში იყვნენ ისეთი რაინდები, რომლებიც ქვეყნად დაეხეტებოდნენ და თავგადასავლებს ეძებდნენ. ერკინებოდნენ გოლიათებსა და ურჩხულებს და იცი? ყოველ მათგანს ჰყავდა თავისი ქალბატონი, რომელსაც მფარველობდა და იცავდა.

– განა მეც ისეთი ქალბატონი ვარ?

სტაში ერთხანს ჩაფიქრდა, მერე უპასუხა:

– არა, – შენ პატარა ხარ. ისინი დიდები იყვნენ.

და თავში აზრადაც არ მოსვლია, რომ, შესაძლოა, არც ერთ მოხეტიალე რაინდს თავისი ქალაბატონისთვის არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც მან გააკეთა თავისი პაწია დაიკოსათვის – უბრალოდ ეგონა, ეს ყველაფერი თავისთავად ასე უნდა კეთდებოდესო.

მაგრამ ნელის მისი ნათქვამი ეწყინა და ბაგედაბუშტულმა უპასუხა:

– გახსოვს, უდაბნოში რომ მითხარი, ცამეტი წლის ადამიანივით მოიქეციო? ჰა!

– ეგ ერთხელ. მაგრამ შენ მაინც რვა წლისა ხარ.

– მერე რა, ათი წლის შემდეგ თვრამეტისა ვიქნები.

– დიდი ამბავი! მე კი ოცდაოთხის ვიქნები! იმ ასაკში კი ადამიანი ქალზე კი არა, სამსახურზე ფიქრობს. გასაგებია?

– რას გააკეთებ?

– ინჟინერი ან მეზღვაური გავხდები ანდა, თუკი პოლონეთში ომი იქნება, მამაჩემივით მეც იქ წავალ საომრად.

შემკრთალმა გოგონამ ჰკითხა:

– მაგრამ პორტ-საიდში ხომ დაბრუნდები?

– ჯერ ორივენი დავბრუნდეთ იქ.

– მამიკოსთან! – დასძინა გოგონამ.

და თვალები დაუდარდიანდა. საბედნიეროდ, ამ დროს ულამაზესი თუთიყუშების გუნდი მოფრინდა. ნაცრისფერ ჩიტებს ვარდისფერი თავები და ვარდისფერარშიანი ფრთები ჰქონდათ. ბავშვებს წეღანდელი საუბარი უმალვე გადაავიწყდათ და თვალი გააყოლეს.

გუნდი ეუფორბიის ბუჩქების თავზე დატრიალდა და მერე იქვე ლეღვსულელას ტოტებზე ჩამოჯდა, საიდანაც მალე ხმამაღალი ლაპარაკისა თუ ჩხუბის მსგავსი ხმები გაისმა.

– ეს ისეთი ჯიშის თუთიყუშებია, ძალიან ადვილად რომ სწავლობენ ლაპარაკს. – აუხსნა სტაშმა. – დიდი ხნით რომ სადმე გავჩერდებით, ერთ მაგნაირს დაგიჭერ.

– ო, სტაშ! გმადლობ! – უთხრა გახარებულმა ნელიმ. – დაისს დავარქმევ...

ამასობაში კალიმ და მეამ დაკრეფილი ნაყოფი ცხენებს აჰკიდეს და მცირე ქარავანი ისევ გაუდგა გზას. ნაშუადღევს ცა კვლავ მოიღრუბლა, დროდადრო წვიმდა კიდეც და

წყლით ივსებოდა ყოველი ღრმული თუ ნაპრალი. კალი ნამდვილ თავსხმას წინასწარმეტყველებდა, ჰოდა, სტაშმა იფიქრა, იმ ადგილებში ისევ დავიწროებული ხეობა ღამის თავშესაფრად უხიფათო ვერ იქნებოდა, რადგან, შესაძლოა, იქაურობა წყლით ავსებულიყო. ამიტომაც ღამის გათევა მაღლა გადაწყვიტა. ამან ნელიც გაახარა, მით უფრო, როცა დასაზვერავად გაგზავნილი კალი დაბრუნდა და განაცხადა, შორიახლო სხვადასხვა ხეების პატარა ტევრია, სადაც მხოლოდ პაწია მაიმუნები დახტიან, მაგრამ ამას წინათ ნანახი პავიანებივით უშნო და ავები არ არიანო.

ერთგან, სადაც კლდოვანი კედლები დაბალი იყო და ოდნავ გაშლილიც, ცხენები მაღლა აიყვანეს და, სანამ დაბნელდებოდა, ღამის გასათევად შეემზადნენ. ნელის კარავი გაუშალეს მაღალ, მშრალ ადგილს, რომელსაც თერმიტების ბორცვაკები გარშემორტყმოდა, რაც ზერაბას გაკეთებას აადვილებდა.

იქვე მდგარი უზარმაზარი ტოტებგაფოფრილი და ხშირფოთლოვანი ხე წვიმაში მშვენიერი თავშესაფარი იქნებოდა. ზერიბას წინ ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხეები, ოდნავ მოშორებით კი მოჩანდა ხშირი, ტოტებჩახლართული ტყე, რომელსაც თავზე დაჰყურებდა რაღაც უცნაურზე უცნაური პალმები, ვეებერთელა მარაოებსა თუ ფარშევანგის* გაშლილ ბოლოს რომ მიაგავდნენ.

სტაშმა კალისგან გაიგო, რომ მეორე წვიმიანობის დროს, უფრო სწორად კი შემოდგომაზე, იმ პალმების ქვეშ ღამისთევა საშიშია, რადგან მწიფე ნაყოფი მოულოდნელად წყდება ხოლმე და საკმაოდ მაღლიდან ისეთი ძალით ეხეთქება, ადამიანსა და თვით ცხენსაც კი კლავსო. ამჟამად პალმაზე ნაყოფი ახალგამოსული იყო და მზის ჩასვლამდე კარგად ჩანდა, ტოტებზე როგორ დახტოდნენ და ერთმანეთს მხიარულად დასდევდნენ პაწაწინა მაიმუნები.

სტაშმა კალისთან ერთად უამრავი, მთელი ღამის სამყოფი შეშა მოიმარაგა და, რამდენადაც დროდადრო ცხელი ქარიც ქროდა, ზერიბა საკმაოდ გაამაგრეს პალოებით, რომლებსაც ახალგაზრდა ზანგმა გებჰრის მახვილით ჩაუთალა ბოლოები და ისე ჩაასო მიწაში. სიფრთხილე ზედმეტი არ იყო, რადგან გრიგალს შეეძლო, ბღუჯა-ბღუჯად წაეღო ღობის ეკლიანი ტოტები, რაც მტაცებლების თავდასხმას გააადვილებდა.

მაგრამ მზის ჩასვლისთავნავე ქარი ჩადგა, სამაგიეროდ ჰაერი დამძიმდა და დაიხუთა. თავდაპირველად ღრუბლებსა და ღრუბლებს შორის აქა-იქ ვარსკვლავები ჟიკჟიკებდა, მაგრამ მერე, ღამით სულ ჩაკუნაპეტდა ისე, რომ თვალთან მიტანილი თითიც არ ჩანდა. პატარა მოგზაურები კოცონთან შეგროვდნენ და მეზობელი ხეებიდან მოღწეულ მაიმუნების ალიაქოთს უსმენდნენ. ამას ერთოდა ტურებისა და სხვა მხეცთა უცნობი ხმები, რომელშიც აშკარად შეიმჩნეოდა მოუსვენრობა და შიში იმის წინაშე, რაც ღამეულ სიბნელეს შეფარებულ ჯუნგლების ბინადართ ემუქრებოდა.

ანაზდად სამარისებური მდუმარება ჩამოწვა, რადგან ჩაკუნაპეტებულ შორეთში ლომის გმინვა გაისმა.

იქვე, ახალამონაყარ ჯუნგლებში, საძოვრად მიშვებული ცხენები უცებ დაფრთხნენ, წინა დაპალვანდებულ ფეხებზე აკუნტრუშებულები უმალვე შუქისაკენ წამოვიდნენ, საერთოდ ომახიანი ლომაც აიფხორა და ადამიანებს კუდამოძუებული მიეკრა, თითქოსდა მფარველობას სთხოვსო.

გმინვა განმეორდა – იტყოდით, მიწიდან წამოვიდა ღრმა, მძიმე, დაძაბული გმინვა, რომელიც ნადირმა თითქოსდა ძლივძლიობით გამოატია თავისი მძლავრი ფილტვებიდანო. დაბლა, მიწა-მიწა მოდიოდა, ხან ძლიერდებოდა, ხანაც სუსტდებოდა და დროდადრო მოგუდულ, ძლიერ და გულშემზარავ კვნესად იქცეოდა.

– კალი! ფიჩხი დააყარე. – ხმა ამოიღო სტაშმა.

ზანგმა კოცონს უცებ იმდენი ფიჩხი დააყარა, ცეცხლის ენები მაღლა აიჭრა და ჩინჩხლები ბღუჯა-ბღუჯად გაყარა.

– სტაშ, ლომი ჩვენს თავს არ დაგვესხმის!.. ხომ მართალია?– წასჩურჩულა ნელიმ და სახელოზე მოქაჩა.

– არა. არ დაგვესხმის. შეხე, რა მაღალი ზერიბაა...

ეს რომ თქვა, გულშიც ასევე სწამდა, რომ საშიშროება მათ კი არ ელოდა, არამედ ცხენებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო მოიწევდნენ ღობისკენ და შეიძლება, გადმოენგრიათ კიდეც.

ამასობაში გმინვა გადაიზარდა გრგვინვასავით გაბმულ ღრიალში, რისგანაც ყველა სულდგმულს შიშისაგან ძარღვებში სისხლი ეყინება, ხოლო იმ ადამიანებს, ვინც საერთოდ არ იცის, რა არის შიში, ნერვები ისე უთრთის, როგორც ზარბაზნების შორეულ გრგვინვაზე თრთის ხოლმე სარკმლის მინები.

სტაშმა ნელის წამიერი მზერა ესროლა და, აკანკალებული ნიკაპი და აწყლიანებული თვალები რომ დაუნახა, უთხრა:

– ნუ გეშინია, ნუ ტირი!

მან კი ისე უპასუხა, როგორც მაშინ, უდაბნოში:

– ტირილი სულაც არ მინდა... ოღონდაც... თვალები მიოფლიანდება! ვაი!

ბოლო შეკივლება გოგონას ბაგეს მოსწდა იმის გამო, რომ ზუსტად ამ დროს ტყის მხრიდან პირველზე მეტად ძლიერი გმინვა გაისმა. ცხენები ზედ ღობეს მოაწყდნენ და

აკაციის ფოლადივით მტკიცე და გრძელი პალოები რომ არა, უმალვე გადმოქელავდნენ. ლომა ღრინავდა, თან ფოთოლივით თრთოდა, კალიმ კი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოღერღა:

– ბატონო! ორი! ორი! ... ორი!..

ლომებმა ერთმანეთს გაუგეს და ახლა შეუჩერებლად ღრიალებდნენ და ეს საზარელი კონცერტი სიბნელეში განუწყვეტლივ გრძელდებოდა, რადგან, თუ ერთი დაიღლებოდა, ღრიალს მეორე ნადირი აგრძელებდა. სტაში უცებ ვერ მიხვდა, საიდან მოდიოდა ღრიალი, რადგან ნახმევს ხეობა ექოდ იმეორებდა, კლდე კლდეს გადასცემდა, ეშვებოდა დაბლა, ამოდიოდა მაღლა, მით ივსებოდა ტყე, ჯუნგლები და სიბნელე გრგვინვითა და მღელვარებით იჟღინთებოდა.

ერთ რამეს კი უეჭველად ხვდებოდა, კერძოდ იმას, რომ მხეცები სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ. კალიც მიხვდა: ლომები მათ სადგომს გარშემორტყმოდნენ, წრეს თანდათან ავიწროებდნენ და, ცეცხლის შუქით შეჩერებულები, თავიანთ შიშსა და უკმაყოფილებას ღრიალით გამოხატავდნენ.

ისე, ალბათ, ისიც იმას ფიქრობდა, რომ საშიშროება მხოლოდ ცხენებს ემუქრებოდა, რადგან თითები გაშალა და თქვა:

– ლომები მოკვლა ერთი, ორი – მაგრამ ყველა არა! ყველა არა!..

– კოცონს ფიჩხი დააყარე! – გაიმეორა სტაშმა.

ისევ იფეთქა ცეცხლის ენებმა; ღრიალი იმწამსვე შეწყდა. მაგრამ კალიმ თავი აწია და მაღლა მომზირალი სმენად იქცა.

– რა ხდება? – ჰკითხა სტაშმა.

– წვიმა! – მიუგო ზანგმა.

სტაშმაც ყურები ცქვიტა. ხის ვარჯები მყარად იცავდა კარავსაც და მთელ ზერიბასაც, ამდენად მიწას ჯერ ერთი წვეთიც არ დასცემია, მაგრამ ზემოთ უკვე ისმოდა ფოთლების შრიალი. რამდენადაც დახუთულ ჰაერში ნიავი ოდნავადაც არ იძვროდა, ადვილი მისახვედრი იყო, რომ ტევრში წვიმა იწყებდა ფუთფუთს.

შარიშური წუთიწუთ მატულობდა და ცოტა ხნის შემდეგ ბავშვებმა აშკარად დაინახეს ფოთლებზე ჩამოკიდებული უშველებელი, ვარდისფერი მაგრაგლიტების მსგავსი წვეთები. როგორც კალი ვარაუდობდა, თავსხმა წვიმა იწყებოდა. შარიშური დიდ ხმიანობაში გადაიზარდა. წვეთებიც გახშირდა და მალე ზემოდან წყლის ზონრები დაეშვა.

ცეცხლი ჩამუქდა. ტყუილუბრალოდ აყრიდა კალი დასტა-დასტა ფიჩხს. სველმა ტოტებმა ბოლი აუშვა, ძირს, შიგნით კი ნახშირი აშიშინდა და ცეცხლი ხან აინთებოდა, ხან მინავლდებოდა.

– როცა თავსხმა კოცონს ჩააქრობს, მაშინ ზერიბა დაგვიცავს. – ნელის დასამშვიდებლად ამოღერღა სტაშმა.

ამის შემდეგ გოგონა კარავში შეიყვანა და შალი შემოახვია, მაგრამ თავად უმალვე კარში გავიდა, რადგან მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრიალი კვლავ განმეორდა. ღრიალი ამჯერად საგრძნობლად ახლოდან გაისმა და მასში თითქოსდა სიხარული კრთოდა.

თავსხმა თანდათან მატულობდა. წვიმა ნაბაკოს ხეშეშ ფოთლებზე ტკაპუნებდა და თქრიალებდა. კოცონი რომ ხის ვარჯქვეშ არ დაენთოთ, მყისვე ჩაქრებოდა; მაგრამ ამჯერად მის თავზე მხოლოდ კვამლი ხრჩოლავდა და ამ ბურუსში დროდადრო ალის წვრილ-წვრილი, ცისფერი ენები კრთოდა ხოლმე. კალიმ საქმე წაგებულად ჩათვალა და ფიჩხის დამატებას მოეშვა. სამაგიეროდ, ხეზე თოკი ისროლა, ტოტს ჩამოაბა და ელვისუსწრაფესად აცოცდა.

– რას აკეთებ? – ასძახა სტაშმა.

– კალი ხეზე ადის.

– რისთვის? – იყვირა ზანგის თვითნებობით გაბრაზებულმა ბიჭმა.

თვალისმომჭრელმა, საზარელმა ელვამ გაკვეთა სიბნელე, კალის პასუხი კი შთანთქა უეცარმა ქუხილმა, რომელმაც ცა და ჯუნგლები შეაზანზარა. იმავდროულად ამოჭრილმა გრიგალმა ხეთა ვარჯები მიდრიკ-მოდრიკა, თვალისდახამხამებაში ეძგერა კოცონს, ჯერაც ღადარში მბჟუტავი ნაკვერჩხლები ზეაიტაცა და ჩინჩხლებსა და ნაპერწკლებთან ერთად ჯუნგლებს ზედ გაადააყარა.

კუნაპეტმა ღამემ შთანთქმა ბანაკი. საზარელი ტროპიკული ქარიშხალი დაატყდა ცასა და მიწას. ქუხილი ქუხილს მოსდევდა, ელვა კი – ელვას. ჭექის სისხლისფერი ზიგზაგები სერავდა კუპრისფერ ზეცას. მახლობელ კლდეზე აისახა უცნაური ცისფერი ბადრო, რომელიც ერთხანს ხეობის გასწვრივ დაგორავდა, მერე ირგვლივეთს თვალისმომჭრელი ცეცხლის ენები ესროლა და საშინელი ზათქით გასკდა, გეგონებოდათ კლდეები საფანტივით დაფშვნაო.

მერე ისევ სიბნელემ დაისადგურა.

სტაშს ნელის შიში შეექმნა და ხელისცეცებით შევიდა კარავში. ბორცვაკსა და ვეებერთელა ხის ტანს შორის მოქცეული კარავი ჯერ კიდევ იდგა, მაგრამ ქარიშხალს

პირველ დაქროლვაზევე შეეძლო თოკების დაგლეჯა და მისი გაურკვეველი მიმართულებით წაღება. ქარიშხალი კი ხან ჩადგებოდა, ხანაც ჯოჯოხეთური ძალით ამოიჭრებოდა და თან მოჰქონდა მახლობელ ტყეში მილეწ-მოლეწილი ტოტებისა და ფოთლების დასტები. სტაში სასოწარკვეთილებამ მოიცვა. აღარ იცოდა, ნელის კარავში დატოვება სჯობდა თუ გამოყვანა. თუ დატოვებდა, შესაძლოა თოკებში გახლართულიყო და ქარიშხალს კარავთან ერთად წაეღო, გარეთ გამოყვანისას დასველება და ისევ ქარისაგან მოტაცება ემუქრებოდა, რამეთუ მასთან შედარებით ძლიერი სტაშიც კი ფეხზე გაჭირვებით იდგა.

საქმე ისევ ქარიშხალმა გადაწყვიტა, რადგან კარავს წამში წააცალა სახურავი. ტილოს კედლები თავშესაფრად აღარ ვარგოდა. სხვა გზა არ იყო, ქარიშხლის ჩადგომას უნდა დალოდებოდნენ სიბნელეში, სადაც ორი ლომი მოუსვენრად წრიალებდა.

სტაში ვარაუდობდა, რომ ამ დელგმაში ისინი მახლობელ ტყეს შეაფარებდნენ თავს, მაგრამ დარწმუნებული იყო, ოდნავ გადაიკარებდა თუ არა, ისევ დაბრუნდებოდნენ. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ქარმა ზერიბა პირწმინდად აღგავა.

დაღუპა გარდუვალი ჩანდა. სტაშის თოფი ახლა აღარაფრის მაქნისი იყო. ასევე – მისი ძალ-ღონეც. ქარიშხლის, ჭექა-ქუხილის, ქარბორბალას, დელგმის, სიბნელისა და ლომების წინაშე, რომლებიც, შესაძლოა, სულ ორიოდ ნაბიჯის დაშორებით მიმალულიყვნენ, სრულიად უმწეო, უსუსური იყო. ქარიშხლისგან კალთებაწეწილ კარავში წყალი ყოველი მხრიდან ასხამდა, ამიტომაც სტაშმა გულში ჩახუტებული ნელი კარვიდან გამოიყვანა, ორივენი ნაბაკოს ხეს მიეკვრნენ და ასე ელოდნენ სიკვდილსა თუ ღვთის წყალობას.

ამასობაში ქარის დაქროლვასა და დაქროლვას შორის წვიმის შხაპუნში ძლივს მოკრეს ყური კალის ხმას:

– დიდო ბატონო, ხეზე! ხეზე!

და იმავდროულად ბიჭს მხარზე მაღლიდან ჩამოშვებული თოკის ბოლო შეეხო.

– ბიბის გამობმა, კალი კი აწევა! – ყვიროდა ზანგი.

სტაშს წამითაც აღარ დაუხანებია. თოკს სხეული რომ არ დაეზიანებინა, ნელი ქეჩაში გაახვია, მერე ბაწარი ქამარივით შემოუჭირა, ხელში აიყვანა და დაიძახა:

– აწიე!

ხის პირველი ტოტები საკმაოდ დაბლა გამოზრდილიყო, ამგვარად, ნელის საჰაერო მოგზაურობა დიდხანს არ გაგრძელებულა. კალიმ სწრაფად წაავლო თავისი ძლიერი

ხელები, მოხერხებულად დასვა ხის ტანსა და მსხვილ ტოტს შორის, სადაც სულ იოლად მოთავსდებოდა თუნდაც თორმეტი მისნაირი პაწაწინა არსება. იქიდან მას ვერავითარი ქარი ვერ გადმოაგდებდა, თანაც, მართალია, მთელ ხეს წყალი ღვარ-ღვარად ჩასდიოდა, ცერად წამოსული წვიმის ახალ-ახალი თქეშებისაგან მოხერხებულად იფარავდა ხის უმსხვილესი ტანი.

პაწია ბიბი რომ სამშვიდობო ალაგას დაიგულვა, ზანგმა თოკი ახლა სტაშს გადმოუგდო, მაგრამ ჩასაძირავად განწირული გემის კაპიტანივით გაისარჯა და ხეზე ასვლა მან ჯერ მეას შესთავაზა.

კალის თოკის აწევა არ დასჭირვებია, რადგან მეა თვალისდახამხამებაში ისე მარჯვედ და მოხერხებულად აცოცდა, იფიქრებდით, შიმპანზეს ღვიძლი და არისო.

სტაშს უფრო გაუჭირდა, თუმცა ისიც კარგი ტანმოვარჯიშე გახლდათ, მაგრამ მისი სხეულის სიმძიმეს ემატებოდა თოფისა და ვაზნებით ამოტენილი ჯიბის სიმძიმე.

ასე და ამგვარად ოთხივენი ხეზე აღმოჩნდნენ.

სტაში ისე მიეჩვია გამუდმებით ნელიზე ფიქრს, რომ ახლაც უმალვე იმის შემოწმებას შეუდგა, დაბლა ჩავარდნის საშიშროება ხომ არ ემუქრებოდა, ადგილი საკმარისი იყო თუ არა ან უფრო მოხერხებულად თუ შეიძლებოდა მისი დასმა. ამ მხრივ საკმაოდ დამშვიდებული, ტვინს ახლა იმაზე ფიქრით იჭყლეტდა, როგორ დაეცვა იგი წვიმისაგან. მაგრამ ამჯერად უმწეო აღმოჩნდა. დღისით პაწაწკინტელა სახურავის მოწყობა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ახლა ისეთი უკუნი სიბნელე იდგა, თვალთან მიტანილ თითს ვერ დაინახავდით. ეს ქარიშხალი რომ ჩამდგარიყო და ცეცხლის დანთება მოეხერხებინათ, ნელის სამოსს მაინც გაუშრობდნენ! სტაში სასოწარკვეთილი ფიქრობდა, რომ თავით ფეხებამდე გალუმპულ გოგონას მომდევნო დღესვე დაეწყებოდა ციებ-ცხელების პირველი შეტევა.

იმისიც ეშინოდა, რომ განთიადისას, ქარიშხლის ჩადგომისთანავე, წინა ღამის მსგავსად აცივდებოდა. აქამდე ცხელი ქარები ქროდა და წვიმის წვეთები თითქოსდა თბილი იყო. ოღონდ სტაშს მისი დაჟინებულობა უკვირდა, რადგან გაეგონა: ტროპიკული ქარიშხალი რაც უფრო გაგიჟებით ქრის, მით უფრო მალე ჩადგება ხოლმეო.

კარგა ხნის შემდეგ ჭექა-ქუხილი მინელდა და ქარსაც ძალა გამოელია, სამაგიეროდ წვიმა ისევ გრძელდებოდა და თუმცა წეღანდელივით თავსხმა აღარ იყო, თქიშინით მომავალ მსხვილ-მსხვილ წვეთებს ნაბაკოს ფოთლები აშკარად ვეღარ უმკლავდებოდა და თავშესაფრადაც დიდად ვეღარაფრად ვარგოდა. დაბლა კი წყალი ისე ხმაურობდა, იფიქრებდით, მთელი ჯუნგლები ტბად იქცაო. ხეობაში გარდუვალი სიკვდილი გველოდაო, – გაიფიქრა სტაშმა. ლომაზეც დიდი გულისტკივილით ფიქრობდა, მაგრამ

ნელისთან მასზე ლაპარაკს ვერ ბედავდა. თუმცა იმედი ჰქონდა, რომ საზრიანი ნაგაზი ხეობის თავზე კლდის შვერილებს შორის საიმედო თავშესაფარს იპოვიდა. სამწუხაროდ, მიშველების სულ მცირე შესაძლებლობასაც კი ვერ ხედავდა.

ჰოდა, ისხდნენ ოთხივენი ერთმანეთს მიტყუპებულნი ხის მსხვილ ტოტებს შორის, სველდებოდნენ და გათენებას ელოდნენ. რამდენიმე საათის შემდეგ აცივდა და, როგორც იქნა, წვიმამაც გადაიღო. წყალმაც, ეტყობა, დაბლა-დაბლა გზა გამონახა და წავიდა, რადგან ქვემოდან შხაპუნი აღარ ისმოდა. წინა დღეებში სტაშმა შენიშნა, რომ კალის სველი ტოტებითაც შეეძლო კოცონის დანთება, ჰოდა, თავში გაუელვა: ზანგი დაბლა ჩაეშვა, რათა კოცონის გაჩაღება ამჯერადაც ეცადა. მაგრამ ის-ის იყო, მისკენ მიბრუნდა, რომ ამ დროს ისეთი რამ მოხდა, რის გამოც ყველა იქ მყოფს ძარღვებში სისხლი გაეყინა.

ჩადედებული ღამეული მდუმარება ანაზდად გაკვეთა ცხენის საშინელმა, შემზარავმა ჭიხვინმა, რომელიც სავსე იყო ტკივილით, შფოთით და გაუსაძლისი შიშით. სიბნელეში რაღაც აგორდა, გაისმა ხანმოკლე ხროტინი, მერე ყრუ კვნესა, ხრიალი, სხვა ცხენის ჭიხვინი, კიდევ უფრო გულშემზარავი, რის შემდეგაც ყველაფერი დადუმდა.

– ლომები, დიდო ბატონო. ლომები ცხენები დაფლეთა! – წაიჩურჩულა კალიმ.

ამ ღამეულ თავდასხმაში, ამ საზიზღარ ძალადობასა და უმწეო პირუტყვის ანაზდეულ მკვლელობაში იყო რაღაც საშინელი და საზარელი, რამაც სტაში წამიერად გააშტერა და თოფის არსებობა დაავიწყა. თუმცა ამ უკუნეთში გასროლას რა აზრი ჰქონდა? შესაძლოა, უარესიც ყოფილიყო, თუკი იმ სისხლისმსმელებს ცეცხლის ალი და გასროლის ხმა დააფრთხობდა, დახოცილ ცხენებს მიატოვებდნენ და უმალვე გამოუდგებოდნენ დანარჩენ ცხენებს, რომლებიც თავიანთი დაპალვანდებული ფეხებით ბანაკიდან, ალბათ, შორს ვერც წავიდოდნენ.

სტაშს ჟრუანტელმა დაუარა იმის გაფიქრებაზე, რა დაემართებოდათ, დაბლა რომ დარჩენილიყვნენ. მის სხეულს მიხუტებული ნელი ისე თრთოდა, იფიქრებდით, ციებ-ცხელება დაეწყოო, მაგრამ ხემ ისინი მხეცების თავდასხმისაგან მაინც დაიცვა. არც მეტი, არც ნაკლები, კალიმ ბავშვები სიკვდილს გადაარჩინა.

მოკლედ, ეს საშინელი ღამე იყო მთელი მოგზაურობის გამოვლილ ღამეთაგან ყველაზე საშინელი.

სმენადქცეულნი, ტოტებზე შემომსხდარ გაწუწულ ჩიტებსა ჰგავდნენ. დაბლა, ერთხანს, სამარისებური მდუმარება გამეფდა, მაგრამ სულ მალე ღრენასა და თითქოსდა სვლეპის ხმასაც მოჰკრეს ყური და აგლეჯილი ხორცის ნაჭრების თქვლეფა და ნადირის ხრინწიანი სუნთქვა-ბურდღუნიც გაიგონეს.

უმი ხორცისა და სისხლის სუნმა ხემდე უწია, რადგან ლომები ღობიდან სულ რაღაც ოციოდ ნაბიჯის დაშორებით ნადიმობდნენ.

და ისე დიდხანს ნადიმობდნენ, სტაში კინაღამ ბოღმამ დაახრჩო. თოფს ხელი წამოავლო და იმ ხმებისაკენ გაისროლა.

მაგრამ პასუხად მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მრისხანე ღრიალი მოესმა, მერე კი ძლიერ ყბებში მოქცეული ძვლების ტკაცატკუციც გაიგონა. ტყის სიღრმეში ცისფრად და წითლად ენთო თავისი რიგის მომლოდინე ტურებისა და აფთრების თვალები.

ასე გაიჭიმა გრძელი ღამეული საათები.

კარი XXV

როგორც იქნა მზე ამოვიდა და გაანათა ჯუნგლები, ხეთა კორომები, ტყის ტევრები. ლომები მანამდე გაუჩინარდნენ, სანამ თვალსაწიერზე პირველი სხივი აელვარდებოდა. სტაშმა კალის კოცონის დანთება უბრძანა, მეას კი – ტყავის ტომსიკაში გამოკრული ნელის ნივთების ამოღება, გაშრობა და გოგონასთვის სამოსის რაც შეიძლება სწრაფად გამოცვლა. თავად თოფს წამოავლო ხელი და მყისვე შეუდგა ბანაკის დათვალიერებას, რათა ენახა ქარიშხლისა და ორი ღამეული მკვლელობისგან მიყენებული ზარალი.

ზედ ზერიბასთან, რომლისაგანაც პალოებიღა დარჩენილიყო, თითქმის სანახევროდ შეჭმული ცხენი ეგდო, ასიოდ ნაბიჯზე მეორე – ახალდაწყებული. იქვე, მის გვერდით კი – მუცელგამოფატრული და შუბლშენგრეული მესამე. საშინელი სანახავები იყვნენ, ღიად დარჩენილ თვალებში შიში ჩაჰყინვოდათ. მიწა აჩიჩქნილი იყო, ღრმულებში სისხლის ტბორები იდგა. სტაში ისეთმა სიბრაზემ მოიცვა, ინატრა, ნეტა ახლა რომელიმემ ღამეული ქეიფით დამძიმებული სისხლისმსმელი აბურძგნილი თავი გამოყოს, რომ ზედ ტყვია მივაჭედოო. მაგრამ იძულებული იყო, შურისძიება სამერმისოდ გადაედო, რადგან ახლა სხვა საქმეები უნდა მოეგვარებინა. დანარჩენი ცხენები უნდა ეპოვნა და დაეჭირა.

ბიჭის ვარაუდით, ისინი მახლობელ ტევრში უნდა მიმალულიყვნენ ლომასავით, რომლის გვამიც არსად ჩანდა. იმის რწმენამ, რომ მათი უბედურების თანაზიარი ღამეული მტაცებლების მსხვერპლი არ გამხდარა, სტაში ისე გაახარა, რომ ხასიათი გამოუკეთდა, მოგვიანებით მისი სიხარული ვირის პოვნამ გააორკეცა. ჭკვიან ყურებპანტურას თურმე შორს წასვლით თავი არ შეუწუხებია. ზერიბას შიგნით

ბორცვაკსა და ხეს შორის ვიწრო კუთხეში მშვიდად მიკუნჭულიყო და ელოდა, როდის დასჭირდებოდა თავისი გმირული ტლინკების გამოყენება, მაგრამ, როგორცა ჩანს, ლომებს იგი საერთოდ არ შეუნიშნავთ, ჰოდა, მზე რომ ამოვიდა და საშიშროებამაც გაიარა, საჭიროდ ჩათვალა, დაწოლილიყო და ღამეული დრამატული განცდების შემდეგ დაესვენა.

სტაში ბანაკის ირგვლივ წრიალებდა და მალე სველ მიწაზე ცხენების ფლოქვების ნაკვალევიც შეამჩნია. კვალი ტყისაკენ მიდიოდა, მერე კი ხეობისაკენ უხვევდა. ბედმა გაუღიმა, რადგან ხეობაში ცხენების დაჭერა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ თვალი მოჰკრა ბალახში დაგდებულ პალგვანდს, რომელიც გაქცევისას ერთ-ერთ ცხენს წასძრობოდა. ის ალბათ ისე შორს იქნებოდა წასული, შეიძლებოდა დაკარგულადაც ჩაეთვალა. სამაგიეროდ ორი დანარჩენი სტაშმა მალე დაინახა დაბალი კლდის უკან, არა შიგ ხრამში, არამედ მის კიდეზე. ერთი იწვა, მეორე კი ხასხასა მწვანე ბალახს წიწკნიდა. ისეთი დაღლილები ჩანდნენ, თითქოს გრძელი გზა გამოევლოთ. მაგრამ დღის შუქმა შიში და მლღელვარება მათი გულიდან წაშალა, რამდენადაც სტაშს ხანმოკლე, მეგობრული ჭიხვინი შეაგებეს. წამოწოლილი ცხენი უმალვე ფეხზე წამოიჭრა და სტაშმა შენიშნა, რომ პალვანდი მასაც წაეძრო, მაგრამ, საბედნიეროდ, უგზო-უკვლოდ გაქცევას ისევ ამხანაგთან დარჩენა ემჯობინებინა.

სტაშმა ორივენი კლდის ქვეშ დატოვა, თავად კი ხრამის კიდეს გაჰყვა იმის დასაზვერავად, გზის გაგრძელება შეიძლებოდა თუ არა. მართლაც, ნახა, რომ დიდი დაქანების წყალობით წყალი მთლიანად ჩაწრეტილიყო და ხეობის ძირი მშრალი იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ მისი ყურადღება მიიპყრო მოპირდაპირე კლდისპირა ლიანებში გახლართულმა მოთეთრო საგანმა. იგი მალე მიამსგავსა კარვის სახურავს, რომელიც ქარიშხალს აქ წამოეღო და ბუჩქებში ისე მაგრად გაეხლართა, რომ მისი გაგლეჯა წყალსაც ვერ მოეხერხებინა. რაც არ უნდა იყოს, ნელის თავშესაფრად კარავი ბევრად სჯობდა ტოტებისაგან სახელდახელოდ შეკოწიწებულ ხუხულას, ჰოდა, მისი პოვნა სტაშს მართლა ძალიან გაუხარდა.

მაგრამ მისი სიხარული მაშინ გენახათ, როცა ოდნავ ქვემოთ, ლიანებს შორის დაფარული კლდის შვერილიდან ანაზდად კბილებში რაღაც მხეცმოგდებული ლომა გამოხტა; მხეცს თავი და კუდი ჩამოკონწიალებოდა. უშველებელი ნაგაზი თვალისდახამხამებაში ახოხდა ზემოთ და სტაშს წინ დაუდო ხერხემალგადამტვრეული და ფეხმოტეხილი ზოლიანი აფთარი, მერე კუდის ქიცინსა და მხიარულ ყეფას მოჰყვა, თითქოს ამბობდა: “ვაღიარებ, რომ ლომებისა შემეშინდა, მაგრამ, თუ სიმართლეა, სიმართლე იყოს, თქვენც ჩიტებივით ისხედით ხეზე. მაგრამ ხომ ხედავთ, ღამე უქმად მაინც არ გამიტარებია”.

და თავი ისე ამაყად ეჭირა, სტაშმა ძლივს მოახერხა მისი დარწმუნება, აქოთებული მხეცი იქვე დაეტოვებინა და ნელისთვის საჩუქრად არ მიერთმია.

უკან რომ დაბრუნდნენ, ბანაკში კოცონი გაეჩაღებინათ, ქვაბებში უკვე თუხთუხებდა წყალი, რომლებშიც სორგო, ორი პენტარეკი და დამარილებული გნუს ხორცი იხარშებოდა. ნელის სველი სამოსი უკვე გამოეცვალა და მშრალები ჩაეცვა, მაგრამ ისეთი ფერმკრთალი და გალეული ჩანდა, სტაშს შიშისაგან გული კინაღამ შეუღონდა, უმალვე ხელი გაუსინჯა, სიცხე ხომ არ აქვსო და ჰკითხა:

– ნელი, რა დაგემართა?

– არაფერი, სტაშ, ოღონდ ძალიან მეძინება.

– მჯერა! ასეთი ღამის შემდეგ! მადლობა ღმერთს, ხელები ცივი გაქვს. ოჰ! მაინც რა ღამე იყო! რა თქმა უნდა, გეძინება. მეც მეძინება, აბა, დაფიქრდი, ავად ხომ არა ხარ?

– ცოტათი თავი მტკივა.

სტაშმა შუბლზე ხელისგული დაადო. თავი ხელებივით ცივი ჰქონდა, რაც მაგარი დაძაბულობისა და სისუსტის ნიშანი იყო, ჰოდა, ბიჭმა ამოიოხრა და უთხრა:

– ჯერ თბილი რამ შეჭამე, მერე კი უმალვე დაწექი და საღამომდე იძინე. დღეს, ყოველ შემთხვევაში, ამინდია და გუშინდელივით აღარ გაგიჭირდება.

ნელიმ შიშნარევი მზერა ესროლა.

– ღამეს აქ ხომ არ გავათევთ?

– აქ არა, რადგან დაგლეჯილი ცხენები ყრია, სხვა ხეს ავირჩევთ ანდა სულაც ხეობაში ჩავალთ და იმგვარ ზერიბას ავაგებთ, ქვეყნად რომ არავის უნახავს. ისე დაიძინებ, როგორც პორტ-საიდში გეძინა ხოლმე.

გოგონამ ხელები შეატყუპა და ცრემლმომდგარი შეევედრა, გზა განვაგრძოთ, რადგან ამ საშინელ ადგილას თვალსაც ვერ მოვხუჭავ და აუცილებლად ავად გავხდებიო. “რაო, სტაშ? – კარგი?” – ისე ემუდარებოდა, ისეთი ვედრებით შეჰყურებდა თვალებში, რომ ყველაფერზე დათანხმდა.

– კარგი, ხეობაში ვიაროთ, – უთხრა, – რადგან იქ ჩრდილია. ოღონდ აღმითქვი, როცა ძალა გამოგელევა, ან სუსტად შეიქნები, იმ წამსვე მეტყვი.

– არ გამომელევა, არ გამომელევა! უნაგირზე დამაბი და გზაშიც კარგად დავიძინებ.

– არა. ერთ ცხენზე დავსხდეთ და მე დაგიჭერ, კალი და მეა მეორე ცხენით წამოვლენ, ვირი კი კარავს წამოიღებს.

– კარგი! კარგი!

– როგორც კი ისაუზმებ, ცოტა გამოიძინე. შუადღემდე წასვლას მაინც ვერ შევძლებთ, რადგან ბევრი საქმე გვაქვს. ჯერ ცხენები უნდა დავიჭიროთ, კარავი დავკეცოთ, ფუთები სხვანაირად უნდა შევკრათ. ნივთების ნაწილს აქ დავტოვებთ, რადგან სულ ორი ცხენიღა გვყავს. ამაზე რამდენიმე საათი დაგვეხარჯება, შენ კი, ამასობაში გამოიძინებ და მოღონიერდები. დღეს მაგარი სიცხე იქნება, მაგრამ ხის ძირას ჩრდილი არ მოგაკლდება.

– მერე შენ და მეა და კალი? როგორ მწყინს, რომ მარტო მე უნდა დავიძინო, თქვენ კი უნდა იმუშაოთ...

– ჩვენც გამოვნახავთ სამაგისო დროს. ჩემი დარდი ნუ გაქვს. პორტ-საიდში გამოცდების დროს ხშირად მთელი ღამეები არ მძინებია, მაგრამ მამაჩემი ვერაფერს ხვდებოდა: არც ჩემს ამხანაგებს ეძინათ, თუმცა სად კაცი და სად შენნაირი პაწაწინა ბუზი. აზრზეც არა ხარ, დღეს როგორ გამოიყურები... კაცს გამჭვირვალე ეგონები. შენგან მხოლოდ თვალები და ქოჩორიღა დარჩა, სახე კი თითქოს გაქრაო!

ამას ხუმრობით ამბობდა, მაგრამ გულს შიში უღრღნიდა, რადგან დღის კაშკაშა შუქზე ნელის სახეს აშკარა ავადმყოფური იერი დაჰკრავდა და სტაში ახლა პირველად მიხვდა, რომ საქმე თუ ამგვარად წარიმართებოდა, საბრალო ბავშვი არამცთუ შეიძლებოდა მომკვდარიყო, არამედ აუცილებლად მოკვდებოდა. ამის გაფიქრებაზე მუხლები მოეკვეთა, რადგან ანაზდად მიხვდა, ნელი თუ მოკვდებოდა, არც სიცოცხლესა და არც პორტ-საიდში დაბრუნებას მისთვის აზრი არ ექნებოდა.

“აბა, მაშინ რაღა უნდა ვაკეთო?” – გაიფიქრა.

უმალვე განზე მიბრუნდა, რათა ნელის მის თვალებში სევდა და შიში არ დაენახა, მერე ხის ძირას დაწყობილ ბარგთან მივიდა, ტყვია-წამლის კოლოფს ქეჩა გადააძრო, გააღო და რაღაცის ძებნას შეუდგა.

იქ, პაწია შუშის ბოთლში უკანასკნელი ფხვნილიღა ჰქონდა ქინაქინისა, რომელსაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდა “შავი დღისათვის”, ანუ იმ დროისათვის, თუკი ნელის ციება შეეყრებოდა. ამჯერად აშკარად დარწმუნდა, რომ წუხანდელი ღამისთევის შემდეგ პირველი შეტევა გარდუვალი იქნებოდა და საფრთხის თავიდან აცილება გადაწყვიტა. მაგრამ გულდამძიმებული იმასაც ფიქრობდა, რა უნდა ეღონა შემდეგ და, რომ არა იმის შეგრძნება, რომ მამაკაცს და ისიც ქარავნის წინამძღოლს ტირილი არ ეკადრებოდა, ამ ბოლო ფხვნილს უეჭველად ცრემლებს დააფრქვევდა.

მღელვარების დასაფარავად სახე მოღუშა და გოგონას მიუბრუნდა:

– ნელი, ჭამის წინ დარჩენილი ქინაქინა დალიე.

გოგონამ ჰკითხა:

– მერე, ციება შენ რომ შეგეყაროს?

– ვიდგები და ვიკანკალებ. გეუბნები, დალიე!

ისე დალია, სტაშისთვის წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, რადგან მას შემდეგ, რაც სუდანელები დახოცა, მისი ცოტა-ცოტა ეშინოდა, მიუხედავად მისდამი გაწეული მზრუნველობისა და სიკეთისა. მერე სასაუზმოდ დასხდნენ და ღამეული დაღლილობის შემდეგ პენტარეკების ცხელი წვნიანი განსაკუთრებით ეგემრიელათ. ჭამა თუ არა, ნელის უმალვე ჩაეძინა და რამდენიმე საათი ეძინა. ამასობაში სტაშმა, კალიმ და მეამ ქარავანი მოაწესრიგეს, ხეობიდან კარვის სახურავი ამოიტანეს, ცხენები შეკაზმეს, ტვირთი აჰკიდეს ვირსაც და ნაბაკოს ძირში ჩამარხეს ის ნივთები, რის წაღებასაც ვერ ახერხებდნენ. დაღლილობისგან კისერი სწყდებოდათ, მაგრამ იმის შიშით, რომ მერე გზაში არ ჩასძინებოდა, სტაშმა თავს მხოლოდ ჩათვლემის ნება დართო.

იქნებოდა დღის ორი საათი, როცა კვლავ გზას გაუდგნენ. სტაშმა ნელი წინ დაისვა, კალი და მეა მეორე ცხენით მიდიოდნენ. ხრამში უმალვე არ ჩასულან. თავდაპირველად ტყისპირსა და ხრამის კიდეს მიუყვებოდნენ. ამ ერთი წვიმიანი ღამის შემდეგ ახალამონაყარი ჯუნგლები შესამჩნევად წამოზრდილიყო, თუმცა მიწა ხეების ძირში შავი იყო და ცეცხლის ნაკვალევი აშკარად ეტყობოდა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ აქ ან სმაინს გაევლო თავის რაზმიანად, ანდა ცეცხლი შორიდან მოეტანა ქარიშხალს, გადმოევლო გამომშრალი ჯუნგლები და აქ ძირძველ ჯუნგლებში მოღწეულს ვრცელი ქობა შემოეხაზა მასა და ხეობას შორის და კვლავ თავისი გზა განეგრძო. სტაშს უნდოდა შეემოწმებინა, ამ ქობას სმაინის ბანაკის ან ცხენის ფლოქვების რაიმე ნაკვალევი ხომ არ ეტყობოდა და სიამოვნებით დარწმუნდა, რომ მსგავსიც არაფერი ჩანდა. ამნაირების დიდოსტატი კალი ირწმუნებოდა, ცეცხლი ქარის მოტანილია და მას შემდეგ უკვე რამდენიმე დღეა გასულიო.

– ეს მოწმობს, – შენიშნა სტაშმა, – რომ სმაინი თავისი მაჰდისტებიანად ცხრა მთას იქითაა და ხელში არასდროს ჩაუვარდებით.

ამის შემდეგ ის და ნელი ყურადღებით დააკვირდნენ მცენარეულობას, რადგან ტროპიკულ ტყესთან ასე ახლოს სხვა დროს არ ყოფილან. ზედ ტყისპირას მიდიოდნენ, რათა თავი ჩრდილისთვის შეეფარებინათ. ნესტიანი და რბილი მიწა მუქმწვანე ბალახს, ხავსსა და გვიმრას დაეფარა. აქა-იქ მიმოყრილ ფუტურო კუნძებს ხალიჩასავით

დაფენოდა პეპელასმაგვარ ფურცლებიანი ჭრელაჭრულა ჯადვარი. მიწაზე ოქროსფრად ღაღანებდა სხვა საოცარი ჯადვარები, უფრო მომცრონი და ყვითლები, რომლებზეც ერთი ფურცლის აქეთ-იქით, გვერდებზე ზეაწეული ყვავილის ორი ფურცელი დიდრონ, წაწვეტებულყურიანი რომელიღაც მხეცუნების თავებს მოგაგონებდათ. ზოგ ადგილას ტყეს არშიად დაუყვებოდა ველური ჟასმინის ვარდისფერი ყვავილებით მოჩითული ჩირგვნარები. მომცრო თხრილების ღრმულებში ერთმანეთს ჩაწნულ-ჩახლართული გვიმრები გაუვალ ტევრებსა ჰქმნიდნენ. ზოგი დაბლები იყო და გაფოფრილები, ზოგიც – მაღლები, ღეროზე თითქოსდა ძენძშემოხვეულნი, თითქმის ხეთა ქვედა ტოტებამდე აყალყულები და მათ ქვეშ ლამაზ, მწვანე არშიად გარშემოვლებულნი. ტყის სიღრმეში ერთნაირ ხეებს ვერ დაინახავდით. აქ იყო: ფინიკი, რაფია, მარაოსებრი პალმები, სიკომორი, პურის ხე, ეუფორბია, აკაცია, მუქ და პრიალა, ვერცხლისფერ და აგრეთვე სისხლისფერფოთლებიანი ხეები ერთიმეორის გვერდით, ერთმანეთში ტოტებჩახლართულები, სანთლებისდარი წითელ-ყვითელი ყვავილებით მორთულ-მოკაზმულნი... უღრანის ზოგიერთ ადგილას ხეები საერთოდ არ ჩანდა, რადგან მიწიდან ზედ კენწეროებამდე ყველაფერი შთაენთქა ხვიარა მცენარეებს, რომლებიც თითქოსდა ლათინური დიდი ასოების W-სა და M-ის მსგავსად ფარდებად და გირლიანდებად ჩამოშვებულიყვნენ. კაუჩუკის ლიანები ხომ უთვალავი გველების მსგავსად დახვეოდნენ ხეებს და პირამიდებად ქცეულებისთვის თეთრი ყვავილი თოვლივით დაეყარათ. დიდრონი ლიანების გარშემო კიდევ უფრო წვრილები ჩახვეულიყვნენ და ისეთი ენითუთქმელი არეულდარეულობა შექმნილიყო, რომ ალაგ-ალაგ კედელივით აღმართული ტყის გავლა არც კაცს შეეძლო და არც რაიმე მხეცს. ზოგან, სადაც ოდესმე გაევლოთ სპილოებს, რომელთაც საერთოდ წინ ვერაფერი დაუდგება, ტევრებში თითქოსდა ღრმა, დაკლაკნილი დერეფნები გადიოდა.

ფრთოსანთა ჭიკჭიკს, რაც ასე ძალზე ალამაზებს ევროპის ტყეებს, საერთოდ ვერ გაიგონებდით. სამაგიეროდ, ხეთა კენწროებს შორის გაისმოდა უცნაურზე უცნაური გადაძახილები, რაც ხან ხერხის ხმას მოგაგონებდათ, ხან ქვაბზე კაკუნს, ხან წეროების ყიპყიპს, ხან ძველი ალაყაფის ჭრიალს, ხან ტაშისცემას, ხან კატების კნავილს, ხანაც ადამიანების ხმამაღალ ყაყანს. ხანდახან ხეების თავზე გამოჩნდებოდა ნაცრისფერი, მწვანე და თეთრი თუთიყუშების გუნდი, ანდა ნელა, ტალღა-ტალღად დარწეული ჭრელა-ჭრულაბუმბულიანი ტუკანების გროვა. კაუჩუკის ლიანების თოვლისფერ ფონზე დროდადრო ტყის სულებივით გაიელვებდნენ მგლოვიარე მაიმუნები, თავითბოლომდე შავებს მხოლოდ კუდები რომ ჰქონდათ თეთრი და გვერდებზეც თეთრი ზოლები დაუყვებოდათ.

ბავშვები განცვიფრებული შესცქეროდნენ ამ პირველყოფილ ტყეს, რომლისთვისაც, შესაძლოა, თეთრკანიან ადამიანს ჯერ თვალიც არ მოეკრა. ლომა წამდაუწუმ თავს შეყოფდა ტევრში, საიდანაც მისი მხიარული ყეფა ისმოდა ხოლმე. პაწია ნელი ქინაქინამ,

საუზმემ და დასვენებამ მოაღონიერა. სახე გამოუცოცხლდა და წამოუყირმიზდა, თვალებშიც მხიარული ცეცხლი აუკიაფდა. სტაშს წამი-წამ ეკითხებოდა ხეებისა და ჩიტების სახელებს, ის კი შეძლებისდაგვარად პასუხობდა. ბოლოს ცხენიდან ჩამოხტომა და ბევრი ყვავილის მოკრეფა მოიწადინა.

მაგრამ ბიჭს გაეღიმა და მიუგო:

– მიწაზე ფეხს დადგამ თუ არა, სიაფები შეგჭამენ.

– სიაფი რაღაა, ლომზე უარესია?

– არის და არც არის. მაგარი კბენია ჭიანჭველები არიან. ტოტებზე დაცოცავენ და ადამიანებს მხრებზე ცეცხლის წვიმასავით ეცემიან. თუმცა მიწაზეც ბევრი არიან. აბა, ერთი ცხენიდან ჩამოსვლა და ტყე-ტყე გავლა სცადე, უმალვე მაიმუნივით დაიწყებ ხტუნვასა და წივილს. ლომისგან თავის დაცვა უფრო ადვილია. ხანდახან ფართო მწკრივებად დაწყობილი მოდიან და მაშინ მათ ყველა სულდგმული გზას უთმობს.

– შენ მათ გაუმკლავდებოდი?

– მე? მაგას კითხვა უნდა?!

– როგორ?

– ცეცხლითა და კამით.

– შენ გამოსავალს ყოველთვის იპოვნი. – თქვა თავდაჯერებით.

სტაშს ნათქვამი ესიამოვნა და ამაყად, თან მხიარულად უპასუხა:

– შენ ჯანმრთელად იყავი და დანარჩენი ჩემს კისერზე იყოს.

– თავიც კი აღარ მტკივა.

– მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს!

ამ საუბრით გასცდნენ ტყეს, რომლის მხოლოდ ერთი მხარე მიდიოდა ხრამის კიდემდე. მზე კიდევ უფრო მაღლა აიწია და ძლიერ ჩამოცხა, რადგან შესანიშნავი ამინდი დაიჭირა და ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც აღარ ჩანდა. ცხენები გაიხვითქნენ და სიცხემ ნელიც შეაწუხა. ამის გამო სტაშმა თვალი მოჰკრა თუ არა მოსახერხებელ ადგილს, უმალვე ჩაუხვია ხეობისაკენ, სადაც დასავლეთის კედელი იქაურობას ღრმა ჩრდილს ჰფენდა. იქ საკმაოდ გრილოდა და გუშინდელი თავსხმის შემდეგ ღრმულებში ჩარჩენილი წყალიც შედარებით ცივი დარჩენილიყო. პატარა მოგზაურების თავზე ხრამის ერთი კიდიდან მეორეზე წამდაუწუმ დაფრინავდნენ ტუკანები, რომელთაც

თავები ცეცხლისფერი ჰქონდათ, გულები – ცისფერი, ფრთები კი – ყვითელი. სტაშმა ნელის მათ შესახებ წიგნში ამოკითხული ერთი ამბავი მოუთხრო.

– იცი, – უთხრა, – არიან ისეთი ტუკანები, რომლებიც გამოჩეკის ჟამს ხის ფუღუროს მოძებნიან, იქ დედალი კვერცხებს დადებს და ზედ დააჯდება, მამალი კი ფუღუროს თიხით ამოქოლავს ისე, რომ დედალს თავიღა უჩანს და მხოლოდ ბარტყის გამოჩეკის შემდეგ ანგრევს თიხას თავისი ვეება ნისკარტით და დედალს გარეთ უშვებს.

– მერე იმდენ ხანს რასა ჭამს?

– მამალი აჭმევს. სულ თავს დასტრიალებს და ნაირნაირ კენკრეულს უზიდავს.

– დაძინების ნებას თუ აძლევს? – ჰკითხა ძილმორეული ხმით.

სტაშს გაეღიმა.

– თუ პანი ტუკანოვასაც შენნაირად ეძინება, ნებას რთავს.

გრილ ხეობაში ნელის ძილმა მოსწყვიტა თავი, რადგან დილიდან შეუდღემდე ხეირიანად დასვენება ვერ მოახერხა. სტაშიც სიამოვნებით მიბაძავდა, მაგრამ არ შეეძლო, რადგან ეშინოდა, ცხენიდან არ გადავარდნოდა და ამიტომაც მკლავებით მაგრად ეჭირა, ამასთანავე, ძალზე მოუხერხებლად იჯდა ქალურ, ბრტყელ და განიერ უნაგირზე, რომელიც მოუწყვეს ნელის ჰატიმმა და სეკი-ტამალამ. განძრევას ვერ ბედავდა, რათა არ გაეღვიძებინა და ცხენიც დინჯად მიჰყავდა.

ამასობაში უკან გადახრილ გოგონას გემრიელად ჩაეძინა.

ისე მშვიდად და თანაბარზომიერად სუნთქავდა, რომ სტაში უკანასკნელ ქინაქინაზე დარდს შეეშვა. მის სუნთქვას მიყურადებულმა იგრძნო, რომ ციებ-ცხელების საშიშროება ამჯერად მოგერიებულ იქნა და უკვე სულ სხვა ფიქრი წამოეძალა:

“ხეობა სულ უფრო და უფრო მაღლა მიდის, შეიძლება ითქვას, ციცაბოზეც კი. რაც უფრო ზევით ავდივართ, მხარე მით უფრო მშრალია. საჭიროა მოიძებნოს ერთი მაღალი ადგილი, ყოველის მხრივ საიმედოდ დაცული, სადმე სწრაფი დინების მახლობლად, გაჩაღდეს მეურნეობა, რათა ორიოდ კვირა, ან თუნდაც მთელი წვიმიანი ამინდების ჟამიც კი, პაწიამ დაისვენოს. ბევრი ვერ გაუძლებდა ასეთ ტანჯვა-წამებას, ამიტომაც დასვენება აუცილებელია! ასეთი ღამის შემდეგ სხვა იმწამსვე ციებას აიკიდებდა, ამას კი – ნახე, რა მშვიდად სძინავს! მადლობა ღმერთს!”

ამ ფიქრებისგან მშვენიერ ხასიათზე დადგა, ჰოდა მკერდზე მიყრდნობილ ნელის თავს ზემოდან რომ დასცქეროდა, მხიარულად, მაგრამ ოდნავ განცვიფრებული ეუბნებოდა საკუთარ თავს:

“საკვირველი ამბავია პირდაპირ, რატომ მიყვარს ეს პაწაწკინტელა ბუზი! მართალია, ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ახლა უფრო მეტად მიყვარს!”

და, რადგან არ იცოდა, როგორ განემარტა საკუთარი თავისთვის ეს განსაკუთრებული მოვლენა, შემდგომ განსჯას დასჯერდა:

“ალბათ, იმიტომ, რომ ამდენი გზა ერთად გამოვიარეთ და თან მე ვზრუნავ მასზე”.

ამასობაში “პაწია ბუზის” ქამრისთვის ფრთხილად ჩაევლო მარჯვენა ხელი, რათა უნაგირიდან არ გადავარდნილიყო და პაწაწინა ცხვირი არ გაეტეხა. მდუმარენი ტაატით მიიწევდნენ წინ, მხოლოდ კალი დუდღუნებდა თავისთვის სტაშის ხოტბას:

– დიდმა ბატონმა მოკლა გებჰრი, დახოცა ლომი და კამეჩი! უაჰ! დიდმა ბატონმა კიდევ მოკლა ბევრი ლომი! უაჰ! ბევრი ხორცი! ბევრი ხორცი! უაჰ! უაჰ!..

– კალი, – წყნარად ჰკითხა სტაშმა, – ვა-ჰიმა ლომებზე ნადირობს?

– ვა-ჰიმა შიში ლომების, მაგრამ ვა-ჰიმა თხრა ღრმა ორმოები და თუ ღამით ლომი შიგ ჩავარდა, მაშინ ვა-ჰიმა სიცილი.

– მერე რას შვრებით?

– ვა-ჰიმა ბევრი შუბების სროლა და ლომი ზღარბის მსგავსი. მაშინ ის ამოღება ზევით და ჭამა. ლომი კარგია.

და ხელი ჩვეულებისამებრ დაისვა მუცელზე.

სტაშს მაინცდაიმაინც არ მოეწონა ნადირობის ამგვარი ხერხი, მაგრამ მაინც გამოჰკითხა, კიდევ რა ნადირი არსებობდა ვა-ჰიმას ქვეყანაში და ანტილოპებზე, სირაქლემებზე, ჟირაფებსა და მარტორქებზე მანამ საუბრობდნენ, სანამ მათ სმენამდე ჩანჩქერის ხმაურმა არ მოაღწია.

– ეს რაღაა? – შესძახა სტაშმა, – ჩვენ წინ მდინარე და ჩანჩქერია?

კალიმ თავი დაუქნია, ალბათ, ასეაო.

ერთხანს ფეხაჩქარებით მიდიოდნენ, თან ყურს უგდებდნენ ხმაურს, რომელიც თანდათან მკვეთრი ხდებოდა.

– ჩანჩქერი! – გაიმეორა გულისხმაში ჩავარდნილმა სტაშმა.

მაგრამ ის-ის იყო, პირველ და მერე მეორე მოსახვევს გასცდნენ, რომ ანაზდად გადააწყდნენ ხერგილს, რომელიც გზის გაგრძელების საშუალებას არ იძლეოდა.

გამოღვიძებულმა ნელიმ ანაზდად თვალები ჭყიტა.

– უკვე ღამის გასათევად შევჩერდით? – იკითხა.

– არა, აბა შეხედე! – მიუგო სტაშმა. – ხეობა კლდეს ჩაუკეტავს.

– რაღა უნდა ვქნათ?

– აქ გაძრომა შეუძლებელია, რადგან ძალიან ვიწროა, ამიტომ ცოტათი უკან უნდა გავბრუნდეთ, მთაზე ავიდეთ და წინააღმდეგობას გვერდი ავუაროთ, მაგრამ საღამომდე კიდევ ორი საათია, ასე რომ, დრო კიდევ გვაქვს. ცხენებმაც დაისვენონ. გესმის ჩანჩქერის ხმა?

– მესმის.

– ჰოდა, ღამეს მის ნაპირას გავათევთ.

რის შემდეგაც კალის მიუბრუნდა, თხრილის კიდეზე აცოცებულიყო და დაეთვალიერებინა, ხეობის ძირში კიდევ ხომ არ იყო მსგავსი ხერგილები, თავად კი ყურადღებით დააკვირდა კლდეს და წუთის შემდეგ შესძახა.

– ეს ახლახან მომწყდარა და ჩამოვარდნილა. ნელი, ხედავ ამ ნამსხვრევებს, სულ ახლებია. არც ხავსი აქვს სადმე და არც რაიმე ბალახი. მესმის, უკვე მესმის!

და გოგონას ხელით ანიშნა ხეობის კიდეზე აღმართული ბაობაბისკენ, რომლის ვეებერთელა ფესვი კლდის ჩამონატეხ კედელზე გადმოკიდებულიყო.

– აი, სწორედ ეს ფესვი ჩაზრდილა კედელსა და კლდეს შორის ნაპრალში და, როცა გაიზარდა, ჩანს, ბოლოს კლდე გახეთქა. ეს ძალიან განსაკუთრებული ამბავია და, თუმცა ქვა ხეზე მაგარია, გამიგონია, რომ მთაში ასეთი რამ ხდება. რაღაც შეარხევს კლდეს, რომელიც თავს ძლივსღა იჭერს, და მოსწყდება ხოლმე.

– კი მაგრამ, რას უნდა შეერხია?

– ძნელი სათქმელია... შესაძლოა წინანდელ ქარიშხალს, შეიძლება გუშინწინდელს.

ამ დროს ქარავანს ჩამორჩენილი ლომა მოიჭრა, თითქოსდა უკნიდან კუდზე მოქაჩესო, ისე მოწყვეტით შეჩერდა, რაღაც იგრძნო, კედელსა და მოწყვეტილ კლდეს შორის დარჩენილ ვიწრო ხვრელში თავი შეჰყო, მაგრამ ბალანაშლილმა უმალვე უკან ისკუპა.

სტაში ცხენიდან ჩამოხტა იმის დასანახად, თუ რას უნდა შეეშინებინა ძაღლი.

– სტაშ, ნუ მიხვალ, – შეეხვეწა ნელი, – შეიძლება იქ ლომი იყოს.

სტაში, ცოტა არ იყოს, ბაქიაც იყო და ლომებზე წუხანდელი გაბრაზებულიც, ჰოდა, დაუდევრად შესძახა:

– დიდი ამბავი ლომი და ისიც დღისით!

და სანამ ხვრელს მიუახლოვდებოდა, ზემოდან კალის ხმა გაისმა:

– ბვანა კუბვა! ბვანა კუბვა!

– რა იყო? – ჰკითხა სტაშმა.

ზანგი თვალის დახამხამებაში ხვიარაზე ჩამოსრიალდა. სახეზე ეტყობოდა, რაღაც მნიშვნელოვანი რომ შეეტყო.

– სპილო! – შესძახა.

– სპილო?

– ჰო, – ხელების ქნევით მიუგო ახალგაზრდა ზანგმა. – იქ მქუხარე წყალია, აქ კი – კლდე. სპილოს ვერ გამოსვლა. დიდი ბატონი სპილო მოკვლა, კალი კი ჭამა, ჭამა, ოჰ, ჭამა!

და ამის გაფიქრებაზე ისეთმა სიხარულმა მოიცვა, რომ ხტუნვას მოჰყვა, ხელებს მუხლებზე იტყაპუნებდა და გიჟურად იცინოდა, თან თვალებს ატრიალებდა, თეთრ კბილებს აელვებდა.

სტაში უცებ ვერ მიხვდა, რატომ თქვა კალიმ, სპილოს ხეობიდან გასვლა არ შეუძლიაო, და საკუთარი თვალით რომ ენახა, რა ხდებოდა, ცხენზე შეჯდა, ნელი მეას ჩააბარა, რათა ხელები თავისუფლოად ჩაეჭიდებინა თოფისთვის. კალი ცხენზე შემოისვა, ყველა უკან დაბრუნდა და მაღლა ასასვლელს დაუწყეს ძებნა. გზადაგზა სტაში კალის ეკითხებოდა, როგორ უნდა მოხვედრილიყო სპილო იქ, სადაც მან ნახა და მისი პასუხიდან ასე თუ ისე, რაღაცას მიხვდა.

ჯუნგლებში ხანძრიანობის ჟამს სპილო, ეტყობა, ხეობაში გაიქცა; ერთგან კლდის შვერილს დააწვა, ის კი ჩამოიქცა და გზა ჩაეკეტა. მერე თხრილის ბოლომდე ირბინა და უცებ აღმოჩნდა უფსკრულის პირას, სადაც მდინარე ეშვებოდა და ამგვარად ჩაიკეტა.

კარგა ხნის შემდეგ ახალგაზრდა მოგზაურებმა იპოვეს ამოსასვლელი, მაგრამ ერთობ დამრეცი, ასე რომ, ცხენებიდან ჩამოსვლა მოუხდათ. ზანგის თქმით, მდინარემდე სულ ახლო იყო და ფეხით წასვლა გადაწყვიტეს. როგორც იქნა, მთის თხემზე ავიდნენ. იქ ერთ მხარეს მდინარე მიედინებოდა, მეორე მხარეს კი ხრამი იყო. სწორედ იმ ხრამის ძირში დაინახეს სპილო.

უზარმაზარი ცხოველი მუცელზე იწვა და სტაშის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან მათ დანახვაზე არც კი შერხეულა, ოღონდ როცა ლომა ხრამის კიდეს მიაწყდა და იქაურობა ყეფით აიკლო, ვეებერთელა ყურები ერთი შეარხია და ხორთუმი აწია, მაგრამ უმალვე ისევ ძირს დაუშვა.

ხელიხელჩაკიდებული ბავშვები დიდხანს დასცქეროდნენ მდუმარედ, ეს მდუმარება კალის ხმამ დაარღვია.

– შიმშილით სიკვდილი! – შესძახა.

მართლაც სპილო ისე გამხდარიყო, ხერხემალი სავარცხელს მიუგავდა. ფერდები ჩაცვენოდა, კანქვეშ, თუმცა იგი საკმაოდ უხეში ჰქონდა, გარკვევით იხატებოდა ნეკნები და ადვილი მისახვედრი იყო, რომ უძლურების გამო ვეღარ დგებოდა.

კლდის ვერტიკალურ კედლებს ხრამი სწორედ ამ ადგილას ექცია თითქმის ღრმა ორმოდ, რომლის ძირშიაც რამდენიმე ხე იზრდებოდა. დამტვრეულ ხეებს აღარც კანი შერჩენოდა და აღარც ფოთოლი. კლდეზე ჩაშვებული ხვიარა მცენარეებიც დაფლეთილ-შეჭმული იყო, ბალახიც ერთიანად გადაწიწკნილი.

შექმნილ მდგომარეობას დაწვრილებით გაცნობილ სტაშს თავისი დაკვირვების ნელისთვის გაზიარება მოუნდა, მაგრამ ვეებერთელა ცხოველის უცილობელი სიკვდილით გულშეძრული ნელ ხმაზე ალაპარაკდა, თითქოსდა ეშინოდა, სიცოცხლის ბოლო წუთები არ მოვუშხამოო.

– მართლაც შიმშილით კვდება. აქ ალბათ ორ კვირაზე მეტხანს წევს, ე. ი. იმ დროდიდან, როცა ხანძარმა ძველი ჯუნგლები გადაწვა. რაც შესაჭმელი იყო – შეჭამა. ახლა კი მხოლოდ იტანჯება, მით უფრო, რომ ზემოთ პურისა და აკაციის ხეებს ხედავს და ვერ სწვდება.

ერთხანს ისევ მდუმარედ უცქერდნენ, სპილოც წამიწამ შემოჰყურებდათ თავისი პაწია, მიმქრალი თვალებით და ყელიდან რაღაც ბუყბუყისნაირ ბგერებს გამოსცემდა.

– მართლაც, – ხმა ამოიღო ბიჭმა, – უმჯობესი იქნება, ტანჯვას თუ შევუმოკლებ.

ეს რომ თქვა, თოფი სახესთან მიიტანა, მაგრამ ნელი ქურთუკზე ჩააფრინდა და ფეხებზე მტკიცედ დაყრდნობილმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხრამის კიდიდან გამოქაჩა.

– სტაშ, ნუ იზამ მაგას! სტაშ, საჭმელი ჩავუყაროთ! ხომ ხედავ, რა საცოდავია! მე არ მინდა, რომ მოკლა, არ მინდა! არ მინდა!

და ფეხებაბაკუნებული ისე ებღაუჭებოდა, საგონებელში ჩავარდნილმა ბიჭმა განცვიფრებული მზერა ესროლა და მისი ცრემლჩამდგარი თვალების დანახვაზე ესღა ამოღერღა:

– კი, მაგრამ, ნელი!..

– არ მინდა! მოკვლას არ დაგანებებ! შენ თუ მაგას მოკლავ, იცოდე, ციება შემეყრება...

სტაშისთვის სრულიად საკმარისი იყო ეს მუქარა, რომ უარი ეთქვა მკვლელობის განზრახვაზე, თუნდაც მათ წინ წამოწოლილი სპილო ყოფილიყო ეს და თუნდაც სულ სხვა რამ სულიერი – ერთხანს დუმდა, რადგან არ იცოდა, პაწიასთვის რა ეპასუხა, მერე კი თქვა:

– ჰო, კარგი! კარგი!.. გეუბნები, კარგი-მეთქი! ხელი გამიშვი, ნელი.

ნელი უმალვე მოეხვია და ნამტირალევი თვალები ღიმილმა გაუნათა. ახლა იმასღა ფიქრობდა, რაც შეიძლება ჩქარა ეჭმია სპილოსთვის. კალისა და მეას განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შეიტყვეს, რომ ბვანა კუბვა სპილოს არათუ არ მოკლავდა, პირიქით, მათ დაავალებდა, უმალვე დაეკრიფათ იმდენი პურის ხის ნაყოფი, იმდენი აკაციის ტოტები და იმდენი ყოველნაირი ბალახეული, რამდენსაც მოერეოდნენ. გებჰრის სუდანური ორლესული მახვილი კალის ამ საქმეში ერთობ გამოადგა და ის რომ არა, ძალიან გაუჭირდებოდა. ნელი საქმის დამთავრებას არ დაელოდა და, მოწყდა თუ არა პურის ხეს პირველივე ნაყოფი, ორივე ხელი დაავლო, ხრამისკენ გაიქცა, თითქოს მის წაღებაში სხვა ვინმე ეცილებაო და წამდაუწუმ იმეორებდა:

– მე! მე! მე!

სტაში არც აპირებდა მისთვის ამ სიამოვნების მოკლებას, ოღონდ იმის შიშით, ნესვისხელა ნაყოფს ამ სიჩქარეში თავადაც არ გადაჰყოლოდა, წელში ხელი წაავლო და შესძახა:

– ისროლე!

ვეებერთელა ნაყოფი დამრეც ფერდობზე ჩაგორდა და ზედ სპილოს ფეხებთან დაეცა. მან კი თვალისდახამხამებაში გამოყო ხორთუმი, შიგ მოიგდო და ისე სწრაფად ჩაუძახა პირში, ბავშვებმა თვალიც ვერ მოჰკრეს.

– შეჭამა! – შესძახა გახარებულმა ნელიმ.

– ასეც ვიცოდი! – სიცილით მიუგო სტაშმა.

სპილომ კი ხორთუმი მათკენ აიშვირა, თითქოს კიდევ სთხოვთ საჭმელსო და ძლიერი ხმა ამოუშვა:

– ჰრუუმფ!

– კიდევ უნდა!

– ასეც ვიცოდი! – გაიმეორა სტაშმა.

პირველ ნაყოფს მეორე მიჰყვა და ისიც ისევე გაუჩინარდა, მერე მესამე, მეოთხე, მეათე; მათ აკაციის ტოტები და ყოველგვარი ბალახი და ფოთლები მიჰყვა და მიჰყვა. ნელი პირველობას არავის უთმობდა და, როცა პაწია ხელები დაეღალა, ფეხებით ყრიდა ახალ-ახალ მარაგს, სპილო კი ჭამდა, დროდადრო ხორთუმს აწევდა და მქუხარე "ჰრუმუმფ"-ს დაუძახებდა ნიშნად იმისა, რომ სულ უფრო მეტი და მეტი სურდა, ნელის მტკიცებით კი, ასე მადლობას იხდიდა.

ბოლოს კალი და მეა დაიქანცნენ; გაცხარებით იმიტომ მუშაობდნენ, ეგონათ, ბვანა კუბვა სპილოს ჯერ გაასუქებს და მერე მოკლავსო. როგორც იქნა, ბვანა კუბვამ მუშაობის შეწყვეტის ნება დართო, რადგან მზე უკვე გადაიწვერა დასავლეთისკენ და დრო იყო, ზერიბას აგებას შესდგომოდნენ. საბედნიეროდ, ეს ძნელი საქმე არ გამოდგა, რადგან სამკუთხა გორაკის ორი გვერდი სრულიად მიუდგომელი იყო, ასე რომ, მხოლოდ მესამე გვერდი უნდა ამოეყვანათ. არც გრძელეკლიანი აკაციის ტოტების შოვნა ჭირდა.

ნელი ხრამს ნაბიჯითაც არ სცილდებოდა და კიდესთან ჩაცუცქებული სტაშს შორიდან ამცნობდა, რას აკეთებდა სპილო და დროდადრო მისი წვრილი ხმა გაისმოდა:

– თავის ხორთუმს ეძებს!

ან:

– ყურებს არხევს. უშველებული ყურები აქვს!

და ბოლოს:

– სტაშ! სტაშ, დგება! ოი!

სტაში სწრაფად მიუახლოვდა და ნელის ხელი წაავლო. მართლაც, სპილო წამოდგა და ბავშვებმა ახლაღა შეძლეს მისი მთლიანად დანახვა. ადრეც რამდენიმეჯერ ენახათ დიდი სპილოები, რომლებიც სუეცის არხზე გადაჰყავდათ გემებით ინდოეთიდან ევროპაში, მაგრამ სიდიდით ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრებოდა ამ გოლიათს, ოთხ ფეხზე მოსიარულე ვეებერთელა კლდისხელა არსებას. გარდა ამისა, უზარმაზარი ეშვებითა და, როგორც ნელიმ შენიშნა, ზღაპრული ყურებითაც გამოირჩეოდა. ძალზე მაღალი, მაგრამ

შედარებით წვრილი წინა ფეხები ჰქონდა, რისი მიზეზიც, ალბათ, მრავალდღიანი მარხვა იყო.

– ესეც შენი ჯუჯა! – შესძახა სტაშმა. – რომ გაეზმორა და ხორთუმი მაღლა ამოეშვირა, ფეხშიც ჩაგავლებდა.

მაგრამ გოლიათი არც გაზმორებას აპირებდა და არც არავისთვის ხორთუმის ჩავლებას. ბარბაცით მიუახლოვდა ხრამის პირს, ერთხანს დაკვირვებით უყურა უფსკრულს, რომლის ძირშიც წყალი ბობოქრობდა, მერე ჩანჩქერის გვერდითა კედელს მიადგა, ხორთუმი გადაიშვირა და წყლის სმას შეუდგა.

– მისი ბედი, – თქვა სტაშმა, – რომ ხორთუმით წყალსა წვდება, თორემ აქამდე გაჭიმავდა ფეხს.

სპილო იმდენ ხანს სვამდა, რომ გოგონა მოუთმენლობამ შეიპყრო.

– სტაშ, ხომ არ აწყენს? – ჰკითხა.

– არ ვიცი, – მიუგო სიცილით, – მაგრამ, თუ მაგისი მეურვეობა იკისრე, ბოლომდე უნდა მოუარო.

ნელი კიდეზე გადაიხარა და ჩასძახა:

– გეყოფა, საყვარელო სპილოვ, გეყოფა!

საყვარელმა სპილომ თითქოს გაიგოო, უმალვე შეწყვიტა წყლის სმა, სამაგიეროდ წუწაობას მოჰყვა: წყალი ჯერ ფეხებზე შეისხა, მერე – ზურგზე და ბოლოს – ფერდებზე.

ამასობაში ჩამობნელდა კიდეც და ვაჟმა გოგონა ზერიბას შიგნით შეიყვანა. იქ უკვე ვახშამი ელოდათ.

ორივენი შესანიშნავ ხასიათზე იდგნენ: ნელი იმად, რომ სპილოს სიცოცხლე შეუნარჩუნა, სტაში კი იმიტომ, რომ სიამით შესცქეროდა სიხარულისაგან ვარსკვლავივით გაბრწყინებულ მის თვალებსა და ხალისიან, ჯანსაღ პაწაწინა სახეს. ბიჭის გასახარად შესანიშნავი, მშვიდი ღამე დგებოდა. ორი მხრიდან მიუვალი გორაკი თავდასხმის საშიშროებას გამორიცხავდა, მესამე მხარეს კი კალიმ და მეამ აკაციის ტოტებისა და ეკალ-ბარდებისაგან იმსიმაღლე კედელი აღმართეს, რომ ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, რომელიმე მტაცებელ ნადირს მისი გადაქელვა მოეხერხებინა. ამასთანავე, დიდებული ამინდი დაიჭირა და მზის ჩასვლისთანავე ცა ვარსკვლავებით მოიჭედა.

“არ შეეყრება ამ მღილს ციება!” – სიხარულით ფიქრობდა სტაში.

მერე სპილოზე დაიწყეს საუბარი, რადგან ნელის სხვა რამეზე ლაპარაკი ახლა წარმოუდგენლად ეჩვენებოდა და სულ მის დიდ ტანს, ხორთუმსა და მართლაც ვეებერთელა ეშვებს აქებდა და ადიდებდა. ბოლოს იკითხა:

– სტაშ, ხომ მართლა ჭკვიანია?

– სოლომონ ბრძენივით, – მიუგო ყმაწვილკაცმა. – მაინც როგორ დაასკვენი?

– როგორ და, ვთხოვე თუ არა, მეტი აღარ დალიო-თქო, უმალვე დამიჯერა.

– თუ აქამდე ინგლისურის გაკვეთილები არ მოუსმენია და ეს ენა მაინც ესმის, მართლაც დაუჯერებელი ამბავია.

ნელი მიხვდა, რომ ვაჟი დასცინოდა, კნუტივით წაიქშუტუნა და უთხრა:

– რაც გინდა, ის თქვი, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ ჭკვიანია და მალე მოგვეჩვევა.

– მაგისი რა გითხრა, მაგრამ მისი მოჩვევა შეიძლება. აფრიკული სპილოები აზიურებზე ბევრად ველურები არიან, მაგრამ მაინც მგონია, ჰანიბალი აფრიკულებს იყენებდა.

– ჰანიბალი ვინღაა?

სტაშმა გოგონას ამაყად, ამასთანავე, თანაგრძნობით გადახედა.

– რასაკვირველია, – უთხრა, – შენი ხნის ადამიანს ასეთი რამის ცოდნა არ მოეთხოვება. ჰანიბალი იყო დიდი კართაგენელი ბელადი, რომელიც რომაელების წინააღმდეგ საბრძოლველად სპილოებს იყენებდა და, რამდენადაც კართაგენი აფრიკაში მდებარეობდა, სწორედ აფრიკულებს გამოიყენებდა...

მათი საუბარი დანაყრებულ-დარწყულებული სპილოს ძლიერმა საყვირისებურმა ხმამ შეწყვიტა, ოღონდ ვერ გაიგეს, რა აყვირებდა, – სიხარული თუ დაკარგული თავისუფლების მონატრება. ლომა წამოხტა და ყეფას მოჰყვა, – სტაშმა კი თქვა:

– ეგეც შენ! ახლა ამხანაგებს მოაგროვებს. კაი სანახავები ვიქნებით, აქ რომ მთელი ჯოგი მოგვადგეს.

– სხვებს იმიტომ ეძახის, რომ გააგებინოს, რა სიკეთეც ვუყავით! – საჩქაროდ მიუგო გოგონამ.

სტაშმა, რომელიც მართლა კი არ შეშინებულა, რადგან თვლიდა, ჯოგი კიდევაც რომ მოსულიყო, ცეცხლი დააფრთხობდა, ჯიუტად გაიღიმა და თქვა:

– კარგი, კარგი! მაგრამ, სპილოები თუ მართლა გამოჩნდნენ, დარწმუნებული ვარ შიშისაგან კი არ ატირდები, არა! – თვალები გაგიოფლიანდება, როგორც ორჯერ უკვე დაგემართა.

და გამოაჯავრა:

– კი არ ვტირი, თვალები გამიოფლიანდა!

მისი მხიარული სახის დანახვაზე ნელი მიხვდა, რომ არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდათ.

– როცა მოვიჩვევთ, – თქვა, – ათმა ლომმაც რომ დაიღრიალოს, თვალები აღარ გამიოფლიანდება.

– რატომ?

– რატომ და ეს დაგვიცავს.

სტაშმა ძლივს დააწყნარა ლომა, რომელიც გამეტებით უყეფდა სპილოს, მერე გულისხმაში ჩავარდნილმა ასე დაიწყო:

– ერთი რამ არ გაგითვალისწინებია, ნელი. ჩვენ აქ სამუდამოდ როდი დავრჩებით, როცა იქნება, გზა ხომ უნდა განვაგრძოთ. არც ახლავე წასვლას ვაპირებ, მაგრამ... მოკლედ, კარგი და ჯანმრთელი ადგილია, ჰოდა, გადავწყვიტე, აქ დავრჩეთ... შესაძლოა ერთ ან ორ კვირას, შენც და ჩვენ ყველას დასვენება გვესაჭიროება, ჰო, კარგი! სანამ აქ ვიქნებით, სპილოს საჭმელს არ მოვაკლებთ, თუმცა ეს ყველას მძიმე ტვირთად დაგვაწვება, მაგრამ ხომ იცი, ჩაკეტილია და მის წაყვანას მაინც ვერ შევძლებთ. მაშასადამე, რა მოელის? ჩვენ წავალთ, ის კი აქ დარჩება და ისევ შიმშილი და ტანჯვა მოელის, სანამ სული არ გასძვრება. მაშინ ხომ უფრო შეგვეცოდება...

ნელი ძალზე დანაღვლიანდა და ერთხანს გატრუნული იჯდა, რადგან ამ სწორ შენიშვნაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა, მაგრამ მოგვიანებით თავი აწია, თვალებზე ჩამოშლილი თმის კულულები შეისწორა და ბიჭს ნდობით აღსასე მზერა ესროლა:

– ვიცი, – უთხრა, – შენ თუ მოიწადინე, აუცილებლად ამოიყვან ხრამიდან.

– მე?

გოგონამ თითუნიები გაიწვდინა, სტაშის ხელს შეახო და გაიმეორა:

– შენ.

პაწია, ეშმაკი ქალუნია მიხვდა, რომ ყმაწვილს შექება ეამებოდა და იმ წუთიდანვე დაიწყებდა ზრუნვას სპილოს გასათავისუფლებლად.

კარი XXVI

ღამემ მშვიდად ჩაიარა, და თუმცა სამხრეთით ცა ჯანღი ღრუბლით დაიფარა, დილა მზიანი გათენდა. სტაშის ბრძანებისამებრ, კალი და მეა ნასაუზმევსვე შეუდგნენ სპილოსათვის პურის ნაყოფის, აკაციის ტოტების, ქორფა ფოთლებისა და ბალახბულახის შეგროვებას და ყველაფერ ამას ხრამის პირას უყრიდნენ თავს, რადგანაც ნელის საკუთარი ხელით სურდა სპილოს დაპურება. სტაშმა ახალგაზრდა გაბორჯღლილი ლეღვის ხის ტოტი ფიწალივით გამოთალა, რათა გოგოს მარაგი ხრამში იოლად ჩაეყარა. სპილო დილიდანვე ბღაოდა, რაც, ალბათ, იმის მაუწყებელი იყო, რომ საჭმელს ითხოვდა და, როცა კიდესთან თვალი მოჰკრა იმავე პაწია თეთრ არსებას, რომელმაც გუშინ აჭამა, მხიარული ბუყბუყით მიესალმა და მისკენ უმალვე ხორთუმი ამოიშვირა.

დილის შუქზე ბავშვებს იგი გუშინდელზე ბევრად უფრო დიდი მოეჩვენათ. ერთობ გამხდარი იყო, მაგრამ უკვე მაძღარს ჰგავდა და ნელის თავისი პაწია, ცქაფი თვალებით უკვე მხიარულად შესცქეროდა. ნელის აზრით, წინა ფეხები ერთ ღამეში შევსებოდა და საჭმელს ისე გამალებით ეძგერა, სტაში იძულებული შეიქმნა, გოგონა დაევიწყებინა და ბოლოს, აქოშინებულს, თავად შენაცვლებოდა მუშაობაში. ორივე დიდებულად გაერთო, განსაკუთრებით სპილოს "მანჭვაზე". თავდაპირველად სიამოვნებით ჭამდა ყველაფერს, რაც მის ფეხებთან დაეცემოდა, მაგრამ შიმშილის გრძნობა რომ დაიკმაყოფილა, არჩევა დაიწყო. რომელიც ძალიან არ ეგემრიელებოდა, იმ ბალახს წინა ფეხით გაწეწავდა და მერე ხორთუმით მაღლა ისროდა. ბოლოს, სიამოვნების ნიშნად თავისი ვეებერთელა ყურების პარტყუნს მოყვა.

– დარწმუნებული ვარ, – ამბობდა ნელი, – ახლა მასთან რომ ჩავიდეთ, არას დაგვიშავებს. – და სპილოს ჩასძახა:

– სპილოვ, საყვარელო სპილოვ, ხომ მართლა არაფერს დაგვიშავებ?

და, როცა სპილომ პასუხად ხორთუმი დაიქნია, ბიჭს მიუბრუნდა:

– ხედავ, გვითხრა, ჰოო!

– შესაძლებელია. – მიუგო სტაშმა. – ესენი ძალზე გონიერი ცხოველები არიან და უეჭველად მიხვდა, რომ ორივენი ვჭირდებით. ვინ იცის, ეგების ჩვენდამი მადლიერების მცირე გრძნობაც კი გაუჩნდა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც თავის შეკავება გვმართებს, განსაკუთრებით კი ლომას, რადგან მაგას აუცილებლად მოკლავს, მაგრამ, შესაძლებელია, დროთა განმავლობაში ეგენიც დამეგობრდნენ.

სპილოთი შემდგომი აღფრთოვანება მათ შეაწყვეტინა კალიმ, რომელიც მიხვდა, გოლიათის გამოსაკვებად ყოველდღე რომ უნდა ეშრომა, სტაშს გამამხნევებელი ღიმილით მიუახლოვდა და უთხრა:

– დიდი ბატონი სპილოს მოკვლა, კალი ბალახისა და ტოტების შეგროვების ნაცვლად მისი შეჭმა.

მაგრამ “დიდ ბატონს” აზრადაც არ მოსვლია ცხოველის მოკვლა და პასუხის მომლოდინე კალის მკვირცხლად მიახალა:

– ვირი ხარ!

საუბედუროდ, ვერ გაიხსენა კი–სვაჰილის ენაზე ვირი როგორ ითქმოდა და ინგლისურად წარმოთქვა “დონკეყ”. რამდენადაც ინგლისურისა კალის ინჩიბინჩი არ გაეგებოდა, სტაშის ნათქვამი ქათინაურად თუ შექებად მიიჩნია, რადგან მოგვიანებით ბავშვებმა ყური მოჰკრეს, მეას ტრაბახით რომ ეუბნებოდა:

– მეას აქვს შავი კანი და შავი ტვინი, კალი კი არის “დონკეი”, – და მერე ამაყად დასძინა:

– დიდმა ბატონმა თქვა, კალი “დონკეი” არისო.

ამასობაში სტაშმა ორივეს უბრძანა, პაწია ქალბატონს თვალისჩინივით გაფრთხილებოდნენ და თუ ოდნავ საეჭვო რაიმეს შენიშნავდნენ, უმალვე დაეძახებინათ, თოფი აიღო და ხეობის ჩამკეტი მოწყვეტილი კლდისაკენ გაეშურა. ადგილზე მისულმა იქაურობა საგულდაგულოდ მიჩხრიკ-მოჩხრიკა, ნაპრალები დაათვალიერა, ჯოხი კლდის ქვედა მხარეს გაჩენილ ხვრელში შეყო, სიღრმე დაკვირვებით გაზომა, მერე ბანაკს დინჯი ნაბიჯით მიაშურა, ვაზნების კოლოფი გახსნა და თვლას შეუდგა.

ის-ის იყო, სამასამდე დათვალა, რომ კარვიდან ორმოცდაათიოდ ნაბიჯზე აღმართულ ბაობაბზე ასული მეას ხმა მოესმა.

– ბატონო, ბატონო!

სტაში უმალვე მიუახლოვდა ვეებერთელა ხეს, რომლის ფუღურეოიანი ტანი კოშკს მიაგავდა და ჰკითხა:

– რა გინდა?

– სულ ახლოს ბევრი ზებრა ჩანს, იმათ იქით კი ანტილოპები ბალახებზე.

– კარგი. თოფს ავიღებ და წავალ, რადგან შებოლილი ხორცია საჭირო. კი, მაგრამ, ხეზე რისთვის ასულხარ ან მანდ რას აკეთებ?

გოგონამ ამაზე ნაღვლიანი და მჟღერი ხმით მიუგო:

– მეამ ხეზე ნაცრისფერი თუთიყუშების ბუდე დანახვა და პატარა ქალბატონისთვის უნდა მიყვანა, მაგრამ ბუდე ცარიელი და მეას მძივებს აღარ მისცემენ.

– მოგცემენ, რადგან პატარა ქალბატონი გიყვარს.

ზანგი გოგო მკვირცხლად ჩამოცოცდა დახორკლილკანიანი ხიდან და სიხარულისაგან თვალებაციმციმებული იმეორებდა.

– ო, დიახ! დიახ! მეას ძალიან უყვარს ისიც და მძივებიც!

სტაშმა თავზე ალერსიანად გადაუსვა ხელი, მერე თოფი აიღო, ვაზნების კოლოფი დახურა და უმალვე გაეშურა იქითკენ, სადაც ზებრები ბალახობდნენ. ნახევარ საათში ბანაკამდე სროლის ხმამ მოაღწია, ხოლო ერთი საათის შემდეგ მობრუნებულმა პატარა მონადირემ კარგი ამბავი მოიტანა – ახალგაზრდა ზებრა მოვკალიო, თან ირგვლივ უამრავი ცხოველია, უთვალავი ზებრისა და ანტილოპების ჯოგების გარდა, მდინარის შორიახლო წყლის თხებიც დავინახეო.

ბოლოს კალი ცხენით გაგზავნა ნანადირევის მოსატანად, თავად კი გოლიათი ბაობაბის დათვალიერებას შეუდგა, ირგვლივ შემოუარა და ახორკლილ ქერქზე კონდახი რამდენიმეჯერ დაჰკრა.

– რას აკეთებ? – ჰკითხა ნელიმ.

– შეხედე, რამხელაა! – უპასუხა. – თხუთმეტი კაცი ვერ შემოაწვდენს ხელს ამ ხეს, რომელსაც, ვინ იცის, ფარაონების დროც კი ახსოვს. მაგრამ ამის ქვედა ნაწილი ფუტურეა და გამოფუღუროებული. ხომ ხედავ ამ ღიობს, აქედან შესასვლელია. შიგნით შეიძლება მოეწყოს უშველებელი ქოხისნაირი რაღაც, სადაც ყველანი ვიცხოვრებდით. ამ აზრმა მაშინ გამიელვა თავში, მეა რომ ტოტებს შორის დავინახე და მერეც, ზებრაზე სანადიროდ წასული, სულ ამაზე ვფიქრობდი.

– კი, მაგრამ, ჩვენ ხომ აბისინიაში უნდა გავიქცეთ?!

– სწორია. მაგრამ ჯერ უნდა დავისვენოთ და გუშინაც გითხარი, რომ აქ ერთი ან ორი კვირით დარჩენა გადავწყვიტე. შენ შენი სპილოს მიტოვება არ გინდა, მე კი შენ გამო მეშინია უკვე დაწყებული წვიმიანობის გამო, რომლის დროსაც ციება გარდუვალია. ხომ ხედავ, დღეს კარგი დარია, მაგრამ აგერ სულ უფრო და უფრო მუქი ღრუბლები იყრის თავს და, ვინ იცის, თავსხმა საღამომდეც კი დაიწყოს. კარავი საკმარისად ვერ დაგიფარავს და, თუ ბაობაბი ზედ წვერამდე ფუტურო არ არის, წარღვნაც კი ვერას დაგვაკლებს. თან ფუღუროში თავს უფრო უშიშრად ვიგრძნობთ, ვიდრე კარავში, თუკი ყოველ საღამოს იმ ღიობსა და შუქისთვის დატოვებულ სარკმელს ეკალ-ბარდებით ამოვქოლავთ, ხის მახლობლად რამდენსაც უნდა, იმდენმა ლომმა იღრიალოს. საგაზაფხულო წვიმიანობა თვეზე მეტხანს არ გრძელდება და, ჩემი აზრით, სჯობს აქვე გადავიწვიმოთ. ჰოდა, თუ ასეა, სხვაგან წასვლას ისევ ეს ადგილი გვირჩევნია, ისიც ამ ვეებერთელა ხის ფუღუროში, ვიდრე – კარავში.

ნელი სტაშს ყველაფერზე ეთანხმებოდა, ჰოდა, ახლაც დაეთანხმა, მით უფრო, რომ სპილოსთან დარჩენა და ბაობაბში ცხოვრება მეტისმეტად მოეწონა. მერე იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ მოაწყობდნენ ოთახს, რა ავეჯს დადგამდნენ და როგორ დაპატიჟებდნენ ერთმანეთს ფივე ო”ცლოცკ-სა და სადილზე. ბოლოს ორივე ძალიან გამხიარულდა და ნელიმ ახალი ბინის უმალვე დათვალიერება მოისურვა, მაგრამ სტაშმა, რომელიც დღითი დღე სულ მეტ გამოცდილებას ღებულობდა და წინდახედულებას ამჟღავნებდა, გოგონას ნაჩქარევ გადაწყვეტილებაზე ხელი ააღებინა.

– სანამ იქ დავსახლდებოდეთ, – უთხრა, – ჯერ უწინდელი ბინადრები უნდა გამოვაძევოთ, თუკი, რასაკვირველია, იქ იმყოფებიან.

ამის შემდეგ მეას უბრძანა, ბაობაბის შიგნით რამდენიმე მხრჩოლავი ნედლი ტოტი შეეგდო.

როგორც გაირკვა, კარგადაც მოიქცნენ, რადგან ვეებერთელა ხე დასახლებული აღმოჩნდა, თანაც ისეთი ბინადრებით, რომელთა სტუმართმოყვარეობის იმედი არ უნდა ჰქონოდათ.

კარი XXVII

ხვრელი ხეს ორი ჰქონდა: ერთი – უფრო განიერი, მიწიდან ნახევარ მეტრზე, მეორე – მომცრო, არც მეტი, არც ნაკლები – ქალაქური სახლების მეორე სართულის სიმაღლეზე.

შეყარა თუ არა მეამ ახრჩოლებული ტოტები ქვედაში, ზემოთა ხვრელიდან უმალვე იწყეს გამოფრენა უშველებელმა ღამურებმა და, მზის შუქით დაბრმავებულები, ხის გარშემო შერყეულებივით წრიპინ-წრიპინით აბორიალდნენ. ცოტაც და ქვედა ხვრელიდან ელვასავით გამოსხლტა ხვრელის ნამდვილი ბატონ-პატრონი, ანუ ვეებერთელა ბოა, რომელიც, ალბათ, სადილის მონარჩენს ძილ-ღვიძილში ინელებდა და, როცა კვამლმა ნესტოებში შეუღიტინა, გაეღვიძა და თავის გადასარჩენად დაიძრა. აბოლებული ხის ყბებიდან საშინელი სისწრაფით გამომსხლტარი ლითონივით მოლაპლაპე სხეულის დანახვაზე სტაშმა ნელი ხელში აიტაცა და გაშლილი ჯუნგლებისაკენ გაიქცა, მაგრამ თავადვე შეშინებულ ქვეწარმავალს მათი დადევნება არც უფიქრია, ბალახებში გაიკლაკნა და გაუგონარი სისწრაფით მიაშურა ხეობას, რათა თავი კლდის ხვრელისა თუ ნაპრალებისათვის შეეფარებინა. ბავშვები გონს მოეგნენ. სტაშმა ნელი მიწაზე დასვა და თოფისათვის გავარდა, მერე უმალვე ხეობისაკენ გაქცეულ გველს გამოუდგა და ნელიც მას ფეხდაფეხ მიჰყვა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მათ თვალწინ ისეთი სანახაობა გადაიშალა, ადგილზევე გაქვავდნენ. აგერ ხეობის თავზე წამიერად გაიელვა გველის ტანმა, ჰაერში გაიკლაკნა და ისევ დაბლა დაეცა. წუთის შემდეგ იგი ისევ გამოჩნდა და ისევ ძირს დაეცა. კიდესთან მივარდნილი ბავშვების განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა – გველს მათი ახალი მეგობარი ათამაშებდა და ორი საჰაერო გასეირნების შემდეგ ახლა თავისი უზარმაზარი, მორგვისნაირი ფეხით უჩუჩქვავდა თავს. საქმეს რომ მორჩა, ჯერ კიდევ მთრთოლავი ტანი ხორთუმით ისევ აიტაცა და ამჯერად მაღლა კი არა, პირდაპირ ჩანჩქერისაკენ მოისროლა. ამის შემდეგ თავი გააქნ-გამოაქნია, ფეხები ააპარტყუნა და ნელის საჩქაროდ შეხედა, მერე ხორთუმი ისე გაუშვირა, თითქოსდა თავისი გმირული და წინდახედული საქციელისთვის ჯილდოს სთხოვსო.

ნელი თვალისდახამხამებაში კარვისკენ გაიქცა, კაბის კალთით ველური ლეღვი მოარბენინა და ერთ ჯერზე რამდენიმე გადაუგდო, სპილო ბალახში საგულდაგულოდ ეძებდა ყოველ ნაყოფს და ერთიმეორის მიყოლებით იწყობდა პირში, ნაპრალებში ღრმად ჩაცვენილებს ისეთი ძალით ისრუტავდა, ლეღვს მუჭისხელა ქვებიც მოჰყვებოდა. ბავშვები ტაშითა და სიცილით აჯილდოებდნენ სპილოს ამგვარ ქცევას. ნელი რამდენიმეჯერ გაიქცა ახალ-ახალი მარაგისათვის, თან ყოველი ლეღვის გადაგდებაზე ირწმუნებოდა, რომ სპილო უკვე მოშინაურებული იყო და თუნდაც ახლავე შეეძლო მასთან ჩასვლა.

– ხედავ, სტაშ, – რა დამცველი გვეყოლება!.. ამას უდაბნოში არავისი არ შეეშინდება: არც ლომის, არც გველის, არც ნიანგის. თან ძალიან კეთილია და ჩვენც ვუყვარვართ.

– თუ მოგვეჩვევა, – უთხრა სტაშმა, – და მაგის იმედად შენს დატოვებას შევძლებდი, მაშინ გულდამშვიდებული წავიდოდი ხოლმე სანადიროდ, რადგან მთელს აფრიკაში ამაზე უკეთეს მცველს ვერ გიპოვი.

და წუთის შემდეგ დასძინა:

– აქაური სპილოები უფრო ველურები არიან, მაგრამ წამიკითხავს, რომ აზიურ სპილოებს ბავშვები უყვართ. ინდოეთში ერთხელაც არ მომხდარა, სპილოს ბავშვისათვის რაიმე ევნოს და, თუ სიბრაზით გაცოფდა, რაც ხანდახან ხდება, მაშინ ადგილობრივი სპილოების გამრეკები მის დასამშვიდებლად ბავშვებს გზავნიან.

– აი, ხომ ხედავ, ხომ ხედავ!

– ყოველ შემთხვევაში, კარგად მოიქეცი, რომ არ მომაკვლევინე.

ამის გაგონებაზე ნელის თვალის გუგები მწვანე კოცონებივით აენთო. ფეხის წვერებზე აწეულმა სტაშს მხრებზე ხელები დააწყო. უკან თავგადაწეულმა, თვალებში შეხედა და ჰკითხა:

– კარგად მოვიქეცი როგორც რამდენი წლისა? თქვი! როგორც რამდენი წლისა?

– როგორც არანაკლებ სამოცდაათი წლისა.

– სულ ხუმრობ.

– მიდი, გაბრაზდი, გაბრაზდი! მერე სპილოს ვინ ამოიყვანს?

ეს რომ გაიგონა, ნელი კნუტივით მიეგლასუნა.

– შენ! – და ამისათვის მე ძალიან, ძალიან მეყვარები და სპილოც.

– მაგაზე სულ ვფიქრობ, – უთხრა სტაშმა, – მაგრამ ძალზე ძნელი საქმეა და ახლავე კი არა, გზის გაგრძელებას რომ დავაპირებთ, მაშინ ამოვიყვან.

– რატომ?

– რატომ და, სანამ მოგვეჩვევა, მანამდე რომ გავათავისუფლოთ, იმ წუთსვე გაგვექცევა.

– არა, მე არ მომცილდება.

– გგონია, ეგეც ჩემსავით მოიქცევა? – უთხრა ოდნავ გაღიზიანებულმა ბიჭმა.

ბავშვებს საუბარი შეაწყვეტინა კალიმ, რომელმაც მოკლული ზებრა და მისი კვიცი მოიტანა, კვიცის დაფლეთა უკვე მოესწრო ლომას. ბედი მისი, რომ კალის გაედევნა და

პითონის განადგურებას არ დაესწრო, თორემ უეჭველად გაედევნებოდა, წამოწეულს გველი სალტესავით შემოეხვეოდა და, მანამ მოგუდავდა, სანამ სტაში მიშველებას მოასწრებდა. ზებრის კვიცის დაფლეთისთვის ნელიმ ყურები აუწია, რასაც მაინცდამაინც არ დაუმწუხრებია, რადგან არცკი დაუმალავს ნადირობის შემდეგ გადმოგდებული ენა.

ამასობაში სტაშმა კალის ამცნო, რომ ხეში ბინის მოწყობას აპირებდა, თან შებოლებისას მომხდარი და სპილოს მიერ გველის გასრესის ამბავიც მოუთხრო. დაბინავება ბაობაბში, რომელიც არა მარტო წვიმის, არამედ მტაცებელი ნადირისაგანაც დაიფარავდათ, ზანგს ძალიან მოეწონა, სამაგიეროდ სპილოს საქციელი არ დაუჯდა ჭკუაში.

– სპილო სულელია, – თქვა, – ნიოკა (გველი) აგრგვინებულ წყალში გადააგდო, მაგრამ კალიმ იცის, რომ ნიოკა კარგია, მაინც მოძებნის აგრგვინებული წყლის გაღმა და შეწვავს, რადგან კალი ჭკვიანია და დონკეი.

– დონკეი რომ ხარ, ეგ მართალია! – უპასუხა ბიჭმა, – მაგრამ ნუთუ გველს მართლა შეჭამ?

– ნიოკა კარგი! – გაიმეორა კალიმ.

და მოკლული ზებრისკენ თითგაშვერილმა დასძინა:

– ამ ნიამაზე უკეთესი.

ამის შემდეგ ორივენი ბაობაბისაკენ გაეშურნენ და ბინის მოწყობას შეუდგნენ. კალიმ მდინარის ნაპირზე ბრტყელი, დიდი საცრისხელა ქვა იპოვა, ფუღუროში დადო და ზედ გაღვივებული ნაკვერჩხალი დაყარა, მერე თანდათან დაუმატა და დაუმატა, მაგრამ ყურადღებით იყო, რათა ფუტუროს ცეცხლი არ გასჩენოდა და მთელი ხე არ დამწვარიყო. როგორც განმარტა, ამას იმიტომ აკეთებდა, რომ “არაფერს ეკბინა დიდი ბატონისა და ბიბისათვის”. აღმოჩნდა, რომ მისი თადარიგიანობა ზედმეტი არ ყოფილა, რადგან, დატრიალდა თუ არა მხუთრი ხის წიაღში და მერე კვამლი გარეთ გამოვარდა, მერქნის ღრიჭოებიდან და ნაპრალებიდან გამოცოცება იწყეს უთვალავნაირმა არსებებმა: შავმა და ალუბლისფერმა ხოჭოებმა, დიდმა ქლიავისხელა ბანჯგვლიანმა ობობებმა, თითქოსდა ბეჭდებით მოვარაყებულმა მუხლუხოებმა, თითზე მსხვილმა და საზიზღარმა, თანაც შხამიანმა სკოლოპენდრებმა, რომელთა ნაკბენი, შესაძლოა, სასიკეთოდაც გამომდგარიყო. იმისდა მიხედვით, თუ რა ხდებოდა ხის ზედაპირზე, იოლად მიხვდებოდით, რამდენი ამნაირი არსება დაიღუპებოდა ნახშირის მხუთრისაგან შიგნით. მათ, რომლებიც ქერქიდან და ქვედა ტოტებიდან ბალახში ცვიოდნენ, კალი შეუბრალებლად ანადგურებდა ქვით, თანაც წამდაუწუმ შეჰყურებდა ხის ზედა და

ქვედა ფუღუროს, თითქოსდა ეშინოდა, რომ რომელიმე მათგანიდან აგერ-აგერ რაღაც ახალი გამოჩნდებოდა.

– რას უყურებ? – ჰკითხა სტაშმა, – შენი აზრით, ხეში მეორე გველი იმალება?

– არა, კალის მზიმუსი ეშინია.

– მზიმუ რაღაა?

– ავი სული.

– გინახავს ოდესმე სიცოცხლეში მზიმუ?

– არა, მაგრამ კალის გაუგონია საშინელი ხმაური, რომელსაც ჯადოქრების სახლებში მზიმუ გამოსცემს.

– გამოდის, თქვენს ჯადოქრებს მზიმუსი არ ეშინიათ?

– ჯადოქრებს მისი მონუსხვა, მერე ქოხებში სიარულით და თქმა, მზიმუ ბრაზობსო, ჰოდა, ზანგებმა მისი გულის მოსალბობად ბანანი, თაფლი, პომპა, კვერცხი და ხორცი მიცემა.

სტაშმა მხრები აიჩეჩა.

– როგორც ჩანს, ჯადოქრობა თქვენში კარგი ხელობა ყოფილა. ეგებ, ის გველიც მზიმუ იყო?

კალიმ თავი გადააქნია.

– ეგრე რომ ყოფილიყო, სპილო კი არ მოკლავდა მზიმუს, მზიმუ მოკლავდა სპილოს. მზიმუ არის სიკვდილი.

ანაზდად კალის საუბარი ხის შიგნით ატეხილმა ტკაცატკუცმა და ხმაურმა შეაწყვეტინა. ქვედა ფუღუროდან გამოვარდა საოცარი, მოწითალო მტვერი, რასაც კიდევ უფრო ძლიერი ტკაცუნი მოჰყვა.

კალი თავლისდახამხამებაში მიწაზე დაემხო და შეშინებული აყვირდა:

– აკა! მზიმუ! აკა! აკა! აკა!

თავდაპირველად სტაშიც შეკრთა და უკან დაიხია, მაგრამ უმალვე გონს მოეგო და, როცა ნელიმ და მეამ მოირბინეს, მშვიდად აუხსნა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

– როგორც ჩანს, – ამბობდა, – შიგნით თავმოყრილი ფუტურო სითბოსაგან გაფართოვდა და კედლებს მომწყდარი დაბლა, ნახშირს დაეყარა. ამას კი მზიმუ ჰგონია. მიდი, მეა, ხვრელში წყალი შეასხი, თორემ, თუ ნაკვერჩხალი არ ჩაქრა, შეიძლება ფუტუროს ცეცხლი წაეკიდოს და ხე სულ დაიწვას.

რომ ნახა, კალი ისევ მიწაზე იწვა და განუწყვეტლივ იმეორებდა “აკა! აკა!” თოფი აიღო, ღიობში შეყო, ისროლა და ბიჭი კონდახით შეანჯღრია.

– შენი მზიმუ მკვდარია. ნუ გეშინია!

კალი გაიმართა, მაგრამ მაინც მუხლებზე იდგა.

– ო, დიდო ბატონო! დიდო!.. თქვენ მზიმუსიც არ გეშინიათ?

– აკა! აკა! – გამოაჯავრა სტაშმა ზანგს.

და სიცილი წასკდა.

ცოტა ხნის შემდეგ კალი დამშვიდდა და, როცა მეას მომზადებულ საჭმელს მიუჯდა, აღმოჩნდა, წამიერ შიშს მისთვის მადა არ გაეფუჭებინა, რადგან, თავისი წილი შებოლილი ხორცის გარდა, ზებრის კვიცის უმი ღვიძლიც მიირთვა, თუ არ ჩავთვლით უამრავ ველურ ლეღვს, რომელიც ახლომახლოში სოკომორებს ხვავრიელად ესხა. მერე ის და სტაში ისევ მიუბრუნდნენ ხეს, სადაც სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი იყო. ფუტუროდან ნახშირის გამოგვას, ასეულობით შეტრუსული ხოჭოს და უშველებელი ასფეხების, აგრეთვე ათეულობით დამწვარი ღამურის გარეთ გამოტანას თითქმის ორი საათი მოანდომეს. სტაშს ძალიან გაუკვირდა, როგორ ცხოვრობდნენ ღამურები გველის მეზობლად, მაგრამ ივარაუდა: უზარმაზარი პითონი ასე პაწია ფრინველს ან არ კადრულობდა, ანდა ხის შიგნით, რადგან ვერაფერს შემოეხვეოდა, უბრალოდ ვერ სწვდებოდა მათ შესაჭმელად. ნახრიშის სიმხურვალემ ფენა-ფენად დადებული ფუტურო მთლად ჩამოწმინდა და ხის შიგნითა კედლები ისე გაკრიალდა, სტაში სიხარულით აღარ იყო, დიდი ოთახისხელა სივრცე ოთხს კი არა, ათ ადამიანსაც კი დაიტევდა. ქვედა ხვრელი კარებად გამოდგა, ზედა – სარკმლად, რომლის წყალობითაც ვეებერთელა ხის შიგნით არც ბნელოდა და ჰაერიც საკმარისად ტრიალებდა. სტაშმა კარვის ტილოთი იქაურობის ორ ოთახად გატიხვრა მოიფიქრა – ერთი ნელისა და მეასთვის ივარაუდა, მეორე – თავისთვის, კალისა და ლომასთვის. ხე კენწერომდე არ იყო დაფუტუროებული, ამდენად, წვიმა არ ჩაუვიდოდათ და, სულ მთლად უზრუნველად რომ ყოფილიყვნენ, ხეზე მერქანი ისეთნაირად უნდა აეჭრათ, ხვრელებს ზემოდან გადმოფარებოდა. გადაწყვიტეს, დაბლა, მდინარის სანაპიროზე, მზისგან გამომშრალი ქვიშა მოეყარათ, ზემოდან კი მშრალი ხავსი მოეგოთ.

სამუშაო ძალზე მძიმე გამოდგა, განსაკუთრებით კალისთვის, რომელსაც, გარდა ამისა, ხორცი უნდა შეებოლა, ცხენები დაერწყულებინა და, რაც მთავარია, წამდაუწუმ ეზრუნა მყვირალი სპილოს საჭმელზეც. მაგრამ ჭაბუკი ზანგი ბინის მოწყობას მოწადინებით, ასე განსაჯეთ, სიამოვნებითაც კი შეუდგა, რისი მიზეზიც სტაშს იმავე დღეს გაანდო.

– როცა დიდი ბატონი და ბიბი, – თქვა დოინჯშემოყრილმა, – ხეში დასახლდებიან, კალის აღარ დასჭირდება ღამღამობით დიდი ღობის აგება და ყოველ საღამოს ვიზარმაცებ.

– სიზარმაცე გიყვარს? – ჰკითხა სტაშმა.

– კალი მამაკაცია, კალის უყვარს უსაქმურობა, საქმეს მხოლოდ ქალები უნდა აკეთებდნენ.

– ხომ ხედავ, რომ მე ბიბისთვის ვმუშაობ.

– სამაგიეროდ, ბიბი რომ გაიზრდება, დიდი ბატონისთვის ის იმუშავებს, თუ არ მოინდომებს, დიდი ბატონი მას ცემას.

ბიბის ცემის გაფიქრებაზეც კი სტაში დამდუღრულივით წამოიჭრა და კალის მრისხანედ დაუყვირა:

– ჩერჩეტო, იცი, ვინ არის ბიბი?

– არ ვიცი, – უპასუხა შეშინებულმა ზანგმა.

– ბიბი... ბიბი... კეთილი... მზიმუა!

კალის მუხლთ მოეკვეთა და ჩაჯდა.

სამუშაოს რომ მორჩნენ, ნელის გაუბედავად მიუახლოვდა, მის წინაშე თავქვე დაემხო და შემკრთალი კი არა, მავედრებელი ხმით შეჰღაღადა:

– აკა! აკა! აკა!..

მაგრამ “კეთილმა მზიმუმ” თავისი მშვენიერი, ზღვისფერი თვალები ისე მიაჭყიტა, აშკარად ვერ გაიგო, რა მოხდა და რა უნდოდა კალის მისგან.

კარი XXVIII

ახალი სამფლობელო, რომელსაც სტაშმა “კრაკოვი” უწოდა, სამი დღის განმავლობაში მოწესრიგდა. მანამდე კი მთელი ბარგი-ბარხანა “საკაცო ოთახში” მოათავსეს და თავსხმის დროს ოთხი ახალგაზრდა ჯერაც მოუწყობელ ფუღუროში თავს შესანიშნავად გრძნობდა. ნამდვილი წვიმიანობა დაიწყო, მაგრამ ეს არ ჰგავდა ჩვენებური შემოდგომის გადაუღებელ წვიმას, როცა ცას ჯანღი და მოსაწყენი ღრუბელი ფარავს და თავმომაბეზრებელი ავდარი კვირაობით იწელება. აქ ქარი დღეში რამდენიმეჯერ გადაყრიდა ცას მოდებულ ღრუბლებს, რომლებიც მიწას ბარაქიანად რწყავდნენ, ისევ გამოანათებდა კაშკაშა, თითქოსდა ახალგანბანილი მზე და ოქროსფერ სხივებს დააფენდა კლდეებს, მდინარეს, ხეებსა და მთელ ჯუნგლებს. მცენარეულობა თვალისდახამხამებაში იზრდებოდა. ხეები ხვავრიელად იმოსებოდა ფოთლებით და, სანამ ძველი ნაყოფი ჩამოცვივდებოდა, ტოტებზე ახალი კვირტები ინასკვებოდა. წვიმის გაბმული წვეთებისაგან ჰაერი ისე გამჭვირვალე გახდა, რომ თვით შორეული საგნებიც კი ცხადად გამოჩნდა და მზერა თვალუწვდენელ შორეთს სწვდებოდა. დროდადრო ცაზე საუცხოო, შვიდფერი ცისარტყელა გადაიჭიმებოდა და ჩანჩქერი უჩვეულო სილამაზით იმოსებოდა. დილა-საღამოს მოკლე აისსა და მწუხრს ისე ცინცხალი ნათელი გადასდიოდა, მსგავსი რამ ბავშვებს თვით ლიბიის უდაბნოშიც კი არ ენახათ. სულ დაბალ, მიწასთან მოახლოებულ ღრუბლებს ალუბლისფერი გადაჰკრავდა, მაღალ, უფრო კარგად განათებულებს, ტბების მსგავსად, მეწამული და ოქროსფერი ედოთ, ხოლო სულ პაწაწინა ღრუბლის ფთილები კი ლალის, ამეთვისტოსა და ოპალისფრად ციმციმებდნენ. ღამღამობით წვიმასა და წვიმის ტალღებს შორის მთვარე ბრილიანტებად აქცევდა მიმოზისა და აკაციის ფოთლებზე ჩამოკიდებულ წვეთებს, ხოლო ზოდიაქური სინათლე კრიალა ჰაერში გარემოს უფრო მეტ შუქს ჰფენდა, ვიდრე წლის სხვა დროს.

ჩანჩქერის ბოლოს განთხეული მდინარიდან ბაყაყების შფოთიანი და გომბეშოების ნაღვლიანი ყიყინი ისმოდა, ხოლო დიდი ცთომილი ვარსკვლავებისხელა ციცინათელები ბამბუკისა და არუმის კორომებს შორის გამოკრთოდნენ.

მაგრამ, დაფარავდა თუ არა ღრუბლები ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას და გაწვიმდებოდა, უმალვე ბინდი მოიცავდა იქაურობას და ბაობაბში სარდაფივით ჩაკუნაპეტდებოდა. ამ საქმის მოსაგვარებლად სტაშმა მეას მოკლული ცხოველების ქონის გადადნობა უბრძანა და ქილისაგან უმალვე გამართა ჭრაქი, რომელიც ყმაწვილების მიერ სარკმლად მონათლულ ზედა ხვრელთან ჩამოკიდეს. იმ სარკმლიდან გამავალი შუქი სიბნელეში შორიდან ჩანდა და ველურ მხეცებს აფრთხობდა, სამაგიეროდ იზიდავდა ღამურებს და ფრინველებსაც კი, ასე რომ, ბოლოს კალი იძულებული გახდა, ეკალ-ბარდისგან გაეკეთებინა ისეთივე საფრები, როგორებითაც ღამ-ღამობით ქვედა ხვრელს კეტავდნენ.

თუმცა დღისით, თუ კარგი ამინდი იდგა, ბავშვები “კრაკოვიდან” გამოდიოდნენ და უმალვე გორასა და მის შემოგარენს მოედებოდნენ. სტაში ანტილოპა – არიელსა და მდინარის ქვედა წელთან გამოჩენილ სირაქლემების ჯოგზე სანადიროდ მიდიოდა, ნელი კი თავის სპილოსთან, რომელიც ადრე მხოლოდ საჭმლისთვის ბღაოდა, ახლა კი – მაშინაც, როცა თავისი პაწია მეგობარი მოენატრებოდა. იგი ყოველთვის მხიარული გამომეტყველებით ესალმებოდა და შორიდან მისი ნაბიჯებისა და ხმის გაგონებისთანავე ყურებს წინ წამოწევდა.

ერთხელაც, როცა სტაში სანადიროდ წავიდა, ხოლო კალი ჩანჩქერის იქით თევზაობდა, ნელიმ ხეობის ჩამკეტი კლდისაკენ წასვლა გადაწყვიტა, რათა ენახა, სტაში რას მოუხერხებდა ან საქმე უკვე ხომ არ დაეწყო. სადილის თადარიგით გართულმა მეამ მისი წასვლა ვერ შეამჩნია.

კლდის ღრმულებში უხვად ამოზრდილ უჩვეულო ბეგონიას* ყვავილების კრეფით გართული გოგონა შეუმჩნევლად მიუახლოვდა დამრეცს, რომელზეც ადრე ხეობას ამოუყვნენ და დაბლა ჩასული კლდის წინ აღმოჩნდა. მშობლიურ კედელს მომწყდარ ვეებერთელა ლოდს ხეობის ყელი უწინდელივით ჩაეკეტა. თუმცაღა, ნელის თვალს არ გამოჰპარვია მასა და კედელს შორის ფართო გასასვლელი, რომელშიც დიდი ადამიანიც კი თავისუფლად გაეტეოდა. ერთხანს იყოყმანა, მაგრამ გაიარა და მეორე მხარეს აღმოჩნდა. მაგრამ აღმოჩნდა მოსახვევი, რომლის გავლის შემდეგ შეიძლებოდა ჩანჩქერით ჩაკეტილ განიერ შესართავთან გასვლა. ნელი შეყოყმანდა: “ცოტას კიდევ გავივლი, კლდის იქით გავიხედავ, თვალს შევავლებ სპილოს, რომელიც მაინც ვერ დამინახავს და გამოვბრუნდები”. ამ ფიქრებში გართული ნება-ნება, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ, სანამ არ მიაღწია იმ ადგილს, სადაც ანაზდად ხეობა პაწია დაბლობად გარდაიქმნებოდა და, სპილო დაინახა. მისგან ზურგშექცევით მდგარს, ჩანჩქერში ხორთუმი ჩაეყო და წყალს სვამდა: ამით გამხნევებულმა და კლდეზე აკრულმა ნელიმ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე კიდევ და ამასობაში ვეებერთელა ცხოველმა, რომელსაც გვერდების დასველება მოუნდა, თავი მოაბრუნა და, გოგონა დაინახა თუ არა, იმწამსვე მისკენ დაიძრა.

ნელის ძალიან შეეშინდა, მაგრამ უკანდასახევი დრო აღარ იყო, მუხლი მუხლს მიაჭირა, სპილოს ლამაზად მიესალმა, მერე ბეგონია გაუწოდა და ოდნავ მთრთოლვარე ხმით მიმართა:

– გამარჯობა, საყვარელო სპილო! ვიცი, რომ არაფერს დამიშავებ და ამიტომაც მოვედი მოსასალმებლად... ოღონდ მარტო ეს ყვავილები მაქვს...

გიგანტი მიუახლოვდა, ხორთუმი გაუშვირა, პაწია ხელიდან ბეგონია გამოართვა, მაგრამ პირში ჩადებისთანავე მიწაზე დაყარა, რადგან აშკარად არ მოეწონა არც მისი

ბანჯგვლიანი ფოთლები და არც ყვავილები. ახლა ნელიმ თავს ზემოთ ვეებერთელა, შავი გველისნაირი მოძრავი ხორთუმი დაინახა; სპილომ ხორთუმი ჯერ ერთ ხელზე შეახო, მერე – მეორეზე, შემდეგ ორივე მხარეზე და ბოლოს დაბლა დაუშვა და გააქან-გამოაქნია.

– ვიცოდი, რომ არაფერს დამიშავებდი, – გაიმეორა გოგონამ, თუმცა შიში საბოლოოდ არ გაქრობოდა.

სპილომ თავისი ზღაპრული ყურები უკან გადაწია, ხორთუმთან ერთად დახარა და მხიარულად აბუყბუყდა, როგორც ბუყბუყებდა ყოველთვის, როცა გოგონა ხეობის კიდეს მიადგებოდა ხოლმე.

და, როგორც ერთხელ სტაში ლომის წინ, ახლაც ეს ორნი დამდგარიყვნენ ერთმანეთის პირისპირ – სპილო ვეებერთელა, სახლისა თუ კლდისოდენა – გოგონა, პაწაწკინტელა ნამცეცა, რომლის გასრესაც სიბოროტით კი არა, თუნდაც ერთი უყურადღებო გატოკებით შეეძლო.

მაგრამ კეთილი და გონიერი ცხოველი საერთოდ არც განძრეულა, რადგან აშკარად შეეტყო, პაწია სტუმრის მისვლამ უზომოდ გაახარა.

ნელიმ გაბედა და თვალები ნება-ნება აწია მაღლა და ბოლოს ისე შეხედა, როგორც მაღალ სახურავს. ხელი ყოყმანით გაუშვირა და ჰკითხა:

– შეიძლება, ხორთუმზე მოგისვა?

მართალია, სპილოს ინგლისური არ ესმოდა, მაგრამ ხელის მოძრაობაზე უმალვე მიხვდა, რასაც სთხოვდა და თავისი ორმეტრიანი ცხვირის წვერი ხელისგულში ჩაუდო.

ნელი ხორთუმზე ჯერ ერთ ხელს უსვამდა ფრთხილად, გაუბედავად, მერე ორივეთი მიეფერა, ბოლოს კი მკლავები შემოხვია და მთელი თავისი ბალღური უშუალობით მიეკრა.

სპილომ ფეხები მორიგეობით აამოძრავა და მხიარული ბუყბუყი ამოუშვა.

ცოტა ხნის შემდეგ გოგონას გალეულ სხეულს ხორთუმი შემოხვია, მაღლა ასწია და მსუბუქად დაარწია მარჯვნივ და მარცხნივ.

– კიდევ! კიდევ! – ყვიროდა გამხიარულებული ნელი.

და გართობა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, მერე გათამამებულმა გოგონამ სხვა გასართობი გამოიგონა. მიწაზე დაშვებული სპილოს წინა ფეხზე, როგორც ხეზე, აცოცებას ცდილობდა, ანდა მის ქვეშ იმალებოდა და ეკითხებოდა, აბა, თუ მიპოვიო. ამ

თამაშ-თამაშისას შეამჩნია წინა და, უფრო მეტად კი უკანა ფეხებზე შერჭობილი დიდრონ-დიდრონი ეკლები, რომელთა ამოცლასაც ეს ძლიერი ცხოველი ვერ ახერხებდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ უკანა ფეხებს ხორთუმს ასე იოლად ვერ აწვდენდა, მეორეც იმიტომ, რომ ეშინოდა, არ გაეკაწრა ხორთუმის წვერზე წამოზრდილი თითი, ურომლისოდაც მოხერხებულობასა და სიმარჯვეს უნდა გამსოთხოვებოდა. ნელი, რასაკვირველია, აზრზეც არ იყო, რომ ინდოეთში, და მით უფრო ეკალ-ბარდებით მოფენილ აფრიკაში სპილოებისთვის ფეხში ეკლების შერჭობა დიდ უბედურებას წარმოადგენდა. გოგონას შეებრალა ეს დარბაისელი გოლიათი, ჰოდა, დაუფიქრებლად მიუცუცქდა ფეხთან და ჯერ დიდი ეკლების ამოძრობას შეუდგა ნაზად, მერე – უფრო პატარებისას, თან სპილოს ენამოუღლელად ეჟღურტულებოდა და ამშვიდებდა, ერთსაც არ ჩაგიტოვებო. მასაც შესანიშნავად ესმოდა, რასაც ეუბნებოდა, ფეხს მუხლში ღუნავდა, რითიც აჩვენებდა, რომ ტერფსა და ჩლიქებით დაფარულ თითებშუაც ჰქონდა ეკლები, რომლებიც გაუსაძლის ტკივილს იწვევდა.

მაგრამ ამასობაში სტაში ნადირობიდან დაბრუნდა და მეას უმალვე გოგონას ადგილსამყოფელი ჰკითხა. პასუხის გაგონებისთანავე, ალბათ, ხეში იქნებაო, ბაობაბის შიგნით შეხედვა დააპირა, მაგრამ ანაზდად მოეჩვენა, რომ ხმა ხეობიდან მოესმა. საკუთარ ყურებს არ დაუჯერა, უმალვე იქით გაიქცა და დაბლა ჩახედვისთანავე გაშეშდა. გოგონა გოლიათის ფეხთან იჯდა, ის კი მშვიდად იდგა და, რომ არა ხორთუმისა და ყურების მოძრაობა, ქვისგან გამოქანდაკებული გეგონებოდათ.

– ნელი! – იყვირა სტაშმა.

საქმით გართულმა გოგონამ კი მხიარულად უპასუხა.

– ახლავე, ახლავე.

ამაზე ბიჭმა, რომელსაც საფრთხის წინაშე ყოყმანი არ სჩვეოდა, ცალი ხელით თოფი აწია, მეორე ქერქგაცლილი ლიანას ღეროს ჩაავლო, ფეხზე დაიხვია და თვალისდახამხამებაში ხეობის ფსკერზე ჩაეშვა.

სპილომ ყურები მოუსვენრად შეარხია, მაგრამ ამ დროს ნელი ადგა და ხორთუმზე ხელშემოხვეულმა სწრაფად შესძახა.

– ნუ გეშინია, სპილოვ, ეს სტაშია.

სტაში უმალვე მიხვდა, რომ გოგონას საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ მუხლების კანკალი ჯერაც ვერაფრით დაიოკა, გული გამალებით უცემდა და, სანამ გონს საბოლოოდ მოეგებოდა, შიშისა და სიბრაზისაგან მოგუდული ხმით დაიწყო:

– ნელი, ნელი, ეს რა ქენი?

გოგონამ აუხსნა: ცუდი არაფერი მიქნია, სპილო კეთილია და უკვე საბოლოოდ მოთვინიერებული; მარტო ერთხელ მინდოდა შემეხედა და გამობრუნებას ვაპირებდი, მაგრამ გამაჩერა და თამაში დამიწყო, სულ, სულ ფრთხილად მაქანავა და, თუ გინდა, შენც გაქანავებსო.

ამას რომ ამბობდა, ერთი ხელი ხორთუმის წვერზე ჩაავლო და სტაშს მიუახლოვდა, მერე რამდენიმეჯერ გააქნია მარჯვნივ და მარცხნივ, თან იმავდროულად სპილოს ეუბნებოდა.

– სპილოვ, სტაშიც აქანავე!

ჭკვიანი ცხოველი მისი მოძრაობით ამჯერადაც მიხვდა, რა უნდოდათ მისგან და წელზე ხორთუმშემოხვეული სტაში უმალვე ჰაერში აღმოჩნდა. ამასთანავე, ისეთი უცნაური და თანაც თავშესაქცევი სხვაობა იყო მის ჯერაც ბრაზიან სახესა და ჰაერში ქანაობას შორის, რომ პატარა მზიმუს სიცილი წასკდა, ტაში შემოჰკრა და წეღანდელივით აყვირდა:

– კიდევ, კიდევ!

და, რამდენადაც შეუძლებელია სათანადო ღირსების შენარჩუნება და მორალის კითხვა მაშინ, როცა სპილოს ხორთუმზე გამობმული კაცი ჰაერში ჰკიდია და უნებლიეთ საქანელას მოძრაობებს ასრულებს, ბოლოს და ბოლოს, ბიჭიც ახარხარდა. მაგრამ კარგა ხნის შემდეგ მიხვდა, რომ ხორთუმის რწევა ნელდებოდა და სპილო მიწაზე დასმას უპირებდა, თავში ახალმა აზრმა გაუელვა. ზუსტად იმ დროს, როცა უზარმაზარი ყურის მახლობლად აღმოჩნდა, წამით ისარგებლა, ორივე ხელი ჩაავლო, ზედ ააცოცდა და თვალის დახამხამებაში სპილოს კისერზე მოევლო.

– აბა, – ჩამოსძახა ნელის ზემოდან, – მიხვდეს, რომ მე უნდა დამემორჩილოს.

და ბატონ-პატრონის გამომეტყველებით მოუტყაპუნა თავზე ხელი.

– კი მაგრამ, – შესძახა ქვემოდან ნელიმ, – მანდედან როგორღა ჩამოხვალ?

– მაგაზე იოლი რაღაა, – მიუგო სტაშმა. ფეხები შუბლზე გადააწყო, სპილოს ხორთუმზე შემოაჭდო და როგორც ხიდან, ისე ჩამოცოცდა.

– აი, როგორ ჩამოვალ!..

ამის შემდეგ სპილოს ფეხებზე დარჩენილი ეკლების ამოძრობას შეუდგნენ, რაზეც ცხოველი უჩვეულო მოთმინებას იჩენდა.

ამასობაში წვიმის პირველი წვეთები წამოვიდა, ჰოდა, სტაშმა უმალვე ნელის "კრაკოვში" წაყვანა დააპირა, მაგრამ ამ დროს ერთ წინააღმდეგობას წააწყდა. სპილოს არაფრის დიდებით არ სურდა ნელისთან განშორება და რამდენჯერაც წასვლა დააპირა, ხორთუმით იმდენჯერვე უკან დააბრუნა და თავისკენ მიიზიდა. მდგომარეობა გართულდა და მხიარული გართობა ცხოველის სიჯიუტის გამო შეიძლება ცუდად დამთავრებულიყო. ბიჭმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რადგან წვიმამ თანდათან იმატა და შესაძლოა, თავსხმაშიც გადაზრდილიყო. ორივენი ნება-ნება, თითქმის შეუმჩნევლად მიიწევდნენ გასასვლელისკენ, მაგრამ სპილოც მათ მიჰყვებოდა.

ბოლოს, სტაში მასა და ნელის შორის ჩადგა, თვალებში მსუსხავი მზერა მიანათა, იმავდროულად ნელის ხმადაბლა უთხრა:

– არ გაიქცე, მაგრამ უკან-უკან დაიხიე ვიწრო გასასვლელისკენ.

– მერე შენ? – ჰკითხა გოგონამ.

– დაიხიე-მეთქი, – გაუმეორა დაჟინებით, – თორემ იძულებული გავხდები, სპილოს ვესროლო.

ამ მუქარას გოგონა უსიტყვოდ დაემორჩილა, თუმცა სპილოს იმედი კი ჰქონდა და სჯეროდა, რომ იგი სტაშს არას დაუშავებდა.

ბიჭი სპილოს წინ ოთხიოდ ნაბიჯზე იდგა და თვალს არ აცილებდა.

ასე გავიდა რამდენიმე წუთი. მდგომარეობა საშინლად დაიძაბა. სპილომ ყურები რამდენჯერმე შეარხია, პაწია თვალები რაღაც უცნაურად გაუბრწყინდა და ხორთუმი უცებ მაღლა აწია.

სტაშმა იგრძნო, რომ გაფითრდა.

"სიკვდილი!" – გაიფიქრა.

მაგრამ გოლიათი მოულოდნელად შებრუნდა თხრილის კიდისაკენ, სადაც ჩვეულებისამებრ ხედავდა ხოლმე ნელის და ისე საბრალოდ აბღავლდა, როგორც არასდროს.

სტაში მშვიდად წავიდა გასასვლელისკენ და კლდის უკან შეხვდა ნელის, რომელსაც უმისოდ იქიდან ფეხიც არ მოუცვლია.

ბიჭმა თავი ძლივს შეიკავა, რომ არ ეთქვა: "ხედავ, რა ქენი? შენს გამო კინაღამ დავიღუპე!" მაგრამ საყვედურების დრო აღარ იყო, რადგან წვიმა ნამდვილ თავსხმაში

გადაიზარდა და, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა დაბრუნებულიყვნენ. ნელი თავიდან ფეხებამდე გაილუმპა, თუმცა სტაშმა თავისი ტანსაცმელი შემოახვია.

ხეში შესულმა ზანგ გოგოს უბრძანა, ნელისთვის უმალვე ტანსაცმელი გამოეცვალა – თავად კი საკაცო ოთახში წინდაწინ დაბმული ლომა აუშვა (ლომას იმიტომ აბამდა, სანადიროდ არ გაჰყოლოდა კვალდაკვალ და ნადირი არ დაეფრთხო), მერე ტანსაცმლისა და შეკრულების ჩხრეკას მოჰყვა იმ იმედით, ეგებ მივიწყებული ქინაქინას მწიკვი მაინც ვიპოვოო.

მაგრამ ვერაფერი იპოვა. მხოლოდ ხარტუმელი მისიონერის მიერ მიცემული შუშის ქილის ფსკერზე იყო იმდენად მცირეოდენი ფხვნილი, მხოლოდ თითის წვერს თუ მოათეთრებდა. მაინც გადაწყვიტა, ქილაში მდუღარე წყალი ჩაესხა და ნელისთვის დაელევინებინა.

მერე, რომ გადაიკარა და ისევ მზემ გამოანათა, ხიდან გამოვიდა კალის მოტანილი თევზების სანახავად. კალის წვრილი ტოტისგან გაკეთებული ანკესით რამდენიმე თევზი დაეჭირა, უმეტესწილად პატარები, მაგრამ სამი ცალი, მტკაველისხელა, ვერცხლისფრად დაწინწკლული და საოცრად მსუბუქი იყო. ცისფერი ნილოსის სანაპიროზე გაზრდილ მეას თევზის ავ-კარგი ესმოდა და თქვა, ესენი საჭმელად ვარგისები არიან და საღამოხანს წყალში მაღლა-მაღლა ხტიანო. მათი გამოშიგვნისას აღმოჩნდა, რომ მსუბუქები იყვნენ იმიტომ, რომ ვეებერთელა ბუშტები ჰქონდათ. სტაშმა ერთი ვაშლისხელა ბუშტი აიღო და ნელის აჩვენა.

– შეხე, – უთხრა, – ეს თევზში ზის. რამდენიმე ასეთი ბუშტით ჩვენს სარკმელს შუშას ჩავუსვამდი.

და თითი ხის ზედა ხვრელისაკენ გაიშვირა.

მაგრამ ერთხანს ჩაფიქრებულმა მოგვიანებით დასძინა:

– და კიდევ სხვა რამესაც გავაკეთებდი.

– რას? – ჰკითხა გულისხმაში ჩავარდნილმა ნელიმ.

– ფრანს.

– პორტ-საიდში რომ უშვებდი, ისეთს? ო, რა კარგია! გააკეთე!

– გავაკეთებ. გახლეჩილი, წვრილი ბამბუკისაგან ჩარჩოებს შევკრავ, ამ ბუშტებს კი ქაღალდის მაგივრად ვიხმარ. ნახე, ქაღალდს თუ არ აჯობოს, რადგან უფრო მსუბუქია, წვიმაც ვერ დაასველებს. ასეთი ფრანი ძალიან მაღლა აფრინდება.

ამ დროს უცებ შუბლზე ხელი შემოირტყა:

– რაღაც მოვიფიქრე.

– რა?

– ნახავ. კარგად რომ მოვიფიქრებ, მერე გეტყვი. ეს სპილო კიდევ ისე ბღავის, ლაპარაკიც არ შეიძლება...

სპილოს, ალბათ, ნელი ან შეიძლება ორივე ბავშვი მოენატრა და ისე ბღაოდა, მთელი ხეობა და ახლო-მახლო ხეები თრთოდა.

– უნდა ვეჩვენოთ, – თქვა ნელიმ, – და დამშვიდდება.

და ხეობისაკენ წავიდნენ. მაგრამ ფიქრებში გართული სტაში ჩურჩულს მოჰყვა.

“ფაშოდელი დავრიშების ტყვეობიდან თავდახსნილი პორტ-საიდელი ნელი რავლისონი და სტანისლავ ტარკოვსკი იმყოფებიან...”

და შეჩერებულმა იკითხა:

– როგორ აღვნიშნო, სად?

– რა, სტაშ?

– არაფერი, არაფერი. უკვე ვიცი: იმყოფებიან თეთრი ნილოსიდან აღმოსავლეთით ერთი თვის სავალზე – და სასწრაფოდ დახმარებას ითხოვენ...” როცა ქარი ჩრდილოეთისა ან აღმოსავლეთისკენ დაუბერავს, ოც, ოცდაათ, ას ამგვარ ფრანს გავუშვებ, შემდეგ ხომ მომეხმარები მათ დაწებებაში?

– ფრანების?

– ჰოდა, გამოგიტყდები, რომ მაგ ფრანებს უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია, ვიდრე ათ სპილოს.

ამასობაში კიდეც მიუახლოვდნენ და დაიწყო გოლიათის წარმოდგენა: ფეხების მონაცვლეობით ბარტყუნი, თავის კანტური, ყურების ქნევა, ბუყბუყი და ისევ ნაღვლიანი ბღავილი, როცა თუნდაც ოდნავ მოსცილდებოდა. ბოლოს, გოგონა იძულებული გახდა, “საყვარელი სპილოსთვის” აეხსნა, რომ არ შეეძლო სულ მის გვერდით ჯდომა, რომ ხანდახან უნდა ეჭამა, დაეძინა, კარავში “ემუშავა” და ედიასახლისა კიდეც. მაგრამ სპილო მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა ფიწლით კალის მიერ მოგროვებული საჭმელი ჩაუყარა, თუმცა საღამოს ისევ მოითხოვა მასთან შეხვედრა.

ბავშვებმა სპილოს იმავე საღამოს “კინგი” დაარქვეს, რადგან ნელი ირწმუნებოდა, ამ ხეობაში მოხვედრამდე იგი უეჭველად მთელი აფრიკული სპილოების მეფე იყოო.

კარი XXIX

მომდევნო დღეებში, თუკი არ წვიმდა, ნელი მთელ დროს დაუზარებლად ატარებდა კინგთან, რომელიც მასთან განშორებაზე უარს აღარ ამბობდა, რადგან მიხვდა, გოგონა დღეში რამდენიმეჯერ ისევ ბრუნდებოდა. კალის სპილოებისა საერთოდ ძალიან ეშინოდა და მათ ურთიერთობას განცვიფრებული უყურებდა, მაგრამ მერე დარწმუნდა, რომ ძლიერმა კეთილმა “მზიმუმ” იგი მოაჯადოვა და თავადაც დაიწყო მასთან ჩასვლა. კინგი მასაც და მეასაც კეთილად ეპყრობოდა, მაგრამ მხოლოდ ნელის აძლევდა ყველაფრის უფლებას და კვირის თავზე გოგონამ მასთან ლომას მიყვანაც გაბედა. სტაშმა შვებით ამოისუნქთა, რადგან გულდამშვიდებით შეეძლო მის იმედად, უფრო სწორად კი, როგორც თავად ამბობდა, სპილოს ხორთუმის იმედად ნელის დატოვება და სანადიროდ უშიშრად წასვლა, თანაც ხანდახან კალის წაყვანაც. იმისიც სჯეროდა, რომ კეთილშობილი ცხოველი ამიერიდან მათ აღარ მიატოვებდა და ფიქრს შეუდგა, როგორ გაეთავისუფლებინა გამომწყვდეული.

თუმცა, უნდა ითქვას, ამის საშუალებას დიდი ხანია, მიაგნო, მაგრამ იგი მეტად დიდ მსხვერპლს მოითხოვდა და ამიტომაც გადაჰქონდა დღითი დღე უკან, რადგან გულისნადებს ვერავის უმჟღავნებდა, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა, ჩანაფიქრი ნელისთვის გაენდო, თუმცა ამ საქმისათვის იგი მეტისმეტად პატარა ეჩვენებოდა.

– კლდის აფეთქება დენთით შეიძლება, – თქვა, – მაგრამ ამისათვის უამრავი ვაზნა უნდა გაფუჭდეს, ანუ იქიდან ჯერ ტყვია უნდა გამოვიღოთ, გამოვყაროთ საფანტი და მისგან ერთი დიდი ვაზნა გავაკეთოთ. იმ ვაზნას ჩავდებ კლდის ყველაზე ღრმა ნაპრალში, მაგრად ჩავჭედ და ავაფეთქებ. კლდე დაიშლება, დაიფშვნება და კინგის გამოყვანაც მოხერხდება.

– დიდი ქუხილი რომ იქნება, ხომ არ შეეშინდება?

– შეეშინდება და შეეშინდეს! – მკვირცხლად მიუგო სტაშმა. – მაგი სულ არ მედარდება. შენთან ლაპარკს აზრი არა აქვს.

მაგრამ ლაპარაკი, უფრო სწორად კი ხმამაღლა ფიქრი, მაინც განაგრძო:

– ცოტა ვაზნა რომ ვიხმარო, კლდე არ გასკდება და ვაზნები ტყუილუბრალოდ გაფუჭდება. საჭირო რაოდენობის დახარჯვით კი ცოტაღა დაგვრჩება. მგზავრობის დასასრულს რომ დაგვაკლდეს, სიკვდილი გვემუქრება. რადგან რიღათი ვინადირო ან რაიმე თავდასხმის შემთხვევაში, რით დაგიცვა? შენც კარგად იცი, ეს თოფი და ვაზნები რომ არა, უკვე რა ხანია დახოცილნი ვიქნებოდით ან გეზჰრის ხელით, ანდა შიმშილით. ნამდვილი ბედნიერებაა ისიც, რომ ცხენები გვყავს, თორემ ამდენ ბარგი-ბარხანასა და ტყვია-წამალს ჩვენ ვერ ვზიდავდით.

ამაზე ნელიმ თითი მაღლა აწია და თავდაჯერებით წარმოთქვა:

– მე თუ ვეტყვი, კინგი ყველაფერს წაგვიღებს.

– ტყვია-წამალს როგორღა წაგვიღებს, თუ ცოტა დაგვრჩა?

– სამაგიეროდ დაგვიცავს...

– მერე თავისი ხორთუმით ნადირს ისე ხომ ვერ ესვრის, როგორც მე – თოფით.

– მაშინ ლეღვს შევჭამთ და იმ დიდ ნესვებს, ხე რომ ისხამს, კალი კიდევ თევზებს დაგვიჭერს.

– სანამ მდინარესთან ვიქნებით, კი. წვიმის სეზონი აქ უნდა გავატაროთ, რადგან ამდენ თავსხმაში ციება აუცილებლად დაგემართება. ამიტომაც გახსოვდეს, მერე გზას გავაგრძელებთ და უდაბნოში გავალთ.

– საჰარასნაირ უდაბნოში? – შიშნეულად იკითხა ნელიმ.

– არა, ისეთში, სადაც, მართალია, არც მდინარეებია და არც ხეები, მაგრამ დაბალი აკაციები და მიმოზები მაინც იზრდება. იქ თავს გავიტანთ იმით, რასაც მოვინადირებ. კინგი იქ თავისთვის ბალახს იპოვის, მე კი – ანტილოპებს, მაგრამ, თუ ტყვიები არ მექნა, კინგი მათ ვერ დაიჭერს.

საფიქრალი სტაშს მართლა ჰქონდა, რადგან ახლა, როცა სპილო უკვე მოთვინიერდა და მათთან უკვე გულითადი მეგობრობა გააბა, უხერხული იყო მისი მიტოვება და შიმშილით სასიკვდილოდ გაწირვა; მისი გათავისუფლების შემთხვევაში ამუნიციის უმეტეს ნაწილს უნდა გამოსთხოვებოდნენ და საკუთარი თავი გაეწირათ დასაღუპავად.

ამიტომაც იყო, სტაშმა სამუშაო რომ გადადო და გადადო, სამაგიეროდ ყოველ საღამოს გულში იმეორებდა:

“ეგების, ხვალ რაიმე სხვა საშუალება გამოვნახო”.

ამასობაში ამ საფიქრალს კიდევ ახლები დაემატა. ჯერ მდინარის მახლობელ ჭალაში კალი საშინლად დაკბინეს ფუტკრებმა, რომელთა სკას მიაგნებინა აფრიკაში საკმაოდ ცნობილმა მონაცრისფრო-მომწვანო მეფუტკრიად ხმობილმა ჩიტმა. ზანგის ბიჭს დაეზარა სკაში საკმარისად შეხრჩოლება და მართალია თაფლი კი მოიტანა, მაგრამ ისე იყო დაკბენილ-დაჯიჯგნილი, რომ მოგვიანებით გრძნობა დაკარგა. კეთილი "მზიმუ" და მეა გვიან საღამომდე აცლიდნენ ნესტრებს და ზედ ადებდნენ მიწას, რომელზეც მერე სტაში წყალს ასხამდა. მიუხედავად ამისა, განთიადისას ისე ცუდად შეიქნა, იფიქრებდით, საბრალო ზანგი კვდებაო. საბედნიეროდ, მზრუნველობისა და ძლიერი ორგანიზმის წყალობით სიკვდილს კი გადაურჩა, მაგრამ ჯანმრთელობა ათი დღის შემდეგ, ძლივს აღიდგინა.

მეორე ხიფათი ცხენებს შეემთხვა. სტაშმა, ისინი კალის ავადმყოფობის გამო რომ უნდა დაებორკა და წყალზე ეტარებინა, შენიშნა, რომ საშინელი სიგამხდრე დაეწყოთ. შეუძლებელი იყო ამის ახსნა ბალახის ნაკლებობით, რადგან წვიმის წყალობით ბალახი საოცრად აბიბინდა და ყელამდე იყო. მაგრამ ცხენები თვალსა და ხელს შუა დნებოდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ბალანი გაექუცათ, თვალები ჩაუქრათ და ნესტოებიდან სქელი ქაფი წამოუვიდათ. ბოლოს, ჭამა სულ შეწყვიტეს, სამაგიეროდ წყალს ისე ხარბად ეწაფებოდნენ, იფიქრებდით, გულ-გვამში ცეცხლი უკიდიათო. კალი რომ გამომჯობინდა, მათგან ორი ჩონჩხიღა დარჩენილიყო. მაგრამ, შეხედა თუ არა, უცებ მიხვდა, რაც დამართნოდათ.

– ცე-ცე! – თქვა სტაშისაკენ მიბრუნებულმა. – ესენი მალე დაიხოცებიან.

ამას სტაშიც მიხვდა, ჯერ კიდევ პორტ-საიდში გაეგონა რამდენიმეჯერ ცე-ცედ წოდებულ აფრიკულ ბუზზე, რომელიც საშინელ განსაცდელში აგდებდა ზოგიერთ მხარეს, რომ იქ, სადაც ის გამუდმებით სახლობდა, ზანგებს საქონელი საერთოდ არ ჰყავდათ, ხოლო იქ, სადაც შემთხვევის წყალობით მოულოდნელად გაჩნდებოდა, საქონელი იღუპებოდა. ცე-ცეს დაკბენილ ცხენს, ხარს თუ ვირს ღონე ეცლება და რამდენიმე დღეში კვდება. ადგილობრივ მცხოვრებთ კარგად ესმით, რას უქადით ეს საფრთხე და ისეც ხდება, დასარწყულებლად ჩასული ხარების ჯოგი იგრძნობს თუ არა საშიშროებას, გიჟური შიშით შეპყრობილი ხარები უმალვე აქეთ-იქით გარბიან.

სტაშის ცხენები დაკბენილები იყვნენ; ცხენებს და მათთან ერთად ვირს კალიმ სადღაც ჯუნგლებში ნაპოვნი ხახვივით მყრალი ბალახი წაუსვა. ამბობდა, ეს სუნი ცე-ცეს დააფრთხობსო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცხენები სულ დამჭლევდნენ. სტაში შიშით ფიქრობდა იმაზე, რა ეშველებოდათ, ცხოველები რომ დახოცილიყვნენ. როგორ წაეღოთ ნივთები, ქეჩები, კარავი, ვაზნები და ჭურჭელი? მართალია, ამ ყველაფრის წაღებას კინგიც მოახერხებდა, მაგრამ მის გასათავისუფლებლად ვაზნების ორ მესამედს უნდა გამოსთხოვებოდნენ.

სტაშს სულ უფრო და უფრო ბევრი საზრუნავი უჩნდებოდა იმ ღრუბლებისდაგვარად, რომლებიც არა და არ ცხრებოდნენ ჯუნგლების წვიმის წყალობით გასაჯერებლად. მაგრამ ბოლოს კარს მოადგა ისეთი მარცხი, რომელთან შედარებითაც ყველაფერი არარაობად ჩანდა – ეს იყო ციება!

კარი XXX

ერთ დღეს, ვახშმობისას, ნელიმ პირთან მიტანილი შებოლილი ხორცის ნაჭერი ანაზდად განზე გაწია და ზიზღნარევი ხმით თქვა:

– დღეს ჭამა არ შემიძლია.

სტაში, რომელმაც ამას წინათ კალისგან გაიგო ფუტკრების ადგილსამყოფელი, ახლა ყოველდღე პარავდა მათ თაფლს და დარწმუნებული იყო, რომ გოგონამ დღის განმავლობაში ბევრი თაფლი ჭამა და ამიტომაც არ მიაქცია ყურადღება მის უმადობას. მაგრამ ნელი წუთის შემდეგ ფეხზე წამოხტა და კოცონის ირგვლივ სიარულს მოჰყვა, ბოლოს წრე თანდათან გააფართოვა.

– ძალიან შორს ნუ გადიხარ! – შეუძახა ბიჭმა – არაფერმა მოგიტაცოს.

სინამდვილეში არაფრისა ეშინოდა, რადგან სპილოს არსებობა, რასაც მტაცებელი მხეცები გრძნობდნენ და მისი საყვირივით ხმა, რაც მათ ფრთხილ სმენამდე აღწევდა, აიძულებდათ საკმაო მანძილის დაცვას. ამიტომაც იყვნენ უშიშრად ადამიანებიცა და ცხენებიც, რამეთუ ჯუნგლების ყველაზე საშინელი ბინადრებიც კი, როგორიცაა: ლომი, პანტერა და ლეოპარდი სპილოსთან საქმის დაჭერას და მის ხორთუმსა და ეშვებთან მიახლოებას ყოველთვის თავს არიდებდნენ.

მაგრამ, რადგან გოგონამ ირგვლივ სიარულისას ფეხს აუჩქარა, მიუახლოვდა და ჰკითხა:

– რაო, ფარვანავ! ცეცხლს რად დასტრიალებ?

ჯერ მხიარულად ჰკითხა, მაგრამ მალე შეკრთა, ხოლო მისი შეკრთომა კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ნელიმ უპასუხა:

– არ ვიცი. ერთ ადგილზე ჯდომა არ შემიძლია.

– რა დაგემართა?

– რაღაც მოწყენილი ვარ და თან უცნაური რაღაც...

ანაზდად თავი მკერდზე ჩამოუვარდა და თითქოსდა საკუთარ დანაშაულს გრძნობსო, მორჩილი, ცრემლნარევი ხმით წარმოთქვა:

– სტაშ, მგონი, ავადა ვარ.

– ნელი!

და უმალვე ხელი მშრალ და ამასთანავე ყინულივით ცივ შუბლზე დაადო. ანაზდად ხელში აიტაცა და კოცონისკენ წაიყვანა.

– გცივა? – ჰკითხა გზაში.

– კიდეც მცივა, კიდეც მცხელა, მაგრამ უფრო მცივა...

კბილს კბილზე აცემინებდა და სხეული უთრთოდა. სტაშს ოდნავადაც არ ეეჭვებოდა: ნელის ციება შეჰყროდა.

მეას უბრძანა, ახლავე ხეში შეეყვანა, გაეხადა და ჩაეწვინა, მერე კი, რასაც იპოვიდა, ყველაფერი ზედ დაეხურა, რადგან ხარტუმიდან და ფაშოდიდან იცოდა, რომ ციებიან ავადმყოფს ცხვრის ტყავებს ახურავდნენ ოფლის მოსადენად. გადაწყვიტა, მთელი ღამე ნელის გვერდით მჯდარიყო და თაფლიანი ცხელი წყალი ხშირ-ხშირად დაელევინებინა. თავდაპირველად წყლის დალევა არ უნდოდა. ხის შიგნით ჩამოკიდებული ჭრაქის შუქზე სტაშმა მის აპარპალებულ თვალებს ჰკიდა მზერა. მალე სიცხემ შეაწუხა, იმავდროულად ქეჩებსა და შალებში სხეული აუთრთოლდა. ხელები და შუბლი კი ისევ ცივი ჰქონდა. სტაშს რომ ციებ-ცხელებისა რაიმე სცოდნოდა, ნელის საოცრად აჩქარებულ მოძრაობაზე მიხვდებოდა, რომ საშინლად მაღალი სიცხე ჰქონდა. შემკრთალმა შენიშნა, რომ, როცა მეას ცხელი წყალი შემოჰქონდა ხოლმე, გოგონა რაღაცნაირად გაკვირვებული უყურებდა, თითქმის შეშინებულიც კი, მგონი, ვერც ცნობდა, სტაშს კი ჩვეულებრივ ელაპარაკებოდა. წოლა არ შემიძლიაო და სთხოვდა, ნება დამრთე, ავდგე და ვირბინოო, ხან ეკითხებოდა, ხომ არ მიბრაზდები, ავად რომ ვარო და, როცა ვაჟმა დაარწმუნა, არაო, წამწამებით იკავებდა თვალზე მომდგარ ცრემლებს და პირობას აძლევდა, ხვალ სრულიად ჯანმრთელი ვიქნებიო.

იმ საღამოს, უფრო სწორად, იმ ღამეს სპილო რაღაც საოცარ მოუსვენრობას შეეპყრო და განუწყვეტლივ ღრიალებდა, რაზედაც ლომა ყეფით აძლევდა პასუხს. სტაშმა შეამჩნია, რომ ავადმყოფს ეს აწუხებდა და მათ დასაწყნარებლად გარეთ გავიდა. ლომას

დამშვიდება არ გასჭირვებია, მაგრამ სპილოს ვერაფერი გააგებინა. ადგა და, სულ ცოტა ხანს მაინც რომ გაეჩუმებინა, საჭმელი ჩაუყარა. უკან მიბრუნებულმა კოცონის ალზე თვალი მოჰკრა კალის, რომელსაც მხარზე მოგდებული შებოლილი ხორცის ნაჭრები მდინარის დინების მიმართულებით მიჰქონდა.

– მანდ რას აკეთებ და საით მიდიხარ? – ჰკითხა ზანგს.

შავი ბიჭი შეჩერდა და მიახლოებულ სტაშს იდუმალი გამომეტყველებით უთხრა:

– კალიმ მეორე ხეში ბოროტ მზიმუს ხორცი უნდა დაუდოს.

– რისთვის?

– იმისთვის, რომ ბოროტმა მზიმუმ კეთილი მზიმუ არ მოკლას.

სტაშს ეწადა რაღაც ეპასუხა, მაგრამ ანაზდეული დარდი გულზე ლოდივით დააწვა და კრიჭაშეკრული უხმოდ გასცილდა.

ხეში რომ შებრუნდა, ნელი თვალდახუჭული დახვდა. ქეჩაზე დაწყობილი ხელები ძლიერ უთრთოდა, მაგრამ ეტყობოდა, იძინებდა. სტაში გვერდით ჩამოუჯდა და იმის შიშით, არ გავაღვიძოო, დიდხანს არ განძრეულა. მეორე მხარეს მჯდარი მეა თვლემისგან თავდასაღწევად წამდაუწუმ ისწორებდა ყურებში გაჩრილ სპილოს ძვლის ნაჭრებს. სიჩუმე ჩამოწვა, მხოლოდ მდინარის მხრიდან აღწევდა ბაყაყებისა და გომბეშოების ყიყინი.

ანაზდად ნელი საწოლზე წამოჯდა.

– სტაშ!

– აგერ ვარ, ნელი!

ქარში მთრთოლავ ფოთოლს დამსგავსებულმა გოგონამ მის ხელს დაუწყო ძებნა და რამდენჯერმე სწრაფ-სწრაფად გაიმეორა:

– მეშინია, მეშინია! მომეცი ხელი!

– ნუ გეშინია, აგერ ვარ.

და მის ხელს ხელი ჩაავლო, რომელიც ისე ცხელი ჰქონდა, იფიქრებდით, ცეცხლი უკიდიაო; აზრზე არ იყო, რა უნდა ექნა და უმწეობისგან მის გასაცოდავებულ, გაწლობილ ხელს კოცნა დაუწყო.

– ნუ გეშინია, ნელი, ნუ გეშინია!

ცოტა ხნის შემდეგ უკვე შეგრილებული თაფლიანი წყალი მისცა დასალევად. ამჯერად წყალს გულიანად დაეწაფა და რამდენჯერაც სტაშმა ხელი თავისკენ გამოწია, ნელიმ იმდენჯერ დაუკავა. გრილმა სასმელმა თითქოსდა დაამშვიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ ნელი ისევ წამოჯდა, გაფართოებულ თვალებში საზარელი შიში ჩასდგომოდა.

– სტაშ!

– რა გინდა, საყვარელო!

– რატომ დადიან, – ჰკითხა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, – გებჰრი და ხამისი ხის ირგვლივ და რატომ მიყურებენ?

სტაშს მოეჩვენა, რომ ტანში ათასმა ჭიანჭველამ დაურბინა.

– რას ამბობ? – უთხრა. – აქ არავინ არის! მხოლოდ კალი დადის ხის ირგვლივ.

მაგრამ ხვრელისკენ მომზირალმა ნელიმ კბილების კაწკაწით წარმოთქვა:

– ბედუინებიც არიან! რატომ დახოცე ისინი?

სტაშმა მკლავები შემოხვია და გულში ჩაიკრა:

– ხომ იცი, რისთვისაც დავხოცე! იქით ნუ იხედები! ნურც ფიქრობ მაგაზე, ეგ ხომ წინათ იყო.

– დღეს! დღეს!

– არა, ნელი, ადრე!..

მართალია, ეს დიდი ხნის წინათ იყო, მაგრამ ნაპირს მომწყდარ ტალღასავით უკან დაბრუნდა და ისევ შიშით აავსო ავადმყოფი ნორჩის გონება.

ყველა დამამშვიდებელი სიტყვა ამაო გამოდგა. ნელის თვალები სულ უფრო და უფრო უფართოვდებოდა. გული ისე გამალებით უცემდა, იფიქრებდით, სადაცაა, გაუსკდებაო. მერე ნაპირზე ამოგდებული თევზივით აფართხალდა და ასე გაგრძელდა თითქმის დილამდე. განთიადისას კი ძალაგამოცლილს თავი ბალიშზე დაუვარდა.

– ცუდად ვარ! ცუდად! – იმეორებდა. – სტაშ, სადღაც დაბლა ვვარდები.

თქვა და თვალები დახუჭა.

პირველ წუთებში სტაში საშინელმა შიშმა შეიპყრო, რადგან ეგონა, რომ მოკვდა. მაგრამ ეს იყო დასასრული "მომაკვდინებლად" წოდებული ამ საშინელი აფრიკული ციებ-ცხელების პირველი შეტევისა, რომლის ორ შეტევას მხოლოდ მაგარი და ჯანმრთელი ადამიანები თუ უძლებენ; მესამისთვის კი დღემდე არავის გაუძლია. მოგზაურები ამის თაობაზე ხშირად ლაპარაკობდნენ პორტ-საიდში, პან რავლისონის სახლში, უფრო ხშირად კი ევროპისაკენ მიმავალი კათოლიკეები, რომლებსაც პან ტარკოვსკი თავის სახლში გულღია მასპინძლობას უწევდა. მეორე შეტევა ავადმყოფს ეწყებოდა რამდენიმე ან რამდენიმე ათეული დღის შემდეგ, მესამე კი, თუ ორი კვირის შემდეგ არ დაეწყებოდა, სასიკვდილო არ იყო, რადგან იგი უკვე ითვლებოდა, როგორც პირველი ავადმყოფობის მეორედ შებრუნებული ვარიანტი. სტაშმა იცოდა, რომ ერთადერთი წამალი, რომელსაც შეეძლო შეტევის შეწყვეტა ანდა თავიდან აშორება, ქინაქინას დიდი დოზები იყო, მაგრამ ამჯერად მისი მისხალიც კი აღარ ჰქონდა.

სტაშმა რომ შენიშნა, ნელი სუნთქავსო, ცოტათი დამშვიდდა და მისთვის ლოცვა დაიწყო. ამასობაში, კლდის იქითა მხრიდან მზე ამოგორდა და დღეც გათენდა. სპილომ მათ საუზმე შეახსენა, ხოლო მდინარის განთხეული სანაპიროდან წყლის ფრინველების ხმობამ მოაღწია. ნელისთვის წვნიანის მოსახარშავად სტაშმა ორიოდ პენტარეკის მოკვლა გადაწყვიტა, თოფს ხელი წამოავლო და მდინარის სანაპიროს გაუყვა მაღალი ბუჩქნარებისაკენ, სადაც ფრთოსნები ღამ-ღამობით სხდებოდნენ ხოლმე. მაგრამ ისეთი გამოუძინებელი იყო და მისი ფიქრებიც ისე იყო გოგონას ავადმყოფობით დაკავებული, რომ პენტარეკების მთელმა გუნდმა გვერდით ჩაუარა გოგმან-გოგმანით, ერთიმეორის მიყოლებით, – ალბათ, დასარწყულებლად მიდიოდნენ მდინარისაკენ, მან კი ისინი საერთოდაც ვერ შეამჩნია. ეს იმიტომაც დაემართა, რომ განუწყვეტლივ ლოცულობდა. თან გებჰრის, ხამისისა და ბედუინების მკვლელობაზე ფიქრობდა და ზეცისაკენ თვალებმიპყრობილს ცრემლები ახრჩობდა: ეს ნელის გულისთვის ჩავიდინე, უფალო, ნელის გულისთვის! – რადგან სხვაგვარად მისი დახსნა არ შემეძლო, მაგრამ, თუ ეს ცოდვაა, მე დამსაჯე, ის კი გამომჯობინდეს!..

გზად სტაში შეხვდა კალის, რომელიც ტყეში მიდიოდა, რათა ენახა, ბოროტმა მზიმუმ გუშინ ხორცი თუ შეჭამაო. ახალგაზრდა ზანგსაც უყვარდა ბიბი და მისთვის ლოცულობდა, მაგრამ ლოცულობდა სულ სხვანაირად. მან ბოროტ მზიმუს მიმართა: თუ ბიბი გამომჯობინდა, ყოველდღე მოგიტან ხორცის ნაჭერს, მაგრამ, თუ მოკვდა, ხომ ძალიან მეშინია შენი და ვიცი, რომ მერე მაინც მოვკვდები, ისე მიგბერტყავ, შენს სიცოცხლეში არ დაგავიწყდესო. სიხარულით ცას ეწია, როცა წინა დღეს დადებული ხორცი იქ აღარ დახვდა. მისი წაღება, რასაკვირველია, ტურასაც შეეძლო, მაგრამ ასევე შეეძლო ტურად ქცეულ მზიმუსაც.

კალიმ ეს სასიხარულო ამბავი უმალვე ამცნო სტაშს, მაგრამ მან ისე შეხედა, თითქოს მისი ნათქვამი ვერც გაეგოს და გზა განაგრძო. გვერდი ჩაუარა ატეხილ ბუჩქნარს, სადაც ფრინველის ნასახიც კი არ ჩანდა. მდინარეს მიუახლოვდა. მისი სანაპირო დაფარული იყო ტანმაღალი ხეებით, რომლებზეც გრძელი წინდების მოყვანილობის ბუდეები ეკიდა. ერთ ადგილას ფართოდ გაშლილი მდინარე პაპირუსებით დაბურულ რამდენიმე ტოტს ქმნიდა და სავსე იყო წყლის ფრინველებით. იყვნენ ყარყატებიც, ჩვენებური ევროპული ყარყატებისნაირი და დიდ, უხეშ მოკაუჭებულნისკარტიანი ყარყატები და შავი ხავერდისფერი და სისხლივით წითელფეხება ფრინველები – აგრეთვე ფლამინგოები და იბისები, გვირგვინიანი წეროები და ჩალის ღეროებისმაგვარი წვრილი ფეხებით აქეთ-იქით სწრაფად მოცუხცუხე უამრავი თაგვისხელა, ჭრელაჭრელა და ნაცრისფერი ჩიტი.

სტაშმა ორი მოზრდილი ყავისფერი იხვი მოკლა და ათასობით თეთრი პეპლით მოფენილ ნაპირზე გაალაჯა, თან წინ დაკვირვებით იყურებოდა, თავთხელში ნიანგები არ იყვნენო, რის შემდეგაც წყალში გავიდა და ნანადირევი აკრიფა. გასროლის ხმამ, რასაკვირველია, ფრინველები დააფრთხო; რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით წყალში დარჩა ჩაფიქრებით მდგარი მხრებში თავჩარგული ორი მტრედი, ბერიკაცის მსგავსი ორი ბარაბუ. ისინი არც შერხეულან. ბიჭმა ერთხანს მდუმარედ უყურა მკერდზე ჩამოკიდებულ მათ ხორცის ტოპრაკებს, მაგრამ შეამჩნია თუ არა, რომ ბზიკები მომრავლდნენ და მის გარშემო იწყეს ბზუილი, უმალვე ბანაკში დაბრუნდა.

ნელის კიდევ ეძინა და გადასცა თუ არა მეას იხვები, ქეჩაზე მიწვა და უმალვე მკვდარივით ჩაეძინა. ნაშუადღევს გაეღვიძათ – მას ცოტა ადრე, ნელის – ცოტა მოგვიანებით. გოგონა მოღონიერებლი ჩანდა, ხოლო სქელმა და სურნელოვანმა წვნიანმა კიდევ უფრო მოამჯობინა, ბოლოს ადგა და კინგისა და მზისათვის თვალის შესავლებად ხიდან კარში გავიდა.

მხოლოდ ახლა, დღის შუქზე, შეიძლებოდა იმის აშკარად დანახვა, ერთი ღამის სიცხეს გოგონა როგორ გაენადგურებინა. კანი გაყვითლებოდა და გაცრეცოდა, ტუჩები ჩაშავებოდა, თვალებზე შავი არშიები გარშემორტყმოდა და სახე თითქოს მობერებოდა. თვალის გუგები კი ჩვეულებრივზე მეტად გაუფერულებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სტაშს არწმუნებდა, თავს უკეთ ვგრძნობო და გაღვიძებისთანავე ბლომად შეხვრეპა წვნიანი, ძლივს მიაღწია ხეობის კიდემდე. სტაში სასოწარკვეთილი ფიქრობდა მეორე შეტევაზე და იმაზე, რომ მის შესაჩერებლად არც წამალი ჰქონდა და არც სხვა რამ საშუალება.

წვიმა დღეში რამდენიმეჯერ მოდიოდა და ჰაერს ტენით აჯერებდა.

კარი XXXI

დადგა მძიმე და შიშით აღსავსე მოლოდინის დღეები. მეორე შეტევა ერთი კვირის შემდეგ დაიწყო. თუმცა იგი პირველივით ძლიერი არ გამოდგა. ნელიმ თავი კიდევ უფრო სუსტად იგრძნო. ისე გახდა და გაილია, გოგონას კი არა, გოგონას აჩრდილსღა დაემსგავსა. მისი სიცოცხლის ალი ისე მკრთალად კიაფობდა, იფიქრებდით, ერთი სულის შებერვა და ჩაქრებაო. სტაშს ესმოდა, რომ მის წასაყვანად სიკვდილს შეეძლო მესამე შეტევისთვის აღარ დაეცადა და მას ყოველდღე, ყოველ საათის ელოდა.

თავადაც გახდა და გაშავდა, რადგან ეს უბედურება მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. გოგონას ცვილისფერ, გალეულ სახეს რომ უყურებდა, საკუთარ თავს ყოველდღე ეკითხებოდა: “ნუთუ იმისთვის ვუფრთხილდებოდი თვალისჩინივით, რომ აქ, ჯუნგლებში დამესაფლავებინა?” – და ვერაფრით გაეგო, რატომ უნდა მომხდარიყო ასე. ხანდახან თავს საყვედურობდა, ალბათ, ჯეროვნად ვერ ვუვლიდი, საკმაოდ კეთილად ვერ ვეპყრობოდიო და ამ დროს გულზე ისეთი სევდა შემოაწვებოდა, ლამის იყო, საკუთარი თითები დაეღრღნა. ერთი სიტყვით, უბედურებას საზღვარი არ უჩანდა.

ნელის ახლა თითქმის მთელი დღე ეძინა და შესაძლოა, ამის წყალობითღა ედგა სული. სტაში დღეში რამდენიმეჯერ აღვიძებდა საჭმელად. თუ არ წვიმდა, ჰაერზე გაყვანას სთხოვდა, რადგან ფეხზე დგომა უკვე აღარ შეეძლო. ხანდახან ისეც ხდებოდა, მის მკლავზეც კი ეძინებოდა. იცოდა, რომ ძალიან ავად იყო და შეიძლებოდა დღეს თუ არა, ხვალ მომკვდარიყო. დიდი გამოცოცხლების ჟამს სტაშთან ამაზე ყოველთვის ტირილით საუბრობდა, რადგან სიკვდილისა ეშინოდა.

– მამიკოსთან ვეღარ დავბრუნდები. – ამბობდა ერთხელ. – მაგრამ შენ უთხარი მამიკოს, რომ ძალიან დამწყდა გული და სთხოვე, აქ ჩამოვიდეს და მნახოს...

– დაბრუნდები. – მიუგო სტაშმა.

მეტის თქმა ვერ მოახერხა, რადგან ლამის იყო, აბღავლდა. ნელიმ კი ძლივს გასაგონი, ნამძინარევი ხმით განაგრძო.

– მამიკო ჩამოვა და ოდესმე შენც ჩამოხვალ... ხომ მართალია?

ამის გაფიქრებაზე ღიმილმა გაუნათა გაუბედურებული სახე, მერე წამიერი დუმილის შემდეგ კიდევ უფრო ხმადაბლა თქვა:

– მაგრამ გული ისე მწყდება, ისე, რომ...

ამის თქმაზე თავი დაადო მხარზე და ატირდა, ბიჭმა კი საკუთარი ტკივილი ჩაიკლა, მკერდში ჩაიხუტა და მკვირცხლად უთხრა:

– ნელი, უშენოდ არ დავბრუნდები და... და საერთოდ, არ ვიცი, ამ ქვეყნად უშენოდ რა უნდა ვქნა.

სიჩუმე ჩამოვარდა და ნელის ისევ ჩაეძინა. სტაშმა იგი ხეში შეიყვანა, მაგრამ კარში გამოვიდა თუ არა, ბორცვაკის წვერიდან შემკრთალმა კალიმ ჩამოირბინა და აღგზნებულმა ხელების ქნევით შესძახა:

– დიდო ბატონო! დიდო ბატონო!

– რა გინდა? – ჰკითხა სტაშმა.

ზანგმა ხელი სამხრეთისაკენ გაიშვირა და უთხრა:

– კვამლი!

სტაშმა თვალები ხელისგულებით მოიჩრდილა და ნაჩვენები მიმართულებით მზერადაძაბულმა, უკვე გადაწვერილი მზის მეწამულ შუქზე შორს, ჯუნგლებში, კიდევ უფრო შორეულ, საკმაოდ მაღალ ორ მთას შორის აკლაკნილი კვამლი დაინახა.

კალი ერთიანად თრთოდა, რადგან ძალიან კარგად ახსოვდა დავრიშებთან საშინელი ტყვეობა და სწამდა, რომ მათი ბანაკი იყო. სტაშის აზრითაც იქ სმაინის გარდა სხვა არავინ იქნებოდა და პირველ ხანებში მასაც საშინლად შეეშინდა. ესღა აკლდათ თუ ნელის უიმედო მდგომარეობას კიდევ დავრიშები დაემატა! ისევ ტყვეობა, ისევ ფაშოდსა თუ ხარტუმში დაბრუნება და მაჰდის ხელში თუ აბდულაჰის მათრახქვეშ მოხვედრა. თუ დაიჭირეს, ნელი პირველ დღესვე მოკვდება, თავად კი მთელი სიცოცხლე ტყვეობაში უნდა გაატაროს, რომც მოახერხოს და ოდესმე გაიქცეს, რად უნდა ან სიცოცხლე, ან თავისუფლება, თუ ნელი არ ეყოლა? როგორღა შეხედოს თვალებში ან მამას, ანდა პან რავლისონს, თუკი დავრიშები მკვდარს აფთრებს გადაუგდებენ, მას კი იმის თქმაც არ შეეძლება, სად არის გოგონას საფლავი?

ამ აზრმა გაუელვა სტაშს თავში. ანაზდად ნელის დანახვის გაუსაძლისი სურვილი შემოენთო და ხისაკენ გაემართა. კალის უბრძანა, ცეცხლი ჩაექრო და არც ღამით აენთო. ხეში შევიდა.

ნელის არ ეძინა, თავს უკეთ გრძნობდა, რაც სტაშს უმალვე მიახარა. ლომა გვერდით მისწოლოდა და თავისი ვეებერთელა სხეულით ათბობდა. ის კი თავზე მსუბუქად ეალერსებოდა და ღიმილით შეჰყურებდა, ხეში შემოღწეული ჩამავალი მზის სხივებზე

მობორიალე ფუტუროს ნამცეცებს როგორ იჭერდა პირით. ეტყობოდა, კარგ გუნებაზე რომ იყო, რადგან ცოტა ხნის შემდეგ სტაშს მიუბრუნდა და საკმაოდ მხნედ ჰკითხა:

– იქნებ, არ მოვკვდე, ჰა?

– რა თქმა უნდა, არ მოკვდები, – უპასუხა სტაშმა. – რაკიღა მეორე შეტევის შემდეგ თავს უკეთ გრძნობ, მესამე საერთოდ არ დაგემართება.

რაღაცაზე ჩაფიქრებულმა ნელიმ თვალები აახამხამა და თქვა:

– ისეთი მწარე წამალი რომ გვქონდეს, ლომებიან ღამეს რომ კარგად გავხდი, გახსოვს? სიკვდილზე ცოტას, ერთ ბეწოსაც კი არ ვიფიქრებდი!

– ოჰ! – ამოიოხრა სტაშმა. – არ ვიცი, რას არ მივცემდი ქინაქინაში.

ოცნებას აყოლილმა გუნებაში გაივლო, საკმაოდ რომ მქონდეს, ნელის ერთ ჯერზე ორ ფხვნილსაც კი დავალევინებდი, მერე პლედში გავახვევდი, ცხენზე წინ დავისვამდი და უმალვე გავემართებოდი დავრიშების ბანაკის მოპირდაპირე მხარეს.

ამასობაში მზე ჩავიდა და ჯუნგლები უმალვე სიბნელეში ჩაიძირა.

გოგონა, კიდევ ნახევარ საათს გაერთო და მერე ჩაეძინა, სტაში კი ისევ დავრიშებსა და ქინაქინაზე ფიქრობდა. დარდით სავსე, მაგრამ საოცრად საზრიანი მისი გონება გამალებით მუშაობდა და ერთიმეორეზე უფრო თამამ და გაბედულ გეგმებს ადგენდა. ჯერ იმის განსჯას შეუდგა, სამხრეთის მხარეს დანახული კვამლი მართლა სმაინის ბანაკს ეკუთვნოდა თუ არა. შეიძლებოდა, მართლა დავრიშები იყვნენ, მაგრამ შეიძლება ოკეანისპირელი არაბებიც ყოფილიყვნენ, სპილოს ძვლისა და ტყვეებისთვის კონტინენტის სიღრმეში დიდ ლაშქრობებს რომ აწყობდნენ ხოლმე. მათ საერთო არაფერი ჰქონდათ დავრიშებთან, რომლებიც ვაჭრობის საქმეს უფუჭებდნენ. შეიძლება აბისინიელთა სადგომიც იყო ანდა ზანგების რომელიღაც მთის სოფელიც, რომლისთვისაც მაძებრებს ჯერ კიდევ ვერ მიეკვლიათ. არ ღირდა ამ საქმის გარკვევა?

ბაგომოიოს, ვიტისა და მომბასის მხრის ზანზიბარელი არაბები, განსაკუთრებით კი ოკეანისპირელები, იყო ის ხალხი, რომლებიც ხშირად ხვდებოდნენ თეთრკანიანებს, ჰოდა, ვინ იცის, ეგებ დიდი ჯილდოს ფასად რომელიმე უახლოეს პორტამდე მათ მიყვანას დასთანხმებოდა. სტაშმა შესანიშნავად იცოდა, რომ შეეძლო ასეთი ჯილდო აღეთქვა და დაუჯერებდნენ კიდეც. ამის შემდეგ თავში სხვა აზრმა გაუელვა, რომელმაც გულის სიღრმემდე შეძრა. იცოდა, რომ ხარტუმში ბევრი დავრიში, განსაკურებით კი ნუბიელები, თეთრკანიანების მსგავსად ავადდებოდნენ ციებ-ცხელებით და წამლობდნენ მხოლოდ ქინაქინით, რომელსაც ევროპელებს ართმევდნენ ანდა, თუ

მალავდნენ, ბერძნებისა და კოპტებისაგან ყიდულობდნენ ოქროზე. ჰოდა, მოსალოდნელი იყო, რომ ოკეანისპირელ არაბებს წამალი ჰქონოდათ.

“წავალ, – თავისთვის ჩაილაპარაკა სტაშმა, – ნელის გულისათვის წავალ”.

და, თავის მდგომარეობაზე უფრო ღრმად ჩაფიქრებული, ბოლოს იმ აზრამდე მივიდა, რომ ის თუნდაც სმაინის რაზმი ყოფილიყო, წასვლა მაინც საჭირო იყო. თავს შეახსენა, რომ ეგვიპტესა და სუდანს შორის ურთიერთობის საბოლოოდ გაწყვეტის გამოისობით ფაიუმიდან მათი მოტაცების შესახებ, ალბათ, სრულებით არაფერი ეცოდინებოდათ. ფატმა მასთან დაკავშირებას ვერ შეძლებდა, ამიტომაც მხოლოდ მისი საკუთარი ჩანაფიქრი იყო ბავშვების გატაცება, რომელშიც მონაწილეობდნენ ხადიგის შვილი ხამისი, აგრეთვე იდრისი, გებჰრი და ორი ბედუინი. ის ხალხი კიდევ სმაინს არაფრად უღირდა, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ მათგან მხოლოდ ხამისს იცნობდა, დანარჩენებზე კი თავის სიცოცხლეში არაფერი სმენოდა. მისთვის მთავარი საკუთარი შვილები და ფატმა იყვნენ, მაგრამ, შესაძლოა, ცოლ-შვილი მოენატრა უკვე და სიხარულით დაბრუნდებოდა მათთან, თუ, რასაკვირველია, მაჰდისთან სამსახური უკვე მობეზრდა. მასთან, ჩანდა, დიდ წარმატებას ვერ მიაღწია, რადგან ძლიერი ჯარის მეთაურობის ან რომელიმე დიდი მხარის გამგებლობის ნაცვლად, ღმერთმა უწყის, ფაშოდიდან რა შორს დაეხეტებოდა ტყვეების დასაჭერად. “მივალ და ასე ვეტყვი: – ფიქრობდა სტაში, – თუ ინდოეთის ოკეანის რომელიმე პორტამდე მიგვიყვან და ეგვიპტეში დაგვაბრუნებ, ხელისუფლება ყველა დანაშაულს გაპატიებს, შეუერთდები ფატმასა და ბავშვებს, ამას გარდა, პან რავლისონის წყალობით გამდიდრდები; თუ არა და ბავშვებს და ფატმას შენს სიცოცხლეში ვერასოდეს ნახავ”.

და დარწმუნებული იყო, სმაინი ღრმად ჩაფიქრდებოდა, სანამ ამგვარ წინადადებაზე უარს იტყოდა.

რასაკვირველია, გეგმა უხიფათო არ იყო, შესაძლებელია, დამღუპველიც აღმოჩენილიყო, მაგრამ ისიც შეიძლებოდა, აფრიკის სიღრმიდან გაღწევის საშუალებადაც გამომდგარიყო. სტაშს ბოლოს გაუკვირდა კიდეც, რატომ აშინებდა სმაინთან შეხვედრა და, რამდენადაც საქმე ნელის გადარჩენას ეხებოდა, ღამითვე წასვლა გადაწყვიტა.

მაგრამ ამის თქმა უფრო ადვილი იყო, ვიდრე შესრულება. სულ სხვაა, ღამით ჯუნგლებში ეკალ-ბარდებით შემოღობილ ბრიალა კოცონთან ჯდომა და სულ სხვა – სიარული კუნაპეტ ღამეში, თანაც ყელამდე ბალახში, სადაც სწორედ ამ დროს ნადირობენ ლომი, პანტერა და ლეოპარდი, რომ აღარაფერი ვთქვათ აფთარსა და ტურაზე. მაგრამ ბიჭს ანაზდად გაახსენდა ნათქვამი ახალგაზრდა ზანგისა, რომელიც იმ

ღამეს ლომას საძებრად იყო წასული და დაბრუნებულმა უთხრა: “კალის შიში, მაგრამ მაინც წავა”. და თავადაც იგივე გაიმეორა:

“მეშინია, მაგრამ მაინც წავალ”.

მთვარის ამოსვლას დაელოდა, რადგან უჩვეულოდ ბნელი ღამე იყო და, როგორც კი მისი შუქისგან ჯუნგლები გადავერცხლისფრდა, კალის დაუძახა და უთხრა:

– კალი, შეიყვანე ლომა ხეში, შესასვლელი ეკალ-ბარდებით ამოგმანე, პაწია ქალბატონს შენ და მეა თვალისჩინივით გაუფრთხილდით, მე კი წავალ და ვნახავ, რა ხალხია იმ ბანაკში.

– დიდმა ბატონმა წაიყვანოს კალი და თოფი, რომელიც მოკლავს ველურ მხეცებს. კალი არ დარჩება!

– დარჩები, – მტკიცედ უთხრა სტაშმა – და გიკრძალავ უკან გამოყოლას!

ამის შემდეგ დადუმდა, მერე კი ყრუ ხმით მიმართა:

– კალი, ვიცი, რომ ერთგული და საზრიანი ხარ, ამიტომაც მჯერა, რომ, რასაც გეტყვი, შეასრულებ. რომ ვერ დავბრუნდე და პაწია ქალბატონი მოკვდეს, ხეში დატოვე, ხის ირგვლივ კი დიდი ღობე გააკეთე, ქერქზე კი ასეთი ნიშანი ამოკვეთე.

და ხელში აღებული ორი ბამბუკისგან ჯვარი გამოსახა.

რის შემდეგაც ლაპარაკი განაგრძო:

– მაგრამ, თუ ბიბი არ მოკვდა, და მე ვერ დავბრუნდი, პატივი ეცი და ერთგულად ემსახურე, მერე კი შენს ხალხთან მიიყვანე და უთხარი ვა-ჰიმას ხალხს, რომ იარონ სულ აღმოსავლეთისაკენ ზედ უზარმაზარ ზღვამდე. იქ იპოვნი თეთრ ხალხს, რომლებიც მოგცემენ ბევრ თოფს, ტყვია-წამალს, მძივებს, ზონრებსა და იმდენ ტილოს, რამდენის წამოღებასაც შეძლებ. გასაგებია?

მაგრამ ახალგაზრდა ზანგი მის წინაშე მუხლებზე დაეცა, ფეხებზე შემოეხვია და შესაბრალისი ხმით დაიწყო:

– ო ბვანა კუბვა! დაბრუნება, დაბრუნება, დაბრუნება!

სტაშს გული აუჩუყა ბიჭის ერთგულებამ, დაიხარა, ხელი თავზე დაადო და უთხრა:

– შედი, ხეში, კალი და... ღმერთი იყოს შენი შემწე!

მარტო დარჩენილი ერთხანს იმაზე ფიქრობდა, ვირი ხომ არ წაეყვანა. ეს უფრო უხიფათო იყო, რადგან აფრიკაში ლომები, ისევე როგორც ვეფხვები ინდოეთში, ცხენით არ ვირით მიმავალ ადამიანთან შეხვედრისას ყოველთვის ცხოველს ესხმიან თავს და არა ადამიანს, მაგრამ თავს უმალვე დაუსვა კითხვა, ვინ ზიდავს ნელის კარავს, ანდა თვითონ გოგონა როგორ იმგზავრებს? ამ მიზეზის გამო ვირის წაყვანა გადაიფიქრა და ჯუნგლებში ფეხით წავიდა.

მთვარე ცაზე მაღლა აწეულიყო და ირგვლივ ყველაფერი საკმაოდ კარგად ჩანდა. მაგრამ სიძნელემ უმალვე იჩინა თავი, შეაბიჯა თუ არა ბიჭმა მაღალ ბალახებში, რომლებიც ისე გაზრდილიყო, ცხენიანი კაციც რომ სულ იოლად დაიმალებოდა. იქ დღისითაც კი ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ღამეზე, როცა მთვარე მხოლოდ ბალახის წვეროებს ანათებდა, დაბლა კი ყველაფერი უკუნეთში ჩანთქმულიყო. ასეთ პირობებში სულ იოლია გზის დაკარგვა და ირგვლივ წრეზე სიარული, ნაცვლად წინ წასვლისა; სტაშს ყოველ წამს სიმამაცეს მატებდა ფიქრი იმაზე, რომ ბანაკი, საითკენაც მიდიოდა, ბორცვაკიდან სამი თუ ოთხი ინგლისური მილის სიშორეზე მდებარეობდა, მეორეც ის, რომ კვამლი მოჩანდა ორ მთას შორის და, თუ მზერას იმ მთებს არ მოაცილებდა, არც გზა აებნეოდა, მაგრამ მცენარეულობა, მიმოზები და აკაციები ყველაფერს ფარავდა. საბედნიეროდ, ყოველ რამდენიმე ათეულ ნაბიჯზე აღმართული იყო მაღალ-მაღალი ტერმიტების ბორცვაკები. სტაში ყოველი მათგანის ძირში ფრთხილად მიაყუდებდა თოფს, მერე წვეროზე მიცოცავდა – და, დაინახავდა თუ არა ზეცის ფონზე შავად მოხაზულ მთებს, დაბლა ჩამოდიოდა და გზას განაგრძობდა.

შიში ზაფრავდა იმის გაფიქრებაზე, ღრუბლებს არ დაეფარა მთვარე და ზეცა, რადგან მაშინ უფსკრულში ჩავარდნილს დაემსგავსებოდა. თუმცა ეს არ ყოფილა ერთადერთი ხიფათი. ღამეული ჯუნგლები, როცა გამეფებულ სიჩუმეში ბალახებს შორის მორიალე მწერების ყოველი გაფაჩუნებაც კი ისმის, უბრალოდ შემაძრწუნებელია. შიში და ელდა დასტრიალებს იქაურობას. სტაშს ყველაფერზე უნდა ეფიქრა, მიეყურადებინა, ეგრძნო, მზერადაძაბულს უნდა მოევლო თვალი ირგვლივეთისთვის, თავი ხრახნებზე დამაგრებულივით უნდა ჰქონოდა, თოფი კი – ყოველწამს გასასროლად გამზადებული. წამდაუწუმ ეჩვენებოდა, რომ რაღაც უახლოვდებოდა, ეპარებოდა, უსაფრდებოდა. დროდადრო ისევ ესმოდა ბალახის შარიშური და გაქცეული მხეცების სწრაფი თქარათქური. უმალვე ხვდებოდა, რომ დააფრთხო ანტილოპები, რომლებიც, ჩაყენებული გუშაგების მიუხედავად, ძილში მაინც ფხიზლობენ, რადგან იციან, რომ არაერთი და ორი საშინელი ჩალისფერბალნიანი მტაცებელი ნადირობს იმ დროს სიბნელეში. აგერ რაღაც დიდი ილანდება კიდეც ქოლგისმაგვარი აკაციის ქვეშ. შეიძლება კლდეა, შეიძლება – მარტორქა ან კამეჩი, რომელიც, იკრავს თუ არა ადამიანის სუნს, ძილღვიძილიდან გამორკვეული უმალვე შეტევაზე გადადის. აგრე იქით, ისევ მუქი ბუჩქის უკან, ორი მბრწყინავი წერტილი მოჩანს. აბა, ჰე! თოფი სახესთან! ლომია! არა!..

ამაო განგაშია! ციცინათელები არიან, რადგან ერთი ციმციმა წერტილი მაღლა ადის და ბალახების თავზე მოწყვეტილი ვარსკვლავივით ირიბად მიფრინავს. სტაში ტერმიტერიებზე ყოველთვის გზის დასანახვაად კი არ მიცოცავდა, არამედ იმიტომაც, რომ ცივი ოფლით დაცვარული შუბლი მოეწმინდა, დაესვენა და დალოდებოდა, როდის დაუდინჯდებოდა გულის მომეტებული ძგერა. ამასთანავე, ისეთი დაღლილი იყო, ფეხზე ძლივს იდგა.

მაგრამ წინ მიდიოდა იმ ფიქრით, რომ ასე იყო საჭირო ნელის გადასარჩენად. ორი საათის შემდეგ, როგორც იქნა, გააღწია ქვა-ღორღით მოფენილ ნიადაგზე. უფრო დაბალი ბალახი და უკეთესი ხილვადობა იყო. ორი მაღალი მთა უწინდელივით შორს მოჩანდა; სამაგიეროდ უკვე იქვე იწყებოდა კლდოვანი ზოლი, რომლის უკანაც მეორე, უფრო მაღალი აღმართულიყო, და, როგორც ჩანდა, ორივე შემორკალვოდა რაღაც მდელოს თუ იმისმაგვარ ვიწრობს, როგორშიც კინგი იყო ჩაკეტილი.

ანაზდად მარჯვნივ, სამას-ოთხასი მეტრის სიშორეზე, კლდოვან კედელზე ცეცხლის ვარდისფერ ანარეკლს მოჰკრა თვალი.

და შედგა. გული კვლავ ისე გამალებით უბათქუნებდა, ღამის სიჩუმეში ლამის თავად გაეგონა. ვის დაინახავს იქ, ქვემოთ? აღმოსავლეთ სანაპიროდან მოსულ არაბებს? სმაინის დავრიშებს თუ საკუთარი პაწია სოფლიდან აყრილ და ამ უდაბურ ტევრში დავრიშების თვალთახედვისათვის დამალულ ველურ ზანგებს? სიკვდილს პოვებს იქ თუ ტყვეობას, თუ სულაც ნელის შველას?

საჭირო იყო, კარგად დარწმუნებულიყო. უკან დახევა აღარც შეეძლო და არც უნდოდა. ცოტა ხნის შემდეგ კოცონისაკენ მიპარვით გაცოცდა, თანაც სუნთქვის შეკავებას ცდილობდა. ასიოდ ნაბიჯის შემდეგ მოულოდნელად ჯუნგლების მხრიდან ცხენების ფრუტუნი გაიგონა და ისევ შედგა. მთვარის შუქზე ხუთი დათვალა. დავრიშებისთვის ეცოტავა, მაგრამ დაუშვა, რომ დანარჩენები შეიძლება მაღალ ბალახებში ყოფილიყვნენ ჩამალულნი. ოღონდ იმან გააკვირვა, რომ არსად ჩანდნენ არც გუშაგები და არც მტაცებელი ნადირის დასაფრთხობად მთაზე დანთებული კოცონები. თუმცაღა ღმერთს მადლობას სწირავდა, ასე რომ იყო, რადგან შეუმჩნევლად შეეძლო წინ წასვლა.

კლდეზე ანარეკლი თანდათან მკვეთრდებოდა. თხუთმეტიოდ წუთიც და სტაში მიუახლოვდა ადგილს, საიდანაც მოპირდაპირე კლდე ყველაზე განათებული მოჩანდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ დაბლა, მის ფერხთით, კოცონი ენთო.

ნება-ნება მიცოცდა კიდესთან და ძირს ჩაიხედა.

პირველი, რაც თვალში მოხვდა, უშველებელი კარავი იყო; კარვის წინ იდგა საველე ტილოს საწოლი, რომელზეც თეთრ ევროპულ სამოსში გამოწყობილი კაცი იწვა.

პატარა, ასე თორმეტიოდ წლის, ზანგის ბიჭი ფიჩხს ამატებდა კოცონს, რომელიც ანათებდა კლდის კედელს და მის ძირში, კარვის ირგვლივ, რიგ-რიგად შემოწყობილ მძინარე ზანგებს.

სტაში თვალისდახამხამებაში ხრამის ფსკერზე ჩასრიალდა.

კარი XXXII

დაღლილობისა და მღელვარებისგან ერთხანს კრინტი ვერ დაძრა. იგი მძიმედ სუნთქავდა მწოლარე კაცის წინ, რომელიც მასავით დუმდა, და განცვიფრებისგან თითქმის გონმიხდილი შეჰყურებდა.

ბოლოს მწოლიარემ შესძახა:

– ნასიბუ, აქ ხარ?

– აქ ვარ, ბატონო! – მიუგო პაწია ზანგმა.

– ხედავ ვინმეს და დგას ის ვინმე ჩემ წინ თუ არა?

მაგრამ, სანამ პატარა პასუხს მოასწრებდა, სტაში მოეგო გონს:

– ბატონო, – მიმართა, – სტანისლავ ტარკოვსკი მქვია, მე და პატარა მის რავლისონმა დავრიშების ტყვეობას დავაღწიეთ თავი და ჯუნგლებში ვიმალებით, მაგრამ ნელი მძიმე ავადმყოფია და გემუდარებით, უშველეთ რამე!

უცნობი ერთხანს ისევ მდუმარედ შეჰყურებდა და თვალებს ახამხამებდა, მერე შუბლზე მოისვა ხელი.

– არამარტო ვხედავ, მესმის კიდეც, – ჩაილაპარაკა თავისთვის. – არა, არ მეჩვენება!.. რაო? ვუშველო? შველა თავად მჭირდება. დაჭრილი ვარ.

ანაზდად თითქოს ძილბურანიდან თუ გაოგნებიდან გამოერკვაო, სხარტად შეხედა და სიხარულით თვალებაციმციმებულმა შესძახა:

– თეთრკანიანი ბიჭი!.. კიდევ ვხედავ თეთრკანიანს!.. მოგესალმები, ვინც არ უნდა იყო, რაღაც ავადმყოფობაზე ლაპარაკობდი, რა გსურს ჩემგან?

სტაშმა გაუმეორა, ავად არის ნელი, არხის ერთ-ერთი დირექტორის, პან რავლისონის შვილი, ციებ-ცხელების ორი შეტევა უკვე გადაიტანა და მესამის თავიდან ასაცილებლად თუ ქინაქინა არ მივაშველე, უეჭველად მოკვდებაო.

– ორი შეტევა, – ძალიან ცუდია! – უპასუხა უცნობმა. – მაგრამ ქინაქინას იმდენს მოგცემ, რამდენიც გინდა. თან მაქვს რამდენიმე ქილა, რომლებიც აწი აღარაფრად მარგია.

ეს რომ თქვა, პატარა ნასიბუს უბრძანა, მოეწოდებინა დიდი თუნუქის კოლოფი, რომელიც, ალბათ, სამგზავრო აფთიაქი იყო, თეთრი ფხვნილით სავსე ორი მოზრდილი ქილა ამოიღო და სტაშს მიაწოდა.

– ეს ჩემი მარაგის ნახევარია. თუნდაც მთელ წელიწადს გეყოფა...

სტაში სიხარულისგან კინაღამ აყვირდა, მაგრამ თავი შეიკავა და ისე მგზნებარედ უთხრა მადლობა, თითქოსდა საქმე მის სიცოცხლეს ეხებოდა.

უცნობმა თავი მხოლოდ რამდენიმეჯერ დაიქნია და თქვა:

– კეთილი, კეთილი. ლინდე მქვია, შვეიცარიელი ვარ, ციურიხიდან... ორი დღის წინათ ცუდი საქმე დამემართა, ტახმა დამჭრა.

მერე შავ ბიჭუნას მიუბრუნდა:

– ნასიბუ, ჩიბუხი გამიწყვე!

და ისევ სტაშს მიმართა:

– ღამღამობით დიდ სიცხეს მაძლევს და თავში ყველაფერი მისამდება. მაგრამ ჩიბუხი გონებას მიწმენდს. წეღან, მგონი, თქვი, დავრიშების ტყვეობიდან გამოვექეცით და ჯუნგლებში ვიმალებითო, არა?

– დიახ, ბატონო, ასე გითხარი.

– მერე და, რას აპირებთ?

– აბასინიაში გადასვლას.

– უმალვე ხელში ჩაუცვივდებით მაჰდისტებს, რომელთა რაზმებიც მთელ საზღვრებს მოსდებიან.

– მეტი გზა არა გვაქვს.

– ოჰ! ამ ერთი თვის წინათ აუცილებლად დაგეხმარებოდით. ახლა კი მე თავადაც ღვთისა და ამ შავი ბიჭუნას იმედად ვარ დარჩენილი.

სტაშმა განცვიფრებული მზერა ესროლა.

– კი, მაგრამ, ეს ბანაკი?

– ეს სიკვდილის ბანაკია.

– მერე ზანგები?

– ზანგებს სძინავთ და ვეღარასოდეს გაიღვიძებენ.

– ვერ გავიგე...

– საღათას ძილით სძინავთ. ესენი დიდი ტბისპირეთიდან არიან, სადაც საშინელი ავადმყოფობა, რა ხანია, მძვინვარებს და თითქმის ყველას შეეყარა, მანამდე ყვავილით დახოცილთა გარდა, ეს ბიჭუნაღა შემრჩა.

სტაშს ახლაღა მოაგონდა, რომ კლდეზე მისი ჩამოცოცებისას ერთი ზანგიც არ შერხეულა, არც გატოკებულა მთელი ამ საუბრის განმავლობაში. ყველას ეძინა – ზოგს კლდეზე თავმიდებულს, ზოგიერთს – მკერდზე თავჩამოვარდნილს.

– სძინავთ და ვეღარასოდეს გაიღვიძებენ? – ჰკითხა, თითქოს მოსმენილის აზრი ვერ გაიგოო.

ლინდემ კი თქვა:

– ოჰ, რა საცხედრეა ეს აფრიკა!..

შემდეგი სიტყვების წარმოთქმა არ აცალა ცხენის ფლოქვების ხმამ. რაღაცით დამფრთხალი ცხოველები დაპალვანდებული ფეხებით ხევისკენ მოიწევდნენ, რათა ხალხსა და შუქთან ახლო ყოფილიყვნენ.

– არაფერია, ცხენები არიან, – ისევ ამოიღო ხმა შვეიცარიელმა. – ეგენი რამდენიმე კვირის წინათ დახოცილ მაჰდისტებს წავართვი. სამასნი იქნებოდნენ, შეიძლება, მეტნიც. იმათ უმეტესწილად შუბები ჰქონდათ, ჩემს ხალხს კი რემინგტონები, რომლებიც ახლა აგერ, კლდის ძირას, უქმად არის მიყუდებული. თუ იარაღი ან ტყვია-წამალი გაკლია, წაიღე, რამდენიც გინდა. ცხენიც წაიყვანე: შენს ავადმყოფთან უფრო სწრაფად მიხვალ. რამდენი წლის არისო?

– რვისა, – უპასუხა სტაშმა.

– მთლად ბავშვი ყოფილა... ნასიბუ მისთვის ჩაის, ბრინჯს, ყავასა და ღვინოს მოგცემს... წაიღე, რაც გინდა, ის წაიღე ჩვენი მარაგიდან, ხვალ კი ისევ მოდი.

– აუცილებლად მოვალ, რათა ერთხელ კიდევ გითხრათ გულითადი მადლობა და, რითაც შემეძლება, დაგეხმაროთ.

ლინდემ ამაზე უპასუხა:

– კარგია, ევროპელის სახე რომ ისევ დავინახე. ადრე თუ მოხვალ, ჯანზე უფრო ვიქნები. ახლა სიცხე ისევ მიწევს, რადგან ორად მეჩვენები. ორნი ხართ მანდ?.. არა!.. ვიცი, რომ მარტო ხარ, სიცხის ბრალია... ოჰ, ეს აფრიკა!..

და თვალები მილულა.

ნახევარი საათის შემდეგ სტაში ძილისა და სიკვდილის უცნაური ბანაკიდან უკან გამობრუნდა. ოღონდ ამჯერად – ცხენით. ჯერაც გვიანი ღამე იყო, მაგრამ ახლა აღარაფრად უღირდა არარა საფრთხე, რომელსაც, შესაძლოა, მაღალ ბალახებში გადაჰყროდა. მდინარის შორიახლო მიდიოდა იმ იმედით, რომ ორივე ხეობა მისკენ ეშვებოდა. დაბრუნება ბევრად იოლი იყო, როცა ღამეულ სიჩუმეში შორიდან აღწევდა ჩანჩქერის ხმა, ამასთანავე ზეცის დასავლეთ მხარეს ღრუბლები გაფანტულიყო და, მთვარის შუქის გარდა, იქაურობას ზოდიაქური შუქიც ძლიერ ანათებდა. ბიჭი ცხენს ფერდებში განიერი არაბული უზანგების წვერებით ჩხვლეტდა და ლამის თავპირისმტვრევით მიაქროლებდა, თან გულში იმეორებდა: “რას მიქვია პანტერა და ლომი, ჩემი პაწიასთვის ქინაქინა მიმაქვს!” და წამდაუწუმ ეხებოდა ქილებს, თითქოს საკუთარი თავის დარწმუნება სურდა, რომ წამალი მართლა მიჰქონდა და ყოველივე ეს სიზმარი არ იყო. თავში სხვადასხვა აზრი და სახეები უტრიალებდა. თვალწინ ედგა შვეიცარიელი, რომლის მიმართაც უსაზღვრო მადლიერების გრძნობით იყო განმსჭვალული და რომელსაც გულითა და სულით თანაუგრძნობდა, თუმცა საუბრის დასაწყისში იგი შეშლილი ეგონა. ხედავდა თავპირმრგვალ პატარა ნასიბუს, მძინარე ზანგებსა და კლდეზე მიყუდებული რემინგტონების ცეცხლზე მოელვარე ლულებს. დარწმუნებული იყო, რომ ბრძოლა, რომელიც ლინდემ ახსენა, მოხდა სმაინის რაზმთან და, თუმცა საფიქრებლადაც კი გაუკვირდა, მაგრამ, შესაძლოა, იმ ბრძოლაში თავად სმაინიც კი დაიღუპაო.

ეს ხილვები ნელიზე განუწყვეტლივ ფიქრს შერეოდა. წარმოიდგინა, როგორ გაუკვირდებოდა, დილით მთელ ქილა ქინაქინას რომ დაინახავდა და მას, ალბათ, სასწაულმოქმედადაც კი მიიჩნევდა. “ოჰ, – თქვა თავისთვის, – რომ შემშინებოდა და ვერ წავსულიყავი იმის გასაგებად, საიდან ადიოდა ის კვამლი, ამას ჩემს სიცოცხლეში არ ვაპატიებდი საკუთარ თავს”.

თითქმის ერთი საათის შემდეგ ჩანჩქერის ხმა მკვეთრად გაიგონა, ხოლო ბაყაყების ყიყინმა აშკარად მიახვედრა, რომ ახლო იყო ის ადგილი, სადაც წინა დღეს წყლის ფრინველებს ესროდა. მთვარის შუქზე იქ მდგარი ხეებიც კი იცნო. ახლა მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა, რადგან უახლოვდებოდა განთხეულ ნაპირს, რომელიც სარწყულებელს წარმოადგენდა და აქ ყველანაირი ცხოველ-ნადირი დადიოდა წყლის დასალევად, ხოლო ახლომახლო ციცაბო და მიუვალი ნაპირები ამ საქმისთვის უვარგისი იყო. მაგრამ უკვე გვიანი ჟამი იდგა და მტაცებლები, ეტყობა, ღამეული ნადირობის შემდეგ კლდის ქვაბულებს შეჰფარებოდნენ. ცხენი დროდადრო წამოიფრუტუნებდა, როცა ლომისა თუ პანტერას ახალ კვალს იყნოსავდა, მაგრამ სტაშმა ბედნიერად დაასრულა მოგზაურობა და რამდენიმე წუთის შემდეგ მაღალ მწვერვალზე "კრაკოვის" ვეებერთელა შავ სილუეტს მოჰკრა თვალი. აფრიკაში პირველად დაეუფლა შინ დაბრუნების განცდა.

მისი ვარაუდით, ყველას უნდა სძინებოდა, მაგრამ მათთვის არ მიუთვლია ლომა, რომელმაც ისეთი ყეფა ატეხა, მკვდარსაც კი გააღვიძებდა. წამსაც არ გაუვლია, კარში კალი გამოვარდა და შეჰყვირა:

– ბვანა კუბვა ცხენზე!

მის სიტყვებში სიხარული მეტი იყო, ვიდრე განცვიფრება, რადგან ისე სწამდა სტაშის ძლიერებისა, ცხენი მის თვალწინ რომ შეექმნა, შავ ბიჭს მაინცდამაინც დიდად არ გაუკვირდებოდა.

მაგრამ, რამდენადაც ზანგები სიხარულს სიცილით გამოხატავენ, ხელები თეძოებზე დაიტყაპუნა და გიჟური ხარხარი აუტყდა.

– ეს ცხენი დააპალვანდე! – უთხრა სტაშმა, – ტვირთი ჩამოხსენი, ცეცხლი დაანთე და წყალი აადუღე!

ამის შემდეგ ფუღურეში შევიდა. ნელისაც გაღვიძებოდა და მას ეძახდა. სტაშმა ტილოს კედელი გადაწია და ჭრაქის შუქზე ნელის ფერმკრთალი სახე და პლედზე დაწყობილი თეთრი, გაწლობილი ხელები დაინახა.

– როგორ ხარ, პაწიავ? – ჰკითხა მხიარულად.

– კარგად და მაგრადაც მეძინა, სანამ ლომამ არ გამაღვიძა. რატომ არ გძინავს?

– იმიტომ, რომ წასული ვიყავი.

– სად?

– აფთიაქში.

– აფთიაქში?

– ჰო, ქინაქინისათვის.

გოგონას, მართალია, დიდად არ ეგემრიელებოდა ქინაქინის ფხვნილი, რომელსაც ადრე სვამდა, მაგრამ, რადგანაც ის ეგონა ამქვეყნად ყველანაირი ავადმყოფობის წამალი, ამოიოხრა და თქვა:

– ხომ ვიცი, რომ ქინაქინა აღარ გაქვს.

სტაშმა ერთ-ერთი ქილა ჭრაქის შუქთან მიიტანა და ამაყად, თან მხიარულად ჰკითხა:

– მაშ, ეს რა არის?

ნელი საკუთარ თვალებს არ უჯეროდა, სტაში კი სწრაფად, მთლად ანთებული ქაქანებდა:

– მალე გამოჯანმრთელდები! ახლავე ბლომად ქინაქინას შევახვევ ლეღვის კანში და შეჭამ, მაგრამ რას დააყოლებ, ჯერ არ გეტყვი. ისე მიყურებ, თითქოს მწვანე კატა ვიყო!.. დიახ! მეორე ქილაც მაქვს. ორივე მომცა თეთრკანიანმა კაცმა, რომლის ბანაკიც აქედან ოთხი მილის დაშორებით მდებარეობს. სწორედ იქიდან მოვდივარ. იმ კაცს ლინდე ჰქვია და დაჭრილია; სამაგიეროდ, ბევრი სასარგებლო რამ მაჩუქა. იქიდან ცხენით დავბრუნდი, მაგრამ აქედან კი ფეხით წავედი. ბრრ! მეორედ იქ არაფრის გულისთვის წამსვლელი არა ვარ, თუ ისევ ქინაქინა არ იქნა საჭირო!

ამის შემდეგ ჩაფიქრებული გოგონა დატოვა და “კაცთა განყოფილებაში” გავიდა, მარაგიდან პატარა ლეღვი ამოარჩია, გამოღრუტნა და შიგ ქინაქინა ჩაყარა, თან ძალიან ფრთხილობდა, იმაზე მეტი არ მოსვლოდა, რამდენიც ხარტუმში იშოვა. მერე ხიდან გავიდა, ჩაის ფერი წყლიან ჭურჭელში ჩაყარა და წამლიანად ნელისთან შებრუნდა.

ის კი მთელი ამ ხნის განმავლობაში მომხდარზე ფიქრობდა. ძალიან უნდოდა გაეგო, რა კაცი იყო ის თეთრკანიანი. როგორ გაიგო სტაშმა მისი არსებობა? მოვა თუ არა აქ და ერთად თუ იმგზავრებენ? რადგან სტაშმა ქინაქინა იშოვა, ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ გამოჯანმრთელდებოდა. მაგრამ როგორია ეს სტაში... ადგა და ამ შუაღამისას ჯუნგლებში ისე წავიდა, ვითომც აქ არაფერი! ნელი, მიუხედავად იმისა, რომ სტაში ძალიან მოსწონდა, აქამდე თვლიდა და ამაზე დიდხანს თავი არ უმტვრევია, რომ ყველაფერი, რასაც სტაში მისთვის აკეთებდა, იგულისხმებოდა, რომ ასეც უნდა ყოფილიყო, ბუნებრივად, როგორც უფროსი ბიჭი მფარველობს ხოლმე პატარა გოგონას. მაგრამ ახლა ანაზდად თავში გაუელვა, რომ მისი მზრუნველობა რომ არა, რა ხანია, უკვე მკვდარი იქნებოდა, რომ თან ჰყვება, ანებივრებს და ისე უფრთხილდება, როგორც მისი

ასაკის ვერც ერთი ბიჭი ვერ შეძლებდა და მეორეც, არც მოინდომებდა და ვერც მოახერხებდა – და მისი პაწია გული უზარმაზარმა მადლიერების გრძნობამ მოიცვა.

და, როცა სტაში შებრუნდა და წამლიანად მისკენ დაიხარა, თავისი გალეული მკლავები კისერზე შემოხვია და გულთბილად ჩაიკრა მკერდში:

– სტაშ, რა კეთილი ხარ ჩემს მიმთ.

მან კი ასე უპასუხა:

– აბა, ვის მიმართ უნდა ვიყო კეთილი? ძალიან კარგი! გამომართვი წამალი.

ნასიამოვნებს თვალები უბრწყინავდა და კარისკენ მიბრუნებულმა მხიარულად, თანაც ამაყად დაიძახა:

– მეა! აბა, ახლა ბიბის ჩაი მოართვი!

კარი XXXIII

სტაშმა ლინდესთან წასვლა მხოლოდ ნაშუადღევსღა მოახერხა, რადგან ღამენათევს გამოძინება სჭირდებოდა. გზად მიმავალმა ივარაუდა, ავადმყოფს, შესაძლოა, ხორცი ესაჭიროებოდესო და ორი პენტარეკი მოკლა, რაც ერთობ დაუმადლეს. ლინდე ძალიან დასუსტებულიყო, მაგრამ საღად აზროვნებდა. მისალმებისას ნელი მოიკითხა და სტაში გააფრთხილა, ქინაქინა ციებ-ცხელების ერთადერთი წამალი არ გეგონოს, გოგონა აუცილებლად მოარიდე მზეს, წვიმაში დასველებას, ღამღამობით ნესტიან და დაბლობ ადგილებს და, რაც მთავარია – სნებოვან წყალსო. ამის შემდეგ, მისივე თხოვნით, სტაშმა თავისი და ნელის ამბავი მოუთხრო სულ თავიდან, ვიდრე ხარტუმში ჩასვლასა და მაჰდისთან შეხვედრამდე, ხოლო შემდგომ, ფაშოდიდან წამოსვლის, გებჰრის ტყვეობიდან თავის დახსნისა და შემდგომი მგზავრობის ამბებიც უამბო. შვეიცარიელი ყურადღებით უსმენდა და, თანდათან გულისხმაში ჩავარდნილი, განცვიფრებული შეჰყურებდა და, როცა ამბავი დასასრულს მიუახლოვდა, ჩიბუხი გააბოლა, სტაში ერთხელ კიდევ შეათვალიერა თავიდან ფეხებამდე და თითქოსდა ფიქრში წავიდაო, თქვა:

– თუ შენს ქვეყანაში შენნაირი ბიჭი ბევრია, ვერავინ მოგერევათ.

ხოლო წუთიერი დუმილის შემდეგ დასძინა:

– შენი ნაამბობის ყველაზე მკაფიო დასტურია ის, რომ აგერ აქ, ჩემ წინაშე დგახარ. და იცი, რას გეტყვი: თქვენი მდგომარეობა საშინელია, გზაც საშინელი გიძევთ წინ, მაგრამ, ვინ იცის, ისეთმა ბიჭმა, როგორიც შენა ხარ, იქნება კიდევაც შეძლოს ამ ჯურღმულეთში თავის გადარჩენაც და იმ ბავშვისაც...

– ნეტა, ნელი იყოს ჯანმრთელად და ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემეძლება! – შესძახა სტაშმა.

– ოღონდ საკუთარ თავსაც უნდა გაუფრთხილდე, რადგან დავალების შესრულება, რომელიც გეკისრება, დიდ ადამიანსაც კი გაუჭირდება. წარმოდგენილი გაქვს, ამჟამად სად იმყოფებით?

– არა. მახსოვს, რომ ფაშოდიდან გამოსვლის შემდეგ რომელიღაც დიდი დასახლება, დენგი, გამოვიარეთ და რომელიღაც მდინარე...

– სობატი, – შეაწყვეტინა ლინდემ.

– დენგში ბევრი დავრიში და ზანგი ვნახეთ, მაგრამ სობატის შემდეგ ჯუნგლებში შემოვედით და მთელი კვირა ვიარეთ, სანამ არ მოვაღწიეთ ხეობას, სადაც, თქვენც იცით, რა მოხდა...

– ვიცი. ამის შემდეგ ამოუყევით ხეობას ზედ მდინარემდე. ახლა კი მისმინე: გიხსნი, რომ სობატზე გადმოსვლის შემდეგ სუდანელებთან ერთად გადმოუხვიეთ სამხრეთ აღმოსავლეთისკენ, უფრო კი სამხრეთისკენ. ამჟამად მოგზაურებისა და გეოგრაფებისთვის უცნობ მიდამოებში იმყოფებით. ეს მდინარე, რომლის ახლოსაც ახლა ვართ, ჩრდილო-დასავლეთით მიედინება და, ალბათ, ნილოსს უერთდება. ალბათ-მეთქი, იმიტომ გეუბნები, რომ კარგად მე თავადაც არ ვიცი და ვეღარც გავიგებ, თუმცა სწორედ მისი სათავის გამო გადმოვუხვიე კარამოიოს მთებიდან. ბრძოლის შემდეგ ტყვე-დავრიშებისაგან შევიტყვე, რომ მას ოგელოგუენი ჰქვია, თუმცა ამაში თავადაც არ იყვნენ დარწმუნებული, რადგან ამ მხარეში მხოლოდ ტყვეებისთვის თუ შემოდიან. აქაურობა ეკუთვნის შილუკის ტომს, მაგრამ ამჟამად მხარე გაუკაცრიელებულია, რადგან ხალხის ნაწილი ყვავილმა გაანადგურა, ნაწილი მაჰდისტებმა წაასხეს ტყვედ, ხოლო ნაწილმა კარამოიოს მთებს შეაფარა თავი. აფრიკაში ხშირად ხდება ასე, დღეს მჭიდროდ დასახლებული მხარე ხვალ უკაცრიელია. ჩემი გამოთვლით, ლადოდან დაახლოებით სამას კილომეტრზე იმყოფებით. სამხრეთისაკენ, ემინთან შეგეძლოთ წასვლა, მაგრამ ემინიც, ალბათ, მაჰდისტების გარემოცვაშია და ამაზე ლაპარაკიც არ ღირს...

– აბისინიამდე? – ჰკითხა სტაშმა.

– იქამდეც სამასი კილომეტრია. არ დაგავიწყდეს, რომ მაჰდი მთელ სამყაროს ეომება და მათ შორის აბისინიასაც. ტყვეებისგან ვიცი აგრეთვე, რომ დასავლეთის და სამხრეთის საზღვრებზეც დავრიშების დიდ-პატარა ბანდები დაეხეტებიან და სულ ადვილად შეიძლება, მათ ჩაუვარდეთ ხელში. მართალია, აბისინია ქრისტიანული სახელმწიფოა, მაგრამ სამხრეთელი ველური ტომები ან წარმართები არიან, ან არადა ისლამს აღიარებენ და ამიტომაც ჩუმ-ჩუმად მაჰდის ემხრობიან... არა, იქ ვერ გააღწევთ.

– აბა, რა ვქნა და საით წავიდე ნელისთან ერთად? – ჰკითხა სტაშმა.

– გითხარი, რომ მდგომარეობა ძალზე რთულია. – მიუგო ლინდემ.

ამის შემდეგ ორივე ხელი თავზე შემოიწყო და დიდხანს იწვა მდუმარედ.

– აქედან ოკეანემდე, – თქვა ბოლოს, – ცხრაას კილომეტრზე მეტი იქნება. თუ გადაივლით გზებს, ველურებით დასახლებულ ადგილებს, ასე განსაჯეთ, უდაბნოს, რადგან იქ სრულიად უწყლო ადგილებიც არის, მაგრამ ქვეყანა ინგლისს ეკუთვნის, შეიძლება ქისმაიამდე, ლადოს ან მომბასამდე მიმავალ სპილოს ძვლით დატვირთულ ქარავანს გადაეყაროთ ანდა მისიონერთა ექსპედიციას... როცა მივხვდი, რომ დავრიშთა გამოისობით ამ მდინარის დინების გამოკვლევას ვერ შევძლებდი, რამეთუ იგი ნილოსისკენ უხვევეს, მეც აღმოსავლეთით, ოკეანისკენ ვაპირებდი გაბრუნებას...

– ჰოდა, ერთად დავბრუნდეთ! – შესძახა სტაშმა.

– მე ვეღარ დავბრუნდები. ტახმა ისე დამიფლითა კუნთები და ძარღვები, რომ, ალბათ, სისხლის მოწამვლა დამეწყება. მხოლოდ ქირურგს შეუძლია ჩემი გადარჩენა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ფეხს მომჭრის. ახლა ყველაფერი გაყინულია და გაქვავებული, მაგრამ პირველ დღეს ტკივილისაგან ხელებს ვიღრღნიდი...

– თქვენ აუცილებლად გამოჯანმრთელდებით.

– არა, ჩემო მამაცო ბიჭუნავ, ალბათ მოვკვდები, შენ კი გთხოვ, კარგად დამადე ქვები, რათა აფთრებმა არ ამომთხარონ. მკვდრისთვის შეიძლება, სულერთია, მაგრამ სიცოცხლეში ამაზე ფიქრი მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის... ძნელია თავისიანებისგან ასე შორს სიკვდილი...

ამის თქმაზე თვალები თითქოსდა დაენისლა, მერე კვლავ განაგრძო:

– მაგრამ ამ აზრს უკვე შევეჩვიე. უმჯობესია, ისევ თქვენზე ვილაპარაკოთ. ერთ რამეს გირჩევ: ერთადერთი გზა გრჩებათ აღმოსავლეთით ოკეანისკენ, მაგრამ წასვლამდე დაისვენეთ და ძალ-ღონე მოიკრიბეთ. სხვაგვარად ის შენი პაწია ამხანაგი რამდენიმე კვირაში მოკვდება. მგზავრობა წვიმიანობის ბოლომდე და კიდევ უფრო მეტ ხანსაც

გადასდეთ. ზაფხულის პირველი თვეები, როცა წვიმები წყდება, და წყალი დაჭაობებას ეს-ესაა იწყებს, ჯანმრთელობისთვის ყველაზე სასარგებლოა. აქ, სადაც ახლა ვიმყოფებით, უკვე მთაა და ზღვის დონიდან შვიდას მეტრზე ვართ. ათას სამასი მეტრის სიმაღლეზე ციებ-ცხელება უკვე აღარ არსებობს, ხოლო დაბლობიდან ამოტანილს ისეთ ძალა აღარ აქვს. მოჰკიდე ხელი შენს პაწია ინგლისელს და პირდაპირ მთებში წადით...

ჩანდა, საუბარმა ერთობ დაღალა, რადგან ისევ გაჩუმდა და ერთხანს ხელით იგერიებდა დიდ აბეზარ ცისფერ ბუზებს, როგორებიც სტაშს ფაშოდის ნახანძრალებში ენახა.

ამის შემდეგ ისევ განაგრძო:

– კარგად დაიმახსოვრე, რასაც ახლა გეტყვი: აქედან სამხრეთისაკენ ერთი დღის სავალზე აღმართულია განმარტოებული მთა, არაუმეტეს რვაასი მეტრი სიმაღლისა. შორიდან რომ შეხედავ, გადმოყირავებულ ქვაბსა ჰგავს. ციცაბო გვერდებიანია და ერთადერთი მხრიდან აქვს მისასვლელი, ისიც კლდოვანი და ვიწრო ქარაფების მხარეს, სადაც ალაგ-ალაგ ორი ცხენიც კი ვერ აუქცევს ერთმანეთს გვერდს. მის ბრტყელ თხემზე, ერთ თუ რამდენიმე კილომეტრზე რომ არის გადაჭიმული, ზანგების პატარა სოფელია, მაგრამ მაჰდისტებს იქაურები დაუტყვევებიათ და წაუსხამთ. შესაძლოა, ეს ჩაიდინა სწორედ სმაინმა, რომელიც დავამარცხე, მაგრამ ტყვეები კი ვერ წავართვი, რადგან ისინი დიდი ბადრაგით წინდაწინ გაეგზავნა ნილოსისაკენ. დასახლდით იმ მთაზე. იქ შესანიშნავი წყაროს წყალია, მანიოკის მინდვრები და უამრავი ბანანი. ქოხებში ბევრი ადამიანის ძვლებია, მაგრამ გვამებისგან ჭირის გადადებისა ნუ შეგეშინდებათ, რამდენადაც დავრიშების შემდეგ იქ უკვე იყვნენ ჭიანჭველები, რომლებმაც იქიდან ჩვენც მალე გამოგვაძევეს. სამაგიეროდ, სულიერის ჭაჭანებას ვერ ნახავთ! დარჩით სოფელში ერთი-ორი თვე. იმ სიმაღლეზე ციებ-ცხელება არ იცის. ღამ-ღამობით ცივა. იქ შენი პაწია ჯანმრთელობას აღიდგენს და შენც ძალ-ღონე მოგემატება.

– მერე რა ვქნათ და საით წავიდეთ?

– მერე ისე მოიქეცით, როგორც ღმერთი გიკარნახებთ. ეცადეთ, აბისინიისკენ გადახვიდეთ ისეთი ადგილებით, სადაც დავრიშები ვერ აღწევენ, ანდა პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ აიღეთ გეზი. ყური მოვკარი, ზღვისპირელი არაბები რომელიღაც ტბამდე შემოდიან სპილოს ძვლისათვის, რომელსაც ისინი ზამბურუს თუ ვა-ჰიმას ტომებისაგან ყიდულობენო.

– ვა-ჰიმა? კალი სწორედ ვა-ჰიმას ტომს ეკუთვნის.

და სტაშმა ლინდეს აუწყა, როგორ დარGა მას გებჰრის სიკვდილის შემდეგ კალი და ისიც უთხრა, იგი, მისივე თქმით, ვა-ჰიმელთა ბელადის შვილი რომ იყო.

მაგრამ ლინდემ ეს ცნობა, სტაშის გასაკვირად, გულგრილად მოისმინა.

– მით უკეთესი, – თქვა, – რადგან შეიძლება რამეში გამოგადგეთ. შავკანიანებშიც არიან კეთილშობილი ადამიანები, მაგრამ მათი მადლიერების იმედი არ უნდა გქონდეს. ისინი ბავშვებს ჰგვანან, რომლებსაც გუშინდელი ამბავიც კი არ ახსოვთ.

– დარწმუნებული ვარ, კალის არ დაავიწყდება, როგორ გამოვტაცე გებჰრს მსახვრალი ხელიდან.

– შეიძლება, – თქვა ლინდემ, ნასიბუსაკენ გაიხედა და დასძინა: – ესეც კარგი ბავშვია. ჩემი სიკვდილის შემდეგ შენ შეიფარე!

– ნურც იტყვით და ნურც ფიქრობთ სიკვდილზე.

– ჩემო ძვირფასო, – მიუგო შვეიცარიელმა, – იმასღა ვნატრობ, ძალიან არ გავიტანჯო. თავად განსაჯე, ახლა სრულიად უმწეო ვარ და ჩემ მიერ დამარცხებულ მაჰდისტთაგან რომელიმე აქ, ამ ხრამში, რომ შემოხეტებულიყო, ცხვარივით გამომჭრიდა ყელს.

მერე მძინარე ზანგებისაკენ მიახედა:

– ესენი უკვე ვეღარ გაიღვიძებენ, თუმცა სწორად ვერ ვთქვი: სიკვდილის წინ ყოველი მათგანი ცოტა ხნით იღვიძებს და შეშლილივით გარბის ჯუნგლებში, საიდანაც უკვე აღარ ბრუნდება... ორასიდან სამოცი კაციღა დამრჩა. ბევრი გამექცა, ბევრიც ყვავილით დაიღუპა, სხვები კიდევ სხვა სახადმა იმსხვერპლა.

სტაშმა სიბრალულითა და შიშით გადახედა მძინარეთ. მათ სხეულს ფერფლისფერი დასდებოდა, რაც ზანგებში ფერმკრთალობის ტოლფასია. ზოგს თვალები დაეხუჭა, ზოგს – ნახევრად გაჭყეტილი დარჩენოდა, თუმცა ღრმა ძილით ეძინა, რადგან მათი თვალის გუგები შუქს ვერ გრძნობდა. ზოგს მუხლი დასიებოდა. ყველანი ისე გამხდრები იყვნენ, კანქვეშ ნეკნებს დაუთვლიდით. ხელ-ფეხი შეუჩერებლად და სწრაფად უთრთოდათ. თვალებსა და ტუჩებზე ბლომად დასხდომოდათ ცისფერი ბუზი.

– ნუთუ მაგათი საშველი არ არსებობს? – იკითხა სტაშმა.

– არ არსებობს. ვიქტორია-ნიანზაში ეს ავადმყოფობა მთელ სოფლებს ანადგურებს, ხან საშინლად მძვინვარებს, ხანაც – ნაკლებად. უმეტესწილად სანაპირო ჭალებში მცხოვრებ ხალხს ემართება.

მზე ცაზე უკვე დასავლეთისკენ გადაიხარა, მაგრამ ლინდე სტაშს საღამომდე თავის თავგადასავალს უამბობდა. იგი ციურიხელი ვაჭრის შვილი გამოდგა მისი ოჯახი წარმოშობით კარლსრუედან იყო, მაგრამ 1848 წლიდან შვეიცარიაში გადასახლებულა. მამამისმა დიდი ქონება აბრეშუმის ვაჭრობით დააგროვა. შვილს ინჟინრობას

ასწავლიდა, მაგრამ ახალგაზრდა ჰაინრიხი ადრეული წლებიდანვე მოგზაურობაზე ოცნებობდა. პოლიტექნიკურის დამთავრების შემდეგ მამის მთელი ქონება მიიღო მემკვიდრეობით და პირველად ეგვიპტეში გაემგზავრა. ეს იყო მაჰდის გამოჩენამდე, ამიტომაც ხართუმამდე მიაღწია და დანგალებთან ერთად სუდანში ნადირობდა. მერე აფრიკის გეოგრაფიის შესწავლას მიჰყო ხელი და მალე ისეთ წარმატებას მიაღწია და ისე გაითქვა სახელი, რომ მრავალმა გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ჩარიცხა იგი თავის საპატიო წევრად. ეს ბოლო მოგზაურობა, რომელიც მისთვის საბედისწერო გამოდგა, ზანზიბარიდან დაიწყო. დიდ ტბებამდე მიაღწია და მისთვის უცნობი კარამოიოს მთებიდან აბისინიაში უნდა გადასულიყო, იქიდან კი – ოკეანის სანაპირომდე, მაგრამ ზანზიბარელებს გზის გაგრძელება აღარ სურდათ. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, იმხანად უგანდის მეფესა და უნიოროს შორის ომი მიმდინარეობდა. ლინდემ უგანდის მეფეს მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია, რისთვისაც მან ორასკაციანი რაზმი აჩუქა. ამან ძალზე გაუადვილა მოგზაურობა და კარამოიოს მთების გამოკვლევა, მაგრამ მალე მათ რიგებს ყვავილმა გაავლო მუსრი, მერე დაეწყოთ საშინელი საღათას ძილი და ქარავანსაც ბოლო მოეღო.

ლინდეს ყველანაირი კონსერვის მარაგი ჰქონდა, მაგრამ სურავანდის შიშით ახალი ხორცის მოსაპოვებლად ყოველდღე ნადირობდა. საუკეთესო მსროლელი კი იყო, მაგრამ არცთუ საკმაოდ ფრთხილი მონადირე და მოსახდენი მოხდა: როცა რამდენიმე დღის წინათ უკან დაუდევრად მიუახლოვდა დაჭრილ ველურ ტახს, ნადირი წამოხტა და ფეხი საშინლად დაუფლითა, მერე კი გავის ძვალიც დაუმსხვრია. ეს მოხდა ბანაკის შორიახლო და ზედ ნასიბუს თვალწინ, რომელმაც საკუთარი პერანგი დახია, მით შეუჩერა სისხლდენა და დაჭრილი კარვამდე მოათრია. ფეხზე შინაგანი ჩაქცევების შემდეგ სისხლი შეუდედდა და ავადმყოფს ახლა განგრენა ემუქრებოდა.

სტაშს სურდა, მაშინვე გადაეხვია ფეხზე სახვევი და უთხრა, ან ყოველდღე მოვალ ანდა, ნელი რომ მხოლოდ ორი ზანგის ამარა არ მივატოვო, ორ ცხენს შორის გაშლილ ქეჩაზე დაგაწვენთ და ისე გადაგიყვანათ მთაზე მდებარე “კრაკოვშიო”.

ლინდე ჭრილობის გადახვევაზე დასთანხმდა, მაგრამ გადაყვანაზე უარი განაცხადა.

– ვიცი, – თქვა და თან ხელი თავისი ზანგებისაკენ გაიშვირა, – რომ ეს ადამიანები დაიხოცებიან, მაგრამ, სანამ არ დაიხოცებიან, ვერ გავიმეტებ, რომ ცოცხლები დაფლითონ აფთრებმა, რომლებსაც ღამღამობით მხოლოდ ცეცხლით ვაფრთხობდით.

და მგზნებარედ გაიმეორა:

– არ შემიძლია, არ შემიძლია, არ შემიძლია!

მაგრამ უმალვე დამშვიდდა და რაღაცნაირად გულშეძრულმა განაგრძო საუბარი:

– ხვალ დილაადრიან მოდი... შენთან ერთი სათხოვარი მაქვს და, თუ შემისრულებ, ეგების, ღმერთი შეგეწიოს და მშვიდობიანად გაგიყვანოთ აფრიკის ყბებიდან, მე კი მშვიდი სიკვდილი მაღირსოს. ხვალამდე ვაპირებდი თხოვნის გადადებას, მაგრამ, რადგანაც შეიძლება, ხვალ უგონოდ ვიყო, მირჩევნია, დღესვე გითხრა: რომელიმე ჭურჭლით აიღე წყალი, შეჩერდი ყოველ საცოდავ მძინარესთან, აპკურე და წარმოთქვი: "მე გნათლავ შენ – სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!.."

მღელვარებისგან ხმა ჩაუწყდა და დადუმდა.

– ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, – განაგრძო ცოტა ხნის შემდეგ, – რომ ამგვარად ვერ გამოვეთხოვე იმათ, ვინც ყვავილის სახადისგან კვდებოდა და ვერც მათ, ვინც მანამდე მოკვდა. მაგრამ ახლა სიკვდილი თავადაც კარს მომდგომია... და მინდოდა... მინდოდა, ამ ჩემი ქარავნის ნაწილთან ერთად გავდგომოდი საუკუნო განსასვენებლის გზას...

ამის თქმაზე ხელით მიანიშნა გაცისკროვნებული ზეცისკენ და ღაწვებზე ორი კურცხალი ჩამოუგორდა.

სტაშს ცრემლი ღაპაღუპით სდიოდა.

კარი XXXIV

მეორე დღეს განთიადის მზის შუქმა უცნაური სანახაობა გაანათა. სტაში კლდოვანი კედლის გასწვრივ დადიოდა, ყოველი ზანგის წინ ჩერდებოდა, შუბლზე წყლის წვეთებს აპკურებდა და საღმრთო სიტყვებს წარმოთქვამდა. მათ კი ეძინათ ხელ-ფეხ-ათრთოლებულებს, თავჩამოკიდებულებს თუ ზეაწეულებს, ცოცხლებს ჯერაც, მაგრამ უკვე გვამებადქცეულებს. ასე ხდებოდა მონათვლა მძინარეთა, დილის სიჩუმეში, მზის შუქზე, უდაბურეთში. იმ დღეს ცა იყო უღრუბლო, მაღალი, მტრედისფერი და თითქოს ნაღველრეული.

ლინდე ჯერაც გონზე იყო, მაგრამ თანდათან სუსტდებოდა. ფეხის გადახვევის შემდეგ სტაშს თუნუქის კოლოფში ჩაკეტილი ქაღალდები გადასცა და სთხოვა, გაფრთხილებოდა. მეტი არაფერი უთქვამს. ჭამა აღარ შეეძლო, წყურვილი კი საშინლად აწუხებდა. მზის ჩასვლის ჟამს ბოდვა დაიწყო. ვიღაც ბავშვებს ეძახდა, ტბაში შორს არ შეცუროთო, ბოლოს კანკალი დააწყებინა და თავზე ხელები შემოიჭირა.

მეორე დღეს სტაში ვეღარ იცნო, ხოლო სამი დღის შემდეგ, შუადღისას, სული ისე დალია, გონს არ მოსულა. სტაშმა გულიანად დაიტირა, მერე მან და კალიმ გვამი მახლობელ ვიწრო გამოქვაბულში შეიტანეს და შესასვლელი ეკალ-ბარდებითა და ქვებით ამოხერგეს.

პატარა ნასიბუ სტაშმა "კრაკოვში" წაიყვანა. კალის კი ადგილზე მარაგის ყარაულობა და ღამ-ღამობით დიდი კოცონის დანთება უბრძანა. თავად კი ორ ხეობას შორის ტრიალებდა მუხლჩაუხრელად, გადაჰქონდა ფუთები, იარაღი, განსაკუთრებით კი რემინგტონის ვაზნები, საიდანაც საფანტს იღებდა ხრამიდან კინგის დასახსნელი ნაღმის გასაკეთებლად. საბედნიეროდ, ნელის ჯანმრთელობა ქინაქინის ყოველი დალევის შემდეგ თანდათან უმჯობესდებოდა, ხოლო ნაირგვარმა საჭმელმა ძალა შემატა. თუმცა სტაშს ყოველთვის უძნელდებოდა და ეშინოდა მასთან განშორება, ფუღუროდან გამოსვლას უკრძალავდა და კარებს ყოველთვის აკაციის ტოტებს აფარებდა. მაგრამ საქმის და საზრუნავის მომატების გამო იძულებული იყო, ნელი მეას, ნასიბუსა და ლომასათვის ენდო. ერჩია, ლინდეს ბანაკში ბარგისთვის დღეში რამდენიმეჯერ წასულიყო, ოღონდაც გოგონა დიდი ხნით არ მიეტოვებინა. თავდაუზოგავად შრომობდა, მაგრამ მისი რკინისებური ჯანმრთელობა ყოველგვარ გასაჭირს უძლებდა. ამგვარად, ათი დღის შემდეგ ბარგი გადარჩეული იყო, ნაკლებად საჭირო გამოქვაბულში დამალეს, საჭირო – "კრაკოვში" გადაზიდეს, ცხენებიც გადმოიყვანეს და რემინგტონების დიდი ნაწილიც გადმოიტანეს, რომელიც მერე კინგს უნდა ეთრია.

ამ ხნის განმავლობაში ლინდეს ბანაკში დროდადრო რომელიმე მძინარე ზანგი ავადმყოფობის ბოლო, სიკვდილისწინა შეტევისგან ფეხზე წამოხტებოდა, ჯუნგლებში გარბოდა და უკან აღარ ბრუნდებოდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ადგილზევე იხოცებოდნენ, ზოგიერთები, ალალბედზე წამომხტარნი, იქვე, ზედ ბანაკში, ან ცოტა მოშორებით, კლდეს ეჯახებოდნენ და თავებს იხეთქავდნენ. მათი დასაფლავება კალის ევალებოდა. ორ კვირაში მხოლოდ ერთიღა დარჩა და მანაც ძილში დალია სული – სხეულის გამოფიტვის გამო.

ბოლოს, დადგა კლდის აფეთქებისა და კინგის გათავისუფლების ჟამი. სპილო ისე მოშინაურდა, რომ სტაშს ბრძანებისთანავე ხორთუმით იჭერდა და კისერზე ისვამდა. ტვირთსაც თანდათან მიეჩვია, კალის ბამბუკის კიბით რომ აჰქონდა მის ზურგზე. ნელი ირწმუნებოდა, ზედმეტად ტვირთავთო, თუმცა ეს ყველაფერი სინამდვილეში მისთვის ნიავივით მსუბუქი ჩანდა და მხოლოდ ლინდეს ბანაკიდან გადმოზიდული ბარგი თუ დაამძიმებდა. ლომას, რომლის დანახვაზეც თავიდან მოუსვენრად წრიალებდა, საბოლოოდ დაუმეგობრდა და თამაშისას მიწაზე ხორთუმით აგორავებდა, ის კი ისე უღრენდა, ვითომც კბენას უპირებდა. დროდადრო ძაღლს მოულოდნელად წყლით წუწავდა, რაც ლომას არაფრად ეპიტნავებოდა.

მაგრამ ბავშვებს ყველაზე მეტად ის ახარებდა, რომ საზრიან და გონიერ ცხოველს ყველაფერი ესმოდა, რასაც მისგან მოითხოვდნენ და იგებდა არა ყოველი ბრძანებით, ან ყოველი დავალებით, არამედ მინიშნებითაც კი. ამ მხრივ სპილოები ბევრად სჯობნიან ნებისმიერ შინაურ ცხოველს. კინგმა საზრიანობით გაუსწრო ლომას, რომელიც ნელის ყოველ შენიშვნაზე კუდს აქიცინებდა, მაგრამ მერე, რაც უნდოდა, იმას აკეთებდა. კინგი, მაგალითად, რამდენიმე კვირაში შესანიშნავად მიხვდა, რომ პიროვნება, რომლისთვისაც ყველაზე მეტად უნდა დაეჯერებინა, იყო სტაში, ხოლო პიროვნება, ვისაც ყველაზე მეტად უნდა გაფრთხილებოდა, იყო ნელი. აქედან გამომდინარე, ყველაზე მონდომებით ასრულებდა სტაშის ბრძანებებს, ხოლო ყველაზე მეტად უყვარდა ნელი. კალის ნაკლებად უჯერებდა, ხოლო მეას საერთოდ ზედაც არ უყურებდა.

სტაშმა შემზადებული ნაღმი ღრმა ნაპრალში ჩადო, ნაპრალი თიხით ამოგმანა და დატოვა მხოლოდ პაწია ხვრელი, საიდანაც პალმის ძენძისაგან დაგრეხილ და საფანტში ამოვლებულ თოკს ამოაყოფინა თავი. დადგა გადამწყვეტი წუთიც: სტაშმა ცეცხლი მიუკიდა საფანტით საგულდაგულოდ გაგლესილ თოკს, რის შემდეგაც თავპირისმტვრევით გაიქცა ხისაკენ, სადაც ყველანი წინდაწინვე გამოემწყვდია. ნელის ეშინოდა, კინგი ძალიან არ დამფრთხალიყო, მაგრამ ბიჭმა იმით დაამშვიდა, რომ, ჯერ ერთი, ამოირჩია ისეთი დღე, როცა დილით უკვე იყო ჭექა-ქუხილი, ხოლო მეორეც, გარეულ სპილოებს არაერთხელ უნახავთ და გაუგონიათ ჯუნგლებს თავზე ატეხილი მეხთატეხა. მაინც გულისფანცქალით ითვლიდნენ წუთებს. საშინელმა გრგვინვამ ისე შეარყია ჰაერი, რომ უზარმაზარი ბაობაბი თავიდან ბოლომდე ათრთოლდა და, რაც შიგ ფუტურო იყო დარჩენილი, თავზე დაეყარათ. სტაში უმალვე გარეთ გამოვარდა და ხეობის მოსახვევისაკენ გაიქცა.

აფეთქებას არაჩვეულებრივი შედეგი მოჰყვა. კირქვიანი კლდის ნახევარი ერთიანად დაფშვნილიყო, მეორე კი დახეთქილიყო რამდენიმე დიდ-პატარა ნაწილად, რომლებიც ფეთქების უჩვეულო ძალას საოცრად შორს მოესროლა.

სპილო გათავისუფლებული იყო.

გახარებული ბიჭი უმალვე აიჭრა ხრამის კიდეზე, სადაც უკვე იდგნენ ნელი, მეა და კალი. კინგი ოდნავ დამფრთხალიყო და ხეობის პირას მიმდგარი იყურებოდა იქით, საიდანაც ასე უჩვეულო და საშინელი გრგვინვა გაისმა. თუმცა, ნელიმ დაუძახა თუ არა, უმალვე შეწყვიტა ყურების პანტური, მაგრამ, როცა მასთან შევიდა უკვე გახსნილი კარიბჭიდან, სრულიად დამშვიდდა. კინგზე მეტად ცხენები დაფრთხნენ, რომელთაგან ორი ჯუნგლებში გაიჭრა და კალიმ ისინი მხოლოდ მზის ჩასვლისას იპოვა.

ნელიმ კინგი იმავე დღეს წარუდგინა “საზოგადოებას”. გოლიათი მას პაწია ფინიასავით მოჰყვებოდა, მერე მდინარეში იბანავა და საკუთარ ვახშამზეც თავად

იზრუნა, ოღონდ ვეებერთელა ლეღვის ხეს თავი დაადო თუ არა, სუსტი ლერწამივით დალეწა, მერე კი საგულდაგულოდ მიაძღა ნაყოფსა და ფოთლებს.

მაგრამ საღამოს, ხესთან დაბრუნებული, წამდაუწუმ ღიობში ყოფდა თავის უზარმაზარ ცხვირს და ნელის ისე გაფაციცებით და მოწადინებით ეძებდა, რომ სტაში იძულებული გახდა, ერთი მაგრად მოეცხო მისთვის ხორთუმზე.

მაგრამ იმ დღის შედეგით ყველაზე მეტად კალი იყო გახარებული, რადგან გოლიათის გასაძღომი საჭმლის მოგროვებისგან მოისვენა, რაც არცთუ მთლად იოლი საქმე იყო. მართლაც, ვახშმის მოსახარშავად კოცონს რომ ანთებდა, სტაშისა და ნელის ყურამდე მიაღწია სიხარულის ჰიმნმაც, რომელიც შეთხზული იყო შემდეგი სიტყვებით:

– დიდი ბატონი მოკლა ადამიანები და ლომები! უაჰ, უაჰ, უაჰ! და დიდი ბატონი დაანგრია უზარმაზარი კლდე! სპილო თავად დამტვრევა ხე, კალის კი სიზარმაცე და ჭამა – უაჰ! უაჰ!

წვიმიანობის ჟამი, ანუ ეგრეთწოდებული მასიკა, დასასრულს უახლოვდებოდა. იყო მოღრუბლული და თავსხმიანი დღეები, მაგრამ გამოერია კარგი ამინდიც. სტაშმა გადაწყვიტა, გადასულიყო ლინდეს მიერ მითითებულ მთაზე. იგი კინგის გათავისუფლებისთანავე აპირებდა გამგზავრებას. ნელის ჯანმრთელობას ხელი არ შეუშლია, რადგან იგი თავს დღითი დღე უკეთ გრძნობდა.

ერთი ნათელი და მზიანი დილა აირჩიეს და სამხრეთისაკენ აიღეს გეზი. გზის არევისა აღარ ეშინოდათ, რადგან ბიჭმა ლინდესაგან სხვა მრავალ ნივთთან ერთად, მიიღო კომპასი და შესანიშნავი ჭოგრიტი, რომლითაც შორეული ადგილების დანახვა შეიძლებოდა. ლომასა და ვირის გარდა, მათთან ერთად მიდიოდა ხუთი დატვირთული ცხენი და სპილო. მას, ზურგზე გადაკიდებული ფუთების გარდა, კისერზე შემოსკუპებული ნელიც მიჰყავდა, უსაშველოდ დიდ ყურებს შორის სავარძელში მოკალათებულივით რომ მოჩანდა. სტაშმა დაუნანებლად დატოვა მდინარისპირა ბორცვაკი და ბაობაბი, რომლებთანაც ნელის ავადმყოფობის მოგონება აკავშირებდა. სამაგიეროდ გოგონა შეჰყურებდა ნაღვლიანი თვალებით კლდეს, ხეს, ჩანჩქერსა და პირობა დადო, აქ ისევ დავბრუნდები, როგორც კი "დიდი" გავიზრდებიო.

კიდევ უფრო ნაღვლიანად გამოიყურებოდა პატარა ნასიბუ, რომელსაც გულით უყვარდა ძველი ბატონი – და ახლა, ქარავნის ბოლოს ვირით მიმავალი, თვალცრემლიანი წამდაუწუმ იხედებოდა იმ მხარეს, სადაც საბრალო ლინდე დარჩა თვით დიდი განკითხვის დღემდე.

ჩრდილოეთის ქარი უბერავდა და უჩვეულოდ ცივი დღე იდგა. ამის წყალობით ათი საათიდან სამ საათამდე ყველაზე მაგარი ხვატის გადასვლას აღარ დალოდებიან და

იმაზე დიდი გზა განვლეს, ვიდრე საერთოდ გადიან მოქარავნენი. გზა გრძელი არ გამოდგა და მზის ჩასვლამდე რამდენიმე საათით ადრე სტაშმა თვალი ჰკიდა იმ მთას, რომლისაკენაც მიისწრაფოდნენ. შორს ცის ფონზე გამოიკვეთა სხვა მწვერვალთა გრძელი ჯაჭვი, ის კი უფრო ახლო და განმარტოებით ამომართულიყო, როგორც ჯუნგლების ზღვაში – კუნძული. ახლოს მისულებმა დაინახეს, რომ მის დამრეც გვერდებს გარს უვლიდა იგივე მდინარე, რომლის ნაპირზედაც აქამდე იმყოფებოდნენ. თავი წაჭრილი ჰქონდა და ქვემოდან ისე ჩანდა, თითქოს მთლად ტყით ყოფილიყოს დაფარული. სტაშმა გამოთვალა, რომ, თუ ბორცვი, რომელზეც მათი ბაობაბი იზრდებოდა, შვიდას მეტრზე იყო აღმართული, მაშინ იმ მთას რვაასი მეტრის სიმაღლე უნდა ჰქონოდა, მაშასადამე, იცხოვრებდნენ ათას ხუთასი მეტრის სიმაღლეზე და, ალბათ, ჰავა ეგვიპტურს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ამ აზრმა მხნეობითა და ბუნებრივი სიმაგრის რაც შეიძლება სწრაფად დაკავების სურვილით აღანთო.

ერთადერთი კლდოვანი ქედი, საიდანაც მაღლა შეიძლებოდა ასვლა, იოლად იპოვეს და აღმა აუყვნენ. საათ-ნახევრის შემდეგ მთას თავზე მოექცნენ. ქვემოდან დანახული ტყე მართლა ტყე გამოდგა, ოღონდ – ბანანის. მისი დანახვა, კინგის ჩათვლით, ყველას საოცრად გაუხარდა, მაგრამ განსაკუთრებით ხარობდა სტაში, რადგან იცოდა, რომ მთელს აფრიკაში არ მოიპოვება გამხმარი ბანანის ფქვილზე უფრო ყუათიანი, სასარგებლო და ყოველგვარი ავადმყოფობის მომრევი საჭმელი. თანაც იმდენი ესხა, თუნდაც მთელ წელიწადს ეყოფოდათ.

ამ ხეების ვეებერთელა ფოთლებს შორის მიმალულიყო ზანგების ქოხები, რომელთაგანაც ზოგი თავდასხმისას დამწვარიყო, ზოგიც დანგრეულიყო, მაგრამ ზოგიც გადარჩენილიყო. შუაგულში აღმართულიყო სოფლის მეფის ყველაზე დიდი, თიხით შელესილი ქოხი, რომლის განიერი გადმოშვერილი სახურავი კედლების გასწვრივ ვერანდას ქმნიდა. ქოხების წინ აქა-იქ მიმოფანტულიყო ადამიანის ცარცივით თეთრი ძვლები და ჩონჩხები, რადგან მათი გაწმენდა უკვე მოესწროთ ჭიანჭველებს, რომელთა შემოსევაც ლინდემ გაიხსენა. იმ შემოსევიდან უკვე მრავალ კვირას ჩაევლო, მაგრამ ქოხებში მაინც იგრძნობოდა ჭიანჭველამჟავას სუნი, რის გამოც თვალს ვერსად მოჰკრავდით ვერც დიდრონ შავ ტარაკანებს, რომლებიც, როგორც წესი, ყოველთვის ფუთფუთებენ ზანგების მიწურებში, ვერც ობობებს, ვერც მორიელებსს და, ასე გასინჯეთ, ვერც პაწაწკინტელა მწერებს. საშინელ სიაფებს ყველაფერი პირწმინდად გაესუფთავებინათ. დარწმუნებული უნდა ყოფილიყვნენ, რომ მთელ მთაზე ერთი გველიც არ იქნებოდა, რადგან თავად ბოაც კი ამ დაუდგრომელი პაწია მეომრების მსხვერპლი ხდება ხოლმე.

ბელადის ქოხში ნელისა და მეას შეყვანისთანავე სტაშმა კალისა და ნასიბუს უბრძანა, იქაურობა გაეწმინდათ ადამიანის ძვლებისაგან. შავკანიანმა ბიჭებმა ბრძანება

შეასრულეს და ძვლები მდინარეში გადაყარეს. ამ საქმით გართულები მიხვდნენ, რომ ცდებოდა ლინდე, როცა არწმუნებდა, მთაზე ერთ სულიერსაც ვერ შეხვდებითო. დავრიშების მიერ ხალხის გარეკვას და ბანანების სიუხვეს აქ მოეზიდა უამრავი შიმპანზე, რომლებსაც ტანმაღალ ხეებზე წვიმისაგან თავდასაცავად ქოლგებისა თუ სახურავებისმაგვარი მოეწყოთ. სტაშს მათი დახოცა არ უნდოდა, მაგრამ აქედან გარეკვა კი გადაწყვიტა და ამ მიზნით ჰაერში გაისროლა. ამან უმალვე გამოიწვია საერთო არეულ-დარეულობა, როცა გასროლისთანავე ლომა თავისი ბოხი ხმით აყეფდა და ხმაურით გაღიზიანებულმა კინგმა მრისხანე საყვირი აახმიანა. მაგრამ მაიმუნებს უკანდასახევად კლდოვანი ქედის ძებნა კი არ დაუწყით, კლდის ქიმებზე ჩაბღაუჭებულნი ისეთი კისრისტეხით დაეშვნენ მდინარის სანაპიროზე გაშლილი ტყისაკენ, რომ ლომას ეშვი ვერც ერთს ვერ მისწვდა.

მზე ჩავიდა. კალიმ და ნასიბუმ ვახშმის მოსახარშავად კოცონი დაანთეს. ამოალაგა თუ არა საჭირო ნივთები, სტაში უმალვე გაეშურა მეფის ქოხისაკენ, სადაც ნელი იმყოფებოდა.

ქოხში შუქი ჩახჩახებდა და მხიარულება სუფევდა, რამეთუ მეას ბაობაბიდან წამოღებული ჭრაქი კი არა, ამჯერად ლინდეს ნაჩუქარი სამგზავრო ლამპა აენთო. ნელი სრულებით არ გრძნობდა დაღლას და მშვენიერ გუნებაზე დადგა, როცა სტაშმა განუცხადა, ადამიანის ძვლები, რომლებისაც მას ძალიან ეშინოდა, უკვე აკრეფილიაო.

– რა კარგია აქ, სტაშ! – შესძახა. – შეხე, იატაკი ფისითაც კი მოუპრიალებიათ. შესანიშნავად ვიქნებით.

– ხვალ აქაურობას ძირისძირობამდე დავათვალიერებ, – უპასუხა, – მაგრამ იქიდან გამომდინარე, რაც უკვე დღეს ვნახე, შეგვიძლია, მთელი სიცოცხლე აქ არხეინად გავატაროთ.

– მამიკოებთან ერთად კი. ნეტა, რა ჰქვია აქაურობას?

– გეოგრაფიულად ლინდეს მთა უნდა ეწოდოს, სოფელს კი, იცი, რა დავარქვათ? შენი სახელი: ნელი.

– და გეოგრაფიაში მეც მოვხვდები? – ჰკითხა გახარებულმა.

– მოხვდები, დიახ, მოხვდები. – ღირსების შეგრძნებით მიუგო სტაშმა.

წვიმიანი დღე გათენდა, მაგრამ დროდადრო გადაიკარებდა კიდეც. ასე რომ, სტაში დილაადრიან გაემართა შემოგარენის დასათვალიერებლად და შუადღემდე ყველა კუთხე-კუნჭული შემოიარა. შესანიშნავი შთაბეჭდილება დარჩა. ჯერ ერთი, უსაფრთხოების თვალსაზრისით ლინდეს მთა მთელს აფრიკაში თითქოსდა გამორჩეული ადგილი იყო. მის კალთებზე ასვლა მხოლოდ შიმპანზეებს თუ შეეძლოთ. ციცაბო კლდეებზე ლომებსა და პანტერებს აცოცება გაუჭირდებოდათ. რაც შეეხება კლდოვან ქედს, საკმარისი იყო, ვიწრო გასასვლელში კინგი ჩაეყენებინა, რომ მშვიდად შეეძლოთ დაეძინათ. სტაში იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დავრიშთა მცირერიცხოვან რაზმსაც კი გაუმკლავდებოდა, რადგან მთისკენ ამომავალი ბილიკი ისე ვიწრო იყო, კინგი ძლივს გამოეტია და კარგად შეიარაღებულ კაცს შეეძლო, აქ სულიერი არ შემოეშვა. "კუნძულის" შუაგულში იყო ცივი, კამკამა და ბროლივით სუფთა წყარო, რომელიც ნაკადულად იქცეოდა და ბანანების ჭალაში გველივით გაკლაკნილი ბოლოს მაღალი ტევრიდან მდინარისაკენ წვრილ, თეთრ თასმისმაგვარ ჩანჩქერად ეშვებოდა. "კუნძულის" სამხრეთით მდებარე მინდორი დაფარული იყო ხშირი მანიოკით, რომლის ძირხვენებიც ზანგების საყვარელ საჭმელს წარმოადგენს, ხოლო მინდვრის იქით აღმართული იყო ვეებერთელა ქოქოსის პალმები, რომლებსაც თავზე ჯიღებივით ეხურა ულამაზესი ვარჯები.

"კუნძულს" გარს ერტყა ჯუნგლების თვალუწვდენელი ზღვა. აღმოსავლეთით ცისფრად იხატებოდა კარამოიოს მთათა გრეხილი. სამხრეთითაც დიდი შემაღლებანი მოჩანდა და, თუ გავითვალისწინებდით მათ მუქ შეფერილობას, ტყით უნდა ყოფილიყო დაფარული. სამაგიეროდ, დასავლეთის მხარეს მზერა სწვდებოდა შორს, თვალსაწიერის ზღვარს, სადაც ჯუნგლები ზედ ზეცას ებჯინებოდა. სტაშმა ლინდეს ჭოგრიტის მეშვეობით დაინახა მრავალრიცხოვანი ღელე და აქა-იქ მიმოფანტული, ბალახზე ეკლესიასავით წამომართული უზარმაზარი ხეები. ალაგ-ალაგ, სადაც ბალახი ჯერ კიდევ სიმაღლეში არ წასულიყო, შეუიარაღებული თვალითაც მოჩანდა ანტილოპებისა და ზებრების ჯოგები, სპილოებისა და კამეჩების ჯგროები. აქა-იქ ჟირაფები მიარღვევდნენ ჯუნგლების მუქ-მწვანე ზედაპირს, როგორც გემები მიაპობენ ხოლმე ზღვის ტალღებს. აგერ, მდინარესთან, რამდენიმე წყლის თხა დაკუნტრუშებდა, დანარჩენებს წყლის სიღრმიდან ამოეყოთ რქიანი თავები. იქ, სადაც მდინარის სიმყუდროვეს არაფერი არღვევდა, ზედაპირზე წამდაუწუმ სხმარტალებდნენ ის თევზები, რომგორებსაც კალი იჭერდა ხოლმე და ჰაერზე ვერცხლისფერი ვარსკვლავებივით აციმციმებულნი ისევ უკან, წყალში უჩინარდებოდნენ. სტაშმა გულში

გაივლო, როგორც კი გამოიამინდებდა, ნელიც მოეყვანა აქ და მისთვისაც ეჩვენებინა მთელი ეს სამხეცეთი...

სამაგიეროდ, “კუნძულზე” არ იყო არც ერთი დიდი მხეცი. პეპლები და ფრინველები კი უამრავნი ჩანდნენ. დიდრონი, თოვლივით თეთრი, შავნისკარტა და ყვითელქოჩორა თუთიყუშები დაფრინავდნენ გოიავის ბუჩქების თავზე; პაწია, საუცხოოდ შებუმბლული “ქვრივები” ირწეოდნენ მანიოკის წვრილ ღეროებზე, ხოლო მაღალი ქოქოსებიდან აფრიკული გუგულების ხმა და გვრიტების კვნესისმაგვარი ღუღუნი მოისმოდა.

სტაში დათვალიერებიდან გულმხიარული დაბრუნდა და ფიქრად გაივლო: “ჰაერი ჯანსაღია, საჭმელ-სასმელი – ყელამდე, გარემო კი – სამოთხისნაირი!” ნელის ქოხში შესული დარწმუნდა, რომ კუნძულზე მაინც ყოფილა დიდი ცხოველი, და არა მხოლოდ ერთი, არამედ ორიც, რადგან პატარა ნასიბუს ბანანის ხეებს შორის აღმოეჩინა ციკნიანი თხა, რომელთა დაკვლაც დავრიშებს ვერ მოესწროთ. თხა ცოტა გაველურებული კი ჩანდა, სამაგიეროდ ციკანი უმალვე დაუმეგობრდა ნასიბუს, რომელსაც თავი დიდად მოჰქონდა ამ აღმოჩენით და იმითაც, რომ მისი წყალობით ბიბის არ მოაკლდებოდა შესანიშნავი, ქაფქაფა რძე.

. . . . . .

– სტაშ, ახლა რაღა უნდა ვაკეთოთ? – ჰკითხა ერთ დღეს ნელიმ, როცა “კუნძულზე” მეურნეობა უკვე საკმაოდ გამართეს.

– საქმე ბევრი გვაქვს. – მიუგო ბიჭმა, რის შემდეგაც ცალ ხელზე თითები გაფარჩხა და გასაკეთებელი საქმეების ჩამოთვლას შეუდგა:

– პირველ ყოვლისა, კალი და მეა წარმართები არიან, ნასიბუ კი, როგორც ზანზიბარელი – მაჰმადიანი. საჭიროა, მოვაქციოთ, რწმენა ჩავუნერგოთ და მოვნათლოთ. მეორეც – ხორცი უნდა შევბოლოთ, ამიტომაც სანადიროდ უნდა ვიარო; მესამეც, – რადგან ბევრი იარაღი და ვაზნა მაქვს, კალის სროლას ვასწავლი, რომ მცველებად ორნი ვიყოთ, მეოთხეც, უკვე დაგავიწყდა ფრანები?

– ფრანები?

– დიახ, რომლებიც შენ უნდა დააწებო ანდა კიდევ უკეთესი, თუ დააკერებ. აი, ეს იქნება შენი საქმე.

– მხოლოდ თამაში როდი მინდა.

– ეს თამაში კი არა – საქმეა, შესაძლოა, ყველა დანარჩენ საქმეზე უფრო სასარგებლოც კი. მაგრამ არ გეგონოს, ერთს გააკეთებ და მორჩები. არა, შეიძლება ორმოცდაათის და ან მეტის გაკეთებაც მოგიწიოს.

– კი, მაგრამ, მაგდენი რად გინდა? – ჰკითხა საგონებელში ჩავარდნილმა გოგონამ.

სტაშმა თავისი ჩანაფიქრი და იმედი გაუმჟღავნა. ავდგები და ყოველ ფრანზე დავწერ: რა გვქვია, როგორ დავუსხლტით დავრიშებს ხელიდან, სად ვიმყოფებით და საით მივდივართ. იმასაც დავწერ, რომ დახმარება გვჭირდება და პორტ-საიდში დეპეშის გაგზავნა. მერე, როგორც კი ქარი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დაუბერავს, ავდგები და იმ ფრანებს გავუშვებ.

– ბევრი მათგანი, – ამბობდა, – აქვე, შორიახლო, ჩამოვარდება, ბევრს მთები შეაჩერებს, მაგრამ თუნდაც ერთმა რომ მიაღწიოს სანაპირომდე და ევროპელს ჩაუვარდეს ხელში – ჩათვალე, რომ გადარჩენილები ვართ.

ჩანაფიქრით მოხიბლულმა ნელიმ განუცხადა, ისეთი ბრძენი ხარ, კინგიც კი ვერ შეგედრებაო. იმედი მოეცა, რომ ბევრი ფრანი პირდაპირ მათ მამიკოებთან მიფრინდებოდა და აღუთქვა, დილიდან საღამომდე ეწეპებინა. ისე აღფრთოვანდა, რომ ვაჟს შეეშინდა, სიხარულისგან სიცხემ არ აუწიოსო და იძულებული გახდა, მისი აღტყინება ჩაეცხრო.

ამის შემდეგ გაფაციცებით შეუდგნენ საქმეს. კალიმ, რომელსაც ევალებოდა მოხტუნავე თევზების ჭერა, ანკესზე უარი თქვა, სამაგიეროდ წვრილი ბამბუკებისგან მაღალი ღობე, უფრო სწორად კი ფაცერისმაგვარი რამ მოღობა და იგი მდინარეზე გადო. წნულის შუაგულში დატოვებული იყო დიდი ხვრელი, რომელშიც უნდა შეცურებულიყვნენ თევზები, თუ უნდოდათ წყნარ წყალში მოხვედრა. ხვრელზე კალიმ პალმების თასმებისაგან დაწნული მაგარი ბადე მიამაგრა. ამრიგად უზრუნველყო ყოველდღიური ხვავრიელი თევზჭერა.

ვერაგულ ხვრელში კი თევზებს კინგის შემწეობით ერეკებოდა, რომელიც წყალში ჩაყვანისთანავე ისეთ წუწაობასა და ბუყბუბს ტეხდა, რომ არა მარტო ის ვერცხლისფერი მხტუნავები, არამედ ყველა სულდგმული გამალებით მიცურავდა უფრო წყნარი დინებისაკენ. მაგრამ ალიაქოთი ხანდახან ცუდადაც მთავრდებოდა; გაქცეულმა ნიანგებმა რამდენიმეჯერ ღობურა გადააბრუნეს, დროდადრო ასეთი რამ ემართებოდა თავად კინგსაც, რომელსაც ნიანგები საშინლად ეზიზღებოდა და დადევნებული თავთხელში წაასწრებდა თუ არა, ხორთუმით იჭერდა, ნაპირზე ამოაგდებდა და მერე გამძვინვარებით სრესდა.

ბადეში ხანდახან კუც მოჰყვებოდა და ჩვენი პატარა ლტოლვილები მისგან შესანიშნავ წვნიანს ხარშავდნენ. კალი თევზებს შიგნავდა და მზეზე ახმობდა, ბუშტები კი უმალვე მიჰქონდა ნელისთან, რომელიც მათ დაფაზე ჭიმავდა. თითოეული ბუშტი ქაღალდის მეოთხედი, ანუ ორი ხელისგულის ტოლი, გამოდიოდა.

ამ საქმეში სტაში და მეაც ეხმარებოდნენ, რადგან სამუშაო არცთუ მთლად იოლი აღმოჩნდა. აფსკი საკმაოდ უხეში იყო, მაგრამ გაშრობის შემდეგ საოცრად ნაზი ხდებოდა. სტაში მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მიხვდა, რომ ისინი ჩრდილში უნდა გაეშრო. ხანდახან სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა და, თუ აფსკისგან ფრანების კეთებაზე არ თქვა უარი, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ქაღალდზე მსუბუქად და წვიმაგამძლედ თვლიდა. ახლოვდებოდა წლის ყველაზე მშრალი დრო, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, რომ ზაფხულშიც არ იწვიმებდა, მით უფრო – მთებში.

თუმცა ფრანებს აკეთებდნენ ქაღალდისაგანაც, რომელიც ლინდეს ბარგში ბლომად აღმოაჩინეს. პირველი, დიდი და მსუბუქი, დასავლეთის ქარს რომ გაატანეს, თავიდანვე ძალზე მაღლა ავარდა და, როცა სტაშმა ზონარი გადაჭრა, ჰაერის ძლიერი ტალღისაგან გატაცებული კარამოიოს მთაგრეხილისაკენ გაფრინდა. სტაში მის ფრენას თვალს ჭოგრიტით ადევნებდა, სანამ პეპელას ტოლი არ გახდა, მერე ქინქლისხელა და სანამ ბოლოს ფირუზისფერ შორეთში არ ჩაინთქა. მეორე დღეს სხვები გაუშვა, თევზის ბუშტისგან გაკეთებულები. კიდევ უფრო მაღლა აიჭრნენ, მაგრამ აფსკის გამჭვირვალობის გამო თვალს ძალიან მალე დაეკარგნენ.

ნელი უჩვეულო გულმოდგინებით შრომობდა და ბოლოს პაწია თითუნები ისე მოქნილი გაუხდა, ვერც სტაში და ვერც მეა საქმეში ტოლს ვერ უდებდნენ. ახლა მას აღარც ძალ-ღონე აკლდა – ლინდეს მთის ჯანსაღ ჰაერზე იგი თითქოსდა ხელახლა დაიბადა. ციებ-ცხელების მესამე, სასიკვდილო შეტევის ვადა საბოლოოდ ამოიწურა. სტაში იმ დღეს ბანანების ტყეში შევიდა და სიხარულისაგან ატირდა. მთაზე ყოფნის ორი კვირის თავზე შენიშნა, რომ კეთილი მზიმუ აქ სრულიად სხვაგვარად გამოიყურებოდა, ვიდრე დაბლა – ჯუნგლებში. ღაწვები ამოევსო, ფერმკრთალი, ყვითელი კანი ისევ შეუვარდისფრდა, ხოლო შუბლზე ჩამოყრილი ხშირი ქოჩორის ქვემოდან სამყაროს მხიარულად შეჰყურებდა ორი მოციმციმე თვალი. ბიჭი მადლობას სწირავდა ცივ ღამეებს, გამჭვირვალე ჯანსაღ წყალს, გამხმარი ბანანის ფქვილს და, უპირველეს ყოვლისა, – ლინდეს.

თავად გახდა და გაშავდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ციებ-ცხელება მას არ მიჰკარებია, რადგან მისით დაავადებულს მზე არ ეკიდება, სამაგიეროდ, გაიზარდა და დავაჟკაცდა. მოძრაობამ და ფიზიკურმა შრომამ სიმამაცე და ძალა შემატა. მკლავებზე კუნთები ფოლადივით გაუმაგრდა. სტაში უკვე ნამდვილი ნაწრთობი აფრიკელი მოგზაური იყო. ყოველდღიურმა ნადირობამ და ტყვიის სროლამ შეუდარებელ

მსროლელად აქცია. ველური ნადირისა სრულიად აღარ ეშინოდა, რადგან მიხვდა, რომ ბანჯგვლიან და ხალიან მონადირეებს ჯუნგლებში მასთან შეხვედრისა უნდა შინებოდათ და არა მას – მათთან შეხვედრისა. ერთხელ ერთი გასროლით მოკლა უშველებელი მარტორქა, რომელსაც აკაციის ქვეშ ეძინა და გამოფხიზლებულმა ანაზდად შემოუტია. მრისხანე აფრიკულ კამეჩებს, რომლებიც დროდადრო მთელ ქარავანს ავლებენ მუსრს, საერთოდ ყურადღებას არ აქცევდა.

მან და ნელიმ, ფრანების დაწეპებისა და სხვა ყოველდღიური საქმიანობის გარდა, ხელი მოჰკიდეს კალის, მეას და ნასიბუს მოქცევას, მაგრამ ეს იმაზე ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ. შავკანიანთა სამეული სწავლებას სიამოვნებით ისმენდა, მაგრამ მას თავისებურად, ზანგურ ყაიდაზე შეისმენდა. როცა სტაში სამყაროს შექმნაზე, სამოთხესა და გველზე უყვებოდა, კიდევ რა უშავდა, მაგრამ, როგორც კი კაენის მიერ აბელის მოკვლის ამბავზე გადავიდა, კალიმ მიამიტად მოისვა მუცელზე ხელი და სრულიად მშვიდად ჰკითხა:

– მერედა რა უყო, შეჭამა?

შავკანიანი ბიჭი ყოველთვის გულწრფელად ამტკიცებდა, რომ ვა-ჰიმას ტომი კაცის ხორცს არასოდეს ჭამდა, მაგრამ, ეტყობა, ხსოვნას ღრმად შემოენახა ცნობა კაციჭამიაობაზე, როგორც უძველეს ხალხურ ტრადიციაზე.

ვერც ის გაიგო, მაგალითად, რატომ არ მოკლა უფალმა ღმერთმა ბოროტი მზიმუ – და კიდევ მრავალი ამგვარი რამ. სიკეთესა და ბოროტებაზეც თავისებური, ზედმიწევნით აფრიკული გაგება ჰქონდა, რის წყალობითაც ერთ დღეს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

– აბა, მითხარი, – ჰკითხა სტაშმა, – რა არის ბოროტი საქციელი?

– თუ ვინმემ კალის ძროხები მოტაცა, – უპასუხა მცირე ყოყმანის შემდეგ, – ეს ცუდი საქციელია.

– შესანიშნავია. – შესძახა სტაშმა. – კეთილი რაღაა?

პასუხი დაუყოვნებლივ გაისმა:

– კეთილია, თუ კალიმ ვინმეს მოტაცა ძროხები.

მეტისმეტად ახალგაზრდა სტაშმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ კეთილსა და ბოროტზე ამგვარ შეხედულებას ქადაგებდნენ ევროპაშიც და არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ მთელი ერებიც კი.

მაგრამ დღითი დღე, ნება-ნება შედიოდა შუქი შავ თავებში და, რისი გაგებაც თავს არ შეეძლო, მგზნებარე გულებში იბეჭდებოდა. მცირე ხნის შემდეგ უკვე შეიძლებოდა მათი მონათვლა, რაც ძალზე საზეიმო ვითარებაში გაიმართა. ნათლიებმა ბავშვებს სათითაოდ აჩუქეს ოთხ-ოთხი არშინი თეთრი ჩითი და თითო აცმა ცისფერი მძივები. მაგრამ მეა საოცრად გაწბილებული დარჩა, რადგან თავისი გულუბრყვილობის გამო სწამდა, რომ ნათლობის შემდეგ კანი უმალვე გაუთეთრდებოდა და უნდა გენახათ მისი განცვიფრება, როცა შენიშნა, უწინდელივით შავი დარჩა. თუმცაღა ნელი გულმოდგინედ არწმუნებდა, რომ ამიერიდან სული ჰქონდა თეთრი.

კარი XXXVI

სტაში კალის რემინგტონის კარაბინით სროლასაც ასწავლიდა, რაც კატეხიზმოს შესწავლაზე იოლად მიმდინარეობდა. მიზანსა და მდინარის სანაპიროზე დაყრილ ნიანგებზე ათდღიანი სროლის შემდეგ ახალგაზრდა ზანგმა დიდი ანტილოპა ფუფუ, რამდენიმე არიელი და ბოლოს ველური ტახიც მოკლა. თუმცა ეს შეხვედრა კინაღამ უბედურად არ დამთავრდა როგორც ლინდეს შემთხვევაში, რადგან კალი ტახს გასროლისთანავე გაუფრთხილებლად მიუახლოვდა, ნადირი წამოიჭრა და კუდაბზეკილი* მისკენ გაექანა. გულში კარაბინჩახუტებული კალი ხეზე დაიმალა და იქ იჯდა მანამ, სანამ ყვირილი სტაშს არ გააგონა, თუმცა ტახი მას უკვე მკვდარი დახვდა. კამეჩებზე, ლომებსა და მარტორქებზე ნადირობის ნებას ჯერ არ აძლევდა. სპილოებს, რომლებიც საღამოობით მოდიოდნენ დასარწყულებლად, თავადაც არ ესროდა, რადგან ნელის აღუთქვა, ჩემს სიცოცხლეში ერთსაც არ მოვკლავო.

დილით ანდა ნაშუადღევს მთიდან თავისი ჭოგრიტით ჯუნგლებში საძოვარზე გამოსულ ზებრების ჯოგს, ბუბალებს, არიელებს ან მხტომელ თხებს რომ დაინახავდა, კალიც თან მიჰყავდა. ასეთი მგზავრობისას ბიჭს ხშირად ეკითხებოდა ვა-ჰიმასა და ზამბურუს ხალხზე, რომლებსაც ოკეანის სანაპიროსაკენ დასავლეთიდან წასვლის შემთხვევაში აუცილებლად უნდა შეხვედროდნენ.

– შენ თუ იცი, კალი, – ჰკითხა ერთ დღეს, – რომ ოც დღეში, ცხენებით კი უფრო მალეც კი, შეგვიძლია შენს ქვეყანაში მისვლა?

– კალიმ არ იცის, სად ცხოვრობს ვა-ჰიმა. – მიუგო ახალგაზრდა ზანგმა და თავი ნაღვლიანად გააქნია.

– მე კი ვიცი; ისინი ცხოვრობენ იმ მხარეს, საიდანაც დილ-დილაობით მზე ამოდის, რომელიღაც დიდ წყალთან.

– ჰო! ჰო! – შესძახა განცვიფრებულმა და გახარებულმა ბიჭმა. – ბასა-ნაროკი! ეს ჩვენებურად დიდ, შავ წყალს ჰქვია. დიდმა ბატონმა ყველაფერი იცის.

– არა, რადგან ის არ ვიცი, როგორ მიგვიღებს ვა-ჰიმა, მასთან რომ მივიდეთ.

– კალი იმათ უბრძანებს, რომ პირქვე დაემხონ დიდი ბატონისა და კეთილი მზიმუს წინაშე.

– მერე დაგიჯერებენ?

– კალის მამა ლეოპარდის ტყავს იცვამს და კალიც.

სტაში მიხვდა, ეს ნიშნავდა იმას, რომ კალის მამა მეფე იყო, ის კი უფროსი შვილი და ვა-ჰიმას მომავალი ბელადი.

და ისევ განაგრძო გამოკითხვა.

– ერთხელ მითხარი, რომ თქვენთან იყვნენ თეთრკანიანი მოგზაურები და ხანდაზმულებს ახსოვთ ისინი.

– ჰო, კალისაც გაუგონია, რომ თავზე მათ დიდძალი ჩითი ეხურათ.

“აჰ! – გაიფიქრა სტაშმა, – ევროპელები კი არა, არაბები ყოფილან და შედარებით თეთრი კანისა და თეთრი სამოსის გამო თეთრკანიანები ჰგონებიათ”.

და, რადგანაც კალის ისინი არ ახსოვდა და მათზე ვერავითარ დაწვრილებით ცნობებს ვერ ეტყოდა, სტაშმა ახლა სხვა შეკითხვა დაუსვა:

– ვა-ჰიმას ხომ არ მოუკლავს რომელიმე თეთრტანსაცმლიანი?

– არა. არც ვა-ჰიმასა და არც ზამბურუს ამის გაკეთება არ შეუძლიათ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მათ თქვეს, თუ ჩვენს სისხლს მიწა ჩაიწოვს, აღარ იწვიმებსო.

“სასიხარულოა, რომ ასე სწამთ”, – ისევ გაიფიქრა სტაშმა. რის შემდგომაც ისევ ჰკითხა:

– წამოგვყვებიან ვა-ჰიმელები ოკეანემდე, თუ მათ ბევრ ჩითს, მძივებსა და თოფებს შევპირდები?

– კალი წამოვა და ვა-ჰიმაც, მაგრამ დიდმა ბატონმა დაიპყროს ჯერ ზამბურუ, რომელიც წყლის გადაღმა მხარეს არის.

– ზამბურუს იქით ვინღაა?

– ზამბურუს იქით მთები არ არის, არის ჯუნგლები, იქ კი ლომებია.

ამით დასრულდა საუბარი. სტაში ახლა სულ უფრო ხშირად ფიქრობდა აღმოსავლეთისაკენ დიდ მგზავრობაზე, რადგან ახსოვდა ლინდეს ნათქვამი, იქ შეიძლება სპილოს ძვლით მოვაჭრე სანაპიროელ არაბებს ანდა სულაც მისიონერებს შევხვდეთო. კარგად იცოდა, რომ ასეთი მგზავრობა ნელისთვის საშინელ სიძნელესა და ახალ უარეს ხიფათთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ისიც უწყოდა, რომ შეუძლებელი იყო მთელი სიცოცხლე ლინდეს მთაზე დარჩენა; და აუცილებლად უნდა ეფიქრათ გზის გაგრძელებაზე. წვიმიანობის შემდეგ, როცა სნეზოვან ჭაობს წყალი ფარავს, გასამგზავრებლად ყველაზე ხელსაყრელი დრო იყო. მაღალ მთაზე სიცხე ჯერ არ იგრძნობოდა; ღამღამობით ისე ციოდა, რომ აუცილებლად კარგად უნდა დაეხურათ. მაგრამ დაბლა, ჯუნგლებში, შედარებით უფრო ცხელოდა და იგრძნობოდა, რომ მალე გაუსაძლისი პაპანაქება დაიწყებოდა. წვიმა ახლა სულ უფრო იშვიათად რწყავდა მიწას და მდინარეში წყლის დონეც დღითი დღე დაბლა იწევდა. სტაში ვარაუდობდა, რომ ზაფხულში ის, შესაძლოა, ემსგავსებოდა ისეთ ტბორებს, როგორიც ბევრი უნახავს ლიბიის უდაბნოში.

თუმცა გამგზავრებას სულ უფრო და უფრო აყოვნებდა. ლინდეს მთაზე ყველანი კარგად იყვნენ, როგორც ადამიანები, ასევე ცხოველებიც! ნელიმ აქ არა მარტო ციებ-ცხელება მოიხადა, უკვალოდ გაქრა მისი ანემიაც, სტაშს კი ერთხელაც არ წამოსტკივებია თავი; კალისა და მეას კანი ატლასივით აუპრიალდა. ნასიბუ წვრილ ფეხებზე შემდგარ ნესვს დაემსგავსა, კინგი კი ცხენებსა და ვირზე ნაკლებს არ ძოვდა. სტაშმა კარგად იცოდა: მეორე ამგვარ “კუნძულს” ჯუნგლების ზღვაში მოგზაურობის ბოლომდე ვეღარ იპოვიდნენ.

და შიშით უყურებდა მომავალს, მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად დიდი დახმარებაც მიიღეს და კინგიც ძლიერ დამცველად ეგულებოდათ.

ასე და ამგვარად, სანამ მგზავრობის სამზადისს შეუდგებოდნენ, კიდევ ერთი კვირა გავიდა. ფუთების შეკვრისაგან თავისუფალ დროს ფრანების გაშვება არ შეუწყვეტიათ. სტაში წერდა, რომ მიდიან აღმოსავლეთისაკენ, რომელიღაც ტბის, შემდეგ კი ოკეანისაკენ; უშვებდნენ კი უფრო იმიტომ, რომ მალე დაუბერა ძლიერმა, ქარიშხლის მაგვარმა დასავლეთის ქარმა, რომელსაც მაღლა ატაცებული ფრანები მთებისაკენ და მთებს იქითაც მიჰქონდა. პაპანაქებისაგან ნელის დასაცავად სტაშმა კარვის

ნარჩენებისაგან გააკეთა ტახტრევნი, რომელიც სპილოსთვის უნდა დაედგათ. რამდენიმე ცდის შემდეგ კინგი იოლად მიეჩვია ამ მცირე ტვირთს ისევე, როგორც პალმისაგან დაწნული თოკებით ტახტრევანის დამაგრებას. ეს ტვირთი ბუმბულივით მსუბუქი იყო იმასთან შედარებით, რის აკიდებასაც მისთვის აპირებდნენ და რის შეფუთვითაც კალი და მეა იყვნენ დაკავებული.

პატარა ნასიბუს დავალებული ჰქონდა ბანანების გახმობა და ორი ბრტყელი ქვით მისი დაფქვა. ხილის მძიმე აკიდოების მოკრეფაში მას კინგიც ეხმარებოდა ამ დროს ორივენი იმდენს ჭამდნენ, რომ მალე ქოხების ირგვლივ ბანანის სახსენებელიც გააქრეს, ასე რომ იძულებული გახდნენ, მათი სადგომის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სხვა პლანტაციაში ევლოთ. უსაქმოდ მყოფი ლომაც მათი სეირნობის თანამგზავრი გახდა.

მაგრამ ნასიბუ კინაღამ თავისი გულმოდგინების მსხვერპლი გახდა, ანუ უფრო სწორად კინაღამ ტყვეობაში ამოყო თავი. ეს მოხდა ციცაბოს თავზე, ტევრში ბანანების კრეფისას, როცა კლდის ქიმზე ანაზდად საშინელი შავბანჯგვლიანი, თვალებმოხამხამე და ეშვებაელვარებული სახე დაინახა. ბიჭი პირველ წამს შიშისაგან გაქვავდა, მაგრამ უმალვე გონს მოეგო და მოკურცხლა. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმისთანავე ბანჯგვლიანი მკლავები შემოეჭდო, ჰაერში აწია და კუნაპეტივით შავმა არსებამ უფსკრულისაკენ გააქანა.

საბედნიეროდ, ბიჭის მომტაცებელ მაიმუნს მხოლოდ ორი ფეხით შეეძლო სირბილი. ამიტომაც ლომა, რომელიც იქვე, მახლობლად, იმყოფებოდა, იოლად დაეწია და ეშვები მხრებში ჩაარჭო. დაიწყო საშინელი ორთაბრძოლა, რომელშიც, თავისი დიდი ტანისა და ძალ-ღონის მიუხედავად, ძაღლი, ალბათ, დამარცხდებოდა, რამეთუ გორილა* თვით ლომსაც კი ერევა. მაიმუნებს, საერთოდ, წესად არა აქვთ მსხვერპლის ხელიდან გაშვება, თუნდაც ეს მათ თავისუფლებას ან სიცოცხლეს ემუქრებოდეს. უკანიდან ჩაჭერილი გორილა ლომას თავისუფლად ვერ სწვდებოდა, დიდი მცდელობის შემდეგ მარცხენა წინა კიდური კისერში ჩაავლო და, ის-ის იყო, მაღლა აწია, რომ ანაზდად მძიმე ფეხებქვეშ მიწა შეირყა – და კინგიც მოვარდა.

ხორთუმის ერთი მსუბუქი დარტყმა საკმარისი გახდა, რომ საშინელი "ტყის ქაჯი", როგორც ზანგები გორილას ეძახიან, მიწაზე თავგახეთქილი დანარცხებულიყო. მეტი დამაჯერებლობისთვის კინგმა იგი თავისი ეშვით ერთხელაც მიალურსმა მიწას დ ამისა შემდეგაც არ აპირებდა შურისძიების შეწყვეტას, სანამ მისი ბღავილითა და ლომას ყეფით შეშფოთებული სტაში არ მოვარდა ქოხების მხრიდან თავისი იარაღით და გაჩერება არ უბრძანა.

გორილა ახლა უსულოდ ეგდო სისხლის გუბეში, რომელსაც ლომა ხვრეპდა და რომლითაც კინგს ეშვები მოსვროდა. უშველებელი, თვალებგადმოტრიალებული და

ეშვებდაკრეჭილი ცხოველი ახლა უფრო საშინელი სანახავი გამხდარიყო. სპილო გამარჯვების საყვირს ახმიანებდა, ხოლო შიშით გაფითრებული ნასიბუ სტაშს უამბობდა, რა მოხდა. ვაჟმა გულში გაივლო, ხომ არ მოეყვანა ნელი და არ ენახვებინა საშინელი მაიმუნი, მაგრამ ანაზდეული შიშით შეპყრობილმა ეს აზრი უმალვე უკუაგდო.

ნელი ხომ თავადაც ხშირად დადიოდა "კუნძულზე" მარტო – ხომ შეიძლებოდა, მასაც დამართნოდა ასეთი რამე.

ლინდეს მთა არც ისე უსაფრთხო თავშესაფარი არმოჩნდა, როგორც თავდაპირველად ეგონათ.

სტაში ქოხში დაბრუნდა და ნელის უამბო, რაც მოხდა. ის ყურადღებითა და შიშით უსმენდა, თან თვალები ფართოდ დაეჭყიტა და წამდაუწუმ იმეორებდა:

– მიხვდი, კინგი რომ არა, რა შეიძლება მომხდარიყო?

– მართლაც! ასეთი გადიის ხელში ბავშვს არაფერი გაუჭირდება, ჰოდა, იცოდე, გამგზავრებამდე უმისოდ სადმე ნაბიჯი არ გადადგა.

– როდის მივემგზავრებით?

– მარაგი გამზადებულია, ბარგი – შეკრული, საკმარისია ცხოველების დასაპალნება და შეგვიძლია, თუნდაც ხვალვე გავუდგეთ გზას.

– მამიკოებისაკენ!

– თუ ღმერთი შეგვეწევა! – დარბაისლურად მიუგო სტაშმა.

კარი XXXVII

ამ საუბრიდან მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგღა მოახერხეს გამგზავრება. განთიადის ექვს საათზე მოკლე ლოცვა წარმოთქვეს, ღმერთს შემწეობა სთხოვეს და გზას გაუდგნენ. პირველი მიდიოდა ცხენზე ამხედრებული სტაში, რომელსაც მხოლოდ ლომა უსწრებდა წინ. მის უკან მძიმე-მძიმედ, ყურების პარტყუნით მიაბიჯებდა კინგი ძლიერ ქედზე

შემოდგმული ტახტრევნით, რომელშიც ნელი და მეა ისხდნენ, შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით მიდიოდნენ პალმის გრძელი თოკით გადაბმული და სხვადასხვაგვარი ბარგით დატვირთული ლინდეს ცხენები, მსვლელობის ჩამკეტი იყო კარგად ნაკვებ ვირზე გადამჯდარი პატარა ნასიბუ.

განთიადის ადრიანი საათების გამო ხვატი ჯერ არ იგრძნობოდა, თუმცა კარგი ამინდი იდგა და კარამოიოს მთების მიღმეთიდან უღრუბლო ცაზე დიდებული მზე ამოგორდა. მაგრამ მისი სხივების სიმხურვალეს აღმოსავლეთიდან მოვარდნილი ნიავი აგრილებდა. დროდადრო უბერავდა საკმაოდ ძლიერი ქარიც, რომლის ყოველ დაქროლებაზე ბალახი გვერდზე წვებოდა და მთელი ჯუნგლები ზღვასავით ღელავდა. უხვი წვიმების შემდეგ ყველანაირ მცენარეულობას ისე აეყარა ტანი, ბალახში მარტო ცხენები კი არა, კინგიც აღარ ჩანდა, ჰოდა, ახლა თეთრი ტახტრევანი დარწეული წვეროკინების თავზე ტბაში შეცურებული გემივით მიიწევდა წინ. ერთი საათის სიარულის შემდეგ ლინდეს მთიდან აღმოსავლეთით მცირე მშრალ ბექობზე ასულები მოულოდნელად გადაეყარნენ უზარმაზარ, გიგანტ ექინოსპებს, რომლებსაც ხის ტანივით მსხვილ ღეროზე ადამიანის თავისხელა ყვავილები ესხა. ზოგ-ზოგიერთი ბორცვაკის ფერდებზე, შორიდან მწირი რომ გეგონებოდათ, რვამეტრიან მანანებს ხვდებოდნენ. სხვა მცენარეები, რომლებიც ევროპაში ტანდაბალთა ჯგუფს მიეკუთვნებიან, აქ ექინოსპებისა და მანანის სიმაღლისები იყვნენ, ხოლო ვეებერთელა, განცალკევებით მდგარი ზოგიერთი ხე ჯუნგლების თავზე ტაძარივით აღმართულიყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდა დაროდ წოდებული ლეღვის ხეები, რომელთა მომტირალი ტოტები მიწასთან შეხებისას ახალამონაყრებად იქცეოდა, დიდ სივრცეს გადაფაფროდა და ყოველი მათგანი ცალკე კორომს ქმნიდა.

შორიდან დანახული მხარე ერთი მთლიანი ტყე გეგონებოდათ; მიახლოებისას კი აღმოჩნდებოდა, რომ დიდი ხეები ერთმანეთისგან რამდენიმე, ზოგიც რამდენიმე ათეული ნაბიჯის დაშორებით იზრდებოდა. ჩრდილოეთის მხარეს კი ძალიან ცოტა მცენარეულობა მოჩანდა და ზომიერი ჯუნგლებით დაფარულს მხოლოდ ქოლგისმაგვარი აკაციებით გადაფოფრილი მთის სტეპის იერი დაჰკრავდა. ბალახი კი იქ უფრო მწვანე, დაბალი და საძოვრად უკეთესი ჩანდა, რამეთუ ნელი კინგის ზურგიდან, სტაში კი ბორცვებზე ასვლისას იქ ანტილოპების იმხელა ჯოგებს ხედავდა, რამდენიც მანამდე არსად ენახათ. ხან ერთად ძოვდნენ, ხანაც გნუს, პუფუს, არიელის, ძროხების, მოხტუნავე თხებისა და მაღალი კუდუს ჯოგებთან ერთად. არც ზებრებისა და ჟირაფების ნაკლებობა იგრძნობოდა. ქარავნის დანახვაზე ჯოგები ძოვას წყვეტდნენ, თავებს მაღლა სწევდნენ, ყურებდაცქვეტილები განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ თეთრ ტახტრევანს და დამფრთხლები წამისუსწრაფესად გარბოდნენ; რამდენიმე ასეული ნაბიჯის შემდეგ შედგებოდნენ, ისევ გახედავდნენ მათთვის აქამდე უცნობ საგანს და ცნობისწადილის დაკმაყოფილების შემდეგ კვლავ დინჯად განაგრძობდნენ ძოვას.

დროდადრო ქარავანს ბდღვინვითა და ლიწინლიწინით წამოუხტებოდნენ მარტორქები, მაგრამ ფიცხი, გზადშეხვედრილი ყოველი სულდგმულისადმი შემტევი ხასიათის მიუხედავად, კინგის დანახვაზე კუდამოძუებულები გარბოდნენ, სპილოს კი სტაშის ბრძანებაღა აოკებინებდა გადევნების სურვილს.

აფრიკულ სპილოს დასანახვად ეზიზღება მარტორქა და, თუ მის ახალ ნაკვალევს წააწყდა, საკუთარ ძალაში დარწმუნებული, მანამ მიჰყვება, სანამ არ იპოვის მოწინააღმდეგეს და ბრძოლას არ გაუმართავს, რომლის მსხვერპლიც თითქმის ყოველთვის მარტორქა ხდება. კინგს, რომლის სინდისზეც, ალბათ, არაერთის სიცოცხლე იყო, უჭირდა ჩვეულებაზე უარის თქმა, მაგრამ ისე მოშინაურებულიყო და სტაშს უკვე იმდენად თვლიდა თავის პატრონად, რომ მისი ხმის გაგონებისა და მრისხანედ მომზირალი თვალების დანახვისთანავე აღმართულ ხორთუმს დაბლა დაუშვებდა, ყურებს უკან გადაწევდა და გზას დინჯად აგრძელებდა. სტაშს, მართალია, ძალიან კი სურდა გოლიათების ორთაბრძოლის ნახვა, მაგრამ ნელის შიში ჰქონდა. სპილო რომ გაქცეულიყო, შეიძლება ტახტრევანი დაშლილიყო ან კიდევ უარესი, პირველივე შემხვედრ ტოტს გამოსდებოდა და ნელის სიცოცხლეს საშინელი საფრთხე დამუქრებოდა. ჯერ კიდევ პორტ-საიდში წაკითხული ნადირობების აღწერიდან ახსოვდა, რომ ინდოეთში მონადირეებს ვეფხვებზე უფრო იმის ეშინოდათ, დევნისას სპილოს კოშკურა ხისთვის არ გამოეკრა და, ბოლოს, გოლიათი ისე მძიმე-მძიმედ დარბის, დიდხანს მისი გაძლება ჯანმრთელობის შეურყევლად შეუძლებელიც კია.

სამაგიეროდ, მეორეს მხრივ, კინგის არსებობა მრავალ საფრთხეს აცილებდათ. ბოროტი და თავხედი კამეჩები, რომლებიც იმავე დღესვე შემოეყარათ, როცა დასარწყულებლად მიდიოდნენ პატარა ტბისაკენ, სადაც საღამოობით ყოველგვარი ნადირ-ცხოველი იყრის თავს, კინგის დანახვაზე უმალვე დაფრთხნენ და ტბას გარშემოუარეს წყლის დასალევად. ღამით უკანა ფეხით ხეზე მიბმული კინგი ნელის კარავს ყარაულობდა; ეს ისეთი ნაღდი მცველი იყო, რომ სტაშმა მხოლოდ კოცონის დანთება ბრძანა, მაგრამ ბანაკისთვის ღობის შემოვლება უკვე ზედმეტად ჩათვალა, თუმცა იცოდა, რომ მხარეში, სადაც ანტილოპების ამდენი ჯოგი ბალახობდა, შეუძლებელია, ლომები არ ყოფილიყვნენ. ისე მოხდა, რომ იმავე ღამეს ბორცვის ფერდობზე აფოფრილი ვეებერთელა ღვიის5 ტევრიდან ღრიალი მორთო რამდენიმემ ერთად. მობრიალე კოცონის მიუხედავად, ცხენის სუნით აღგზნებულები ბანაკს მოუახლოვდნენ, მაგრამ, მობეზრდა თუ არა კინგს მათი ღრიალი, ანაზდად ღამეული სიჩუმე ქუხილივით მგრგვინვარე მისმა "ბარიტონმა" გააპო. მხეცები უმალვე დადუმდნენ, რადგან მიხვდნენ: იმ სულდგმულთან საქმის დაჭერა არ ღირდა. იმ ღამით ბავშვებს შესანიშნავად ეძინათ და განთიადისას კვლავ გზას გაუდგნენ.

მაგრამ სტაშს საზრუნავი და სადარდებელი კვლავ გამოუჩნდა. ჯერ ერთი, მიხვდა: ნელა მიდიოდნენ და დღეში ათ კილომეტრზე მეტის გავლას თუ ახერხებდნენ. ასე, აბისინიის საზღვრამდე მისვლას ერთ თვეში მოუნდებოდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვიტა, ყველაფერში ლინდეს რჩევას მიჰყოლოდა, ლინდე კი გადაჭრით ამტკიცებდა, რომ აბისინიამდე ვერ მიაღწევდნენ, მაშასადამე, რჩებოდა მხოლოდ გზა ოკეანემდე. მაგრამ, შვეიცარიელის გამოთვლისამებრ, ოკეანისგან მათ ყოფდა ათასი კილომეტრი – ისიც სწორხაზოვნად, ხოლო უფრო სამხრეთით მდებარე მომბასამდე კიდევ უფრო მეტი. ასე რომ, მთელ მოგზაურობას სამ თვეზე მეტი დრო დასჭირდებოდა. სტაში შეშფოთებული ფიქრობდა, რომ ეს იყო სამი თვე სიცხის, ხიფათისა და საშიშროებისა ზანგთა ტომებისაგან, რომელთაც, შესაძლოა, შეყროდნენ. ჯერჯერობით ყვავილისა და დავრიშთა თავდასხმის შიშისაგან გაუკაცრიელებულ მხარეში იმყოფებოდნენ, მაგრამ, საერთოდ, აფრიკა საკმაოდ ხალხმრავალია და, ბოლოს და ბოლოს, ადრე თუ გვიან, მაინც შევიდოდნენ უცხო ტომებით დასახლებულ მხარეში, რომელსაც, წესისამებრ, ველური და მძვინვარე ბელადები მართავდნენ. იოლი საქმე როდი იყო ასე მძიმე მდგომარეობაში თავისუფლებისა და სიცოცხლის შენარჩუნება.

სტაშს იმედი ჰქონდა: თუ ვა-ჰიმას ხალხს გადაეყრებოდა, რამდენიმე ათეულ მეომარს სროლაში გაწვრთნიდა, მერე მათ შეპირებით დაიყოლიებდა, რათა ოკეანემდე გაჰყოლოდნენ. მაგრამ კალის ოდნავი წარმოდგენაც არ ჰქონდა, სად ცხოვრობდნენ ვა-ჰიმელები, ხოლო ლინდემ, რომელსაც რაღაც გაეგონა მათზე, ვერც გზის მითითება შეძლო და ვერც მათი ადგილსამყოფლის დადგენა. ლინდემ ახსენა რომელიღაც დიდი ტბა, რომლის შესახებაც მხოლოდ სხვისი მონათხრობით იცოდა, კალი კი გადაჭრით ამტკიცებდა, რომ იმ ტბის, რომელსაც ბასა-ნაროკად იხსენიებდა, ერთ მხარეს ვა-ჰიმა ცხოვრობს, მეორე მხარეს კი – ზამბურუო. ჰოდა, ახლა სტაში თავს იმტვრევდა, რადგან აფრიკის გეოგრაფიაში, რომელსაც პორტ-საიდში ძალზე დაწვრილებით ასწავლიან, ასეთ ტბაზე სიტყვაც არ არის ნახსენები. არადა, მასზე რომ მხოლოდ კალის ეთქვა, დაუშვებდა, რომ ეს იყო ვიქტორია-ნიანზა, მაგრამ ამაში არ შეცდებოდა ლინდე, რომელიც სწორედ ვიქტორიადან ჩრდილოეთით მოდიოდა კარამოიოს მთების გასწვრივ და იმავ მთებში შეხიზნული ხალხის მონათხრობით დაასკვნა, რომ ის იდუმალი მთა მდებარეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთით. სტაშმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა ყოველივე ამაზე და ეშინოდა, ვაითუ ვერც ტბა და ვერც ვა-ჰიმა საერთოდ ვერ ვიპოვოთო; ეშინოდა აგრეთვე ველური ტომებისა, უმოწყალო ჯუნგლების, გაუვალი მთების, ბუზი ცე-ცესი, რომელიც მუსრს ავლებს ცხოველებს; ეშინოდა საღათას ძილის, ციებ-ცხელების, ხვატისა და იმ განუზომელი სივრცისა, რომელიც ჯერ კიდევ ყოფდა მათ ოკეანისგან.

ყოველივე ამის მიუხედავად, ლინდეს მთიდან წამოსვლის შემდეგ წინ, სულ აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთისაკენ სიარულის გარდა, სხვა გზა არ ჰქონდა. ლინდე მართალს ამბობდა: ეს მგზავრობა გამოცდილი და ენერგიული მოგზაურის ძალ-ღონესაც

კი აღემატებაო, მაგრამ ყმაწვილმა უკვე დიდი გამოცდილება შეიძინა, ხოლო ძალ-ღონეს რაც შეეხება, მიზნად დაისახა, იმდენი სიმკვირცხლე და სიჩაუქე გამოეჩინა, რამდენიც საჭირო იქნებოდა. ახლა გოგონას უნდა გაფრთხილებოდა და ამიტომაც გადაწყვიტა ემგზავრათ მხოლოდ დილის ექვსიდან ათ საათამდე, მეორე ეტაპი კი იქნებოდა სამიდან საღამოს ექვს საათამდე, ანუ მზის ჩასვლამდე. საქმე ეკეთებინათ მხოლოდ მაშინ, თუკი პირველივე სადგომთან წყალი არ იქნებოდა.

მაგრამ, რამდენადაც მასიკის დროს ხშირი წვიმები იცის, წყალი ყველგან მოიპოვებოდა. დაბლობებში თავსხმისას წარმოქმნილი გუბურები ჯერ კიდევ წყლით პირთამდე იყო გალიცლიცებული, მთებიდან კი ხან აქ, ხან იქ ნაკადულები მოჩხრიალებდა და იმ ცივ, კამკამა წყალში ბანაობას არაფერი სჯობდა, თანაც უსაფრთხო იყო, რამდენადაც ნიანგები მხოლოდ დიდ, მათი საკბილო თევზებით სავსე წყლებში ცხოვრობენ.

სტაში გოგონას მაინც არ აძლევდა წყაროს წყლის დალევის ნებას მას შემდეგ, რაც ლინდესაგან მემკვიდრეობით მიიღო შესანიშნავი ფილტრი, რომელიც მუდამ აცვიფრებდა კალისა და მეას. როგორც კი დაინახავდნენ, მოთეთრო-მღვრიე წყალში ჩაყოფილი ფილტრი კოლბაში მხოლოდ სუფთა და გამჭვირვალე წყალს უშვებდა, სიცილისაგან იჭაჭებოდნენ და განცვიფრებისა და სიხარულის ნიშნად ხელისგულებს მუხლებზე იტყაპუნებდნენ.

და, საერთოდ, თავიდან ძალზე გაუიოლდათ მგზავრობა. ბლომად ჰქონდათ ლინდესგან გადმოცემული ყავის, ჩაის, შაქრის, ბულიონების, სხვადასხვა კონსერვისა და ყველანაირი წამლის მარაგი. სტაში არაფერს ზოგავდა, რადგან ყველაფერი იმდენი ჰქონდათ, ტარებაც კი უჭირდათ; არც მრავალნაირი ჯამ-ჭურჭელი აკლდათ, არც სხვადასხვა ყალიბის იარაღი და ტყვია-წამალი, რაც ზანგებთან შეხვედრის შემთხვევაში ერთობ გამოადგებოდათ. ნოყიერი მხარე ჩანდა; ცხოველი და ფრინველი აუარება იყო და, ამდენად, ახალ-ახალი ხორცი ყელამდე ექნებოდათ. ხილიც ბევრი იყო. დაბლობებში აქა-იქ ჭაობებს წააწყდებოდნენ ხოლმე, მაგრამ ისინი ჯერაც ახალი წყლით იყო დაფარული და ჯანმრთელობისთვის საშიში და მავნებელი ანაორთქლი ჯერ არ ჰქონდათ. სისხლში ციებ-ცხელების შემტანი მწერები მაღლობზე საერთოდ არ იყვნენ. დილის ათი საათიდან, მართალია, აუტანელი სიცხე იწყებოდა, მაგრამ პატარა მოგზაურები ე. წ. “თეთრი საათების” დროს, როგორც წესი, ჩერდებოდნენ ვეებერთელა ხეების ჩრდილში, სადაც მზის ერთი სხივიც კი ვერ აღწევდა. შესანიშნავ ჯანმრთელობას უქადდათ მოგზაურობა ნელის, სტაშსა და ზანგებს.

მოგზაურობის მეხუთე დღეს ნელისთან ერთად კინგზე მჯდარი სტაში აკაციების ფართო და გაუვალ ზოლს გადააწყდა და ცხენებს მხოლოდ სპილოს გაკვალულ გზაზე შეეძლოთ გავლა. განთიადი იდგა, გაცისკროვნებული და ცვრიანი. ბავშვები საუბრობდნენ მოგზაურობასა და იმაზე, რომ ყოველი დღე აახლოებდათ ოკეანესა და მამებთან, რომლებიც ორივეს ძალიან ენატრებოდა. ფაიუმიდან მათი მოტაცების შემდეგ ეს იყო მათი საუბრების ამოუწურავი თემა, რაც ყმაწვილებს მუდამ ტირილის გუნებაზე აყენებდა და განუწყვეტლივ ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: მამიკოებს ჰგონიათ, რომ ცოცხლები აღარა ვართ, ანდა სამუდამოდ გადავიკარგეთ; ორივე დარდობს და, უიმედობის მიუხედავად, ხარტუმში მაინც აგზავნიან არაბებს ამბის გასაგებად, ჩვენ კი უკვე ძალიან შორსა ვართ არა მარტო ხარტუმიდან, არამედ ფაშოდიდანაც, ხოლო ხუთი დღის შემდეგ კიდევ უფრო შორს ვიქნებით – მერე კიდევ უფრო შორს, სანამ არ მივაღწევთ ოკეანეს ანდა მანამდე რაიმე ადგილს, საიდანაც შესაძლებელი იქნება დეპეშის გაგზავნა. მთელს ქარავანში ერთადერთი პიროვნება იყო დარწმუნებული, რომელმაც იცოდა, კიდევ რა ელოდათ. ეს გახლდათ სტაში. სამაგიეროდ ნელის ღრმად სწამდა, რომ ქვეყნად არ იყო სიძნელე, რომლის გადალახვაც "სტესს" არ შეძლებოდა, და ერთი წამითაც არ ეეჭვებოდა, რომ სანაპიროზე გაიყვანდა. ჰოდა, მოვლენებს ხშირად წინ უსწრებდა მისი ფანტაზია და თავისი პაწია გონებით ხშირად წარმოიდგენდა, რა მოხდებოდა, როცა მათ შესახებ პირველი ცნობა მიუვიდოდათ – და ჩიტივით აჟღურტულებული უყვებოდა სტაშს ამ ეპიზოდის შესახებ. "სხედან, – ამბობდა, – მამიკოები პორტ-საიდში და ტირიან, – ამ დროს შედის ბიჭი და დეპეშა შეაქვს. რა არის? ჩემი ან შენი მამიკო ხსნის, უყურებს ხელმოწერას და კითხულობს: "სტაში და ნელი". ო, რას გაიხარებენ! ო, რას წამოხტებიან და გამოექანებიან ჩვენს შესახვედრად! ო, რა სიხარული იქნება მთელ სახლში – მამიკოებიც გაიხარებენ და ყველანიც გაიხარებენ – და შენს ქებას დაიწყებენ და მოვლენ და მერე მამიკოს მაგრად მოვეხვევი კისერზე და მერე სულ ერთად ვიქნებით... და..."

და მთავრდებოდა იმით, რომ პაწია ნიკაპი აუთრთოლდებოდა, ორი ულამაზესი თვალი ორ შადრევნად იქცეოდა, ბოლოს თავს სტაშს მიადებდა მხარზე და ტიროდა დარდის, მოწყენილობისა და მოსალოდნელი შეხვედრის სიხარულისგან გულათრთოლებული, ვაჟი კი ისევ განაგრძობდა მომავლის წარმოდგენას, ფიქრობდა, რომ მამამისი მისი საქციელით იამაყებდა და ეტყოდა: "ყოჩაღ, ჭეშმარიტი პოლონელივით მოქცეულხარ" – და საშინლად გულაჩუყებულსა და დარდიანს, მალევე სიფიცხე და სიმამაცე ჩაუდგებოდა ძარღვებში. "უნდა შევძლო, – ეუბნებოდა თავს, – ნელის გადარჩენა, უნდა ვიცოცხლო იმ წუთებამდე" და ამ დროს ეგონა, რომ არ იყო

ქვეყნად ისეთი საფრთხე, რომლის დაძლევაც გაუჭირდებოდა და არ იყო ისეთი წინააღმდეგობა, რომლის გადალახვასაც ვერ მოახერხებდა.

მაგრამ საბოლოო გამარჯვებამდე კიდევ შორს იყო. ამასობაში აკაციის ჭალას მიარღვევდნენ. ამ ხეთა გრძელი ეკლები თვით კინგის კანზეც კი თეთრ ხაზებს ავლებდა. ბოლოს ჭალა გამეჩხერდა, ხოლო აქა-იქ მდგარი ხეების ტოტებს მიღმა შორს, შორს მწვანე ჯუნგლები გამოჩნდა. მიუხედავად დიდი სიცხისა, ბიჭი ტახტრევნიდან გამოძვრა, კინგს კისერზე მოაჯდა, რათა დაენახა, შორიახლო ანტილოპების ან ზებრების ჯოგი ხომ არ ძოვდა, რადგან გადაწყვიტა, ხორცის მარაგი განეახლებინა.

სადღაც, მარჯვენა მხარეს, არიელების პატარა ჯოგი დაინახა – სულ რამდენიმე პირუტყვი, ხოლო მათ შორის – ორი სირაქლემა, მაგრამ ხეების უკანასკნელ კორომს გასცდნენ და, სპილომ მარცხნივ გაუხვია თუ არა, ბიჭს სულ სხვა სურათი გადაეშალა თვალწინ: დაახლოებით ნახევარი კილომეტრის დაშორებით მანიოკის ვრცლად გაშლილი მინდორი დაინახა, მინდვრის ბოლოს კი – რამდენიმე შავკანიანი, რომლებიც, ეტყობოდა, მუშაობით იყვნენ გართული.

– ზანგები! – შესძახა ნელისკენ მიბრუნებულმა.

და გული გამალებით აუჩქროლდა. ერთ წამს შეყოყმანდა, უკან ხომ არ მივბრუნდეთ და ისევ აკაციებში ხომ არ დავიმალოთო, მაგრამ ანაზდად გაიფიქრა, დასახლებულ ადგილებში ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევს ხალხთან შეხვედრა და ურთიერთობის გაბმა და, იმისდა მიხედვით, თუ როგორი ურთიერთობა გაიბმებოდა, შესაძლოა, მთელი ამ მგზავრობის ბედიც ამას გადაეწყვიტა და მცირე ფიქრის შემდეგ სპილო მინდვრისაკენ წაიყვანა.

სწორედ ამ დროს მას კალი მიუახლოვდა და ხეებისაკენ ხელგაშვერილმა უთხრა:

– დიდო ბატონო, აი, ზანგების სოფელი, აგერ კიდევ ქალები მუშაობენ მანიოკის მინდორში. მივიდე მათთან?

– ყველანი ერთად მივალთ, – მიუგო სტაშმა, – და შენ უმალვე ეტყვი, რომ მეგობრებად მივედით.

– ვიცი, ბატონო, რაც უნდა ვუთხრა. – შესძახა თავის თავში ღრმად დარწმუნებულმა ახალგაზრდა ზანგმა.

და მომუშავეებისკენ ცხენმიბრუნებულმა ხელისგულები ტუჩებთან მიიდო და აყვირდა:

– იამბო, ჰე! იამბო სანა!

მანიოკის ამოთხრით გართული ქალები ამ ხმის გაგონებისთანავე ფეხზე წამოხტნენ და გაქვავდნენ, მაგრამ ასე მხოლოდ ერთ წამს გასტანა, მერე უმალვე იქვე მიყარეს თოხ-ხოკერები და წივილ-კივილით გაიქცნენ იმ ხეებისაკენ, სადაც სოფელი ჩამალულიყო.

პატარა მოგზაურები სოფელს დინჯად და მშვიდად უახლოვდებოდნენ. უღრანიდან ასეულობით ხმა გაისმა და ამის შემდგომ სიჩუმე ჩამოვარდა. ამას მოჰყვა დოლის ყურისწამღები ბაგა-ბუგი, რომელიც მერე ერთი წამითაც არ შეწყვეტილა.

ეტყობა, ეს საომარი ნიშანი იყო, რადგან ტყის სიღრმიდან დაახლოებით სამასმა მეომარმა ამოყო თავი. სოფლის წინ გრძელ მწკრივად გაიშალნენ. სტაშმა კინგი მათგან ასიოდ ნაბიჯზე შეაჩერა და დამხვდურები დაკვირვებით მოათვალიერა. მზე ანათებდა მათ ლამაზ, განიერ გულმკერდსა და ძლიერ მხარ-ბეჭს. მშვილდ-ისრებითა და შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი. თეძოებზე მანანის, ზოგს მაიმუნის ტყავის მოკლე ქვედატანები შემოეხვიათ. თავები შეემოსათ სირაქლემას, თუთიყუშების ფრთებით ანდა ორანგუტანების თავისქალაზე ვეებერთელა პარიკებით. საომრად განწყობილები მრისხანედ იყურებოდნენ, მაგრამ მდუმარენი გაუნძრევლად იდგნენ, რამეთუ მათ განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა და საომარი განწყობილებაც ამიტომ ნელა-ნელა ჩაუქრათ. ყველა მათგანს თვალი მიეპყრო კინგის, თეთრი ტახტრევნისა და სპილოს კისერზე მჯდარი თეთრკანიანისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ სპილო მათთვის უცნობი ცხოველი არ ყოფილა. პირიქით! ცხოვრება განუწყვეტლივ სპილოსთან ბრძოლაში გადიოდა, რადგან მათი ჯოგები ღამღამობით მანიოკის მინდვრებს, ბანანის პლანტაციებსა და პალმებს უნადგურებდნენ. შუბები და ისრები სპილოს კანს ვერას აკლებდა, საბრალო ზანგები ამ მავნებლებს ცეცხლითა და მამლისებური ყივილით ებრძოდნენ ანდა ორმოებს თხრიდნენ და ხის ქერქის ხაფანგებს უგებდნენ. მაგრამ სპილო რომ ადამიანის ტყვე გამხდარიყო და მისთვის კისერზე შეჯდომის ნება მიეცა, ასეთი რამ ჯერ არც ერთს არ ენახა და არც ამის დაჯერება სურდა რომელიმეს. ამიტომაც ყოველ მათგანს სახეზე გაურკვეველი გამომეტყველება აღბეჭდოდა და აღარ იცოდნენ, რა ექნათ: ებრძოლათ თუ კისრისტეხით გაქცეულიყვნენ.

ჰოდა, გაუბედავად, მღელვარედ და ფიქრიანად გადაულაპარაკეს ერთმანეთს:

– ო დედაო! ეს რა ქმნილებანი მოდიან ჩვენკენ და რას უნდა მოველოდეთ მათგან?

ამასობაში კალი მათ შუბის სასროლ მანძილზე მიუახლოვდა, უზანგებზე აიწია და ხმამაღლა დაიწყო:

– ხალხო, ხალხო! ისმინეთ ბასა-ნაროკის სანაპიროზე მცხოვრები ვა-ჰიმას უძლიერესი მეფის, ფუმბუს შვილის კალის ხმა, ისმინეთ, ო, ისმინეთ! და, თუ გაიგოთ მის ლაპარაკი, ყოველი სიტყვა კარგად დაიმახსოვრეთ!

– გავიგეთ! – შესძახა სამასმა პირმა პასუხად.

– წინ გამოვიდეს თქვენი მეფე, დაე, თქვას თავისი სახელი და ფართოდ გახსნას ყურები და ბაგეები, უფრო კარგად რომ გაიგონოს!

– მ?რუა! მ?რუა! – ისევ გაისმა უამრავი ხმა.

მ?რუა მწკრივს გამოეყო და წინ წადგა, მაგრამ არა უმეტეს სამი ნაბიჯისა. უკვე მოხუცი ზანგი იყო, მაღალი და მკვრივად ნაგები, მაგრამ ეტყობოდა, დიდი სიმამაცით ვერ დაიკვეხნიდა, რადგან მუხლები ისე უთრთოდა, მიწაში ჩარჭობილ შუბს რომ არ დაყრდნობოდა, წაიქცეოდა.

მისი წაბაძვით დანარჩენმა მეომრებმაც შუბები მიწაში ჩაარჭვეს ნიშნად იმისა, რომ მოსულის სიტყვების ყურადღებით მოსმენა სურდათ.

კალიმ ისევ ხმამაღლა დაიწყო:

– მ?რუა და თქვენ, მ?რუას ხალხო! ხომ გესმით, რომ თქვენ მოგმართავთ შვილი ვა-ჰიმას მეფისა, ვისი უთვალავი ძროხებიც ისე შესევია ბასა-ნაროკის მახლობელ გორაკებს, როგორც მკვდარ ჟირაფს დაესევიან ჭიანჭველები. მაინც რას გეუბნებათ კალი, ვა-ჰიმას მეფის ვაჟი? რას და გამცნობთ უდიდეს ახალ ამბავს, რომ თქვენს სოფელში მობრძანდება კეთილი მზიმუ!

რის შემდეგაც კიდევ უფრო ხმამაღლა შესძახა:

– დიახ, ასეა! კეთილი მზიმუ! ოოო!

ჩამოწოლილი სიჩუმის მიხედვით შეიძლებოდა მიხვედრა, რა საოცრად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კალის სიტყვებმა. მეომართა მწკრივი ტალღასავით დაირწა, რამეთუ გულისხმაში ჩავარდნილმა მეომართა ერთმა ნაწილმა რამდენიმე ნაბიჯი წინ გადმოდგა, მეორემ კი შიშისაგან უკანდახევა ამჯობინა. მ?რუა კი შუბს ორივე ხელით დაეყრდნო და ერთხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. მხოლოდ მოგვიანებით გადაურბინა მწკრივებს ჩურჩულმა და რამდენიმე ხმამ გაიმეორა: “მზიმუ!”, “მზიმუ!” მერე კი აქეთ-იქიდან შესძახეს: “იანჩიგ, იანჩიგ”, რითაც თავისი პატივისცემა და მისალმება გამოხატეს.

მაგრამ ამ ჩურჩულსა და შეძახილებს ისევ კალის ხმამ გადაუარა:

– უყურეთ და გიხაროდეთ! აგერ, კეთილი მზიმუ ზის ამ თეთრ ქოხში ამ უშველებელი სპილოს ზურგზე, ეს უშველებელი სპილო კი მას ემორჩილება, როგორც მონა, როგორც ბავშვი – დედას. ო! არც თქვენს მამებს და არც თქვენ მსგავსი რამ არ გინახავთ...

– არ გვინახავს! იანჩიგ! იანჩიგ!..

და ყველა მეომარს მზერა იმ "ქოხისაკენ", ანუ ტახტრევნისაკენ გაექცა.

კალის კი, რომელიც ლინდეს მთაზე მოსმენილი რელიგიური ლექციებით მიხვდა, რომ რწმენა მთებს ანგრევს, ღრმად სწამდა, რომ თეთრ ბიბის ლოცვით შეეძლო ღვთისთვის ყველაფერი გამოეთხოვა. ამიტომაც გულღიად განაგრძობდა კეთილ მზიმუზე ლაპარაკს:

– მომისმინეთ! მომისმინეთ! კეთილი მზიმუ სპილოთი მიდის იმ მხარეში, სადაც მთებს იქით ყოველდღე წყლიდან მზე ამოდის; იქ კეთილი მზიმუ დიდ სულს ეტყვის, რომ გამოგიგზავნოთ ღრუბლები. ის ღრუბლები კი გვალვიანობისას წვიმით მორწყავს თქვენს ფეტვს, თქვენს მანიოკს, თქვენს ბანანსა და ჯუნგლებში ბალახს, რათა ბევრი გქონდეთ საჭმელი და კარგი საძოვარი ჰქონდეს თქვენს ძროხებს, რომლებიც სქელ და ცხიმიან რძეს მოგცემენ. ო, ხალხო, გინდათ ბევრი საჭმელი და ბევრი რძე?

– ჰე! გვინდა, გვინდა!

– ... და კეთილი მზიმუ ეტყვის დიდ სულს, რომ გამოგიგზავნოთ ქარი, რომელიც განდევნის თქვენი სოფლიდან იმ ავადმყოფობას, რომელიც სხეულს ფიტავს. ო, ხალხო, გინდათ რომ განდევნოს?

– ჰე! დაე, განდევნოს!

– ... და დიდი სული კეთილი მზიმუს თხოვნით დაგიცავთ თქვენ თავდასხმისა და ტყვეობისაგან და თქვენს მინდვრებსაც დაიცავს... და დაგიცავთ ომებისაგანაც, პანტერებისაგანც, გველებისაგანაც, კალიებისაგანაც...

– დაე, ეგრე იყოს...

– ჰოდა, კიდევ მომისმინეთ და შეხედეთ, ვინ ზის იმ ქოხის წინ, საშინელი სპილოს ყურებშუა. აი, ეს არის ბვანა კუბვა – თეთრი ბატონი – დიდი და ძლიერი, რომლისაც სპილოსაც კი ეშინია...

– ჰე!

– ... რომელსაც ხელში უჭირავს ელვა და იმით ბოროტ ხალხს ხოცავს...

– ჰე!

– ... რომელიც მუსრავს ლომებს...

– ჰე!

– ... რომელიც ცეცხლოვან გველებს უშვებს...

– ჰე!

– ... რომელიც კლდეებს ამსხვრევს...

– ჰე!

– ... რომელიც თქვენ არაფერს დაგიშავებთ, თუ პატივს მიაგებთ კეთილ მზიმუს!

– იანჩიგ! იანჩიგ!

– თუკი მიართმევთ ბანანის ფქვილს, ქათმის კვერცხს, ახალ რძესა და თაფლს.

– იანჩიგ! იანჩიგ!

– აბა, მოუახლოვდით და თაყვანი ეცით კეთილ მზიმუს.

მ?რუა და მისი ქვეშევრდომნი შეინძრნენ და წამითაც არ შეუწყვეტიათ "იანჩიგის" ძახილი, ისე წაიწიეს წინ რამდენიმე ნაბიჯით, მაგრამ ძალიან ფრთხილობდნენ, რადგან ცრურწმენითი შიში მზიმუსადმი და საერთოდ სპილოსადმი შიში ფეხს უბორკავდათ. მერე კიდევ ლომამაც დააფრთხო, რადგან თავდაპირველად იგი ვობოდ მიიჩნიეს, ანუ ლეოპარდად, რომელიც იმ მხარესა და სამხრეთ აბისინიაში ბინადრობს და რომლისაც ადგილობრივ მცხოვრებთ ლომზე მეტადაც კი ეშინიათ, რადგან იგი ყველა სხვა ხორცს ადამიანისას ამჯობინებს და გაუგონარი სითავხედით ესხმის თავს თვით შეიარაღებულ კაცებსაც კი. მხოლოდ მაშინ დამშვიდდნენ, როცა შენიშნეს, რომ პატარა მუცელგასიებულ ზანგის ბიჭს თოკით ეჭირა ეს საშინელი ვობო. მაგრამ ახლა კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდილება შეექმნათ, როგორც კეთილი მზიმუს, ასევე თეთრი ბატონისადმი და ხან სპილოს გადახედავდნენ, ხანაც ლომას და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ: "თუკი ვობოც კი მოაჯადოვეს, ამათი მომრევი ქვეყნად ვინღა იქნება?" მაგრამ ყველაზე საზეიმო წუთი დადგა მხოლოდ მაშინ, როცა ნელისკენ მიბრუნებულმა სტაშმა თავი მდაბლად დახარა, მერე ფარდებივით განზე გაწი-გამოწია კარვის კალთები და შეკრებილთა თვალწინ გამოჩნდა კეთილი მზიმუ. მ?რუა და ყველა მეომარი დაბლა დაემხნენ, ასე რომ, მათმა სხეულმა თითქოსდა გრძელი ცოცხალი ხიდი წარმოქმნა. გატოკებაც ვერავის გაებედა, მაგრამ მათი შეშფოთება მაშინ უნდა გენახათ, როცა კინგმა, სტაშის ბრძანებით თუ საკუთარი სურვილით, ხორთუმი ზეასწია და ერთი მაგრად დაიბღავლა, მერე მის მაგალითს ლომამ მიბაძა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა

დაჰყეფა და დაჰყეფა. ამის გაგონებაზე ყველას გულიდან მავედრებელ კვნესასავით ამოსკდა: “აკა! აკა! აკა!” – და ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ისევ კალიმ არ განაგრძო:

– ო, მ?რუა და თქვენც, მ?რუას შვილებო! ხომ მიაგეთ პატივი კეთილ მზიმუს, ჰოდა, ადექით ახლა, შეხედეთ და დაატკბეთ თქვენი თვალები, რამეთუ, ვინც ასე იზამს, მასზე გადავა დიდი სულის ლოცვა-კურთხევა. განაგდეთ შიში თქვენი გულიდან და თქვენი მუცლიდან; დაიმახსოვრეთ, რომ იქ, სადაც კეთილი მზიმუ ფეხს დადგამს, ადამიანის სისხლი არ უნდა დაიღვაროს.

ამ სიტყვებზე, უფრო კი იმის გამოცხადების შემდეგ, რომ კეთილი მზიმუს თანდასწრებით სისხლი არ უნდა დაღვრილიყო, მ?რუა ფეხზე წამოდგა, მას სხვა მეომრებმაც მიბაძეს და გაუბედავად, მაგრამ ხარბად შეაცქერდნენ კეთილისმყოფელ ღვთაებას. კალის რომ კიდევ გაემეორებინა, რომ არც მათ და არც მათ მამებს არ ენახათ მსგავსი რამ, უყოყმანოდ დაეთანხმებოდნენ. მათი მზერა შეჩვეული იყო ხის და ქოქოსის კაკლისაგან გამოჩორკნილი მახინჯი ღვთაებების ყურებას, ახლა კი მათ წინ, სპილოს ზურგზე იჯდა ქერათმიანი პატარა ღმერთი, მოწყალე, ტკბილი და მომღიმარე, თეთრი ფრინველისა თუ თეთრი ყვავილის მსგავსი. ჰოდა, შიშმა გაუარათ; თავისუფლად ამოისუნთქეს, მათი უხეში ბაგეები ღიმილმა გახსნა, ხელები კი, უნებლიეთ, ზღაპრული არსებისაკენ აღმართეს.

– ო, იანჩიგ! იანჩიგ! იანჩიგ!

მაგრამ სტაშმა, რომელიც ყველაფერს გულმოდგინედ აკვირდებოდა, შენიშნა, რომ ერთი ზანგი, რომელსაც ვირთხის ტყავის წოწოლიკა ქუდი ეხურა, კალის ბოლოს სიტყვების გაგონებისთანავე სხვებს გამოეყო და ბალახებში გველივით გასრიალებული გაემართა შემოღობილის გადაღმა, განმარტოებით მდგარი ქოხისაკენ, რომელსაც საკუთარი მაღალი, ხვიარებით დაქსელილი მესერი ერტყა.

ამასობაში კეთილმა მზიმუმ, ღვთაების როლის თამაშით ერთობ შემცბარმა, სტაშის დავალებით თავისი პაწია ხელი წინ გაიშვირა და ზანგებს მიესალმა. შავკანიანი მეომრები სიხარულით შესცქეროდნენ მისი პაწია ხელის მოძრაობას და ღრმად სწამდათ, რომ მას უდიდესი “ძალა” ჰქონდა და ეს ძალა დაიცავდათ და უამრავი განსაცდელისგან დაიფარავდათ. ზოგიერთები მკერდსა და ბარძაყებზე იცემდნენ ხელებს და ამბობდნენ: “ო, დედაო! ამიერიდან კარგად ვიქნებით ჩვენც და ჩვენი ძროხებიც”. უკვე საკმაოდ გათამამებული მ?რუა სპილოს მიუახლოვდა, კეთილ მზიმუს ისევ სცა თაყვანი, მერე სტაშს დაუკრა თავი და ასე მიმართა:

– დიდი ბატონი, რომელსაც სპილოთი მოჰყავს თეთრი ღვთაება, მოინდომებს თუ არა შეჭამოს მ?რუას ნაჭერი და დასთანხმდება თუ არა, რომ მ?რუამ შეჭამოს მისი ნაჭერი, რომ დავძმობილდეთ და ჩვენ შორის არ იყოს ტყუილი და ღალატი?

კალიმ უმალვე თარგმნა ეს სიტყვები, მაგრამ სტაშის სახეზე შენიშნა თუ არა, რომ მ?რუას ნაჭრის შეჭმის ოდნავი სურვილიც არ ჰქონდა, ბებერ ზანგს მიუბრუნდა და უთხრა:

– ო, მ?რუა! ნუთუ მართლა გგონია, რომ თეთრი ბატონი, თანაც ისე ძლიერი, რომლისაც სპილოსაც კი ეშინია, რომელსაც ხელში ელვა უპყრია, რომელიც ლომს კლავს, რომელიც ცეცხლოვან გველებს უშვებს და კლდეებს ამსხვრევს, მოინდომებს სისხლისმიერი ძმა გახდეს ნებისმიერი მეფისა? დაფიქრდი, ო, მ?რუა, დიდი სული ხომ არ დაგსჯის თავხედობისთვის და ამიტომაც გეტყვი, ეგებ შენთვის ისიც დიდი პატივი იყოს, თუ შეჭამ ვა-ჰიმას ბელადის, ფუმბას ვაჟიშვილის, კალის, ნაჭერს და თუ კალი, შვილი ფუმბასი, შეჭამს შენს ნაჭერს?

– შენ ტყვე არა ხარ? – ჰკითხა მ?რუამ.

– დიდ ბატონს კალი არ მოუტაცებია, არც უყიდია, მას მხოლოდ სიცოცხლე შეუნარჩუნა, ამიტომაც კალის კეთილი მზიმუ და ბატონი ვა-ჰიმას მხარეში მიჰყავს, რათა ვა-ჰიმელებმა და თავად ფუმბამ მას პატივი მიაგონ და დიდი საჩუქარიც მიართვან.

– დაე, ისე იყოს, როგორც ამბობ და დაე, მ?რუამ შეჭამოს კალის ნაჭერი, კალიმ კი – მ?რუასი.

– დაე, ასე იყოს! – გაიმეორეს მეომრებმა.

– სად არის ჯადოქარი? – იკითხა მეფემ.

– სადაა ჯადოქარი? სადაა ჯადოქარი? სადაა კამბა? – გაისმა უამრავი ხმა.

ამ დროს მოხდა ისეთი რამ, რასაც შეეძლო სრულიად შეეცვალა საქმე, აემღვრია მეგობრული განწყობილება და ზანგები სტუმართა მტრებად ექცია. ჰოდა, განაპირას მდგარი და საკუთარი მესრით შემოღობილ ქოხში ანაზდად ჯოჯოხეთური ხმაური ატყდა. ეს იყო თითქოსდა ლომის ღრიალი, თითქოსდა ქუხილი, თითოსდა დოლების ბაგაბუგი, თითქოსდა აფთრის სიცილი, მგლის ყმუილი და თითქოსდა ჩაჟანგებული რკინის ანჯამების გულისგამაწვრილებელი ჭრიალი. ამ საშინელი ხმების გაგონებაზე კინგმა ბღავილი მორთო, ლომამ – ყეფა, ვირმა კი – რომელზეც ნასიბუ იჯდა – ყროყინი. მეომრები დამდუღრულებივით წამოცვივდნენ და შუბები მიწიდან ამოაძვრეს. ატყდა ერთი დავიდარაბა. სტაშის ყურს მისწვდა მღელვარე ხმები: “ჩვენი მზიმუ! ჩვენი მზიმუ!”

პატივისცემა და კეთილგანწყობა, რაც სტუმრების მიმართ გამოიჩინეს, ერთ წამში გაქრა. ველურებს თვალებში უმალვე ეჭვიანი და მტრული გამომეტყველება აღებეჭდათ. მრისხანე ჩურჩულმა გადაუარა ბრბოს, განმარტობით მდგარ ქოხში კი საშინელი ხმაური თანდათან მატულობდა.

კალი შეკრთა და სტაშისკენ გავარდნილმა მღელვარებისგან ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა:

– ბატონო, ჯადოქარმა გააღვიძა ბოროტი მზიმუ, რომელსაც ეშინია, რომ შესაწირავს დაკარგავს და მრისხანებისგან ბღავის. დაამშვიდეთ, ბატონო ჯადოქარი და ბოროტი მზიმუ დიდი შესაწირავით, თორემ ეს ხალხი, იცოდე ახლავე ჩვენს წინააღმდეგ წამოვა.

– დავამშვიდო? – ჰკითხა სტაშმა.

და ანაზდად მრისხანებამ შეიპყრო ჯადოქრის ცბიერებისა და სიხარბის გამო, ხოლო მოულოდნელმა საფრთხემ სულით ხორცამდე შეძრა. შავგვრემანი სახე ზუსტად ისევე შეეცვალა, როცა გებჰრისა და ორი ბედუინის დახოცვისას. თვალები ბოროტად დააკვესა, ტუჩები მოკუმა, ხელები დამუშტა, ღაწვებზე კი მკვდრისფერი დაედო.

– ოჰ, დავამშვიდებ მე მაგათ! – თქვა.

და სპილო ქოხისკენ დაძრა დაუფიქრებლად.

კალის შეეშინდა ზანგებს შორის მარტო დარჩენისა და უკან გამოუდგა. ველურ მეომრებს მკერდიდან აღმოხდა ყვირილი, ოღონდ არავინ უწყის, რას ნიშნავდა ეს: შიშსა თუ მძვინვარებას, მაგრამ, სანამ გონს მოსვლას მოასწრებდნენ, სპილომ დაფშვნა და დალეწა ჯერ მესერი, მერე ქოხის თიხის კედლები დაანგრია და მტვრიან ჰაერში გაფანტა სახურავი, ხოლო წუთის შემდეგ მ?რუამ და მისმა ხალხმა თვალი მოჰკრა ზეაწეულ ხორთუმს, ხორთუმის ბოლოში კი – ჯადოქარ კამბას.

სტაშმა ამასობაში იატაკზე დაინახა ფუტურო ხისგან გაკეთებული და მაიმუნის ტყავგადაკრული ვეებერთელა დოლი, კალის უბრძანა მისთვის მიეწოდებინა და საგონებელში ჩავარდნილი მეომრებისკენ შებრუნდა.

– ხალხო, – თქვა ხმამაღლა, – მზიმუ კი არ ბღაოდა, თქვენი თახსირი ჯადოქარი ურახუნებდა დოლზე, რათა, რაც შეიძლება მეტი საჩუქრები წაეღლიტა თქვენთვის, თქვენ კი ბავშვებივით გეშინიათ.

ეს რომ თქვა, დოლზე გადაკრულ, გაფშიკინებულ ტყავზე შემოხვეული თოკი დაჭიმა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაატრიალა. ზუსტად იგივე ხმები, რომლებმაც წეღან

ზანგები დააფრთხო, ახლაც გაისმა, ოღონდ კიდევ უფრო მაგრად, რადგან ახლა ხმას უკვე კედლები აღარ ახშობდა.

– ო, რა სულელები არიან მ?რუა და მისი შვილები! – შეჰყვირა კალიმ.

სტაშმა დოლი მიაწოდა და კალიმ ზედ ისე მონდომებით დასცხო და დასცხო, რომ ერთ სიტყვასაც ვეღარ გაიგონებდით. გული რომ მოიოხა, დოლი მ?რუას დაუგდო ფეხებთან.

– აი, ეს არის თქვენი მზიმუ! – შესძახა სიცილ-ხარხარით.

ამის შემდეგ, ზანგებისთვის დამახასიათებელი მრავალსიტყვაობით, თან დაცინვით, მიმართა მეომრებსა და თავად მ?რუას. მიუკიბ-მოუკიბავად ამცნო, რომ კამბა, ეს "ვირთხისქუდიანი თახსირი", ატყუებდა და ღლეტდა მათ წვიმის და გვალვის გამო, ისინი კი ლობიოს, ციკნებსა და თაფლს მიართმევდნენ ძღვნად. ნუთუ კიდევ მოიძებნება ამქვეყნად ამაზე უფრო ჩერჩეტი მეფე და ჩერჩეტი ხალხი? ხომ გწამდათ ბებერი გაიძვერას ძალისა და ჯადოქრობისა, მოდით ახლა და დატკბით მისი ცქერით, როგორ ჩამოჰკიდებია სპილოს ხორთუმზე და თეთრი ბატონის გულის მოსალბობად როგორ გაჰკივის "აკა!". რა იქნა მისი ძალა? რა იქნა მისი ჯადოქრობა? რატომ არ გამოექომაგება და არ დაიღრიალებს თუნდაც ერთი ბოროტი მზიმუ? ოჰ! ნეტა რას წარმოადგენს მათი მზიმუ? მაიმუნის ტყავის ნაკუწს და ფუტურო ხის ნაჭერს, რომელსაც ახლავე გასრესს სპილო! ვა-ჰიმაში არც ქალებს და არც ბავშვებს არ შეეშინდებოდათ ასეთი მზიმუსი, აქ კი მეფესა და მის ხალხს შიშისაგან სული სძვრებათ. ერთადერთი ჭეშმარიტი მზიმუა და ერთადერთი დიდი და ძლიერი ბატონი ამქვეყნად – ჰოდა, მას უნდა სცენ თაყვანი და მას მიართვან ყველაზე დიდი ძღვენი, თორემ ისეთი მარცხი მოუვათ, როგორიც აქამდე არ დასიზმრებიათ.

ზანგებს ამის თქმა აღარ ესაჭიროებოდათ, რადგან ისიც კი, რომ ჯადოქარი და მისი ბოროტი მზიმუ ახალ, თეთრ ღვთაებასა და თეთრ ბატონთან შედარებით საოცრად სუსტები აღმოჩნდნენ, სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რათა იგი სირცხვილისა და ზიზღის ღირსი გამხდარიყო. ისევ დაიწყეს თავიანთი "იანჩიგობა", შეიძლება ითქვას, მომეტებულის მორჩილებითა და გულმოდგინებითაც კი, მაგრამ, რამდენადაც საკუთარ თავსაც უბრაზდებოდნენ, რომ ამდენი წელი კამბას თავს ატყუებინებდნენ, ახლა მისი მოკვლის სურვილი გაუჩნდათ. თავად მ?რუამ სთხოვა სტაშს, კამბას გათოკვის ნება მიეცა, რათა მანამდე გადაემალათ, სანამ მას უსაშინლეს სიკვდილს არ გადაუწყვეტდნენ. მაგრამ ნელიმ გადაწყვიტა, მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, და, რამდენადაც ზანგებს ამის წინ კალიმ ამცნო, სადაც კეთილი მზიმუა, იქ ადამიანის სისხლის დაღვრა შეუძლებელიაო, სტაშმა ხალხს უბედური ჯადოქრის მხოლოდ სოფლიდან გაძევების ნება დართო.

კამბა, რომელიც უსაშინლესი წამებით სიკვდილს მოელოდა, კეთილი მზიმუს წინაშე დაემხო და სიცოცხლის ჩუქებისთვის თხლიპინთხლიპინით უთხრა მადლობა. ამის შემდეგ ზეიმი აღარაფერს დაუჩრდილავს. ღობის იქიდან გამოცვივდნენ ქალები და ბავშვები, რადგან უჩვეულო სტუმრების მოსვლის ამბავი უმალვე მთელ სოფელს მოედო და თეთრი მზიმუს დანახვის სურვილმა შიშს სძლია. სტაში და ნელი პირველად მოხვდნენ ჭეშმარიტ ველურებს შორის, რომლებამდეც თავად არაბებსაც კი ვერ მოეღწიათ. ამ ზანგების მთელ სამოსს წარმოადგენდა თეძოზე შემოხვეული მანანის ან ტყავის ნაჭერი; ყველანი მოსვირინგებული იყვნენ: ქალებს, ისევე როგორც მამაკაცებს, ყურები დაეხვრიტათ და იმ ხვრელებში იმხელა ხის თუ ძვლის ნაჭრები გაეჩხირათ, რომ დაჭიმული ყურის ბიბილოები მხრებამდე სწვდებოდათ. ქვედა ტუჩზე უშველებელი, ლამბაქის ფსკერისხელა ძვლის ან ხის რგოლები ეკიდა. გამოჩენილ მეომრებსა და მათ ცოლებს კისერზე რკინის ან სპილენძის მავთულისაგან დაწნული ისე მაღალი საყელოები ეკეთათ, ძლივძლივობით ახერხებდნენ თავის აქეთ-იქით მიბრუნებას.

ჩანდა, ეს ტომი ეკუთვნოდა შილუკუს, რომელიც შორს, აღმოსავლეთისაკენ, იყო გადაჭიმული, რადგან მათი ლაპარაკი კალის და მეას შესანიშნავად ესმოდა, სტაშს კი – სანახევროდ. თუმცა ისეთი გრძელი ფეხები არ ჰქონდათ, როგორც ნილოსისპირელ ზოგიერთ მათ თანამოძმეს, სამაგიეროდ უფრო მხარბეჭიანები და მაღლები იყვნენ და ნაკლებად ჰგვანდნენ ფარფატით მოსიარულე ჩიტებს. ბავშვები რწყილებს ჰგავდნენ, ჯერ კიდევ არ ეკიდათ რგოლები და უფროსებზე ბევრად ლამაზები ჩანდნენ.

კეთილი მზიმუს ცქერით გამძღარ ქალებს, მეომრების წაბაძვით, მოჰქონდათ და მოჰქონდათ საჩუქრები: ციკნები, ქათმები, კვერცხები, შავი ლობიო და ფეტვის ლუდი. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ სტაშმა არ შეაჩერა ანუ, სანამ უხვად არ გადაუხადა მძივებითა და ფერად-ფერადი ჩითით, ნელიმ კი ლინდესგან მიღებული სარკეები აჩუქა ბავშვებს, რის გამოც მალე მთელი სოფელი ენითუთქმელმა სიხარულმა მოიცვა და პატარა მოგზაურების კარავთან წამდაუწუმ გაისმოდა მხიარული და აღფრთოვანებული შეძახილები. მერე სტუმრების პატივსაცემად მეომრებმა საბრძოლო ცეკვა წამოიწყეს, რის შემდეგაც კალისა და მ?რუას სისხლით დაძმობილების სცენა გათამაშდა.

რამდენადაც იქ აღარ იყო კამბა, რომელიც ამ ამბის ჩატარებას აუცილებლად სჭირდებოდა, ის შეცვალა შელოცვის მცოდნე ბებერმა ზანგმა. მან ციკანი დაკლა, ღვიძლი ამოაცალა და რამდენიმე დიდ-დიდ ნაჭრად დაჭრა, რის შემდეგაც ხელით და ფეხით თითისტარი დაატრიალა და ხან კალისაკენ, ხან მ?რუასაკენ მომზირალმა საზეიმო ხმით დაიწყო:

– კალი, ფუმბას შვილო, გინდა შეჭამო მ?რუას, მ?კულის შვილის, ნაჭერი, და შენ მ?რუა, მ?კულის შვილო, გინდა შეჭამო კალის, ფუმბას შვილის, ნაჭერი?

– გვინდა, – შესძახეს მომავალმა ძმებმა.

– გინდათ, რომ კალის გული გახდეს მ?რუას გული, ხოლო მ?რუას გული – კალის გული?

– გვინდა.

– ხელებიც, შუბებიც, ძროხებიც?

– ძროხებიც.

– და ყველაფერი, რაც აქვთ და რაც ექნებათ?

– რაც გვაქვს და რაც გვექნება!

– და არ იქნება თქვენ შორის არც სიცრუე, არც ღალატი, არც ზიზღი?

– არც ზიზღი.

– და ერთმანეთს არასოდეს არაფერს მოჰპარავთ?

– არასოდეს.

– და ძმები იქნებით?

– დიახ.

თითისტარი სულ უფრო სწრაფად ტრიალებდა. შემოკრებილი მეომრები თვალმოუშორებლად უყურებდნენ მის ტრიალს.

– აო! – შესძახა ბებერმა ზანგმა. – თუ რომელიმე თქვენგანმა მეორე მოატყუა, თუ უღალატა, თუ გაქურდა, თუ მოწამლა, თუ მოკლა – დაწყევლილ იყოს.

– დაწყევლილ იყოს! – გაიმეორა ყველა მეომარმა.

– და, თუ მატყუარაა და ღალატს დააპირებს, დაე, ვერ გადაყლაპოს თავისი ძმის სისხლი და დაე, ჩვენ თვალწინ გადმოაგდოს.

– ოჰ, ჩვენ თვალწინ!

– დაე, მოკვდეს!

– დაე, მოკვდეს!

– დაე, დაფლითოს ვობომ!

– ვობომ!

– ანდა ლომმა!

– ანდა ლომმა!

– დაე, გასრისოს სპილომ, მარტორქამ და კამეჩმა!

– ო! და კამეჩმა, – გაიმეორა ქორომ.

– დაე, დაგესლოს გველმა.

– გველმა.

– დაე, გაუშავდეს ენა!

– გაუშავდეს!

– და კეფაზე აუვიდეს თვალები!

– კეფაზე!

– დაე, თავდაყირა დადგეს და ისე იაროს.

– ჰო! თავდაყირა დადგეს.

მხოლოდ სტაში კი არა, კალიც ტუჩებს იკვნეტდა, სიცილი რომ არ წასკდენოდა, ამასობაში კი შელოცვა სულ უფრო და უფრო მრისხანე ხდებოდა, თითისტარი კი ისე სწრაფად ბრუნავდა, თვალი ვეღარ ასწრებდა მის ბრუნვას. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ბებერ ზანგს ძალა არ გამოელია და სუნთქვა არ შეუჩერდა.

იმავე წამს მიწაზე დაჯდა და ერთხანს თავი მდუმარედ აქნია აქეთ-იქით. მერე ადგა, დანა აიღო, კალის მხარზე კანი ააჭრა, ციკნის ღვიძლის სისხლი მოუსვა და ნაჭერი მ?რუას ჩაუდო პირში, მეორე ნაჭერი კი, რომელსაც მეფის სისხლი მოუსვა, კალის ჩაუდო პირში. ღვიძლი ორივემ ისე სწრაფად გადაყლაპა, ხორხი აუბუყბუყდათ, თვალები კი გადმოკარკლეს, რის შემდეგაც ერთმანეთს ხელები ჩაჰკიდეს მარადიული და ერთგული მეგობრობის ნიშნად.

მეომრებმა კი სიხარულისგან შესძახეს:

– ორივემ გადაყლაპა, არც ერთს არ გადმოუგდია, მაშასადამე, გულწრფელი არიან და ერთმანეთს არასოდეს უღალატებენ.

სტაში კი გულში ემადლიერებოდა კალის, ამ ცერემონიალში რომ შეენაცვლა, თორემ გრძნობდა, “მ?რუას ნაჭრის” შეჭმისას უეჭველად თავს შეირცხვენდა.

ამის შემდგომ პატარა მოგზაურებს, რასაკვირველია, ველურთა მხრიდან არანაირი ხრიკი ან თავდასხმა აღარ ელოდათ, პირიქით, ამიერიდან სტუმრებს ყველა უმაღლესი სიფაქიზითა და ღვთაებრივი პატივისცემით ეპყრობოდა. ეს პატივისცემა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც სტაშმა ლინდესგან მიღებულ ბარომეტრზე წნევის საგრძნობი დაცემის შემდეგ წვიმა იწინასწარმეტყველა და იმავე დღესვე თავსხმა წამოვიდა. ზანგები დარწმუნებული იყვნენ, რომ ის თავსხმა კეთილი მზიმუს საჩუქარი იყო და ნელისადმი მადლიერების გრძნობას საზღვარი აღარ ჰქონდა. სტაში ემასხრებოდა: თუ გინდა, გახდი ზანგების ღვთაება, მე კი მარტო გავაგრძელებ გზას, დაგტოვებ მ?რუას სოფელში, სადაც ზანგები სპილოს ეშვებისგან სამლოცველოს აგიგებენ და იქ მოგიტანენ ლობიოსა და ბანანსო.

მაგრამ ნელის ისე სჯეროდა მისი, რომ ფეხის წვერზე აწეულმა, თავისი ჩვეულებისამებრ, ყურში ორად ორი სიტყვა ჩასჩურჩულა: “არ დამტოვებ!” – რის შემდეგაც მხიარულად ახტუნავდა, თან ქაქანებდა, თუკი ზანგები ასე კეთილები არიან, ოკეანემდე სწრაფად და თავისუფლად ვივლითო. ეს ხდებოდა კარვის წინ, ხალხის თანდასწრებით და, როცა ბებერმა მ?რუამ მოხტუნავე მზიმუ დაინახა, თავადაც იმ წამსვე ახტუნავდა, თან რაც შეეძლო მაღლა-მაღლა ხტოდა თავისი დაგრეხილი ფეხებით და ღრმად სწამდა, რომ ამით თავის უდიდეს ღვთისმოსაობას ამტკიცებდა. მისი მიბაძვით ახტუნავდნენ მინისტრები, მერე მეომრები, მას უკან ქალები და ბავშვები, ერთი სიტყვით, მთელი სოფელი კარგა ხანს როკავდა, თითქოსდა ყველა ჭკუაზე შეიშალაო.

სტაში ისე გაამხიარულა მეფის საქციელმა, რომ სიცილისაგან ფეხზე ძლივს იდგა. მაგრამ ღამით მეფესა და მის ქვეშევრდომებს ერთგულებისა და სიმამაცის ნაღდი გაკვეთილი ჩაუტარა, როცა სპილოების ჯოგი თავს დაესხა ბანანის პლანტაციას, კინგზე ამხედრებული სტაში მათთან ერთად გამოუდგა და ჯოგს რამდენიმე რაკეტა ესროლა. არეულ-დარეულობამ, რაც “ცეცხლოვანმა გველებმა” გამოიწვია, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შიშისაგან გონებაარეულმა ვეებერთელა მხეცებმა მთელი ჯუნგლები გააყრუეს ბღავილითა და თქარათქურით, ხოლო ალალბედზე გაქცეულები ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ქელავდნენ. ძალ-ღონით სავსე კინგი გაქცეულ მეგობრებს საოცარი გულმოდგინებით მისდევდა და წამოწეულს ხორთუმითა და ეშვებით არ ზოგავდა. ასეთი ღამის შემდეგ დარწმუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ ძალიან დიდხანს ვერც ერთი სპილო ვეღარ გაბედავდა ბებერი მ?რუას სოფლის კუთვნილი ბანანის პლანტაციებსა და დუმის პალმებში გამოჩენას.

სოფელი უსაზღვრო სიხარულს მოეცვა, ზანგები მთელ ღამეს ცეკვავდნენ და ფეტვის ლუდსა და პალმის ღვინოს წრუპავდნენ. კალიმ მათგან უამრავი მნიშვნელოვანი რამერუმე შეიტყო: რომ ზოგ-ზოგიერთებს მართლა გაეგონათ აღმოსავლეთით მდებარე და მთებით შემოზღუდული დიდი წყლის შესახებ. სტაშისთვის ეს იყო იმის დასტური, რომ ტბა, რომელზეც გეოგრაფიაში არ უსწავლია, მართლა არსებობდა, მეორეც, მათი არჩეული გეზი სწორი იყო და როცა იქნებოდა, იპოვიდნენ ვა-ჰიმას ხალხს. იქიდან გამომდინარე, რომ კალისა და მეას ენა არაფრით განსხვავდებოდა მ?რუას ენისაგან, დაასკვნა, რომ "ვა-ჰიმა", ალბათ, ადგილობრივი ხალხის მიერ შერქმეული სახელი იყო და ანაროკის სანაპიროებზე მცხოვრები ხალხი მიეკუთვნებოდა დიდ ტომს შილუკებისა, რომელიც ნილოსიდან იწყება და გადაჭიმულია, ვინ იცის, რამდენად შორს აღმოსავლეთისაკენ.

კარი XXXIX

მთელმა ხალხმა დიდ მანძილზე გააცილა კეთილი მზიმუ, რომელსაც ცრემლმორეული გამოეთხოვნენ, თანაც დაჟინებით ევედრებოდნენ, ოდესმე კიდევ ენებებინა მ?რუას ნახვა და არ დაევიწყებინა მისი ხალხი. სტაში ერთხანს შეყოყმანდა, ხომ არ მიესწავლებინა ზანგებისათვის ის ხეობა, სადაც დამალა ლინდესგან დატოვებული ბარგი და მარაგი, რადგან მეტის წამოსაღებად მებარგულები არ ჰყავდა, მაგრამ, რომ დაფიქრდა, დაასკვნა: ასეთმა ქონებამ მათ შორის, შესაძლოა, შური და კინკლაობა გამოიწვიოს, გაუღვიძოთ სიხარბე და დაურღვიოთ მშვიდი ცხოვრებაო და ეს ჩანაფიქრი უკუაგდო, სამაგიეროდ ერთი დიდი კამეჩი მოკლა და გამოსათხოვარი ქეიფისათვის ხორცი დაუტოვა. ამდენი ხორცის დანახვამ ზანგები უჩვეულოდ გაახარა.

შემდგომ სამ დღეს ქარავანს უდაბურ მხარეში მოუწია მგზავრობა. დღისით ცხელოდა, მაგრამ მაღალი ადგილმდებარეობის გამო ღამ-ღამობით ისე ციოდა, სტაშმა მეას უბრძანა, ნელისთვის ორი საბანი დაეხურა. ახლა ხშირად უწევდათ მთის ხეობების გადალახვა, დროდადრო მწირი და კლდოვანი რომ იყო, დროდადრო კი ისე იყო მოდებული მცენარეულობა, გაღწევა უჭირდათ. იმ ხეობების კიდეებზე ხანდახან თვალს მოჰკრავდნენ უშველებელ მაიმუნებს, ხანაც ლომებსა თუ პანტერებს, რომლებიც კლდის მღვიმეებში ბინადრობდნენ. ერთი მათგანი სტაშმა კალის თხოვნით მოკლა, მერე მისი ტყავით რომ შემოსილიყო, რათა ზანგები უმალვე მიმხდარიყვნენ: სამეფო სისხლის მქონე პიროვნებასთან ჰქონდათ საქმე.

ხეობებს რომ გასცდნენ, თვალუწვდენელ ტაფობზე ისევ გამოჩნდა ზანგების სოფლები. ზოგი ერთმანეთის ახლოს მდებარეობდა, ზოგიც – ერთი ან ორი დღის სავალზე. ყოველი მათგანისათვის ლომებისაგან თავდასაცავად გარს შემოერტყათ ხვიარებით დაბურული მაღალი მესერი, ასე რომ, შორიდან ერთიანი ტყის შთაბეჭდილება იქმნებოდა. მხოლოდ შუაგულიდან მაღლა, ზეცისკენ წასული კვამლით თუ მიხვდებოდით, რომ იქ ხალხი ცხოვრობდა. ქარავანს ყველგან დაახლოებით ისე ხვდებოდნენ, როგორც მ?რუას სოფელში, ანუ ჯერ შიშითა და უნდობლობით, მერე – განცვიფრებით, აღფრთოვანებითა და პატივისცემით. მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ სპილოს, ლომას, ცხენებისა და თეთრკანიანების დანახვაზე მთელი სოფელი მახლობელ ტყეში გაიქცა და ხმის გამცემიც ვეღარავინ ნახეს. სამაგიეროდ მათთვის ერთი შუბიც კი არავის დაუმიზნებია. ზანგები, საერთოდ, საკმაოდ გაუბედავები და მშვიდები არიან. უფრო ხშირად კი ისე ხდებოდა, რომ კალი ჭამდა ადგილობრივი მეფის "ნაჭერს", ადგილობრივი მეფე კი – კალის "ნაჭერს", რის შემდგომაც მათ შორის მეგობრული განწყობილება მყარდებოდა, კეთილ მზიმუს კი პატივისცემისა და ღვთისმოშიშობის ნიშნად ყველგან ქათმებით, კვერცხებითა და თაფლით ასაჩუქრებდნენ. "დიდი ბატონი" კი, გამგებელი სპილოსი, ელვისა და ცეცხლოვანი გველების, უმეტესწილად ყველგან შიშს იწვევდა, რაც მალე მადლიერების გრძნობაში გადაიზრდებოდა ხოლმე, როგორც კი დარწმუნდებოდნენ, რომ მისი ხელგაშლილობა მისივე ძლიერების ტოლფასი იყო. იქ, სადაც სოფლები ერთმანეთთან ახლოს მდებარეობდა, უჩვეულო მოგზაურთა გამოჩენას ერთმანეთს დოლის ბაგაბუგით ატყობინებდნენ, რადგან ზანგებს დოლით ყველაფრის თქმა შეუძლიათ. ისეც ხდებოდა, რომ მთელი ხალხი გამოეფინებოდა შესახვედრად და მათ შორის უმალვე კეთილგანწყობილება მყარდებოდა.

ერთ სოფელში, სადაც ათასამდე სული სახლობდა, ადგილობრივმა მბრძანებელმა, რომელიც ერთდროულად ჯადოქარიც იყო და მეტიც, სურვილი გამოთქვა ეჩვენებინა მათთვის "უდიდესი ფეტიში", რომელსაც ებანოზის მსგავსად ენითუთქმელი პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობოდნენ და მცირე ნიშში მარტორქის ტყავგადაფარებულს ინახავდნენ, მასთან მიახლოებას ვერავინ ბედავდა და შესაწირავს ორმოცდაათი ნაბიჯის დაშორებით აწყობდნენ. მეფემ მათ უამბო, რომ ის ფეტიში არცთუ დიდი ხნის წინათ ჩამოვარდნილა მთვარიდან, რომ თეთრი იყო და თან კუდიც ჰქონდა. სტაშმა უთხრა, რომ ის მან გამოაგზავნა კეთილი მზიმუს ბრძანებით და არც ტყუოდა, რადგან "უდიდესი ფეტიში" სხვა არა იყო რა, თუ არა ლინდეს მთიდან გამოშვებული ფრანი. სტაშისა და ნელის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან შესაფერისი ქარის პირობებში სხვები, ალბათ, უფრო შორს გააღწევდნენ და გადაწყვიტეს, მაღალი ადგილებიდან ფრანები ისევ გაეშვათ. სტაშმა იმავე საღამოს გააკეთა ერთი და გაუშვა, რითაც ზანგები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ კეთილი

მზიმუც და თეთრი ბატონიც მიწაზე მთვარიდან ჩამოფრინდნენ, როგორც ღმერთები, და მათი მორჩილება და სამსახური მართებდათ.

მაგრამ პატივისცემასა და მოკრძალებაზე მეტად სტაში გაახარა ცნობამ, რომ ბასა-ნაროკი აქედან სულ ათიოდე დღის სავალზე მდებარეობდა და მცხოვრებნი ამ სოფლისა დროდადრო იმ მხრიდან შემოტანილ მარილზე ცვლიდნენ რეზინის პალმის ღვინოს. ადგილობრივ მეფეს ფუმბას სახელიც გაეგონა და ისიც იცოდა, რომ მის ხალხს "დოკო" ერქვა. კალიმ დაადასტურა, რომ ზოგიერთი მეზობელი ხალხი ვა-ჰიმასა და ზამბურუს ასეც ეძახდნენ. ნაკლებად სასიამოვნო იყო ცნობა, რომ დიდი წყლის სანაპიროებზე ომი მძვინვარებდა და ბასა-ნაროკისაკენ მტაცებელი ნადირით სავსე უჩვეულოდ ველურ მთებსა და ვიწრო ხეობებზე უნდა ევლოთ... მტაცებელი ნადირისა სტაშს უკვე აღარ ეშინოდა, მთები კი, თუნდაც უსაზარლესი, ბევრად ერჩია დაბლობს, სადაც მოგზაურებს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ციებ-ცხელება ჩასაფრებოდა.

გზას მაინც მხნედ გაუყვნენ. ამ სოფლის შემდეგ მხოლოდ ერთადერთი, ისიც ქარაფზე დაკიდებული და ღარიბ-ღატაკი დასახლებაღა შეხვდათ. მერე დახეთქილ-დანაპრალებული მთები დაიწყო. აღმოსავლეთით მოჩანდა მწვერვალთა ჯაჭვი, რომელიც შორიდან ერთიანად შავად მოჩანდა. ეს იყო სრულიად უცნობი მხარე, სადაც, კაცმა არ უწყოდა, რა შეიძლებოდა შემთხვევოდათ, სანამ ფუმბას სამფლობელომდე მიაღწევდნენ. ბალახით დაფარულ ფერდობებზე ხეების ნაკლებობა არ იგრძნობოდა, მაგრამ განმარტოებით მდგარი აკაციებისა და სმოკოვეცების გარდა, კორომებსაც გადააწყდებოდნენ ხოლმე. მოგზაურები ასეთ კორომებში დასანაყრებლად და გადასაჩრდილებლად შედგებოდნენ ხოლმე.

ხეებს შორის ფრინველები დაფრთხიალებდნენ. სხვადასხვა ჯიშის მტრედები, ვეებერთელა ვარდისფერნისკარტიანები, რომლებსაც სტაში ტუკანებს ეძახდა. შოშიები, გვრიტები და უთვალავი და ულამაზესი ბენგალიები დაფუთფუთებდნენ ფოთლებს შორის ანდა ერთი კორომიდან მეორისაკენ მიფრინავდნენ, ცალ-ცალკე თუ გუნდ-გუნდად, თან ცისარტყელასავით ჭრელაჭრულობდნენ. ზოგიერთი ხე შორიდან ნაირფერი ყვავილებით დაფარული გეგონებოდათ. ნელის განსაკუთრებით ხიბლავდა სამოთხის ბუზიყლაპიები და შავი, ალისფერარშიაშემოვლებული, საკმაოდ დიდი ჩიტები, რომლებიც მწყემსის სალამურივით რაკრაკით ეხმიანებოდნენ ერთმანეთს. ზღაპრული მენაძვიები, ზემოდან ვარდისფერები, ფრთებქვეშ კი მტრედისფერები, მზის შუქზე ლაპლაპებდნენ და ფრენისას ფუტკრებსა და კალიებს იჭერდნენ. ხის კენწეროებზე ერთი ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ მწვანე თუთიყუშებს, დროდადრო კი ხეებიდან ესმოდათ თითქოსდა ვერცხლის წკრიალი – ასე ესალმებოდნენ ერთმანეთს ადაუსონის ფოთლებს შეფარებული პაწაწკინტელა მომწვანო-მონაცრისფრო ჩიტუნიები.

მზის ამოსვლამდე და მზის ჩასვლის შემდეგ გუნდ-გუნდად გადაიფრენდნენ ხოლმე ადგილობრივი ბეღურები, თან იმდენი, მათი ჟივილ-ხივილი და ფრთების ფათქუნი რომ არა, კაცს ღრუბელი ეგონებოდა. სტაში თვლიდა: განმარტოებულ კორომებში წკრიალა ხმებით ვარდისფერნისკარტიანები ეთხოვებოდნენ ხოლმე დღეს.

მაგრამ ორივე ბავშვს ყველაზე მეტად აცვიფრებდა და ხიბლავდა სხვა, პატარ-პატარა გუნდებად მფრენი ჩიტები, რომლებიც ჭეშმარიტ კონცერტებს მართავდნენ. ყოველი გუნდი შედგებოდა ხუთი-ექვსი დედლისა და ერთი, ლითონისფერ ფრთებმოზიმზიმე მამლისაგან. ისინი ყველასაგან განმარტოებით მდგარ აკაციის ხეზე სხდებოდნენ იმგვარად, რომ მამალი ჩიტი ხის კენწეროზე მოთავსდებოდა, დედლები – უფრო ქვემოთ – და დაბალი ტონებით, თითქოსდა ყელს ხმას უსინჯავენო, აჟღურტულდებოდნენ, მერე მამალი იწყებდა გალობას, დედლები კი მდუმარედ უსმენდნენ. გალობას რომ გაასრულებდა, დანარჩენები ერთად იმღერებდნენ მისი სიმღერის ბოლო ფრაზას. მცირე შესვენების შემდეგ მამალი ისევ იწყებდა და ამთავრებდა, დანარჩენები კვლავ იმეორებდნენ, რის შემდეგაც მთელი გუნდი ტალღასავით რწევა-რწევით გადადიოდა მომდევნო უახლოეს აკაციაზე და სოლისტისა და გუნდის კონცერტი ნასადილევის გაყურსულ მდუმარებაში ისევ თავიდან მეორდებოდა. ყმაწვილები კი მისი მოსმენით ვერ ძღებოდნენ. ნელის განსაკუთრებით ხიბლავდა კონცერტის წამყვანი ნოტები და დედალი ჩიტუნიების ქოროსთან ერთად თავისი წვრილი ხმით იმეორებდა უკანასკნელ ტონალობას, რომელიც ძალიან ჰგავდა სწრაფად გამეორებულ ბგერებს: “ტუი, ტუი, ტუი, ტუ, ტვილინგ-ტინგ! ტინგ!”

ერთხელაც ხიდან ხემდე ფრთოსან მუსიკოსებს გადევნებული ბავშვები ბანაკს თითქმის კილომეტრით დაშორდნენ და მარტო დატოვეს სამივე ზანგი, კინგი და ლომა, რომლის წაყვანაც სტაშს ჩაფიქრებულ ნადირობაზე არ სურდა, რათა მისთვის ყეფით არ შეეშალა ხელი. და, როცა გუნდი ბოლო აკაციიდან განიერი ხეობის მეორე მხარეს გადაფრინდა, ბიჭი შედგა და თქვა:

– ახლა კინგამდე მიგაცილებ, მერე კი მაღალ ჯუნგლებში ანტილოპებს ან ზებრებს მოვძებნი, რადგან კალიმ თქვა, შებოლილი ხორცი ორ დღეს თუღა გვეყოფაო.

– მე ხომ უკვე დიდი ვარ, – მიუგო ნელიმ, რომელსაც ძალიან უნდოდა ეჩვენებინა, რომ პატარა ბავშვი აღარ იყო, – ჰოდა, მარტო დავბრუნდები. აქედან ბანაკიც კარგად ჩანს და კვამლიც.

– ვაითუ, გზა აგებნეს.

– არ ამებნევა. მაღალ ჯუნგლებში შეიძლება ამბნეოდა, მაგრამ აბა, შეხედე, აქ რა დაბალი ბალახია.

– ან თავს რაიმე არ დაგესხას.

– თვითონ ამბობდი, ლომები და პანტერები დღისით არ ნადირობენო. თან, ხომ გესმის, კინგი როგორ ბღავის და გვეძახის. რომელი ლომი გაბედავს ნადირობას იქ, სადაც კინგის ხმა აღწევს?

და ხვეწნას მოჰყვა.

– ჩემო სტეს, გეხვეწები, დიდივით წავალ.

სტაში ერთხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს მოტყდა. ბანაკი და კვამლი აქედან მართლა ჩანდა. კინგი, რომელსაც ნელი მონატრებოდა, წამიწამ ბღაოდა. დაბალ ბალახში გზის არევა შეუძლებელი იყო, რაც შეეხება ლომებს, პანტერებსა და აფთრებს, ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, რადგან ეს მხეცები საკბილოს მხოლოდ ღამით ეძებენ ხოლმე. თან ბიჭმა იცოდა, გოგონას იმაზე მეტად ვერაფრით გაახარებდა, თუ აგრძნობინებდა, რომ უკვე პატარა ბავშვად აღარ თვლიდა.

– აბა, კარგი, – უთხრა, – წადი მარტო, მაგრამ პირდაპირ იარე და გზაში არ იცელქო.

– შეიძლება მხოლოდ ის ყვავილები დავკრიფო? – ჰკითხა და უამრავი ვარდისფერი ყვავილით დაფარულ კუსოს ბუჩქზე მიუთითა.

– შეიძლება.

ეს რომ თქვა, გოგონა მიაბრუნა, დამაჯერებლობისთვის ერთხელ კიდევ დაანახა ხეების კორომი, საიდანაც ბანაკის კვამლი ადიოდა და სადაც კინგი ბღაოდა, რის შემდეგაც ხეობის კიდესზე აბიბინებულ მაღალ ჯუნგლებში გაუჩინარდა.

მაგრამ ასიოდ ნაბიჯიც არ ექნებოდა გადადგმული, რომ მღელვარებამ შეიპყრო. “ჩემის მხრიდან ეს ძალიან დიდი სისულელეა, – გაივლო გულში, – რომ ნელის აფრიკაში მარტო სიარულის ნება დავრთე, სისულელეა! სისულელე! ის ხომ ჯერ სულ ბავშვია! არც ერთი ნაბიჯით არ უნდა მოვცილდე, მით უფრო, თუ მასთან კინგი არ არის. ვინ იცის, რა შეიძლება, შეემთხვეს! ვინ იცის, ვაი თუ, ვარდისფერ ბუჩქში გველი ზის, ხეობიდან შეიძლება ვეებერთელა მაიმუნები ამოვიდნენ და მოიტაცონ ან დაკბინონ. ღმერთო, დაიფარე! – საშინელი სისულელე ჩავიდინე!”

და მღელვარება საკუთარი თავისადმი სიბრაზეში გადაეზარდა, მერე კი შიშში. მეტი აღარც უფიქრია, და, თითქოსდა ცუდი წინათგრძნობით შემკრალი, უკან გაბრუნდა. სწრაფად მიმავალს ყოველდღიური ნადირობის გამო საკმაოდ გაწაფულ ხელში თოფი ფეხზე შეყენებული მოემარჯვებინა და ეკლიან მიმოზებს შორის სრულიად უხმაუროდ

მიდიოდა ისე, როგორც პანტერა ეპარება ღამღამობით ანტილოპების ჯოგს. წამიც და მაღალი ბალახებიდან ამოყო თავი, გაიხედა და... გაქვავდა.

ნელი კუსოს ბუჩქის ძირას იდგა, წინ ხელებგაშვერილი, ვარდისფერი ყვავილები შიშისაგან გასცვივნოდა და ახლა მის ფეხებთან ეყარა, ხოლო ორასიოდ ნაბიჯის დაშორებით მისკენ დიდი მოჩალისფრო რუხი მხეცი მიცოცავდა დაბალ ბალახებში.

სტაში ცხადად ხედავდა გოგონას მიტკლისფერ სახეზე მიშტერებულ მის მწვანე თვალებს, დაცქვეტილი ყურებით დაწვრილებულ თავს, ჩასაფრებისა და ცოცვის გამო მაღლა აწეულ მის ბეჭებს და კიდევ უფრო გრძელ კუდს, რომლის წვეროც მსუბუქ კატურ მოძრაობაზე ირხეოდა.

ამ სანახაობამ გამოჯაგული და ხიფათებს უკვე საკმაოდ შეჩვეული ბიჭი უმალვე მიახვედრა, თუ აჩქროლებულ სისხლს არ დაიოკებდა, თუ გულს საგულეში არ ჩაიყენებდა და გონს არ მოიკრეფდა, თუ ცუდად გაისროდა და მტაცებელს დაჭრიდა, თუნდაც მძიმედ, გოგონა უეჭველად დაიღუპებოდა. საკუთარ თავს უკვე იმდენად ფლობდა, რომ ამ ფიქრში ხელ-ფეხი ანაზდად დაუმშვიდდა და ფოლადის ზამბარასავით გაუხდა. თვალის ერთი შევლებით ამოიღო მიზანში მხეცის ყურსუკანა მუქი ლაქა – ერთი მსუბუქი მოძრაობით დაუმიზნა თოფის ლულა და ისროლა.

გასროლის ხმა, ნელის შეკივლება და ხანმოკლე ხროტინი თითქმის ერთდროულად მოაწყდა ბიჭის ყურთასმენას. სტაშმა ნელისკენ ისკუპა, საკუთარი სხეულით აეფარა და მტაცებელს თავში ისევ დაუმიზნა.

მაგრამ მეორე გასროლა სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა, რადგან საზარელი კატა ჩვარივით ეგდო, ცხვირი მიწაში წაეყო, კლანჭები ბალახისთვის ჩაეჭიდებინა და აღარც კი ტოკავდა. გასროლილ ტყვიას მისთვის მთელი კეფა და კისერი წაეცალა. თვალებზე სისხლში არეული ტვინი გადმონთხეოდა.

ახალგაზრდა მონადირე და ნელი ერთხანს, ხან მოკლულ მხეცს უყურებდნენ, ხანაც ერთმანეთს და კრინტის დაძვრას ვერ ახერხებდნენ. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ საოცარი რამ მოხდა. აგერ ეს სტაში, რომელსაც თავისი აუღელვებლობითა და სიდინჯით შესაძლოა, მთელი მსოფლიოს გამოცდილი მონადირეებიც კი განეცვიფრებინა, ანაზდად გაფითრდა, ფეხები აუთრთოლდა, თვალებზე ცრემლი მოადგა, მერე თავზე ხელები წაივლო და რამდენიმეჯერ გაიმეორა:

– ო, ნელი, ნელი! რომ არ მოვბრუნებულიყავი!..

და ისეთმა შიშმა მოიცვა, ისეთმა ნაგვიანევმა სასოწარკვეთილებამ, რომ ყოველი ძარღვი იმგვარად აუთრთოლდა, იფიქრებდით, ციებ-ცხელება შეეყარაო. ნებისყოფის

არნახული დაძაბვისა და სულიერი მღელვარების დაოკების შემდეგ სისუსტე და შვება იგრძნო. თვალწინ დაუდგა საზარელი პირსისხლიანი მხეცი, რომელიღაც კლდის მღვიმეში როგორ ფლეთდა ნელის სხეულს. ასეც შეიძლებოდა მომხდარიყო და მოხდებოდა კიდეც, უკან რომ არ დაბრუნებულიყო! ერთი წუთი, ერთი წამიც და – უკვე გვიანი იქნებოდა. ამის გაფიქრებაზე ძარღვებში სისხლი ეყინებოდა.

ბოლოს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ გონს მოსულ ნელის თავად ვაჟი უნდა დაემშვიდებინა. პაწია, გულკეთილმა არსებამ ორივე ხელი კისერზე შემოხვია და თავადაც ატირებულმა ისე ხმამაღლა დაუწყო ძახილი, თითქოს ძილბურანიდან უნდა გამოიყვანოსო:

– სტაშ! სტაშ! არაფერი დამმართნია! შემხედე, არაფერი დამმართნია. სტაშ! სტაშ!

სტაში მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მოეგო გონს და დამშვიდდა. უმალვე მოირბინა კალიმ, რომელსაც ბანაკის შორიახლოს გაეგონა გასროლის ხმა და, რადგან იცოდა, ბვანა კუბვამ ტყუილუბრალოდ არ იცოდა სროლა, ცხენიც მოიყვანა ცხოველის წასაღებად. მოკლული ნადირის დანახვაზე ახალგაზრდა ზანგმა უკან დაიხია და სახეზე უმალვე ნაცრისფერი დაედო:

– ვობო! – შეჰყვირა.

ბავშვები ახლაღა მიუახლოვდნენ უკვე გაფიჩხულ გვამს. სტაშს აქამდე წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომელ მტაცებელს გააფრთხობინა სული მისმა გასროლილმა ტყვიამ. ბიჭს თვალის პირველივე შევლებაზე მოეჩვენა, რომ ეს იყო განსაკუთრებულად დიდი სერვალი* , მაგრამ ახლოდან დაკვირვების შემდეგ მიხვდა, რომ ცდებოდა, რამეთუ მოკლული მხეცი ლეოპარდზე დიდიც კი ჩანდა. მისი ნაცრისფერი ტყავი ყავისფერი ლაქებით იყო დაფარული, მაგრამ თავი ლეოპარდისაზე ვიწრო ჰქონდა, რაც უფრო მგელს ამსგავსებდა, ფეხები – უფრო მაღალი, თათებგანიერი და თვალები – ვეებერთელა, ერთი მათგანი ტყვიას ბუდიდან ამოეგდო, მეორე, ჯერაც ბავშვებს რომ უყურებდა, უძირო, უძრავი და საზარელი სანახავი იყო. სტაში იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მხეცი უნდა ყოფილიყო პანტერის ჯიშისა, რომლის შესახებაც ზოოლოგიამ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა ისევე, როგორც გეოგრაფიამ – ტბა ბასა-ნაროკზე.

კალი კვლავ უზომო შიშით შეპყრობილი დასცქეროდა ძირს გართხმულ მხეცს და თითქოს ხმამაღალი წარმოთქმისა ეშინიაო, ჩურჩულით იმეორებდა:

– ვობო!.. დიდმა ბატონმა ვობო მოკლას.

მაგრამ მიბრუნებულმა სტაშმა გოგონას თავზე დაადო ხელი, თითქოს უნდა დარწმუნდეს, რომ ვობოს არ მოუტაცნიაო და შემდეგ თქვა:

– ხედავ, ნელი, ხედავ, დიდიც რომ იყო, ჯუნგლებში მარტო მაინც არ უნდა იარო.

– მართალია, სტაშ, – მიუგო ნელიმ მომნანიე გამომეტყველებით, – მაგრამ კინგსა და შენთან ერთად ხომ შემიძლია?

– თქვი, როგორ იყო? გაიგონე, როგორ გიახლოვდებოდა?

– არა... უცებ ყვავილებიდან ამოფრინდა დიდი, ოქროსფერი ბუზი, თვალი გავაყოლე და ამის შემდეგ დავინახე, როგორ ამოძვრა ხეობიდან.

– მერე?

– მერე გაჩერდა და მე დამიწყო ყურება.

– დიდხანს გიყურა?

– დიდხანს, სტაშ. მაგრამ, როგორც კი ყვავილებს ხელი გავუშვი და თვალებზე ავიფარე, ჩემკენ იწყო გამოცოცება...

სტაშს თავში გაუელვა: ნელი რომ ზანგის გოგო ყოფილიყო, უმალვე გაიტაცებდა, რომ მის გადარჩენას უნდა უმადლოდნენ გაკვირვებას მხეცისას, რომელიც სრულიად უცხო ქმნილების დანახვაზე დაიბნა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

და ჟრჟოლამ ისევ დაუარა მთელ სხეულში.

– მადლობა უფალს! მადლობა უფალს, რომ უკან მოვბრუნდი!..

და მერე ისევ განაგრძო გამოკითხვა:

– რას ფიქრობდი იმ დროს?

– შენთვის დაძახება მინდოდა და... ვერ შევძელი... მაგრამ...

– მაგრამ რა?

– მაგრამ ვფიქრობდი, რომ დამიცავდი... თავადაც არ ვიცი, როგორ...

ეს რომ თქვა, მკლავები ისევ კისერზე შემოასკვნა, სტაში კი ქოჩორზე მიეფერა.

– უკვე აღარ გეშინია?

– არა.

– ჩემი პატარა მზიმუ! ჩემი მზიმუ! – ხედავ, რა არის აფრიკა?!

– ჰო, მაგრამ შენ მაინც მოკლავ ყველა საძაგელ მხეცს.

– მოვკლავ.

და ორივემ ისევ მტაცებელს დახედა. სტაშს უნდოდა, სახსოვრად შეენახა მისი ტყავი და კალის მხეცის გატყავება უბრძანა, მაგრამ მას შეეშინდა, ხეობიდან მეორე ვობო არ ამომძვრალიყო და სთხოვა, მარტო არ დაეტოვებინათ, ხოლო კითხვაზე, ლომზე უფრო ვობოსი მართლა ეშინოდა თუ არა, თქვა:

– ლომი ღამღამობით ღრიალი და ღობეზე არ გადახტომა, ვობო კი დღისითაც გადახტომა და ბევრი ზანგების მოკვლა შუაგულ სოფელში, მერე ერთის მოტაცება და შეჭმა. ვობოსაგან თავს ვერ დაიცავ ვერც შუბით, ვერც ისრით, მხოლოდ ჯადოთი, რადგან ვობოს მოკვლა შეუძლებელია.

– სისულელეა, – თქვა სტაშმა – აბა, ერთი კარგად დააკვირდი, არის თუ არ მკვდარი.

– თეთრი ბატონი მოკლა ვობო, შავი კაცი ვერ მოკლა! – მიუგო კალიმ.

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ვეებერთელა კატა ცხენზე თოკით გამოაბეს და ბანაკში წაათრიეს. მაგრამ სტაშმა ვერ მოახერხა მისი ტყავის შენახვა, და ამაში ბრალი მიუძღვის კინგს, რომელიც, ეტყობა, მიხვდა, რომ ვობოს მისი პაწია ქალბატონის მოტაცება უნდოდა და ისე ძალიან გაბრაზდა, რომ სტაშის ბრძანებამაც კი ვერ შეაჩერა. მკვდარი მხეცი ხორთუმით აიტაცა, ორჯერ მაღლა შეისროლა, მერე ხეზე უხათქუნა, ბოლოს კი ფეხებით გასრისა და მარმელადის ცომივით უფორმო მასას დაამსგავსა. სტაშმა მხოლოდ ყბების გადარჩენა შეძლო და შუბლის დარჩენილ ნაწილთან ერთად გზაზე დაუდო ჭიანჭველების ქარავანს, რომლებმაც ერთ საათში ძვლები ისე გააპრიალეს, რომ მისხალი ხორციც არ დაუტოვებიათ.

კარი XL

ოთხი დღის შემდეგ სტაში ხანგრძლივი დასვენებისთვის ლინდეს მთის მსგავს, მაგრამ უფრო პატარა და ვიწრო მთაზე შეჩერდა. იმავე საღამოს ლომამ მძიმე ორთაბრძოლის შემდეგ დაფლითა უშველებელი მამალი ორანგუტანგი, რომელიც თავს მაშინ დაესხა, როცა ძაღლი ოკეანისაკენ წამოსვლის წინ გაშვებულ, რიგით მეორე ფრანის ნარჩენს ეთამაშებოდა. სტაშმა და ნელიმ შეჩერებით ისარგებლეს და გადაწყვიტეს, ახალ-ახალი ფრანები ეწებებინათ, მაგრამ მხოლოდ მაშინ გაეშვათ, როცა ძლიერი მუსონი

დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დაუბერავდა. სტაში იმედოვნებდა, თუნდაც ერთი რომ ჩავარდნოდა ხელში ევროპელს ანდა არაბს, უმალვე უჩვეულო ყურადღებას მიიპყრობდა და მათ გადასარჩენად უეჭველად გამოგზავნიდნენ ექსპედიციას. უფრო მეტი თავდაჯერებულობისთვის ინგლისური და ფრანგული ნაწერის გვერდით არაბულადაც დაწერა, რაც სულაც არ ეძნელა, რამეთუ არაბულიც შესანიშნავად იცოდა.

სადგომიდან გასვლის შემდეგ მალე კალიმ განაცხადა, რომ აღმოსავლეთით გამოჩენილ მთაგრეხილზე იცნო ზოგიერთი მწვერვალი, რომლებიც დიდ შავ წყალს, ანუ ბასა-ნაროკს, ერტყა გარს, მაგრამ ამაში მთლად არ იყო დარწმუნებული, რადგან, როცა იმ მწვერვალებს სხვადასხვა ადგილიდან ხედავდა, მთები მოხაზულობას იცვლიდნენ. კუსოს ბუჩქებით დაფარული და ერთ მთლიან ტბასავით ვარდისფრად მოლივლივე მომცრო დაბლობის გავლის შემდეგ მარტოხელა მონადირის ქოხს წააწყდნენ. ქოხში ორი ზანგი დახვდათ, ერთ-ერთისთვის ძაფიას ეკბინა და ავად იყო. მაგრამ ორივე იმდენად ველური და შტერი იყო, თან სტუმრებისაგან იმდენად შეშინებული, თან დარწმუნებული, რომ აუცილებლად დახოცავდნენ, რომ პირველ ხანებში მათგან ვერაფრის გაგება ვერ მოახერხეს. მხოლოდ ხორცის რამდენიმე ნაჭერმა გაუხსნა ენა იმას, რომელიც მხოლოდ ავადმყოფი კი არა, მშიერიც იყო, რადგან ამხანაგი, ეტყობა, ძალზე ძუნწად კვებავდა. სწორედ მისგან შეიტყვეს, რომ ერთი დღის სავალზე მდებარეობდა რამდენიმე მოზრდილი, დამოუკიდებელი სოფელი, ხოლო მათ შემდეგ, ფრიალო კლდეების მიღმა, იწყებოდა დიდი წყლიდან დასავლეთით და სამხრეთით გადაჭიმული ფუმბას მიწები. ამის გაგონებაზე სტაშს გულიდან ლოდი მოეხსნა და მხნეობა მოემატა. რაც უნდა იყოს, ვა-ჰიმელთა ქვეყნის თითქმის ზღურბლზე იდგნენ.

როგორ წარიმართებოდა შემდგომი მგზავრობა, ამის თქმა, რასაკვირველია, ძნელი იყო, მაგრამ, ბიჭის აზრით, არაფრით უნდა ყოფილიყო მძიმე ან უფრო გრძელი ნილოსის ნაპირებიდან მომავალ იმ საშინელ გზაზე, რომელიც, ასე თუ ისე, მაინც გამოიარა საკუთარი განსაკუთრებული მოხერხებულობის წყალობით და რომლის დროსაც ნელი აშკარა დაღუპვისაგან იხსნა. არც ის ეეჭვებოდა, რომ კალის მეოხებით ვა-ჰიმელები სტუმართმოყვრულად მიიღებდნენ და ყოველანაირ დახმარებას აღმოუჩენდნენ. ამ ხნის განმავლობაში ზანგები კარგად გაიცნო, იცოდა, როგორ დაეჭირა მათთან თავი და აშკარად სჯეროდა, რომ კალიც რომ არ ჰყოლოდა, ასე თუ ისე, მაინც მოახერხებდა მათთან მოლაპარაკებას.

– იცი, – უხსნიდა ნელის, – ფაშოდიდან უკვე ნახევარზე მეტი გზა გამოვიარეთ, მაგრამ ახლანდელ გზაზე შესაძლოა, ძალზე ველურ ზანგებს შევხვდეთ, სამაგიეროდ დავრიშებს მეტად აღარ შეეყრებით.

– ზანგები მირჩევნია. – უპასუხა გოგონამ. – სანამ მათ ღვთაებად ითვლები, კი. ფაშოდიდან მომიტაცეს გოგონასთან ერთად, რომელსაც სახელად ნელი ერქვა, ახლა კი

ვიღაც მზიმუ მიმყავს. მამაჩემსა და პან რავლისონს ვეტყვი, რომ სხვა სახელი აღარც დაგიძახონ.

გოგონას თვალებში უმალვე შუქი და ღიმილი ჩაუდგა.

– შეიძლება, მამიკოები მომბასში ვნახოთ?

– შეიძლება. ბასა-ნაროკის სანაპიროზე ომი რომ არ იყოს, იქ უფრო სწრაფად ჩავიდოდით. ფუმბაც ომში ჩაბმულა, რა!

ეს რომ თქვა, კალის გადახედა:

– კალი, ავადმყოფ ზანგს ომზე თუ გაუგონია რამე?

– გაუგონია. არის დიდი ომი, ძალიან დიდი: ფუმბასი და ზამბურუსი.

– მერე, რა ვქნათ? როგორ გავივლით ზამბურუს მხარეს?

– ზამბურუ გაქცევა, როცა დაინახავს დიდ ბატონს, კინგსა და კალის.

– შენც გაგექცევა?

– კალისაც, რადგან კალის აქვს თოფი, რომელიც ქუხს და კლავს.

სტაში ჩაფიქრდა, ვა-ჰიმასა და ზამბურუს ტომებს შორის გამართულ ომში როგორ და რა ზომით ჩარეულიყო და გადაწყვიტა, საქმე ისე წარემართა, რომ მგზავრობა დიდად არ გაეძნელებინა. ესმოდა, რომ მათი გამოჩენა მოულოდნელი იქნებოდა და ბედის სასწორი უმალვე ფუმბასაკენ გადაიხრებოდა. ოღონდ, საჭირო იყო, შესაბამისი გამარჯვებისთვის მოფიქრებულად მიეღწია.

ავადმყოფი ზანგის მიერ ნახსენებ სოფლებში ომზე ახალი ცნობები შეკრიბეს. ცნობები დაწვრილებითი იყო, მაგრამ ფუმბასთვის – არასახარბიელო. პატარა მოგზაურებმა შეიტყვეს, რომ იგი თავდაცვით ომს აწარმოებდა და რომ ზამბურულებმა თავიანთი მეფე მამბას მეთაურობით უკვე დაიკავეს ვა-ჰიმას მხარის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი და წაასხეს უამრავი ძროხა. გაიგეს, რომ ომი მიმდინარეობდა უმეტესწილად დიდი წყლის სამხრეთით, სადაც მაღალ და თხემგანიერ კლდეზე მდებარეობდა ფუმბას დიდი ბომა.

ამ ცნობამ ერთობ დააღონა კალი, რომელმაც სტაშს სთხოვა, რაც შეიძლება სწრაფად გადაევლოთ საომარი ადგილებიდან გამომყოფი მთა და არწმუნებდა, რომ იპოვიდა გზას, რომელზეც მხოლოდ ცხენები კი არა, კინგიც შეძლებდა გავლას. უკვე კარგად ნაცნობ მხარეში იმყოფებოდა და ბავშვობიდან ათასჯერ ნანახ მწვერვალებს უკვე დანამდვილებით არჩევდა ერთმანეთისგან.

მაგრამ გადასვლა არც ისე იოლი აღმოჩნდა და, საჩუქრებით მოხიბლული ბოლო სოფლის მცხოვრებთა დახმარება რომ არა, კინგისთვის სხვა გზის მოძებნა გახდებოდა საჭირო. მათ კალიზე უკეთ იცოდნენ მთის იმ მხარეს მდებარე ხეობები და ორი დღის მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, როცა ღამით საშინელი სიცივე აწუხებდათ, როგორც იქნა, ქარავანს ბედნიერად გადაალახვინეს უღელტეხილი, უღელტეხილიდან კი უკვე ვა-ჰიმას მხარეში მდებარე ველზე გაიყვანეს.

სტაშმა ბანაკი ბარდნარმოდებულ ველზე დასცა. ცხენზე ამხედრებული კალი, მისივე თხოვნით, იმავე ღამესვე დასაზვერად გაემართა მამამისის ბომასაკენ, რომელიც ერთი დღის სავალზე მდებარეობდა. სტაში და ნელი მღელვარედ ელოდნენ მთელი დღე-ღამე და ის-ის იყო, იმედგადაწურულებმა დაასკვნეს, ან დაიღუპა, ან მტერს ჩაუვარდა ხელშიო, რომ გამოჩნდა ჩამომხმარ და გაქაფულ ცხენზე მჯდარი, თავადაც იმგვარად დაღლილი და გასაცოდავებული, მის დამნახავს გული სიბრალულით აევსებოდა.

სტაშს უმალვე ფეხებში ჩაუვარდა და შველა სთხოვა.

– ო, დიდო ბატონო! – ამბობდა. – ზამბურუმ დამარცხება ფუმბას მეომრები, მოკვლა ბევრი და გარეკა ისინი, ვინც ვერ მოკვლა, ფუმბას კი გარშემორტყმა დიდ ბომაში, ბოკოს მთაზე. ფუმბას და მის მეომრებს საჭმელი არ არის ბომაში და ელით სიკვდილი, თუ დიდი ბატონი არ მოკვლა მამბას და მამბასთან ერთად ყველა ზამბურუელს.

კალის სტაშისთვის მუხლებზე შემოეხვია ხელი და ისე ეხვეწებოდა, ის კი შუბლშეჭმუხნული ერთთავად ნელიზე ფიქრობდა.

– სად არიან ის მეომრები, – ჰკითხა ბოლოს, – რომლებიც ზამბურუელებმა გარეკეს?

– კალიმ ისინი იპოვა და მალე აქ მოსვლა.

– რამდენი არიან?

ახალგაზრდა ზანგმა რამდენიმეჯერ შეარხია ორივე ხელ-ფეხის თითები, მაგრამ ზუსტი რიცხვის მითითება ვერ შეძლო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თვლა მხოლოდ ათამდე იცოდა და ყველა დიდი რიცხვი მისთვის მხოლოდ “ვენგი”, ანუ ბევრი იყო.

– თუ აქ მოვლენ, ჩაუდექი სათავეში და წადი მამაშენის დასახმარებლად. – უთხრა სტაშმა.

– იმათ ზამბურუსი შიში და კალისთან არ წავლენ, მაგრამ დიდ ბატონთან წავლენ და მოკლავენ ვენგი, ვენგი ზამბურუს.

სტაში ისევ ჩაფიქრდა.

– არა, – თქვა ბოლოს, – არ შემიძლია ბიბის ამ ომში წაყვანა და არც აქ მისი მარტო დატოვება, არა, ამას არაფრის გულისთვის არ ვიზამ.

ამაზე კალი წამოდგა, ხელები ერთმანეთს მიატყუპა და რამდენიმეჯერ გაიმეორა:

– ლუელა! ლუელა! ლუელა!

– ლუელა რა არის? – ჰკითხა სტაშმა.

– დიდი ბომა ვა-ჰიმასა და ზამბურუს ქალებისთვის. – უპასუხა ახალგაზრდა ზანგმა.

და გასაოცარი რამ უამბო. ფუმბა და მამბა უკვე რამდენი წელია, რაც იბრძვიან. ერთიანად გაუპარტახეს ერთმანეთს პლანტაციები, სტაცებენ საქონელს, მაგრამ ტბის სამხრეთ სანაპიროზე იყო ერთი ადგილი, სახელად ლუელა, სადაც ყველაზე მძვინვარე ომის დროსაც კი ორივე ხალხის ქალები სავაჭროდ დადიოდნენ და თანაც სრულიად უშიშრად. ეს იყო წმინდა ადგილი. ომი მხოლოდ მამაკაცებს ეხებოდა, არც ერთი დამარცხება და გამარჯვება არ ახდენდა გავლენას ქალებზე, რომლებიც ლუელაში, ვრცელ ბაზრობას გარშემოვლებული თიხის ღობის მიღმა, სრულიად უსაფრთხო თავშესაფარში, იმყოფებოდნენ. არეულობის დროს ბევრი ვინმე აფარებდა იქ თავს და ქონებას. სხვებიც მოდიოდნენ შორეული სოფლებიდან და თან მოჰქონდათ შებოლილი ხორცი, ლობიო, ფეტვი, მანიოკი და სხვა მარაგი. მეომრებს ეკრძალებოდათ ომის წარმოება იმ ადგილას, საიდანაც ლუელაში მამლის ყივილი მოაღწევდა. ეკრძალებოდათ აგრეთვე ბაზარს გარშემორტყმულ თიხის ღობეზე გადასვლა. მხოლოდ ღობის წინ დადგომა შეეძლოთ და ქალები ბამბუკის გრძელ ჯოხზე გამობმულ საჭმელს იქ მიაწოდებდნენ ხოლმე. ეს იყო უძველესი წეს-ჩვეულება. ერთჯერაც არ მომხდარა, იგი რომელიმე მხარეს დაერღვიოს. გამარჯვებულთა საზრუნავიც მუდამ ის იყო, დამარცხებულთათვის ლუელასაკენ მიმავალი გზა გადაეკეტათ, რომ წმინდა ადგილს არ მიახლოებოდნენ იმ მანძილზე, საიდანაც მამლის ყივილს გაიგონებდნენ.

– ო, დიდო ბატონო, – ეაჯებოდა კალი სტაშს, რომლისთვისაც ისევ მუხლებზე შემოეხვია ხელები, – დიდმა ბატონმა მიიყვანოს ბიბი ლუელაში, თავად კი წაიყვანოს კინგი, წაიყვანოს კალი, წაიღოს თოფები, წაიღოს ცეცხლის გველები და დაამარცხოს ბოროტი ზამბურუ.

სტაშმა ირწმუნა ახალგაზრდა ზანგის მონათხრობი, რადგან ადრე თავადაც გაეგონა, რომ აფრიკის ბევრ ადგილებში ომი ქალებს არ ეხებოდა. ახსოვდა, რომ პორტ-საიდში ერთი ახალგაზრდა გერმანელი მისიონერი ჰყვებოდა, ვეებერთელა მთა კილიმანჯაროს შემოგარენში მასაის ტომის უამრავი მეომარი წმინდად ინახავს ამ წესს, რის წყალობითაც მეომარ მხარეთა ქალები სრულიად თავისუფლად დადიან დადგენილ ბაზრობაზე და თავს არავინ ესხმითო. ბასა-ნაროკის სანაპიროზე ამ წეს-ჩვეულების არსებობამ სტაში

მეტისმეტად გაახარა, რამეთუ შეეძლო მშვიდად ყოფილიყო, რომ ომის გამო ნელის საფრთხე არ ელოდა. გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ წაეყვანა გოგონა ლუელაში, მით უფრო, რომ ომის დამთავრებამდე გამგზავრებაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა, რადგან გზის გაგრძელებისას არა მხოლოდ ვა-ჰიმას, არამედ ზამბურუს დახმარებაც დასჭირდებოდა.

სწრაფ გადაწყვეტილებებს მიჩვეულმა უკვე იცოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო. გაათავისუფლებდა ფუმბას, დაამარცხებდა ზამბურუს, მაგრამ ნება არ უნდა მიეცა ვა-ჰიმელებისთვის ზედმეტად სისხლიანი შურისძიება მოეწყოთ, მერე მშვიდობის დამყარება და მეომარი მხარეების შერიგება ესახებოდა უფრო მიზანშეწონილად და მომგებიანად არა მარტო საკუთარი თავის, არამედ ზანგებისთვისაც. “ასე უნდა მოხდეს და ასეც იქნება!” – თქვა გუნებაში და, საბრალო ახალგაზრდა ზანგი რომ გაემხნევებინა, განუცხადა, დახმარებაზე უარს არ ვამბობო.

– რა მანძილზეა აქედან ლუელა? – ჰკითხა.

– ნახევარი დღის სავალზე.

– ჰოდა, მისმინე: ახლავე წავიყვანოთ ბიბი იქ, მერე წავალ კინგით და მამაშენის ბომადან განვდევნი ზამბურუელებს. შენც წამომყვები და იომებ.

– კალი მათ თოფით მოკვლა!

და სასოწარკვეთილებიდან გამოსული უმალვე გამხიარულდა, მოჰყვა ხტუნვას, სიცილს და სტაშს ისეთ მადლობას ეუბნებოდა, თითქოს გამარჯვება უკვე მოეპოვებინა. მაგრამ სამადლობელი სიტყვები და მხიარულება შეაწყვეტინეს ბანაკში მოსულმა მეომრებმა, რომლებიც დაზვერვაზე წასულს შეეგროვებინა და რომლებსაც უბრძანა თეთრი ბატონისთვის თაყვანი ეცათ. სამასამდე იქნებოდნენ ჰიპოპოტამის ტყავის ფარებით, ხელშუბებით, მშვილდებითა და დანებით შეიარაღებულნი. თავები ფრთებით, ორანგუტანგის ბეწვითა და გვიმრებით მოერთოთ. ადამიანის სამსახურში ჩამდგარი სპილოს, თეთრი სახეების, ლომასა და ცხენების დანახვამ ისინი ისე დააფრთხო და განაცვიფრა, როგორც დანარჩენი ზანგები, რომელთა სოფლებზეც ქარავანს ადრე გაევლო. მაგრამ კალიმ ისინი წინდაწინ გააფრთხილა, რომ დაინახავდნენ კეთილ მზიმუს და უძლიერეს ბატონს, რომელიც კლავს ლომს, რომელმაც მოკლა ვობო, რომლისიც ეშინია სპილოს, რომელიც ამსხვრევს კლდეებს და უშვებს ცეცხლოვან გველებს და ა. შ... და გაქცევის ნაცვლად მდუმარედ ჩარიგდნენ გრძელ რიგად, მხოლოდ თვალებს აპრიალებდნენ და გაუბედავად გაჩერებულებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ, ჩაემუხლათ თუ პირქვე დამხობილიყვნენ, მაგრამ ერთი რამ ღრმად სწამდათ: თუ ეს უცნაური არსებანი მათ დაეხმარებოდნენ, ზამბურუს გამარჯვებას ბოლო მოეღებოდა.

სპილოზე მჯდარმა სტაშმა მწკრივს ჯარის დათვალიერებაზე მისული ჭეშმარიტი ბელადივით ჩაუარა, მასუკან კალის უთხრა, მეომრებისთვის გაემეორებინა მისი დანაპირები, რომ ფუმბას გაათავისუფლებდა და ლუელასაკენ წასვლის ბრძანება გასცა.

კალი რამდენიმე მეომრითურთ წინ გაიჭრა, რათა ორივე ტომის ქალებისათვის ემცნო, რომ გაუგონარი და უჩვეულო ბედნიერება ელოდათ, რამეთუ მათთან მივიდოდა სპილოზე მჯდარი კეთილი მზიმუ. ეს ისეთი მოულოდნელი ამბავი იყო, რომ ვა-ჰიმელმა ქალებმაც კი, რომლებმაც ტახტის მემკვიდრე იცნეს და რომელთაც იგი დაკარგული ეგონათ, იფიქრეს: მეფის ახალგაზრდა ვაჟიშვილი გვეხუმრებაო, თან უკვირდათ, მთელი ტომისა და თავად მეფე ფუმბასთვის ამ ძნელბედობის ჟამს რა ეხუმრებაო! მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ, რომ დაინახეს ღობეს მოახლოებული უზარმაზარი სპილოს ზურგზე თეთრი ტახტრევანი, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და კეთილი მზიმუ ისეთი წივილ-კივილითა და ღრიალით მიიღეს, სტაშს თავდაპირველად ეგონა, ზიზღის გამო ყვიარიან ასეო, მით უფრო, რომ საშინლად შეუხედავები იყვნენ და კუდიანებს ჰგავდნენ.

მაგრამ ეს გასაოცარი თაყვანისცემის ნიშანი იყო. როცა ნელის კარავი ბაზრის კუთხეში, ორი ვეებერთელა ხის ჩრდილში დადგეს, ვა-ჰიმელებმა ზამბურუელ ქალებთან ერთად ყვავილის გირლანდებითა და გვირგვინებით შეამკეს, მერე კი იმდენი საჭმელ-სასმელი მიუზიდეს, მთელ თვეს ეყოფოდა არა მარტო ღვთაებას, არამედ მის ამალასაც. მოხიბლული ქალები თაყვანს სცემდნენ ვარდისფერი ჩითითა და ცისფერი მძივებით მორთულ-მოკაზმულ მეასაც, რომელიც, როგორც მზიმუს მსახური, ზანგის ჩვეულებრივ გოგოზე ბევრად მაღალ საფეხურზე მდგომად მიიჩნიეს.

ნასიბუ, თავისი ბავშვური ასაკის წყალობით, ღობის მიღმა შეუშვეს და უმალვე ისარგებლა ნელისთვის მირთმეული შესაწირავით, თან ისე კეთილსინდისიერად, რომ ერთი საათის შემდეგ მისი მუცელი აფრიკულ სამხედრო დოლს დაემსგავსა.

კარი XI

ლუელას მიწაყრილთან მცირე შესვენების შემდეგ სტაში მზის ჩასვლამდეე გაუდგა გზას და კალის მეთაურობით თან გაიყოლა სამასი მეომარი, რათა ზამბურუს ღამესვე დასხმოდა თავს იმ ანგარიშით, რომ "ცეცხლოვანი გველები" სიბნელეში მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა. გზის გავლას ლუელადან ბოკოს მთამდე, სადაც ფუმბა

თავს იცავდა, დასვენებების ჩათვლით, ცხრა საათი მოანდომეს, ასე რომ, ციხესიმაგრემდე დაახლოებით ღამის სამ საათზე მიაღწიეს. სტაშმა მეომრები შეაჩერა, თან გააფრთხილა, ერთი საათი ღრმა მდუმარება დაეცვათ და ადგილმდებარეობის გაცნობას შეუდგა. მთის წვერი, სადაც შეხიზნულები იმყოფებოდნენ, სიბნელეს მოეცვა, სამაგიეროდ ზამბურუელებს აენთოთ უამრავი კოცონი. ცეცხლის შუქს გაენათებინა კლდის ქარაფები და მის ძირას გაფოფრილი ვეებერთელა ხეები. შორიდან ისმოდა დოლების ყრუ ბაგაბუგი, აგრეთვე ღრიანცელი და სიმღერა მეომრებისა, რომლებიც, ჩანდა, პომბას* მიძალებოდნენ მოახლოებული, საბოლოო გამარჯვების აღსანიშნავად. სტაში თავისი რაზმით კიდევ უფრო წინ წავიდა. ბოლო კოცონისაგან ახლა მათ ასიოდ ნაბიჯი თუღა აშორებდათ. ბანაკის გუშაგების ჭაჭანებაც არსად ჩანდა, უმთვარო ღამეში კი ველურები რაყაფში ჩამალულ კინგს ვერ ხედავდნენ. მის კისერზე მჯდარმა სტაშმა წყნარად გასცა საბოლოო ბრძანებები, რის შემდეგაც კალის ანიშნა, ერთი გამზადებული რაკეტა აენთო. წითელი ზონარი გამოვარდა, შიშინით აიჭრა ბნელ ზეცაში და მერე გრგვინვით გამოყარა წითელი, ცისფერი და ოქროსფერი ვარსკვლავები. ყველა ხმა უმალვე მიწყდა და ღრმა მდუმარება ჩამოწვა. რამდენიმე წამის შემდეგ თითქოსდა ჯოჯოხეთური სიცილ-ხარხარით გავარდა კიდევ ორი ცეცხლოვანი გველი, მაგრამ ამჯერად სწორხაზოვნად და პირდაპირ ზამბურუელთა ბანაკისაკენ, რასაც თან მოჰყვა კინგის ღრიალი და წივილ-კივილი ხელკეტებით, შუბებითა და დანებით შეიარაღებული სამასი ვა-ჰიმელი მეომრისა, რომლებიც კისრისტეხით გაიჭრნენ წინ. დაიწყო ბრძოლა და მით უფრო საზარელი, რომ ბნელოდა, რადგან სიჩქარესა და არეულ-დარეულობაში კოცონები გადაიქელა. მაგრამ ცეცხლოვანი გველების დანახვისთანავე ზამბურუელები ენითუთქმელმა შიშმა მოიცვა. ის, რაც მოხდა, მათ ჭკუა-გონებას აღემატებოდა. იცოდნენ, რომ თავს დაესხნენ რაღაც საშინელი არსებანი და გარდაუვალი და უეჭველი დაღუპვა ელოდათ. ბევრი მათგანი მანამდე გაიქცა, სანამ ვა-ჰიმელთა ხელკეტები და შუბები მისწვდებოდა. ასზე მეტი მეომარი, რომელთა თავმოყრაც მამბამ მოახერხა, ვა-ჰიმელებს თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდა; მაგრამ რაკეტების ელვისას დანახულმა უზარმაზარმა ცხოველმა და მასზე მჯდარმა თეთრსამოსიანმა ადამიანმა, თან კალის თოფის ხმამ, ყველას ერთბაშად თავზარი დასცა. ფუმბამაც დაინახა თავის მთაზე ზეცაში აჭრილი პირველი რაკეტა, შიშისაგან დაზაფრული მიწაზე დაეცა და რამდენიმე წუთი მკვდარივით იწვა. მაგრამ გონს მოსულ მეომართა განწირული ბღავილის მიხედვით, ერთ რამეს მაინც მიხვდა, კერძოდ კი, აი, რას: რაღაც სულები დაბლა მუსრს ავლებდნენ ზამბურუელებს. და თავში გაუელვა, იმ სულებს თუ თვითონაც არ მიეხმარებოდა, მათი გულისწყრომა შესაძლოა, ვა-ჰიმელებსაც დასტეხოდა თავს და, რამდენადაც ზამბურუელების გაჟლეტა მისი ხსნის ტოლფასი იყო, თავისი მეომრები უმალვე შეკრიბა, ბომადან ფარული, გვერდითა კარით გაიყვანა და გაქცეულებს გზა გადაუჭრა. ომი ახლა ხოცვა-ჟლეტაში გადაიზარდა. ზამბურუელთა დოლებმა ბაგაბუგი შეწყვიტა. წყვდიადში, რომელსაც დროდადრო

მხოლოდ კალის თოფიდან გამოვარდნილი ელვა გაკვეთდა ხოლმე, სასიკვდილოდ განწირული ბღავილი, შუბების ფარზე დარტყმის ყრუ ხმა და დაჭრილთა კვნესა ისმოდა. შებრალებას არავინ ითხოვდა, რადგან ზანგებში ასეთი ცნება არც არსებობს. კალიმ, იმის შიშით, სიბნელესა და არეულობაში საკუთარი ხალხი არ დაეხოცა, სროლას თავი დაანება, გებჰრის მახვილი ჩაბღუჯა და მტრის შუაგულში შევარდა. ზამბურუელებს ახლა თავიანთი საზღვრებისაკენ მხოლოდ ერთი ფართო ხეობით შეეძლოთ გაქცევა, მაგრამ, რადგან ის ხეობა ფუმბას ჩაეკეტა თავისი მეომრებით, მთელი რაზმიდან გადარჩნენ მხოლოდ ისინი, რომლებიც მიწაზე გართხმულები ცოცხლად აყვანის ნებას იძლეოდნენ, თუმცა იმთავითვე იცოდნენ, რომ ან საშინელი ტყვეობა ელოდათ, ანდა გამარჯვებულთა ხელით სწრაფი სიკვდილი. მამბა თავს გმირულად იცავდა, სანამ შუბმა თავის ქალა არ გაუხეთქა. მისი შვილი კი, ახალგაზრდა ფარუ, ფუმბას ჩაუვარდა ხელში. მან კი მისი გათოკვა ბრძანა, რათა დასახმარებლად მოსული სულებისთვის სამადლობელ მსხვერპლად მიერთმია.

სტაშს საზარელი კინგი ბრძოლის ველზე არ გაუყვანია, მხოლოდ ბღავილის ნება დართო მტრის გულის გასახეთქავად. თავადაც თოფი ერთხელაც არ უსროლია ზამბურუელებისათვის, რამეთუ, ჯერ ერთი, ლუელადან წამოსვლის წინ ნელის აღუთქვა, რომ აღარავის მოკლავდა, მეორეც, სურვილი არ ჰქონდა, დაეხოცა ადამიანები, რომლებსაც არც მისთვის, არც ნელისათვის სრულიად არაფერი დაუშავებიათ. ისიც საკმარისი იყო, რომ ვა-ჰიმელებს გამარჯვება მოაპოვებინა და მაღალ ბომაში მტერთაგან გარშემორტყმული ფუმბა გაათავისუფლეს. სულ მალე, როცა კალიმ მოირბინა და აცნობა საბოლოო გამარჯვება, უბრძანა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა ბარდნარსა და კლდის ნაპრალებში მიმდინარე ხოცვა-ჟლეტა, რომელიც ბებერი ფუმბას თავგამოდებითღა გრძელდებოდა.

სანამ კალი ომის ჩაცხრობას ცდილობდა, გათენდა კიდეც. მზე, როგორც საერთოდ ტროპიკებში იცის, სწრაფად ამოვარდა მთების მიღმეთიდან და შუქი მოჰფინა ბრძოლის ველს, სადაც ორასზე მეტი ზამბურუელის კეტებითა და შუბებით განგმირული გვამები ეყარა. მალე, მიწყდა თუ არა ბრძოლა და მხოლოდ ვა-ჰიმელთა მხიარული ბღავილი არღვევდა განთიადის მდუმარებას, ისევ გამოჩნდა კალი, მაგრამ ამჯერად ისეთი ნაღვლიანი და სახეჩამომტირალი, შორიდანვე მიხვდებოდით, რომ რაღაც უბედურება შემთხვეოდა.

სტაშის წინ გაჩერებულმა თავში ხელები წაიშინა და შესაბრალისად შესძახა:

– ო, დიდო ბატონო – ფუმბა კუფა! ფუმბა კუფა (მოკლულია)!

– მოკლულია? – გაიმეორა სტაშმა.

კალიმ უამბო, რაც მომხდარიყო. მისი ნათქვამიდან გამომდინარე, ბრალი მიუძღოდა მხოლოდ ფუმბას თავგამოდებას, რადგან ბრძოლა უკვე დამთავრებულიყო, მაგრამ კიდევ უნდოდა ორი ზამბურუელის მოკვლა და სწორედ ერთ-ერთი იმათგანის შუბს გაეგმირა.

ცნობა თვალისდახამხამებაში მოედო ვა-ჰიმელებს და ყველამ კალის ირგვლივ მოიყარა თავი. წუთიც და ექვსმა მებრძოლმა მოიყვანა შუბებზე დასვენებული მოხუცი მეფე, რომელიც მოკლული კი არა, მძიმედ იყო დაჭრილი და სიკვდილის წინ აუცილებლად სურდა, ენახა სპილოზე მჯდარი ძლევამოსილი, ზამბურუელთა ჭეშმარიტი დამმარცხებელი ბატონი.

ენითუთქმელი განცვიფრება ებრძოდა მის თვალებში ჩამდგარ სიკვდილის მოახლოების მაუწყებელ წყვდიადს, ხოლო მისი გაფითრებული და რგოლისაგან ჩამოწელილი ბაგეები გაურკვევლად იმეორებდა:

– იანჩიგ! იანჩიგ!

მაგრამ იმწამსვე თავი უკან გადაუვარდა, პირი ფართოდ გააღო და – გათავდა.

კალი, რომელსაც მამა ძალიან უყვარდა, ტირილით დაეცა მკერდზე. მებრძოლთაგან ზოგმა თავში წაიშინა ხელები, ზოგიერთმა კი კალის მეფე უწოდა. პატივისცემის ნიშნად “იანჩიგ” შესძახეს. სხვები ახალგაზრდა პატრონის წინაშე პირქვე დაემხნენ. წინააღმდეგობის ერთი შემახილიც კი არავის დასცდენია, რადგან მეფობა კალის ეკუთვნოდა არა მარტო როგორც ფუმბას უფროს ვაჟიშვილს, არამედ, ამასთანავე, როგორც გამარჯვებულს.

ამასობაში, მთის წვერზე, ბომაში, ჯადოქართა ქოხებში გაისმა ბოროტი მზიმუს ღრიალი, სწორედ ისეთი, როგორიც სტაშს პირველ ზანგურ სოფელში გაეგონა, მაგრამ ეს ხმა ამჯერად მის წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ იგი ფუმბას მოკვლისთვის ტყვეთა დახოცვას მოითხოვდა. ატყდა დოლების ბრაგუნი. მეომრები გრძელ რიგად ჩამწკრივდნენ, მერე მწკრივში სამ-სამად დაეწყვნენ და სტაშის, კალისა და ფუმბას გვამის ირგვლივ საომარი როკვა წამოიწყეს.

– ოა! ოა! უაჰ! უაჰ! – იმეორებდა ყველა მათგანი. თავებს ერთნაირი მოძრაობით აბრუნებდნენ ხან მარჯვნივ, ხან – მარცხნივ. თვალები ულაპლაპებდათ და მათი შუბების წვერები განთიადის მზის შუქზე ბრწყინავდა.

კალი წამოდგა და სტაშისაკენ მიბრუნებულმა თქვა:

– დიდმა ბატონმა მოიყვანოს ბიბი ბომაში და ფუმბას ქოხში იცხოვროს. კალი იქნება ვა-ჰიმას მეფე, დიდი ბატონი კი – კალის მეფე.

სტაშმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა, მაგრამ იქ კიდევ რამდენიმე საათს დარჩა, რადგან მასაც და კინგსაც დასვენება ესაჭიროებოდათ.

გზას მხოლოდ საღამოხანს გაუდგნენ. მისი არყოფნის დროს დაღუპულ ზამბრუელთა გვამები მოეგროვებინათ და უკლებლივ გადაეყარათ მახლობელ ღრმა ხრამში, რომლის თავზეც უმალვე მოგროვდა სვავების გუნდი; ჯადოქრები ფუმბას დაკრძალვისათვის მზადებას შეუდგნენ. კალიმ კი ხელში აიღო ძალაუფლება, როგორც თავისი ყველა ქვეშევრდომის სიკვდილ-სიცოცხლის ბატონ-პატრონმა.

– შენ თუ იცი, კალი ვინ არის? – ჰკითხა ლუელადან უკან გამობრუნებულმა სტაშმა გოგონას.

ნელიმ გაოცებული მზერა მიაპყრო.

– ვინ და შენი ბოი.

– კი, აბა! ბოი! კალი ახლა მთელი ვა-ჰიმელების მეფეა.

ნელი ამ ცნობამ დიდად გაახარა. უეცარი ცვლილება, რომლის წყალობითაც საძაგელი გებჰრის ყოფილი ტყვე და მერე სტაშის ერთგული მსახური მეფე გახდა, გოგონას არაჩვეულებრივ და, ამასთანავე, გაუგონარ თავშესაქცევ ამბად მოეჩვენა.

უნდა აღინიშნოს, რომ ლინდეს შენიშვნა, თითქოს ზანგები ბავშვებივით არიან და უჭირთ თუნდაც გუშინ მომხდარის დამახსოვრება, კალის მისამართით არ ითქმოდა, რადგან, მოადგნენ თუ არა სტაში და ნელი ბოკოს მთის ძირს, ახალგაზრდა მონარქი მათ შესახვედრად გაიქცა, მორჩილებისა და სიხარულის გამომხატველი გამომეტყველებით მიესალმა და წინათ ნათქვამი სიტყვები ამჯერადაც გაიმეორა:

– კალი ვა-ჰიმელების მეფე იქნება, დიდი ბატონი კი – კალის მეფე.

და ორივეს ღვთაებრივი პატივისცემით ეპყრობოდა, განსაკუთრებით კი ნელის სცემდა თაყვანს მთელი ხალხის თვალწინ, რადგან მგზავრობისას ძალიან კარგად მიხვდა, დიდი ბატონი პატარა ბიბის საკუთარ თავზე მეტად რომ უფრთხილდებოდა.

საზეიმოდ აიყვანა ისინი სატახტო ბომაში და ფუმბუს უშველებელი, რამდენიმე ოთახად დაყოფილი ქოხი მისცა. ვა-ჰიმელებს, რომლებიც ლუელადან აქ მათთან ერთად დაბრუნდნენ, პირველ ოთახში თაფლითა და მაწვნით სავსე ქილების დადგმა მოსთხოვა და, როცა გაიგო, მგზავრობისაგან დაღლილ ბიბის ჩასძინებიაო, მთელ ხალხს ენის მოჭრას დაემუქრა და სიჩუმის დაცვა უბრძანა. მაგრამ გადაწყვიტა, სტუმრებისთვის კიდევ უფრო მეტი პატივი ეცა და ამ მიზნით, როცა მცირე დასვენების შემდეგ სტაში გამოვიდა, მიუახლოვდა, თაყვანი სცა და უთხრა:

– ხვალ კალი ფუმბას დაკრძალვას ბრძანებს და ფუმბასა და კალისთვის იმდენ ტყვეს მოაკვლევინებს, რამდენი თითიც აქვს ორივეს ხელებზე, მაგრამ ბიბისა და დიდი ბატონისთვის მოაკვლევინებს მამბას შვილს, ფარუს და ვენგი, ვენგი სხვა ზამბაურუელებს, რომლებიც ვა-ჰიმელებმა დაატყვევეს.

მაგრამ სტაშმა წარბები შეკრა, თავისი ფოლადისფერი თვალები კალის თვალში გაუყარა და უბრძანა:

– გიკრძალავ მაგის გაკეთებას!

– ბატონო, – ყოყმანით თქვა ახალგაზრდა ზანგმა, – ვა-ჰიმა ყოველთვის კლავს ტყვეს. მოხუცი მეფე მოკვდა – კლავს; ახალგაზრდა მეფე მოკვდა – კლავს. კალიმ რომ მათი მოკვლა არ ბრძანოს, ვა-ჰიმა იფიქრებს, რომ კალი მეფე არაა.

სტაშმა უფრო მკაცრად შეხედა.

– ასეა? – ჰკითხა. – ნუთუ ლინდეს მთაზე ვერაფერი ისწავლე და ვერც ქრისტიანი გახდი?

– კალი გახდი ქრისტიანი, ო დიდო ბატონო.

– ჰოდა, გამიგონე! ვა-ჰიმას შავი ტვინი აქვს, მაგრამ შენი ტვინი უკვე თეთრი უნდა იყოს. რადგან იმათი მეფე გახდი, უნდა მოაქციო და ასწავლო ყველაფერი, რაც ჩემგან და ბიბისაგან ისწავლე. ისინი ტურებსა და აფთრებს ჰგვანან – ჰოდა, აქციე ადამიანებად! უთხარი, რომ ტყვეების დახოცვა არ შეიძლება, რადგან უიარაღო ადამიანების სისხლისთვის ადამიანს სასჯელს არ ააცილებს დიდი სული, რომელსაც ლოცვას აღვუვლენთ მე და ბიბი. თეთრკანიანები ტყვეებს არ სჯიან, შენ კი გინდა, მათ გებჰრზე უარესად მოეპყრო – შენ, ქრისტიანს! გრცხვენოდეს, კალი, შეცვალე ვა-ჰიმას ძველი, საზიზღარი წესები კეთილით, რისთვისაც ღმერთი დაგლოცავს და ბიბი აღარ იტყვის, კალი ველური, ჩერჩეტი და ბოროტი ზანგი არისო.

ჯადოქრების ქოხებიდან გამოჭრილმა საზარელმა ღრიალმა დაახშო მისი სიტყვები. სტაშმა ხელი ჩაიქნია და განაგრძო:

– მესმის! თქვენს ბოროტ მზიმუს სურს სისხლი და ტყვეთა თავები. მაგრამ შენ ხომ იცი, ეგ რასაც ნიშნავს და ნუ შეშინდები. აი, რას გეტყვი: აიღე ბამბუკი, ჩამოუარე ყველა ქოხს და ჯადოქრებს იმდენ ხანს ურტყი, სანამ თავიანთ დოლებზე ხმამაღლა არ აღრიალდებიან. დოლები კი ბომას შუაგულში გადმოყარე, რათა ყველა ვა-ჰიმელმა ნახოს და მიხვდეს, როგორ ატყუებენ ის მუქთახორები. იმავდროულად შენს ჩერჩეტ ვა-ჰიმელებს განუცხადე ის, რაც გამოუცხადე მ?რუას ხალხს, რომ იქ, სადაც კეთილი მზიმუა, ადამიანის სისხლი არ უნდა დაიღვაროს.

ახალგაზრდა მეფე, ჩანს, დაარწმუნა სტაშის სიტყვებმა, რადგან გაბედულად შეხედა და თქვა:

– კალი სცემს, ოჰ, სცემს ჯადოქრები! გადაყრის დოლებს და ეტყვის ვა-ჰიმელებს, რომ იქ სადაც კეთილი მზიმუა, არავის მოკვლა არ შეიძლება! მაგრამ რა უნდა უყოს კალიმ ფარუს და ზამბურუელებს, რომლებმაც ფუმბა მოკლეს?

სტაშმა ყველაფერი წინდაწინ აწონ-დაწონა, მოიფიქრა და ამ კითხვასღა ელოდა, რადგან უმალვე მიუგო:

– მამაშენიც დაიღუპა და მამამისიც, სისხლი – სისხლის წილ. ახალგაზრდა ფარუს უნდა შეურიგდე და ამიერიდან ვა-ჰიმა და ზამბურუ მშვიდობითა და თანხმობით იცხოვრებენ, გულდადინჯებით მოუვლით მანიოკს და ინადირებთ. მერე ფარუს მოუყვები დიდ სულზე, რომელიც ყველა თეთრკანიანი და შავკანიანი ადამიანის მამაა და ფარუ ძმასავით შეგიყვარებს.

– კალის ახლა თეთრი ტვინი აქვს! – შესძახა ახალგაზრდა ზანგმა.

და ლაპარაკი ამაზე დამთავრდა. ორიოდ წუთის შემდეგ ისევ გაისმა საშინელი ღრიალი, მაგრამ ამჯერად არა ბოროტი მზიმუსი, არამედ ორივე ჯადოქრისა, რომლებსაც კალი სცემდა. მეომრები, რომლებიც დაბლა კინგს გარშემოხვეოდნენ, მთაზე სულმოუთქმელად აცვივდნენ, რათა გაეგოთ, რა ხდებოდა და უმალვე საკუთარი თვალით ნახეს და პირადად ჯადოქრების ნათქვამითაც მიხვდნენ, რომ ბოროტი მზიმუ, ვის წინაშეც ასე თრთოდნენ ხოლმე, სხვა არა იყო რა, თუ არა მაიმუნის ტყავგადაკრული ფუტურო კუნძი.

ახალგაზრდა ფარუმ კი, როცა გამოუცხადეს, რომ კეთილი მზიმუსა და “დიდი ბატონის” პატივსაცემად თავს არათუ არ წააგდებინებდნენ, პირიქით, კალის უნდა შეეჭამა მისი “ნაჭერი” და კალის “ნაჭერი” კი – მას, საკუთარ ყურებს არ დაუჯერა, და ბოლოს, ისიც რომ გაიგო, სიცოცხლისთვის ვისი მადლიერი უნდა დარჩენილიყო, ფუმბას ქოხის წინ მიწაზე დაემხო და ასე იწვა მანამ, სანამ ნელი არ გამოვიდა და ადგომა არ სთხოვა. იმავ წამს თავისი შავი მკლავები პაწია ფეხზე შემოხვია და თავზე დაიდო ნიშნად იმისა, რომ მთელი სიცოცხლე მის მონად ყოფნა ეწადა.

ვა-ჰიმელები ძლიერ გააოცა ახალგაზრდა მეფის ბრძანებამ, მაგრამ უცნობი სტუმრების გამო, რომელნიც ამქვეყნად ყველაზე ძლიერ ჯადოქრებად მიიჩნიეს, კრინტის დაძვრაც ვერავინ გაბედა.

ხანდაზმულები ახალ წესს არ გაუხარებია; ჯადოქრებმა კი, როცა მიხვდნენ, რომ ოქროს ხანას მათთვის ერთხელ და სამუდამოდ მოღებოდა ბოლო, გულში მეფისა და სტუმრების მიმართ შურისძიების ფიცი დადეს.

ამასობაში კი ფუმბა ბომოს ქვემოთ, ზედ კლდის ძირას, საზეიმოდ დაასაფლავეს. კალიმ მის საფლავზე ბამბუკების ჯვარი დაასო, ზანგებმა კი ლუდის რამდენიმე ქილა და შებოლილი ხორცი დააწყვეს, "რათა ღამღამობით მოწყენილობა და შიში არ დაუფლებოდა".

მამბას გვამი კი, კალისა და ფარუს დამმობილების შემდეგ, ზამბურუელებს გაატანეს.

კარი XII

– ნელი, შეგიძლია გამოთვალო ფაიუმიდან აქამდე ჩვენი მგზავრობა? – ჰკითხა სტაშმა.

– შემიძლია.

ეს რომ თქვა, გოგონამ წარბები აწკიპა და პაწაწინა თითებზე მოყვა გამოთვლას.

– ახლავე. ფაიუმიდან ხარტუმამდე – ეს ერთი; ხარტუმიდან ფაშოდამდე – ეს მეორე; ფაშოდიდან იმ ხეობამდე, სადაც კინგი ვიპოვეთ – ეს მესამე; ლინდეს მთიდან ამ ტბამდე კი – მეოთხე.

– ასე. ალბათ, ამქვეყნად არ მოიძებნება მეორე ბუზი, რომელიც აფრიკის ამხელა სივრცეზე გადაფრენას შეძლებდა.

– კარგი სანახავი კი იქნებოდა ის ბუზი უშენოდ!

სტაშს სიცილი წასკდა.

– ბუზი სპილოზე! ბუზი სპილოზე!

– ოღონდ ცე-ცე არა! ხომ, სტაშ? ცე-ცე არა!

– არა, – მიუგო, – საკმაოდ ლამაზი ბუზი.

შექებით გახარებულმა ნელიმ ცხვირი მხარზე მოუსვა და ჰკითხა:

– მეხუთე მგზავრობას როდის ვაპირებთ?

– როგორც დაისვენებ და როგორც კი სროლას ვასწავლი ხალხს, რომელთა მოცემასაც კალი შემპირდა.

– დიდხანს ვივლით?

– ოი. დიდხანს, ნელი, დიდხანს! ვინძლო, ეს ყველაზე გრძელი მგზავრობა გამოდგეს.

– მაგრამ, როგორც ყოველთვის, ყველა სიძნელეს ახლაც თავს გაართმევ!

– ვალდებული ვარ.

აქამდე ასეც იყო, მაგრამ ეს მეხუთე მგზავრობა დიდ სამზადისს მოითხოვდა. ისევ უამრავი ხიფათით სავსე უცხო მხარეში უნდა შესულიყვნენ, ჰოდა, ამიტომაც უნდოდა ბიჭს, ყველაფრისთვის მზად ყოფილიყო, ვიდრე ამის წინათ. ამ მიზნით ავარჯიშებდა რემინგტონებით სროლაში ორმოც ახალგაზრდა ვა-ჰიმელს, რომლებიც ძირითადი შეიარაღებული ძალა და ნელის ეგრეთწოდებული გვარდიელები უნდა გამხდარიყვნენ. უფრო მეტ მსროლელს ვერ იყოლიებდა, რადგან კინგმა მხოლოდ ოცდახუთი კარაბინი გამოიტანა, ცხენი კი – თხუთმეტი ჰყავდათ. დანარჩენი ჯარი უნდა შეევსო ას ვა-ჰიმელსა და ას ზამბურუელს, შეიარაღებულებს შუბებითა და მშვილდ-ისრებით, რომლებიც ფარუს უნდა ეშოვა ზამბუელთა ტომებით დასახლებულ და ძალზე ველურ მხარეში. სტაში სიამაყით ფიქრობდა, რომ ფაშოდიდან ნელისა და ორ ზანგთან ერთად უსახსროდ გამოქცეულს ოკეანის სანაპიროზე ორასკაციანი შეიარაღებული რაზმით, ცხენებითა და სპილოთი შეეძლო მისვლა. წარმოიდგინა, რას იტყოდნენ ამაზე ინგლისელები, რომლებიც ასე აფასებენ საზრიანობას, ხოლო ყველაზე მეტად აინტერესებდა, რას იტყოდნენ მამამისი და პან რავლისონი. ასეთ ფიქრებში მყოფს ყოველნაირი გასაჭირი ეიოლებოდა.

მაგრამ საკუთარი და ნელის ბედი მაინც ადარდებდა. კეთილი და პატიოსანი! ასე თუ ისე, ადვილად გაივლიდა ვა-ჰიმასა და ზამბურუს სამფლობელოებს, მაგრამ მერე? კიდევ რა ტომებს გადაეყრება, რა ადგილებში შეაბიჯებს და რამდენი დარჩება კიდევ გასავლელი? ლინდეს მინიშნებანი ძალზე ზოგადი იყო. სტაშს მეტისმეტად აღონებდა ის, რომ აზრზე არ იყო, სად იმყოფებოდა ამაჟამად, რადგან აფრიკის ეს ნაწილი რუკაზე, რომლითაც იგი გეოგრაფიას სწავლობდა, სრულიად თეთრი ფურცელივით გამოიყურებოდა. არც ის იცოდა, რას წარმოადგენდა ეს ტბა ბასა-ნაროკი ან რა სიდიდისა იყო. მოინახულა მისი სამხრეთი ნაწილი, რომელიც რამდენიმე ათეული კილომეტრის ტოლი იქნებოდა. მაგრამ რა სიგრძეს აღწევდა ჩრდილოეთით, ამის თქმა ვერც ვა-ჰიმელებმა შეძლეს, ვერც ზამბურუელებმა. კალი, რომელმაც ასე თუ ისე იცოდა კი-სვაჰილის ენა, ყველა კითხვაზე ერთ პასუხს იძლეოდა “ბალი! ბალი!” რაც ნიშნავდა: “შორია! შორია!” – მაგრამ სულ ეს იყო, რისი გაგებაც სტაშმა მისგან შეძლო.

ჩრდილოეთით თვალსაწიერის ჩამკეტი მთები საკმაოდ ახლო ჩანდა და დაასკვნა, რომ ეს უნდა ყოფილიყო რომელიღაც მთის ვრცელი ტბა, როგორებიც აფრიკაში მრავლად მოიპოვება. რამდენიმე წლის შემდეგ აღმოჩნდა, რა დიდი შეცდომა* დაუშვა, მაგრამ ამჯერად მაინცდამაინც ტბის ზუსტი სიდიდე კი არ აინტერესებდა, უნდოდა დაეზუსტებინა: მისგან ხომ არ მიედინებოდა რომელიმე მდინარე, რომელიც მერე ოკეანეს უერთდებოდა. ფარუს ქვეშევრდომი ზამბურუელები ამტკიცებდნენ, რომ მათი ქვეყნიდან აღმოსავლეთით მდებარეობდა ვეებერთელა უწყლო უდაბნო, რომლის გადაჭრაც ჯერ-ჯერობით კაციშვილს ვერ მოუხერხებია. რამდენადაც სტაში ზანგებს იცნობდა მოგზაურთა ნაამბობით, ლინდეს თავგადასავლითა და ნაწილობრივ, საკუთარი გამოცდილებით, იცოდა, წარმოიშობოდა თუ არა საშიშროება და სიძნელე, ბევრი გამყოლი შინისაკენ გაიძურწებოდა და, შესაძლოა, ერთიც აღარ შერჩენოდა. ამ შემთხვევაში უდაბნოსა და ჯუნგლებში ნელის, მეასა და პატარა ნასიბუსთან ერთად სრულიად მარტოდმარტო აღმოჩნდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადი იყო: რომ უწყლობა ქარავანს თვალის დახამხამებაში დაშლიდა და სწორედ ამიტომაც არკვევდა ისე ჩაძიებით მდინარის ამბავს. დინების მიმართულებით სიარულით, რასაკვირველია, თავიდან აცილებდა იმ საშინელებას, რასაც მოგზაურები უწყლო ადგილებში აწყდებიან ხოლმე.

მაგრამ ზამბურუელებს დანამდვილებით არაფრის თქმა შეეძლოთ, თვითონ კი თავს უფლებას ვერ მისცემდა ტბის აღმოსავლეთი სანაპიროს შესასწავლად ხანგრძლივი მოგზაურობა წამოეწყო, რადგან ბოკოში სხვა საქმე აყოვნებდა. გამოთვალა, რომ ლინდეს მთიდან და შემდეგ ზანგების სოფლებიდან გამოშვებული ფრანებიდან, ალბათ, ერთსაც არ გადაელახა ბასა-ნაროკის გარშემორტყმული მთაგრეხილები. ამ მიზეზის გამო უნდა ეკეთებინათ და გაეშვათ ახლები, რადგან ახლა, დაბალი ადგილმდებარეობის პირობებში, ქარს შეეძლო, რომელიმე მათგანი ზედ ოკეანის სანაპირომდე წაეღო. ჰოდა, ამ საქმისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია. მართალია, ნელი ფრანებს შესანიშნავად აწებებდა, კალიმ კი მათი გაშვება ისწავლა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეეძლო ზედ წაეწერა ყოველივე ის, რისი დაწერაც საჭირო იყო. სტაშის აზრით კი, ძალზე მნიშვნელოვანი იყო და მისი უგულვებელყოფა არ შეიძლებოდა.

ასე თუ ისე, ამ საქმეს იმდენი დრო დასჭირდა, რომ ქარავანმა გამგზავრება მხოლოდ სამი კვირის შემდეგ შეძლო. მაგრამ გამგზავრების წინა დღეს, ვა-ჰიმელთა ახალგაზრდა მეფე სტაშის წინ დადგა, თავი მდაბლად დაუკრა და თქვა:

– კალი ბატონსა და ბიბის გაჰყვება იმ წყლამდე, სადაც თეთრკანიანთა დიდი პიროგები* დაცურავს.

სტაშს გული აუჩუყა ამგვარმა ერთგულებამ, მაგრამ თვლიდა, რომ უფლება არ ჰქონდა, თან წაეყვანა ბიჭი იმხელა გზაზე, საიდანაც მისი უკანდაბრუნება ერთობ სათუო იქნებოდა.

– რატომ გინდა ჩვენთან ერთად წამოსვლა? – ჰკითხა.

– კალის უყვარს დიდი ბატონი და ბიბი.

სტაშმა ტალღოვან თავზე ხელი დაადო.

– კალი, ვიცი, გულკეთილი და კარგი ბიჭი ხარ. მაგრამ რა მოუვა შენს სამეფოს და ვინ მართავს ვა-ჰიმას შენს მაგივრად?

– მ?ტანა, კალის დედის ძმა.

სტაშმა იცოდა, რომ ზანგებს შორისაც მიმდინარეობდა ბრძოლა ძალაუფლებისათვის და რომ მეფობა, თეთრკანიანებივით, მათაც აცთუნებდა, ჰოდა, მცირე ფიქრის შემდეგ თქვა:

– არა, კალი. შენი წაყვანა არ შემიძლია. შენ ვა-ჰიმელებთან უნდა დარჩე, რათა ისინი კეთილ ადამიანებად აქციო.

– კალი მათთან დაბრუნდება.

– მ?ტანას ბევრი ვაჟი ჰყავს და რას იზამ, მეფობა რომ წაგართვას და მერე სამეფო თავის ვაჟებს დაუტოვოს, ვა-ჰიმელებს კი შენი გაძევება შთააგონოს?

– მ?ტანა კეთილია. მაგას არ იზამს.

– მაგრამ რომ ქნას?

– მაშინ კალი ისევ წავა დიდ წყალთან, დიდ ბატონსა და ბიბისთან.

– ჩვენ უკვე იქ აღარ ვიქნებით.

– მაშინ კალი წყლის პირას დაჯდება და დარდისაგან ატირდება...

ეს რომ თქვა, ხელები თავზე შემოიწყო, მცირე ხნის შემდეგ კი წაიჩურჩულა:

– კალის ძალიან უყვარს დიდი ბატონი და ბიბი – ძალიან.

და თვალებში ორი მსხვილი ცრემლი აუკიაფდა.

სტაში შეყოყმანდა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. კალი შეეცოდა, მაგრამ მის თხოვნაზე თანხმობა უმალვე არ განუცხადებია. ესმოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ

დაბრუნების საფრთხეზე, თუ მ?ტანა ან ჯადოქრები ზანგებს ააჯანყებდნენ, ბიჭს არა მარტო ქვეყნიდან განდევნით, შესაძლოა, სიკვდილითაც დამუქრებოდნენ.

– შენთვის უმჯობესია, დარჩე, – უთხრა, – შეუდარებლად უმჯობესია!

ამას რომ ამბობდა, ანაზდად შემოვიდა ნელი, რომელიც თხელი ნაჭრით გამოყოფილ მეორე ოთახში იმყოფებოდა და შესანიშნავად ესმოდა მათი საუბარი. კალის თვალებში ჩამდგარი ცრემლი რომ დაინახა, თითუნებით მოწმინდა, მერე კი სტაშს მიუბრუნდა.

– კალი ჩვენთან წამოვა. – თქვა გადაჭრით.

– ოჰო! – შესძახა ოდნავ გაბრაზებულმა სტაშმა. – ეგ შენზე არ არის დამოკიდებული.

– კალი ჩვენთან წამოვა. – გაიმეორა.

– არა, არ წამოვა.

ნელიმ ანაზდად ფეხი დააბაკუნა.

– მე მინდა!

და გულამოსკვნით აქვითინდა.

სტაშმა განცვიფრებული მზერა მიაპყრო და ვერ მიხვდა, რა დაემართა ამ კეთილსა და დინჯ გოგონას, მაგრამ, როგორც კი დაინახა, რომ მუჭებით თვალებს ისრესდა, პირი კი ბარტყივით გაეღო და ძლივს სუნთქავდა, ნაჩქარევად შესძახა:

– კალი ჩვენთან წამოვა! წამოვა! რა გატირებს? რა ცუდი ვინმე ხარ! წამოვა, გესმის? წამოვა!

და ასეც მოხდა. სტაშს საღამომდე რცხვენოდა, რომ სისუსტე გამოამჟღავნა კეთილი მზიმუს გულისთვის, კეთილი მზიმუ კი, საწადელს რომ მიაღწია, ისევ ისე წყნარი, კეთილი და დამჯერი გახდა, როგორც ყოველთვის.

კარი XLIII

ქარავანი მეორე დღეს, განთიადისას, დაიძრა. ახალგაზრდა ზანგი გახარებული იყო, პაწია დესპოტი ისევ ისე – წყნარი და დამჯერი, სტაში კი – ძალ-ღონითა და რწმენით

აღსავსე. მათ თან გაჰყვა ასი ზამბურუელი და ასი ვა-ჰიმელი – ორმოცი ამ უკანასკნელთაგან – შეიარაღებული იყო რემინგტონებით, რომელთა ხმარებასაც, ასე თუ ისე, ახერხებდნენ. თუმცა თეთრმა ბელადმა, მათ ამ სამი კვირის განმავლობაში რომ წვრთნიდა, მშვენივრად უწყოდა, ისინი უფრო ხმაურის ატეხას მოახერხებდნენ, ვიდრე ზიანის მიყენებას, მაგრამ იმასაც ითვალისწინებდა, ველურებთან შეხვედრისას ხმაური ტყვიაზე არანაკლებ როლს რომ ასრულებს და თავისი ჯარით ამაყობდა კიდეც. თან მიჰქონდათ მანიოკის დიდძალი მარაგი, ლავაშები, აგრეთვე, შებოლილი ხორცი. ქარავანს გაჰყვა რამდენიმე ქალიც, რომლებსაც ნელისთვის სხვადასხვა საჭირო და ლამაზი ნივთები და წყლის შესანახავი ანტილოპის ტყავის ტიკები მოჰქონდათ. სტაში სპილოს ზურგიდან ადევნებდა ყოველივეს თვალ-ყურს, გასცემდა ბრძანებებს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს მართლა საჭირო იყო, არამედ უფრო იმიტომ, რომ ბელადის როლი ძალიან მოეწონა და ამაყად დასცქეროდა თავის მცირერიცხოვან ჯარს.

“რომ მოვინდომო, – ფიქრობდა თავისთვის, – დოკოს ყველა ტომის მეფეც გავხდები ისევე, როგორც ბენიოვსკი – მადაგასკარზე”.

და თავში გაჰკრა, ხომ არ აჯობებდა, ოდესმე დაბრუნებულიყო აქ, დაეპყრო ამ მხარის დიდი ნაწილი, გაენათლებინა ზანგები, დაეარსებინა ახალი პოლონეთი, ანდა თავისსავე გაწვრთნილ შავკანიანთა რაზმებს ძველი პოლონეთის დასახმარებლად გაძღოლოდა. თუმცა გრძნობდა, რომ იყო ამაში რაღაც სასაცილო, თან ისიც ეეჭვებოდა, მამას ნება დაერთო, აფრიკაში ალექსანდრე მაკედონელის როლი გაეთამაშებინა, ამიტომაც თავისი ფიქრები არც გაუნდვია ნელისთვის, რომელიც ერთადერთი პიროვნება იყო ამქვეყნად, მისთვის ყოველთვის და ყველაფერზე ტაშის დაკვრა რომ შეეძლო.

მაგრამ აფრიკის ამ ნაწილის დაპყრობამდე ჯერ აქედან თავის დაღწევა იყო საჭირო; ჰოდა, ისევ უმნიშვნელოვანეს საქმეებს დაუბრუნდა. ქარავანი გრძელ რიგად გაბაწრულიყო. სპილოს კისერზე მჯდარმა სტაშმა გადაწყვიტა, ბოლოში მდგარიყო, რათა ყველაფრისათვის პირადად ედევნებინა თვალ-ყური.

ადამიანებმა, ერთიმეორის მიყოლებით რომ ჩაიარეს მის წინ, სტაში ერთობ გააოცეს: მ?კუნი და მ?რუა, სწორედ ისინი, ვისაც კალისაგან კარგა მაგრად მოხვდა. ახლა ისინი ქარავანს შეერთებოდნენ და თავზე ფუთებშემოწყობილნი გზას უნდა დასდგომოდნენ.

ორივე შეაჩერა და ჰკითხა:

– ვინ გიბრძანათ წამოსვლა?

– მეფემ. – მიუგეს და თავები მორჩილად დახარეს.

მაგრამ მორჩილების საფარს მიღმა თვალები ისე ველურად უელავდათ, სახეზე კი ისეთი ბოროტება ეხატათ, რომ სტაშს უმალვე მათი უკან გაბრუნება მოუნდა, მაგრამ, თუ ასე არ მოიქცა, მხოლოდ იმიტომ, რომ კალის ღირსების შელახვას მოერიდა.

თუმცა კი დაუძახა.

– შენ უბრძანე ჯადოქრებს ჩვენთან ერთად წამოსვლა? – ჰკითხა.

– კალიმ უბრძანა, რადგან კალი ბრძენი არის.

– ჰოდა გეკითხები, შენმა ბრძენმა გონებამ რატომ შინ არ დატოვა ისინი?

– იმიტომ რომ, მ?კუნი და მ?რუა ვა-ჰიმელებს ეტყოდნენ, კალი რომ დაბრუნდება, მოვკლათო, თუ ჩვენთან ერთად წამოვლენ, კალი მათ თვალს არ მოაცილებს.

მცირე დაფიქრების შემდეგ სტაშმა თქვა:

– შეიძლება, მართალიც ხარ, მაგრამ იცოდე, თვალი არ მოაცილო, რადგან მაგათი გამოხედვა არ მომწონს.

– კალის ბამბუკი აქვს. – მიუგო ჭაბუკმა ზანგმა.

ქარავანი დაიძრა. სტაშმა ბოლო წუთებში ბრძანება გასცა, რემინგტონებით შეიარაღებული რაზმი ჩამკეტად გამწესებულიყო, რადგან მასში რჩეული და სანდო ხალხი ეგულებოდა. იარაღით წვრთნისას, რაც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, თავის ახალგაზრდა ბელადს გარკვეულწილად დაუახლოვდნენ, ამასთანავე, როგორც მის უბრწყინვალესობასთან ყველაზე დაახლოებულებს, სხვებისაგან გამორჩეულებად მიიჩნევდნენ. ერთი სიტყვით, მთელი ქარავნისთვის თვალ-ყური უნდა ედევნებინათ და უმალვე დაეჭირათ ის, ვისაც თავში აზრად გაქცევა მოუვიდოდა. ესეც გათვალისწინებული იყო, რადგან, დაიწყებოდა თუ არა ძნელი და ხიფათიანი გზა, გამქცევებიც უეჭველად გამოჩნდებოდნენ.

მაგრამ პირველ დღეს ყველაფერი საუკეთესოდ წარიმართა. საკუთარი შუბებითა და უფრო მომცრო ხელშუბებით, ანუ ასაგაით შეიარაღებული და თავზე ფუთებშემოწყობილი ზანგები ჯუნგლებში გრძელ რიგად გაჭიმულიყვნენ. ერთხანს ტბის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ვაკეს მიუყვებოდნენ, მაგრამ, რამდენადაც ტბას ყოველმხრივ გარს ერტყა საკმაოდ მაღალი მწვერვალები და ამდენად აღმოსავლეთისაკენ მიუხვიეს თუ არა, მთაზე ასვლა გახდა საჭირო. ხანდაზმული ზამბურუელები, რომლებიც იმ მხარეს იცნობდნენ, ამტკიცებდნენ, რომ ქარავანს უნდა გადაელახა მაღალი უღელტეხილი იმ მთებს შორის, რომლებსაც კულალსა და ინროს ეძახდნენ, რის შემდეგაც შევიდოდნენ ბორანის სამხრეთით მდებარე ებენის მხარეში.

სტაშს კარგად ესმოდა, რომ შეუძლებელი იყო აღმოსავლეთისაკენ სულ პირდაპირ სიარული, რადგან ახსოვდა, რომ მომბასა მდებარეობდა ეკვატორიდან რამდენიმე გრადუსით ქვემოთ, ხოლო ამ უცნობი ტბიდან – კიდევ უფრო სამხრეთით ლინდეს რამდენიმე კომპასის წყალობით გზის აბნევისა არ ეშინოდა.

პირველი ღამისთევა ტყით დაფარულ დაბლობზე მოუწიათ. შებინდებისთანავე აინთო რამდენიმე კოცონი, რომლებზეც ზანგები ხორცს წვავდნენ და მანიოკის ძირხვენების ცომს თითებით პირდაპირ ქოთნებიდან იღებდნენ და ისე ჭამდნენ. შიმშილი და წყურვილი რომ დაიოკეს, ერთმანეთს გამოკითხვა დაუწყეს, საით მიჰყავდა ბვანა კუბვას და რას მიიღებდნენ მისგან. სხვები კოცონს მიცუცქებოდნენ, მღეროდნენ და თან ნაცარს ქექავდნენ; იმდენ ხანს ყაყანებდნენ, რომ ბოლოს სტაშმა გაჩუმება უბრძანა, რათა ნელის დაძინება შეძლებოდა.

ძალიან ცივი ღამე იდგა, მაგრამ დილით, გამოგზავნა თუ არა მზემ პირველი სხივები, ჰაერში უმალვე სითბო დატრიალდა. მზის ამოსვლის შემდეგ კი პატარა მოგზაურთა თვალწინ საოცარი სანახაობა გადაიშალა. ის იყო, ორიოდ კილომეტრზე გადაჭიმულ მომცრო ტბას, უფრო სწორად კი მთის ქვაბულში წვიმისაგან წარმოქმნილ ტბორს მიუახლოვდნენ, რომ გოგონასთან ერთად კინგზე მჯდარმა და ჭოგრიტით იქაურობის თვალიერებით გართულმა სტაშმა ანაზდად შეჰყვირა:

– შეხედე, ნელი, სპილოები ტბისკენ მიდიან.

მართლაც, ნახევარი კილომეტრის დაშორებით ხუთი სპილოსაგან შემდგარი პატარა ჯოგი ტბას ნელ-ნელა, ერთიმეორის მიყოლებით უახლოვდებოდა.

– რა უცნაური სპილოები არიან, – თქვა სტაშმა, რომელიც თვალმოუცილებლად აკვირდებოდა მათ მოძრაობას. – კინგზე პატარები არიან, ყურებიც ძალიან პატარები აქვთ, ეშვები კი საერთოდ არ უჩანთ.

ამასობაში სპილოები წყალში ჩავიდნენ, მაგრამ ნაპირზე კი არ შეჩერებულან, როგორც კინგს სჩვეოდა და ხორთუმით ტანზე წყლის გადასხმა არ დაუწყიათ, არამედ წინ სვლა გააგრძელეს, სულ უფრო ღრმად შევიდნენ ისე, რომ წყალს ზევით მხოლოდ ლოდებივით შავი ზურგი მოუჩანდათ.

– ეს რა არის? ყვინთავენ! – შესძახა სტაშმა.

ქარავანი საკმაოდ მიუახლოვდა სანაპიროს, ბოლოს კი შეჩერდა. განცვიფრებული სტაში ხან ნელის უყურებდა, ხანაც – ტბას.

სპილოები საერთოდ აღარ ჩანდნენ, ოღონდ ტბის მოსარკული ზედაპირიდან შეუიარაღებელი თვალითაც კარგად გაარკვევდით: თითქოსდა მოწითალო წყალში ყვავილივით მსუბუქი ნარნარით რომ ირწეოდნენ.

– ფსკერზე დგანან, აგერ კი ხორთუმები მოუჩანთ! – შესძახა სტაშმა და საკუთარ თვალებს არ უჯეროდა.

მერე კალის დაუძახა:

– კალი! ხედავ?

– დიახ, ბატონო, კალი ხედავს, ესენი წყლის სპილოები არიან. – მშვიდად მიუგო ჭაბუკმა ზანგმა.

– წყლის სპილოები?

– კალის ეგენი ბევრჯერ უნახავს.

– წყალში ცხოვრობენ?

– ღამღამობით ჯუნგლებში გადიან და ძოვენ, დღისით კი წყალში ცხოვრობენ კიბობოსავით (ჰიპოპოტამი). იქიდან მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ ამოდიან.

სტაშს კარგა ხანს არ გაუარა განცვიფრებამ და, სწრაფად გამგზავრების საჭიროება რომ არა, ქარავანს უეჭველად შეაჩერებდა საღამომდე, რათა კარგად დაენახა ის განსაკუთრებული ცხოველები, მერე თავში გაუელვა, სპილოებმა შეიძლება, სულაც ტბის მეორე მხარეს ამოყვინთონ, ანდა საღამოს ბინდბუნდში ხეირიანად ვერც დავინახოთო.

ჰოდა, გამგზავრების ნიშანი მისცა, გზაში კი ნელის უთხრა:

– აბა, ისეთი რამ დავინახეთ, რისთვისაც ჯერ არც ერთ ევროპელს თვალიც არ მოუკრავს. იცი, რას ვფიქრობ, ოკეანემდე ბედნიერად რომ მოვაღწიოთ, კაციშვილი არ დაგვიჯერებს, როცა გავაცხადებთ, აფრიკაში რომ წყლის სპილოები არიან.

– ერთი რომ დაგეჭირა და წამოგეყვანა? – უთხრა ნელიმ, რომელსაც სჯეროდა, რომ სტაშისათვის შეუძლებელი არაფერი იყო.

ათი დღის შემდეგ ქარავანმა, როგორც იქნა, უღელტეხილი გადალახა და სრულიად განსხვავებულ მხარეში გადავიდა. ეს იყო თვალუწვდენელი, ალაგ-ალაგ მომცრო ბორცვაკებიანი, ბრტყელი ვაკე. ვერსად მოჰკრავდი თვალს ტალღა-ტალღად დარწეულ მაღალ ბალახზე გადაფოთლილ დიდ ხეებს, ვერც ჯგუფ-ჯგუფად მდგარს და ვერც ცალ-ცალკე. მხოლოდ აქა-იქ ამოჩრილიყო, ისიც ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებით, წებოს გამომყოფი მარჯნისფერტოტებიანი და ქოლგისნაირი მოყვანილობის აკაციები, რომლებსაც მეჩხერი ფოთოლი ჰქონდა და, შესაბამისად, ჩრდილსაც მცირეს იძლეოდა. ტერმიტთა ბორცვაკებს შორის ზეცაში აჭრილიყო ვეებერთელა რძიანები, რომელთა ტოტები შანდლებს მიაგავდა. ცაში სვავები დასრიალებდნენ, დაბლა კი აკაციიდან აკაციაზე თეთრ-შავად შებუმბლული ყვავების მსგავსი ჩიტები დაფრინავდნენ. ბალახი ყვითელი იყო და მოწეული ხორბალივით დათავთავებული, მაგრამ ჩანდა, აქ ჯუნგლები საკმაო საკვებს იძლეოდა დიდძალი ცხოველებისათვის, რამეთუ მოგზაურები დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ მაინც ხედავდნენ ანტილოპა გნუს, ბუბალებისა და განსაკუთრებით, ზებრების მრავალრიცხოვან ჯოგებს. ამ გაშლილსა და უდაბურ ადგილებში გაუსაძლისი სიცხე იყო. ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც კი არ ჩანდა. დღისით ხვატი იდგა, საღამო კი მაინცდამაინც დიდ შეღავათს ვერ იძლეოდა.

მგზავრობა დღითი დღე ძნელდებოდა. გზად შეხვედრილ სოფლებში მეტისმეტად ველური ხალხი მათ შიშით, უფრო კი უგულოდ ხვდებოდა და, რომ არა მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმი, აგრეთვე თეთრკანიანთა უცნაური შესახედაობა, აგრეთვე კინგი და ლომა, მოგზაურებს, ალბათ, კარგ დღეს არ დააყრიდნენ.

სტაშმა კალის შემწეობით შეძლო გაგება, რომ წინ აღარც სოფლები იყო და აღარც წყალი. ეს ცნობა ძნელადდასაჯერებლად მიიჩნია, რადგან წინ შეხვედრილ მრავალრიცხოვან ჯოგებს სადმე ხომ უნდა დაელია წყალი. მაგრამ იმან, რომ უდაბნოში არც მდინარე იყო და არც გუბურები, ზანგები დააფრთხო და გაპარვა დაიწყეს. პირველები მ?კუნიე და მ?რუა იყვნენ. საბედნიეროდ, მათი გაქცევა ადრევე შეიტყვეს და ცხენდაცხენ დადევნებულები მათ ბანაკის შორიახლოსვე წამოეწივნენ, ხოლო უკან მოყვანილები კალიმ ბამბუკის ჯოხის გამოყენებით დაარწმუნა მათი საქციელის უმართებულობაში. სტაშმა ყველას ერთად მოუყარა თავი და სიტყვით მიმართა, ზანგი კი მის ნათქვამს ადგილობრივ ენაზე თარგმნიდა. წინა ღამისას გაგონილი ლომების ღრიალით ისარგებლა და შეკრებილთ მოახსენა, ვინც კიდევ გაბედავს გაქცევას, იმ ლომების საკბილო გახდება, მაგრამ, თუ იმის იმედი გაქვთ, რომ ღამეს აკაციაზე

გაათევთ, იქ კიდევ უფრო საშინელი ვობო გიპოვითო. მერე თქვა: სადაც ანტილოპები ცხოვრობენ, იქ უეჭველად წყალიც უნდა იყოს, ჰოდა, თუ მაინცდამაინც გზად უწყლო ადგილებში მოვხვდებით, ორი-სამი დღის სამყოფს ანტილოპის ტყავის ტიკებით წავიღებთო. ზანგებმა ეს რომ გაიგონეს, ერთიმეორის მიყოლებით რამდენიმეჯერ გაიმეორეს: “ო, დედავ, სულ მართალს ამბობს!” მაგრამ მომდევნო ღამეს მაინც გაიქცა ხუთი ზამბურუელი და ორი ვა-ჰიმელი, მერე კი ყოველღამ ვიღაც აუცილებლად იპარებოდა.

მ?კუნიესა და მ?რუას ბედი მეორედ აღარ უცდიათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, კალის ბრძანებისამებრ, ღამღამობით მათ ხელ-ფეხს უბორკავდნენ.

თანდათან მშრალ მხარეში გადიოდნენ. მზეს უმოწყალოდ გადაეხმო ჯუნგლები. აკაციაც კი აღარსად ჩანდა. ანტილოპების ჯოგები კიდევ გამოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ აღარც ისე მრავალრიცხოვანი. ვირი და ცხენები საზრდოს კიდევ პოულობდნენ, რადგან მაღალი, გამხმარი ბალახის ძირში მრავალ ადგილს კიდევ იმალებოდა ბევრად დაბალი, ძალზე მწვანე და ნაკლებად გამხმარი ბალახი. მაგრამ კინგი ამას ვერ ახერხებდა და ჩამოხმა. მაგრამ, თუ აკაციას დაინახავდა, თავით მოტეხდა, საგულდაგულოდ ჭამდა ფოთლებს და არც შარშანდელებს იწუნებდა. ქარავანი, მართალია, ყოველდღე პოულობდა წყალს, მაგრამ ხშირად მღვრიეს, რომელიც უნდა გაფილტრულიყო, ანდა – მლაშეს და სასმელად უვარგისს. მერე ისეც მოხდა, რომ სტაშის მიერ კალის მეთაურობით წინდაწინ გაგზავნილი ხალხი, რამდენიმეჯერ ხელცარიელი მობრუნდა, რადგან ვეღარც გუბურა იპოვეს, ვეღარც ნაპრალში ჩამალული ნაკადული და კალი სახედამწუხრებული მოახსენებდა: “მადი აპანა” (წყალი არ არის).

სტაშს ესმოდა, რომ ეს ბოლო, დიდი მგზავრობა წინანდელზე არაფრით იოლი არ იქნებოდა და ნელიზე დაიწყო დარდი, რადგან შეცვლილი ეჩვენა. სახე მზესა და ქარზე ყოფნისას, გაშავების ნაცვლად დღითი დღე უფერმკრთალდებოდა, თვალებმა კი ჩვეული ელვარება დაკარგა. უფრო მშრალ ვაკეზე, მართალია, ციებ-ცხელება არ ემუქრებოდა, მაგრამ, ეტყობოდა, პაპანაქება გოგონას ძალ-ღონეს აცლიდა. ბიჭი ახლა სიბრალულითა და შიშით დაჰყურებდა მის პაწია, ქაღალდივით თეთრ ხელებს და თავს სასტიკად საყვედურობდა, რომ მომზადებასა და სროლაში ზანგების წვრთნას დიდი დრო მოანდომა, და ამის გამო ქარავანი წლის ყველაზე ცხელ დროს გაუყენა გზას.

ამ შიშსა და განსაცდელში დღე დღეს მიჰყვებოდა. მზე მიწას უმოწყალოდ და ხარბად სწოვდა ნესტსა და სიცოცხლეს. ბალახი ისე დაიშაშრა და გახმა, რომ გაქცეული ანტილოპებისა და სხვა ცხოველთა ფეხქვეშ იფშვნებოდა და ცაში მტვრის კორიანტელი დგებოდა. მაგრამ მოგზაურები ერთხელ კიდევ გადააწყდნენ ნაკადულს. ამას შორიდანვე მიხვდნენ მის სანაპიროზე გრძელ რიგად ჩაყოლებული ხეების მიხედვით. ზანგები თავპირისმტვრევით გაიქცნენ და ნაპირზე დაწოლილები უმალვე ხარბად დაეწაფნენ და

მხოლოდ მაშინ შეჩერდნენ, როცა ერთ-ერთ მათგანს ნიანგი ხელზე დაახტა. სხვები ამხანაგის საშველად მოცვივდნენ და მსწრაფლვე ამოაგდეს ნაპირზე საძაგელი მხეცი, რომელსაც არაფრით არ უნდოდა ხელისთვის პირის გაშვება, თუმცაღა ყბა შუბებითა და დანებით გააღებინეს. ამ საქმეს ბოლო მოუღო კინგმა, რომელმაც მას ფეხი დააბიჯა და ისე იოლად გასრისა, თითქოსდა დამპალი სოკო ყოფილიყოს.

ხალხმა წყურვილი რომ მოიკლა, სტაშმა ბრძანა, თავთხელში გაეკეთებინათ მაღალი ბამბუკებისაგან მრგვალი შემოღობილი, რომელსაც შესასვლელი მხოლოდ ნაპირიდან ექნებოდა, რათა ნელის სრულიად უშიშრად ებანავა. ამას არ დასჯერდა და იქვე მცველად კინგი დააყენა. ბანაობამ გოგონა გამოაცოცხლა, დასვენებამ კი ჯანზე მოიყვანა.

ნელისა და მთელი ქარავნის გასაოცრად ბვანა კუბვამ იმ წყალთან ორი დღით დარჩენა გადაწყვიტა. ამ ცნობამ ხალხი უზომოდ გაამხიარულა და უმალვე დაივიწყა გადატანილი სიძნელენი. გამოძინებისა და დანაყრების შემდეგ ზოგიერთი ზანგი ხეებს შორის ხეტიალს მოჰყვა. რამდენიმე მათგანი ბანაკში მხოლოდ მზის ჩასვლისას დაბრუნდა და თან მოიტანა თეთრი კვადრატული საგანი. მასში სტაშმა საკუთარი ფრანი ამოიცნო.

მას ეწერა ნომერი 7, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ იგი ლინდეს მთიდან იყო გამოშვებული. სტაში ამან უზომოდ გაახარა და მხნეობა შემატა.

– ვერც წარმოვიდგენდი, – ეუბნებოდა ნელის, რომ ფრანებს ამხელა მანძილზე გადმოფრენა შეეძლოთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ კარამოიოს მწვერვალებს შერჩებოდნენ და ისე, ყოველი შემთხვევისათვის, ვუშვებდი, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ქარს მათი წაღება შეუძლია იქით, საითაც მოვინდომებ და იმედი მაქვს, რომ ბასა-ნაროკის შემოგარენი მთებიდან და ახლაც, გზიდან გაშვებულები, ოკეანემდე მიაღწევდნენ.

– აუცილებლად მიაღწევდნენ. – მიუგო ნელიმ.

– ღმერთმა ქნას! – დაუდასტურა შემდგომი გზის საშიშროებასა და სიძნელეზე დაფიქრებულმა ბიჭმა.

ნაკადულის სანაპიროდან მესამე დღეს დაძრულმა ქარავანმა ტყავის ტიკებით წყლის დიდი მარაგი წაიღო. მოსაღამოებამდე ისევ მიადგნენ მზისგან გადამწვარ მხარეს, სადაც აკაციებიც კი არ იზრდებოდა, ზოგ ადგილას კი მიწა თიხის იატაკივით მოტიტვლებულიყო. მხოლოდ ალაგ-ალაგ ხვდებოდათ მიწაში ტოტებჩაზრდილი, დაღვლარჭნილი გოგრისმაგვარი პასიფლოსობა, რომელსაც ორი წყრთისხელა დიამეტრი ჰქონდა. მისი ვეებერთელა ბირთვებიდან გამოზრდილი წვრილი ზონრებივით ლიანები მიწაზე ცოცვა-ცოცვით თვალუწვდენელ სივრცეს ისე სქლად

მოსდებოდა, შიგ თაგვიც ვერ გააღწევდა, მაგრამ, მიუხედავად მცენარის მშვენიერი მწვანე ფერისა, გარეგნულად ევროპულ ნაძვს რომ მიაგავდა, იმდენი ეკალი აღმოაჩნდა, რომ ვერც კინგი და ვერც ცხენები პირს ვერ აკარებდნენ, მას მხოლოდ ვირი თუ წიწკნიდა, ისიც ერთობ ფრთხილად.

დროდადრო კი რამდენიმე ინგლისური მილის მანძილზე თვალი ვერაფერს ხედავდა გარდა ხეშეში, ჯუჯა ბალახისა და დაბალ-დაბალი უკვდავასნაირი მცენარეულობისა, რომელიც შეხებისთანავე იფშვნებოდა. პირველი ღამის შემდეგ მთელი მეორე დღე ციდან ნამდვილი ცეცხლი იფრქვეოდა. ჰაერი მცხუნვარებისაგან ისე თრთოდა, როგორც მაშინ, ლიბიის უდაბნოში. ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც არ ჩანდა. დედამიწა იმგვარ შუქს მოეცვა, ყველაფერი პირწმინდად გადათეთრებულიყო და ერთი ჩქამი, მუმლის ერთი ბზუილი რაა, ისიც კი არ არღვევდა ამ სამარისებურ, ავბედითი შუქით გაჯერებულ მდუმარებას.

ხალხს ოფლი ღვარად სდიოდა. ხანდახან ერთ დიდ ზვინად დააწყობდნენ შეხვეულ შებოლილ ხორცსა და ფარშს, რათა მის ჩრდილში ოდნავ მაინც მოეთქვათ სული. სტაშმა წყლის ყაირათიანად სმის ბრძანება გასცა, მაგრამ ზანგები ბავშვებივით არიან და ხვალინდელ დღეზე ფიქრით თავს როდი იწუხებენ. ბოლოს საჭირო გახდა წყლის მზიდავებისთვის მცველების დაყენება და წყლის გადანაწილება. კალი ამას ერთობ კეთილსინდისიერად აკეთებდა, მაგრამ ეს დიდ დროს მოითხოვდა და სვლას ანელებდა, თან ახალი წყლის მოძებნის დროც აღარ რჩებოდათ. ზამბურუელები საყვედურობდნენ, რომ ვა-ჰიმელებს მეტი წყალი ეძლეოდათ, ვა-ჰიმელები კი საპირისპიროს ფიქრობდნენ. ზამბურუელებმა მუქარა დაიწყეს, რომ უკან გაბრუნდებოდნენ, მაგრამ სტაშმა განუცხადათ, ფარუ თავებს წაგაცლითო, თავად კი თავის რემინგტონიან მსროლელებს უბრძანა, კაციშვილი არ გაეშვათ.

მეორეჯერ ღამის გათევა მოტიტვლებულ ვაკეზე მოუხდათ... ბომა, ანუ ზერიბა, როგორც სუდანში ეძახიან, არ აუგიათ, რადგან ახლომახლო ფიჩხის ჭაჭანებაც არ ჩანდა. ბანაკის მცველებად კინგი და ლომა დააყენეს. ეს სრულიად საკმარისი იყო, მაგრამ კინგი, რომელიც საჭიროზე ათჯერ ნაკლებ წყალს ღებულობდა, მზის ამოსვლამდე ბღავილით იკლებდა იქაურობას, ენაგადმოგდებული ლომა კი სტაშსა და ნელის შესცქეროდა მავედრებელი თვალებით. გოგონას ძალიან უნდოდა, სტაშის მხარზე გადაკიდებული მათარიდან მისთვის წყალი დაესხა, მაგრამ ბიჭი იმას პაწიას უნახავდა შავი დღისათვის და უარი უთხრა.

მეოთხე დღეს, შებინდებისას, მხოლოდ ხუთი მომცრო ტიკი წყალიღა დარჩათ, ანუ თითოეულისთვის – ნახევარ ჯამამდე. რამდენადაც ღამე, ასე თუ ისე, დღეზე მეტად გრილია, თან წყურვილიც ნაკლებ შემაწუხებელია, ამასთანავე, დღისით ხალხმა ცოტაოდენი მაინც დალია, ამიტომაც სტაშმა დარჩენილი წყლის ხვალისათვის შენახვა

ბრძანა. ზანგები ამ გადაწყვეტილებას უკმაყოფილების გამომხატველი ყრუ ბუბუნით შეხვდნენ, მაგრამ სტაშისა ჯერ კიდევ ძალიან ეშინოდათ და ბოლო მარაგს არ მისევიან, სამაგიეროდ ტიკებს მცველებად დაუყენეს ორი რემინგტონიანი კაცი, რომლებიც ყოველ საათში სხვებს უნდა შეეცვალათ.

წყურვილისაგან გასავათებული ვა-ჰიმელები და ზამბურუელები ბალახს ძირფესვიანად თხრიდნენ და ფესვებს წუწნიდნენ, მაგრამ მათ წვეთი სინესტეც კი არ შერჩენოდათ, რადგან ულმობელ მზეს მიწის წიაღიც გამოეშრო.

ძილი, მართალია, წყურვილს არ კლავდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, წყალს მაინც ავიწყდებდათ, ამიტომაც მთელი დღის სიარულით ქანცგამოცლილნი დაბინდებისთანავე პირდაპირ მიწაზე მიეყარნენ და ღრმა ძილს მისცეს თავი. სტაშიც დაწვა, მაგრამ ბევრი საფიქრალ-სადარდებლის გამო მშვიდი და ღრმა ძილი არ მიჰკარებია. რამდენიმე საათის შემდეგ გაეღვიძა და გამწარებული დაფიქრდა, რა ეღონა ან სად ეშოვა წყალი ნელისა და ქარავნისათვის, ანუ საქონლისა და ადამიანებისათვის? მძიმე დღეში, შესაძლოა, საშინელ დღეშიც კი ჩაცვივდნენ, მაგრამ საზრიანი ბიჭი ჯერ სასოწარკვეთილებას არ მისცემოდა. ყველაფრის გახსენება სცადა, რაც ფაიუმიდან მოტაცების შემდგომ თავს გადახდენოდათ: პირველი დიდი მგზავრობა საჰარაზე, ქარიშხალი უდაბნოში, გაქცევის მცდელობა, ხარტუმი, მაჰდი, ფაშოდი, გებჰრის ხელიდან გასხლტომა, შემდეგ გზა ლინდეს სიკვდილამდე და ბასა-ნაროკიდან იმ ადგილამდე, სადაც ახლა ღამეს ათევდნენ: "იმდენი ვიარეთ, იმდენს გავუძელით, – ამბობდა გუნებაში, – ისე ხშირად მეგონა, რომ ყველაფერი წყალში ჩაიყარა და საშველი აღარ იყო, მაგრამ ღმერთი ყოველთვის დამეხმარა და საშველიც ყოველთვის გამოჩნდა. ჰოდა, შეუძლებელია, ამხელა გზისა და ამდენი საშინელი ხიფათის გადატანის შემდეგ, თანაც ბოლო გზაზე დავიღუპოთ. ცოტაოდენი წყალი კიდევ გვაქვს. აქაურობა ხომ საჰარა არ არის; ასე რომ იყოს, ხალხს უეჭველად ეცოდინებოდა".

მისი იმედის უმთავრესი წყარო იყო ის, რომ ჭოგრიტით სამხრეთ-აღმოსავლეთით დღისით რადაც ბურუსისფერი მთებისმაგვარი მოხაზულობა გაარჩია. იქამდე, შესაძლოა, ასი ინგლისური მილიც ყოფილიყო, შესაძლოა – მეტიც, მაგრამ მიღწევა რომ მოეხერხებინათ, გადარჩენილები იყვნენ, რადგან მთებში უწყლობა იშვიათია. მაგრამ იქამდე რამდენ დროს მოანდომებდნენ, ამის გამოთვლა უკვე აღარ შეეძლო, რადგანაც ეს მთების სიმაღლეზე იყო დამოკიდებული. მაღალი მწვერვალები ისეთ გამჭვირვალე ჰაერში, როგორიც აფრიკაშია, წარმოუდგენლად შორ მანძილზე მოჩანს, ამიტომაც წყლის პოვნა მანამდე იყო საჭირო; არადა, დაღუპვა ელოდათ.

"საჭიროა", – გაიმეორა სტაშმა თავისთვის.

სპილოს ხიხინიანი სუნთქვა სტაშს ფიქრს წამდაუწუმ აწყვეტინებდა. მოეჩვენა, თითქოს კვნესამ მოაღწია ბანაკის მეორე მხრიდან, ანუ იქიდან, სადაც ბალახწაფარებული წყლიანი ტიკები ეწყოთ. რამდენადაც კვნესა კიდევ და კიდევ გამეორდა, ადგა და იქით გაემართა იმის გასაგებად, რა ხდებოდა. ისე ნათელი ღამე იყო, შორიდანვე დაინახა გვერდიგვერდ მიწოლილი ორი შავი ჩრდილი და მთვარის შუქზე მოელვარე ორი რემინგტონის ლულა.

“ზანგები ყველანი ერთნაირები არიან! – გაიფიქრა. – წყალს, რომელიც ახლა ჩვენთვის ამქვეყნად ყველაზე ძვირფასია, თვალისჩინივით უნდა გაფრთხილებოდნენ, ამათ კი ისე დაუძინიათ, თითქოს საკუთარ ქოხებში იწვნენ. ოჰ! იცოცხლე, ხვალ კალის ბამბუკს საქმე გამოუჩნდეს”.

ეს რომ გაიფიქრა, მცველებს მიუახლოვდა და ერთ-ერთს ფეხი წაჰკრა, მაგრამ შეშინებულმა უმალვე უკან დაიხია.

თითქოსდა მძინარე ზანგი პირაღმა გაშოტილიყო და ყელში ჩასობილი დანის ტარიღა მოუჩანდა, იქვე მწოლარე მეორე მცველისთვის კი ყელი ისე გამოეღადრათ, თავი ტანს თითქმის მოსცილებოდა.

წყლის ორი ტიკი გამქრალიყო, დანარჩენი სამი იქვე მიმობნეულ ბალახში ეყარა დაჭრილ-დაჩუტული.

სტაშმა იგრძნო, რომ თმა ყალყზე უდგებოდა.

კარი XV

მის ყვირილზე პირველმა კალიმ მოირბინა. მას კვალდაკვალ მოჰყვა ორი მსროლელი, რომლებსაც მცველები უნდა შეეცვალათ, შემდეგ კი მკვლელობის ადგილას ყველა ვა-ჰიმელმა და ზამბურუელმა მოიყარა თავი და ატყდა ერთი ყაყანი და ვაი-უშველებელი. დაიწყო ყვირილითა და შიშით აღსავსე არეულ-დარეულობა. მათ იმდენად მკვლელობა და მოკლულები არ ენაღვლებოდათ, რამდენადაც წყლის ის ბოლო წვეთები, რომლებიც ჯუნგლების გავარვარებულ ნიადაგს უკვე შეესრუტა. ზოგი ზანგი მიწას ეცა, ბღუჯა-ბღუჯად ამოგლიჯა და დარჩენილი ტენი შეისრუტა. სხვები ყვიროდნენ, რომ ბოროტმა სულებმა დახოცეს მცველები და დაჭრეს ტიკები. თუმცა სტაშმა და კალიმ მშვენივრად უწყოდნენ, ამაში ვისი ხელიც ერია. ბალახის გროვასთან მშფოთვარე ხალხს სწორედ

მ?კუნიე და მ?რუა აკლდნენ. იმაში, რაც მოხდა, ორი მცველის მკვლელობასა და წყლის ქურდობაზე მეტი რამ იმალებოდა. დარჩენილი დაჭრილ-დასერილი ტიკები მოწმობდა, რომ ეს იყო შურისძიება და მთელი ქარავნისათვის სასიკვდილო განაჩენი. ბოროტი მზიმუს ქურუმებმა კეთილს სძლიეს. ჯადოქრებმა შური იძიეს ჭაბუკ მეფეზე, რომელმაც მათი თაღლითობა გამოამზეურა და ბნელი ვა-ჰიმელების შემდგომი გაცუცურაკების ნება აღარ მისცა. ახლა ქარავნის თავზე სიკვდილმა გაშალა ფრთები ისევე, როგორც ქორი გაშლის ხოლმე ფრთებს მტრედების თავზე.

ათასი სადარდებელ-საფიქრალით გონებაარეულ კალის გადავიწყებოდა, ებრძანებინა ჯადოქრებისათვის ხელ-ფეხის გათოკვა, როგორც ამას მათი გაქცევის შემდეგ ყოველ საღამოს აკეთებდა. ამას დაემატა ისიც, რომ ზანგებისათვის დამახასიათებელი დაუდევრობის წყალობით, მცველები, ალბათ, მიწვნენ და ჩაეძინათ. თაღლითებს სწორედ ამან შეუწყო ხელი და დაუსჯელად გაქცევაც მოახერხეს.

სანამ აურზაური არ მიწყნარდა და შეშინებული ხალხი არ დაცხრა, ბევრი დროც გავიდა, მაგრამ მკვლელები შორს წასვლას მაინც ვერ მოახერხებდნენ, რადგან დასერილი ტიკების ქვეშ მიწა ჯერაც სველი იყო და სისხლი არც მოკლულებს შეხმობოდათ. სტაშმა გაქცეულების დადევნების ბრძანება გასცა არა მხოლოდ შურისძიების მიზნით, არამედ იმიტომაც, რომ როგორმე ის ორი დარჩენილი წყლის ტიკი მაინც დაებრუნებინათ. ცხენზე ამხედრებულმა კალიმ თან გაიყოლა რამდენიმე ათეული მსროლელი და გაქცეულებს გამოუდგა. სტაშს წასვლა თავადაც უნდოდა, მაგრამ ანაზდად თავში გაუელვა: გაღიზიანებულ და აღელვებულ ზანგებს შორის ნელის დატოვება მეტად სახიფათო იყო და გადაიფიქრა. ოღონდ კალის სთხოვა, ლომაც თან წაეყვანა.

თავად დარჩა, რადგან აჯანყებისა ეშინოდა, განსაკუთრებით კი ზამბურუელთა მხრიდან. მაგრამ ამჯერად შეცდა. ზანგები ხშირად აჯანყდებიან ხოლმე, თანაც სრულიად უბრალო მიზეზის გამო, მაგრამ, როდესაც თავს დიდი უბედურება დაატყდებათ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა სიკვდილის მსახვრალ ხელს შეიგრძნობენ, მას სრულიად შეუწინააღმდეგებლად ემორჩილებიან, თანაც არა მარტო ისინი, ვისაც ისლამმა ბედისადმი მორჩილება ასწავლა, არამედ ყველანი. მსგავს შემთხვევაში უკანასკნელი გარინდებიდან მათ გამოსარკვევად მღელვარებაც უძლურია და ტანჯვაც. ასე მოხდა ამჯერადაც. გაიარა თუ არა პირველმა მშფოთვარე ვნებამ და გონებაში ღრმად ჩაეჭედათ აზრი, რომ სიკვდილი გარდუვალი იყო, ვა-ჰიმელები, ისევე როგორც ზამბურუელები, სიკვდილის მოლოდინში უშფოთველად დაწვნენ მიწაზე, რის გამოც აჯანყება კი არა, საშიში ის იყო, მოინდომებდნენ თუ არა მეორე დღეს ადგომასა და გზის გაგრძელებას. ამას რომ მიხვდა, სტაშს გული მათდამი უზომო სიბრალულით აღევსო.

კალი ბანაკში განთიადამდე დაბრუნდა და სტაშის წინ დააწყო დაფხრეწილი ტიკები, რომლებშიც წვეთი წყალიც აღარ დარჩენილიყო.

– დიდო ბატონო, – თქვა, – მადი აპანა!

სტაშმა ოფლიანი შუბლი ხელით მოიწმინდა და ჰკითხა:

– მ?კუნიე და მ?რუა?

– მ?კუნიე და მ?რუა მოკვდომა – მიუგო კალიმ.

– შენ უბრძანე მათი მოკვლა?

– ისინი მოაკვდინა ლომმა ან ვობომ.

და უამბო, რაც მომხდარიყო. ორივე დამნაშავის გვამი ბანაკიდან საკმაოდ შორს ეპოვათ, იმ ადგილას, სადაც მათთვის სიკვდილს მოესწრო. გვერდიგვერდ იწვნენ, ორივეს კეფა ჰქონდა გახეთქილი, ბეჭები დაფლეთილი და ზურგი გამოჭმული. კალის ვარაუდით, როცა მთვარის შუქზე ვობო თუ ლომი დაინახეს, მის წინ მუხლებზე დაემხნენ და ვედრება დაუწყეს, მათთვის სიცოცხლე ეჩუქებინა, მაგრამ საშინელმა მხეცმა არც ერთი მათგანი არ შეიწყალა და, შიმშილის გრძნობა რომ დაიკმაყოფილა, წყალი იყნოსა და ტიკები დაფლითა.

– ისინი ღმერთმა დასაჯა. – თქვა სტაშმა. – ვა-ჰიმელები დარწმუნდებიან, რომ ბოროტ მზიმუს არავის გადარჩენა არ შეუძლია.

კალიმ კი გაიმეორა:

– ღმერთმა ისინი კი დასაჯა, მაგრამ ჩვენ წყალი არა.

– შორს, ჩვენ წინ, აღმოსავლეთის მხარეს, მთები დავინახე. იქ წყალი აუცილებლად იქნება.

– კალიმაც დაინახა, მაგრამ იქამდე ბევრი, ბევრი დღე...

მდუმარება ჩამოწვა.

– ბატონო, – ხმა ამოიღო კალიმ, – იქნებ, კეთილმა მზიმუმ... იქნებ, ბიბიმ სთხოვოს დიდ სულს წვიმა ან მდინარე.

სტაში უხმოდ გასცილდა. კარვის წინ ნელის თეთრი ტანი დალანდა; ყვირილსა და ზანგების ღმუილს, რა ხანია, ისიც გაეღვიძებინა.

– რა მოხდა, სტაშ? – ჰკითხა მისკენ გამოქცეულმა.

ვაჟმა გოგონას პაწია თავზე ხელი დაადო და დარბაისლურად უთხრა:

– ნელი, ილოცე და შესთხოვე ღმერთს წყალი, თორემ სხვაგვარად ყველანი დავიღუპებით.

გოგონამ თავისი გაცრეცილი სახე ზეასწია და მთვარის ვერცხლისფერი ბადროსკენ თვალებმიპყრობილმა ხსნა შესთხოვა იმას, ვინც ზეცაში ვარსკვლავთ კრებულის ბრუნვას განაგებს.

უძილო, ხმაურიანი და მშფოთვარე ღამის შემდეგ მზე თვალსაწიერზე ისე სწრაფად ამოგორდა, როგორც საერთოდ ეკვატორს ქვემოთ იცის ხოლმე და... ნათელი დღეც უცებ გათენდა. ბალახზე ცვრის წვეთიც არ იდო, არც ღრუბელი ჩანდა ცაზე. სტაშმა მსროლელებს ხალხის შეგროვება დაავალა მცირე საუბრის ჩასატარებლად. განაცხადა, რომ უკან, მდინარისაკენ, დაბრუნება უკვე შეუძლებელი იყო, რადგან ყველამ მშვენივრად იცოდა, იქამდე ხუთი დღე-ღამის გზა ჰყოფდათ, სამაგიეროდ, არავინ უწყოდა, იყო თუ არა წინ წყალი. შესაძლოა, სულ ახლო ყოფილიყო რაიმე წყარო, ნაკადული ანდა გუბურა. მართალია, ხეები არ ჩანდა, მაგრამ ისეც ხომ ხდება ხოლმე, რომ გაშლილ დაბლობზე, სადაც ქარიშხალი მიწაზე თესლს არ აჩერებს, ხეები წყლის პირასაც ვერ ხარობს. გუშინ დაინახეს აღმოსავლეთისაკენ გაქცეული რამდენიმე მოზრდილი ანტილოპა და რამდენიმე სირაქლემა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ იქ რაღაც სარწყულებელი არსებობდა; ამას გარდა, ვინც შტერი არ არის და ვისაც მკერდში კურდღლის კი არა, ლომის ან კამეჩის გული უძგერს, ის წინსვლას ამჯობინებს, თუნდაც წყურვილი და ტანჯვა კლავდეს, ვიდრე დაწვეს და ძერას ან აფთარს ელოდოს.

ამას რომ ამბობდა, ხელით ანიშნა ძერებზე, რომლებიც ქარავნის თავზე უკვე ავბედით ირაოს ხაზავდნენ. ამ სიტყვების შემდეგ, კალის ბრძანებისამებრ, თითქმის ყველა ვა-ჰიმელი ადგა, რამეთუ მიჩვეულნი იყვნენ მკაცრ სამეფო ძალაუფლებასა და შეწინააღმდეგებაც ვერავინ გაბედა. სამაგიეროდ, ზამბურუელთა უმეტესობამ იმის გამო, რომ მათი მეფე ფარუ ტბის სანაპიროზე დარჩა, ადგომა არ ისურვა და ერთმანეთს გადაულაპარაკეს: “რად უნდა წავიდეთ სიკვდილის მოსაძებნად, როცა ის ისედაც მოდის ჩვენკენ?” ასე და ამგვარად, თითქმის განახევრებული ქარავანი გაუდგა გზას, მაგრამ ისიც ტანჯვით. ხალხს ოცდაოთხი საათის განმავლობაში არც წყალი და არც სხვა რამ სითხე პირში არ ჩასვლია. ასეთი რამ თვით უცივეს ამინდშიც კი გაუსაძლისი ტანჯვა იქნებოდა დიდი ფიზიკური დატვირთვის ვითარებაში, მით უფრო აფრიკის ამ გავარვარებულ ღუმელში, სადაც ისინიც კი, ვინც წყალს უხვად ღებულობს, სითხეს უმალვე ისე სწრაფად გამოყოფს ოფლის სახით, რომ შეუძლია, ხელის ერთი ჩამოსმით ჩამოიწუროს იგი კანიდან. წინდაწინვე უნდა ევარაუდათ, რომ გზადაგზა ბევრი დავარდებოდა გამოფიტვისა და მზის დარტყმისაგან. სტაში ნელის მზისაგან შეძლებისდაგვარად იცავდა და ერთი წამითაც არ აძლევდა ნებას, თავი გამოეყო

ტახტრევანიდან, რომლის სახურავსაც გასაორმაგებლად კიდევ თეთრი ჩითი გადააკრა. კაუჩუკის მათარაში დარჩენილი ცოდაოდენი წყლისგან მაგარი ჩაი მოადუღა და გაგრილებული უშაქროდ დაალევინა, რადგან ტკბილი წყურვილს აძლიერებს. გოგონა ცრემლმორეული შეევედრა, მასაც დაელია. ამიტომაც იძულებული გახდა, ტუჩებზე მიედო მათარა, რომელშიც ორიოდ ყლუპიღა დარჩენილიყო და ყელი ისე აემოძრავებინა, თითქოს მართლა დალია. ტუჩებზე სისველე შეიგრძნო თუ არა, მოეჩვენა, თითქოს მკერდსა და კუჭში ცეცხლს წყლით თუ არ ჩააქრობდა, უმალვე სული გასძვრებოდა. თვალებში წითელი წინწკლები აურიალდა, ყბებში ისეთი გაუსაძლისი ტკივილი იგრძნო, თითქოს ვიღაცამ შიგ ათასობით ნემსი გაურჭოო. ხელი აუთრთოლდა და კინაღამ დარჩენილი წვეთები არ დაღვარა. ასე თუ ისე, ორი-სამი წვეთი მაინც მოხვდა ენაზე; დანარჩენი ნელის შეუნახა.

ჩაიარა ჯაფისა და ტანჯვის კიდევ ერთმა დღემ, რომელსაც, საბედნიეროდ, გრილი ღამე მოჰყვა. სამაგიეროდ, მეორე დღეს დილიდანვე გაუსაძლისმა სიცხემ დააჭირა. ოდნავი ნიავიც არ ქროდა. მზე საშინლად იკბინებოდა და გამხმარი მიწისთვის ლამის ცეცხლი შეენთო. თვალსაწიერის კიდეები გათეთრებულიყო. სადამდეც მზერა მისწვდებოდა, რძიანაც კი არსად ჩანდა. არაფერი – გარდა გადახრუკული, მოტიტვლებული ვაკისა, რომელიც გაშავებულ ბალახსა და მანანის ბღუჯებს დაეფარა. დროდადრო, უსაზღვრო შორეთიდან, ოდნავგასაგონი ქუხილი აღწევდა, მაგრამ მოწმენდილი ზეცის ფონზე იგი გვალვას უფრო მოასწავებდა, ვიდრე ქარიშხალს.

შუადღისას, როცა ყველაზე გაუსაძლისი სიცხე ჩამოწვა, გაჩერება აუცილებელი გახდა. ქარავანმა მდუმარედ დასცა ბანაკი. აღმოჩნდა, რომ ერთი ცხენი დავარდნილიყო, თან გზაში ათეულობით ფეხოსანიც დარჩენილიყო. დასვენებისას ჭამა აზრადაც არავის მოსვლია. ხალხს თვალები ჩასცვენოდა და დახეთქილ ბაგეებზე სისხლი შეხმობოდა. ნელის პირი ბარტყივით დაეფჩინა, ამიტომაც სტაშმა კაუჩუკის მათარა ხელში მიაჩეჩა, თავად კი “დავლიე, დავლიე!”-ს ძახილით გაიქცა ბანაკის მეორე მხარეს, რადგან შეეშინდა, რომ დარჩენილიყო, წყალს ან წაართმევდა, ანდა განაწილებას მოსთხოვდა. შესაძლოა, მთელი ამხელა გზის განმავლობაში ეს იყო მისი ყველაზე გმირული საქციელი. სამაგიეროდ, თავად საშინლად იტანჯებოდა. კრიჭა შეეკრა და ყბებს გაჭირვებითღა ამოძრავებდა. ყელი გაუშრა, თითქმის დაუსკდა. პირში ნერწყვის ნასახსაც ვეღარ გრძნობდა. ენა გაუშეშდა. მისთვის და მთელი ქარავნისთვისაც ეს იყო ნამდვილი ტანჯვა-წამების დასაწყისი.

გვალვის მომასწავებელი ქუხილი ახლა წამდაუწუმ მოისმოდა თვალსაწიერის კიდეებიდან. დაახლოებით სამი საათისათვის, როცა მზე დასავლეთისკენ იწყებს გადახრას, სტაშმა ქარავანი წამოშალა და აღმოსავლეთისაკენ წაუძღვა. ამჯერად მას სამოცდაათიოდე ადამიანი თუღა მიჰყვებოდა, მაგრამ იმათთაგანაც დროდადრო

რომელიმე მიწაზე დაგდებულ ფუთას მიუწვებოდა, რათა აღარასოდეს ამდგარიყო. ტემპერატურა რამდენიმე გრადუსით დაეცა, მაგრამ მაინც საშინლად ცხელოდა. გარინდულ ჰაერში თითქოსდა მხუთრის სუნი დატრიალდა. ხალხს სუნთქვა უჭირდა, მაგრამ მათზე არანაკლებ იტანჯებოდა პირუტყვიც. წამოსვლიდან ერთი საათის შემდეგ კიდევ ერთი ცხენი დავარდა. ლომა მძიმედ სუნთქავდა და პირს აფჩენდა; გადმოგდებულ შავ ენაზე დორბლის წვეთიც არ უჩანდა. აფრიკის ცხელ ჯუნგლებს შეჩვეული კინგი თითქოსდა ნაკლებად იტანჯებოდა, სამაგიეროდ გაბოროტება დაეტყო. პაწია თვალებში ავი ცეცხლი ჩაუდგა. სტაშს, უფრო კი ნელის, რომელიც მეგობარს დროდადრო რაღაცას ელაპარაკებოდა, ჯერ კიდევ ბუყბუყით ესაყვედურებოდა, მაგრამ, როცა კალიმ უხეშად ჩაუარა, მრისხანედ ახრუტუნდა და ხორთუმი ისე მოუქნია, უეჭველად სულს გააფრთხობინებდა, ბიჭს რომ არ ემარჯვა და განზე არ გამხტარიყო.

კალის თვალებში სისხლი ჩაქცეოდა, ძარღვები დაბერვოდა და ტუჩები სხვა ზანგებივით დახეთქოდა. ხუთიოდ საათზე სტაშს მიუახლოვდა და ყელში ძლივს ამოტეული მოგუდული ხმით უთხრა:

– დიდო ბატონო, კალის მეტი სიარული აღარ შეუძლია. დაე, აქ წამოეწიოს ღამე.

სტაშმა ყბების ტკივილს სძლია და გაჭირვებით ამოღერღა:

– კეთილი. შევჩერდეთ. ღამე შვებას მოგვიტანს.

– სიკვდილს მოგვიტანს. – წაიჩურჩულა ჭაბუკმა ზანგმა.

ხალხმა თავზე დაწყობილი ბარგი მოიხსნა, მაგრამ, რამდენადაცშედეედებულ სისხლში სიცხემ უმაღლეს საფეხურს მიაღწია, მიწაზე უმალვე არ დაწოლილან. გული და საფეთქლები, ასევე ხელ-ფეხის ძარღვები ისე გამალებით უცემდათ, თითქოს საცაა, უნდა გასკდესო. ტანზე შემომხმარ-დაჭიმული კანი აექავათ. ძვალ-რბილში გაუგონარი მღელვარება შეენთოთ, შიგანსა და ყელ-კისერში კი – ცეცხლი. ზოგიერთები მოუსვენრად წრიალებდნენ მიყრილ-მოყრილ ბარგს შორის, სხვები კი, ჩამავალი მზის მეწამული სხივებით განათებულნი, გამხმარ ბღუჯებს შორის ისე დაბორიალებდნენ, იფიქრებდით, რაღაცას ეძებენო. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ქანცი საბოლოოდ არ გაუწყდებოდათ. აი, მაშინ კი ერთიმეორის მიყოლებით ეცემოდნენ მიწაზე, მაგრამ დაწოლილებიც საშინლად იკრუნჩხებოდნენ. სტაშისა და ნელის წინ ჩაცუცქებულ კალის პირი დაეფჩინა, ჰაერს ძლივს ყლაპავდა და ამოსუნთქვებს შორის ვედრებით ამბობდა:

– ბვანა კუბვა, წყალი!

სტაშს მისთვის გაყინული მზერა მიეპყრო და დუმდა.

– ბვანა კუბვა, წყალი! – და მერე, კიდევ: – კალი კვდება...

მაშინ მეა, რომელიც რაღაც მიზეზის გამო წყურვილს იოლად უძლებდა და ყველაზე ნაკლებადაც იტანჯებოდა, მიუახლოვდა, გვერდით მიუჯდა, მკლავები კისერზე შემოხვია და მშვიდი, ნარნარა ხმით წასჩურჩულა:

– მეას კალისთან ერთად სურს სიკვდილი...

ხანგრძლივი მდუმარება ჩამოწვა.

. . . . . .

ამასობაში მზე ჩავიდა და ღამემ შთანთქა შემოგარენი. ზეცას ლაინისფერი გადაეკრა. მის სამხრეთ მხარეს ჯვარი აკიაფდა. გადაშლილ ვაკეს ვარსკვლავთ კრებული გადმოეფინა. დედამიწიდან მთვარემ ამოანათა და სიბნელე შუქით გააჯერა, დასავლეთით კი მქრქალი, ცრიატა ზოდიაქური ნათელი გადაიჭიმა. სივრცე ერთ უზარმაზარ, ნათელ უსასრულობად იქცა. მიდამო სულ უფრო და უფრო კაშკაშა ნათელში ეხვეოდა. კინგის ზურგზე დავიწყებული ტახტრევანი – კარავი ისე ბრწყინავდა, როგორც ნათელ ღამეში კირით ახალშეთეთრებული სახლი ბრწყინავს ხოლმე. ქვეყნიერება მდუმარებაში იძირებოდა. დედამიწას ძილი ერეოდა.

ბუნების ამ სიმშვიდისა და სიწყნარის საპირისპიროდ ბანაკში ადამიანები ტკივილისაგან ყმუოდნენ და სიკვდილს ელოდნენ. წყვდიადის ვერცხლისფერ ფონზე მკვეთრად ისახებოდა სპილოს ვეებერთელა, შავი ფიგურა. მთვარის სხივებს, კარვის გარდა, ნელისა და სტაშის თეთრი სამოსიც გაენათებინა, ხოლო მანანის ბღუჯებს შორის ზანგების მუქი, დაკრუნჩხული სხეულები და აქა-იქ მიმოყრილი ფუთები მოჩანდა. ბავშვების მახლობლად წინა თათებზე დაყრდნობილი ლომა იჯდა და მთვარის ბადროსკენ თვალმიშტერებული ნაღვლიანად ყმუოდა.

სტაშს სულს უფორიაქებდა აზრის ნარჩენები, გარდაქმნილი ერთ უკიდეგანო, სასოწარკვეთილ გრძნობად, რომ ამჯერად უკვე არანაირი ხსნა არ ჩანდა, რომ ამდენი ჯაფა და მცდელობა, ამდენი ტანჯვა, ნებისყოფისა და სიმამაცის დაძაბვა, რაც მან გამოიჩინა ამ საშინელი მგზავრობისას მედინეთიდან ხართუმამდე, ხართუმიდან ფაშოდამდე და ფაშოდიდან თვით იმ უცნობ ტბამდე, სულ ამაო გამოდგა და დღის წესრიგში მკაცრად დადგა ყოფნა-არყოფნის საკითხი. და ეს მით უფრო საშინლად ეჩვენებოდა, რომ ყოველივე ხდებოდა უკანასკნელი მგზავრობისას, რომლის ბოლოშიც თვალუწვდენელი ოკეანე გადაჭიმულიყო. ოჰ, ვეღარ მიაცილებს პატარა ნელის სანაპირომდე, ვეღარ ჩაიყვანს გემით პორტ-საიდში, ვერ ჩააბარებს მას პან რავლისონს, ვერც თავად ჩაუვარდება მამას მკლავებში და ვერ გაიგონებს მის ბაგეთაგან: ყოჩაღი ბიჭი ხარ და ჭეშმარიტი პოლონელი! მორჩა, მორჩა! რამდენიმე დღე მზე დააცხუნებს მათ

გვამებს, მერე კი უმოწყალოდ გამოახმობს იმ მუმიებივით, რომლებსაც ეგვიპტის მუზეუმებში მოუპოვებიათ საუკუნო განსასვენებელი.

ტანჯვისა და სიცხისაგან გონება აემღვრა. სიკვდილისწინა ხილვები და მოჩვენებითი ხმები მოეძალა. თითქოსდა აშკარად ჩაესმოდა, სუდანელები და ბედუინები როგორ დასძახოდნენ აქლემებს "იალა! იალა!" ხედავდა იდრისსა და გებჰრს. მაჰდი თავისი სქელი ტუჩებით უღიმოდა და ეკითხებოდა: "გსურს, ჭეშმარიტების წყაროს დაეწაფო?"... მერე ლომი უყურებდა კლდიდან; მერე ლინდე აძლევდა ქინაქინას და ეუბნებოდა: "იჩქარე, იჩქარე, თორემ პაწია მოკვდება". სულ ბოლოს დაინახა ფერმკრთალი, ძალზე საყვარელი პატარა სახე და მისკენ ვედრებით გამოშვერილი ორი გაწლობილი მკლავი.

ანაზდად შეკრთა და წამიერად გონს მოეგო, რადგან ყურში ჩაესმა ნელის წყნარი, კვნესისმაგვარი ჩურჩული:

– სტაშ... წყალი!

კალის მსგავსად, ნელიც მისგან ელოდა შველას.

მაგრამ, რამდენადაც თორმეტი საათის წინათ მისცა წყლის უკანასკნელი წვეთები, ახლა ფეხზე წამოიჭრა და სასოწარკვეთით, წყენითა და ტკივილნარევი ხმით შესძახა:

– ო, ნელი! თავს გაჩვენებდი, თითქოს ვსვამდი! სინამდვილეში უკვე სამი დღეა, პირში წყლის წვეთი არ ჩამსვლია!

და თავზე ხელებწავლებული გაიქცა, რათა მისი ტანჯვისთვის არ ეყურებინა. ბალახისა და მანანის ბღუჯებს შორის მანამ ირბინა, სანამ ქანცი არ გაუწყდა და მიწაზე არ დაეცა. უიარაღოდ იყო. ლეოპარდს, ლომსა თუ მოზრდილ აფთარს სულ იოლად შეეძლო მისი დამორჩილება. მაგრამ მალე ლომამ მოირბინა, დაყნოსა და ისე აყმუვლდა, თითქოს მაშველს უხმობსო.

სტაშის საშველად კი არავინ მოისწრაფოდა. მხოლოდ მაღლიდან დასცქეროდა მშვიდი, გულგრილი მთვარე. ბიჭი დიდხანს იწვა მკვდარივით. იგი აღმოსავლეთიდან ანაზდად მოვარდნილმა ცივმა ქარმა გამოაფხიზლა. წამოჯდა და კარგა ხანს ცდილობდა წამოდგომას, რათა ნელისთან დაბრუნებულიყო.

მეტისმეტად ცივმა ქარმა მეორედაც დაუბერა. ლომამ ყმუილი შეწყვიტა და აღმოსავლეთისაკენ მიბრუნებულმა ნესტოები აათამაშა. ანაზდად ჯერ ერთხელ, მერე მეორედ დაიყეფა თავისი ბოხი ხმით და წინ გაიჭრა. მისი ხმა კარგა ხანს არ ისმოდა, მაგრამ მერე შორიდან მოაღწია. სტაში ადგა და გახევებულ ფეხებზე აქანავებულმა ლომას გახედა. ხანგრძლივმა მგზავრობამ, ჯუნგლებში დიდხანს ყოფნამ, აზრის მუდმივმა დაძაბულობამ და ყოველდღიურმა საშიშროებამ ბიჭს ასწავლა, ყურადღება

მიექცია ყველაფრისათვის, რაც მის ირგვლივ ხდებოდა და, ამჟამინდელი ტანჯვისა და აზრის სანახევროდ დაბინდვის მიუხედავად, ქვეცნობიერადაც, ჩვეულებისამებრ, ძაღლის ქცევას დააკვირდა. საკმაო ხნის შემდეგ ლომა ისევ გამოჩნდა, მაგრამ ამჯერად უცნაურად აწრიალებული და მოუსვენარი ჩანდა. სტაშს რამდენიმეჯერ შეანათა თვალები, ირგვლივ შემოურბინა, ისევ გაიქცა, ჰაერი დაყნოსა და მანანებს შორის აყეფდა, ისევ დაბრუნდა, ბოლოს ბიჭს სამოსზე ჩააფრინდა და ბანაკის მოპირდაპირე მხარისაკენ დაქაჩა.

სტაში საბოლოოდ გამოფხიზლდა.

“ნეტა, რა ხდება? – გაიფიქრა, – წყურვილისაგან შეირყა თუ წყალი იყნოსა. მაგრამ არა!.. წყალი რომ ახლო ყოფილიყო, დასალევად გაიქცეოდა და დრუნჩიც სველი ექნებოდა. თუ შორს არის, ვერ იყნოსავდა... წყალს ხომ სუნი არ აქვს... ანტილოპისთვის ასე ძალიან არ გაიქაჩებოდა, რადგან საღამოს არ ჭამს. არც მტაცებლისათვის... მაშ, რა არის?”

და გული კიდევ უფრო ძლიერ აუძგერდა.

“ეგების ქარმა ადამიანების სუნი მოიტანა და ის იგრძნო? იქნებ, მოშორებით რაიმე ზანგური სოფელია?.. იქნებ, იქამდე... რომელიმე ფრანმა მიაღწია... ო, მოწყალეო ქრისტე! ო, ქრისტე!”..

და იმედის გამონათების წყალობით, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და, მიუხედავად იმისა, რომ ძაღლი რამდენიმეჯერ წინ გადაუდგა და არ უშვებდა, ბანაკისაკენ გაიქცა.

ბანაკში ნელის თეთრი სამოსი მოხვდა თვალში და სმენას მისი სუსტი ხმაც მისწვდა, წუთის შემდეგ კი მიწაზე დაწოლილ კალის წამოედო, მაგრამ ყურადღება არავისთვის მიუქცევია. სწრაფად მივარდა იმ შეკვრას, რომელშიც რაკეტები ეწყო, გაფლითა, ერთი ამოიღო, მთრთოლვარე ხელით დაამაგრა მიწის ნაპრალში ჩარჭობილ ბამბუკზე, ცეცხლი გაანთო და მილაკის ბოლოში ჩამოკონწიალებულ ზონარს წაუკიდა.

წუთიც და, წითელი გველი შიშინ-წუილით გაიჭრა ზეცისკენ. სტაში ბამბუკს ორივე ხელით ჩააფრინდა, რომ არ წაქცეულიყო და თვალები შორეთს გაუშტერა. ხელებსა და საფეთქლებზე ძარღვები გამალებით უცემდა. ბაგეები მხურვალე ლოცვას წარმოთქვამდა. უკანასკნელი ამოსუნქვა და... ისიც ღვთისადმი ლოცვით აღსავსე.

გავიდა წუთი, მეორე, მესამე, მეოთხე. არა და არაფერი ჩანდა. ბიჭს ხელები ჩამოუცვივდა, თავი მიწისკენ დახარა და უკიდეგანო სევდამ დაუსერა განაწამები გული.

– ამაოდ! ამაოდ! – ჩურჩულებდა. – წავალ, ნელის მივუჯდები, ერთად დავლევთ სულს.

. . . . . .

ამასობაში შორს, შორს, მთვარიანი ღამის ვერცხლისფერ ფონზე ცეცხლოვანი ლენტი აიჭრა მაღლა და ოქროსფერ ვარსკვლავებად დაშლილი, დიდრონ-დიდრონი კურცხლებივით, ნება-ნება დაეშვა დაბლა, მიწისკენ.

– გადავრჩით!!! – შესძახა სტაშმა.

და მოხდა ისე, რომ წუთის წინ ნახევრადმკვდარი ადამიანები ბალახებსა და მანანებს შორის ერთმანეთს უსწრებდნენ. პირველ რაკეტას მეორე და მესამე მოჰყვა. მერე ნიავმა მოიტანა რაღაც კაკუნი, რომელშიც იოლად შეიცნო შორეული სროლის ხმა. სტაშმა ყველა რემინგტონის დაქუხების ბრძანება გასცა და ამის შემდეგ შაშხანებით საუბარი აღარც შეწყვეტილა. პირიქით, იგი სულ უფრო და უფრო მკვეთრად ისმოდა. რაღაც სასწაულებრივი ძალით ნაპოვნ ცხენზე ამხედრებულ სტაშს წინ ნელი შემოესვა და მთელი ძალით მიაჭენებდა მხსნელი ხმების მიმართულებით.

ორ ბანაკს ერთურთისაგან რამდენიმე კილომეტრი ყოფდა, მაგრამ, რამდენადაც ორივე მხრიდან ერთმანეთისკენ ერთდროულად მიისწრაფოდნენ, გზა საოცრად დამოკლდა. მალე შაშხანების სროლა არა მარტო ისმოდა, ჩანდა კიდევაც. კიდევ ერთი რაკეტა აიჭრა ჰაერში და ისიც არაუმეტეს რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე. ამის შემდეგ უამრავი შუქი აციმციმდა და მიწა დაფარა, მაგრამ, გასცდა თუ არა იმ ადგილს, სტაში ანთებულჩირაღდნებიანი ზანგების მწკრივის წინ აღმოჩნდა.

მწკრივს წინ ინგლისურჩაფხუტიანი და შაშხანიანი ორი ევროპელი მოუძღოდა.

სტაშმა მათში ანაზდად ამოიცნო კაპიტანი გლენი და ექიმი კლარი.

კარი XVI

კაპიტან გლენისა და ექიმ კლარის ექსპედიციას სტაშისა და ნელის ძებნა არ ჰქონია მიზნად დასახული. ეს იყო მთავრობის მიერ გულუხვად დაფინანსებული და ხალხმრავალი ლაშქრობა, მოწყობილი კილიმანჯაროს მთის სამხრეთ-აღმოსავლეთი კალთებისა და ამ მთის სამხრეთით მდებარე ჯერაც ნაკლებადცნობილი ვეებერთელა

მხარის გამოსაკვლევად. კაპიტანმაც და ექიმმაც იცოდნენ მედინეტ-ელ-ფაიუმიდან ბავშვების მოტაცების ამბავი, რადგან ეს ცნობა ინგლისურმა და არაბულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს, მაგრამ ეგონათ, რომ ორივენი დაიღუპნენ ანდა სულს ღაფავდნენ მაჰდის ტყვეობაში, საიდანაც დღემდე ერთ ევროპელსაც კი არ მოუხერხებია თავის დაღწევა. კლარმა, რომლის დაც ბომბეიელი რავლისონის მეუღლე იყო და რომელიც კაიროში მოგზაურობისას ძალზე მოხიბლა პატარა ნელიმ, საოცრად მტკივნეულად განიცადა მისი დაკარგვა. მაგრამ მასაც და გლენსაც ყოჩაღი ბიჭიც ძალიან შეეცოდათ. პან რავლისონს მომბასიდან რამდენიმეჯერ გაუგზავნეს შეკითხვის დეპეშა, ბავშვები თუ იპოვეთო და, როცა ქარავნის დაძვრამდე ბოლო უარყოფითი პასუხი მიიღეს, იმედი საბოლოოდ გადაეწურათ.

და თავში აზრადაც არ მოსვლიათ, რომ შორეულ ხარტუმში დატყვევებულ ბავშვებს ამ მხარეში შეეძლოთ გამოჩენა. საღამოობით, დღიური სამუშაოს დასრულების შემდეგ, ხშირად საუბრობდნენ მათზე, რამეთუ ექიმს ვერა და ვერ დაევიწყებინა უმშვენიერესი გოგონა.

ამასობაში ექსპედიცია სულ უფრო და უფრო წინ მიიწევდა. კილიმანჯაროს აღმოსავლეთ კალთებზე დიდხანს ყოფნის შემდეგ მდინარე სობატისა და ტანის ზემოწელისა და კენიის მთების გამოკვლევას რომ მორჩნენ, კაპიტანი და ექიმი სამხრეთისაკენ დაუყვნენ გზას და გუასო-ნიიროს ჭაობებიდან სულ მალე გავიდნენ თვალუწვდენელ, უკაცრიელ ვაკეზე, სადაც მხოლოდ ანტილოპების მცირერიცხოვან ჯოგებს თუ მოკრავდნენ თვალს; სამთვიანი მგზავრობის შემდეგ ხალხს ხანგრძლივი დასვენება ეკუთვნოდა, ამიტომაც კაპიტანმა გლენმა, რომელმაც ბედად პატარა, მაგრამ ღრმა და ჯანსაღი ტბა აღმოაჩინა, კარვების გაშლა ბრძანა და ათდღიანი დასვენება გამოაცხადა.

ამ ხნის განმავლობაში თეთრკანიანები ნადირობდნენ და გეოგრაფიულ-საბუნებისმეტყველო ჩანაწერებს აწესრიგებდნენ, ზანგები კი თავიანთი უტკბილესი უსაქმურობით ნებივრობდნენ. ერთ დღესაც ისე მოხდა, რომ დილით ამდგარმა ექიმმა კლარმა სანაპირზე თვალი მოკრა რამდენიმე მოქარავნე ზანზიბარელს, რომელთაც მზერა მაღალი ხის კენწეროსათვის გაეშტერებინათ და რიგრიგობით იმეორებდნენ:

– ნგედე? – აკუნა ნგედე! – ნგედე? (ჩიტია? – ჩიტი არაა! – ჩიტია?)

ექიმი ახლომხედველი იყო, ჰოდა, კარავში შებრუნებულმა საველე დურბინდი გამოიტანა, ზანგების მითითებულ საგანს აჰხედა და სახეზე განცვიფრება გამოეხატა.

– კაპიტანს სთხოვეთ. – თქვა.

სანამ ზანგები მიირბენდნენ, ანტილოპებზე სანადიროდ გამზადებული კაპიტანი კარვიდან გამოვიდა.

– შეხედე, გლენ. – უთხრა ექიმმა და ხელით მაღლა მიანიშნა.

კაპიტანმა თავი ასწია, თვალებზე ხელი მოიჩრდილა და ექიმზე არანაკლებ განცვიფრდა.

– ფრანია! – შესძახა.

– ჰო, მაგრამ ზანგები ფრანებს არ უშვებენ და აქ საიდან გაჩნდა?

– ალბათ, სადმე ახლო-მახლო თეთრკანიანების დასახლებაა ან რომელიმე მისია?..

– მესამე დღეა, ქარი დასავლეთიდან, ანუ უცნობი და ამ ჯუნგლებივით დაუსახლებელი მხრიდან ქრის. მშვენივრად იცი, რომ იქ არც დასახლებაა და არც რაიმე მისია.

– ჰოდა, საგულისხმოც ეგაა!

– ფრანი უნდა ჩამოიხსნას.

– უნდა ჩამოიხსნას. ეგებ, მაშინ მივხვდეთ, საიდანაა გამოშვებული.

კაპიტანმა ბრძანება გასცა. ხე მაღალი იყო, მაგრამ ზანგებს ასვლა არ გასჭირვებიათ, ტოტებში გახლართული ფრანი ფრთხილად ჩამოხსნეს და უმალვე მიაწოდეს ექიმს, რომელმაც დახედვისთანავე წარმოთქვა:

– რაღაც წარწერაა... ვნახოთ...

და თვალებმოწკურული შეუდგა კითხვას.

ანაზდად სახე შეეცვალა, ხელები აუთრთოლდა.

– გლენ, – უთხრა, – ერთი გამომართვი, წაიკითხე და დამარწმუნე, რომ მზეს არ დაურტყამს და სრულ ჭკუაზე ვარ!

კაპიტანმა ფრთხილად გამოართვა ბამბუკის ჩარჩო, რომელზეც ქაღალდი იყო დამაგრებული და კითხვას შეუდგა:

“ნელი რავლისონი და სტანისლავ ტარკოვსკი,

ხარტუმიდან ფაშოდში გაგზავნილები,

ფაშოდიდან კი ნილოსის აღმოსავლეთისაკენ წაყვანილები,

დავრიშებს დაუსხლტნენ ხელიდან,

მრავალი თვის მგზავრობის შემდეგ მივიდნენ აბისინიის

სამხრეთით მდებარე ტბასთან.

მიდიან ოკეანისკენ

ითხოვენ დროულ შველას.”

ფურცლის კიდეზე კი უწვრილესი ასოებით შემდეგი მიეწერათ:

“ეს ფრანი, რიგით ორმოცდამეთოთხმეტე, გამოშვებულია გეოგრაფიისათვის უცნობი ტბის შემოგარენი მთებიდან. მპოვნელს ვთხოვთ, აცნობოს პორტ-საიდში არხის გამგეობას ანდა მომბასში – კაპიტან გლენს.

სტანისლავ ტარკოვსკი”.

კაპიტნის ხმა რომ მიწყდა, მეგობრებმა ერთმანეთს მდუმარედ გადახედეს.

– ეს რა არის? – იკითხა ბოლოს კლარმა.

– საკუთარ თვალებს არ ვუჯერი! – მიუგო კაპიტანმა.

– ხომ არ გვეჩვენება?

– არა.

– გარკვევით წერია: “ნელი რავლისონი და სტანისლავ ტარკოვსკი”.

– საკმაოდ გარკვევით...

– და შესაძლოა, სადმე ამ მხარეშიც არიან?

– ღმერთმა გადაარჩინოთ...

– იდიდოს მისი სახელი! – მხურვალედ შესძახა ექიმმა.

– კი მაგრამ, სად უნდა ვეძებოთ?

– ნუთუ მეტი არაფერი წერია?

– კიდევ რამდენიმე სიტყვაა, მაგრამ ტოტს გაუფხაჭნია და ძნელად იკითხება და ქაღალდისაკენ დახრილებმა კარგა ხნის წვალების შემდეგ აი, რა წაიკითხეს:

“წვიმიანობის სეზონი, კარგა ხანია, გავიდა”.

– ეს რაღას ნიშნავს? – იკითხა ექიმმა.

– იმას, რომ ბიჭს დროის სათვალავი აერია.

– და ამგვარად ეცადა თარიღის აღნიშვნას. მართალი ხარ. მაშასადამე, ეს ფრანი, შესაძლოა, არც ისე დიდი ხნის წინათ იყოს გამოშვებული.

– თუ ასეა, შესაძლოა, ისინი არც ისე შორს იყვნენ.

ცხარე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი კიდევ ერთხანს გრძელდებოდა, რის შემდგომაც ორივე ისევ დოკუმენტის, ყოველი სიტყვის გამოწვლილვით განხილვას შეუდგა. მეტისმეტად უცნაური ამბავი ჩანდა და, რომ არა უახლოეს სანაპირომდე ექვსასკილომეტრიანი მანძილი, ექიმსა და კაპიტანს ეგონებოდათ, რომ ეს იყო უადგილო ხუმრობა რომელიღაც ევროპელი ბავშვებისა ან მისიის აღსაზრდელებისა, რომლებსაც ყმაწვილთა მოტაცებაზე გაზეთებში წაეკითხათ. მაგრამ ძნელი იყო, საკუთარი თვალებისთვის არ დაეჯერებინათ: ხელში ეკავათ ფრანი, რომელზეც შავი ასოებით დაწერილი ტექსტი საკმაოდ ცხადად ჩანდა.

მაგრამ ბევრი რამ მაინც გაუგებარი დარჩა. მაგალითად, სად იშოვეს ბავშვებმა ფრანისთვის ქაღალდი? რომელიმე ქარავანს რომ გაემართა ხელი, მაშინ იმავე ქარავანს შეუერთდებოდნენ და მაშველს აღარ მოუხმობდნენ. რა მიზეზით არ ცდილობდა ბიჭი თავისი პატარა მეგობრითურთ აბისინიისაკენ გაქცევას? რატომ გაგზავნეს დავრიშებმა ისინი ნილოსიდან აღმოსავლეთით, ისიც უცნობ მხარეში? როგორ მოახერხეს მცველების ხელიდან გასხლტომა? სად იმალებოდნენ? რა სასწაულის ძალით გადაურჩნენ მრავალთვიანი მგზავრობისას შიმშილით სიკვდილს? მტაცებლებს? ტახებს? ვერა და ვერ პოულობდნენ ამ კითხვებზე პასუხს.

– არაფერი მესმის, არაფერი მესმის, – იმეორებდა ექიმი კლარი, ეს რაღაც ღვთიური სასწაულია.

– უეჭველად. – უპასუხა კაპიტანმა.

რის შემდეგაც დასძინა:

– ყოჩაღ, ბიჭო! ეს სულ მისი საზრიანობის ამბავია!

– პატარაც რომ არ მიუტოვებია! ღმერთმა დალოცოს მისი თავიცა და თვალიც.

– ასეთ პირობებში სტენლი, სტენლიც კი, სამ დღეზე მეტს ვერ გაძლებდა.

– ისინი კი ცოცხლები არიან.

– მაგრამ შველას ითხოვენ. დასვენება დამთავრდა! ახლავე მივდივართ.

და ასეც მოხდა. გზადაგზა მეგობრები კვლავ და კვლავ ჩხრეკდნენ დოკუმენტს იმ იმედით, რომ იპოვიდნენ რაიმე ნიშანს, რომლის მიხედვითაც გაემართებოდნენ საშველად. მაგრამ ნიშანი არა და არ ჩანდა; კაპიტანს ქარავანი ზიგზაგურად მიჰყავდა იმ ვარაუდით, რომ ნაკვალევს, ნაცეცხლარს ანდა ხის ქერქზე ამოჭრილ რაიმე ნიშანს წააწყდებოდნენ. ამგვარად იარეს რამდენიმე დღე. საუბედუროდ, ამის შემდეგ მაღალი მანანითა და გადამხმარი ბალახით დაფარულ ტრიალ მინდორზე გავიდნენ. მეგობრები მოუსვენრობამ შეიპყრო. ამ თვალუწვდენელ სივრცეში სულ იოლად შეიძლებოდა დიდ ქარავანსაც კი ასცდენოდნენ, მით უფრო – ორ ბავშვს, რომლებიც მათი წარმოდგენისამებრ, ალბათ, პაწაწინა ჭიაყელებივით მიცოცავდნენ მათზე ბევრად მაღალ მანანებს შორის. ასე გავიდა კიდევ ერთი დღე. ნაყოფი არ გამოუღია არც მინდორზე დროდადრო საგანგებოდ დაგდებულ კონსერვის ცარიელ ქალებს, რომლებშიც ბარათებს დებდნენ და არც ღამეულ კოცონებს. კაპიტანი და ექიმი დროდადრო იმედს კარგავდნენ, რომ ბავშვებს ოდესმე იპოვიდნენ და ისიც ცოცხლებს.

მაგრამ ძებნა არც შემდგომ დღეებში შეუწყვეტიათ. მზვერავებმა, რომლებსაც გლენი მარჯვნივ და მარცხნივ აგზავნიდა, ბოლოს ამბავი მოიტანეს, რომ იწყებოდა სრულიად უწყლო უდაბნო და, როცა მიწის ნაპრალში სრულიად შემთხვევით წყალი აღმოაჩინეს, შემდგომი გზისთვის მარაგის ასაღებად იქვე გაჩერება გადაწყვიტეს.

ნაპრალს, რომელიც უფრო ხვრელს წააგავდა, რამდენიმე მეტრი სიღრმე ჰქონდა და შედარებით ვიწრო იყო. მის ფსკერზე წყარო ჩქეფდა, უფრო კი დუღდა, რამეთუ გაჯერებული იყო ნახშირბადმჟავით. თუმცა გაგრილებული წყალი სავსებით ჯანმრთელი და სასიამოვნო დასალევი აღმოჩნდა. წყარო იმდენად წყალუხვი იყო, სამასმა მექარავნემაც ვერაფერი დააკლო. პირიქით, რაც მეტს ხაპავდნენ, მით უფრო ძლიერ ამოჩქეფდა და ავსებდა ხვრელს.

– დროთა განმავლობაში, – თქვა ექიმმა კლარმა, – ეგებ ეს წყალი სამკურნალოდაც გამოიყენონ, მაგრამ ამაჟამად ნაპრალის ციცაბო კედლების გამო ცხოველებისთვის მიუდგომელია.

– ბავშვებს თუ შეუძლიათ მსგავს წყაროს წააწყდნენ? – იკითხა კაპიტანმა.

– არ ვიცი. შესაძლებელია, ამ მიდამოში მსგავსი წყაროები კიდევ იყოს. მაგრამ თუ არ არის, მათი დაღუპვა გარდუვალია.

დაღამდა. პატარა კოცონები დაანთეს, მაგრამ ბომა არ გაუკეთებიათ, რადგან მასალა არაფერი მოიპოვებოდა. ნავახშმევს ექიმი და კაპიტანი დასაკეც სავარძლებზე დასხდნენ, ჩიბუხები აანთეს და ბავშვებზე გააბეს საუბარი.

– არავითარი კვალი არ ჩანს! – ხმა გაიღო კლარმა.

– ამას წინათ ვფიქრობდი, – თქვა გლენმა, – ათი კაცი გაგვეგზავნა ოკეანის სანაპიროსკენ და შეგვეტყობინებინა, რომ ბავშვების ამბავი გავიგეთ. მაგრამ მოხარული ვარ, ასე რომ არ მოვიქეცით, რადგან, ჯერ ერთი, ხალხი გზაში დაიღუპებოდა, მაგრამ იქამდეც რომ მიეღწიათ, ამაო იმედს ჩავუსახავდით...

– და ტკივილსაც განვუახლებდით.

ექიმმა თეთრი ჩაფხუტი მოიძრო და ოფლიანი შუბლი მოიწმინდა...

– მისმინე, – თქვა, – ხომ არ აჯობებს, ისევ ტბასთან მივბრუნდეთ, ხეები მოვაჭრევინოთ და ღამღამობით ვეებერთელა კოცონები დავანთებინოთ. ეგების ბავშვებმა უფრო შენიშნონ...

– თუ ახლო არიან, მათ ისედაც ვიპოვით, მაგრამ, თუ შორს არიან, დედამიწის სიგლუვის გამო ცეცხლს ვერ დაინახავენ. ეს ტრამალი ერთი შეხედვით ჩანს სწორი, სინამდვილეში კი ამობურცულია და ოკეანესავით დატალღული. ამასთანავე, უკან დახევით მათი კვალის პოვნის ბოლო შესაძლებლობასაც დავკარგავთ.

– პირდაპირ თქვი, იმედი სრულიად გადაგეწურა?

– ჩემო ძვირფასო, მოწიფული, ძლიერი და საზრიანი მამაკაცები ვართ და აბა, განსაჯე, რა დაგვემართება, აქ რომ მარტონი დავრჩეთ, თუნდაც იარაღიანად, მაგრამ საკვები მარაგისა და ხალხის გარეშე?

– დიახ! სამწუხაროდ... წარმომიდგენია, ღამით უდაბნოში მოლასლასე ორი ბავშვი...

– შიმშილი, წყურვილი, მტაცებელი მხეცები...

– მაგრამ ბიჭი წერს, ასე მოვდივართ მრავალი თვეო. სწორედ ეგაა, ჭკუას რომ მაკარგვინებს.

ღამეულ მდუმარებაში კარგა ხანს მხოლოდ ჩიბუხებში თუთუნის შიშინი ისმოდა. ექიმმა ღამის ფერმკრთალ სიღრმეს მზერა გაუშტერა, მერე მოგუდული ხმით წარმოთქვა.

– უკვე გვიანია, მაგრამ ძილი არ მეკარება. აბა, წარმოიდგინე, თუ კიდევ ცოცხლები არიან, მთვარის შუქზე სადღაც ამგვარ გამხმარ მანანებს შორის დაბორიალებენ... ბავშვები, მარტოკინები! გახსოვს, გლენ, პაწიას ანგელოზისებური სახე?

– მახსოვს და ვერც დავივიწყებ.

– ოჰ! ხელის მოჭრას დავთანხმდებოდი, ოღონდაც...

და სიტყვა შუაზე გაუწყდა, რადგან კაპიტანი გლენი დამდუღრულივით წამოიჭრა.

– შორს რაკეტა მოჩანს! – შესძახა. – რაკეტა.

– რაკეტა! – გაიმეორა ექიმმა.

– ჩვენს წინ რაღაც ქარავანია.

– რომელმაც, შეიძლება, ბავშვები იპოვა!

– შეიძლება. სწრაფად, მათკენ!

– წინ!

კაპიტნის ბრძანება მყისვე მოედო მთელ ბანაკს. ზანზიბარელები თვალისდახამხამებაში ფეხზე დადგნენ. სასწრაფოდ აანთეს ჩირაღდნები. შორეული ნიშნის პასუხად გლენმა ერთიმეორის მიყოლებით რამდენიმე რაკეტის გაშვება, შემდეგ კი შაშხანებით განუწყვეტელი სალუტის მიცემა ბრძანა. თხუთმეტიოდ წუთში უკვე მთელი ქარავანი გზას ადგა.

შორიდან სროლითვე უპასუხებდნენ. ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ რომელიღაც ევროპული ქარავანი რაღაც გაურკვეველი მიზეზის გამო შველას ითხოვდა.

კაპიტანი და ექიმი თავდაუზოგავად მიაჭენებდნენ, თან იმედი და შიში გულს უთრთოლებდათ. იპოვიდნენ ბავშვებს თუ ვერა? ექიმი გულში პირობას დებდა, თუ ცოცხლებს ვერ იპოვიდნენ, ამ საძაგელ მანანებს შორის მათი გვამები მაინც უნდა მოეძებნათ.

ნახევარი საათის შემდეგ ერთმა ისეთმა ამობურცულმა, რომელზედაც წეღან საუბრობდნენ, მეგობრებს თვალსაწიერი დაუჩრდილა. მაგრამ უკვე იმდენად ახლო იყვნენ, რომ ფლოქვების ხმა გარკვევით ესმოდათ. კიდევ რამდენიმე წუთიც და ბორცვის ქედზე გამოჩნდა მხედარი, რომელსაც წინ დიდი, თეთრი საგანი ეჭირა.

– ჩირაღდნები მაღლა! – ბრძანება გასცა გლენმა.

სწორედ ამ დროს მხედარმა ცხენი შუქთა წრეში გააჩერა.

– წყალი! წყალი!

– ბავშვები! – შესძახა ექიმმა კლარმა.

– წყალი! – გაიმეორა სტაშმა.

და ნელი კაპიტანს თითქმის ჩაუგდო ხელებში, თავად კი უნაგირიდან ჩამოხტა.

მაგრამ უმალვე წაბარბაცდა და მიწაზე მკვდარივით დაენარცხა.

დასასრული

ბანაკში კაპიტან გლენისა და ექიმ კლარის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ორივე ინგლისელი არანაკლებ განცვიფრებას ამჟღავნებდა. თუ თავდაპირველად იმის დაჯერება უჭირდათ, რომ ბავშვებმა მარტოებმა მოახერხეს თვალუწვდენელი უდაბნოსა და ჯუნგლების გამოვლა ნილოსიდან და ფაშოდიდან თვით ამ ადგილამდე, ახლა იმას ვერაფრით მიმხვდარიყვნენ, რომ ამ "პატარა პოლონელმა", როგორც ისინი სტაშს ეძახდნენ, ეს არა მარტო მოახერხა, არამედ მათ წინ გამოცხადდა როგორც წინამძღოლი ქარავნისა, ევროპული იარაღით აღჭურვილი, ტახტრევნიანი სპილოთი, ცხენებით, კარვებითა და სურსათ-სანოვაგის საკმაო მარაგით. ამაზე კაპიტანი ხელებს შლიდა და ამბობდა: "კლარ, ბევრი რამ მინახავს, მაგრამ ამგვარი ბიჭი ჯერ არსად შემხვედრია!" კეთილშობილი ექიმიც არანაკლებ განცვიფრებული იმეორებდა: "ტყვეობიდანაც გამოიხსნა პაწია და გადაარჩინა კიდეც!" – რის შემდეგაც კარვისაკენ გარბოდა შესამოწმებლად, როგორ იყვნენ ყმაწვილები და კარგად თუ ეძინათ.

ნასვამ-ნაჭამ და ტანსაცმელგამოცვლილ ბავშვებს არც მეორე დღეს გაუღვიძიათ; არც მათი ქარავნის დანარჩენ ხალხს. კაპიტანი კლარი მგზავრობის წვრილმანებისა და სტაშის საქციელზე კალის ჩაეკითხა, მაგრამ ჭაბუკმა ზანგმა ცალი თვალი გაახილა და მხოლოდ ეს თქვა: "დიდ ბატონს ყველაფერი შეუძლია" – და ისევ დაიძინა. ასე რომ, შეკითხვები და გამოკვლევები მომდევნო დღისათვის უნდა გადაედოთ.

ამასობაში ორი მეგობარი მომბასში დასაბრუნებელ გზაზე ბჭობდა, საკმაოდ შორს შეაღწიეს და იმაზე უფრო დიდი სივრცე გამოიკვლიეს, ვიდრე ევალებოდათ, ამიტომაც დაუყოვნებლივ გამგზავრება გადაწყვიტეს. მართალია, კაპიტანს ძალიან იზიდავდა გეოგრაფიისათვის უცნობი ტბა, მაგრამ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობამ და გატანჯული მამებისთვის მათი სასწრაფოდ დაბრუნების სურვილმა გაიმარჯვა. ექიმის ვარაუდით, ბავშვებისთვის ზედგამოჭრილი იქნებოდა კენიისა და კილიმანჯაროს ცივ მთებში დასვენებაც. სწორედ იქიდან ვარაუდობდნენ მამებისთვის ამბის შეტყობინებას და მომბასში მათ გამოძახებას.

საკმაო დასვენებისა და თბილ წყალში ბანაობის შემდეგ უკანდასაბრუნებელ გზას მესამე დღეს გაუდგნენ. იმ დღეს გამოეთხოვნენ კალისაც. სტაშმა პაწია დაარწმუნა, რომ

ოკეანემდე ან ეგვიპტემდე კალის წაყვანა მათი მხრიდან მხოლოდ პატივმოყვარეობა იქნებოდა და მეტი არაფერი. ისიც უთხრა, რომ ეგვიპტესა და თუნდაც ინგლისში კალი მხოლოდ ხელზე მოსამსახურე ბიჭად დარჩებოდა მაშინ, როდესაც თავისი ხალხის წინამძღოლობისას იგი, როგორც მეფე, იოლად გაავრცელებდა ქრისტიანობას, შეარბილებდა ვა-ჰიმელთა ველურ ზნე-ჩვეულებებს და მათ არა მარტო ცივილიზებულ, არამედ კეთილ ადამიანებადაც აქცევდა. მეტნაკლებად იგივე გაუმეორა კალისაც.

მაგრამ გამოთხოვებისას მაინც ბევრი ცრემლი დაიღვარა, რისიც სტაშს სულაც არ შერცხვენია, რამეთუ მას და ნელის კალისთან ბევრი ტკბილ-მწარე წუთი აკავშირებდა და ორივემ არა მარტო ისწავლა მისი კეთილი გულის ფასი, არამედ ალალად შეიყვარა კიდეც. ჭაბუკი ზანგი დიდხანს იწვა თავისი ბვანა კუბვასა და კეთილი მზიმუს ფერხთით. ორჯერ მობრუნდა უკან, რათა ერთხელ კიდევ დაენახა ყმაწვილები, მაგრამ ბოლოს მაინც დადგა განშორების ჟამი და ორი ქარავანი ორ საწინააღმდეგო მხარეს გაემართა.

მხოლოდ მგზავრობისას დაიწყო ორი პატარა მოგზაურის თავგადასავლების თხრობა. ოდესღაც ყოყლოჩინა სტაში ამჟამად ოდნავადაც აღარ ტრაბახობდა. უბრალოდ, ძალზე ბევრი რამ გააკეთა, ძალზე ბევრს გაუძლო, ძალზე გაიზარდა საიმისოდ, რათა მიმხვდარიყო, რომ მრავალსიტყვაობა ვაჟკაცობას არას მატებდა. ერთი სიტყვით, ყველაზე ძნელ ამბავსაც კი მოკრძალებით ჰყვებოდა. ყოველდღე, პაპანაქება რომ დააჭერდა, ანუ "თეთრ საათებში" და საღამოობით, დაბანაკებისას, კაპიტან გლენისა და ექიმ კლარის თვალწინ ერთმანეთს სურათებივით ენაცვლებოდა ბავშვების თავს გადამხდარი მოვლენები და შემთხვევები. აშკარად წარმოიდგინეს მედინეთ-ელ-ფაიუმიდან მოტაცება და უდაბნოში, აქლემებით გავლილი საზარელი გზა, ხარტუმი, ომდურმანი – დედამიწაზე არსებული ეს უსაშინლესი ჯოჯოხეთი და პირქუში მაჰდი; როცა სტაშმა თქვა, როგორ უთხრა მაჰდის რწმენის გამოცვლაზე უარი, ორივე მეგობარი ფეხზე წამოდგა და სტაშს ხელი მხურვალედ ჩამოართვა, რის შემდეგაც კაპიტანმა ამცნო:

– მაჰდი უკვე ცოცხალი აღარ არის.

– მაჰდი ცოცხალი აღარ არის? – გაიმეორა განცვიფრებულმა სტაშმა.

– დიახ, – მიუგო ექიმმა, – საკუთარ ქონში ჩაიხრჩო ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გულმა უღალატა, ძალაუფლება კი აბდულაჰმა ჩაიგდო ხელში.

ხანგრძლივი მდუმარება ჩამოწვა.

– ჰა, – თქვა სტაშმა, – ჩვენ რომ ფაშოდში დასაღუპავად გვაგზავნიდა, არ მოელოდა, რომ სიკვდილის ხელი მას უფრო სწრაფად მისწვდებოდა...

და მერე დასძინა:

– მაგრამ აბდულაჰი მაჰდიზე სასტიკია.

– ამიტომაც დაიწყო აჯანყებები და ხოცვა-ჟლეტა, – მიუგო კაპიტანმა, – და ის შენობა, რომელიც მაჰდიმ ააგო, ადრე თუ მალე დაინგრევა.

– მერედა ამას რა მოჰყვება?

– ინგლისი, – თქვა კაპიტანმა.

. . . . . .

გზად სტაში ისევ ჰყვებოდა ფაშოდამდე მგზავრობის, მოხუცი დინაჰის სიკვდილის, ფაშოდიდან უკაცრიელ მხარეში წასვლისა და სმაინის ძებნის ამბავს. როცა იქამდე მიაღწია, როგორ დახოცა ლომი, მერე კი – გებჰრი, ხამისი და ორი ბედუინი, კაპიტანმა თხრობა შეაწყვეტინა ორად ორი სიტყვით: Aლლ რიგჰტ! რის შემდეგაც ბიჭს ორივემ ისევ ჩამოართვა ხელი და დიდის გულისხმიერებით განაგრძეს მოსმენა: როგორ მოათვინიერეს კინგი, როგორ დასახლდნენ "კრაკოვში", როგორ შეეყარა ნელის ციებ-ცხელება, როგორ იპოვეს ლინდე და როგორ უშვებდნენ კარამოიოს მთებიდან ფრანებს. ექიმი დღითი დღე საოცრად შეეჩვია ნელის და ისე ძალიან განიცდიდა ყოველივეს, რაც მას ეხებოდა, რომ იძულებული იყო, თავის გასამაგრებლად დროდადრო ბრენდი მოესვა, ხოლო, როცა სტაში მოყვა, რომ ნელი კინაღამ საშინელი ვობოს, ანუ აბასანტას მსხვერპლი გახდა, გოგონა ხელში აიტაცა და დიდხანს დაბლა აღარ დაუსვამს, თითქოსდა ეშინია, მის სიცოცხლეს კიდევ სხვა მტაცებელი არ დაემუქროსო.

რას ფიქრობდნენ სტაშზე ან ის, ან კაპიტანი, ამის დასტური იყო ორი დეპეშა, რომელიც კილიმანჯაროს მთის ძირას მისვლიდან ორი კვირის თავზე გაუგზავნეს კაპიტნის თანაშემწეს მომბასში, თან დაავალეს, რომ, თავის მხრივ, მას ისინი მამებისათვის გადაეგზავნა. პირველი მათგანი, ძლიერი შთაბეჭდილება რომ არ მოეხდინა, საკმაოდ ფრთხილად იყო შედგენილი:

"ბიჭის წყალობით ბავშვებზე საიმედო ცნობა მოგვეპოვება. ჩამოდით მომბასში".

მეორე მათგანი, რომელზეც მისამართი "ადენი" ეწერა, სრულიად ცხადად იტყობინებოდა:

"ბავშვები ჯანმრთელები არიან და ჩვენთან იმყოფებიან – ბიჭი გმირია".

. . . . . .

კილიმანჯაროს ცივ მწვერვალებზე თხუთმეტ დღეს გაჩერდნენ, რადგან ექიმი ამას საჭიროდ მიიჩნევდა ნელის და თავად სტაშის ჯანმრთელობისთვისაც. ბავშვები მეტისმეტად განაცვიფრა ამ თვალშეუდგამმა მთამ, რომელიც სამყაროს ყველა კლიმატს მოიცავდა. მისი ორი მწვერვალი – კიბო და კიმა-ვენზე დღისით, უმეტესწილად, სქელ ნისლში იყო გახვეული, მაგრამ, როდესაც საღამოობით გამოიამინდებდა და ნისლი გაიფანტებოდა, კიმა-ვენზეს მარადიულ მყინვარებს მიმწუხრის ვარსკვლავები ვარდისფერ შუქს ჰფენდა, მაშინ, როდესაც მთელი სამყარო წყვდიადში იყო ჩაფლული, მთა ღვთის სხივმოსილ საკურთხეველს ემსგავსებოდა და მის დანახვაზე ორივე ბავშვი თითებს უნებლიეთ, სალოცავად შეაწებებდა ხოლმე.

. . . . . .

უკან დარჩა გარჯის, მოუსვენრობისა და დაძაბულობის დღეები. უკან დარჩა აგრეთვე მომბასამდე მგზავრობის ერთი თვეც და გზა შევიდა უმშვენიერეს, თუმცა არაჯანსაღ ტავეტის ტყეში, მაგრამ რამდენად იოლი იყო ახლა მგზავრობა ყველაფრით მომარაგებულ, მრავალრიცხოვან ქარავანთან ერთად და ისიც უკვე კარგად ნაცნობ გზებზე, კალისა და მეასთან ერთად უდაბურ ჯუნგლებში უგზოუკვლოდ ხეტიალთან შედარებით. ამასთანავე, მგზავრობაზე პასუხისმგებლობა ახლა მთლიანად კაპიტან გლენს ეკისრებოდა. სტაში ისვენებდა და ნადირობდა. ქარავნის იარაღებს შორის ჩაქუჩი და მანა იპოვა და დღის ყველაზე ცივ დროს ვეებერთელა გნაისის კლდეზე შეუდგა წარწერის ამოკვეთას: “ჯერ პოლონეთი არ მომკვდარა”... რადგან სურდა, ამ მხარეში მათი ყოფნის რაიმე კვალი დარჩენილიყო. როცა ინგლისელებს წარწერა უთარგმნა, მათ განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, ბიჭმა აფრიკის ერთ-ერთ კლდეზე თავისი გვარის უკვდავყოფა რომ არ მოინდომა. თუმცა მან ის გააკეთა, რაც უმჯობესად მიიჩნია.

ნელის არც ახლა აკლებდა მზრუნველობას და ისიც იმდენად ენდობოდა, რომ, როდესაც ერთხელ ექიმმა ჰკითხა, ზღვაზე ქარიშხლისა ხომ არ შეგეშინდებაო, გოგონამ თავისი მშვენიერი, მშვიდი თვალები შეანათა და მხოლოდ ეს დასძინა: “სტაში რაიმეს მოიფიქრებს”. კაპიტან გლენის მტკიცებით, უფრო მეტ განმარტებას, რას წარმოადგენდა სტაში პაწიასათვის და უფრო მეტ შექებას სტაშისთვის, ალბათ ამქვეყნად ვერც ვერავინ მოიფიქრებდა.

მიუხედავად იმისა, რომ პორტ-საიდში პან ტარკოვსკისთვის გაგზავნილი პირველი დეპეშა ფრთხილად იყო შედგენილი, მან ისეთი განსაცვიფრებელი შთაბეჭდილება

მოახდინა, რომ ნელის მამას სიხარულისაგან კინაღამ გული გაუსკდა. მაგრამ პან ტარკოვსკიც, თუმცა განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდა, დეპეშის მიღების პირველ წუთებში მუხლებზე დაეცა და ღმერთს შესთხოვა, რომ ეს მონატრების, დარდისა და ტკივილის ნიადაგზე წარმოშობილი ავადმყოფური ხილვა ან ტყუილი არ გამომდგარიყო. ორთავემ ხომ უზომოდ ბევრი გააკეთა, რათა ის მაინც გაეგოთ, ბავშვები ცოცხლები იყვნენ თუ არა! პან რავლისონმა სუდანში მთელი ქარავანი გაგზავნა, არაბულად გადაცმულმა პან ტარკოვსკიმ კი თავისი სიცოცხლე სასწორზე შეაგდო და თვით ხარტუმამდე მიაღწია, მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა. ადამიანები, რომელთაც მისთვის რაიმე ცნობის მიწოდება შეეძლოთ, ან ყვავილისგან დახოცილიყვნენ, ან შიმშილით, ანდა – გაუთავებელი ხოცვა-ჟლეტისას და ბავშვებს თითქოს მიწამ უყო პირი! ბოლოს ორივე მამას იმედი საბოლოოდ გადაეწურა და მხოლოდ მოგონებებითღა სულდგმულობდნენ და ღრმად სწამდათ, რომ ამიერიდან მათ ცხოვრებას ფასი არ ჰქონდა და მხოლოდ სიკვდილი შეახვედრებდა მათ უსაყვარლეს არსებებთან.

სწორედ ამ დროს ეწვიათ მოულოდნელი სიხარული, რომლის გაძლებაც მათ ძალ-ღონეს აღემატებოდა. დაჯერებაც გაუჭირდათ და განცვიფრებულიც დარჩნენ. მაგრამ ერთს კი ნამდვილად ვერ მიხვდნენ – როგორ და რანაირად მოუვიდათ ბავშვებზე ცნობა აფრიკის იმ მხარიდან, ანუ მომბასიდან. პან ტარკოვსკიმ ივარაუდა, რომ, შესაძლოა, ისინი აღმოსავლეთ სანაპიროდან ნილოსისაკენ სპილოს ძვლისათვის შესულმა რომელიმე არაბულმა ქარვანმა მოიპარა ან გამოისყიდა. დეპეშის სიტყვები: “ბიჭის წყალობით” თავისთვის ისე განსაზღვრეს, თითქოს სტაშმა წერილით აცნობა კაპიტანსა და ექიმს თავისი და ნელის ადგილსამყოფელი. მაგრამ ყველაფრის მიხვედრა მაინც შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ, პან ტარკოვსკი ერთს ცხადად მიხვდა, რომ ცნობა ნაღდი კი არა, უნაღდესი იყო, რადგან, სხვაგვარად ექიმი და კაპიტანი ვერ გაბედავდნენ მათ გულში იმედის გაღვიძებას და, რაც მთავარია, მომბასში მათ მიწვევას.

სამგზავრო სამზადისს მალევე მორჩნენ და დეპეშის მიღების მეორე დღეს ორივე ინჟინერი და ნელის პედაგოგი დაუყოვნებლივ აღმოჩნდნენ უზარმაზარ გემ “Pენინსულარ ანდ Орიენტ ჩომპანყ”-ზე, რომელიც ინდოეთში მიემგზავრებოდა, გზად კი ადენში, მომბასსა და ზანზიბარში უნდა შეევლო. ადენში მათ უკვე ელოდა მეორე დეპეშა, რომლის ტექსტიც იყო: “ბავშვები ჯანმრთელები არიან და ჩვენთან იმყოფებიან – ბიჭი გმირია”. მისი წაკითხვის შემდეგ პან რავლისონი სიხარულისაგან ლამის შეირყა, პან ტარკოვსკის ხელს უჭერდა და წამდაუწუმ იმეორებდა: “ხედავ, მან გადამირჩინა! ჩემი გოგონას სიცოცხლეს მას უნდა ვუმადლოდე!” – პან ტარკოვსკიმ კი, აქაოდა, სისუსტე არ შემამჩნიოსო, ძლივს ამოღერღა: “აბა! მაგრად უყოჩაღია ჩემს ბიჭს”. – მაგრამ კაიუტაში მარტო დარჩენილი ბედნიერებისაგან ატირდა.

ბოლოს დადგა წუთი, როდესაც ბავშვები მშობლებს ჩაეკრნენ გულში. პან რავლისონმა ხელში აიტაცა თავისი ახალნაპოვნი პაწია განძი, ხოლო პან ტარკოვსკის დიდხანს ჰყავდა გულში ჩახუტებული თავისი გმირი ვაჟი. მათმა უბედურებამ უდაბნოში ჩავლილი ქარიშხლისა და გრიგალის მსგავსად ჩაიარა. ცხოვრება ისევ ლხენითა და ბედნიერებით აივსო, ხოლო დარდი და განშორებით გამოწვეული ტკივილი სიხარულმა შეცვალა. ბავშვებს მხოლოდ ის უკვირდათ, რომ მათი არყოფნისას მამიკოებს თმა გასთეთრებოდათ.

უკან, სუეცისაკენ, ბრუნდებოდნენ კომპანია “Messageries Maritimes”-ის კუთვნილი შესანიშნავი გემით, რომელიც სავსე იყო კუნძულებიდან: რეუნიონიდან, მურიტიუსიდან, მადაგასკარიდან და ზანზიბარიდან მომავალი მგზავრებით. როცა ხმა დაირხა, გემბანზე დავრიშების ტყვეობიდან თავდაღწეული ბავშვები იმყოფებიანო, სტაში საყოველთაო ყურადღებითა და თაყვანისცემით შეიმოსა. მაგრამ ბედნიერი ოჯახი კაპიტნის მიერ შემოთავაზებულ ვეებერთელა გრილ კაიუტაში ჩაკეტვასა და საუბრით თავისშექცევას ამჯობინებდა. საუბარში ნელიც მონაწილეობდა და, ჩიტივით მოჟღურტულე, ყოველ სიტყვას ასე იწყებდა: “ჰოდა, მამიკო! ჰოდა, მოგვიტაცეს და აქლემებით წაგვიყვანეს – ჰოდა, გებჰრმა დამარტყა; – ჰოდა, სტაში მომეშველა; – ჰოდა, ჩავედით ხარტუმში – ჰოდა, იქ ხალხი შიმშილით იხოცებოდა; – ჰოდა, სტაში მუშაობდა, რომ ჩემთვის ფინიკი ეშოვა; – ჰოდა, მაჰდისთან ვიყავით; – ჰოდა, სტაშმა რელიგია არ შეიცვალა; – ჰოდა, მაჰდიმ ფაშოდში გაგვაგზავნა; – ჰოდა, სტაშმა ლომიც მოკლა და ისინიც; – ჰოდა, დიდ ხეში ვცხოვრობდით და იმ ხეს “კრაკოვი” ერქვა; – ჰოდა, კინგიც ჩვენთან იყო; – ჰოდა, ციება დამემართა; – ჰოდა, სტაშმა მომარჩინა; – ჰოდა, ვობო მოკლა; – ჰოდა, ზამბურუელები დაამარცხა; – ჰოდა, მამიკო, ყოველთვის კეთილად მეპყრობოდა”...

ზუსტად ასევე იტიტინა კალიზე, მეაზე, კინგზე, ლომაზე, ლინდეს მთაზე, ფრანებსა და ბოლო მგზავრობაზე, ვიდრე კაპიტნისა და ექიმის ქარავანს შეხვდებოდნენ. ამ ჟღურტულის მოსმენაზე პან რავლისონი ცრემლებს ძლივს იკავებდა და თავის გოგონას წამდაუწუმ გულში იკრავდა. პან ტარკოვსკიმ კი, სიამაყისა და სიხარულისაგან, აღარ იცოდა, რა ექნა, რადგან იმ ბავშვური მონათხრობიდანაც კარგად იგრძნობოდა, რომ ბიჭის საზრიანობა და ძალ-ღონე რომ არა, პაწია ერთხელ კი არა, ბარე ათასჯერაც დაიღუპებოდა.

სტაშს ყველაფერი მშვენივრად ესმოდა. ისე მოხდა, რომ ფაშოდიდან ჩანჩქერამდე წვრილმანების მოყოლისას გულს დაწოლილი ვეება ლოდი მოიშორა; როცა გებჰრისა და მისი ამხანაგების დახოცვის ამბავს მიადგა, შეჩერდა და მამას მღელვარედ გადახედა, პან ტარკოვსკიმ წარბები შეჭმუხნა, ერთხანს ჩაფიქრდა, მერე კი დინჯად წარმოთქვა:

– ყური მიგდე, სტაშ! ადამიანს სხვისი მოკვლის უფლება არა აქვს, მაგრამ, თუ ვინმე დაემუქრა შენს სამშობლოს, დედაშენის, დის თუ შენთვის მობარებული ქალის სიცოცხლეს, დაუფიქრებლად დაახალე შუბლში ტყვია და სინდისის ქენჯნა ნუ შეგაწუხებს!

პან რავლისონმა პორტ-საიდში დაბრუნებისთანავე ნელი ინგლისში წაიყვანა და სამუდამოდ იქ დასახლდა. სტაში კი მამამისმა სასწავლებლად ალექსანდრიაში მიაბარა, რადგან იქ ნაკლებად თუ იცოდა ვინმემ მისი თავგადასავლები და იონები. ბავშვები ერთმანეთს თითქმის ყოველდღე წერდნენ წერილებს, მაგრამ მოხდა ისე, რომ ათი წელი ერთმანეთს ვეღარ შეხვდნენ. ბიჭმა სკოლა რომ დაამთავრა, უმალვე მოეწყო ციურიხის პოლიტექნიკურ სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ შვეიცარიაში გვირაბების გაყვანაზე მუშაობდა.

და მხოლოდ ათი წლის შემდეგ, როცა პან ტარკოვსკი სამსახურიდან გადადგა, მეგობრების სანახავად მამა-შვილმა ინგლისს მიაშურა. პან რავლისონმა ისინი მთელი ზაფხულის მანძილზე მიიწვია ჰემპტონ-ქორთის მახლობლად მდებარე თავის სახლში. ნელის თვრამეტი წელი შესრულებოდა და ყვავილივით გაფურჩქნულიყო, ხოლო სტაში საკუთარი სიმშვიდითა და გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ოცდაოთხი წლის მამაკაცს უკვე შეეძლო ქალზე ფიქრი. ჰოდა, ნელიზე იმდენს ფიქრობდა, რომ ბოლოს გაქცევა გადაწყვიტა.

მაგრამ ამასობაში, ერთ დღეს, პან რავლისონმა ორივე ხელი მხრებზე დაადო, თვალებში ჩახედა და ანგელოსივით ტკბილი ხმით უთხრა:

– სტაშ, თავად განსაჯე, თუ მოიპოვება ამქვეყნად ადამიანი, რომელსაც ჩემს საუნჯესა და უძვირფასეს ადამიანს შენზე მეტად ვანდობ?

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ტარკოვსკები ინგლისში პან რავლისონის გარდაცვალებამდე დარჩნენ, ხოლო ერთი წლის შემდეგ სამოგზაუროდ წავიდნენ, რამდენადაც საკუთარ თავს აღუთქვეს, მოენახულებინათ ის ადგილები, სადაც ყრმობის წლები გაატარეს, მერე ბავშვობისას მოუწიათ ხეტიალმა. ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ეგვიპტეს მიაშურეს. მაჰდისა და აბდულაჰის სამეფო კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა, მის დამხობას კი, როგორც კაპიტანმა თქვა, “მოჰყვა” ინგლისი. კაიროდან ხარტუმამდე რკინიგზა გაეყვანათ. ნილოსის ჭორომები კი საგულდაგულოდ გაეწმინდათ, ჰოდა, ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა შესანიშნავი გემით მხოლოდ ფაშოდამდე კი არა, ზედ დიდ ტბა ვიქტორია-ნიანზამდე იმგზავრა. იმ ტბის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ფლორენციიდან მომბასამდე კი – რკინიგზით. კაპიტანი გლდენი და ექიმი კლარი უკვე ნატალში გადასულიყვნენ, სამაგიეროდ მომბასში ინგლისის მთავრობის წარმომადგენლის მფარველობის წყალობით კინგი იმყოფებოდა. გოლიათმა დანახვისთანავე იცნო თავისი ძველი

ბატონები, განსაკუთრებით კი ნელის მიესალმა მხიარული ბღავილით, რაზედაც მახლობლად მდგარი მანგროს ხეები ათრთოლდა. არც ბებერი ლომას ცნობა გასჭირვებიათ, თუმცა მას უკვე ორი ჩვეულებრივი ძაღლური ცხოვრებისათვის გაეძლო და მართალია, თვალისჩინი დაჰკლებოდა, სტაშსა და ნელის მაინც ყველგან თან დაჰყვებოდა.

სტაშმა იქვე გაიგო, რომ კალი ჯანმრთელად იმყოფებოდა, რომ ინგლისის პროტექტორობით დიდებულად მართავდა მთელ მხარეს, მოყოლებულს სამხრეთით რუდოლფის ტბიდან; რომ მიწვეული ჰყავდა მისიონერები, რომლებიც ადგილობრივ ველურ ტომებს შორის ქრისტიანობას ავრცელებდნენ.

. . . . . .

ამ ბოლო მოგზაურობის შემდეგ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ტარკოვსკები ევროპაში დაბრუნდნენ და სტაშის ჭაღარა მამასთან ერთად სამუდამოდ დასახლდნენ პოლონეთში.